ალ. მანველიშვილი

რუსეთი და საქართველო

(1801-1951)

პირველი ტომი

პარიზი
1951 წ.

წინასიტყვაობის მაგიერ

ამ წელს სრულდება 150 წლის თავი, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა, და აქამდე ქართულ ენაზედ არ გამოსულა რუსეთ-საქართველოს ურთი-ერთობის სრული მიმოხილვა.

წინამდებარე თხზულება წარმოადგენს პირველ ასეთ ცდას. ის დაწერილია ახალგაზრდული გატაცებით 1931-1934 წლებში. ზოგიერთი თავები წაკითხულ იქმნა ცალკე მოხსენებებად. შესავალი და პირველი თავი დაიბეჭდა ჟურნალ „მეურნის" პირველ ნომერში, ზოგიერთი ადგილები გაზეთ „მომავალში".

მას შემდეგ, ჩვენს ხელთ დაგროვდა კიდევ ახალი და უხვი მასალა. რადგან თემა არის აქტუალური და მნიშვნელოვანი, ღირსი იყო საფუძვლიანად გადამუშავებისა. ცდამ დაგვარწმუნა, რომ ის მოითხოვდა დიდ დროს და ისედაც ფართო ნაშრომს გააორკეცებდა. მუშაობის მძიმე პირობებმა და გამოცემის სიძნელემ, გვაიძულეს ასეთი შრომის გაწევა გადაგვედო უფრო ბედნიერი დროსათვის.

დღეს ვაქვეყნებთ წიგნის მხოლოდ ერთ ნაწილს, იმავე ფორმით და სტილით, როგორც ის მაშინ იყო დაწერილი. ყამჯობინეთ მისი გამოცემა ასე, ვიდრე არასოდეს. დუმილი ოქროა, მაგრამ სამუდამო სიჩუმე სიკვდილს უდრის; ჩვენ სიცოცხლე გვწყურია. მარად ყამს უნდა სძგერდეს ქართველის გული და ახალ და ახალ ზვირთებს ისროდეს ჩვენი ერის საუკუნეებრივი მღელვარების მორევში.

მადლობას ვუძღვნით ბ. ი. ჯაბადარს მორალური დახმარებისათვის და ბ. დ. ხელაძეს უანგარო შრომისათვის, ურომლისოდაც ამ წიგნს მზის სინათლე ვერ ეღირსებოდა.

ა ვ ტ ო რ ი.

ივნისი. 1951 წ.
პარიზი.

მ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართველი ტომების ძველ დიდების დღეები შთაინთქენ საუკუნეთა ღრეღნაში. მათი ძლევამოსილებანი ბაბილონსა და ეგვიპტეში, მათი გმირული ბრძოლები ტიგრისა და ეფრატის სათავეებში ასურთა იმპერატორების წინააღმდეგ, შორეულ მოგონებებად ღა იყენენ შთენილნი. ასურთა იმპერიის დანიავებას მოჰყვება ახალი ინდო - გერმანელების შემოქრა, რომელნიც ანადგურებენ დიდ ნაწილს ქართველთა მოდგმისა. ხოლო: რაც გადაურჩება, ის მოიწევს და სახლდება შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთით...

ასურთა იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდება სპარსთა იმპერია აქემენიდების მეთაურობით და ქართველი ტომებიც მათ ადმინისტრატიულ ერთეულებად იქცევიან.

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამ წინა აზიასა და ინდოეთში შეაფექრა აღმოსავლეთის ბატონები. ქართველები სარგებლობენ შემთხვევით და ამიერ კავკასიაში ორ სახელმწიფოს აყალიბებენ: ლაზიკასა და იბერიას. მათ საზღვრავს სომხეთის და პონტის სამეფოები, უკანასკნელთ, კოალიციით შექმნეს მათი ძლიერება. ხოლო როდესაც გამოჩნდენ რომის სარდლები, აქ დაშლილობა სუფევდა.

რომი ამარცხებს ცალ - ცალკე ჯერ პონტის სამეფოს და მერე სომხეთს.

ამ დროს საქართველო თავის მდგომარეობაზედ ფიქრობდა, შაგრამ დარწმუნდა რა, რომ რომაელები საქართველოსაც ესტუმრებოდენ, მაშინ ისიც ჩაერია პონტისა და სომხეთთან ერთად ბრძოლაში. მაგრამ დაგვიანებით, საქმე წაგებული იყო და რომის სარდალი პომპეუსი უომრად შევიდა იბერიის სატახტო ქალაქში.

რომაელი ისტორიკოსი მარცელინი გადმოგვცემს, რომ ამდროს რომაელებს გამჭრიახობა არ გამოეჩინათ,

სომეხ - ქართველთა მეფეები სპარეულებთან ერთად, რომ დაამარცხებდენო. ასე თუ ისე პირველ საუკუნეებითგან აღმოსავლეთში დამკვიდრდება რომი. ხოლო სასანიდების დინასტიის მეთაურობით ახლად აღორძინების გზაზედ შემდგარი სპარსეთი ირჩება მის მეტოქობაში.

ამ დროიდან მოყოლებული (I — VII ს.) მთელი შვიდი საუკუნე გრძელდება სპარსეთ - რომის (მერე ბიზანტიის) ქიშპობა საქართველოს ორ სამეფოზედ.

ბიზანტიის აღმოსავლეთში ბატონობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი იყო შავი ზღვის ნაპირების მის ხელში ყოფნა და სათანადოდ გამაგრება; ამიტომ ისინი აქ უამრავ სიმაგრეებს აგებენ და თავიანთ გარნიზონებს აყენებენ. ხელს უწყობენ და მფარველობენ საკაჭრო ოპერაციების აღორძინებას აღმოსავლეთთან, რომლის ერთად - ერთი გზა ამ დროს იყო საქართველო.

სპარსეთის ინტერესი უფრო პოლიტიკურია. საქართველოს სახით მას საკმაო პოლიტიკური ძალა აკლდება. ამ დროინდელი სპარსეთისათვის დიდ საზრუნავ საგანს წარმოადგენდა იმიერ კავკასიის ხალხთა თავდასხმისაგან თავდაცვა. იმიერ კავკასიელები ხშირად ჩამოდიოდენ ხან კასპიის მხარედან, ხან იორის ხეობით, იბერია - ალბანეთით და თავს ესხმოდენ ხოლმე აზერბეიჯანს. ამიტომ იბერიის დაბურობა, სპარსეთს საშუალებას აძლევდა ამ მიმართულებით თავდაცვის უზრუნველყოფას. დასავლეთ საქართველოს ანუ ლაზიკის ხელში ჩაგდებით გზას უკრავდა ბიზანტიის გავლენას აღმოსავლეთზედ და საკაჭრო გზასაც თვით ეუფლებოდა.

ამგვარად, ამ დროის ამ ორი დიდი მოსაზღვრე ქვეყნის ინტერესები ორივეს ცალ ცალკე მოითხოვდენ საქართველოს დამორჩილებას. და მთელი ამხნის ისტორიაც წარმოადგენს მათი შეტოქეობის ისტორიას. საქართველო კი სხვა და სხვა ფორმით ებრძვის ორივეს და მიისწრაფის სრული დამოუკიდებლობისაკენ.

ბიზანტია - სპარსეთის მეტოქეობა და ბატონობა ამ დროის განმავლობაში ცვალებადია. უმთავრესად კი ბიზანტიის ვასალურ დამოუკიდებლობაში იმყოფება დასავლეთ საქართველოს სამეფო ლაზიკა, ხოლო სპარსეთის — იბერია.

მაგ. 298 წ. სპარსეთ-რომის შორის ნიზიბინის ზავით მთელი საქართველო რომს რჩება. ხოლო 532 წლის სპარსეთ-ბიზანტიის ე. წ. საუკუნო ზავით აღმ. სამეფო იბერია რჩება სპარსეთს, ლაზიკა — ბიზანტიას.

მე-VII ს-ში, სპარსეთ-ბიზანტიის მეტოქეობა ბიზანტიის სრული გამარჯვებით თავდება.

მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გრძელდება. ამ დროს წინა აზიაში შემოიჭრებიან არაბთა ხალიფები და საქართველოც შედის ახალ საერთაშორისო ცვლილებათა ფაზაში. არაბები იბყრობენ სპარსეთს. ჩადის სასანიდების დინასტიის მზე. სპარსეთის უკანასკნელი ბატონის ეზდიგერდ III შვილი პეროზ III ჩინეთში გადაიხვეწება.

ბიზანტია შეაშფოთა შექმნილმა მდგომარეობამ. ის უკავშირდება ხაზართა მეფეს, მაგრამ საქმე წაგებულია. არაბთა ახალ სტიქიას, რომელიც ცეცხლითა და მახვილით მოდიოდა, აღმოსავლეთში ვეღარავინ გადაეღობა წინ. ხოლო დასავლეთში საფრანგეთის კაროლინგები, პირადი ეკონომიური ინტერესების გამო, არაბებთან მშვიდობიან ურთიერთობას ამყარებენ; შარლემანი ელჩებსაც აგზავნის არაბეთში. ამას ერთვის რომის პაპის ამხედრება ბიზანტიის წინააღმდეგ. რათგან ამ დროს ბიზანტიაში გაჩაღებული იყო. ე. წ. ხატთა ბრძოლა და პაპი ბიზანტიის წინააღმდეგი იყო, ამის გამო ის აქეზებს ფრანგებს არაბებთან მეგობრული ურთიერთობა დაიჭირონ ბიზანტიის წინააღმდეგ.

ამგვარ მდგომარეობაში არაბებმა მალე დაიბყრეს მრავალი ქვეყნები. 641-642 წ. ბიზანტიას წართვეს ალექსანდრია. 650 წ. უკვე დაბყრობილი ჰქონდათ: სირია, მცირე აზიის ერთი ნაწილი, მესოპოტამია, პალესტინა და ეგვიპტე. შემდეგ იბყრობენ კვიპროსს, მიდიან კრეტასა და სიცილიამდე და ემუქრებიან ეგეის ზღვასა და კონსტანტინეპოლს. ამ დროიდან ბიზანტიის, როგორც პირველ ხარისხოვანი სახელმწიფოს სახელი, ეცემა, მის გავლენას აღმოსავლეთში და საქართველოშიც ფრთები შეეკვეცება; რათგან 643-645 წლებში საქართველოში უკვე არაბთა ძლევამოსილი სარდლები შემოიჭრებიან და ნელა-ნელა იბყრობენ მას.

არაბთა ბატონობა საქართველოში ოთხ საუკუნეს გრძელდება. პირველი ორი საუკუნე იყო უფრო მძაფ-

რი, ხოლო მეორე ნახევარში მათ ნაკლები გავლენა ჰქონდათ. არაბები ბატონობენ უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში. სამხრეთი და დასავლეთი ნაწილობრივ რჩება ბიზანტიის გავლენის ქვეშ, ნაწილობრივ თავისუფალია. ამ დროს ეკუთვნის სამხრეთ საქართველოში დიდი კულტურული მოძრაობის შექმნა. ვინაიდგან არაბთა ბატონობა წინაურ ცხოვრებაში არ ერეოდა, ამიტომ მე-9-10-ე საუკუნეებში მთელი საქართველო, რომელიც უკვე ოთხ სამეფოდ იყო ჩამოყალიბებული, იღვიძებს პოლიტიკურად და ეს ძლიერი ნაციონალური მოძრაობა მე-11 - 12-ე საუკ. სრულიად საქართველოს გაერთიანებით დაგვირგვინდება.

მე-11 საუკუნეში მცირეაზიაში სელჯუკთა გაბატონება ასუსტებს არაბთა გავლენას საქართველოში.

საქართველო პოლიტიკურად უკვე გაძლიერებული შეხვდება სელჯუკთა ძალებს. ხოლო დასავლეთითგან ჯვაროსანთა ლაშქრობებმა პირდაპირ ხელი შეუწყეს ქართველ მეფეს დავით აღმაშენებელს გაეწმინდა მტრებისაგან და შეექმნა თავისუფალი ძლიერი საქართველო.

ეს იყო საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ეპოქა. საქართველოს პირველი ძლევამოსილება და დიდება დაგვირგვინდა 1121 წ. დიდ გორის გამარჯვებით.

ამგვარად, ქართველთა სამხედრო სიმამაცემ თავისი ქვეყნის ბრწყინვალე ბედი ევროპა-აზიის დიდი მეტოქეობის დროს გამოსჩენდა.

მთელი შემდეგი ძლიერებაც ორომ გამოიჩიცხოს, მარტო აღნიშნული ფაქტიც საკმარისი იყო, ორომ საქართველო იმ დროინდელ მსოფლიოშე პირველ ხარისხოვან სამეფოდ აღიარებულიყო.

საქართველო ქმნის ერთ მთლიან კავკასიის სამეფოს, 10-12 მილიონი მოსახლეობით, ეფასალად იხდის ზოგიერთ მოსაზღვრე სელჯუკთა სამთავროებს და სხვებზედ ავრცელებს თავის გავლენას.

1204 წ. კონსტანტინეპოლის ჯვაროსნები იღებენ; ნაწილდება ბიზანტიის იმპერია და ტრაპიზონის იმპერიის სახით მისი ერთი შტოც ქართველების გავლენის ქვეშ მოექცევა.

პოლიტიკური ძლევამოსილების ნიადაგზედ გაიშლება ქართველთა ამაყი სულისკვეთება და იმ დროინდელ სამყაროს პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიურ ცხო-

ერებაში ჩაებმება როგორც თანასწორი თანასწორთა შორის.

სწორედ ერთი საუკუნე გრძელდება საქართველოს ძლიერება. 1121 წლის დიდ გორის გამარჯვების შემდეგ, საქართველოს პირველი ძლიერი მტერი მის საზღვრებზედ ჩნდება 1221 წ. ეს იყო **ჩინგის ხანის** ლაშქარი, რომელიც ცოტა გვიან შემოიჭრება საქართველოში, გადალახავს კავკასიონს და გადის რუსეთში.

მონგოლთა ორი საუკუნის ბატონობამ საქართველო დააქვეითა და პირველ ხარისხოვანი სახელმწიფოს სიმაღლიდან ძირს დასწია. მანვე მოუმზადა ნიადაგი მის დაცემას და რამდენიმე სამეფო სამთავროდ დაყოფას.

მონღოლთა ბატონობის დროსვე წინაზიაში ჩაისახება თურქთა მოდგმის ახალი ერთეული, რომელიც ოსმანთა დინასტიის მეთაურობით მოიპოვებს რა ავტონომიას, მონღოლთა დაცემის დროს ელვის სისწრაფით იზრდება. ეცილება სპარსეთს, ამარცხებს ზედიზედ ბიზანტიას, მოიწევს კოსტანტინეპოლზედ და ევროპას ემუქრება. თეიმურლენგის ლაშქრობა დროებით შეაჩერებს ოსმანთა მახვილს და 1404 წელს სულთან ბაიაზეთის, ანგორის სასტიკი დამარცხებით, კოსტანტინეპოლის დაბყრობა ნახევარი საუკუნით გადაიდება.

იმავე სელჯუკთა იმპერიის ნანგრევებზედ მონღოლთა დაცემის დროს აღმოცენდება ორი დიდი თურქმენთა კონფედერაცია: თეთრ ბატკნიანების და შავ ბატკნიანების. მათ შორის ქიშპობას ბოლო ეღება თეთრ ბატკნიანთა გამარჯვებით და მისი მეთაური უზუნჰასანი თავს მთელი სპარსეთის შახად აცხადებს. ხოლო მის მემკვიდრეობას მალე დაეუფლება სეფიდების სპარსთა ნაციონალური დინასტია და სპარსეთს ეროვნული აღორძინების და ძლიერების ლიანდაგზედ შეაყენებს.

თეიმურ ლენგის დამარცხების შემდეგ, წინა აზიაში ხდება ახალი სახელმწიფოებრივი ფორმაცია, ორი ძლიერი სახელმწიფოსი: ოსმალეთის და სპარსეთის სახით, **და ამიერითგან მით განისაზღვრება საქართველოს, როგორც საგარეო ურთიერთობა, ისევე მით გადაწყდება მისი შინაგანი ბედიც.**

ამგვარად საუკუნეთა დენის დროს საქართველოს საზღვრებზედ ეცილებიან მრავალი სახელმწიფოები. ასურ-სპარსთა მეტოქეობას მოყვება სპარსეთ - რომ - ბიზანტია,

შემდეგ არაბეთ-ბიზანტია და ბოლოს სელჯუკები. დასავლეთით ბიზანტიის დაცემის შემდეგ ამ მხარეს დას. ევროპა ჩნდება. მე-11 - 12 საუკუნეებში უკვე ახალი საერთაშორისო ურთიერთობა იწყება და ამ დროიდან შედის საქართველოც ევროპასთან ურთიერთობაში, ხოლო ცოტა გვიან, როდესაც ოსმანთა იმპერია დაამარცხებს ერასაც და მეოთხესაც, დაიბყრობს კონსტანტინეპოლს და მიიწევს ევროპისაკენ; როდესაც შეერთებული სპარსეთი საბოლოოდ განთავისუფლებული მონგოლთა ბატონობისგან, ფეხზედ დგება, საქართველოზედ კვლავ გაიმაგრთება მათი მეტოქეობა და ამდროიდგან კი ევროპას მოწყვეტილი საქართველო ჩრდილოეთით დაიწყებს მაშველი ხელის ძიებას.

ისევე როგორც ხანმოკლე იყო ევროპა-საქართველოს ინტერესთა შეხვედრის გზები, ასევე ხანმოკლე იყო საქართველოს თავისუფლებაც. მართალია მან სრული ერთი საუკუნე (მე-12) თავისუფლად ამოისუნთქა, შექმნა ერთი მთლიანი კავკასიის სამეფო. აღორძინდა ეროვნული კულტურა და გაიზარდა მოსახლეობა, მაგრამ აზიაში მონღოლთა გაძლიერება მას მალე დაემუქრა და დასცა ის სამუდამოდ. ბუნაგოფო იყო ამ ხანებში საქართველოს ევროპასთან ურთიერთობის ცდები, რადგან ამდროინდელი ევროპის ინტერესები ჯერ ხორცშეესხმელი რჩებოდენ აღმოსავლეთში. მხოლოდ გვიან, როდესაც საფრანგეთ-ინგლისის ინტერესები მიიწევდენ აღმოსავლეთში, ამ დროს უკვე რუსეთი დაიძრება ჩრდილოეთითგან და საქართველოს ტერიტორიაც მისი ექსპანსიის ხვედრად იქცევა.

თავი პირველი

საძართველო ევროპის და აზიის შორის

I.

საუკუნეთა განმავლობაში წინა აზია და კავკასია წარმოადგენდა ევროპისა და აზიის ხალხთა მიმოქცევის სარბიელს. აქ იყო კაცობრიობის მთავარ რასათა ჭიდილის მოედანი. აქ ჩაისახა და იწვა ადამიანის შემოქმედება და აქვე დაირწა აკვანი პირველი საკაცობრიო ცივილიზაციისა.

ეს იყო ორი ქვეყნის შეხვედრის ცენტრი, მისი საშუალებით უკეშირდებოდა დასავლეთი აღმოსავლეთს. ძისი ეს როლი გაგრძელდება მანამდე, სანამ ევროპიელნი აზიასთან მიმოსვლის ახალ გზებს ან აღმოაჩენენ. ეს კი მოხდება გვიან, მე-15-ე საუკუნეში და ამიერიდან მისი ისტორიული როლი მცირდება.

ძაგრამ ხანგრძლივი იყო ის დრო, როდესაც წინა აზია - კავკასია ანე დიდ როლს თამაშობდა კაცობრიობის ისტორიაში. ხუთი ათასი წლის განმავლობაში რაც ამ მიწაზედ შექმნილა; კაცობრიობისათვის მარად დაუვიწყარი იქნება. ამ მხარეს პირველად დაეუფლა ქართული და მათი ზონათესავე მოდგმის ხალხები. სუმერთა სახელმწიფო იყო პირველი განვითარებული პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც ისტორია იცნობს. აქ ვითარდება პირველად მიწის მეურნეობა. ქართველი ტომები პირველი იგონებენ ლითონებს და ქმიან მისი დამუშავების მრეწველობას. ამ რასის შემოქმედების ნიადაგზედ იბადება პირველად კანონმდებლობა, ლიტერატურა, ხელოვნება. აქ არსებობენ პირველი იმპერიები: ბაბილონის, ხეთების და ასურეთისა. ეს ის მხარეა, სადაც ჩამო-

ყალიბდა ფინიკიელთა მიერ აღმოჩენილობის სისტემა. აქ შეიქმნა სუმერთა, ბაბილონის და ებრაელთა ეპოსი. გაჩნდა მწერლობა, დაიწერა დაბადება. აქვე შეიქმნა სპარსთა იმპერია და გაჩნდა მაზდეიანობა, დაიბადა და გაფურჩქნა მალალი ხარისხის საერო მწერლობა. სადაც დაიბადენ საბერძნეთის დიდი მწერლები და ფილოსოფოსები, სადაც იშვა იესო ნაზარეველი და მისი უმაგალითო წამებისა და ჯვარცმის შემდეგ, ქრისტიანული კულტურა გახდა ნახევარი კაცობრობის სულიერი და მორალური სათავეების მბყრობელი, სადაც შეიქმნა საუკეთესო ნიადაგი არაბეთის უდაბნოში დაბადებული ისლამის გაფურჩქვნისა, და რომელიც იქცა მეორე ბუმბერაზ რელიგიად. სადაც აყვავდა განახლებული ბიზანტიის კულტურა, შეიქმნა ქართულ-არაბულ-სპარსული ლიტერატურა და ხელოვნება, მეცნიერება და ფილოსოფია და ბოლოს სადაც ჩაისახა გარკვეული მსოფლმხედველობა ადამიანზედ, მისი არსებობის მიზანსა და დანიშნულებაზედ.

რომლის ველებიც საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენდენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამბყრობელთა ლაშქრობის მთავარ სარბიელს, ალექსანდრე მაკედონელის, რომის იმპერატორების, არაბთა და თურქ-მონგოლთა ექსპანსიების ცენტრში ყოველთვის წინა აზია-კავკასია იყო.

ებრაელ შეფეთა დავითის და სოლომონის ბრწყინვალე იმპერია იწლებოდა ეგვიპტით ლიბანის მთებამდე და ტვიროსით ეფრატამდე.

ასურეთის იმპერია — ტვიროს - კილიკიით ეკბატანამდე და პალესტინა ქალდეით შავ ზღვამდე აღწევდა.

ბერძენთა იმპერია პელოპონესის ომის დროს გაიშალა მაკედონიიდან მესოპოტამია-სომხეთამდე, კრეტისა და კვიპროსის კუნძულებიდან რიონის სათავეებამდე.

ალექსანდრე მაკედონელის იმპერია იწყება ილირიამაკედონიით და თავდება ინდოეთის აბისარის სამეფოამდე. მას ეკავა სამხრეთით: ეგვიპტის ჩრდილო-აღმოსავლეთი, სირიენი, ტვიროსი, ბაბილონი, ეთიოპია, შავი ზღვა, ისპირი და სამარყანდა.

რომის იმპერატორები იბყრობენ თითქმის მთელ მცირე აზიას: პალესტინა, სირია, მესოპოტამია, კავკასია — პართთა იმპერიამდე.

მედინის ტრიუმვირატის ბრძანებით ალაბთა დაპყრობითი ლაშქრობა წინა აზიით დაიწყო.

შიდა აზიიდან ჩამოსული სელჯუკები და სხვა თურქის ტომები ჯერ ანატოლიას იკავებენ, მერე იბყრობენ მთელ წინა აზიას და მიდიან არაბეთ-ეგვიპტემდე. მონღოლთა დიდი ლაშქრობა ჩინეთის შემდეგ აქეთ იწყება. ისინი ამარცხებენ სელჯუკებს, გადაჰქელავენ კავკასიას და ალაბეთს.

ამგვარად თუ ანტიურ რუქას დავაკვირდებით, ალექსანდრე მაკედონელიდან დაწყებული თემურ ლენგით გათავებული, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა დიდი ექსპანსიების ცენტრში წინა აზია და კავკასია იყო ის იყო ორი დიდი ქვეყნის ჭიდილის მოედანი: ორი დიდი ქვეყნის სულიერი, კულტურული და ნივთიერი ინტერესების შეხლა-წამოხლის მუდმივი ასპარეზი, ყველა დიდი დამბყრობელის თვალი აქეთ იყო მობყრობილი და სადაც საუკუნეთა განმავლობაში სრულდებოდა დრამა უცნაური ტპიზოდებით.

II.

კავკასია თავისი მდებარეობით მცირე აზიის რკალში მოქცეული. მომავალში, როდესაც მოსკოვის სამეფო გაძლიერდება და აღმოსავლეთისაკენ წამოიწევს, ამ მხარეს კიდევ ახალი როლი მიენიჭება. მანამდე კი კავკასიის დიდი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის მთავარი გზა ინდოეთისაკენ მიმავალი, სწორედ საქართველოზედ მიდიოდა.

ჯერ კიდევ სტრაბონის დროს (I ს. ქ. წ.) აქ მიმოსვლა ისეთ ინტენსიურ ხასიათს ატარებდა, რომ მისი გადმოცემით მდინარე რიონზედ 120 ხიდი ყოფილა აგებული. აგრეთვე მთავარ ნავთსადგურში, ქ. ფოთში ყოფილა 70-მდე სხვა და სხვა ენის მცოდნე თარჯიმანი.

მაშინდელი საქართველოს ასეთი მნიშვნელობა ღალადებს, რომ ის მუდამ მიზანში უნდა ყოფილიყო ამოღებული დამბყრობელთა მიერ. იგივე მდგომარეობა იმასაც გვეუბნება, რომ საქართველოს თავისუფლება და ძლევამოსილება შესაძლებელი უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ-დასავლეთის მეტოქეობის მეოხებით.

და თუ საქართველოს ძლიერების ეპოქებს თვალს გა-

დავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ ქართველებს თავიანთი თავისუფლება მხოლოდ ასეთ შემთხვევებში აქვთ მოპოვებული და კულტურაც მაშინ შეუქმნიათ. ევროპა-აზიის მეტოქეობის ერთ-ერთ ყველაზედ კლასიკურ ეპოქას წარმოადგენს ჯვაროსნობის ხანა და საქართველოს ძლიერებისა და დიდების ე. წ. ოქროს საუკუნე ამ დროს იბადება.

III

რომის დიდება უკვე მივიწყებული იყო. ბიზანტიის ბრწყინვალებასაც ბინდი მოეცავდა, ჯერ არაბების და მერე სელჯუკების მიერ შესუსტებული. აღმოსავლეთის რიგიმს იმპერია ველარ უწევდა ღირსეულ მეტოქეობას აღმოსავლეთის ახალ ტალღებს. ჯერ არაბებმა შიშის ზარი დასცეს, ხოლო შემდეგ სელჯუკთა ბატონობით და მცირე აზიაში ისლამის განმტკიცებით საფუძველი ეყრება ახალ საეკლესიანსიო ძალას. ის მალე მოადგება დასავლეთის ზღუდეთ.

არც დასავლეთს სძინავს. აქ რომის დანგრევის შემდეგ ახალი ისტორია იწყება. ახალი ხალხებით და ახალი სამეფოებით. მე-12 საუკუნემდე ევროპაში მთავარი სახელმწიფოები უკვე ჩამოყალიბებულნი არიან. დასავლეთის სავაჭრო ინტერესები დღითი-დღე იზრდება აღმოსავლეთისაკენ. ეს ინტერესები მალე აგრესიულ სახეს მიიღებენ. აქ ეყრება საფუძველი ჯვაროსანთა ომებს. მართალია, გარეგნულად ეს დიდი ომები რელიგიურ ელფერს ატარებენ, მაგრამ მათი მამოძრავებელი ეკონომიური და კულტურული ფაქტორები იყვენ. დასავლეთის ინტერესი აღმოსავლეთის მიმართ შით უმეტეს ძლიერი უნდა ყოფილიყო, რომ არაბებამდე მთელი მცირე აზია ქრისტიანობის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. არაბთა გაბატონებამ კი იქ ქრისტიანობა გაანადგურა. გაჰქრა საფრანგეთის პროტექტორატი სირიაზედ. 1027 წ. არაბთა ხალიფი ალ ზაჰირი სელჯუკებისაგან შეშინებული ზავს სდებს ბიზანტიასთან და ცოტა ხნით, როგორც ქრისტიანობა, ისე ბიზანტიის და იტალიის ქალაქების ვაჭრობა აღმოსავლეთში უზრუნველყოფილია. მაგრამ როდესაც 1064 წ. სელჯუკები იპყრობენ ბაღდადის ხალიფატს, ავიწროებენ ბიზანტიას, მერე იპყრობენ მთელ მცირე

აზიას — ქრისტიანობაც დიდ დევნას განიცდის. ანადგურებენ თვით წმინდა ქალაქს იერუსალიმს და მთელ ეკუმენურობასაც ხელთ იგდებენ. იწყება ჯვაროსნული ომი. ეს გარემოება დაკავშირებს საქართველოს - ევროპის ინტერესებს.

IV

ჯვაროსნული ლაშქრობა სწორედ იმ დროს ხდებოდა, როდესაც დავით აღმაშენებელი ზედი - ზედ ამარცხებდა მტრებს და საქართველოდან სდევნიდა. ამ ორი მოვლენის შორის ძალა უნებურად ერთნაირი კავშირი მყარდება. მტერი იყო ერთი და ცხადია ურთიერთ დაინტერესებაც უნდა მომხდარიყო. ამიტომ იყო რომ ევროპაში დავით აღმაშენებელზედ მრავალი ლეგენდები ითხზებოდა:

ის ყველას თვალში წარმოისახებოდა, როგორც უძლეველი ძალა, რომლის წინაშე ძრწოდა მთელი აღმოსავლეთი და რომელიც მთელი თავისი ძლევა მოსილობით ხმალაღმოწვდილი აღიმართა კავკასიონზედ ევროპისა და აზიის შორის. მაშინდელ ევროპელთ კარგად ესმოდათ, რომ საქართველოს დიდი როლის შესრულება შეეძლო ამ დიდ ბრძოლაში *). მეორეს მხრით შექმნილი პირობები ქმნიდენ საუკეთესო შემთხვევას, ქართველებს საკუთარი ქვეყნის ბედი გამოექედათ, რაც დიდმა გვირგვინოსანმა დავით აღმაშენებელმა ღირსეულად აღასრულა.

როდესაც სელჯუკებს დასავლეთის ჯვაროსნებთან გახურებული ბრძოლა აქვთ, დავითი ადგენს 45.000 მუდმივ ცხენოსან ჯარს და ამ ძალით ნელ - ნელა მტრისაგან სწმენდს საქართველოს. ამგვარად ჯვაროსნებსა და

*) ქართველებსაც კარგად ესმოდათ ჯვაროსანთა ლაშქრობის მნიშვნელობა. ქართველი მემატიანე როცა დავითის ბრძოლებზედ ლაპარაკობს, დასძენს: „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია შეწევნითა ღვთისათა, მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განმრავლდა სპანი და არცა რა მისცა სულტანს ხარაჯა და თურქნი ვერარა დაიზამთრებდეს ქართლსაო“. „ქართ. ცხ.“, ბროსსე — ტ. I, გვ. 241.

ქართველებს შორის მყარდება ერთგვარი არა პირდაპირი კავშირი.

სელჯუკებიც გრძნობდენ, თუ რა ენება მოჰქონდათ მათთვის ქართველებს. ისინი აწყობენ დიდ ისლამურ კოალიციას. სელჯუკებს უნდოდათ, ჯერ საქართველოს ბედი ერთის დაკვრით გადაეწყვიტათ და მერე დასავლეთის ფრონტს დაბრუნებოდენ. სულთან ულლაზ II-ის სარდლობით, ისლამური კოალიციის 600.000 მხედარი მოადგა საქართველოს, ქართველი მეფე დახვდება 60.000 კაცით *). მაგრამ ცნობილი დიდ გორის ბრძოლის დროს ულლაზის ჯარები სასტიკად გაანადგურა ქართველმა მეფემ; ამით მან თავისი სამშობლოც იხსნა და ჯვაროსნებსაც დიდი სამსახური გაუწია.

ჯერ-ჯერობით საბუთი არ არსებობს ჯვაროსანთა და ქართველთა შორის უშუალო კავშირისა, მაგრამ ეს საფიქრებელია. მაგ. იერუსალიმის კანცლერის გოტიეს ქრონიკებში ბევრ საინტერესო ცნობებთან ასეთი ცნობაც არის, რომ მეფე დავითს დიდ გორის ომის დროს, თავის ჯარში, 200 ფრანგის ჯარის კაციც ჰყოლია, ოდონელნიც მოწინავედ დაუყენებია**). ხოლო ქართველი მემატიანის ცნობით ეს რიცხვი აღწევს 1.000-ს.

დიდ გორის გამარჯვებით საქართველოს ბედი უზრუნველყოფილია. ის შეუდგება ქვეყნის აღდგენასა და ღონძინებას...

ჯვაროსნებთან ურთიერთობის ინტერესი შემდეგშიაც სცოცხლობს. როდესაც სულთან სალადინმა კვლავ დაიბყრო იერუსალიმი, მეფე თამარს, წმიდა ჯვრის დახსნისათვის 200.000 ოქრო შეუძლია, მაგრამ სალადინი ამაზედ არ დათანხმებულა.

არსებობს აგრეთვე ლეგენდა, რომ თამარი, გარდაცვალების შემდეგ ანდერძით, იერუსალიმში უნდა დამარხულიყო; და როდესაც გარდაიცვლება, მისი შვილი გიორგი ლაშა ისწრაფის იერუსალიმის გასანთავისუფლებად... ხოლო ისტორიამაც ისე ინება, რომ თამარის სიკვდილი და ნამდვილი დამარხვის ამბავი საიდუმლო-

---

*) მეორე ცნობით სელჯუკებს ჰყოლიათ 600.000 კაცი, ქართველებს — 80.000.

**) ზ. ავალიშვილი, „ჯვაროსანთა დროიდან" გვ. 67, პარიზი 1932.

ებით გარემოიცვა, რათგან დღესაც არ ეცალით თუ სად იქმნა დედოფალი დამარხული.

ამ ეპოქაში არც ევროპის ჯვაროსნებში გამჭრალა ქართველთა მნიშვნელობა და იმდროის წარმოებული ყველა დამოუკიდებელი ბრძოლები ქართველებისა მუსულმანებთან, ჯვაროსნებს, ყველა ჯვაროსნებად აქვთ გაბოცხადებული.

ჯვაროსნობაში დიდი გამოძახილი ჰქონდა თამარის ძიერ აზრუმის ალების ამბავს, რომელიც ისტორიაში ცნობილია „ბოლოსტიკეს ომის" სახელით. ამ დროს ევროპის რაინდები ქართველებს ჯვაროსნებად და მათ მოკავშირებად აღიარებენ. მათ აქვთ ასეთი ცნობებიც, თითქოს ამ გამარჯვების შემდეგ ქართული ლაშქარი სირია-პალესტინისკენ დაქანებულიყოს წმინდა ადგილების დასახსნელად.

თუმცა ქართული წყაროები ამაზედ სდუმან, მაგრამ ქართველთა ჩარევის სურვილი გასაკვირველი არ უნდა იყოს; ამ დროს ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობას გერმანიის იმპერატორი ჰენრიხ IV ხელმძღვანელობდა, რომლის მოქმედებაში აშკარად დაიფარა საერწმუნოებრივი გრძნობა და ის მიისწრაფოდა აღმოსავლეთში პოლიტიკური და ეკონომიური ჰეგემონია დაეყარებინა. ხოლო თამარის საგარეო პოლიტიკა, თუმცა ფარული დაბეყრობით მიზნებს არ ისახავდა, მაგრამ მისი სამხრეთის საზღვრების გამაგრების გეგმას ეთანხმება ჯვაროსნებთან თანაშრომლობა.

V

დასავლეთთან ურთიერთობის ინტერესი მე-13 საუკ. დასაწყისში უფრო მეტად იზრდება, რათგან აღმოსავლეთში კიდევ ახალი ფაქტორი ჩნდება და სულ ახლო მომავალში დაემუქრება საქართველოს.

1206 წ. ყარაყორუმში ჩინგის ხანს ირჩევენ მონღოლთა იმპერატორად. 1216 წლამდე ის იბყრობს მთელ ცენტრალურ აზიას. ცხადია ეს ამბავი არ გაშოეპარებოდათ ჯვაროსნებსა და ქართველებსაც. ამ დროს პირველნი ემზადებოდენ მე-5 ჯვაროსნობისათვის, ხოლო ქართველთა ჩარევა გამხდარა აუცილებელი.

ზ. ავალიშვილი აღნიშნავს: „თამარის მეფობის უკა-

ნასკნელ წლებში მისი მონარქიის მდგომარეობა ისეთი ჩანდა, რომ ქართველთაგან დახმარების იმედი არც უსაფუძვლო იყო. საქართველოს მეფის სირია-პალესტინაში ინტერვენციის გეგმა ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობის დროს (1218 - 1221) მართლაც რომ მწიფდება და დიპლომატიური ურთიერთობის საგნად ხდება *).

საქართველოს ჩარევის სურვილს ადასტურებენ ჩვენამდე მოღწეული საბუთები. რუსუდან დედოფლის და ამირასპასალარის ზაქარია მხარგრძელის წერილები პაპისადმი.

1219 წ. როდესაც ჯვაროსნები იღებენ ქალაქ დამიეტს, მეფე გიორგი აგზავნის იქ ელჩებს და მოლაპარაკების შემდეგ შეემზადება ჯარების გასაგზავნად. ზაქარია მხარგრძელი პაპისადმი 1223 წ. მიწერილ წერილში ამ ამბავს ასე გვისურათებს: „თქვენმა წმინდა მართებრძანებამ, რომელიც დამიეტში მყოფის ელჩის მიერ წარმოგვიგზავნეთ, მოაწია მეფემდე და ჩემამდე. ხოლო როცა ჩვენ დიდის ძალით მოვამზადეთ რა ჯარი, ცხენოსნები, სურსათი და ვაპირებდით წასვლას ქრისტიანების შესაწევნელად და წმიდა ადგილების დასახსნელად, ამ დროს თათარნი, ჯვრით წარმომძღვარებულნი შემოვიდენ ჩვენს ქვეყანაში, ქრისტიანობის მოჩვენებით მოგვატყუეს და 6.000 - მდე კაცი გაგვიწყვიტეს. ხოლო შემდგომ რა ვსცანით, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები არ იყვენ, თქვენი ლოცვის ძალით და წმიდა ჯვრის შემწეობით წინააღმდეგქით. 25.000 ცხენოსანი გავუწყვიტეთ, ზოგნიც დავატყვევეთ და დანარჩენი ჩვენი საზღვრებიდან გავდევნეთ. ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ვერ შეეასრულეთ თქვენი ბრძანება თქვენის ელჩის მიერ გამოცხადებული. გარნა დიდად განვიხარეთ, რომ გიბრძანებიათ იმპერატორისა და დასავლეთის სხვა ქრისტიანებისათვის, რათა წარმოვიდენ წმიდა ადგილების დასახსნელად. აწ გაუწყებთ, რომ თქვენს ბრძანებას ვეღირთ და ცხად ვართ მთელის ჩვენის ძალით წავიდეთ ქრისტიანების შესაწევნელად. მე თვით მზად ვარ წმიდა ადგილების დასახსნელად წავიდე 40.000 მეომრით, სადაც თქვენ ისურვებთ, მსგავსადვე გაუწყებთ, რომ როგორც მე, აგ-

*) ზ. ავალიშვილი „ჯვაროსანთა დროიდან", გვ. 145.

რედვე ჩვენი ქვეყნის ყველა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა" *).

აქეთგან სჩანს, რომ ქართველების მიერ მომზადებული დიდი ჯარი სირია-პალესტინაში გასაგზავნად შეუჩერებია ერთ მოულოდნელ შემთხვევას. მთავარსარდალი იხსენიებს თათართა შემოსევას. მართლაც ისტორიიდან ვიცით, რომ ჩინგის ხანის ჯარები პირველად მოადგენ საქართველოს საზღვრებს სწორედ 1221 - 1223 წლებში. ქართველებმა ისინი უკუაქციეს და კვლავ ემზადებიან ჯვაროსნებთან გასამგზავრებლად. რომელზედაც 12 მაისს 1224 წ. პაპი ონორიო III უპასუხებს ზაქარია მხარგძელს და რუსუდან დედოფალს და გამოთქვამს დიდ კმაყოფილებას.

მაგრამ შემდეგ ვითარებათა სწრაფმა შეცვლამ ეს გეგმა განუხორციელებელ ყო. ქართველებს აღარ ეცალათ ჯვაროსნებისათვის, რათგან ჩინგის ხანის პირველ დამარცხებას მოჰყვა ჯერ ხვარაზმის მეფეკვიდრის ჯალალ-ედდინის შემოსევა და მერე ჩინგის ხანის გამარჯვებები მცირე აზიასა და კავკასიაში. მონგოლები სულ ძალე გადალახავენ საქართველოს და გაიჭრებიან რუსეთში. ამ ხანებში საქართველო მუდმივი რბევისა და აწიოკების საგანი ხდება; ახლა რუსუდან დედოფალმა პირიქით მიმართა პაპს დახმარებისათვის. მაგრამ თვით ჯვაროსნები ამ დროს ფრიად შეკეწროებულნი არიან და 13 იანვარს 1240 წ. პაპი გრიგოლ IX უნუგეშო წერილით უპასუხებს რუსუდანს და მის შვილს დავითს **).

სჩანს მონგოლების გამოჩენამ, გამარჯვების სასწორი მუსულმანებისაკენ გადახარა და ჯვაროსნებს ბოლოს იქამდე გაუჭირდათ, რომ ისევ ქართველებს სთხოვეს დახმარება.

უფრო გვიან, 1291 წ. როცა პალესტინაში არაბებმა ქრისტიანები დაამარცხეს, პაპი ნიკოლოზ მე-IV საქართველოს მეფეებს დავითსა და დიმიტრის მიმართავს დახმარებისათვის: „ვთხოვ და ვევედრები თქვენს უმაღლეს

---

*) მ. თამარიშვილი. „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 9, ლათ. ტექსტი, გვ. 564.

**) იხ. მ. თამარიშვილი. „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის".

ხელმწიფებას, ვითარცა ღვთის საყვარელ შვილთა, რათა თქვენც მიიღოთ მონაწილეობა ხსენებულ საქმეში (ე. ი. არაბებთან ბრძოლაში), განემზადოთ მთელის თქვენის სამეფოთი და ქვეშეგრდომებით" *).

მაგრამ ამ დროს საქართველო კვლავ მონგოლთა ბატონობას განიცდის და ქართველები მოკლებულნი იყვნენ დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას.

ამგვარად საქართველო - ევროპის უკანასკნელი ურთიერთობა ასე უშედეგოდ გათავდა. და იმ დროიდან, როცა ევროპა - აზიის შორის მეტოქეობა აზიის დამბყრობელთა გაშარჯვებით დაგვირგვინდება, საქართველოს ძლევამოსილებაც ეცემა.

VI

ამის შემდეგ მთელი ორი საუკუნის განმავლობაში აღმოსავლეთში მონღოლებს წინ ველარავინ გადაეღობება. საამისოდ ევროპას აღარ ეცალა და არც შეეძლო თავისი პრეტენზიები გაენაღდებინა, მით უმეტეს საქართველოსათვის მას არავითარი დახმარება არ შეეძლო. ამიტომ ამ პერიოდში საქართველოსა და ევროპის შორის ურთიერთობა მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ რომის პაპი აგზავნის საქართველოში მისიონერებს კათოლიკოზმის გასავრცელებლად.

ეს ის დრო იყო, როდესაც მონგოლთაგან აოხრებული საქართველო მკვდარ სასაფლაოს წარმოადგენდა. მცირე აზიაში კი ამ დროს მონგოლთა ნანგრევებზედ ყალიბდებოდა ორი დიდი ძალა: სპარსეთი და ოსმალეთი. ორივენი ელვის სისწრაფით იზრდებოდენ და ურთიერთ მეტოქეობასთან ერთად დასავლეთისაკენ მოიწევდენ.

საქართველომაც მონღოლთა უღელი კისრიდან გადაიგდო. კვლავ შემოიკრიბა ძალები, დაქსაქსული გაერთიანდა და ალექსანდრე დიდის დროს (XV ს.), რომელსაც შეიძლება ეწოდოს აღორძინების ხანა, ხოლო ალექსანდრეს, დავითის შემდეგ — მეორე აღმაშენებელი, იყო თავდები საქართველოს კვლავ განახლებისა. ალექსანდრე დიდის მოღვაწეობა იყო საუკეთესო ნიშანი იმისა, რომ ქართველი ერი კვლავ ფეხზე დგებოდა, რომ ის

*) მისივე L'Eglise georgiènne, p. 417. 1910, Rome.

მალე განიკურნავდა შტარვალთაგან დაჭრილ სხეულს და დაიბრუნებდა ძველ დიდებას, თამარ-დავითის დროის ძლიერებას. მაგრამ ალექსანდრე დიდის ბედი, არ იყო ბედი დავით ალმაშენებელისა. იქ გაერთიანების იდეა ხორცს ისხამდა ქვევიდან, ამას საერთაშორისო მდგომარეობაც ხელს უწყობდა და დავითის ხმალი და გამჭრიახი გონებაღა იყო საჭირო. სულ სხვა იყო ალექსანდრეს საქართველო: ერი დაშლილი და დასუსტებული უფრო მეტად, ვიდრე ეს იყო არაბთა ბატონობის დროს. ფიზიკურად განადგურებული, ნივთიერად გალატაკებული და სრულიად დალეწილი. ხოლო საქართველოს გარეშე ვითარებანი ნელნელა ნისლით ფარავდენ მოწმენდილ ცას, რომელზედაც ქართველი ერის ბედის ვარსკვლავი მოციმციმებდა. იზრდებოდა და ძლიერდებოდა ოსმალეთი და უპირისპირდებოდა არა მარტო სპარსეთს, როგორც თანასწორი თანასწორს, არამედ ისლამის დროშით ხელში მთელ საქრისტიანო ქვეყნებს ცეცხლის მიცემას უპირებდა. ასეთ ვითარებაში საქართველომ დაწყებული ალორძინება არამც თუ ბოლომდე ვერ მიიყვანა, არამედ ის დაიშალა და მთელი საქართველო რამოდენიშვ. სამეფოთა და სამთავროდ დაიყო. დაიწყო შინაური უთანხმოება და ქიშპობა. ალმოსავლეთი ეებრძოდა დასავლეთს, ხოლო სამხრეთი ხან ერთს ხან მეორეს. მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, დანაწილებულ და დასუსტებულ საქართველოს, როგორც წყაროებიდან ირკვევა, კიდევ დიდი ძალა შესწევდა და თუ მას გონიერულად მოიხმარდა, კიდევ შეეძლო გარეშე მტრებს გამკლავებოდა.

საქართველო ასეთ ყოფაში იყო, როდესაც ახლად შექმნილმა პირობებმა ის ერთხელ კიდეც გამოიწვიეს საერთაშორისო ბრძოლის ასპარეზზედ. საქართველო კვლავ ჩაება ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობაში; ეს გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ:

VII

მეთუთხმეტე საუკუნეში მდგომარეობა უფრო რთულდება. ოსმალეთის იმპერია დიდის რისხვით ემუქრება დასავლეთის ქრისტიან ერებს. ევროპამ იგრძნო მოახლოებული საშიშროება. ეს განსაკუთრებით ითქმის მახლობელი ქვეყნებისათვის.

შეიქმნა ჩოჩქოლი. 1453 წელს ოსმალეთმა დაიპყრო კონსტატინეპოლი... დასავლეთში იბადება იდეა, ახალი ჯვაროსნობის მოწყობისა. ამის ინიციატორად გამოდის პაპი კლიმენტი III. ის მიზნად დაისახავს, განახორციელოს შემდეგი გეგმა: დარაზმოს, ერთის მხრით დასავლეთის ქრისტიანი ერები და მეორეს მხრით აღმოსავლეთის, და აგრეთვე შეძლებისდაგვარად მოიმხრიოს აღმოსავლეთის ის არა ქრისტიანი ერებიც, რომელთაც აგრეთვე აინტერესებთ ოსმალეთის დასუსტება.

პაპი ყველგან დააგზავნის ელჩებს სათანადო დავალებით. ამ მოწოდებას დიდის ენტუზიაზმით შეხვდა ბურგუნდიის მთავარი, რომელმაც ქ. ლილში დიდი დღესასწაულიც გადაიხადა უცხოელ ელჩების თანადასწრებით.

1456 წელს პაპმა სათანადო მონდობილობით აღმოსავლეთს გამოგზავნა მისიონერი ლიუდოვიკე ბოლონელი. მას გამოატანა წერილები ქართველ მეფე-მთავრებთანაც და პირადადაც ბევრი რამ დააბარა.

მაგრამ როდესაც ლიუდოვიკე საქართველოში მოვიდა, აქ დახვდა შინაური ბრძოლები: სამცხის მთავარი ებრძოდა ქართლის მეფეს გიორგის, ხოლო მას ეხმარებოდა იმერეთის მეფე ბაგრატი. მდგომარეობა ამით, რა თქმა უნდა, რთულდებოდა, შეუძლებელი იყო საერთო ძალით გარეშე მტერთან ბრძოლაზე ფიქრი, მაშინ როდესაც თვით ერის შიგნით მთლიანობა და თანხმობა არ არსებობდა. ლიუდოვიკემ თავისი საქმე აქედან დაიწყო: მან გამართა მოლაპარაკება მეფე-მთავრებთან ცალ ცალკე და ბოლოს მიზანსაც მიაღწია, — მოახერხა მათი შეთანხმება, რომელთაც ხელმეკრულებაც კი დასდეს. ამგვარად ამ მოსალოდნელმა საერთო ბრძოლამ გამოიწვია დროებით მაინც, ძმათა შორის მშვიდობა *).

ქართველ მეფე-მთავრთა შორის ამ დროს ატეხილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ასე უცბად შეჩერება არ იქნება გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ უბედურებას, რაც საქართველოს გაძლიერებული ოსმალეთისაგან მოელოდა, და აქ ქართველებმა მალალი ეროვნული შეგნება ერთხელ კიდევ გამოიჩინეს და

*) იხ. მ. თამარიშვილის „ისტ. კათ. ქართ. შორის", გვ. 57 და 594.

პატრი ლიუდოვიკეს თანადასწრებით შეეფიცენ ურთიერთს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ქართველთათვის პოლიტიკურად ეს მომენტი მეტად ხელსაყრელი იყო. მალე ურთიერთშორის უთანხმოება უკუაგდეს და დიდი ძალებით დაიარაზმენ. მარტო ყვარყვარეს, სამცხის ათაბაგს, გამოყავდა 20.000 ცხენოსანი რაზმი *).

საქართველოში დამყარდა მშვიდობიანობა. ამაზედ თვითონ ყვარყვარე სწერდა პაპს: „ჯერ 50 წელიწადია ასეთი მშვიდობიანობა და ერთობა, რომელიც აწ ვყავით, არ გაგონილა ჩვენს ქვეყანაში; ეს ვყავით ჩვენის ბატონის (იგულისხმება ლიუდოვიკი) ბრძანებითა და ჩაგონებით და აგრეთვე თანახმად წერილისა ბატონისა პაპისა... და სხვა.

ამ შეთანხმების შემდეგ მეფე გიორგი და ყვარყვარე იმავე პატრს გაგზავნეს თავიანთ ელჩებს და თან ატანენ წერილებს, სადაც გადაშლილია მეტად საინტერესო გეგმა. ქართველობა მთელი ძალებით ამოძრავდა. ამ დიდი აქტის მოხდენის ინტერესი ქართველებში დღითიდღე იზრდებოდა, და თითქო წინასწარ იგრძნესო მისი განუხორციელებლობა და ეხლა პირიქით ეხვეწებოდნენ კიდეც. ეს ნათლად სჩანს ყვარყვარეს წერილიდან. ის სწერს პაპს: „...ლათინის მთავრებზედ უმეტესად თქვენ გევედრებით, რათა ამისათვის იფიქროთ, იზრუნოთ და ხელიდან არ გაუშვათ კაი ზემთხვევა, რომელსაც გაძლევთ; არც დამცირებად მიიჩნიოთ ჩვენი მომხრეობა...“ და სხვა.

ასევე სწერს მეფე გიორგი ბურგუნდიის მთავარს: „... აწ ეუწყოდეთ, რომ ყველა ამ მხრის ქრისტიანე მთავრებმა ერთმანეთ შორის ჩამოვაგდეთ მშვიდობა და ზავი და შეეფიცენით, რათა ყველა ჩვენის ძალით და ცდით ვეომოთ ოსმალებს...“. გიორგი თავის მხრივ ჰპირდება 40.000 მეომრის გამოყვანას **), და ისიც ემუდარება, ეს

---

*) ამის შესახებ ვრცელი გამოკვლევა იხ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი IV, ნაწ. I. ტფილისი 1924 წ. და მიხ. თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“.

**) ტრაპიზონის მეფე ჰპირდება 30 ხომალდს და 20.000 კაცს; სომხეთის მთავარი — 20.000 კაცს და სხვა.

შემთხვევა ხელიდან არ გაუშვან; „... ამიტომ გევედრები, ყველაფერს თავი დაანებოთ და ამ ომს მიაქციოთ ყურადღება და ჩემსავით არც უკან დაიხიოთ ასეთი წმინდა საქმისათვის, რომელსაც სიძნელის გამო...“.

ყვარყვარე — გიორგის ხელმძღვანელობით შესდგა მეტად დიდი გეგმა. მათ შეადგინეს ორი კოალიცია. პირველი ეხებოდა თვით ქართველებს. ყველა მთავარი ამ კავშირში გარკვეული ლაშქრით უნდა შესულიყო. მეორე კოალიცია იყო უფრო ვრცელი. იქ შედიოდენ გარდა ქართველებისა: მცირე სომხეთის მთავარი, ტრაპიზონის მეფე და სპარსეთის იმდროინდელი მბრძანებელი **უზუნ-ჰასანი.** ამ „ჯვაროსნულ“ ლაშქრობისათვის განზრახულ კოალიციაში სპარსეთის დათანხმება ისე ადვილი გასაკვირველი, რადგან ოსმალეთის გაძლიერებით სპარსეთსაც მოელოდა საშიშროება. შორსმჭვრეტელი უზუნ ჰასანიც დიდ სარგებლობას ჰხედავდა ამ საქმეში და იგი დიდის სიამოვნებით შევიდა აღნიშნულ კავშირში და დიდძალი ჯარის გაყვანაც დაპპირდა.

კოალიციის ყველა წევრი ერთნაირად იყო დაინტერესებული ამ საქმით. (საინტერესოა, რომ ამ ახალი ჯვაროსნობის მოწყობაში პაპის დიდი თანამშრომელი ყოფილა კარდინალი ბესარიონი, ტომით ბერძენი, — ტრაპიზონელი); 1454 წელს ეს კოალიცია აგზავნის რომში ხუთ წარმომადგენელს: 1) გიორგი მეფის, 2) ყვარყვარე ათაბაგის, 3) სომხეთის მთავრის, 4) ტრაპიზონის მეფის და 5) უზუნ-ჰასანის. რომში ისინი დიდის პატივით მიიღეს. მაგრამ მათ ჩასვლამდე რომის პაპს ევროპის მეფე-მთავრებთან მოლაპარაკება უკვე მოთავებული ჰქონდა და შედეგი სრულიად უნაყოფო იყო. ამიტომ მას სამუდამოდ დაკარგული ჰქონდა იმედი. როცა პაპთან აღმოსავლეთის დელეგაცია მივიდა, ის გაბრწყინდა, კიდეც სცადა იქნებ ევროპელები დაეყოლებინა. მან მისცა გზის ფული აღნიშნულ ელჩებს და თვითონ ისინი გაგზავნა მოსალაპარაკებლად.

კოალიციის წარმომადგენლები მიდიან ჯერ საფრანგეთში და მოლაპარაკებას მართავენ კარლოს მეშვიდესთან. დელეგაციის იქ ყოფნის დროს გარდაიცვლება კარლოს მეშვიდე, და გამეფდა ლიუდოვიკო მეთერთმეტე. დელეგაცია მასთანაც ცდილობს, მაგრამ ამაოდ. საფრანგეთი ვერ დაიყოლიეს.

ამგვარად ევროპელების უარის გამო ეს გეგმაც ჩაიშალა. ევროპის ორ უმთავრეს სახელმწიფოს, საფრანგეთსა და ესპანეთს ამ დროს აღმოსავლეთისათვის არ ეცალათ. საფრანგეთსა და ესპანეთს შორის გამართული იყო ქიშპობა ხმელთა შუა ზღვაზედ ბატონობისათვის. საფრანგეთის მეფე კარლოს VII სწორედ ჯვაროსანთა ბრძოლის სახელით თურქეთის წინააღმდეგ იკავებს ნეაპოლს *). ესპანეთის მეფე ფერდინანდი მას ეცილება. მას უპყრია სიცილია. მისი მიზანია მთელი იტალიის დაპყრობა, რათა ხმელთა - შუა ზღვა ესპანეთის ტბად გადააქციოს და მთელი ევროპის ვაჭრობა ხელთ იგდოს. ამ ქიშპობით ისინი ხელს უწყობენ ოსმალეთის გაძლიერებას. ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლაზედ ფიქრები რომანტიკა იყო მხოლოდ და სარწმუნოების გრძნობით აღგზნებული პაპის მოწოდება დაჩრა „ხმალ მაღალადებლისა უდაბნოსა შინა“.

---

*) იხ. L. Bertrand. «Histoire d'Espagne». 1932. Paris, p. 402.

თავი II

საქართველოს ორიენტაცია რუსეთისაკენ

I

მეთუთხმეტე საუკუნეში მცირე აზია წარმოადგენს დაუსრულებელი მეტოქეობის ველს ორი იმპერიის, ოსმალეთის და სპარსეთის შორის. მაგრამ პირველ ხანებში ოსმალები საშინლად ანადგურებენ სპარსელებს.

საინტერესოა ვიცოდეთ, ყველა ამ პირობებმა რაგვარი გავლენა იქონიეს საქართველოს მომავალზედ. პირველი გარემოება, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს კულტურულ და ეკონომიურ დაცემას, მის დაშლასა და დაქსაქსვას, იყო კონსტანტინეპოლის დაბყრობა თურქების მიერ. ისინი დაეუფლენ ბოსფორის სრუტეს, შავ ზღვას და ამით მთელი საქართველო და მცირე აზიაც მოსწყვიტეს დასავლეთ ევროპას. ამ გარემოებამ სრულიად გაანადგურა ის დიდი სავაჭრო ურთიერთობა, რომელსაც აწარმოებდენ ვენეციელები და გენუელები საქართველოსა და შავი ზღვის სანაპირო მხარეებთან. ამითვე შეიკრა დასავლეთის გზა აღმოსავლეთთან. რათგან ამ დროს ერთადერთი გზა ინდოეთისაკენ საქართველოს ახლოს გადიოდა. როცა თურქებმა 1475 წ. დაიბყრეს თეოდოსია, ეს შეორე გზაც ჩაკეტეს, რომელიც მიდიოდა სირიისა და თურქესტანის მიმართულებით ჩინეთისა და ინდოეთისაკენ. ამ გზების ჩაკეტვის შემდეგ ევროპელებს სხვაგან გადააქვთ თავიანთი მიმოსვლის ასპარეზი.

ვენეციელები და გენუელები ანახლებენ და ანვითარებენ ინდოეთის მიმართულებით მყოფ სამხრეთის სავაჭრო გზებს. მალე აზიასთან ერთ-ერთ სავაჭრო ურთი-

ერთობის ცენტრად იქცეოდა ქ. ალეპპო სირიაში. ამგვარად ინდოეთისკენ მიმავალი გზა გადატანილ იქმნა შავი ზღვის ნაპირებიდან სამხრეთ სირიასა და მესოპოტამიაზედ და სპარსეთის ჩრდილო ნაწილებიდან სამხრეთისაკენ.

ამ გარემოებამ სპარსეთის ჩრდილოეთის პროვინციებზედ დიდი გავლენა იქონია. ის დაეცა კულტურულადაც და ეკონომიურადაც; პოლიტიკური ცენტრიც თავრიზითგან სამხრეთით გადადის და შახ აბაზი უკვე ისპაანს აკეთებს სატახტო ქალაქად.

საქართველო ნელნელა მოსწყდა ევროპას, და მასთან ერთად ის მოსწყდა კულტურულ ცენტრებსაც. მაგრამ საქართველოს იზოლიაციაზედ საბოლოო და გადამჭრელი როლი ითამაშა ევროპიელების მიერ ახალ საზღვაო გზების აღმოჩენამ.

II

ოსმალეთის მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობამ დააჩქარა დასავლეთის მიერ ახალი საზღვაო გზების აღმოჩენა.

პირველი ნიადაგი ამ აღმოჩენების მზადდებოდა ჯერ კიდევ ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, რომელიც არსებითად იყო საეკლესიო უქსპანსიის დასაწყისი დასავლეთისა აღმოსავლეთისაკენ. ევროპას აღარ უნდოდა შუა და შორეულ აზიასთან შუამავალი, ვინმე ბატონი მცირეაზიაში.

დასავლეთი დეპატრონება სირიას, ეგვიპტეს, შავ ზღვას და ახლო აღმოსავლეთიდან ეზიდება ძვირფას ქვებსა და ქსოვილებს, საღებავ ნივთიერებას და სხვა მანუფაქტურას.

ამ დროს ხმელთაშუაზღვის ვაჭრობა სამხრეთ აფრიკისა და მცირე აზიასთან ისე დიდი და მნიშვნელოვანი იყო, რომ მთელი ამ ქვეყნების განვითარება მის წარმართებაზედ იყო დამოკიდებული. ამ ნიადაგზედ მე13 - 14 ს. ხალკუნეში ვითარდება საზღვაო მიმოსვლა *).

მაგრამ ოსმალეთის ზრდით ამ ვაჭრობის განვითა-

---

*) J. Cortesão. L'expansion des Portugais dans l'histoire de la civilisation. 1930. Lisbonne.

რებას სიძნელეები გადაეღობება. ოსმალეთი თვით შეეცდება მის ხელში ჩაგდებას. ასევე ემუქრებიან მათ მაღრიბის არაბთა მეკობრეების თავდასხმები. ევროპის ბაზარზედ ძვირდება მაღალი ხარისხის საქონელი, რომელიც აღმოსავლეთიდან მოდიოდა. ამ მდგომარეობამ ევროპიელები აიძულა ფიქრები ოკეანეზედ გადაეტანათ. ჯერ კიდევ მე - 15 - ე საუკუნის დასაწყისში იყო ცდები აღმოსავლეთისაკენ საზღვაო გზების აღმოჩენისა. მაშინ ატლანტიკით აღმოსავლეთში შესვლის იდეას ბევრი იზიარებდა. ეს დიდი საქმე წილად ხვდათ პორტუგალიელებს, რათგან მათი გეოგრაფიული მდებარეობა უფრო მოწოდებული იყო ამისთვის.

1497 წ. ვასკო დე - გამა გაემგზავრა ლისაბონიდან პატარა ხომალდით და კალკუტას მიაღწია. ორი წლის შემდეგ ის დაბრუნდა მრავალი ძვირფასი ქვებით.

ასე მოხდა დიდი სავაჭრო გზის აღმოჩენა და ვასკო დე - გამას ძვირფასი ქვებიც იქცენ სიმბოლოდ იმ ღირებულებათა, რომელიც მომავალში ევროპიელებმა აღმოსავლეთში ნახეს.

პორტუგალიელებმა აღმოჩენილი გზის მიმართულებით ნახეს არაბთა სავაჭრო და საზღვაო ბრწყინვალე ცივილიზაცია, რამაც ხელი შეუწყო შემოეხაზათ ინდოეთის ოკეანის კარტა და დაეკავებინათ ყველა სტრატეგიული ადგილები.

ვასკო დე - გამას მოგზაურობა იყო უდიდესი რევოლიუცია აღმოსავლეთთან ვაჭრობის საქმეში.

წინად, ევროპა აღმოსავლეთის საქონელს იღებდა ვენეციისა და ეგვიპტის საშუალებით, რომელიც მოჰქონდათ არაბებს სპარსეთის ყურით და წითელი ზღვით სირია - ალექსანდრიაში. ახლა კი თვით პორტუგალიელები უახლოესი გზით შეიჭრენ ინდოეთში.

აღნიშნულმა მდგომარეობამ კიდევ მეტად შეუწყო ხელი საქართველოს მოწყვეტას. ის მოსწყდა მთავარ სავაჭრო გზებს, ევროპას, კულტურულ ცენტრებს, როგორც დასავლეთითგან ისე აღმოსავლეთითგან. ვინც ამ ფაქტებს ღრმად ჩაუკვირდება, დარწმუნდება, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი ამაზედ აეგო. საქართველო დარჩა საკუთარი ბედის ამარა. კულტურული პერიოდის დროს ერსა და ქვეყანას, საერთაშორისო ურთიერთობის გარეშე არ შეუძლია არსებობა. ის უნდა იბარაშოს თავის

საკუთარ წვენში და მერე გადაიხარშოს. ასე დაემართა საქართველოსაც. ალექსანდრე დიდის დროს, როდესაც საქართველო მონგოლებისაგან საბოლოოდ განთავისუფლდა, მან მოახერხა კიდევ ერთხელ ფეხზედ ადგომა, მაგრამ მის წელში გასწორებას ზემოდ აღნიშნულმა მდგომარეობამ დაასწრო. ამას დაემატა ოსმალეთ - სპარსეთის აგრესიული მოქმედება. ამიტომ სრულიად ადვილი ასახსნელია ამ დროინდელ საქართველოს კულტურული და ეკონომიური დაცემა. მერე პოლიტიკური დაშლა და დაქსაქსვა. კიდევ მეტიც, აღნიშნულმა მოვლენებმა საქართველოს შორეული მომავლისთვისაც საბედისწერო როლი ითამაშებს.

აღმოსავლეთის საერთო - ერთო გზების გადატეხვაცნამ შორს, სამხრეთისაკენ, ევროპას ყოველგვარი ინტერესი მოუსპო საქართველოზედ და ამიტომ იყო, რომ საქართველოს ევროპული ორიენტაცია ბოლომდე ხორცშეესხმელი დარჩა. ყველაზე ადრე ვახტანგ VI ელჩთა მეშვეობით ვერ გასჭრა ბურგუნდიის მთავრისა და roi soleil -ს კარზედ.

III

ასეთი იყო მდგომარეობა. საქართველო დარჩა გამომწყვდეული. აღმოსავლეთის მეტოქე ძალის, ევროპა-ევროპეთის ხელი მას აღარ სწვდება. გარდა ამისა, მის მეზობლად წამოჭიმული ორ იმპერიის შორის მუდმივი მეტოქეობა მძინვარებს და იწყება მათი ცილობა საქართველოზედ. ამ საუკუნეების ქართველთა ბრძოლები წარმოადგენენ გაგრძელებას ოსმალეთ - სპარსეთის მეტოქეობისა. ოსმალეთი და სპარსეთი ამ ხანებში ჯერ კიდევ ვერ ხედავენ ჩრდილოეთის საფრთხეს. ამიტომ კავკასიის და საქართველოს დამოუკიდებელი სიძლიერე მათი პროგრამიდან გამორიცხულია. ამას ისინი იგრძნობენ მე - 17 - 18 - ე საუკუნეებში. მაგრამ ეს ჯერ მაშინაც სუსტია. ხოლო როცა გაძლიერებული მოსკოვის სახელმწიფო თვითონ წამოვა კავკასიისაკენ, სპარსეთის და ოსმალეთის პოლიტიკა არც მაშინ იკარებს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას

მათი აგრესიული პოლიტიკის შედეგი იყო, რომ ქართველობა სასოწარკვეთილებამდე მივიდა. ის იძულე-

ბეულია გარეულ ეძიოს დამბმარე ხელ". ამიერითგან საქართველო პირს შეიბრუნებს რუსეთისაკენ. ეს გასაგებიც არის, რათგან ევროპა მისთვის მიუწვდომელი დარჩა და მაჰმადიანი ქვეყნებისაგან განწვალებული და დაჭანცული ფსიქოლოგიურად ადვილად ეძრიგდება „ერთმორწმუნე" რუსეთთან დაახლოვების ცდას და პირველი კარები ამ შემოსვლის იხსნება კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის შიერ 1491 წელს. მან ამ დროს გაუგზავნა ვასილ ბრმას ელჩები და ულოცავდა ყაზანის დაბყრობას *).

უნდა აღინიშნოს, რომ როცა ქართველებმა რუსეთთან ურთიერთობა დაიწყეს, ევროპასთან მიწერ-მოწერა არც მაშინ შეუწყვეტიათ და პარალელურად თითქმის ყოველთვის ხდებოდა. ჩვენ ამას თავ-თავის ადგილას ქრონოლოგიურად აღვნიშნავთ.

როდესაც კახეთის მეფე რუსეთის მეფეს ულოცავს, ქართლის მეფე კოსტანტინე III ელჩს გზავნის რომში, და ისევ დასავლეთში ეძებს მოკავშირეებს.

IV

კოსტანტინე მეფე მეტად შორს მჭვრეტელი იყო. ღირს ოდნავ მის გეგმაზედ შევჩერდეთ. 1492-1496 წლებს შორის მან გაგზავნა თავისი ელჩი კარის მოძღვარი ნილოსი ეგვიპტის მამელუკების**) სულთანთან. საქართველოს მეფეებს, უკვე მე-15 საუკ. დასაწყისითგან მამელუკებთან კარგი მეგობრული ურთი-ერთობა ჰქონდათ. ქაიროში კოსტანტინე მეფის წარმომადგენელი დიდის პატივით იქმნა მიღებული. როგორც კოსტანტინეს წერილითგან სჩანს, ესპანეთის დელეგაციის იზაბელასადმი, ამ დროს ქართველები ეგვიპტის მოკავშირენი ყოფილან. კოსტანტინე სახელდობრ სწერდა, რომ გარდა ეგვიპტის სულთანის, სხვა ურჯულო ხელმწიფესთან არავისთან მაქვს კავშირი. (ბროსსე. წ. II). როდესაც ქართველი ელჩი ქაიროში ჩავიდა, იქ შეხვდა ესპანეთის

*) იხ. მ. ბროსსე „საქართველოს ისტორია" და ცაგარლის „გრამოტი" ტ. I, შესავალი.

**) მამელუკები იყვენ ქართველ-ჩერქესთა შთამომავლები.

დედოფლის ელჩებს, რომელთაგან შეიტყო ესპანიის გამარჯვება არაბებზედ და მათი საბოლოოდ განდევნის ამბები. ამის შემდეგ გამარჯვებული ესპანიის ელჩები ნილომ საქართველოში მოიპატიჟა. საქართველოში იზაბელას ელჩები დიდის პატივით იქმნენ მიღებული. ახალმა ამბებმა დიდად აღაფრთოვანა მეფე კოსტანტინე და ის გრძნობდა, რომ ხვალ შესაძლებელია მის მტრებსაც იგივე დაემართოთ ქრისტიანობის შეურეველობით ძალებით. იზაბელას სწერდა: „გვგონია და ვხედავთ კიდეც, რომ ამიერითგან აღმოსავლეთის მზე უკვე იწყებს დედამიწის მთელი დანარჩენი ნაწილის მოფენას თავისი მაცისკროვნებელი ბრწყინვალეობით". ამ ამბების შემდეგ კოსტანტინე იმედოვნებდა იქნებ კვლავ შესაძლებელი გამხდარიყო დასავლეთთან კოალიცია სპარსელებისა და თურქების წინააღმდეგ. იგივე ნილოსი გაგზავნა ჯერ რომის პაპთან ალექსანდრე მე-VI-სთან და მერე ესპანიის დედოფალთან წერილებითა და საჩუქრებით. კოსტანტინე სთხოვდა იზაბელას მოკავშირეობას და პირველ რიგშივე კოსტანტინეპოლზედ გამოლაშქრებას. ანატოლიის ფრონტიდგან კი დაიძრებოდა ქართველი ჯარები. აქვე ამცნობს, რომ მას კავშირი შეკრული აქვს ეგვიპტის სულთანთან და ამდროს ისიც მას დაეხმარება ოსმალეთის წინააღმდეგ. აქეთგან ირკვევა, რომ ქართველები სრულის შეგნებით უცქერიდენ იმ უბედურობას, რაც მათ დაატყდათ მეზობელ ქრისტიან ქვეყნების დამარცხებით, ტრაპიზონის და ბიზანტიის სამეფოების სახით. კოსტანტინეპოლის დაკარგვით გამოწვეული დანაკლისიც მათ კარგად ესმოდათ, ამიტომ პირველ რიგში მის დასაპყრობად მოუწოდებდა კოსტანტინე.

1495 წ რომის პაპასაც სწერს წერილს კოსტანტინე და დახმარებას სთხოვს. პაპი ალექსანდრე VI, 10 აპრილს 1496 წ. უპასუხებს შემდეგს: „... აგრეთვე დიდის სიამოვნებით ვსცანით თქვენი აზრი და გადაწყვეტილება ქრისტეს სარწმუნოების მტერთა წინააღმდეგ გალაშქრებისათვის, რის გამო მზად ხართ წასასვლელად თქვენი შეილით და მხედრობით" და სხვა.

პაპი ამ წერილს ატანს კოსტანტინეს ელჩს. ელჩი ნილოსი დიდის პატივით იყო მიღებული იტალიის ყველა ქვეყნებში და პოლიტიკურად კი ხელცარიელი იქმნა დაბრუნებული

ამ ცდამაც, როგორც ისპანიასთან ისე რომის პაპთან უშედეგოდ ჩაიარა და მას არავითარი რეალური შედეგები არ მოყოლია.

V

მე-16-ტე საუკუნეშიც, მიუხედავად იმისა რომ ეს ხანა სავსეა თურქთა შემოსევებით და საქართველოს კავშირი ევროპასთან უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო, მაინც ამ დროს საქართველოს ხშირად ეწვევიან ბოლმე რომის კათოლიკე მისიონერები. უცხანასკნელნი მოღვაწეობდენ საქართველოში და სცდილობდენ საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან დაახლოვებას, ხოლო ქართველი მეფეები ამ მდგომარეობით სარგებლობდენ პაპის საშუალებით ევროპის ქვეყნებთან რაიმე დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინად.

1545 წ. ივნისის 17-ს, პაპი პავლე III სწერს მეფე ლუარსაბს (I) წერილს, საიდანაც ეტყობულობთ, რომ ლუარსაბს დაახლოვების სურვილი მიუწერია პაპისათვის. პაპი თავის მხრივ სწერს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს თქვენ საბოლოოდ გადაწყვეტილი გაქვთ, გამოგზავნეთ თქვენი ელჩები და როცა მოვლენ, ჩვენს ელჩსაც გამოვგზავნითო.

„ამის შემდეგ აღარაფერი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ იმავე პაპის შემდეგ წერილებიდან სჩანს, რომ მას უკვე დაუნიშნია თავისი ელჩი, რაც გულისხმობს, რომ თავის მხრივ ლუარსაბ მეფესაც უსათუოდ გაუგზავნია, რადგან პაპი სწერდა, რომ მე იმ შემთხვევაში გამოვგზავნი, თუ თქვენგანაც მოვიკვანო *).

ლუარსაბის ძეს სიმონ მეფესაც მიუწერია პაპისათვის წერილი; თუ რა პასუხი გასცა პაპმა აღარ ვიცით, ის კი ცხადია, რომ არც ამ მიწერ-მოწერიდან რეალურად არაფერი გამოსულა.

VI

როცა ქართველი მეფეები დარწმუნდენ დასავლეთთან ურთიერთობის პლატონიურობაში, დაადგენ რეალურ პოლიტიკას

---

*) იხ. მ. თამარიშვილის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის".

რეალური კი ამდროს იყო ორი მოპირდაპირისგან ერთის გამორჩევა. გამორჩევა ისეთის, რომლის გამარჯვება იყო მოსალოდნელი და რომელიც საქართველოს მეტ თავისუფლებას მიანიჭებდა.

ერთი რამ ცხადი იყო, რომ ამ დროს, საქართველო ვერ ასცდებოდა იმ დიდ ტალღებს რაც მოდიოდა ოსმალეთ სპარსეთის ბრძოლებიდან და საქართველოს შიგ ითრეოდა. ოსმალეთსა და სპარსეთის შორის მეტოქეობის ერთი უმთავრესი ზონა იყო სპარსეთის ჩრდილოეთი. კასპიის ნაპირების და აზერბეიჯანის დაკავებით ოსმალეთი სპარსეთს მოსწყვეტდა რუსეთთან ვაჭრობას, ეს სპარსეთისათვის ფრიად მომაკვდინებელი იყო, მეორე მხრივ ოსმალეთი გავლენის ქვეშ მოიყოლებდა ყირიმიდან დაწყებული აღმოსავლეთ კავკასიის, დაღესტნის და საქართველოს სამეფოებსაც და მისი ასეთი პრივილეგიური მდგომარეობა სპარსეთს სხვა მიმართულებითაც გაანადგურებდა და ამით უზრუნველჰყოფდა თავის ჰეგემონიას.

ვინაიდან მათი ეს დიდი მეტოქეობა საქართველოს მეზობლად თამაშდებოდა, მით საქართველოს ეძლეოდა გადამწყვეტი როლი ამ ორი ქვეყნის შორის წონასწორობის დამყარების საკითხში. ამიტომ გასაგებია, რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საქართველოს. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო როგორც სტრატეგიულად ისე სამხედრო თვალსაზრისით სწყვეტდა ხშირად საკითხს. გამარჯვება ხშირად მათი იყო, ვისაც საქართველო მხარს უჭერდა. ამითვე აიხსნება ამდროინდელ ოსმალეთის და სპარსეთის გაათეთრებული ცდები, საქართველო თავის მხარეს გადებირათ. მაგრამ საქართველოს ტრადიცია იმაში იყო, რომ ის იძულებული იყო სწორედ გამარჯვებული მოკავშირისთვის ზურგი შეექცია. რათგან უკანასკნელი დამორჩილების მიზნით იკლებდა საქართველოს და მოწინააღმდეგესთან კავშირით სცდილობდენ ქართველი მეფეები თავითგან აეცდინათ რისხვა. მართლაც: მე-16 საუკ. მეორე ნახევარში ოსმალეთი ზედი-ზედ ამარცხებს სპარსეთს. ის ხელთ იგდებს სპარსეთის მრავალ ადგილებს და აღმოსავლეთ საქართველოზეც თავის გავლენას ავრცელებს.

როდესაც ქართლის მეფე სიმონი ევროპისგან დახმარებას ვერ მიიღებს, 1562 წ. ინგლისელი ვაჭრის და დი-

პლომატის ჯენკინსონის საშუალებით მიმართავს მოსკოვს დახმარებისათვის *). ინგლისელი წარმომადგენელი ლენინის იოანე მრავსხანეს საქართველოს მნიშვნელობას მოსკოვის ვაჭრობისათვის, მაგრამ ესეც უნაყოფო გამოდგება; და ბოლოს მრავალი წინააღმდეგობის შემდეგ, ორ მოწინააღმდეგეთაგან, მეფე სიმონი ისევ სპარსეთის ორიენტაციას ირჩევს.

ამ დროს სპარსეთისათვის დიდად საინტერესო იყო საქართველოს დახმარება. რათგან მაშინ თათრებს ეკავათ ბაქო, დერბენდი და შემახია. და 1587 წ. შახ-აბაზი იძულებული იყო ფორმალურად კიდეც ეცნო შექმნილი მდგომარეობა. სწორედ მაშინ, როდესაც თურქები საბოლოოდ აპირებდენ საქართველოს აღმოსავლეთის პროვინციებსა და სპარსეთის კასპიის პროვინციებში გამაგრებას, შახ-აბაზს 25 წლის განმავლობაში საუკეთესო მოკავშირეობა გაუწია ქართლის მეფე სიმონმა. მათთან კავშირი შეუკრავს 1695 წ. კახეთის მეფეს ალექსანდრესაც. ამ შეერთებული ძალებით სპარსეთმა ადვილად სძლია ოსმალეთი და დაიბრუნა ყველა ადგილები. ქართველები ოსმალეთის წინააღმდეგ შექმნილ კოალიციებში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდენ. ასეთი დიდი სამსახური გაუწია მეფე სიმონმა სპარსელებს. ხოლო ზარკად გაიღო ჯერ 7 წელი სპარსეთში, აღმოთის ციხეში ჯდომა (სანამ შახ-აბაზი დაიყოლიებდა კავშირზე), მერე კი ტყვედ უვარდება ოსმალებს და ბოლოს 12 წლის ტყვეობის შემდეგ სტამბოლში შვიდ კოშკიან (ედი-კულე) ციხეში ჰკლავენ მას. სწორედ სიკვდილის ორი წლის წინ 1610 წელს მან და მისმა ცოლმა ფულქარამ უდიდესი როლი ითამაშეს სპარსეთ-ოსმალეთის ომის საქმეში. ოსმალეთ-სპარსეთის წინასწორობა მყარდება საქართველოზედაც. ოსმალეთი საბოლოოდ დამკვიდრდება სამხრეთ საქართველოში. სიმონის სიკვდილით დროებით თავდება სპარსეთის ორიენტაცია. მაგრამ სანამ შახ-აბაზის შემდეგ პოლიტიკას დავუბრუნდებოდეთ, აქ მოვიყვანთ ზოგიერთ ქრონოლოგიურ ცნობებს, ამ დროს რუსეთთან ურთიერთობის შესახებ.

---

*) იხ. ზ. ავალიშვილი. ჟურ. „კავკაზ", № 11, 1936 წ. პარიზი.

VII

რანაირიც არ უნდა ყოფილიყო ქართველ მეფეთა საპარსული ორიენტაცია, ის ერთნაირად იძულებითი იყო. შექმნილი მდგომარეობა მათ მაინც მოსკოვისაკენ ერეკებოდა.

ზემოდ ჩვენ აღვნიშნეთ ალექსანდრეს მოლოცვა რუსეთის მეფისადმი, ყაზანის დაბყრობის გამო. ერთხანს შიწერ-მოწერა შეწყვეტილი იყო, ხოლო 1558 წ. როცესაც ივანე მრისხანემ საბოლოოდ დაიბყრო ყაზანის, ასტრახანის, თერგის და ტარკის რაიონები კასპიის ზღვაზე, კახეთის მეფე ლევანი ანახლებს რუსეთთან მისვლა-მოსვლას. და ეს შემდეგშიაც გრძელდება.

აქექსანდრე II, კახეთის მეფის დროს უკვე რუსეთიდან გამოგზავნილი იყო მეფის კარზე ელჩი **ეგნატე რუსინი**, საქართველოს ვითარების შესასწავლად *). და როდესაც ის გაბრუნდა უკან, მას გაყვა რუსეთში ალექსანდრეს ელჩები: მღვდელი იოაკიმე, ბერი კირილე ქრანტოპულო და ხურშიდ ჩორქანენინი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ გამოეთხოვათ რუსეთის მეფის მფარველობა ოსმალთა წინააღმდეგ.

მეორე წელს რუსეთის მეფე თეოდორემ გამოგზავნა საქართველოში თავისი დესპანი **ბირკინი** და აღუთქვა კახეთის მეფეს თერგის შესართავთან ქალაქის აშენება, რათა დაიცვას ამიერ კავკასია თათრებისაგან. 1587 წ. 28 ოქტომბერს ალექსანდრემ ხელი მოაწერა რუსეთის მფარველობაში შესვლის აქტს, რომლის მიხედვით ის ვალდებული ხდებოდა, რუსეთის მეფისათვის ყოველწლიურად ეძღვნა თავის ქვეყნის საუკეთესო ნაწარმოები, ხოლო რუსებს თავიანთ მხრივ დალესტნელებისათვის წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ, საქართველოში არ შემოსულიყვნენ. რუსებმა ჩააყენეს მეციხოვნენი სუნჯასა, ტიუმენსა და თერგში. როდესაც **ბირკინი** წავიდა რუსეთში, მას თან გაყვა ქართველი ელჩი ყაფლან ფაჩნაძე, ბერი კირილე და სხ. ისინი იქ მიიპატიჟა სადარბაზოდ რუსეთის მეფემ ბორის გოდუნოვმა. ქართველ ელჩებმა სთხოვეს მეორე ციხის აღება, შამხალისა, რომელიც იყო დაუძინებელი მტერი საქართველოსი **).

*) იხ. მ. ბროსსე. „საქ. ისტორია", ნ. II, გვ. 84.

**) იქვე, გვ. 95.

1589 წელსაც, რამოდენიმე სასულიერო პირით, საქართველოში ელჩად მოდის **ზვენიგოროდსკი**. მათ ჩამოიტანეს მეფის სიგელი და რუსის პატრიარქის ოფის წერილი ალექსანდრესთან. პატრიარქი სწერდა რომ: თქვენ რუსეთის მეფემ შეგიწყნარათ თავის მფარველობის ქვეშ და ასევე რუსის მღვდლებს მინდობილი აქვთ ქართველთა ეკლესიის მართვაო *).

მალე ქართველი მეფე უკმაყოფილო შეიქმნა და ჩიოდა, რომ მე რუსების მეფისაგან დახმარებას ველოდი, მან კი ხარჯით გამალარიბა და არავითარი დახმარება არ აღმომიჩინაო. ბოლოს რუსებს სთხოვა, რეგულიარული ჯარიდან მისთვის დაეტოვათ 100 კაცი, ხოლო მათ დაეტოვეს 25 კაცი. და როდესაც 1590 წ. ზვენიგოროდსკი რუსეთში გაემგზავრა ისინიც უკან გაიყოლია. მასვე გაყვენ ქართველი ელჩები: სულეიმანი და ხურშიდ ჩურქანენინი (ჩერქეზიშვილი).

ბორის გოდუნოვმა განაგრძო ომი შამხალის წინააღმდეგ. 1593 წ. რუსეთიდან ჩამოდის **ივანე ვსევოლოდსკი** და ქართველებს სთხოვს დახმარებას ყუმუხზე გალაშქრებისათვის. ქართველებმა ვერ მიიღეს ეს წინადადება, ამიტომ ვსევოლოდსკისთან წასულ ქართველ ელჩებმა ხურშიდმა და ჭერეთის მთავარეპისკოპოსმა არტემმა აუხსნეს მეფეს მიზეზები, თუ რატომ ვერ ჩაერევენ ამ საქმეში. ეს ელჩები საქართველოში ბრუნდებიან 1596 წ. და მოყვება რუსის ელჩი კუზმა სავინი.

სავინმა სამდურავი განუცხადა ალექსანდრეს, დაუხმარებლობისათვის და თავისი მეფის ბრძანებით საჩუქარი სთხოვა ერთგულობისათვის. რუსეთის მეფისაგან სავინს დავალებული ჰქონდა აგრეთვე საქართველოს სხვა ნაწილებიც მიეღო ვასალად, თუ ვინმე ამის სურვილს განაცხადებდა **).

1599 წ. სავინი მიდის რუსეთში, რომელსაც გაყვება ქართველი ელჩი სულეიმან აბულელაძე. ორი წლის შემდეგ 1601 წ. ის უკანვე ბრუნდება და მოყვება რუსის ელჩი **ივანე ნაშჩოკინი**. მას მინდობილი ქონდა საქართველოს სხვა კუთხეებთანაც ეწარმოებინა მოლაპარაკე-

---

*) იხ. ბროსსე. «Переписка грузинских царей с русскими государями». 1861).

**) იხ. ბროსსე. ტ. II, გვ. 87 - 89.

ბა *). საქართველოში მან ათასი ცოდი რამ ჩაიდინა, რაზეც რუსეთის მეფემ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, მაგრამ მას ბუნებრივ სიკვდილმა დაასწრო. ხოლო ალექსანდრე ყველამ გაამართლა.

შემდეგ ამისა საქართველოში ელჩად რუსთიდგან მოდის სახელმწიფო საქმეებში დახელოვნებული ტატიშჩევი. ის მიდის სადარბაზოდ ალექსანდრეს ძმასთან, გიორგი ბატონიშვილთან, რათგან თვით ალექსანდრე ამ დროს სპარსეთში იყო. ტატიშჩევმა ისარგებლა ალექსანდრეს აქ არ ყოფნით და გიორგი ბატონიშვილი შეიფიცა ხელმწიფის ერთგულობაზე.

აქედან ტატიშჩევი მიდის ქართლში და იქ ქართლის მეფის გიორგი X-ის ქალს ელენეს სთხოვს რუსის ბატონიშვილისათვის ცოლად; მაგრამ ეს მოყვრობა ველარ დამყარდა, რადგან ამ დროს რუსეთში დაიწყო აჯანყება, ბორისი ტახტიდგან გადმოაგდო ცრუ დიმიტრიმ და ტატიშე

ბდა დახმარებას, შახმა სპარსეთში აღზრდილ ალექსანდრეს შვილს კოსტანტინეს 1605 წ. მოაკლევინა მამა და ძმა. მაგრამ რუსეთი აქ მაინც არ იყო მნიშვნელოვანი. საქმე იმაშია, რომ ალექსანდრეს ერთი შვილიც სტამბოლში ჰყავდა. აი სად იყო შახისათვის შიშის სათავე. საერთოდ ალექსანდრეს, მოსკოვის ორიენტაციის გამომჟღავნებას, მისდამი მოსკოვის მფარველობის პლატონიური ხასიათის გამო შახ-აბაზი განსაკუთრებული ეჭვით არ უცქერიდა. სხვა იყო თურქების ორიენტაცია. აქ გრძნობდა ნამდვილ საფრთხეს სპარსეთის ინტერესებისათვის *). ეს სიმართლე ისტორიამ დაამტკიცა.

კოსტანტინემ პირველად ირანს ერთგულობა აჩვენა და როგორც კი გამეფდა კახეთში, შეეტია შემახიის თათრებს. მაგრამ მამის და ძმის მკვლელ კოსტანტინეზედ კახელებმა შალე იძიეს შური. ხოლო შახ-აბაზიც შეუერიგდა ამ გარემოებას და მეფედ დაამტკიცა კოსტანტინეს უფროსი ძმის დავითის შვილი, თეიმურაზ I-ელი 1606 წელს.

ამ დროს ქართლის ტახტზედ იყო გიორგი X-ის შვილი ახალგაზრდა ლუარსაბ II-ე, შახ-აბაზმა ისარგებლა ქართლ-კახეთის მეფეთა ახალგაზრდობით და მოინდომა მათი მოტყუება. ჯერ დამოყვრება სცადა. თვითონ შეირთო ცოლად ლუარსაბის ერთი და **) და მეორე შეირთო თეიმურაზს. ვერც ამით მოიგო ქართველ მეფეთა გული. მერე მოინდომა ერთმანეთზედ გადაკიდება და ერთ-მეორის წინააღმდეგ ამბედრება. ქართველ მეფეებმა ესეც შეიტყვეს. მაშინ შახმა გადასწყვიტა „ყიზილბაშურ“ მეთოდისთვის მიემართა და ქართველი მეფეები მიიწვია სანადიროთ. მეფეები არ გამოცხადდენ.

ეს ის ხანებია, როცა სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ხელმეორედ იხსნება ომიანობა. ამიტომ შახ-აბაზისათვის აუცილებელი იყო დროზედ მორჩილებაში მოეყვანა ქართველი მეფეები. ეს კიდეც შემოესია დიდ ძალი ჯარით საქართველოს. მეფეებმა გადასწყვიტეს შებმოდენ; მაგრამ ვერ გაუმკლავდენ და იმერეთში გადაიხვე-

---

*) იხ. ზ. ავალიშვილი. „კავკასიის პოლიტიკის ისტორიიდან“, ჟურნ. „კავკაზ“, № 12.

**) შახ-აბაზს შრავალ ცოლთაგან ერთი ჰყავდა ლუარსაბის მამიდა, მეორეც და.

წენ. შახ-აბაზი შეესია კახეთს და მოაოხრა, მეფობა კი ჩააბარა შემთხვევით გადარჩენილ ალექსანდრე მეფის ძის გიორგის შვილს, გიორგიც; ძმის კონსტანტინეს მიერ მამასთან ერთად იყო მოკლული. თეიმურაზის დედა ქეთევანი და თავისი ორი მცირეწლოვანი შვილი კი სპარსეთში გადაასახლეს. შახი მერე ქართლში გადავიდა და იმერეთის მეფეს მოსთხოვა ქართლ-კახეთის მეფეთა გაცემა. მან როგორც იყო ლუარსაბი მიიტყუა და სპარსეთში წაიყვანა. თეიმურაზთან კი ვერას გააწყო. ამ დროს უკვე აღლოვდებოდა ოსმალეთის ომი, მეორე წელს ე. ი. 1615 წ. უნდა დაწყებულიყო. კახეთი კი მორჩილებაში ვერ მოიყვანა. ის აჯანყდა, მას მალე შემოუერთდა თეიმურაზიც და სპარსელები იქითგან გაყარეს. 1616 წ.შახ-აბაზი შემოესია კახეთს „დასაწყნარებლად". მისი მიზანი იყო, აეოხრებინა ისე, რომ თვ; ის ოსმალეთს მიემხრობოდა, არაფერი ძალა აღარ დარჩენოდა. ქართველებმა ვერ გაძოიყენეს თურქეთ-სპარსეთის შორის გამწვავებული მდგომარეობა და მიზანს ვერ მიაღწიეს წინააღმდეგობით. თეიმურაზმა სცადა ოსმალეთთან კავშირი, ის პირადად ეახლა სულთანს სტამბოლში 1619 წ. მაგრამ ამ მოგზაურობამ უნაყოფოდ ჩაიარა, რათგან იმავე 1619 წ. სპარსეთ-ოსმალეთის შორის უკვე ზავი მყარდება.

ამ ზავის დროს ხელმეორედ მოხდა დამტკიცება გავლენის სფეროების. ყველაზედ მნიშვნელოვანი ფაქტი, იყო ის, რომ სპარსეთმა იცნო სიბოლოოდ თურქეთის საკუთრებად მთელი სამხრეთ საქართველო ანუ სამცხე-საათაბაგო. ოსმალეთმა კი ის აქცია ახალციხის საფაშოდ. 1625 წ. სამცხის მთავარი ბექა III-მე, ჯაყელი იღებს მუსულმანობას და იღებს საფაშო-ფაშის სახელს. ამგვარად საქართველოს მოსწყდა ამიერითგან დიდი სტრატეგიული მხარე, რომელიც მთელს საქართველოს მომავალს დაუწვა როგორც უმძიმესი ლოდი. რათგან ეს მხარე იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ერთგვარი ხიდი, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად,

შახ-აბაზი კი შეეცდება აღმოსავლეთ საქართველოს მორჩილებაში მოიყვანოს იქ ერთგულ და სპარსეთში აღზრდილ ბაგრატიონების გამეფებით.

მაგრამ 1624 წ. ოსმალეთთან კვლავ ომის ატეხის გა-

მო, ქართლ - კახეთი ისევ უჯანყდება სპარსეთს. შახი ახლა კი გადასწყვეტს მთელი ქართლ - კახეთი გაანადგუროს, მოსახლეობა აპყაროს და სპარსეთში გადაასახლოს. როდესაც ბაღდადი დაიპყრო, გამოჩენილი მთავარსარდლის ყარჩი - ხანის სარდლობით, საქართველოზედ გამოილაშქრა. მას თან ახლდა დიდი ქართველი სარდალი, და ყოფილი ქართლის მოურავი გიორგი საკაძე. გიორგი იყო მსხვერპლი შიგნით შექმნილი წოდებრივი ქიშპობის. ამ ნიადაგზე მოუხდა მას სპარსეთში გაქცევა. იქ მან შახს შეაფარა თავი. და შახის ყარზედ ამის შემდეგ თურამ ცოდვა ჩაიდინა მისი უარმყოფელი საქართველოს მიმართ, ეს, როგორც ქვემოდ ვნახავთ, შემდეგ გმირულად გამოისყიდა.

როდესაც ყარჩი - ხანის ჯარი საქართველოს ახლოს დაბანაკდა, ამ დროს თურმე გიორგი საკაძეს საქართველოში შეთქმულობა ჰქონდა მზად. სჩანს დიდი ქართველის გულმა ვერ აიტანა შახის გადაწყვეტილება, და ადრევე შესდგომია აჯანყების მოწყობას, თორემ, უკვე ბრძოლის დროს შეუძლებელია ამსთვის მიეღწია.

სანამ დილა გათენდებოდა 25 მარტს 1624 წელს, ღამითვე უცბად თავს დაესხა სპარსეთის სარდლობას რჩეული ქართველებით და სულ მიწასთან გაასწორა. თვითონ პირადად მოჰკლა მთავარსარდალი **ყარჩი - ხანი.** შემდეგ კი მთელი ჯარი ამოუწყვიტა.

მეთაურთა თავები ქართველებმა სულთანს გაუგზავნეს. სულთანი დაჰპირდა დახმარებას, მაგრამ ვერ შეასრულა. ხოლო ქართველები ამის შემდეგ შერჩენ პირისპირ გააფთრებულ შახ - აბაზს.

შახმა მაშინადვე გამოგზავნა დიდძალი ჯარი **ყორჩიბაშის** მეთაურობით. ქართველებმა საბედისწერო ბრძოლა გადაიხადეს 1 ივლისს 1625 წ. მარაბდის ველზედ. ქართველ ჯარებს ხელმძღვანელობდენ მეფე თეიმურაზი და გიორგი საკაძე. პირველად ერთი დამარცხება აჰკრეს სპარსელებს, მაგრამ მერე სასტიკად იქმნენ დამარცხებული.

შახ - აბაზმა ამნაირად აიოხრა სასტიკად ქართლი და კახეთი, ამოსწყვიტა დიდძალი ხალხი და 80 - 100 ათასამდეც სპარსეთში გადაასახლა.

გიორგი საკაძემ ერთხანს კიდევ აწარმოვა პარტიზანული ომები, მაგრამ იგრძნო რა, რომ საქმე წაგებუ-

ლი იყო. ოსმალეთში გადაიხვეწა. იქ სულთანს მრავალი საძსახური გაუწია, მაგრამ 1629 წ. ჩუმად ქალაქ კონიასთან პირველი ვეზირის ხოსრო-ფაშის ბრძანებით მოკლეს იქმნა, ორმოცამდე სხვა ქართველებთან ერთად. რამდენიმე თვით წინ მოკვდა შახ-აბაზიც.

ამ მძიმე ამბების დროს ქართველები კიდევ დაეჭვენ უცხოეთში მოკავშირეებს, რიგორც ევროპაში ისე რუსეთში. და ქვემოდ გავინახავთ, რომ მათ ყველა შესაძლებელ ზომებს მიმართეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა, რათგან საქართველოს ბედი საკუთარი ძალების ამარას იყო. მისი გამარჯვება კი დამოკიდებული იყო მხოლოდ ოსმალეთის და სპარსეთის, ორივეს ერთად შესუსტებაზედ, ეს კი ჯერ არა სჩანდა.

IX

როგორც ვნახეთ, მე-17 საუკ. პირველ ნახევარში საქართველო მეტად შევიწრებულია. მას არ უნდა სიკვდილი და მტრებს კიდევ მისი სიცოცხლე. ოსმალეთის დამკვიდრებამ სამხრეთ საქართველოში და მის გავლენამ დასავლეთ საქართველოზედ, კიდევ გაამწვავა მდგომარეობა. ამიერითგან აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც იწყებს რუსეთთან მიმოსვლას.

მაგრამ ჯერ შევეხოთ ისევ აღმოსავლეთ-საქართველოს დამოკიდებულებას.

1619 წელს, როდესაც სტამბოლიდან ხელცარიელი დაბრუნდა, კახეთის მეფე თეიმურაზი (I) აგზავნის რუსეთის მეფესთან წერილს და სთხოვს მფარველობას. 1621 წელს *) რუსეთიდან მოდის საქართველოში რუსების ელჩი ხარატინი და თეიმურაზს არავითარ პასუხს არ აძლევს. (პასუხი მოაქვს მხოლოდ იმერეთის მეფესთან და გურიის მთავართან, რომელთაც თეიმურაზთან ერთად მიმართეს).

1622 წელს 20 ნოემბერს თეიმურაზი მიმართავს წერილით რომის პაპს, ხოლო 1624 წელს მარტში ისევ რუსეთში აგზავნის ელჩს, თეოდოსი (ქართველი) ფოლგოთის (იერუსალიმშია) არქიეპისკოპოსს, მაგრამ შედეგი კიდევ არაფერია.

აქეტომ ამავე დროს ის უგზავნის ელჩს დასავლეთ ევროპის მეფე-იმპერატორებთან სპარსეთის წინააღმდეგ დახმარებისათვის.

*) იხ. ბროსსე. II, გვ. 106.

თეიმურაზი აგზავნის ელჩად ნიკიფორე ერბახს (ჩოლოყაშვილი) ორი ქართველი ბერითა და ერთი თარგიმანით. ისინი პირველად მივიდენ ვენეციის სამთავროში. სადაც მათ ძალიან კარგად დახვდენ და მიიღეს ისე, როგორც სახელმწიფო დელეგაციას შეეფერებოდა, მაგრამ ვერავითარი დახმარება ვერ აღმოუჩინეს. სპარსეთის წინააღმდეგ მათთვის ბრძოლა ხელსაყრელი არ იყო, რადგან სპარსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ სჭირდებოდათ *).

ქართველი დელეგაცია იქიდგან ხელცარიელი ბრუნდება და მიდის რომში. რომის პაპს ისინი წარუდგენენ თეიმურაზის წერილს. პაპი მათ პატივისცემით იღებს და ბევრ ატანს სათანადო წერილებს; აგრეთვე უგზავნის წერილებს იმ მეფე-მთავრებს, სადაც უნდა გაეგზავნოთ ქართველ წარმომადგენლებს, და სთხოვს დახმარება გაუწიონ. ასე მაგალითად ტოსკანიის მთავარმა გზად მიმავალ ელჩს ცხენი აჩუქა. პაპი თეიმურაზს სწერდა: „... აგრეთვე ვეცდებით დაგიმეგობროთ ძმურის სიყვარულით ქრისტიანე ხელმწიფენი და მეტადრე ესპანიის მეფეს, რომლის მეგობრობასაც ნატრობთო.**).

მაგრამ ეს სიტყვები თეიმურაზისათვის ერთგვარი ნუგეში იყო, ხოლო რეალურად თეიმურაზმა ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია. მისი ელჩი ნიკიფორე ერბახი კი რჩება ერთ წელს რომში, შეისწავლის იტალიანური ენას, შემდეგ გერმანიაზე გაიარს და ისიც ერთვგვარი ნუგეშით ბრუნდება უკან ***).

1634 წელს, თეიმურაზი, რომელიც შეეიწროებულია ერთის მხრით რუსეთმ ხანის და მეორეს მხრით სპარსელების მიერ, ისევ რუსეთს მიმართავს და ელჩად გზავნის კუკოსონის მიტროპოლიტს ნიკიფორეს. 1635 წელს თეიმურაზი ფეხს მოიმაგრებს კახეთში და მიწერ-მოწერას ახშირებს.

1637 წ. რუსის მეფემ ნიკიფორე გამოისტუმრა და გამოაყოლა ელჩი **თეოდორე ვოლკონსკი.** ის ჩამოვიდა 1638 წელს. მას თან ახლდენ სასულიერო პირები, რომელთაც ჩამოიტანეს რუსეთის პატრიარქის წერილი ქა-

---

*) იხ. თამარაშვილი. „ისტ. კათ. ქართ. შორის", გვ. 93.

**) იქვე.

***) ამ დროს დაბეჭდა რომში „იტალიანურ-ქართული" ლექსიკონი.

რთლის არქიეპისკოპოსის იოანეს სახელზე. ეს უკანასკნელი სწორედ ამ დრო გარდაიცვალა და საძღვდელოებამ ვეღარაფერი მოლაპარაკება ვერ მოახერხა.

1639 წ. 23 - 24 აპრილს თეიმურაზმა ოდაბაზით და დიდებულებით შეჰფიცა რუსეთის მეფეს **მიხეილ თეოდორისძეს** და ფიცის ფურცელს ხელი მოაწერა. მეორე დღეს ვოლკონსკი გაბრუნდა რუსეთში. მას გაყვა ქართველი ელჩი ნიკიფორე, რომელიც დაბრუნდა 1641 წ. და გამოაყოლეს **მიშეცკი**, რომელმაც მიუტანა თეიმურაზს საჩუქრები და სიგელი *). ის დაბრუნდა მოსკოვს 1643 წ.

1646 წელსაც ალექსი მიხეილის ძემ გაგზავნა საქართველოში ელჩად **ათანასე ბოროკინი**. მას თან ახლდა ქართველი ელჩი გრ. შალიკაშვილი, რომელნიც დაიღუპენ კასპიის ზღვაზე.

1650 წელს კი თეიმურაზმა გაგზავნა რუსეთში ივანე და არქიმანდრიტი პოხომი, ხოლო შემდეგ როდესაც იმერეთის მეფესთან ჩამოვიდა რუსეთის ელჩი **ტოლოჩნოვი**, თეიმურაზ მეფე მას ილებს პატივისცემით, მერე აგზავნის რუსეთში ალსაზრდელთა თავის შვილისშვილს ნიკოლოზს (შემდეგ ირაკლი I) და ბოლოს 1658 წ. თვითონაც ეახლება სტუმრად ალექსი მიხეილის ძეს და 1659 წ. სექტემბერში ბრუნდება რუსებისგან იმედგაცრუებული. დახმარებაზედ კიდევ უარი უთხრეს და დაკმაყოფილდენ 6.000 მანეთის ფულად და 3.000 მან. ღირებულების ბეწვეულობის საჩუქრებით.

ახლა დავუბრუნდეთ დასავლეთ საქართველოს.

1619 წ. იმერეთის მეფე გიორგი III და გურიის მთავარი, თეიმურაზთან ერთად აგზავნიან რუსეთში წერილებს და სთხოვენ მის მფარველობაში შესვლას. შემდეგ ცოტა ხანს ისევე თავს იკავებენ.

მაგრამ კი, როდესაც როსტომ ხანი დაუმოყვრდა დადიანს, იმერეთის მეფე ალექსანდრე ცოტა გასაჭირში ჩავარდა. ამიტომ მან გამართა მიწერ-მოწერა რუსეთის მეფესთან ალექსი მიხეილის-ძესთან და გაგზავნა ელჩად **ხოსია ჯაფარიძე**, მაგრამ ლევან დადიანმა დაასწრო და ჩაუშალა გეგმა ***).

---

*) მ. ბროსსე. II, 109.

**) იქვე. 196.

***) როსტომის ქართლში გამეფებით (ის მაჰმადიანი

ლევანი თაეის მეუღლის ჩაგონებით აგზავნის რუსეთში ელჩს მღ. გაბრიელს. 1638 წ. მეფე გაბრიელს აუდიენციას უნიშნავს. გაბრიელი ლევანს აქებს მეფის წინაშე და უცხადებს, რომ ლევანს თქვენს სამსახურში შემოსვლა უნდოდა. მეფე თანხმობას აცხადებს მფარველობისქვეშ მიღებისათვის და ამ საქმის მოგვარებას მიანდობს ელჩს ფეოდოტ ელჩინს.

1639 წ. ივლისში ჩამოდიან ისინი სამეგრელოში. ლევანი ძგლოვიარე იყო და კაი ხანს არ მიიღო. შემდეგ 1640 წ. 23 აპრილს შიიწვევა და მოისმინა მეფის სიგელი. იმავე წლის 18 მაის ელჩინი გაუმგზავრება. ხოლო ლევანმა ფიცი მისცა თუ არა, ეს არა სჩანს.

იმერეთში კი ალექსი მიხეილის-ძე ელჩს ნიკიფორე ტოლჩინოვს აგზავნის 1660 წელს, და 1661 წელს მიდის იმერეთში. იმერეთის მეფემ მას დაათვალიერებინა ეკლესიები, ციხის გვირაბები. ყველა ამით რუსი გაკვირვებული იყო.

ამავე ხანებში მოდიან ალექსანდრე მეფესთან ოსმალეთის და სპარსეთის ელჩები და სთხოვენ მეფეს, რათა მან საქმე დაიჭიროს მათთან და რუსებთან კავშირი შეწყვიტოს. ალექსანდრე კი უმტკიცებდა, რომ ისინი ერთმორწმუნე არიან და ეს მათ უფრო აახლოებს. 14 სექტემბერს 1661 წელს მან კიდეც მიიღო ფიცი რუსეთის და მისი მემკვიდრეების ერთგულობისათვის. ამ ფიცში მონაწილეობა მიიღო უმაღლესმა სამღვდელოებამაც. თუმცა ამ შემთხვევისათვის განგებ გამოჭრილ ბეჭედზე წერებულა: „მონა უფლისა მეფე ალექსანდრე გიორგის ძე, მოსამსახურე მოსკოვის დიდი ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძისა".

ტოლჩინოვი წავიდა მოსკოვს და მას გაყვა ლომ-ყაცი ჯაფარიძე და არქიმანდრიტი ევდემონი...

X

რომ დავასკვნათ საქართველოს ურთიერ-ერთობა რუსეთთან ამ ხანაში, ასე გვეხატება:

მე-16- ესაუკუნითგან მოყოლებული ოსმალეთი და

იყო) კვლავ იწყება ქართლში ირანის ორიენტაცია. მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ (მას შვილი არ ჰყავდა) აქაც ისევ ძველი მდგომარეობა იქმნება განახლებული.

სპარსეთი ფასუწყვეტელ კოსკურენციას უწევენ ერთმანეთს საქართველოს დაბყრობის საქმეში. მე-17 საუკუნის დასაწყისითგან სპარსეთის უპირატესობა ცხადდება.

სპარსეთის შემოსევები იწყება უზუნ-ჰასანით და შახ-ისმაილი უკვე მოითხოვს საქართველოს დამორჩილებას. მან რამდენიმე ძრძოლაც გადაიხადა და ბოლოს აღმოსავლეთ საქართველოში მყარდება სპარსთა ბატონობა. ნელ-ნელა მტკიცდება საქართველოს სპარსეთთან ვასალური დამოკიდებულება. საქართველოში მეფობენ ისევ ბაგრატიონები და სამეფო ინვენსტიტურას იღებენ შახისგან. შახის პოლიტიკა იყო ისეთი, რომ რაც შეიძლება საქართველო გაეერთგულებინა, ამისათვის ის დიდ თავადებს, მეფეებს და მეფისწულებს სპარსეთში დიდ მამულებს აძლევდა, ურიგებდა დიდ თანამდებობებს და ასე სპარსეთის შახის კარზედ შეიქმნა ხეთელი კაცნი ქართველთა, რომლებიც ითვლებოდენ სპარსეთის დიდ მოღვაწეებად. ასეთი იყო პირველად სპარსეთის ინტერესი.

რუსეთთან ურთიერთობა კი, თუ მე-16 საუკუნეში ძნელოდ კახეთით განისაზღვრებოდა, თეიმურაზ I-ით იწყება ახალი ხანა. მისი სახით იწყება მთელი საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან. ამ დროს ურთიერთობა კი, როგორც ვნახეთ, რუსეთთან იმაში გამოიხატებოდა, რომ ქართველები სთხოვდენ რუსეთს ჯარით დახმარებას, რათა „ურწმუნოთაგან" თავი ეხსნათ. ამან უფრო დააღიზიანა ეს „ურწმუნონი", და რუსეთისაგან დახმარებაც ვერ მიიღეს.

მე-16-ე საუკუნის ნახევრითგან როდესაც რუსეთმა დაიპყრო მუსულმანური ეოლგის ნაპირები და ყაზახთა მოსახლეობის დასახლება დაიწყო თერგის და კავკასიის ჩრდილო ნაწილებში, უკვე ამ დროითგან, რუსეთის საგარეო პოლიტიკას უკავშირდება კავკასიის საკითხი.

პირველ ხანებში, სანამ რუსები აღნიშნულ ადგილებში ფეხს მოიმაგრებდენ, ჯერ კიდეე არ შეეძლოთ კავკასიის საქმეებში აქტიურად ჩარევა, ამიტომ მთელი მათი ცდები იმითი განისაზღვრებოდა, რომ რაც შეიძლება მეტი მიემხროთ კავკასიის ხალხები და შეემცირებინათ ოსმალეთის გავლენა ჩრდილოეთ-კავკასიაზედ *).

*) იხ. მ. პოლიეევქტოვი. „თაეადი მიშეკაის და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში". ნ. II, გვ. 07.

ეს იყო ამ პერიოდში მათი ზრუნვის საგანი, ხოლო თუ კავკასიის ხალხებში აღიძრებოდა რუსეთთან დაახლოვების სურვილი, ამას რასაკვირველია სიამოვნებით ხვდებოდნენ.

მე-17-ე საუკუნეში რუსეთის სავაჭრო ინტერესები მოიწევენ ჩრდილო-კავკასიის აღმოსავლეთით კასპიის ნაპირებისაკენ. რუსეთი ამ დროს მაგრდება თერგის დაბლობებში. მაგრამ მას აქ წინააღმდეგობას უწევს დაღესტანი. და რუსეთის მიზანს შეადგენდა ამდროს დაღესტნის წინააღმდეგ გამოეყენებინა კახეთის მეფე. თეიმურაზის ინტერესი აქ შეხვდა რუსეთისას. მთაში შემწყვდეული, სილარიბეში მყოფი დაღესტნელები ახდენდენ ხშირ თავდასხმებს კახეთზედ, და მეფე სცდილობდა მათ ხოგერიებას. მართალია ეს არ იყო დიდი ფაქტორი, მაგრამ თუ ამას დაუმატა სპარსეთის განუწყვეტელი აგრესიობა, ცხადი ხდება, რომ თეიმურაზი პოლიტიკური ანგარიშის გარეშე არ მოქმედებდა. ხოლო თუ იმედი გაუმტყუნდა, ესეც რუსეთის იმ უცვლელი პოლიტიკის წყალობით, რომლის მიხედვითაც, ისინი მოკავშირეში ხედავენ მხოლოდ მათი საკუთარი ინტერესების იარაღს და არასოდეს ვალდებულებას მის წინაშე.

მაინც რა იყო მიზეზი, რომ რუსეთი ჯერ კიდევ აქტიურად ვერ დაიწყებს სპარსეთის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლას კავკასიაში.

ერთის მხრით რუსეთი ჯერ კიდევ კარგად არ იყო გამაგრებული ასტრახანის მხარეს; მეორეს მხრით გაძლიერებული სპარსეთი იბრძვის ყირიმისა და შამხალის კავშირის ჩაშლაზედ, რომელთაც ემყარებოდა ოსმალეთი, და ემუქრებოდა ყუმუხებს და ყაბარდოს. უკანასკნელნი კი მეგობრულ ურთიერთობაში იყვენ რუსეთთან. აქეთგან სჩანს, რომ სპარსეთი რუსეთს, კავკასიაში გამაგრებისათვის ერთგვარ მოკავშირეობას უწევდა.

მოკლედ წინააზიის და კავკასიის საერთაშორისო სინამდვილე ჯერ კიდევ არ იყო ისე მომწიფებული, რომ რუსეთს აქტიური აგრესიური პოლიტიკა ეწარმოებინა. ხოლო მე-17-ე საუკუნე შეამზადებს რა ნელ-ნელა მას, ამ მისიას გადასცემს პეტრე დიდს და მე-18 საუკუნეს.

თავი III

1722 - 1724 წ.წ. რუსეთ - სპარსეთის ომი
და
ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკა

I

წინა თავში ვნახეთ, თუ რა ტრაგედიით გათავდა საქართველოს ბედი მე-17-ე საუკუნეში. მაგრამ არც ახალ საუკუნემ მოუტანა ქართველ ერს კარგი რამ. ამ დროისთვის საქართველო აკლებულია სპარსელების მიერ. ქართველ მეფეთ საშუალება აღარა აქვთ თავიანთ მიწ - წყალზე გაჩერების, და საქართველოს ბედი საკუსებით სპარსეთის ხელოვნების ამარაა დარჩენილი.

1712 წელს 23 აპრილს შახის იძულებით ვახტანგ VI მიდის სპარსეთში. „... მისული წინაშე ყეენისა პატივცემულ იქმნა დიდითა პატივითა ყეენისაგან... და უთქვა-და მაჰმადიანობასა და უქადებდა ნიჭსა დიდსა და მსწრაფულ გამოტევებასა...“ *). მაგრამ ვახტანგ მეექვსემ გამაჰმადიანებაზე სასტიკი უარი განაცხადა და მიუგო, რომ მასთან არის მისი მაჰმადიანი ძმა და თუ უნდა შახს, ქართლის ტახტზე ის გაამეფოს, თვითონ კი დარჩება შახის ყარზე. მაშინ შახმა მას თავი გაანება და ის ნახევრად ტყვეობაში ჰყავდა. ხოლო შემდეგ ათასგვარი დასმენისა, განსაკუთრებით მისივე მაჰმადიანი ძმის იესეს შთაგონებისა, შახმა ვახტანგი ისპაანითგან ქირმანში გადაასახლა.

ამდროს შახს უნდოდა საქართველოში მისი ძმა იესე გაემეფებინა; ჯერ ეს ხელსაყრელად არ მიიჩნია, მაგრამ 1714 წელს კიდეც გაამეფა.

---

*) იხ. გამ. ჩუბინაშვილის „ქართლის ცხოვრება“, წ. II, გვ. 74; ბროსსე, წ. II, გვ. 55.

ასეთ მდგომარეობაში იყო საქართველო. ძმა-ძმას ეცილება ტახტის დაჭერაში, გამაჰმადიანებულნი სარგებლობდენ შახის წყალობით და ქრისტიან მეფეებს ღღვითად სდევნიდენ, ხოლო ერის სიმპატიები ყოველთვის ქრისტიან მეფეებისაკენ იყო და ბოლოს და ბოლოს ისევ ისინი იმარჯვებდენ.

ასეთ ვითარებაში იყო ქართლი და მისი მეფე ვახტანგ VI, როდესაც ქართულ მოწინავე წრეებში იშვა აზრი, დახმარებისათვის მიმართონ რომის პაპს და ევროპის სახელმწიფოთ. და მეფე ვახტანგთან შეთანხმებით ამ საქმისათვის ელჩად ასახელებენ ისეთ დამსახურებულ მოღვაწეს, როგორიც იყო **საბა-სულხან ორბელიანი.**

ვახტანგს რომ ევროპასთან დაახლოვების დიდი სურვილი ჰქონდა წინეთაც, ეს სჩანს ჩვენამდე შენახული მისი ერთი წერილითგან, მიწერილი სტამბოლში საფრანგეთის ელჩისადმი *). საქართველოდან უნდა წასულ ვინმე ფრანგის ქალს თავის ქვეყანაში. ვახტანგი ილებს წერილს სპარსეთში მყოფ საფრანგეთის ელჩისაგან და თხოვნას, რათა ამ ქალს უშველოს. ვახტანგი მას ატანს სტამბოლამდე კაცს და სწერს წერილს ამის შესახებ და სთხოვს ელჩს, მის მაგიერ ყველა ეს აცნობოს საფრანგეთის მეფეს. ამავე წერილში აწერილია ქალის აქ მოღვაწეობა, სჩანს ის ექიმი ყოფილა. ეს წერილი პოლიტიკურ შინაარსს არ შეიცავს, მაგრამ ის სავსებით გაელენთილია საფრანგეთის მეფესთან დაახლოვების სურვილის გრძნობით. წერილი მიწერილია 1707 წ. ე. ი. ვახტანგის პირველი მეფობის დროს.

ახლა დავუბრუნდეთ **საბა-სულხან ორბელიანის** მისიას.

საბა-სულხანი გაემგზავრა საფრანგეთში. როდესაც მივიდა ზარსელში, იქიდანვე სწერს საფრანგეთის მეფეს: „... რათგან მალალსა და დიდად ქრისტიანს, დიდებულს ფრანცისის მეფეს, ჩვენის მეფისათვის წიგნი მიეწერა, მე მისის პასუხის მოსატანად საფრანგეთს წამო-

---

*) Documents originaux sur les relations diplomatiques de la Géorgie avec la France. Par M. Brosset. Paris 1832.

ვედი *); მერმე მისი ნდობა მაქვს, რომ უფრთხილესად წმიდისა პაპის ფეხს კოცნა მეღირსოს. მაგათის ბრძანებით უფრო მრავალი პატრები გაიგზავნოს, რომ ჩვენს ქვეყანაში მართალი სარწმუნოება გამრავლდეს: — იმის უკეთესი ღონე ეს არის, რომ ფრანციზის დიდი მეფე ჩვენი მეფის მოხმარებას ეცადოს, რომ თავის უნდომლად აჯამშია, და ის თავის ქვეყანას მოვიდესო...“ დასხ.

ვახტანგ VI, როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს სპარსეთში ტყვედ იყო და ამ საქმეს დიდის სიფრთხილით აკეთებდა, რომ ეს სპარსეთში არ გაეგოთ. ამიტომ საბა-სულხან ორბელიანის პოლიტიკური მისია განგებ სარწმუნოების სამოსელში გახვია. თვითონ სპარსეთიგან წერილსაც კი ვერ სწერდა თავისი ხელით. ამაზე 1714 წ. ერთი კაფუცინი ისპაანიდან საფრანგეთის მინისტრს სწერს, რომ ვახტანგი თვითონ არ სწერს არც ქართულად არც სხვა ენაზედ, რათგან ეშინია სპარსელებმა არ გაუგონონ. ვახტანგი პატრებთან ურთი-ერთობას ისეთ ელფერს აძლევდა, თითქოს ის მხოლოდ სარწმუნოებრივი საკითხებით იყოს დაინტერესებული.

თვით საბა-სულხან ორბელიანსაც კი (თავისი ბიძა იყო) თვითონ არა სწერს წერილს, მასთანაც კაფუცინებს აწერინებს იტალიანურად. ერთ წერილში ვახტანგ სწერს „ვერ ვბედავ და ჩემის ხელით ვერაფერს გწერ, რათგან მეშინია ჩემის ძმის, არტილერიის ლენერალის, იესესი, რომელიც როგორც მუდამ განდგომილი მტერი და ეშმაკი, ისე დამტრიალებს გარს, რათა ჩამთქას. ამას ყველას შეიტყობთ თქვენის ძველის მეგობრის იოსებისგან, როდესაც ის საფრანგეთს მოვა. იმედი მაქვს ამ დიდ მარხვის შემდეგ წამოვიდეს. 1714 წ. 20 თებერვალი...“.

სანამ საბა საფრანგეთს გაემგზავრებოდა წინასწარ საქმეები გამოაწყო რომის პაპთან და როდესაც ის პარიზში ჩავიდა, საბა ილებს რომითგან კარდინალის წერილს (თავის თხოვნის პასუხად), რომ მან უკვე მისწერა პარიზში ვატიკანის ელჩს და ის დაგეხმარება ყველაფერში.

---

*) არ ვიცით საფრანგეთის მეფეს რა მიუწერია ვახტანგისათვის, მაგრამ ის პოლიტიკურ შინაარს მკლებელი არ უნდა ყოფილიყო, ამას გულისხმობს, საბას მოხსენება ე. ი. ვახტანგის პასუხი.

ამ წერილითგან კი ვტყობულობთ, რომ კარდინალი ნუნცს სთხოვს: — „ქართველთა მეფე არის დატყვევებული სპარსეთის მეფესთან და საფრანგეთი უნდა დაეხმაროს მის განსათავისუფლებლადო, და რათგან ამ მეფეს კათოლიკობისადმი მისწრაფება აქვს, ამისთვის „მისი განთავისუფლება დიდად შეეწევა მის სამშობლოში კათოლიკე სარწმუნოების განმტკიცებას და გავრცელებას... თქვენს უსაზღვრო გულკეთილობას მივანდობ მიიღოთ ეგ (საბა) მონაზონი პატივით, დაეხმაროთ ყველა ღონისძიებით მთავრობის წინაშე თავის საქმეებისათვის და აღმოუჩინოთ ყოველნაირი თქვენი შემძლეობა - მფარველობა, ერთის სიტყვით ამას დიდად გევედრებით პაპის და წმ. კრების სახელით...“ და სხვა *).

პაპი კლემენტე XI-�ც იმავე 1714 წ. 13 აპრილს მეფე ლიუდოვიკე მე-XIV-ეს შემდეგს სწერს: „... ამიტომ სრულიად ეჭვი არა გვაქვს, რომ... შემწეობას აღმოუჩენთ საქართველოს მეფეს, რომელიც ამ ჟამად სპარსეთის მეფის მიერ არის დატყვევებული. როგორც ვსცანით თუ ეს მეფე სამშობლოში დაბრუნდა თავისუფლად, ცხადია თავის გულკეთილობას გამოიჩენს კათოლიკების მიმართ და მათ ყველანაირად გულმოდგინედ შეეწევა“.

როცა პირველად ჩავიდა საბა საფრანგეთში, როგორც ზემოდ დავინახეთ, მან თავისი პირველი მოხსენება მარსელითგანვე გაგზავნა, სადაც აღნიშნულია მისი ჩამოსვლის მიზეზები და ისიც თუ რასა სთხოვს საფრანგეთის მეფეს.

პარიზში მან მეფეს მეორე მოხსენებაც წარუდგინა *). ამ მოხსენებაში საბა კვლავ იმეორებს იმას, რასაც სწერდა პირველში, და კიდევ რაც ჩვენთვის უფრო საინტერესოა, ამ წერილში საბა უთითებს საფრანგეთის მეფეს იმ საშუალებებსაც, რითაც შეიძლება დაეხმაროს ქართველ მეფეს. ასეთად მიაჩნია შემდეგი: მეფემ უნდა გაილოს დიდი თანხა. ამით ის დაქირავებავს სპარსეთის დიდებულებს, უკანასკნელთა საშუალებით გავლენას მოახდენენ შახზედ და მერე ვახტანგი განთავისუფლდებაო.

---

*) იხ. მიხ., თამარიშვილის „კათ. ისტ. ქართ. შორის“.

**) იხ. «Nouveau Journal Asiatique». 1832 წ. ტ. IX, გვ. 352.

ამავე დროს წარუდგინეს თხოვნები საქართველოს კათალიკოსმა და სხვებმაც, მაგრამ სამწუხაროდ ლუდოვიკე მე-XIV-ემ ვერც ერთი თხოვნა ვერ აღუსრულა და საქართველოში მხოლოდ მისიონერების გამოგზავნით კმაყოფილდება. ამ დროს ვახტანგი კი სპარსეთში გაორკეცებულ რეპრესიებს განიცდიდა..

საბა-სულხან ორბელიანის დიპლომატიური მისია მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ჩვენი ქვეყნის ევროპასთან დაახლოების საქმეში, მაგრამ როგორც ვნახეთ, ის ისევე უშედეგოდ დამთავრდა, როგორც მისი წინამორბედი ცდები.

საბას ბერ-მონაზონის ჩოხის ქვეშ იმალება დიდი პოლიტიკური ფიგურა. მისი მოხსენება ამტკიცებს, რომ მისი ყოველგვარი მოქმედება გამოწვეული იყო სამშობლო ქვეყნის პოლიტიკური მოთხოვნილებებით. ის სარწმუნოებრივ იდეალთან შეფარვით აწარმოებს დიდ პოლიტიკურ-დიპლომატიურ ურთიერთობას. მისი მოქმედების ასეთი მეთოდი ნაკარნახევი იყო არა მარტო იმ დროინდელი სარწმუნოებრივი გატაცების თვალსაზრისით, არამედ იძითაც, რომ სხვა გზას ვერა ხედავდა, რითაც შეესაძლებელი ყოფილიყო საქართველოს და ევროპის მორის რაიმე პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება.

მისი ყურადღების გარეშე არ დარჩა არც ერთი, ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ევროპელებთან კავშირის დამყარება მან სცადა სავაჭრო ურთიერთობის ნიადაგზეც, რაც სჩანს იმავე ლუდოვიკე მე-XIV-ისადმი წარდგენილ მოხსენებითგან.

მიუხედავად ამგვარი ცდების, სარწმუნოებაც და თვით სავაჭრო ინტერესიც, რომელიც იმ დროინდელ ევროპის ქვეყნებისათვის არა ნაკლებ საინტერესო იყო, სუსტნი აღმოჩნდნენ, იმ პოლიტიკურ ინტერესებთან, რომელთა მიხედვით ევროპელთათვის სპარსელების გადამტერება, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, არ იყო ხელსაყრელი.

თუმცა პაპმა, როცა შეიტყო ვახტანგის მხნედ ყოფნა სპარსეთში, რომ ის არ მაჰმადიანდებოდა, კიდევ მიმართა ლუდოვიკე მე-XIV-ეს, მაგრამ ყველა ზომებმა ამაოდ ჩაიარეს.

ამ ამბების შემდეგ სულ რვა წელიწადი არ იყო გასული (ამ დროს ვახტანგი უკვე საქართველოში იყო და-

ბ-ულებული და სპარსეთის მიერ კვლავ მეფედ აღიარებული), როდესაც იმავე ვახტანგ IV-ემ კიდევ შიმართა რომის პაპს და ევროპის ქრისტიან მთავართ დახმარებისათვის. ახლა ოსმალები აწუხებდენ მას. აღსანიშნავია რომ მანამდე უკვე მან მიმართა რუსეთის მეფეს პეტრე დიდსაც და იქ წარგზავნილი ჰყავდა სპეციალური ელჩებიც, რასაც შემდეგ შევეხებით.

ვახტანგი სწერს პაპს ინოჩენციო მე-XII-ეს:

„... ოსმალების მთავარი აწ ამზადებს ჯარს ჩვენის საზღვრების ახლოს, რათა ჩვენი სამთავრო ერთიან მოაოხროს და აგრეედვე აქაურობაში მოსპოს ქრისტიანობის სახელიც. ასეთ მწუხარებაში მყოფთ ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს მის მეტი, რომ მოგმართოთ თქვენს მამობრივს მზრუნველობას, მხოლოდ მას შეუძლია ქრისტიანე მთავრების ქალით, ან მათის შუამდგომლობით ოსმალეთის მთავრობას თავისი მუქარა არ აასრულებინოს და ჩვენი ქვეყანა არ აოხრებინოს". 29 ნოემბერი 1722 წელი.

„თქვენი უწმიდესობის ყოვლად მდაბალი და უმორჩილესი მონა **ვახტანგ საქართველოს მეფე**, ტფილისს".

იმავე დღეს ასეთსავე წერილს სწერს ვახტანგ მეფე ავსტრიის იმპერატორს.

პაპის წერილს ვახტანგი კერძო გზით აგზავნის, რათგან როგორც პაპს სწერდა: „ამ მხარეს მაჰმადიანებისაგან გზები შეკრულია, ამის გამო ვერ შევიძელი, რომ თქვენთვის გვეახლებია ხარისხოვანი ვინმე პირიო".

ხოლო ავსტრიის იმპერატორის წერილი კი გაუგზავნა, ავსტრიის ელჩს კოსტანტინეპოლში **დირლინგს**, იმპერატორისადმი გადასაცემად და იმავე დროს ამ ელჩსაც სთხოვდა დახმარებას.

ამ წერილების შესახებ ალარაფერი ცნობები არ მოგვეპოვება. ისინი, და იმ შედეგის შესახებ რაც მათ მოყვა, ევროპის არქივებში უთუოდ დაკარგული იქნება ცნობები, რაც როდისმე გამოვა შუის სინათლეზე და ყველაფერს უფრო ნათლად შევიტყობთ. მაგრამ საერთოდ მაინც შეიძლება ითქვას, რომ რეალური ნაყოფი არც ამ მიმართვას უნდა გამოეღოს, რათგან ამის კვალი არა სჩანს.

II

1722 - 1724 წ.წ. რუსეთ-სპარსეთის ომი საბედისწერო გამოდგა საქართველოსათვის. ამ ომის დროს ყველაზე ნათლად გამოირკვა რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი ძალები. რათგან ამიერიდგან საქართველო-რუსეთის ურთიერთობა უფრო შინაარსიან სახეს იღებს. ამ დროინდელი რუსეთი გაცილებით დიდი ინტერესით არის ამოძრავებული და ამისთვის დროც მოიწიფებულია. ზემოდ ჩვენს მიერ მოკლედ განხილული რუსეთ-საქართველოს წარსულ საუკუნეთა ურთიერთობითგან ირკვევა, რომ, თუმცა ძირითადი ნიშნები რუსეთის სავაჭრო და დაპყრობითი პოლიტიკის იქ ჩასახულნი არიან, ის ურთიერთობა ამითაც არის ნაკარნახები, მაგრამ ჯერ კიდევ ჩვენ იქ ვერ ვხედავთ დასრულებულ ფორმას ამ ინტერესთა. ჯერ კიდევ არ არის არც დიდი საჭიროება და არც საშუალება დაბყრობითი ბრძოლების წარმოებისა. ამიტომ, რათგან ქართველები, გაჭირვებით მიმართავდენ რუსებს, უკანასკნელნი ამ ურთიერთობას ყოველთვის უპასუხებდენ ისეთი ტონით, რომ მომაელისთვის მათ აქ საკმაო ნიადაგი გასინჯვითარებიათ. რომ ჯერ კიდევ რუსებისთვის ნაადრევი იყო იმ დიდი გეგმების განხორციელება რაც ისახება პეტრე დიდისა და ეკატერინე მეორის დროს. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ადრინდელ მათ ურთიერთობას ყველა განაპირა ქვეყნებთან და საქართველოსთანაც არავითარი რეალური ნაყოფი არ მოყოლია, თვით მათთვისაც. ეს არც ძნელი ასახსნელია. რათგან რუსეთში ვაჭრობა ჯერ ისე არ იყო განვითარებული; ის ვითარდება მე-17 საუკუნითგან და რომ მან სახელმწიფო პოლიტიკაზე გავლენა მოახდინოს, ამას აღწევს სწორედ მე-18 საუკუნისთვის. მეორე მხრით მაშინდელი რუსეთის შინაური პოლიტიკაც ისეთი იყო, რომ გარედ დიდი ლაშქრობის ნებას არ აძლევდა. ხოლო სავაჭრო თვალსაზრისით საინტერესო მიმართულებათა დაბყრობა მოითხოვდა გადალახვას ზოგიერთ სიძნელეთა. ამ მიმართულებით მას წინააღმდეგობდენ საკმაოდ ძლიერი სახელმწიფონი. ამასაც მოვლა უნდოდა და დროს შერჩევა, და აი ასეთი დიდი ხელსაყოველი დრო ყოველ მხრივ დადგება სწორედ პეტრე დიდის დროს. ამ

ზოგადი შენიშვნების შემდეგ, მოკლედ შეეხებით ამ მოვლენათა თვით ლოგიკურ მხარეს.

რუსეთის უზარმაზარი მხარე ყოველმხრივ მოწყვეტილი იყო ზღვას, რომლითაც გაადვილებული ექნებოდა ურთიერთობა მეზობელ ერებთან. ზრდა ერთის მხრივ საზღვაო საშუალებათა ინტერესის, მეორეს მხრივ თვით შინაგანი ვაჭრობის, რუსეთს დაპყრობითი პოლიტიკის დაწყებას უკარნახებდა.

ამ დიდი დასაწყისის პირველი ხელმძღვანელის როლი ეკუთვნის პეტრე დიდს. ამ დროს ეს საკითხი სავსებით გამორკვეულია და ის შეუდგება პირდაპირ განხორციელებას.

ამ მიმართულებით წესდგა შეტად დიდი გეგმა, რომელიც ბოლოს და ბოლოს დაწყებული მე-18 საუკუნეში, განახორციელეს მე-19-ში.

ამ გეგმით პირველი მიმართულება იყო ხმელთა-შუაზღვისკენ *). რუსეთის მიდრეკილება ამ მიმართულებით იწყება ჯერ კიდევ 1695 წელს, როდესაც პეტრე დიდს აზოვის გზით უნდოდა შეჭრა კოსტანტინეპოლში, რომელიც წინასწარ მონათლა „ცარგრადად“ **).

მეორე იყო ბალტიის ზღვის მიმართულება. აქ რუსეთი იპყრობს ლატიშებისა და ესტონეთის მხარეებს მე-18 საუკუნეში: ლიფლანდიას და ესტლანდიას 1721 წელს, ხოლო კურლანდიას 1791 წელს ***).

მესამე მიმართულება იყო ინდოეთის ოკეანისკენ. რომ მას შესძლებოდა გაპატონება სპარსეთის ყურესა და ინდოეთის ოკეანეზე, ამისათვის რუსეთს უნდა გადაელახა სომხეთი, ქურთისტანი, მესოპოტამია ან სპარსე-

---

*) იხ. Dr. Afchar. «La politique européenne en Perse», გვ. 16 და სხ.

**) ყირიმის ომის შემდეგ 30 მარტს 1856 წ. პარიზის ხელშეკრულებით შავი ზღვის ნეიტრალიტეტი ცხადდება, და ამან თითქოს შეაჩერა რუსეთის ლტოლვა, მაგრამ 13 მარტის 1871 წ. საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულებით იხსნება შავი ზღვის ნეიტრალიტეტი და რუსეთი ამ დროითგან იჩენს შავ-ზღვაზე დიდ ფლოტს. 1878 წ. ბალკანეთის ომიც ამას ხელს უწყობს. ხოლო 1914 წ. სავსებით გამარჯვების გარანტიას აძლევს მას.

***) იხ. გამ „გრანატ“, «История России в XIX веке»,

თი და ბოლოს თურქესტანი, ავგანისტანი და ბელუჯისტანი *).

ინდოეთის გეგმის განხორციელებას განსაკუთრებით აბრკოლებდა სპარსეთი, რომელიც ამ დროს ფლობდა კავკასიის ბევრ ნაწილებს და თითქმის მთლიანად მისი გაელენის ქვეშ იყო საქართველო, დაღესტანი, სომხეთი და მთელი იმიერ-კავკასია. პეტრე დიდი თავის ანდერძის მეოთხე მუხლში აღნიშნავს: „... რაც შეიძლება უნდა დავუახლოვდეთ კოსტანტინეპოლსა და ინდოეთს. ვინც იქ ვაბატონდება იქმნება ნამდვილი მბრძანებელი ქვეყნისა. მაშასადამე უნდა განუწყვეტლივ ვიწვევდეთ ომებს ხან თათრებთან და ხან სპარსელებთან...“

მეოთხე იყო წყნარი ოკეანის მიმართულება, საითაც შეიძლებოდა დაძრულიყო რუსეთის დაბურობითი პოლიტიკა. მაგრამ ამას რუსეთი აღწევს მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. 1860 წ. აარსებენ ვლადივოსტოკს და უფრო გვიან 1900 წ. იჭერენ მანჯურიას **).

აი დაახლოებითი სქემა, რა მიმართულებებითაც იწყებს რუსეთი თავისი დაბურობითი პოლიტიკის განხორციელებას მე-18 საუკუნის პირველ ნახევრითგან და ამთავრებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, პეტრე დიდმა მის განხორციელებას შესაფერი დრო და მიმართულება შეურჩია. ის იწყებს სპარსეთითგან. ამის შესახებ ბუტკოვი ამბობს, რომ „სპარსეთის ვაჭრობა უკვე დიდი ხანია ყურადღებას იქცევდა რუსეთის მონარხებისას და ამის მი-

---

*) მხოლოდ მე-19 საუკუნეში ახერხებს ამ გეგმის განხორციელებას: 1865 წ. იბყრობს ის ტაშკენტს, 1866 წ. ხობჟენდს და მერე სამარყანდს. 1868 წ. ამარცხებს ბუხარის ხანს და იხდის ვასალად; ასევე ემორჩილება ხივის ხანს. ბოლოს 1882 წელს, ახალის ხელშეკრულებით სპარსეთი უთმობს რუსეთს ქალაქ მერვს და მისმიდამოებს. მერე ის ინგლისელთა თანადასწრებით იბყრობს თურქესტანს.

**) იხ. იქვე. (1904 - 1905 წ.წ. იაპონია - რუსეთის ომის დროს, მანჯურია რუსეთის ისევ ერთმევა).

ზეზი იყო, რომ განაგრძობდენ სპარსეთის მეფეებთან გამალიზიანებელ დამოკიდებულებასო" *).

მაგრამ სანამ პეტრე დიდის ლაშქრობაზე რამეს ვიტყოდეთ, მოკლედ გავიცნოთ სპარსეთის მდგომარეობა, რომელიც რუსეთმა ასე ხელსაყრელად იცნო.

III

შახ-აბაზის გარდაცვალების შემდეგ (1629) სპარსეთის საქმეები იწყებება. ის ნელ-ნელა ძველი უძლეველობის იერს ჰკარგავს. **ჰუსეინ-შახის სისუსტის** გამო იწყება განაპირა პროვინციებში აჯანყებები. მაგრამ რა ერთხელ თვით სახელმწიფოს საფუძველი ეშლება, იქ ქართველი მხედრობის ბასრი ხმალიც ველარ უმკლავდება სპარსეთის დიდების დასაცავად, თავისუფლების მაძიებელ პროვინციებს და დაბურობილ მხარეებს.

1709 წ. ავღანისტანის მთავარი **მირ-ვეისი**, ფერაგულად ჰკლავს, სპარსეთის შახის მიერ ავღანეთის გუბერნატორად დანიშნულს, ქართლის მეფეს გიორგი მე-XI-ეს, ამარცხებს ზედიზედ სპარსთა ურიცხვ ლაშქარს და აცხადებს თავს სრულიად ავღანთა ხალხების **მთავრად.**

1717 წლითგან როცა ის კვდება, მისი შვილი **მირ-მაჰმუდ,** რომელიც მამაზე ძლიერი პიროვნება მოჩანს, დიდის ცბიერებით, ჯერ პირდაპირ გამოითხოვს შახისგან გუბერნატორობას ავღანისტანის, და მიიღებს კიდეც. მერე ის დაუახლოვდება შახის კარს, კარგად გაიცნობს მის ძალას და 1720 წელს 60.000 ლაშქრით შეესევა სპარსეთს. შახი გულ-გახეთქილი საშველად მიმართავს დაღესტნისა და შირვანის სახანოებს, რომელთაგან ზოგი ეხმარება, ზოგი არა. (აი ეს უკანასკნელი მდგომარეობა გახდა მიზეზი იმისა, რომ რუსეთის ლაშქრობა ცოტა დაჩქარებით დაიწყო. გეგმით ის უნდა დაწყებულიყო 1723 წლიდან **).

მირ-მაჰმუდი იმარჯვებს ზედიზედ და მიიწევს ისპაანზე. ისპაანი ალყა შემორტყმულია. სპარსეთის ერი

---

*) იხ. Вуткое. «Материалы для новой истории Кавказа». ტ. I, გვ. 4,

**) იხ. Вуткой. «Материалы. ტ. I, გვ. 10.

შეეიწროებული. პეტრე დიდიც სარგებლობს ამ შემთხვევით. დავტოვოთ სპარსეთი ამ მდგომარეობაში და დაეუბრუნდეთ რუსეთის გულისთქმას.

საავჭრო კომბინაციები პეტრე დიდმა სანაპიროებიდან დაიწყო. ჯერ კიდეც 1710 წელს სპარსეთის ჯულფის სომხებთან დასდო პირობა სპარსეთის შახის თანადასწრებით, რათა მათ სპარსეთის ა ბრეშუმი გაეტანათ მზოლოდ რუსეთის ბაზარზედ *).

შემდეგ თვით სპარსეთის შახი 1713 წელს აგზავნის რუსეთში ელჩს. ხოლო 1715 წ. რუსეთის მეფე აგზავნის სპარსეთში ელჩს საავჭრო ხელშეკრულების დასადებად**). რუსეთის წარმომადგენელი ვოლინსკი მეფის ბრძანებით პეტერბურგიდან გაემგზავრება 30 მაისს 1715 წ. იმპერატორი მას ატანს სპარსეთში სამხედრო სპეციალისტებს და ავალებს სპარსეთის შესწავლას სტრატეგიული თვალსაზრისით. 1716 წელსაც იმპერატორმა კაცი გაგზავნა კასპიის ზღვის ასაწერად და რუქების გადასაღებად.

1717 წელს 30 ივლისს რუსეთის წარმომადგენლის ვოლინსკის მოთხოვნილებათა საფუძველზე რუსეთ-სპარსეთს შორის დაიდება საავჭრო ხელშეკრულება. სპარსეთის შახმა, **ფეტ-ალი-ხანმა** მაშინადვე დაუგზავნა ფირმანები სპარსეთის ყველა მფლობელებს, რათა რუსს ვაჭრებისათვის ხელი არ შეეშალათ ***).

ვოლინსკიმ, შეასრულა რა თავის მისია, დაბრუნდა და თავისი დაკვირვებისა და შესწავლის შედეგი და მოსაზრებაც აუწყა მპერატორს. ის იძლევა წინადადებას, რომ კასპიის ახლო-მახლო ქვეყნები, რომელნიც განთქმულნი არიან სიმდიდრით, ელიან ავღანელების მიერ დაბყრობას, ამიტომ უკეთესი იქნება ის რუსეთმა დაიბყროს და საზღვრები გაამაგროსო. იმპერატორმა მიიღო ეს წინადადება და 1719 წელს გაგზავნილ იქმნა კაპიტანლეიტ. **ფონ ვერდენი**. და ლეიტ. **სიმონოვი** კასპიის ნაპირების შესასწავლად.

---

*) იქვე. ტ. I, გვ. 4.

) რუსეთის პირველი ელჩი სპარსეთს სწვეია **ფარდენის სიტყვით 1561 წ. რასაც უმთავრესად საავჭრო ხასიათი ჰქონდა (იხ. Afschar. La politique epeenne en Perse)

***). იხ. Вутке. «Материалы. ტ- I, გვ. 5.

ხოლო 22 მარტს 1720 წელს ვოლინსკი ინიშნება ასტრახანის გუბერნატორად და იღებს საიდუმლო ბრძანებას, ჩუმად შეემზადოს სპარსეთისაკენ ლაშქრობისთვის. ის იღებს ვრცელ დავალებას. უნდა შეიტყოს ყოველგვარი ვითარება სპარსეთის პროვინციებისა და აგრეთვე რაიმენაირად მიიმხროს ქართლის მეფე ვახტანგ მე-VI და სხვა ქრისტიანები რუსეთის სასარგებლოდ. იმპერატორი დაჟინებით ავალებს, იქნებ კახეთის მეფე კოსტანტინე III-ც (ანუ შაჰმად-ყული-ხანიც) მიიმხროს, რომელიც ადრე, იყო ისპაანის გუბერნატორად და შახის ერთგული. რასაკვირველია ასევე ეევალებოდა კავკასიის ყველა სახანოებისაგანაც ერთი მთლიანი ფრონტის შექმნა სპარსეთის წინააღმდეგ, რომელთა სულის ჩამდგმელი და ცენტრალური ფიგურა უნდა ყოფილიყო ვახტანგ მე-VI. ვოლინსკი ჩამოდის ასტრახანში და შეუდგება საქმეს.

IV

თუ საქართველოს ვითარების სურათი როგორი იყო, დაახლოებით წინა თავებითგან ვიცით. ამ დროს ვახტანგი ლეკებისგანაც შევიწროებული იყო და მათ წინააღმდეგ ბრძოლას შახი ნებას არ აძლევდა. ამიტომ ვახტანგმა 1721 წელს (სანამ პაპს მიმართავდა) მიმართა პეტრე დიდს და გაგზავნა რუსეთში ელჩები სეენია ჩხეიძე და **რუისის ეპისკოპოსი გიორგი.** ვახტანგი სთხოვს 10.000 ლაშქარს, თავის მხრივ კიდევ ჰპირდება, რომ შეაგროვებს 50.000 კაცს და შეებრძოლება სპარსეთს *).

პეტრე დიდიც, რომელიც ამ დროს სწორედ სპარსეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ემზადებოდა, სიამოვნებით ხვდება ამ ამბავს, ხოლო ის თავის მხრივ ვახტანგს სთხოვს დახმარებას.

ვოლინსკი სამზადისს ამთავრებს. სულ 61.000 კაცი იყო მომზადებული ომისათვის **). ვახტანგ მეფისა და პეტრე დიდის კავშირის შესახებ ბევრი ცნობები არ მოგვეპოვება. ჯერჯერობით ვიცნობთ იმას, რასაც გვაწვდის

*) იხ. ბროსსე. „საქ. ისტორია", ტ. II, გვ. 60 - 61.
**) ზოგის ცნობით 40.000.

რუსის ისტორიკოსი ბუტკოვი, ხოლო ქართველიდან ცოტა რამ დავით გურამიშვილის „დავითიანიდან“. გურამიშვილის ცნობით ამ საკითხის გადასაწყვეტად მეფეს მოუწვევია თათბირი. ამ თათბირზედ ვახტანგს დიდი წინააღმდეგობა დახვდა. ოპოზიციის სათავეში ყოფილან ბაქარ ბატონიშვილი და საბა-სულხან ორბელიანი. ისინი არ იზიარებდენ რუსეთთან კავშირს სპარსეთის წინააღმდეგ. რათგან ვახტანგი ითვლებოდა ვასალად უკანასკნელის და მისი ჯარების მთავარსარდლად. გარდა ამისა პოლიტიკურადაც ის მიუღებლად მიაჩნდათ, რათგან ალბად ითვალისწინებდენ შედეგებს, რაც ასე მწარედ აღსრულდა.

შემდეგი ადგილიდან სჩანს, რომ თვით გურამიშვილიც არ ყოფილა მეფის თანამგრძნობი.

საბჭოში:

„ბეფეს სძრახავდენ, იტყოდენ ეგე ვითარსა გმობასა,
სამს დიდს ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან
იკეთებს ყმობასა,
ყეენის სპასალარია, თავს ირჭვამს მის საყმობასა,
რუსთ ხელმწიფესთან მამობას, ხვანთქართან
ჩემობს ძმობასა.
ჩვენ ჭკვაში ესე საქმენი არ არის მოსაწონარი,
რა სამთავ ცემა შეექნათ, ჩვენზედ მათ შექმნან
ონარი,
ვიქნებით შვილთა ჩვენთაგან გინებით მოსაგონარი.

მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, მეფე მაინც ვერ დაიყოლიეს, მან გადასწყვიტა მისდგომოდა რუსებს. თანხმობა განუცხადა და დაჰპირდა, 1722 წლისთვის თავისი ჯარების შეერთებას რუსეთის ლაშქართან. რაც შეეხება კავკასიის სხვა მფლობელებს, ზოგი მიიმხრო, ზოგის მიმართაც, ვინც საიმედონი არ იყვენ სათანადო ზომები მიიღო. და 15 ივნისს 1722 წ. პეტრე დიდი აცხადებს მანიფესტს სპარსეთთან ომის შესახებ. ეს მანიფესტი *) მეტად ცბიერად იყო შედგენილი. და ის აგებული იყო განსაკუთრებით, შემდეგ პატარა ამბავზე:

როცა ავღანთა პრინცი შეესია სპარსეთს, უკანასკ-

*) იხ. Вуткоів. «Материалы. ტ. I, გვ. 17.

ნელშა დახმარებისათვის მიმართა კავკასიის მფლობელებს. მაშინ დაღესტნის მფლობელი დაუთ-ბეგი და კაზიკუმუხის სურხაი მათ მიეშველენ, ხოლო შირვანის სახანოები კი არა, ამიტომ პირველნი შემოესინენ უკანასკნელთ და დაარბიეს. აქვე შამახიაში, სხვათა ზორის გასაკარკვეს რუსის ვაჭრები (ამბობენ 4 მილიონი მან. წართვესო), და აი, რუსეთის მიერ ომის გამოცხადებაც, ამით არის გამოწვეული, აცხადებს მანიფესტი, რათა დასაკოს შეამბოხე მფლობელები და სხ. ეს იყო საბაბი ომისა.

ამ მანიფესტის გამოცხადების შემდეგ პეტრე დიდს მაინც ეშინია დიდი ომის, რათგან ერთის მხრით კავკასიის ხალხების იმედი ნაკლებად აქვს და აგრეთვე შიში აქვს ბრწყინვალე პორტასი. ამიტომ სპარსეთში შახის კარზე აგზავნის ელჩს იმ იმედით, რომ ავღანელებისაგან შეეიწროებული სპარსეთი იქნებ უბრძოლველად დასთმობს იმ ადგილებს, რაც რუსეთს აინტერესებს და ამით ის ორ კურდღელს დაიჭერს. იმპერატორი თავის ელჩის პირით შახს აცნობებს, რომ ის მიდის მხოლოდ შემახიაში აღნიშნული არეულობის დასაწყნარებლად, ხოლო თუ შახი ზოგიერთ პროვინციებს, კასპიის ნაპირებითგან, დაუთმობს, ის მზად არის დაიკავა სპარსეთი და სახელმწიფოში მშვიდობიანობა აღადგინოს. ამისთვის იმპერატორი წინადადებას აძლევს, თუ შახი მიღებს მას, გამოგზავნოს ელჩი ხელშეკრულების დასადებად.

ამავე დროს რუსეთის იმპერატორი ვახტანგ მეფეს უგზავნის სიგელს, რათა დროზე შეესიოს.

მაგრამ სანამ რუსეთის ამგვარ დიპლომატიის ნაყოფს გავიცნობდეთ, რაც საჭიროებს ისევ სპარსეთის ზოგიერთ აბბების გათვალისწინებას, მოკლედ მოვათავებთ მის ლაშქრობის ამბავს, რომელიც ასე დღე-მოკლე აღმოჩნდა.

რუსებმა დაიბრუნეს ბაქო და როცა უნდოდათ შემდეგაც განეგრძოთ ბრძოლა მტკვრის მიმართულებით, ერთი „მოულოდნელი შემთხვევა" გახდა მიზეზი მისი შეჩერების *). ამ დროს ვახტანგ VI დიდი ლაშქრით და-

*) ბუტკოვს ამის მიზეზად ის მიაჩნია, რომ სურსათი არა ჭონდათ საკმარისი. თურმე წინადღით, ზღვაზე,

მანაკებულია მტკვრის ნაპირებზე და ელის რუსის ჯარს, რომ შეუერთდეს, და უცბად ილებს ცნობას, რომ რუსის ჯარები უკვე ასტრახანისკენ ბრუნდებოდენ *).

ამ ამბებმა ჩაფიქრა ქართველობა. ხუმრობა ხომ არ იყო. ამით ქართველობამ უდიდესი ზიანი მიიღო, ჯერ ნივთიერად და მერე როგორც ენახავთ პოლიტიკურადაც.

მეფე ვახტანგს მარტო თვითონ შეგროვილი ჰყავდა 40.000 კაცი. ამ ამბით ყველაზე შეტად გახარებული იყვენ სომხის შელიქები; რომელთაც ვახტანგ VI ნებართვით, წყაროების ცნობით 60.000 კაცი შეეგროვებიათ. ჯარის შესაკრებად და მთავარსარდლად ვახტანგმა მათ მისცა დავით-ბეგი. მათვე შემოუერთდენ შამახიის სომხები 12.000 კაცამდე და ყველა ჯარები, ვახტანგ VI საერთო სარდლობით უცდიდა მტკვრის ნაპირზე პეტრე დიდის შეხვედრას, მაგრამ მთელი ეს მზადება ილუპება, როცა პეტრე დიდი დერბენდითგან უკან ბრუნდება.

ამგვარად პეტრე დიდმა ომი შესწყვიტა და მწვიდობიანი მოლაპარაკების გზით სცადა მიზნის მიღწევა.

V

როდესაც რუსის ჯარი უკან გაბრუნდა, მაშინ პეტრე დიდმა ვახტანგ VI-ეს წინადადება მისცა, მასაც ისეთივე წინადადება გაეგზავნა შახისათვის, როგორც ადრე პეტრე დიდი მოიქცა. და თუ ამით პეტრე დიდი სათანადო შედეგებს მიაღწევდა, ვახტანგს ჰპირდებოდა ყველა აქაურ ქრისტიანობის ბატონად გამოცხადებას. იმავე შინაარსის წერილი მისწერა პეტრე დიდმა სომეხთა პატრიარქს ისაიას **).

ვახტანგმა თუმცა მიიღო ეს, დავალება, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო.

პეტრე დიდი კი მაინც აღწევს თავის მიზანს, ხოლო

დიდი ლელვის გამო, დალუპვიათ დიდძალი ფქვილი. არ ეცალა რამდენად სამართლიანია ეს აზრი; მაგრამ აქ რაც საინტერესოა, რუსის ჯარებმა ბრძოლა შესწყვიტეს და უკან დაიხიეს.

*) იხ. ბუტკოვი. ტ. I, გვ. 30.

**) იხ. Бутков. Материалы. ტ. I, გვ. 31 - 32.

5

მის მოკავშირეს, ვახტანგს რა მოუვა, ეს მას არ აწუხებს, მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგმა, მართალია ბრძოლა ვერ აწარმოვა, მაგრამ თვით მისი დიდი მზადების ფაქტმა რუსეთ-სპარსეთის შორის მშვიდობიანი შეთანხმების საქმეში ფასდამწყვეტი როლი ითამაშა. მით უმეტეს, რომ სპარსეთის მდგომარეობა აწეწილი იყო ყოველგვარი გარეშე საწინააღმდეგო ძალა მისთვის საზიფათო იყო, რუსეთსაც შინაური პირობები ხელს ისე არ უწყობდა, რომ სხვათა დაუხმარებლად მას ეს საქმე სისრულეში მოეყვანა.

რა იყო შედეგი ამ შეთანხმების; რათგან ამას ყველაზე მეტად სპარსეთის მდგომარეობამ შეუწყო ხელი, ამიტომ მოვიგონოთ ოდნავ კვლავ ეს ვითარება.

ზემოდ ჩვენ ისპაანი დავტოვეთ **მირ მაჰმუდის** მიერ ალყა შემორტყმული. მირ-მაჰმუდი, ავღანთა ბელადი, **შახ-უსეინს** სთხოვდა ცოლად ერთ-ერთი ქალიშვილს და მის ცნობას აანდაარის თვითმბყრობელად. შახმა ეს თხოვნა არ შეუსრულა. მაშინ **მირ-მაჰმუდი** იბყრობს სატახტო ქალაქს ისპაანს და შეიბყრობს შახს, ხოლო შახის გვარეულობის 31 წევრი ამ დროს იღუპება. სანამ შახი ამ მდგომარეობამდე მივიდოდა, უფრო ადრე, როცა მან ძლიერი შევიწროება იგრძნო, პეტრე დიდთან გაგზავნა ელჩად **ისმაილ-ბეგი** და სთხოვდა შველას*), ამისთვის კი ჰპირდება ზოგიერთი პროვინციების დათმობას.

ამ დროს სპარსეთის ტახტზე შახად თავს აცხადებს შახ-უსეინის შვილი **თახმასპი.** ამას როცა იგებს გზად მიმავალი ელჩი, ისმაილ-ბეგი ბრუნდება უკან და მიდის **თახმასპთან.** ის ოფიციალურად ახლა უკანასკნელისაგან ილებს დავალებას და მიეგზავნება რუსეთს. ამ საქმის შოგვარება სპარსეთის კარზე ხდება რუსეთის ელჩის აბრამოვის კომბინაციებით.

პეტრე დიდმა რასაკვირველია ისარგებლა ამ შემთხვევით და მაშინადვე **გილანში** გაგზავნა ორი ბატალიონი ჯარი, მოსაჩვენებლად **თახმასპის,** რომ ის მას ეხმარე-

---

*) ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პეტრე დიდი ასტრახანში იყო, მან მიიღო სპარსეთითგან, მისი ელჩის **აბრამოვის** წერილი, — რეშტის მცხოვრებნი, შეწუხებულნი ავღანელებისაგან, გვთხოვენ შველასო.

ბოდა, ნამდვილად კი დაიმედებული იმით, რომ გილანის დაპერით, ყოველწლიურად ეს პროვინცია მას შესძენდა 70.000 ფუთ აბრეშუმს.

პეტრე დიდმა სპარსეთის ექსპედიციის საქმე ჩააბარა ლენერალ-ადმირალ გრაფ ფ. აფრაქსინს და თვითონ დაბრუნდა მოსკოვს.

თახმასპი მიხვდა რუსების შზაკვრულ განზრახვებს და გილანში დაბანაკებულ ჯარს რუსებისა, წინადადებას აძლევს უკანვე წასვლის შესახებ. მაგრამ ის აქ ანგარიშში მოსტყუვდა, რათგან ჯერ საამისოდ ის არ იყო გამაგრებული, ამიტომ დამარცხდა.

პეტრე დიდი კი ამ დროს საიდუმლო წერილს სწერს თავის ელჩს აბრამოვს და მირ-მაჰმუდსაც, საიდუმლოდვე, ულოცავს სპარსეთის ტახტს. აბრამოვს ავალებს მოაწესრიგოს მასთან ურთიერთობა და ეცადოს ყველაფერი ისე გამოაწყოს, რომ მირ-მაჰმუდი არ შეეიდეს ოსმალეთის მფარველობაში. ასევე გილანის დაბყრობის მიზეზებს უხსნის და მასაც ჰპირდება, რომ თუ მაჰმუდი რუსების პირობას შეასრულებს, მაშინ რუსები თავის მხრივ მიიღებენ ზომებს თახმასპის წინააღმდეგ და ხელს შეუწყობენ მაჰმუდის ბატონობას მთელ სპარსეთზე *).

როდესაც სპარსეთში თახმასპის რუსებთან კავშირი უკუგდებულ იქმნა, იქ, რუსეთში, მისი ელჩი, რუსების შთაგონებით ხელშეკრულებს სდებდა. ამ ხელშეკრულების მიხედვით, სპარსეთი რუსეთს უთმობს: დერბენდს, ბაქოს და პროვინციებს: გილანის, მაზანდარანის და ასტრაბადის; ე. ი. კასპიის ზღვის ნაპირებს დერბენტითგან ასტრაბადამდე. მაგრამ როცა ელჩი დაბრუნდა, წახის კარზე ის არ მიიღეს, და მოლალატედ გამოაცხადეს. რათგან მისი ნაბიჯი არ იყო გადადგმული შახის ბრძანებით. სპარსეთმა რასაკვირველია არ მიიღო ეს ხელშეკრულობა, ხოლო რუსებმა შემდეგ ის პროვინციები მაინც ძალით დაიბყრეს.

VI

რა მოხდა საქართველოს ამ ამბების შედეგად. ვახტანგის მიმხრობა რუსეთისადმი, და რუსეთის მი-

*) იხ. Бутков. Материялы. ტ. 3, გვ. 45.

ერ სპარსეთის პროვინციების დაკავება არაფრად მოსწონდა ოსმალეთს.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პეტრე დიდმა დახმარებისათვის მიმართა ვახტანგს, მაშინ სპარსეთის შახთან, ოსმალეთის სულთანიც ეხვეწებოდა ვახტანგს, ჩამოეცალე რუსებსო, ვახტანგმა კი ისევე პირველი გზა აირჩია და როგორც მემატიანე ამბობს: „არამედ განეტევა ყოველნი და აღირჩია რუსთ მეფე, **რამეთუ ჰგონებდა** *) განთავისუფლებასა ეკლესიისასა და ძალს ქრისტიანობისასა"-ო**). მაგრამ როგორც ზემოდ ვნახეთ, ბოლოს როდესაც რუსის ჯარი დარუბანდს ვერ ფასცილდა, ვახტანგმა მოსწონა თავისი ლაშქარი, რომელიც ბანაკად იდგა 3 თვეს, და ჩამოვიდა ტფილისს. ქრისტიანობამ ვერც ახლა დასძლია რუსეთის სახელმწიფოებრივი პოლიტიკას და ვახტანგიც მოტყუებული ანგარიშში, გახდა მსხვერპლი რუსეთის პოლიტიკის გატარებისა აღმოსავლეთში.

ხოლო თურქებმა მოაოხრეს საქართველო. ჯერ ვახტანგს შემოასიეს კახეთის მეფე კოსტანტინე (მაჰმადიანური - ხანი), მერე შემოესია აზრუმის ფაშა 20.000 კაცით და ქართლი დაანიავა. ვახტანგ მე-VI-კი გაიქცა იმერეთს და იქითგან 17 სექტემბერს 1723 წ. მისწერა წერილი ასტრახანის გუბერნატორს **ვოლინსკის** და სთხოვდა დახმარებას. მაგრამ რუსებმა ეს თხოვნა არ შეასრულეს.

გათამამებული თურქები ამარცხებენ თუ არა ვახტანგს, კლავენ კახეთის მეფეს კოსტანტინესაც და გაბატონდებიან აღმოსავლეთ საქართველოში 12 წლის განმავლობაში.

ამის შემდეგ სულთანი ემზადება ომის გამოცხადებისათვის რუსეთთან. მაგრამ რუსეთისათვის ხელსაყრელი არ იყო და ომი თავიდან აიცდინა. 12 ივნისს 1724 წელს ოსმალეთთან კოსტანტინეპოლში დასდო ხელშეკრულება. რუსეთმა დაუთმო ოსმალეთს: საქართველო, ერევნის, ყაზვინის და თავრიზის პროვინციები. ე. ი. ყველა ეს მოხდა საქართველოს, სომხეთის და სპარსეთის ხარჯ-

---

*) სხვათა შორის, ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები გამოხატავენ სწორ შეფასებას ვახტანგის მოქმედებისა, ე. ი. არაფერი სარგებლობა ვახტანგს არ მოუტანია.

**) იხ. „ქართ. ცხოვრება" ტ. II.

ზე. სპარსეთმა თავისითაც დაუთმო ოსმალეთს, ოსმალეთი კი იქალებდა ხელი შეეწყო თახმასპის ბატონობისათვის სპარსეთის ტახტზე *).

VII

ვახტანგმა იმედი გადაიწყვიტა რა სამეფოს დაბრუნებისა, გადასწყვიტა გადასახლებულიყო რუსეთში.

15 ივლისს 1724 წელს კიდეც გაემგზავრა რუსეთს. 1725 წ. 25 იანვარს კი ის უკვე პეტერბურგში იყო **).

რუსეთში მას გაყვა დიდძალი ხალხი. ბროსსეს ცნობით მის ამალაში შედიოდა — 1185 კაცი. ყაენდა ოთხი ეპისკოპოსი 1.200 მრეცლით, ე. ი. სულ 2.389. ნელ-ნელა მთელი ეს ემიგრაცია მოეწყო რუსეთში. თვით ვახტანგმა მიიღო დიდი ქონება ნიჟეგოროდის მაზრაში; 1.215, 502 და 1.179 სული. საასულიერო პირებმა მიიღეს სათანადო ჯამაგირები, თავად-აზნაურობამაც მიიღო მამულები, და შეადგინეს ქართული გუსართა პოლკი. ნელ-ნელა ეს ხალხი რუსეთის ჩინ-ორდენებით შეიქურვა, თვით ბატონიშვილი ბაქარი 1729 წელს იღებს არტილერიის გენერალ-ლეიტენანტობას.

ბოლოს ერთი მცირე ნაწილი ისევ სამშობლოს უბრუნდება, ხოლო დიდი ნაწილი რჩება რუსეთის მიწაზე ***).

VIII

რუსეთსა და სპარსეთს შორის სამხედრო მდგომარეობა გრძელდება 1732 წლამდე.

21 იანვარს 1732 წ. რუსებმა და სპარსელებმა **რეშტში** დასდეს საზავო ხელშეკრულება

აქ ჩვენთვის საინტერესოა ხელშეკრულების მე-8-ე მუხლი, რომელიც ეხება საქართველოს საკითხს. **ამ მუხლის ძალით შახი ჰპირდება რუსეთის მეფეს, რომ როდესაც საქართველო იქნება სპარსელების ხელში** (ამ დროს ოსმალებს ეკავათ) **შახის პროტექციის ქვეშ, მაშინ ვახტანგ VI-ეს აღადგენს ქართლის მეფედ.**

---

*) იხ. ვახუშტი. „ისტორია", (ქ. ცხ. ტ II, გვ. 254).
**) იხ. ბროსსე. „ისტორია", ტ. II, გვ. 62 - 69.
***) იხ. Бутков. Материялы. ტ. I, გვ. 1135.

ეს იყო ერთად - ერთი წყალობა, რაც მიუძღვნეს რუსებმა ქართველებს მათი დალუპვის შემდეგ, რომ რეშტის ხელშეკრულებაში ეს მუხლი შეტანილიყო. თუ რეალურად როგორ განახორციელეს ეს, ამასაც მერე ვნახავთ.

მეორე და უმთავრესს, რაც უფრო აინტერესებდა რუსებს, მიაღწიეს კიდეც.

ტრაქტატის მე-4-ე მუხლის ძალით, შახი მოვალე ხდება, რუსეთის ეაჭრებს თავის ტერიტორიაზე მისცეს მოქმედების თავისუფალი ასპარეზი ყოველივე გადასახადის გარეშე.

სპარსელებს ბედმა გაუღიმა. როგორც კი **თახმასპი** დიდებით შეპრძანდა სატახტო ქალაქში, ისპაანში, თურქებს ელჩი გაუგზავნა და უკან მოითხოვდა თურქების ძიერ მისგან ძალით დაპყრობილ პროვინციებს. (თურქებს დაბყრობილი ჰქონდათ იმაზე მეტი, რაც გათვალისწინებული იყო 1724 წლის ხელშეკრულებაში). სულთანმა ამაზე უარი შეუთვალა. მაშინ შახი შეესივა აღნიშნულ პროვინციებს. სპარსეთსა და ოსმალეთს შორის იწყება ომი და 1735 წელს თავდება, სადაც სპარსეთი აშარკცხებს ოსმალეთს და 1736 წლის **აზრუმის ხელშეკრულების ძალით სპარსეთი მიიღებს საქართველოს (ქართლ - კახეთს), სომხეთს, ერევნის** და **თავრიზის მიდამოებს.**

როცა რუსეთმა 10 მარტს 1735 წელს **განჯაში** სპარსელებთან ხელშეკრულება დასდო, მე-3-მე მუხლის ძალით, ერთი ამათთაგანის ოსმალეთთან შერიგება ისე ენდა მომზდარიყო, რომ მეორე არ გაერიყათ. სპარსეთმა ეს არ მიიღო. რუსეთს აქ ეს იმედი არ გაუმართლდა; ოსმალეთმა კი იცნო შახად გამოცხადებული **ნადირხანი.**

მეორე. 1735 წ. განჯის ხელშეკრულების მიხედვით, რეშტის (რუს - სპარსეთის) 21 იანვარს 1732 წლის ხელშეკრულება ძალაში რჩებოდა, რომლის მე-8-ე მუხლის ძალით, თუ სპარსეთი დაიბრუნებდა ოსმალეთისაგან საქართველოს, ვახტანგ VI უნდა აღედგინა. და როდესაც სპარსეთმა დაიბრუნა საქართველო, ეს აღარ შეასრულა. ვახტანგი ყველას მიერ მივიწყებული იქმნა, რუსეთმა ტრაქტატის წინაშე თვალები აიხვია და სპარსეთის მიერ მის დარღვევაზე ყურიც არ გაუბერტყია.

ხოლო ნადირ - შახი დიდის ზეიმით შებრძანდა ტფილისში, 17 დღე იქ გაატარა და ფრრიად ნასიამოვნები გაბრუნდა *).

რუსეთმა ზოგი ბრძოლით, ზოგი მოტყუებით დაიპყრო სპარსეთის მრავალი ადგილები, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ნადირ - შახმა ის ისევ ჩამოართვა. ვახტანგ VI-მ კი მათი ინტერესისთვის სამუდამოდ დაკარგა ტახტი და მოისპო ქართლის სამეფოც **).

მიუხედავად ამ ზარალის, რუსეთისთვის დასანანებელი არაფერი იყო, რათგან მათი ნანატრი ოცნებისთვის ეს პირველი ცდა იყო და ახლა თუ ორა, ხვალ ისევ განაგრძობდენ მის განხორციელებას; რომ სპარსეთის პროვინციების დაბრუნებას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა, ამას გვიმტკიცებს თუნდაც ერთი მაგალითი, რომელსაც აქ მოვიყვანთ.

მარტო გილანის შემოსავალი რუსებისა უდრიდა:

1725 წელს	—	37.500	მან. 46 კაპ.
1726	—	78.543	89
1727	—	170.565	14
1728	—	213.282	56
1729	—	234.769	70
სულ	—	734.661	75 კაპ. ***).

ასევე სალიანის და მტკვრის სათავეებში თევზის ჭერის ნებართვიდან ყოველ წლიურად შემოდიოდა 15.000 მან., ბაქოს მარილის და ნავთითგან 50.000 მან., დერბენტში, სავაჭრო საქონლის გადასახადებითგან 1.000 მან. აბრეშუმის 13.195 მ. სხვა გადასახადებითგან 33.465 მ.

ამ შემოსავალს იღებდა რუსეთი მაშინ, როდესაც პირველად მოთხოვნილების საგნები ფასობდა:

1) მარილი — გირვანქა 1/7 კაპ.

---

*) იქვე. ტ. I, გვ. 135. (ამბობენ თითქოს მაშინ ტფილისში ნადირ -შახს აღმოეფხვრას სპარსეთის ძველი, ძალით გამაჰმადიანების ტრადიციები).

**) იქვე. ტ. I, გვ. 142.

***) იხ. Бутков. Материялы. ტ. I, გვ. 150.

2) ცხვრის ხორცი გირ. 1½
3) ფუთი ხორბალი 30. *)

რომ ამ ლაშქრობამ რუსეთს ვაჭრობის დარგში სარგებელი მოუტანა, ეს ირკვევა ზავის შემდეგაც წარმოებული ვაჭრობით. ასე მაგალითად:

1737-1745 წლებში რუსეთითგან გავიდა სპარსეთში:
რუსის ვაჭრების ხელით — 416.005 მ. 44 კ. საქ.
სომხების — 2.484.024 51½
ინგლისელების — 698.133 92½
სულ 3.598.163 მ. 88 კაპ.

სპარსეთითგან რუსეთში შეტანილი იქმნა (იმავე დროს განმავლობაში):
რუსების ვაჭრების ხელით — 631.510 მ. 31¾ კ.
სომხების — 1.597.943 5/8
ინგლისელების — 200.460 2¾
სულ 2.429.913 მ. 35½

შემოსულ-გასული საქონლის ღირებულება ყველა ერთად უდრიდა 6.028.077 მან. 23½ კაპ.

აი რა მიიღო რუსეთმა, ამიტომ ბუნებრივი იყო მისი ჩაჩუმება საქართველოს საკითხზე, მაშინ როდესაც ის დადგა ნადირ-შახის გამარჯვების შემდეგ. მაშინ კი სრული თვითაც დაჭარგა დაბურობილი ადგილები სპარსეთისა, საქართველოს გასხენება მისთვის აღარაფერი სარგებლის მომტანი არ იყო, ხოლო ქართველთა შეფისა და მისი ამალის, ქართველ თავად-აზნაურობისათვის წყალობის გაცემა, რუსეთის სტეპებში რამდენიმე მამულების და მასზე მცხოვრებ რამდენიმე ათასი „მუჟიკის" სახით, რუსეთისათვის უმნიშვნელო რამ იყო.

IX

ჩვენ ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ ქართლის სამეფოს და ტახტის განწირულ მფლობელთა ბედს.

როდესაც ნადირ-შახმა ტფილისს საზეიმო ვიზიტი

*) იქვე. ტ. I, გვ. 55.

გაუკეთა და უკან გაბრუნდა, ქართლის სამეფო ჩაბარა კახეთის მეფის, დავითის შვილს, ნადირ-ალი-ხანს, ხოლო კახეთი თეიმურაზ II-ეს, მაგრამ მალე შეამჩნია რა ნადირმა, ნადირ-ალიხანს, ოსმალეთის სიმპატიები, ქართლის ტახტიც თეიმურაზს დაუთმო *). ამიერითგან ქართლის ტახტზე ალიკვეთა ქართლის ბაგრატიონთა დინასტია.

ვახტანგმა ჯერ თავის სიცოცხლეში რუსების საშუალებით რამდენიმეჯერ სცადა ტახტის დაბრუნება, და ისიც ვნახეთ, რომ რუსებმა მას ვერაფერი გაუკეთეს. პირიქით, ისევ გადახვეწილი მეფის გამოყენება მოინდომეს.

ჯერ კიდევ 1727 წ. ეკატერინე I-ლი ვახტანგ II-ეს აგზავნის დარუბანდსა და გილანს **) სპარსელებთან, „რათა ზავ ჰყოს ყენსა და მჯთ შორის". ვახტანგი ისევ უკან ბრუნდება ***).

1732 წელს რუსებმა ისევ ისარგებლეს სპარსეთის არეული მდგომარეობით. (ეს ის დრო იყო, როცა ნადირმა გადააგდო თაშაზ-ხანი და დასვა მისი ახლად დაბადებული ვაჟი), ამიტომ „რა ეამს გარდაიცვალა პეტრე მეორე, იმპერატორი და დასჯდა იმპერატრიცა ანნა, ამან მოუწოდა მეფესა ვახტანგს პეტერბურღს, მისცა ნიჭი და წარმოაგზავნა დარუბანდს, რათა დაიპყროს შამახია და ძერმე ქართლი"-ო **). ამ ექსპედიციათაც არა გამოუვიდა რა ვახტანგს, რათგან ნადირ-ხანმა მოასწრო, რუსეთის მეფეს ელჩი გაუგზავნა და შეურიგდა. ვახტანგი კი ისევ რუსეთს გაეშურა და გარდაიცვალა 1737 წელს ასტრახანში.

ასე აღასრულა უკანასკნელი მეფე ქართლისა. ქართლის დიდი თავადები კი არ უურიგდებოდენ ამ მდგომარეობას. ისინი შეურიგებელ ბრძოლას განაგრძობენ კახთ ბატონის მიმართ.

---

*) მისი შვილი ირაკლი II კი თავისთან წამოიყვანა, რომელიც თან ახლდა ინდოეთის ლაშქრობაში და სადაც ირაკლიმ ზღაპრული გაუკაცობა გამოიჩინა. (ირაკლი ამ დროს იყო 23 წლის).

**) იხ. ბროსსე. „საქ. ისტორია", ტ. II, გვ. 69.

***) იხ. ჩუბინაშვილის გამ. „ქართლის ცხოვრება" ტ. II. გვ. 88.

1742 წელს, როდესაც იმპერატორიცა ელისაბედ პეტრეს ასულმა ვახტანგ VI-ის ვაჟს ბაქარს მიანდო სპარსეთის ზოგიერთი საქმეები, ამ შემთხვევით ისარგებლეს ქართველებმა და მოისურვეს ქართლში ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა*). „ქართ. ცხოვრება"-ში ნათქვამია: „ესამსა მას წარმოევლინა იმპერატორსა ელისაბედს პეტროვნას ძე ვახტანგისა ბაქარ აშტარხანს: „ესე ჰგონა გივმან (ამილახვარი) მიმსვლელად ქართლის მეფედ, წარუვნილა ბარძიმ ბიძის ძე თვისი და მოუწოდა ბაქარს, რათა მოვიდეს და დაიპყროს ქართლი". რასაკვირველია გივი ამილახვარი მოსტყუვდა. როცა ბაქარი ჩამოვიდა ეს სურვილი არ განუცხადებია აქ ყოფნის დროს, ხოლო, თავის მისიაც რომ ვერარ შეასრულა, როდესაც ნადირ-შახი აკაკუიქცა და წავიდა სპარსეთს: „ბაქარს მიუწოდეს კვალად პეტერბურღსავე და მივიდა მუნ".

შემდეგაც, როდესაც შახ ნადირმა „მოუბოძა" სამეფო ქართლისა თეიმურაზს და კახეთის მეფობა ძეს ამისა წელსა 1744", ქართლის მაგნატები ისევ განაგრძობენ შეურიგებელ ბრძოლას; რათგან ქართლის ტახტის მემკვიდრედ მიაჩნდათ ბაქარ ბატონიშვილი. ამ ბრძოლობას ხელმძღვანელობდა გივი ამილახვარი, რომელსაც სიმპატია ქონდა თურქებისაკენ და მოქმედებდა სპარსეთის წინააღმდეგ**). გივი კი ხანს ებრძოლა თეიმურაზს და ერეკლეს. ბოლოს ის შეიპყრო ერეკლე II-ემ 1745 წელს და შახ-ნადირს გაუგზავნა სპარსეთში***).

მდგომარეობის მოსაწესრიგებლად საქმეში ერია თეიმურაზის ცოლი, და ირაკლის დედა თამარი, რომელიც იყო ასული ვახტანგ მე-VI-ისა. ის შეეხვეწება სპარსეთის მეფეს, რათა ქართლში მისი ერთ-ერთი ძმა გამეფოს. შახს ნება დაერთავს თითქოს, ხოლო სანამ რუსეთიდან დაბრუნებულიყო მემკვიდრე, ტახტი უნდა ემართა თვით თამარს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბაქარი ამ დროს ყიზლარში ყოფილა (ბროსსეს სიტყვით), ის საქართველოში მაინც არ დაბრუნებულა.

---

*) იხ. „ქართლის ცხოვრება", ტ. II, გვ. 90.

**) იხ. ბროსსე. ტ. I, გვ. 229.

***) იხ. „ქართლის ცხოვრება". ტ. II, გვ. 481.

მაშასადამე 1744-1745 წ.წ. ქართლის მეფე თამარია. ის ძალე გარდაიცვალა და 40 დღის გლოვის შემდეგ, თეიმურაზი II შახის დაუკითხავად ირთავს ცოლად ციციშვილის ქვრივს და მეფედ ცხადდება. შახი გაჯავრდა თეიმურაზის ამ თავისუფალ მოქმედებაზე, გაანთავისუფლა დატყვევებული გივი ამილახვარი, მისცა 34.000 ყაენი და უბრძანა: დაეჭირა ქართლი. ირაკლი და თეიმურაზი კი შეებყრო და სპარსეთში წაიყვანა. მაგრამ მალე **შახ - ნადირი** გარდაიცვალა და გივი ამილახვარი სპარსეთითგან აღარ დაბრუნებულა. თეიმურაზი კი ახალ **ადილ - შახს** (რომელიც იყო თავის სიძე) ეწვია ისპაანში და დამტკიცდა ქართლის მეფედ 1747 წელს.

ასე დამთავრდა ქართლში მეფობა ქართლის ბაგრატიონთა და იქ გამეფდენ ყახთ ბატონები. და ამითვე მომზადდა ნიადაგი ქართლ - ყახეთის გაერთიანებისა.

X

ვახტანგი მოტყუვდა. რუსებმა მას დიდი დაპირებები მისცეს. მასაც ეგონა, რომ რუსთა დახმარებით ის აღადგენდა ძლიერ საქართველოს. ანგარიშში კი სხვა გამოვიდა. მან ისიც დაკარგა, რაც ჰქონდა. ვახტანგი ჯერ თავზარდაცემული იმით, რომ პეტრე დიდმა უღალატა და მიატოვა ბრძოლის ველზედ, მეორე გარემოებამ სულ დააბნია. ეს ის, რომ, რაც 1723 წ. სპარსეთის დახმარებით ქართლს ყახეთის მეფე კოსტანტინე შემოესია, რუსებმა ვახტანგს დახმარებაზედ უარი უთხრეს. ეს მიტომ რომ კოსტანტინეპოლში სწორედ ამ დროს ხდებოდა მოლაპარაკება 1724 წლის ხელშეკრულების შესახებ, იმ ხელშეკრულების, რომლის ,ქალითაც პეტრე დიდი ოსმალეთს უთმობდა საქართველოს (იხ. აღნ. „ტრაქტატის" მუხლი 24-ე).

რუსების ასეთი ღალატის შემდეგ, კიდევ შორს მიდის ვახტანგი. როცა 10 ოქტომბერს დაეცა ირანის სატახტო ქალაქი, გუსეინ - ხანი ჩაუვარდა ხელში **მირ - მაჰმუდს.** შახად გამოცხადდა თახმასპი. ვახტანგი აახლებს ახალ შახს თავის ელჩს სეხნია ჩხეიძეს, შახი აუარებელ საჩუქრებს უგზავნის ვახტანგს და კიდევ ერთხელ სთხოვს, მიაშველოს მისი შვილი ბაქარი ქართველი ჯარით; და-

ეხმარეს მას და წინი დაიცავს ვახტანგს. მაგრამ აქაც, მიუხედავად რუსების ორგულობისა, ის მათი ერთგული რჩება და თანმასპინძელს უპირს ეუბნება. ეს დამახასიათებელი მოვლენა, განმეორდება შემდეგშიაც; მეფე ირაკლისა და ალა-მამად-ხანის ურთიერთობაში.

თავი IV

1768 - 1774 წ.წ. რუსეთ - ოსმალეთის ომი და საქართველო.

1

რა მდგომარეობაა ამ დროს საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველო წარმოადგენს ორ სამეფოს, ქართლის,სადაც მეფობს თეიმურაზი და კახეთის, სადაც არის მისი შვილი ირაკლი მე-II-რე.

ქართლი ამ დროსაც ლეკებისა და სხვა სახანოებისგან ფრიად შეწუხებულია. ამიტომ 1752 წელს თეიმურაზ II-ემ მიმართა რუსეთის დედოფალს ელისაბედს; გაგზავნა ელჩები **მიტროპოლიტი ათანასე** და **სიმონ მაყაშვილი** და სთხოვა დაეცვათ საქართველო მის გარეშე მტერთაგან, სამაგიეროდ თეიმურაზი ჰპირდებოდა დამტკიცებას ყველა იმ სიგელებისა, რომლითაც მისი წინაპარი კახეთის მეფეები შედიოდენ რუსეთის მფარველობაში. რუსებმა ეს თხოვნა არ მიიღეს *).

1757 წელს როდესაც ქართველებმა ლეკები უკანასკნელად დაამარცხეს, თეიმურაზსა და ირაკლის შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ამიტომ 1760 წელს თეიმურაზი გაეგზავნა რუსეთში. 1761 წელს ის იმყოფება პეტერბურგში, ხოლო 1762 წელს 8 იანვარს, როდესაც უკან ბრუნდებოდა, გზად მიმავალი ასტრახანში გარდაიცვალა და იქვე დამარხეს, სადაც მარხია ვახტანგ VI, სიმამრი თეიმურაზისა.

ამიერითგან მეფე ირაკლი შეიქმნა მეფედ ქართლისა და კახეთისა. ასე გაერთიანდა საბოლოოდ აღმოსავლეთ საქართველო **).

---

*) იხ. Бутков. ტ. I, გვ. 240.
**) იქვე. ტ. I, გვ. 241.

სამხრეთ საქართველო წარმოადგენს ოსმალეთის პროვინციას, რომელიც დაყოფილია რამდენიმე საფაშოდ. ახალციხის და ყარსის საფაშოები მთლიანად და ნაწილები აზრუმის და ტრაპიზონის საფაშოებისა. აქეთგან საქართველოსთან ურთიერთობაში თვალსაჩინო როლს ასრულებს ახალციხის საფაშო, რომელიც შეიცავდა სამცხე-ჯავახეთს. ჯერ იმიტომ რომ, ის ახლო იყო საქართველოსთან და მერე, იქ მეტად იყო დაცული ქართული ეროვნული მთლიანობა, თვით მათი ფაშები ერთ ხანს კიდევ ძველ ათაბაგთა შთამომავლები იყვნენ და ქართული ენაც არ ჰქონდათ დავიწყებული. მაგალითად ისინი ქართველ მეფეებს და შემდეგაც რუსის მმართველებს ქართულად სწერდნენ ხოლმე.

როგორც სხვა, ისე ახალციხის საფაშოც ქართველებთან, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოსთან, პორტას შთაგონებით ხშირად მტრული განწყობილებაშიც იყო. ხოლო ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მათ არ მოსწონდათ ქართველების რუსეთთან დაახლოვების საქმე. მაგრამ იყო შემთხვევებიც, რომ ახალციხის საფაშო სცდილობდა პორტასაგან ავტონომია მოეპოვებინა და საქართველოსთან დაახლოვებულიყო. ხოლო როდესაც საქართველოს ყოფნა არ ყოფნის ბედი სწყდებოდა, ახალციხის ფაშა რუსეთის საქართველოთგან განდევნისათვის იბრძვის ალექსანდრე ბატონიშვილისა და იმერეთის მეფე სოლომონ II-თან.

დასავლეთ საქართველოც ისევე დანაწილებულია. აქ მთავარ ძალას წარმოადგენს იმერეთის სამეფო, სადაც აღნიშნულ ომის დროს მეფობს სოლომონი I-ლი და შემდეგ სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროები.

სრული თანხმობა დასავლეთ-საქართველოშიც არ არსებობს. იმერეთის მეფეს ხშირი უთანხმოება აქვს და სასტიკ ბრძოლებსაც აწარმოებს სამეგრელოს მთავართან. გურია კი უმეტეს შემთხვევაში ლოიალურ განწყობილებაშია, როგორც სამეგრელოს მთავართან, ისე ახალციხის საფაშოსთან. იმერეთის მეფე ცუდ განწყობილებაშია ზიგნით ერისთავებთანაც, განსაკუთრებით რაჭის ერისთავი ყოველთვის ხულს ეხუთავს მას. აღნიშნული ომის დროს, იმერეთის მეფე სოლომონი შეეიწ-

როვებულია თათრების მიერ, რომელნიც ცხმარებიან იმერეთის თავადებს სოლომონის წინააღმდეგ.

ასეთია მოკლედ საქართველოს პოლიტიკური სურათი იმ ხანად, რომელზედაც ჩვენ ქვემოდ გვექნება საუბარი.

II

პეტრე დიდის შემდეგ, ეკატერინე II-ეს ხანაში რუსეთის საავჭრო ინტერესი უფრო იზრდება. ის არ ზოგავს არავითარ კომბინაციებს მიზნის მიღწევისათვის. რუსეთის პრესტიჟი ამ დროს ნელ-ნელა იწევა მაღლა იმ ერების თვალში, ვინც სხვათა მიერ იყვენ დამონებულნი. ეს განსაკუთრებით ითქმის ოსმალეთის იმპერიის ბატონობის ქვეშ მყოფ, ქრისტიანებზედ, რომელთა პროტექციის პრეტენზია, რუსეთს ადრე ებადება, ხოლო შემდეგ მას ოფიციალურადაც აყენებს; ასეთი ვითარება რუსეთს გზებს უხსნიდა შავი ზღვისა და ხმელთა-შუაზღვის მიმართულებით დაეძრა ხომალდები. მეორე მხრით პოლონეთის მდგომარეობასაც ის თავისებურად იყენებს და მერე როგორც ვნახავთ, მისი ოსმალეთთან 1768 წლის ომიც ამის შედეგი იყო.

1763 წ. ხმელთა შუა-ზღვაზედ შეიკრა რუსეთის ერთერთი ვაჭრის, ვინმე ვოლოდომიროვის პირველი ხომალდი, რის შესახებაც ეკატერინე გახარებული სწერს რუსეთის ელჩს კოსტანტინეპოლში ობრესკოვს, რათა მას სათანადო დახმარება გაუწიოს *). უფრო გვიან 1764 წ. ეკატერინე ამ ელჩსავე ანდობს ამ მიმართულებით ვაჭრობის ხელშეკრულობას **). ხოლო 1764 წელსვე რუსეთის ელჩს პარიზში, გოლიცინს, ავალებს დიდის საავჭრო ხელშეკრულება გენუის რესპუბლიკასთან. გოლიცინი მოლაპარაკებას აწამოებს, გენუის წარმომადგენელთან პარიზში, და ეკატერინეს დავალებით, საქმე ისე უნდა მოაწყოს, რომ ხელშეკრულებისთვის თვით გენუამ მიმართოს წერილობით რუსეთს; და ჩვენც ამ სასარგებლო შემთხვევას სიამოვნებით შევხვდებითო, სწერს ეკატერინე II.

---

*) იხ. Сборник Имп. рус. ист. Общества, т. 51 — политическая переписка Екатерины II. ტ. II, გვ. 107.

**) იქვე. ტ. II, გვ. 414.

რუსეთის ძალით დაიმედებული ოსმალეთის ქვეშევრდომი ერები სთხოვენ რუსეთს განთავისუფლებას..

1764 წელს პეტერბურგში ჩადის ეპისკოპოსი სიმონ კონკარევიჩი და რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას სთხოვს: **სერბიის, ბოსნიის** და **ჰერცოგოვინის** სლავიან ერთა სახელით დახმარებას, თურქთა ბატონობისაგან გასანთავისუფლებლად *)

თუმცა რუსეთის პოლიტიკა ამ დროს იქით იყო მიმართული, რომ სრულებით დაებყრო ხმელთა შუაზღვის ვაჭრობა და ოსმალეთის ხელითგან საბოლოოდ გამოეგლიჯა შავ ზღვაზე ბატონობა **), მაგრამ ჯერ კიდევ ხელსაყრელი არ იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ომის გამოცხადება და იმ ერებისათვის აშკარად დახმარება მას კარგ შედეგს არ მოუტანდა. მას ეს არ ეჩქარებოდა, მით უმეტეს, როცა ეს დასჭირდებოდა, თვით მიმართავდა მათ. ამიტომ საგარეო საქმეთა კოლეგიამ მხოლოდ იმედი მისცა და დახმარება ვერ გაბედა.

წარმომადგენელმა შემდეგ მიმართა უშუალოდ ეკატერინეს და თვისი გეგმა წარუდგინა. სთხოვა — რუსეთში მყოფი, აღნიშნულ ეროვნებათა სამხედრო პირები, სათანადო ლიტერატურით და ფულით გაეგზავნა იმ ქვეყნებში ვაჭრების სახით, პროპაგანდისათვის.

ეკატერინემ რასაკვირველია, ეს თხოვნა არ შეუსრულა, ხოლო პირველი მინისტრი **პანინი** აძლევს საიუდმლო იმედებს: იმ შემთხვევაში, თუ რუსეთ-ოსმალეთს შორის ომი ასტყდება, მაშინ რუსეთი, ყველა, ოსმალეთის ქვეშევრდომ მართმადიდებლებს დახმარებას გაუწევს ***).

III

შემდეგი ფაქტი შეიქმნა საბაბი რუსეთ-ოსმალეთს შორის ომის დაწყებისა. იდგა საკითხი პოლონეთის საიმეფო კანდიდატურის. რუსეთს თავისი კანდიდატი ჰყავდა; ოსმალეთისათვის ის არ იყო ხელსაყრელი. რუსეთს

*) იხ. Чечулин. «Внешняя политика России в начале царствования Екатерины II» — 1762-1774; стр. 197.

**). Isambert. L' indépendance de la Grèce et l'Europe.

***) იხ. Внешняя политика... II, 197.

ბაინც თავისი უნდა გაეყვანა. ამიტომ მოლაპარაკების ფარული ქსელებს აბამდა ყველგან. ჯერ კიდევ 1763 წ. ეკატერინე II სწერს ბერლინში თავის ელჩს დოლგორუკოვს, რათა გრაფ ფონ ფონ ენშტეინს ჩააგონოს, იმოქმედოს იქ მყოფ ოსმალეთის ელჩზე, რომელიც სწორედ ახლა, გაანგებ ჩავიდა იქ, პოლონეთში მეფის დასმის საკითხის შესახებ, და მის საშუალებით იმოქმედონ ოსმალეთის მთავრობაზე, რათა მშვიდობიანი გზით დაიყოლიონ ის თავიანთ განზრახვის აღსრულებაში, ასევე დაინტერესოს ფონ ფონ ენშტეინი, რადგან ეს პრუსიისათვისაც საინტერესოა.

ბოლოს ეკატერინეს წყალობით, პოლონეთის მეფედ გამოცხადდა გრაფ პონიატოვსკი *), მეფე სტანისლავ ავგუსტის სახელით.

მდგომარეობა გართულდა. ოსმალეთი ჩაერია საქმეში და ბოლოს ომიც გამოუცხადა რუსეთს.

1768 წ. 18 ნოემბერს, ეკატერინე II-

მიანცევმა 40.000 კაცით. ამ გეგმაში შეედიოდა მხოლოდ იმ ადგილების დაცვა, სადაც მოუხდებოდათ ლაშქრობა თურქებს მათი გეგმის მიხედვით. სხვათა შორის ამ გეგმაში შეედიოდა ის, რომ ლენ. მედემს და ლენ. ტოტლებენს ეევალებოდათ შეეკრიბათ 40.000 კაცი, აეღვანყებინათ კავკასიის ხალხები და ეს ძალა აღემართათ თურქთა წინალმდეგ *).

ამავე გეგმით ხმელთა-შუა ზღვაზედ უნდა გაგზავნილიყო ფლოტი; ორი ესკადრა გრ. ორლოვის ხელმძღვანელობით და ევალებოდა თურქების წინალმდეგ აებხედრებინა ბერძნები და მთაშაველები.

ომი თურქებმა გამოაცხადეს ზამთრის დამდეგს და მთელი ზამთრის პერიოდი იყო გამოყენებული მზადებისათვის.

რუსეთიც დაფაცურდა, და სადაც კი შეიძლებოდა, მოკავშირეებს ეჭიბდა. პრუსიის და დანიის მეფეებმა, თანახმად ხელშეკრულებისა, აღუთქვეს დახმარება. ვრაფ პანინმა მიმართა ჯერ ავსტრიას და მერე ვენეციის რესპუბლიკას, აქეთგან კი უკანასკნელი არ ცრეცვა საქმეში.

19 იანვარს 1769 წელს ეკატერინე ხელს აწერს მანიფესტს და უგზავნის ბალკანეთის სლავიანებს **). ასეთივე მოწოდებას დაუგზავნის პოლონეთის, ბალკანეთის და კავკასიის ქრისტიანებს. პოლონეთი ამ ამბავს ცივად შეხვდა, ასევე უშედეგოდ ჩაიარა ამ საქმემ ბერძნებისა და შავი-მთის ხალხის მხრივ, ხოლო ერთადერთი რომელთაც მიიღეს ეს მოწოდება და ღირსულადაც შეასრულეს, იყვენ ქართველები.

IV

გადავხედოთ საქართველოს ვითარებას და გავყვეთ ამ ამბის მსვლელობას. ზემოდ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იმერეთში შინაური უთანხმოება სუფევდა. ამხანად ის უფრო გამწვავდა და თურქების დახმარებით სოლომონის მოწინააღმდეგე იმერეთის ზოგიერთმა თავადებმა მეფე ტახტიდგან ჩამოაგდეს და მის მაგიერ მისი ნათესავი თიმურაზი დასვეს. სოლომონი იმყოფებოდა წულუკი-

*) იქვე. გვ. 327.
**) იხ. Isambert. გვ. 23 - 24.

ძის მამულში. სწორედ ამ დროს იყო, როდესაც სოლომონ მეფემ პირველად მიმართა რუსეთს დახმარებისათვის *). ეს მოხდა 1768 წ. ივნისში. სოლომონ I-მა რუსეთში გაგზავნა დელეგაცია, რომელშიც შედიოდენ ქუთაისის მიტროპოლიტი მაქსიმე, ერთი არქიმანდრიტი და ორი ბერი, რომელთაც გააჩნია სიგელი ეკატერინესთან და წერილი გრაფ პანინთან **).

მალე სოლომონმა (როცა მისი ელჩი ჯერ კიდევ გზაში იყო) შეკრიბა ლეკები და დაამარცხა თათრები, შეიბყრო თეიმურაზი და დასაჯა რაჰველელები, რომლებიც მას წინააღმდეგობას უწევდენ. როდესაც ლეკები გაუშვა, მათ გაიყოლიეს რაჭველი ტყვეები. ეს რომ ირაკლიმ შეიტყო, ჩაუხტა გზაში, ყველა ტყვეები ჩამოართვა და უკანვე იმერეთში სოლომონს გაუგზავნა.

სოლომონ პირველის, 23 ივლისის 1768 წლის, სიგელში ნათქვამია: „... ჩვენი მტრები, მაჰმადიანი თათრები გაცილებით ძ ლ ი ე რ ნ ი არიან ჩვენზედ და ჩვენ საუბედუროდ არ შეგვიძლია მათ წინააღმდეგობა გაეუწიოთ, ამიტომ მოწყალეო დედოფალო მიგვიღეთ იმპერიაში მათი უმაღლესობისა, ისე როგორც სხვა მეფენი იყვნენ მიღებულნი, რათა ვემსახუროთ მართმადიდებლობას ერთად, ნამდვილ ქრისტიანებთან მისი უმაღლესობისა...“ ***).

1768 წ. ოქტომბერში, მიტროპოლიტი მაქსიმე იყო მოზდოკში. 30 ნოემბერს 1768 წ. საგარეო საქმეთა კოლეგიისაგან გაგზავნილი იყო უმაღლესი „უკაზი“ პანინის წერილით, **ყიზლარის** კომენდანტის ლენ.-ლეიტ. **პოტაპოვისადმი**, პანინის წერილით, მეფე სოლომონისათვის. პანინი ურჩევდა სოლომონს, ქართლ - კახეთის მეფესთან ირაკლისთან ერთად აეღოთ იარაღი თურქების წინააღმდეგ, **რისთვისაც მომავალ რუსეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებაში, სათანადო მუხლით დაჯილდოებულ იქმნება და დაცული ქართველ მეფეთა ინტერესები.**

პანინი პოტაპოვესაც სწერს, რათა მან მალე გააგზავნოს მიტროპოლიტი პეტერბურგს, ხოლო არქიმანდრი-

---

*) იხ. Бутков. Материялы. ტ. I, გვ. 276.

**) იხ. პროფ. ალ. ცაგარელი. „გრამოტი“,

***) იხ. ა. ცაგარელი. „გრამოტი“, ტ. I, გვ. 19.

ტი ამ წერილით გაგზავნოს საქართველოში მეფე სოლომონთან, და თან გააყოლოს საგანგებო და სანდო კაცი, საიდუმლო დავალებებით, სოლომონთან და ირაკლისთან.

6 იანვარს 1769 წ. მიტროპოლიტი მაქსიმე მოზდოკითგან გაემგზავრა პეტერბურგს, ხოლო 14-16 იანვარს იმერეთის არქიმანდრიტი და ქართველ გუსარეთა პოლკის პორუჩიკი ქობულოვი გაემგზავრენ იმერეთში *).

8 მარტს მიტროპოლიტი მაქსიმე მივიდა პეტერბურგს და პანინის საშუალებით მიაბარეა ეკატერინე II-ეს, სიგელი.

ხოლო 20 მარტს ქობულოვი და არქიმანდრიტი მივიდენ იმერეთს. სოლომონი ამ დროს ბრძოლაში იყო რაჭის როსტომ ერისთავთან.

სოლომონმა სიამოვნებით მიიღო პანინის წერილი და გამოსთქვა სურვილი, რომ თუ რუსეთი გამოუგზავნის მას დამხმარე ჯარს, თვითონ თავის მხრივ შეკრებს 20.000 კაცს და დაიწყებს შეტევითი ბრძოლების წარმოებას თურქთა საზღვრების საფაშოებთან.

26 მარტს პორუჩიკი ქობულოვი იმერეთითგან მიდის ტფილისში. 11 აპრილს მას ქონდა audience მეფე ირაკლისთან, რომელმაც აგრეედვე სიხარული გამოსთქვა პანინის წინადადების გამო და აგრეედვე საჭიროდ იცნო, მოეთხოვა იმპერატორი ეკატერინესგან ამის გამო, სათანადო სიგელი და რომ პირველსანებში მას უნდა გამოუგზავნოს 5 - 7 ათასი კაცი და მერე 10-50 პოლკი **), რომლითაც მას საშუალება ექნება დაიბყროს მრავალი ქალაქები ოსმალეთისა, თვით სატახტო ქალაქიც კი, და ამასთანავე თხოულობდა ირაკლი, რომ მისთვისაც განსაკუთრებული პირობა ყოფილიყო შეტანილი მომავალ რუს - ოსმალთა საზავო ხელშეკრულობაში.

როდესაც სოლომონმა დაამარცხა რაჭის ერისთავი და მოათავა შინაური საქმეები, 21 მაისს ესტუმრა ტფილისს, რათა შეთანხმებულიყო ირაკლისთან და დაემუშავებინა ბრძოლის საყურადღებო გეგმა. მოლაპარაკება დამთავრდა. სოლომონი წავიდა იმერეთში; ხოლო პორუ-

---

*) ეს ის პოლკი იყო, რომელიც ვახტანგის ემიგრაციამ დააარსა.

**) იხ. ა. ცაგარელი. „გრამოტი", ტ. I, გვ. 441.

ჩიკი ქობულოვი, ერეკლეს ელჩი არტემან ანდრონიკაშვილი და სოლომონის ელჩი დავით კვინიხძე, აპირებდენ გამგზავრებას რუსეთს, რომ ამ დროს უცბად ქობულოვი პეტერბურგიდან ილებს ბრძანებას, მოელაპარაკოს სოლომონს გზების შესახებ, თუ რა საშუალებით შეიძლებოდა რუსის ჯარის შემოსვლა იმერეთში.

ცხინვალის სხდომაზე სოლომონმა და ირაკლიმ გადასწყვიტეს, რომ საეკლესიო გზა, ეს არის ხევი, დარიალის ხეობა და სოფ ჩიმი. ირაკლი აგრეთვე ჰპირდება გზების გაწმენდას და შეელას რუსის ჯარის გადმოსვლის დროს.

26 მაისს 1769 წ. ეკატერინე სწერს სოლომონს წერილს, და ამცნობს, რომ იწყებს უკვე ოსმალეთთან ომს და „...ჩვენ გვსურს... რომ თქვენც თქვენის მხრით, ყოველივე დაყოვნების გარეშე, დაიწყოთ საერთო მტრის წინააღმდეგ შეტევებიო...“ *); სწერს აგრეთვე: „... რომ ჩვენ გვაქვს მიდრეკილება დაგიშვათ მონაწილეთ ჩვენთან ერთად საერთო მართმადიდებლობის და ქრისტიანობის დაცვაში“-ო **)

ირაკლი 5 ივნისს 1768 წ. უგზავნის პანინს წერილს, სადაც დიდ სიხარულს გამოსთქვამს და უერთდება ეკატერინეს მოწოდებას. და თავის მოთხოვნილებებს აქაც აღნიშნავს. ირაკლი კერძო წერილებშიც და ელჩის დავალებითაც, რუსეთს უდგენდა შემდეგ მოთხოვნილებას:

1. 5 ან 7 პოლკ ჯარს საქართველოს ხარჯზე;

2. ხელშეკრულების დადების შემდეგ, საქართველოს სამეფო უნდა შეიდეს რუსეთის მფარველობაში;

3. ირაკლი უნდა დაჯილდოებულ იქმნას, მეფური, საიმპერატორო ნიშნებით.

ომისთვის კი ჰპირდება, გამოიყვანოს 40.000 კაცი, თუმცა ქობულოვი ფიქრობდა, რომ მას 50.000 კაცის გამოყვანა შეუძლიაო, და შეებას თურქებს.

ირაკლიმ დაბარა აგრეთვე ელჩს, რომ თუ საჭირო გახდება და ერთდაიმავე დროს რუსეთი ომს დაიწყებს სპარსელებთანაც, ირაკლი მზად არის სპარსეთთანაც აწარმოოს ბრძოლა.

ირაკლი აგრეთვე სთხოვს დამხმარე ჯართან ერთად

---

*) იხ. ალ. ცაგარელი. „გრამოტი“, ტ. I, გვ. 51.

**) იქვე. ტ. I გვ. 54.

სპეციალისტებს, საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შესასწავლად და დასამუშავებლად.

ხხეთა შორის, 19 სექტემბერს 1769 წელს, სამეგრელოს მთავარმა კაცია დადიანმაც მისწერა წერილი რუსეთის კანცლერს პანინს, და დასდო პირობა ოსმალეთის წინააღმდეგ გალაშქრებისა.

V

ზემოდ აღვნიშნეთ, რომ კავკასიის ფრონტისთვის საერთო გეგმის ფარგლებით, დანიშნული იყვენ ლენ. მედუმი და ლენ. ტოტლებენი.

აქედან მედემი დანიშნა იმიერ კავკასიაში მომქმედ ჯარების მთავარ-სარდლად, ხოლო საქართველოში გამოგზავნილ დამხმარე ჯარის უფროსად დანიშნა ლენ.-მაიორი **გრაფ ტოტლებენი** (ეს დამხმარე ჯარი შესდგებოდა 3.767 კაცისაგან).

ტოტლებენი იყო განთქმული ავანტიურისტი და კრიმინალი. ის ქრთამების და ათასგვარ ბოროტ-მოქმედების ჩადენის გამო, არა ერთხელ ყოფილა მიცემული სასამართლოში. მისი მოკლე ბიოგრაფია ასეთია: ის დაიბადა სოფ. ტოტლებენში — ტიურინგიაში (ზოგის ცნობით საქსონიაში), 1715 წელს. 1745 წელს ის ცოლად ირთავს ერთი გრაფის ქალს. თვითონაც იღებს გრაფობას და ინიშნება სასამართლოს წევრად. 1747 წელს ქრთამის აღების გამო, მას სდევნიან და ის დრეზდენიდან გარბის ჰოლანდიაში. ცოტა გვიან ის იგებს, რომ იმპ. ელისაბედს სურს, ავსტრია-პრუსიის ბრძოლაში, დაიცვას საქსონიის კურფიურსტი, ამიტომ ის გაემგზავრა პეტერბურგს და წინადადებას აძლევს ელისაბედს, მიიღოს ის თავის სამსახურში და თანაც ბრძოლის გეგმის პროექტი წარუდგინა. ის იქ მიიღებს ლენერალ-მაიორის ჩინს, ცალკე კორპუსს, და შვიდწლიან ომში რამოდენიმე-ჯერ იხდის ბრძოლას. 8 ოქტომბერს 1760 წელს ის იბყრობს ბერლინსაც. მაგრამ მალე გამოარკვა მისი ორპირი ბუნება, მისი კავშირი მოწინააღმდეგეებთან, რომელთაც აძლევდა ცნობებს ჯარების მოძრაობის შესახებ, ორი ურიის, **საძბატკისა** და **გერშელის** საშუალებით. რუსებმა ის შეიპყრეს და 26 აპრილს 1762 წ. მისთვის დანიშნულ სასამართლომ, გამოარკვია მისი კრიმინა-

ლური ბუნება და აგრედვე, როგორც მოლალატე, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მაგრამ ამ დროს პეტრე III-ის სიკვდილის შემდეგ, ეს დადგენილება სისრულეში აღარ იქმნა მოყვანილი და 31 მარტს 1763 წელს ეკატერინე II-ემ ის გაანთავისუფლა და განდევნა რუსეთის საზღვრებითგან. 5 ივნის 1769 წ. ეკატერინე II-ე ილებს ტოტლებენის თხოვნას, მას აბრუნებს რუსეთში და დანაშაულსაც აპატიებს. შემდეგ კი, როგორც ვხედავთ, ასეთი დიდი ექსპედიციის სარდლადაც ინიშნება და მიდის საქართველოში.

ტოტლებენთან ერთად, რუსეთის საქმეთა რწმუნებულად საქართველოში, ინიშნება რუსულ - ქართული ენების მცოდნე, სასახლის სოვეტნიკი თავადი ანტ. მოურავოვი (ქართველი).

ტოტლებენი რუსის ჯარით გამოემგზავრა მოზდოკითგან 12 აგვისტოს. საქართველოში რუსების ჯარების შემოსვლის საქმე ფრიად გაძნელებული იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართველებმა დიდი შრომა და ჯაფა გასწიეს და ეს საქმე მაინც სისრულეში მოიყვანეს. თერგზე ააგეს 10 ხიდი, და 200 ქართველი ათი ვერსის მანძილზე სამი დღის განმავლობაში ხელით ეზიდებოდა ტყეს - წამალს და ზარბაზნებს.

27 აგვისტოს ირაკლი, ლევან, გიორგი და ანტონ ბატონიშვილებით და დიდი ამალით მიეგება რუსის ჯარს *).

29 აგვისტოს 5 საათზე რუსების ბანაკითგან მოვიდენ ტოტლებენი და მოურავოვი ირაკლისთან წარსადგომად. ირაკლიმ დიდის სიხარულით მიიღო ისინი და 4 სექტემბერსვე მისწერა რუსეთში 10 - 15 პოლკი ჯარის გამოგზავნის აუცილებლობაზე **).

26 სექტემბერს ტოტლებენი, მოურავოვი და მიტროპოლიტი მაქსიმე ჯარით ერთად მიუახლოვდებიან იმერეთის საზღვარს, სადაც იმერეთის მეფე სოლომონი დახვდა დიდის ამალით.

აუდიენციის დროს ტოტლებენმა გადასცა სოლომონს

---

*) იხ. ალ. ცაგარელი. „გრამოტი", ტ. I გვ. 203 და „ქართლის ცხოვრება" ტ. II, გვ. 491.

**) იქვე.

ეკატერინეს სიგელი და პანინის წერილი *) და აუწყო აგრეთვე მისი ჩამოსვლის მიზანი.

სოლომონი ილებს მას და პირველ ჩამოსვლისთანავე მონაწილეს ხდის შორაპნის ციხის თურქთაგან აღების ბრძოლაში. ამის შემდეგ კი ტოტლებენი გადადის ქართლში და თავის ჯარით დაბანაკდება გორსა და ცხინვალში.

სწორედ აქ 16 სექტემბერს ტოტლებენი პეტერბურგიდგან ილებს პასუხს ირაკლის ზემოხსენებულ თხოვნაზე, რომ ისინი ირაკლის თხოვნას ვერ უსრულებენ და 10.000 კაცს ვერ უგზავნიან. ამიტომ საქართველომ თვითონ უნდა დაიცვას თავის თავი.

21 დეკემბერს, ირაკლის მოტყუებით, რომ თითქოს მოზდოკთან მოსულა რუსის ჯარი, ტოტლებენი მიდის მის შესახვედრად და დროებით სტოვებს საქართველოს.

ერეკლე ელის მის ჩამოსვლას, რათა შეუდგეს ბრძოლების წარმოებას. ხოლო ამ დროს იმერეთს არ ასვენებდენ, რაკის ერისთავი როსტომი, რომელიც ბოლოს დაიჭირა სოლომონმა და შვილით ერთად თვალები დასთხარა. ასევე დაამარცხა სამეგრელოს მთავარი, რომელიც აფხაზეთით ერთად არ ასვენებდა იმერეთს და შემდეგ სოლომონის ელჩმა პეტერბურგში, კვინიხიძემ სთხოვა ეკატერინეს მეფის სახელით, რათა იმერეთის მორჩილებაში მოიყვანონ სამეგრელო, აფხაზეთი და ახალციხის ათაბაგი. მაგრამ ზემოდ ჩვენს მიერ აწერილ მდგომარეობაში, რომელთის ამისათვის როდის ეცალა ან რაში აინტერესებდა სოლომონის გამაგრება; პირიქით, მათვის სწორედ ასეთი მდგომარეობა ათასჯერ ხელსაყრელი იყო. მიგნით ერთმანეთ შორის ქიშპობა, ეს იყო რუსებისთვის ერთი საუკეთესო დასაყრდენი, თავიანთი პოლიტიკის გატარებისათვის. სოლომონიც ხომ ამან აიძულა რუსებისათვის მიემართა დახმარებისათვის! პირიქით, ამის შესახებ ისინი ოფიციალურ ზომებსაც ილებდენ, რათა ყველა იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ფეხს შედგამდენ, რაც შეიძლება მეტი შინაური უთანხმოება გაღვივებინათ. ხოლო იქ, სადაც ეს უკვე იყო, სცდილობდენ მის დაცვას ე. ი. უთანხმოების გაგრძელებას ხელს უწყობდენ. რუსების მხრით ამ აზრის დამადასტუ-

*) იხ. Бутков. Материялы. ტ. I, გვ. 277.

რეებელი აუარებელი საბუთები მოიპოვება, როგორც საქართველოს მიმართ, ისე სხვა ქვეყნებისა. ჩვენ კი აქ ერთ შემთხვევას მაინც დავასახელებთ, რომელიც უშუალოდ საამპერატორო კაბინეტთან არის დაკავშირებული.

ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ, იმიერ კავკასიაში მედემის დანიშვნა; შემდეგ საქართველოში ტოტლებენის მოქმედებაა და ბრძა ზრახვებს გამოვაჩკარავებთ,, და შედარებისათვის, როგორც საერთო დამახასიათებელ თვისებას რუსეთისას, ლენ. მედემის მოქმედებათაგან, კავკასიის ხალხებში, აქ აღვნიშნავთ ერთ შემთხვევას. ეი სხვათა შორის საინტერესო მიწერილობა აბაზარდოელების შესახებ ეკატერინე II-ის, ლენ.-მაიორ მედემისადმი 17 აგვისტოს 1771 წელს:

2 მუხ.: „...**საჭიროა აუცილებლად, რათა აბაზარდოში ასებობდეს ორი თანასწორი ძალიანი პარტია** (ხ. ჩ. ა. მ., და რათა აგრეთვე აბაზარდოელები შეეჩვიონ მათთან რუსის (პრისტავის) ბოქაულის ყოლას, რისთვისაც ყოველგვარი ლონისძიება უნდა იქმნეს გამონახული, აუცილებლობის დროს მოხმარებულ უნდა იქმნეს ფულიც, რათა ვანდრიაოთ საწინააღმდეგო მოქმედებათაგან და უძლიერ ჰყოთ იგინი, უკიდურეს შემთხვევაში ომის დროს მაინცო" *). ეი რუსების პოლიტიკა და ამ ზაზს ისინი ყოველგან და ყოველთვის სასტიკად იცავდენ და ამის შემდეგ ჩვენთვის ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუ სოლომონის და სხვა ქართველთა მიმართეებს, რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა.

ბაგრამ რადგან ამ დროს რუსეთს აინტერესებდა ქართველი ძალების გამოყენება ოსმალეთის წინააღმდეგ და ხელსაყრელი იყო ქართველ მეფეთა შეთანხმებული და ერთიანი მოქმედება, ამიტომ და მხოლოდ ამიტომ მოუწოდებდენ სოლომონს და ირაკლის შეერთებას. ხოლო ამ შეერთებაში, ყოველი მხრითგან სჩანს, რომ ისინი ისეთი ურთიერთობით იყვენ დაინტერესებული, რომელიც მხოლოდ მათ ინტერესებს უპასუხებდა. მათი მიზანი იყო, აღნიშნულ ინტერესთა გაჭრობასთან ეს ურთიერთობაც გამქრალიყო. ასეთი მიმართულებით მოქმედობდენ რუსები საქართველოში. ყველა ამას ქვე-

*) იხ. Бутков. Материялы. ტ. I, გვ. 321.

ძალიან ნათლად დავინახავთ. ხოლო ამას როგორ უყურებდენ ქართველი მეფენი და შეგნებულნი მამულიშვილნი, ეს მეორე საქმეა და ამასაც შემდეგში დავინახავთ.

VI

ასე თუ ისე, იცოდენ თუ არ იცოდენ ქართველმა მეფეებმა რუსების ზოგიერთი ბნელი ზრახვები, მნიშვნელობა არა ჰქონდა ამ შემთხვევაში, რათგან დღეს ისინი მათი მოკავშირენი იყვენ და გინდა არ გინდა, დახმარება უნდა მოეთხოვათ მათგან, მით უმეტეს, რომ ქართველთა ომისათვის სამზადისი აჩ იყო მათივე ინიციატივით, არამედ ის იყო პასუხი, რუსეთის თხოვნის, და ცხადია, ასეთ შემთხვევაში ქართველებს მორალური უფლება ქონდათ, რუსეთისათვის ყველაფერი ეთხოვნათ. მაგრამ რუსებმა როგორც კი დაინახეს, რომ ქართველები ადვილად დაიყოლიეს, მაშინადვე შეასუსტეს თავიანთი ყურადღება ქართველების მიმართ და ირაკლის პირველ მოთხოვნაზეც (იხ. ზემოდ) უარი შემოუთვალეს — საკუთარ ძალას დაეყრდენიო. იცოდენ, რა, რომ ქართველები თავშოყვარე ხალხი იყო და მეფე ირაკლი ერთხელ ამოწვდილ ხმალს უკან აღარ ჩააგებდა.

თავითგანვე, როცა ტოტლებენის ლაშქარი შემოვიდა საქართველოში, მისი მიზანი და მოვალეობა იყო გამაგრება და დახმარება ქართველი ჯარისა, და მაგალითის მიცემა ბრძოლების დროს. ამას ავალებდა პეტერბურგი მას ოფიციალურად. ამავე დროს რუსეთს საქართველოში თითვეული მეფისათვის უნდა გამოეგზავნა 50.000 მანეთი, როგორც ქართველი ისე დაქირავებული ჯარების ხარჯებისათვის; მაგრამ ესეც დარჩა მხოლოდ ქალალდზედ.

ტოტლებენი დაბრუნდა მოზდოკითგან. ირაკლი დიდ მზადებაში იყო.

17 მარტს 1770 წ. ირაკლი მეფე, ბატონიშვილ გიორგით და ორი არქიეპისკოპოსით დიდის დიდებით მივიდა სურამში, სადაც იდგა მაშინ ტოტლებენის ბანაკი, რათა წინასწარ მოელაპარაკა ტოტლებენთან და შეთანხმებულიყვენ ახალციხეზედ გასალაშქრებლად.

ირაკლის ახლდა 7.000 კაცი და ცოტა ხანში კიდევ ელოდა 2.000 კაცს. გარდა ამისა 4.000 კაცი ირაკლის

გაგზავნილი ჰყავდა ყარაბაღის ხანთან დასახმარებლად, დანარჩენი ჯარიც დატოვებული ჰყავდა ლეკებისგან თავის დასაცავად.

ლაშქრობის წინ, მტკვარზე ააგეს ხიდი და ირაკლი და ტოტლებენი უნდა გამგზავრებულიყვნენ ქვიშხეთ-საგერ-აწყვერით პირდაპირ ახალციხისკენ, სადაც ეგულებოდათ 6-7 ასი კაცი ლეკთა ლაშქრისა.

ამ დროს ირაკლიმ წინადადება მისცა მეფე სოლომონს, დახმარებოდა ამ ბრძოლაში, მაგრამ სოლომონის წარმოგზავნილ კაცმა, მიტროპოლიტ იოსებმა, 15 მარტს სურამში ირაკლის განუცხადა, რომ სოლომონმა ვერ მიიღო რუსებისგან დაპირებული 50.000 მან. და ეშინია, თუ იმერეთითგან გავა, მას თავს არ დაესხან დადიანისა და თურქების ჯარები. ამიტომ არ შეუძლია ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღოს *).

15 აპრილს, ბრძოლის დაწყების წინ, ირაკლიმ წინადადება მისცა ტოტლებენს, ჯარისათვის მოემზადებინა სურსათი **), მაგრამ მან ამისთვის ყურებიც არ გაიბერტყა.

პირველი შეტაკება ირაკლის მოუხდა ქვიშხეთს, სადაც ბრწყინვალედ გაიმარჯვა და მიიღო წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენი ***).

17 აპრილს ირაკლი გამარჯვებული ქართველი ლაშქრით ტოტლებენთან ერთად მივიდა აწყვერს.

მეორე დღეს ბრძოლა უნდა დაწყებულიყო და ტოტლებენი აცხადებს, რომ მან განიზრახა უკან დაბრუნება. მეფე ირაკლი გააოცა ამ მოულოდნელმა გარემოებამ. ის ახლა მიხვდა, მხოლოდ, თუ რატომ შეხვდა მის წინადადებას ტოტლებენი გულცივად, მაშინ როცა სუ-

---

*) იხ. ალ. ცაგარელი. „გრამოტი", ტ. I, გვ. 219.

**) იქვე. გვ. 34-40.

***) ირაკლის შესახებ 1770 წ. იანვარში ეკატერინე II-რე სწერდა ვოლტერს: «Les georgiens en effet ont levé le bauclier contre les Turcs... Heraclius le plus puissont de leur princes est un homme de tête et de courage. Il a ci-devant contribué à la conquète de L'Inde sous le fameux Schah-Nadir. Mes troupes ont passé au Caucasse cet automne et se sont jointes au georgiens». (Сборн. Ист. Общества, т. VII, стр. 402).

ისათის მომარაგებაზე ელაპარაკებოდა. ამიტომ რას იზავდა ახლა, დაგვიანებული იყო და ირაკლის ერთიანი დაჩენოდა, ეთხოვნა ტოტლებენისათვის, იქნებ განზრახვა შეეცვლევინებინა. ტოტლებენს ბევრი ეშინოდა ირაკლი, ბრძოლის ველს ნუ მიატოვებ, და მეც მარტო ნუ დამტოვებო, რათგან ამ დროს თურქებს ძალიან დიდი სამზადისი ჰქონდათ და მოსალოდნელი იყო, მარტო ირაკლის ადვილად დამარცხება. მაგრამ ტოტლებენი გაჯიუტდა. ირაკლიმ კიდევ სცადა დაყოლიება და სთხოვდა, ჰირველ ლაშქრობაში მაინც ჩემთან იყავ და თუ მაინც და მაინც საბოლოოდ არ დარჩები, მერე ჯავახეთითგან უფრო ადვილად გაეგზავნები ტფილისშიო. ტოტლებენმა მაინც არ გაუგონა ირაკლის და 19 აპრილს დაიხია უკან ბორჯომის ხეობით.

ირაკლი ტოტლებენისგან განრისხებული მობრუნდა უკან, თავის ჯართან, ეაამხნევა იგი, შთაბერა ვაჟკაცური სული და დაუყოვნებლივ გადასწყვიტა შეეტია თურქებისათვის.

ირაკლიმ იმავე დღეს, აწყვერთან 3 კილომეტრის მანძილზედ, სასტიკად შეუტია მტერს და კიდეც დაამარცხა. ახლაც კაცი დაადევნა უკან ტოტლებენს, რათა უკან დაბრუნებულიყო, რათგან თურქებისაგან მას ალარავითარი ხიფათი არ მოელოდა; მაგრამ ტოტლებენი ალარ მობრუნდა საბრძოლველად.

ირაკლის მეტი გზა არ ქონდა, ბრძოლა უნდა განეგრძო, უკან დახევა შეუძლებელი იყო.

20 აპრილს სოფ. ასპინძასთან მან გადაიხადა ზესანიშნავი ბრძოლა, სადაც მას წილად ხვდა ბრწყინვალე გამარჯვება. ეს მოხდა მაშინ, როდესაც მისსა და თურქების ძალების შორის საარაკო განსხვავება იყო. ამით ირაკლიმ თავის სახელოვანი ბრძოლების ისტორიაში, კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა. ეს ომი ისტორიაში ცნობილია „ასპინძის ომის" სახელით.

ამ ბრძოლაში თურქებს ყავდათ 10 - 20.000 კაცი, ქართველებს კი ყავდათ 3.000 კაცი და ირაკლიმ სულ გაუწყვიტა, ცოცხალი გადარჩენილა მხოლოდ 13 კაცი (ეს ერთხმად აღნიშნულია ყველა ისტორიულ წყაროებში), ხოლო 57 ტყვედ ჩაუგდია ხელში*). ამ ბრძოლა-

*) იხ. ალ. ცაგარელი. „ვრამოტი".

ში ირაკლიმ თავისი ხელით მოჰკლა ლეკთა წინაამძღოლი კოხტა ბელადი, ხოლო მისი შვილი და ორი სხვა ტყვე თურქი ზაალ ორბელიანის ხელით გაგზავნა რუსეთში; ეკატერინესვე გაუგზავნა ამავე ბრძოლაში ხელში ჩაგდებული25 დროშა.

ამ დიდი გამარჯვების შემდეგ, ირაკლი მარტოდაც სუსტად გრძნობდა თავს და ქ. ახალციხის ალყის შემორტყმას ვერ ბედავდა. ხოლო ტოტლებენთან სამუდამოდ წაუხდა ურთიერთობა და მისგან აღარას გამოელოდა.

21 აპრილს, მან დაისვენა თავისი ჯარით და 22 აპრილს ახალქალაქის გზით გაემგზავრა ტფილისში *).

ამ დროს ტფილისში ჩამოვიდა მოზდოკითგან პოდპოლკ. რატიევი პოლკით და ირაკლიმ ტოტლებენს წინადადება მისცა, ისიც ჩამოსულიყო, რათგან რუსების კორპუსისათვის ადვილი იყო სპერსათის მომარაგება ტფილისის ახლო-მახლო.

VII

აქ ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ტოტლებენის მოქმედებაზე და ამით ნათელ-ვყოთ რუსეთის ზრახვები საქართველოში.

როდესაც ტოტლებენი აწყვერითგან უკან გაიქცა, ის მივიდა ბორის და აქეთგან დუშეთსა და ანანურს. სხვათა შორის საინტერესო ის არის, რომ მას როგორც კრიმინალს, მისი ჯარის ოფიცრობაც კარგად იცნობდა და რომელთაც მართლა სურდათ ირაკლისთან წესიერი თანამშრომლობის გზით ოსმალეთან ომი ეწარმოებინათ, მოუწყეს შეთქმულობა. ტოტლებენმა პირველად მათთან ბრძოლა დაიწყო და როდესაც ანანურში დაბანაკდა, გამოსცა მანიფესტი: — „ვინც მომიყვანს ცოცხლად შემდეგ ოფიცრებს: რატიევს, ჩეგლოკოვს და დეგერალის, მიიღებს 1.000 ჩერვონეცს, ხოლო ვინც მკვდარს მომიყვანს — 1.000 მანეთსო". მანიფესტში სწერია „აგრეთვე მათზედ, რომ ისინი აღმოჩნდენ „მოღალატენი რუსეთის დედოფლის, შეფე ირაკლისა და მისი ოჯახისაო" **) და

*) იხ. „ქართლის ცხოვრება" წ. II, გვ. 492-493,
**) იხ. ალექსანდრე ცაგარელი. „გრაბმოტი", № 89.

სხვათა შორის დოკუმენტებითგან ირკვევა, რომ აღნიშნულ ოფიცრებს მეფე ირაკლისთან მეგობრობის მეტი არაფერი ჰქონიათ.

ტოტლებენის ასეთი თვითნება საქციელი საქართველოს ტერიტორიაზედ, ირაკლის არაფრად მოეწონა და მოურავოვთან მიწერილი წერილის სახით სასტიკი პროტესტი განაცხადა: — „ტოტლებენს ჩემს ნებადაურთველად ჩემი ხალხისთვის ამისთანა წერილი არ უნდა მიეწერა, ამიტომ მე არ შემიძლია ავიტანო მისი ყოფნა ჩემს მიწაზედ... და თუ ასეთ უწესო ადამიანს მომაცილებთ, მაშინ ვიღებ ჩემს თავზედ, რომ აქ მყოფი რუსის ჯარი სურსათით საკვებით უზრუნველყოფილი იქმნება, ასევე შემიძლია მტრების წინააღმდეგ ვიმოქმედოთ".

როგორც კი დევნა დაუწყო ტოტლებენმა თავის ოფიცრებს. მათ მაშინადვე გასცეს ის ირაკლისთან, ყველა მის მოღალატურ მოქმედებაში. მაგალითად ერთი ამ ოფიცერთაგანი პორუჩიკი **დეგრალია** 2 მაისს 1770 წ. სწერს წერილს ირაკლის *) და აცნობებს, რომ

ტოტლებენი მას აუარებელ ყალბ წერილებს აწერინებდა და ასმენდა მეფე ირაკლის. ის სწერს: „... და ყოველთვის ატყუებდა (ტოტლებენი) რუსეთის მინისტრებს, ყოველთვის სწერდა ლენ. **ჩერნიშევს** (სამხ. მინისტრი) და ლენ. პანინს, რომ როგორც დრო გაუმჯობესდება, ის (ტოტლებენი) თავისი იმპერატორის სახელით დაიპყრობს საქართველოს, იმ ქვეყანას, რომელსაც ფლობს მეფე ირაკლი და სხ...".

ჩვენ, შემდეგ, სათანადო საბუთებით დავამოწმებთ, რომ ეს აზრი არ იყო მხოლოდ ტოტლებენის, არამედ ის ხელმძღვანელობდა სასახლის ბრძანებებით, თუ ოფიცრობა წინა აღუდგა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ტოტლებენის საიდუმლოება არ იცოდნენ და შეგნებულად იცავდნენ ირაკლისთან ოფიციალურ ურთიერთობას. მაგრამ, სანამ ამისთვის სათანადო საბუთებს მოვიყვანდეთ, ჩვენ განვაგრძობთ ტოტლებენის მოქმედების დახასიათებას, იმ დროს შექმნილ მიწერ - მოწერის გამოაშკარავებით.

იმავე ანანურითგან კაპ.-პორუჩიკი **ლვოვი** 15 მაისს

---

*) იქვე. გვ. 450.

1770 წ., ირაკლას სწერდა პოლკ. პერვილეევს: — „... და ახლა დავადგინეთ, აუცილებლად როგორც კი ჩამოვა ტომსკის პოლკი, მეფე ირაკლის ორდენი ჩამოვართვათ და თვითონ რუსეთში გავაგზავნოთ, ასევე მოწინააღმდეგე პარტიის თავადები, ხოლო მთელი საქართველო მისი უმაღლესობის ქვეშევრდომობაში შევიყვანოთ. მთელი საქართველოს ქვეშევრდომობაში მოყვანა, ჩვენი 3.000 კაცითაც მოსახერხებელია...";. კიდევ: „... გრაფ ტოტლებენს განზრახული აქვს, მას (ირაკლის) ორდენი მოხსნას და მთელი საქართველო მისი უმაღლესობის მფარველობაში შეიყვანოს, რაც სჩანს ძალიან ადვილია, და მერე იმერეთის გზით შავ ზღვამდე 300 ვერსტის მანძილზე, ჩვენ ვეღარავინ ვერ შეგვაჩერებს"-ო *)

ხოლო ამავე დროს თვითონ ტოტლებენიც სწერდა პეტერბურგს 12 მაისს 1770 წელს, „... რომ განზრახული აქვს აიღოს ტფილისი, დაუმორჩილოს მთელი საქართველო რუსეთის ხელისუფლებას, ჩამოართვას ირაკლის ანდრიას ლენტი და გაგზავნოს ის პეტერბურგში ან ჩააგდოს შავ ზღვაში **).

22 მაისს 1770 წელს, თვით მოურავოვი პირველ მინისტრს გრაფ. პანინს შემდეგ ცნობას აძლევს ამის შესახებ:

„ერთმა ქართველმა აზნაურმა საიდუმლოდ მაცნობა, რომ ირაკლის ჰგონია შემდეგი: გრაფ ტოტლებენმა, რომელიც იმყოფება მისი იმპ. უმაღ. სამსახურში, თავისი შტაბის ოფიცრები საიდუმლოდ ყარაულს ქვეშ დააყენა და სხვა; ობერ და უნტერ-ოფიცრები ქართველი ეროვნებისა, გადასახლა საქართველოდგან... თვითონ კი სურს გახდეს მფლობელი საქართველოსი, — რაზეც თქვენს გრწყინვალებას, ჩემი ულრმესი მორჩილებით გაცნობებთ და მასთანვე ებედავ, მდაბალად მოგახსენოთ, მოწყალეო ხელმწიფეო, რომ ასეთი განზრახვა, რაზეც საეხელდობრ ირაკლის ეშვი ეპარება, ჩემის მხრით გრაფ ტოტლებენში არ შემინიშნავს. მხოლოდ ჩემთვის საკმარისად ცხადი იყო, რომ მტრის მიწაზე ფეხის დადგმის უწინ, მას (ტოტლებენს) არ სურდა ირაკლი მასთან ყოფილიყო, ეს ვერ აეტანა და სურდა მისი ჯარისათვის,

*) იხ. ალ. ცაგარელი. „გრამოტა", გვ. 226.

**) იქვე. გვ. 15 (ცნობა: სოლოვიევის, ტ. 28, გვ. 142).

თეიმურ ეხვლმძღვანელა; ეს ალბად უნდოდა მას იმი-ტომ, რომ მას მარტო ესახელა თავი"-ო*). მოურავოვის ამ ფურთხილ და ერთგულ წერილითგანაც ნათლად სჩანს, რომ ტოტლებენს სხვა რამ ამოძოავებდა და არა ის, რაც მას ოფიციალურად დაკისრებული ქონდა. მისი მოვალეობა იყო დახმარებოდა ირაკლისათვის, ხოლო საერთო ოპერაციების წარმოებისათვის ხელმძღვანელობა ეკუთვნოდა ირაკლის და ტოტლებენი აქ მისი მორჩილი უნდა ყოფილიყო, როგორც მისი ერთ-ერთი ლენერალი. მაგრამ ტოტლებენმა თავითგანვე პირველობა მოინდომა თვით ქართველ ჯარზეც, რათა ამით მას საშუალება მისცემოდა ირაკლი ადვილად გაეერიყა ხელისუფლებითგან და შემდეგ თავისი ბნელი ზრახვები განხორციელებინა. მაგრამ გამჭრიახ გონებას ირაკლისა არ გამოპარვია ტოტლებენის ასეთი ფიქრები და მან მაშინადვე მის წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღება დაიწყო. მან ყველაფერი დაწვრილებით შეიტყო და ჯერ ისევ ზეკითგან ოფიციალური გზით მოისურვა ტოტლებენის თავითგან მოცილება და წესიერების ჩამოდგება. ამისთვის მან მისწერა წერილები პანინს და მოურავოვს, რომ ტოტლებენმა დუშეთის ციხითგან მოხსნა ზარბაზნები და წაიღო ანანურში, შუხრანის ახლოს გასცარცვა მართმადიდებელი ეკლესია, გაიტაცა ქონება არაგვის ერისთავისა და მოჰკლა თ. შალიკაშვილი. დუშეთში, ანანურში, ცხინვალში და გორში ირაკლის ნება დაურთველად აფიცებს ხალხს რუსეთის ერთგულობაზედ. ამისთვის კი ირაკლი წინააღმდეგობას აძლევს ტოტლებენს, წარედგინა მისთვის საბუთი, ჰქონდა თუ არა ამის ნებართვა ეკატერინესაგან. მოკლედ, ტოტლებენმა აქ სულ სხვა საქმების განხორციელებას მოკიდა ხელი და ამით ირაკლის საქმე გაურთულა. ტოტლებენის ასეთი საქციელი იქამდე აღმაშფოთებელი იყო რომ, როგორც აღვნიშნეთ, მისი ოფიცრებიც გადაუდგენ და ყველა გაოცებული იყო მისი მოქმედებით. აი კიდევ მისი ერთი ოფიცერი ჩოგლოკოვი რასა სწერს ტოტლებენზე ტფილისითგან პეტერბურგს: „... ტოტლებენი ან გაგიყდა და ან რალაც ღალატს აპირებს, როდესაც ყველაფერში იქცევა რუსეთის სასახლის ინტერესების წინააღმდეგ. ქართველი

*) იქვე. გვ. 228.

მეფეები ერეკლეთან წაჩხუბა, თავადებს ებყრობოდა ცუდათ, ზოგ მათგანს სცემდა და ზოგი ბორკილებში ჰყავდა.. სოფლებს აოხრებდა, უფასოდ ართმევდა საქონელსა და პურს, შევიდა მოლაპარაკებაში ახალციხის ფაშასთან, 12 საუკეთესო რუსის ოფიცერი გადაგზავნა რუსეთში, თვითონ კი დაიტოვა მხოლოდ გერმანელები და ცუდი ყოფა - ქცევის რუსები"-ო *).

ამგვარი საქციელი ირაკლისათვის აუტანელი შეიქმნა და მან გადასწყვიტა აელაგმა ტოტლებენი. ამისთვის ირაკლიმ მოიწვია ტოტლებენისავე ოფიცრებისაგან შემდგარი კომისია და დაადგინეს, ტოტლებენი დაეტუსაღებინათ; მაგრამ ეს აღარ მოხდა. მერე ასტყდა დიდი განგაში, ტოტლებენმა საჩივრები - საჩივრებზე აფრინა პეტერბურგში ირაკლის შესახებ და პეტერბურგიც ჩაერია ამ საქმეში. ამის შესახებ 25 მაისს 1770 წელს აირას სწერს მეფე ირაკლი რუსეთის პირველ მინისტრს პანინს: „... ჭეშმარიტად მოვახსენებთ თქვენს ბრწინვალებას, რომ ტოტლებენის დატუსაღების შესახებ ჩვენ გვქონდა ორი მიზეზი: 1) რომ ის აწყვრიათგან ჭურდულად გამოგვეპარა და 2) ანანურში ჩავიდა; და ამ ორ შემთხვევით, თურქებმა და დაღესტნელებმა დამარცხებულად ჩაგვეთვალეს, გარდა ამისა ჩვენ ვიცით გრაფ ტოტლებენის საქციელების ისტორია" და სხვა **).

იმ მრავალი უთანხმოებისა და ზიანის შემდეგ, რაც გრაფ ტოტლებენმა მიაყენა საქართველოს, ათასი წერილები ხდებოდა პეტერბურგში. დღეს დაცული აუარებელი დოკუმენტები ღალადებენ, რომ ის ამბავი არ იყო უბრალო შემთხვევა, რომ ის არ შეიძლება, მხოლოდ ტოტლებენის პირადი ინიციატივის შედეგი ყოფილიყო. ამას გვიმტკიცებს თუნდაც ის საბუთები, რომელთაც ქვე მოვიყვანთ.

ერთის მხრივ ის მრავალი დასმენები, რომელსაც აწვდიდენ პეტერბურგს, ტოტლებენისავე მოწინააღმდეგე რუსის ოფიცრები და მეორეს მხრივ თვით რუსეთის დი-

---

*) იხ. ალ. ცაგარელი. „გრამოტი, გვ. 16; სოლოვიევი. 28, გვ. 142 - 123).

**) სხვათა შორის, როცა ტოტლებენი დუშეთში ჩავიდა, ქართველი მეცხოვნენი გაჰყარა და თავისი გარნიზონი ჩააყენა.

პლომატიური წარმომადგენელი მოურავოვის და ბოლოს მეფე ირაკლის საჩივრები, საკმარისი იყვნენ, სასახლის ყურადღება მიექცია ამ საგანზე, და პეტერბურგი იძულებული გახდა სერიოზულად ჩარეულიყო. განსაკუთრებით ტოტლებენის დატუსაღების აქტი, ცოტა არ იყოს, ეკატერინეს არ მოსწონებია. ის იცავს ტოტლებენს და ყველა ბეშმარიტ საბუთებს აფუჩეჩებს. ის უარყოფს თვით ერთგულ რუსების ჩვენებასაც და ბოლოს მათ მაინც პირებად აცხადებს, ხოლო შემდეგ ვნახავთ, რომ ბევრ მათგანს სასტიკადაც სჯის. ყველა ეს ფაქტები კი მკერმეტყველურად ღაღადებენ, რომ ტოტლებენის მოქმედებას ძირი პეტერბურგში უნდა ჰქონოდა.

9 ივნის 1770 წელს, ანი სხვათა შორის ეკატერინე რასა სწერს ქართველ თავად-აზნაურობასა და საზოგადოებას:

„... ბრალდება იმ წერილით ტოტლებენის შესახებ, საესებით ტყუილია და სიმართლეს მოკლებული, რათგან მოუსვენარ და ცბიერ ხალხის მიერ ტოტლებენის აწყვერის ციხითგან დახვევა, გამოცხადებულ იქმნა ღალატად. **თუმცა ეს აუცილებელი იყო** (ხაზი ჩემია **ა. მ.**) ერეკლეს ცუდი და მავნე შედეგების მომტანი განკარგულებების შემდეგო...". მოკლედ, ამ ვრცელ წერილში ეკატერინე თავგამოდებით იცავს ტოტლებენს; თუ რამე მცირე დანაშაული მოუძღვის, ეს მხოლოდ ბოროტ ადამიანთა მიზეზითო, ხოლო ეს ადამიანები კი არიან რუსეთის სამსახურში მყოფი ქართველებიო.

ასე რომ მან მთელი ბრალი ისევე ქართველებს დასდო და ირაკლის გენიალური სარდლობა და მისი რჩეული ტოტლებენისადმი, მიიჩნია უვიცობისა და უმეცრების ნაყოფად, ტოტლებენი კი მართალი გამოიყვანა *).

ასევე 9 ივლისის 1770 წლის წერილში, გრაფ პაპინი ირაკლის არწმუნებს, რომ გრაფ ტოტლებენი არ არის მოღალატე, რაც თქვენ უწოდეთო; რათგან, მისი ცნობით, მას თქვენგან მოუთხოვია სურსათი ე. ი. ჯერ თქვენ დაპირებიხართ და მერე აწყვერთან თქვენ არ გიზრუნიათო, და მშიერი ჯარით ომი ხომ არ შეიძლებოდა, ამიტომ თუმცა თქვენ საბუთი გქონდათ, მას შემდეგ რაც მათ ბრძოლის ველზედ მიგატოვათ, გეთქვათ — გვილა-

*) იხ. ალ. ცაგარელი. „გრამოტი", გვ. 126 - 127.

ლატაო; მაგრამ ტოტლებენის საქციელს ამ ვითარების გამო ლალატი არ ეთქმის *).

რუსებმა ხელზე დაიხვიეს მიზეზად ტოტლებენის გაქცევისა, ის რომ სურვათი არ ჰქონდათო. მაგრამ რასაკვირველია ეს მხოლოდ მომიზეზებაა, სინამდვილეში კი ტოტლებენის ზრახვები სულ სხვა იყო და რომ ის არ გაუვიდა ირაკლისთან, მაშინ ბრძოლითგან გაექცა. ასე მაგალითად ის ირაკლის პირველ შემთხვევაშივე არ დაემორჩილა. მისი სურვილი იყო, თვით ირაკლი მისი მონა - მორჩილი ყოფილიყო, და მეფე ირაკლი, ამისთანა დაბალი ღირსების მხედარს, აბა როგორ დაემორჩილებდა.!

ქართველი ელჩის ნამაიშვილის (ნათიშვილის) 11 ივლისის 1770 წ. ჩვენებითგან ნათლად ჩანს, რომ აწყვერთან პირველ მისვლაზეც ტოტლებენმა არ გაუგონა ირაკლის. ირაკლი ურჩევდა, რომ ჯერ მიდამოები გაენადგურებინათ და ამით შიშის ზარი დაეცათ მეციხოვნეთათვის და მაშინ ციხის აღება ადვილი იყო რასაკვირველია. ირაკლიმ ძალიან კარგად იცოდა რას აკეთებდა, მისთვის ხომ პირველი არ იყო ასეთი შემთხვევები, მაგრამ რუსის ლენერალმა, რომელიც ბორჯომის ხეობის ჩრდილებისაგან ფრთხებოდა, ვერ მოითმინა და წინაღმდეგ ირაკლის წინადადებსა, მაშინადვე აწყვერის ციხეს დაუშინა ტყვია, ხოლო შემდეგ უკან გაიქცა **).

რომ ირაკლი არაფერ შეცაში იყო და ბოლომდე ეძებდა ტოტლებენთან თანამშრომლობას, ეს იქითგან სჩანს, რომ ამ ღალატის შემდეგაც. ის თავმოყვარეობას ურთხელაც არ შეუჩერებია და 18 ივნის 1770 წლის წერილით კიდევ ებვეწებოდა ტოტლებენს: „... მე კიდევ ვაცხადებ თქვენის ბრწყინვალების წინაშე, თუ გამიგონებთ, ეხლა უკვე ხიდი საჭირო აღარ არის, ახლა მტკვრით შეიძლება გასვლა, რაც შეეხება სურსათს, ამაზე ეჭვი ნუ გექნებათ, ის ბლომად შეგიძლიათ იპოვოთ...". და თუ ეს არ გსურთო — სწერდა ირაკლი, — მაშინ გამომიგზავნეთ თქვენი ჯარითგან 1.000 კაცი სათანადო არტილერიით და მე მოუვლი მათაც და მარტო გავილაშქრებ მტრის წინაღმდეგო ***).

---

*) იქვე. გვ. 134 - 135.
**) იხ. ალ. ცაგარელი. გვ. 240.
***) იქვე. გვ. 240.

ტოტლებენმა არც ეხლა გაუგონა ირაკლის, და როცა ირაკლი ახალი ლაშქრობის მზადებაში იყო, ტოტლებენი ამ დროს ქართლში დადიოდა და ხალხს რუსეთის ერთგულებაზე აფიცებდა. ეს არის ფაქტი. ხოლო ირაკლის მოწვევაზე მასთან აროდეს ცხადებოდა და მისი უზრდელობა იქამდე შორს მიდიოდა, რომ მხრივად ირაკლის წერილებზეც არ უპასუხებდა. ამიტომ რასაკვირველია, რომ მისი ოფიცრობაც მას აუმხედრდენ და ირაკლის მხარე დაიჭირეს.

ამის შემდეგ ყველაფერი ნათელია. მაგრამ რათგან მაშინდელი საქართველოს მდგომარეობისათვის ხელსაყრელი არ იყო რუსების მთლად უკუგდება, ირაკლი იძულებული იყო, დიპლომატია ეწარმოებია მათთან. რათგან ის რუსების მიზეზით ჩაება თურქებთან ომში, გადიკიდა უკანასკნელნი და ომის შეწყვეტა შეუძლებელი იყო. ერთის მხრივ ასპინძის ომში დამარცხებული ოსმალები, მრისხანებდენ ირაკლის წინააღმდეგ, მეორე მხრით ალმოსავლეთით კიდევ ახალი ქარიშხალი ამოვარდა და ირაკლის რუსეთთან დამოკიდებულების გამო, საქართველოს ემუქრებოდა. ირაკლის ისტორიკოსი ამბობს: „... ხოლო დროსა ამას განძლიერდა **ქარიმ-ბან** და სცნა მეფისა ირაკლისაგან რუსეთის იმპერიისა საფარველსა ქვეშე შესვლა, განძვირდა ამისთვის... ოსმლისათვის შეჰკრიბნა ჯარნი ერანელნი და მოვიდა თავრიზს...“ და სხვა *). ასეთი იყო ამ დროის საქართველოს მდგომარეობა. უარესად გართულებული იყო რუსეთის მდგომარეობა, როგორც გარედ ისე შიგნით. რუსეთისათვის ძნელი იყო საქართველოს სრული დაბყრობა, და ირაკლისთან მდგომარეობის გამწვავებაც, არ იყო მათთვის ხელსაყრელი. ამიტომ საქართველოში წესიერების აღდგენისათვის გამოგზავნილ იქმნა ეკატერინეს მიერ პირადად დასახელებული გვარდიის კაპიტანი **იაზიკოვი**, იმპერატრიცის ორი სიგელით, წერილით და ინსტრუქციით პანინისა **).

პირველი სიგელით, მას ნებას აძლევს ეკატერინე: თუ ვინიცობაა, ირაკლი ტახტითგან ჩამოუცდია ტოტლებენს

---

*) იხ. „ქართლის ცხოვრება“ წ. II, გვ. 494.

**) იხ. ალ. ცაგარელი. „გრამოტი“, გვ. 155 და Бутков. «Материалы», ტ. III, გვ. 119.

და ყოველგვარი პატივი აუხდია — ისევ გაამეფე და დაუბრუნე ყოველივეი.

აქ მოვიყვანთ ინსტრუქციის იმ ადგილს, სადაც ეს ამბავია აღნიშნული:

მუხ. 4. „საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ირაკლი სანამ აღდგენილ იქმნება (ტახტზედ), ბოდიში მოიხადოს ჩვენს წინაშე წერილობითი“ და სხვა. „ამ სიგელის შინარსის მიხედვით, ის (ირაკლი) მოვალეა ჯერ თქვენ წარმოგიდგეთ, მერე კი შეგიძლიათ განუცხადოთ პატიება. შეეცადეთ, რომ მისი თხოვნა გამოიხატებოდეს ზრდილობიან სიტყვებში, და ბოლოს, რომ ამ ამბავს გარეგნულად მისცეთ დიდი მნიშვნელობა; ბ. გრაფ ტოტლებენის რჩევით შეასრულეთ ზოგიერთი ცვლილებანი, რათა ქართველ ველურ თავებში დიდი ხნით დარჩეს ასეთი პატივისცემის შთაბეჭდილება“. „... თქვენ ყოველი ღონე უნდა იხმაროთ, რომ ირაკლი დარჩეს ჩვენს იმპერიასთან კეთილ განწყობილი, ყოველ შემთხვევაში, ოსმალეთთან ომის განმავლობაში მაინც“ *).

ამ წერილს განმარტება აღარ სჭირდება. მაგრამ სანამ ორიოდე სიტყვას ვიტყოდეთ თვით პეტერბურგის სასახლის პოლიტიკაზედ, აქვე მოვიყვანთ მეორე წერილს, პირველი მინისტრის **პანინის**, მიწერილს გრაფ ტოტლებენისადმი 16 ივლისს 1770 წ.

„... აქვე უნდა შევნიშნო, რომ რაც შეეხება თქვენს მიერ დაწყებას, ქართველთაგან ფიცის მიღებას, მ. უ. ი. მფარველობაში შემოსაყვანად და სხ.... და რაც შეეხება სხვა საგანებლობათ, მიწის ხარისხი, და სხვა, თუმცა თავისთავად დიდად სასარგებლოა, მაგრამ მოითხოვენ დიდ მზრუნველობას და ამ ომის დროს აქაური მთავრობის მოქმედებასთან შეუთავსებელია. გარდა ამისა სიშორე საქართველოსი და მიმოსვლის სიძნელე, აი ორი გარეგმოება, რომელნიც მაგ ქვეყნის მითვისებას უსარგებლოდ ხდის. მაგრამ შეიძლება დადგეს დრო, როდესაც მოგვეცემა შემთხვევა, აღნიშნული დაბრკოლებების გადალახვისა, ახლა კი, უმთავრესი **საჭიროება, რომ** ქართველები ჩვენ ომში მოგვეხმარონ...“ და შემდეგ განაგრძობს დარიგებას, რომ სანამ ხელსაყრელი დრო დადგებოდეს, თქვენ მანდ უნდა შექმნათ ნიადაგი

*) იხ. ალ. ცაგარელი. „გრამოტა“, ტ. I, გვ. 141.

და დასძენს: „... რათა სინამდვილეში ყოველივე ხდებოდეს აქაური ხელმძღვანელობით და დარიგებებით, მოკლედ, რომ სული იყოს აქაური — სხეული კი ქართული. — ეს იყო განზრახვა თქვენი საქართველოში გაგზავნისა, რაც თქვენს მიერ დაწყებული იყო სისრულეში მოსაყვანად, და კიდეც გაგრძელდებოდა, რომ მოულოდნელ და გადამწყვეტ გარემოებებს არ დაებრკოლებინათ" *). ასეთია ეს წერილიც. ხოლო იმ ოფიცრების მიმართ, რომელნიც მოქმედებდენ საქართველოში ტოტლებენის წინაღმდეგ და იცავდენ ირაკლის სიმართლეს, ინსტრუქციაში ნათქვამი იყო, რომ იაზიკოვს, საქართველოში ჩასვლისთანავე ისინი უნდა შეებყრო და გადაეგზავნა რუსეთში.

ამ უდავო საბუთებით მტკიცდება, რომ ტოტლებენის მისია საქართველოში სულ სხვა ყოფილა და ამით ის ფაქტიც ადვილი ასახსნელი ხდება, რომ მან ბრძოლის ველი მიატოვა და გაიქცა. სხვა გვარად მისი ახსნა ძნელი იყო, რათგან ირაკლი რუსეთმა აღნიშნულ ბრძოლაში მოკავშირედ გაიხადა, ტოტლებენი მის დამხმარედ გამოგზავნა, ე. ი. მათ უნდა ეკეთებინათ ერთად რუსეთის საქმე და უცბად ამას თვით რუსის ღენერალი გაურბის; რასაკვირველია, წვრილმანი მიზეზები, აქ მოსატანი არ არის, რათგან იმ მიზეზების გამო. რასაც ტოტლებენი ასახელებს, და საზოგადოდ საბუთებში შენახულია, ტოტლებენი ვერ გაბედავდა რუსეთის მთავრობის წინაღმდეგ რამის ჩადენას, და რომ კიდეც ეს ჩაედინა, რუსის მთავრობა მის მოქმედებას ასე აშკარად ხელს ვერ დაუფარებდა, მით უმეტეს, იცოდა მან მისი „სახელოვანი" წარსული. ამიტომ აშკარაა ტოტლებენის აღნიშნულ მოქმედებაში, პეტერბურგის კაბინეტის ხელი ერია და სრულიად შეგნებულადაც ხელმძღვანელობდა. აქ მოყვანილი ორი წერილი, ეს ისეთი საბუთებია, რომელთაც ვერსაფერი შეარყევს. რომ ეს დასკვნა შემცდარი იყოს, რუსის მთავრობას ხომ უნდა მიეღო რაიმე ზომები, გარეგნულად მაინც, მით უმეტეს, ტოტლებენის ასეთ მავნე მოქმედებას, მის ღალატს და ყოველგვარ სიავერაგეს ირაკლის მიმართ, ამოწმებდენ მთელი მისი პოლკის რუსის საუკეთესო ოფიცრობა. რომ მართლა,

*) იხ. ალ ცაგარელი. „გრამოტი", გვ. 155 - 156.

მისი მოქმედება ზევითგან კარნახით სწარმოებდა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ეკატერინე II-ემ, ვიდაც ავანტიურისტ გერმანელ ლენერალს ანაცვალა რუსის მრავალი ოფიცრობა, თუ აღარაფერს ვიტყვით ქართველებზედ. რათგან ტოტლებენის სახით ის იცავდა რუსეთის პოლიტიკას. ხოლო ყველა მოწინააღმდეგენი სასტიკად გაიცა ხა. აქ ეკატერინე ისეთ განრისხებამდეც მიდის, რომ რაკი ტოტლებენმა მიზანს ვერ მიაღწია და გამოაშკარავდა მისი ყველა განზრახვები ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, გონიერმა ირაკლიმ ადრე შეუტყო ყველაფერი და სათანადო ზომები მიიღო. — ის იაზიკოვს ინსტრუქციით ავალებს, ირაკლის ბოდიში მოახდევინოს და მხოლოდ შემდეგ აპატიოს. და ირაკლის ყველა ეს ისეთი სისასტიკით უნდა შესრულებინოს, რომ ეს შთაბეჭდილება დარჩეს „ბარბაროს ქართველთა გონებაში". ამ ინციდენტის შემდეგ, რუსებმა შეუძლებლად იცნეს საქართველოს დაპყრობა; ჯერ როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ამას ხელს არ უწყობდა მდგომარეობა და მეორე დაბყრობა ისეთი ქვეყნის, რომელსაც ათასეული წლების სახელმწიფოებრივი ტრადიციები აქვს; არც ისე ადვილი იყო, ამას მთავრობის ზოგიერთი წევრები უთუოდ ადრეც გრძნობდენ, ეს-ა სჩანს კანცლერის აქ მოყვანილი წერილითგან. ახლა კი კანცლერი პანინი თავის წერილში ტოტლებენისადმი, პირდაპირ მოითხოვს, რომ ჯერ შექმნას საქართველოში ისეთი მდგომარეობა, რომ „სული იყოს აქაური (ე. ი. რუსული), ხოლო სხეული ქართველი". ამის შემდეგ ტოტლებენის ნამდვილი მისია საქართველოში ნათელია. მაგრამ მან ეს ვერ აღასრულა და დამარცხდა. ხოლო ირაკლიმ ყველა ამ უბედურობის გადატანაც შესძლო და მტერსაც გაუმკლავდა. ასეთი იყო ტოტლებენის „მოღვაწეობა" აღმოსავლეთ საქართველოში. ცუდი აღმასრულებელი აღმოჩნდა ტოტლებენი თავისი მისიის, მაგრამ ფაქტი სრულებითაც ვერ ფარავს რუსეთის ზრახვებს საქართველოს შესახებ.

VIII

სანამ იაზიკოვი ჩამოვიდოდა საქართველოში, ჯერ კიდევ ივლისში 1770 წ. ტოტლებენმა დასტოვა ქართლი და გადავიდა იმერეთს. ის იქ სოლომონ (I) მეფესთან

ერთად შეუდგა ბაღდადის ციხის აღებას, სადაც იდგა თურქების გარნიზონი. 5-6 აგვისტოს, სამი საათის ბრძოლის შემდეგ, ციხე ჩაჰბარდა.

26 სექტემბერს 1770 წ. იაზიკოვი ჩამოდის ქუთაისში; რუსის ჯარიც აქ იყო ამ დროს დაბანაკებული. იაზიკოვმა ჩამოსავლისთანავე დაატუსაღა მასთან მოსული, საქართველოში რუსეთის საქმეთა რწმუნებული (ელჩი), მოურავოვი და რუსეთში გადააგზავნა. ეს მოურავოვი იყო შთამომავლობით ქართველი და სხვათა შორის ტოტლებენი პეტერბურგში სულ იმას ამბობდა, რომ ყველაზე მეტად მღალატობენ შთამომავლობით ქართველი ოფიცრებიო. კერძოდ მოურავოვზე კი სწერდა, რომ ის ირაკლის სარგებელს უფრო ეძებს, ვიდრე რუსეთისაო*). ამიტომ იაზიკოვს, ასეთი ხალხის ალაგმვაც დაავალა ეკატერინემ. მოურავოვის მაგიერ დაინიშნა ლევოვი.

იაზიკოვი შეხვდა მეფე სოლომონს; უკანასკნელმა კი პირველ აუდიენციაზევე პირობები გაუხსენა. მან მოახსენა, რომ რუსებისაგან დაპირებული 50.000 მან. არ მიუღია. იაზიკოვმა სიტყვა ბანზე აუგდო და გამართა მოლაპარაკება ახალი ლაშქრობის შესახებ.

3 ოქტომბერს, ტოტლებენი თავისი და დადიანის ჯარებით გადის ფოთის ციხის ასაღებად. მდგომარეობა ძნიმე იყო. თურქებს საკმაო ძალები ჰყავდათ, ამიტომ იაზიკოვს ეშვი ეპარებოდა, რომ მარტო რუსის ჯარით შეუძლებელი იყო ამ ციხის აღება. საჭიროდ სცნობდა, ირაკლისა და სოლომონის ჯარების გაერთიანებას, რისთვისაც აუცილებელი იყო ტოტლებენისა და ირაკლის შერიგება. იაზიკოვი ამ გადაწყვეტილებას დაადგა.

23 ოქტომბერს, იაზიკოვი და ლევოვი გადადიან ალმოსავლეთ საქართველოში. ისინი ეახლენ მეფე ირაკლის ბორჩალოში, სადაც იყო ამ დროს ის დაბანაკებული თავისი ჯარით. აქ გაიმართა მოლაპარაკება და ირაკლი შერიგებაზე დიდის სიამოვნებით დეთანხმა და 24 ნოემბერს ქალაქ გორში კიდეც დაუნიშნა პაემანი. ტოტლებენი არ გამოცხადდა და როგორც იაზიკოვი სწერს პანინს: „... შაგრამ ამ უკანასკნელს (ტოტლებენს) არ სურს შეასრულოს უმაღლესი ბრძანება, — შეურიგდეს არც მას (ერეკლეს), არც მეფე სოლომონს და ეძიებს

*) იხ. ალ. ცაგარელი. „გრამოტა", ტ. I, გვ 143.

რა ცალიერ სახელს, მარტო უნდა დაიბყრობს ქალაქები, ამიტომ მას მრავალი ხალხი გაუწყდა ქუთაისთან და ფოთში... ქუთაისთან მას დაელუპა 70 კაცი, ახლა ფოთთან კი100 კაცი" — სწერს იაზიკოვი *).

ირკვევა, რომ ტოტლებენი არც ამ საგანგებოდ გამოგზავნილ პირიოვნებას უგონებს და ახლაც, დასავლეთ საქართველოშიც ისევე მოქმედებს, როგორც აღმოსავლეთში იქცეოდა. იაზიკოვი რასაკვირველია ასეთი სურათის წინაშე თვალებს ვერ აიხვევდა და მანაც მთავრობას ყოველივე სიმართლე აცნობა; ამით კი ისიც გადავიდა ტოტლებენის მოწინააღმდეგეთა ბანაკში და როგორც ქვემოთ დავინახავთ, ასევე დაემართება რუსეთის საქმეთა ახალ რწმუნებულს საქართველოში ლეონს.

იმერეთში, ტოტლებენმა თავისი უწესო საქციელით სოლომონ მეფეც მოაბეზრა, ამიტომ იყო, რომ 19 ოქტომბერს 1770 წ. სოლომონი გრაფ პანინს დიდ საყვედურებსა სწერს ტოტლებენის შესახებ.

ის სწერს, რომ აქ მოვიდა ტოტლებენი, ვერ უნდოდა შორაპნის ციხის აღება, დავიწყეთ ბრძოლა, მერე მიგვატოვა და გაიქცა. იქაც აწყვერთან ირაკლის გამოექცაო. „ტოტლებენმა მიიღო დამატებითი ჯარი და არტილერია, თავისი უმსგავსო საქციელით წაგვაჩხუბა მე და ირაკლიო" და სხვა.

როცა მე ვთხოვდი შავი ზღვის ნაპირებზე გალაშქრებას, ის ახალციხისკენ წავიდა, არც ჩვენი ჯარი წაიყვანა და ისევ ხელცარიელი დაბრუნდა. წავიდა მარტო „იმიტომ, რომ მის უმაღლესობის კარზედ თავი გამოეჩინა და მტერისათვის შიშის ზარი დაეცა, მაგრამ პირიქით, თავისი უწესო საქციელით ვერავითარი სახელი ვერ მოიხვეჭა, და მტერიც უფრო გაათამამა. ამიტომ თუ შესაძლებელი იქნება, აქ მის ნაცვლად სხვა მთავარსარდალი დანიშნეთ, რომელიც ჩვენს რჩევას მიიღებს და შეასრულებსო". და სხ. **).

ყოველად აუტანელი შეიქმნა ტოტლებენის საქციელი, ამიტომ სოლომონიც. მსგავსად ირაკლის, ისევ მშვიდობიანი გზით არჩევს მის თავიდგან მოცილებას.

ტოტლებენი თვით ლეონსაც ოცებს. ეს უკანასკნე-

---

*) იხ. ალ. ცაგარელი. „გრამოტი" ტ. I, გვ. 19.

**) იხ. ალ. ცაგარელი. „გრამოტი", ტ. I, გვ. 63.

ლი უფრო საშინელ წერილებს სწერს პანინს. მაგალითად 2 დეკემბერს 1770 წ. ის სწერდა, რომ მასში ვხედავ უსაზღვრო „გაუმაძღრობას ცარცვა-გლეჯისადმი, რაც მან სავსებით გვაჩვენა ქუთაისის უგზო-უკვალოდ ალების დროსაო... ვერასოდეს ვერ გავბედავდი მეფეს-ერა, რომ ტოტლებენი ასე გაუმაძღარი იქნებოდა“ ამისთვის მან პატიმნენებაც გასწირა, არავის არ ზოგავს, ის ასევე ეჭცევა თავის ხელქვეითებსაც და სხ. *).

შორს წაგვიყვანს აღწერა იმ საქციელთა, რომელიც ტოტლებენმა ჩაიდინა საქართველოში; და ეს სჩანს არა მარტო სოლომონის და ერეკლეს წერილებითგან, არამედ და უფრო მეტად, თვით რუს მოხელეთა და მხედართა მიწერ-მოწერა, სავსეა ამის მაგალითებით. ხოლო თვით ამ საქმის გამოსარკვევად გამოგზავნილი იაზიკოვის მოხსენებები, საკმარისია მის დასახასიათებლად

ერთხელ თვით იაზიკოვსაც კი განუზრახა ტოტლებენმა დატუსაღება, (იაზიკოვმა მეფე სოლომონს შეაფარა თავი) და მეორე ღენ. სუხოტინს აცნობა პირიქით, რომ იაზიკოვს უნდოდა ჩემი დაჭერაო. ამიტომ სასოწარკვეთილი იაზიკოვი სთხოვს პანინს შველას.

იაზიკოვი სწერს, რომ ტოტლებენი არა მარტო არ უგონებს ადგილობრივ მეფეებს, მათზე ათას ჭორებსაც ავრცელებს, ათას ცუდს რაჰეებს ლაპარაკობს და სახელს უტეხს. მაგ. სოლომონს „თათარს“ ეძახის და ერეკლეს მოღალატესაო. — ხოლო ჩემის მხრით უნდა მოგახსენოთ, სწერს იაზიკოვი — რომ ერთგულება მეფე ირაკლისა და სოლომონ მეფის, იმპერატორისადმი, განუზომელია... „ტოტლებენი კი ორივე მეფეს საჯაროდ ლანძღავს და სთველის უბრალოდ ჯარის-კაცებად“. ტოტლებენმა შეაძულა თავი არა მარტო მეფეებს, არამედ მთელ მოსახლეობასაც და ამით ჩვენი სახელის გაკეთების მაგიერ, ჩვენი ერის პრესტიჟი სავსებით დასცა ქართველთა თვალშიო“ და სხ. **).

ამდენი აყალმაყალის შემდეგ, როდესაც საქმეს ვერც ეკატერინეს მიერ სპეციალურად გამოგზავნილ პიროვნებამ უშველა, და პირიქით როცა დაინახა რუსეთის მთავრობამ, რომ მათი დანიშნული ყველა რუსის მოხელე,

---

*) იქვე. ტ. I, გვ. 21.
**) იხ. ალ. ცანარელი. „გრაბოტი“, ტ. I, გვ. 21.

როგორც შეთქმულნი, ყველა ერთბაშად ტოტლებენის წინააღმდეგ ამხედრდენ და დაიცვეს ქართველი მეფენი — იძულებული შეიქმნა გადამჭრელი ზომები მიეღო.

რუსეთის მთავრობა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ აქ გარეშე მიზეზები არაფერ შუაში იყო, რომ თვით ტოტლებენი ვერ აღმოჩნდა იმ სიმაღლის და ენერგიის პიროვნება, რომელიც ფრთხილად განახორციელებდა საქართველოში მათ პოლიტიკას, და ჯერ კიდევ 19 დეკემბერს 1770 წ. ეკატერინე სწერდა პანინს: „მე ვფიქრობ, რომ მას (ტოტლებენს) საქართველოში ჩვენი საქმეების წახდენა უფრო შეუძლია, ვიდრე გაუმჯობესება, ამიტომ ვფიქრობ, საჭიროა სხვის დანიშვნაო" *).

იმავე რიცხვით ეკატერინე კიდევ სწერს პანინს: „მე მგონია, საჭიროა საქართველოდან მოურავოვის (?) გამოწვევა. მასვე უნდა ებრძანოს, რათა თავისთან ერთად წამოიყვანოს ჩოგლოკოვი და რიტიევი ოფიცრით (დეგრალია) **) ერთად, რომელზეც სწერს თავის „მანიფესტში" ტოტლებენი (და თუ ისიც მართალია, რომ გრაფ ტოტლებენმა ის მანიფესტი გამოსცა)... საჭიროა გრაფ ტოტლებენის გამოცვლა ***).

ლენ. ტოტლებენის გამოცვლის შესახებ სხვათა შორის იაზიკოვიც თავის პირველ მოხსენებაში სწერდა.

და ბოლოს ეკატერინემ ყველაფერი სისრულეში მოიყვანა, და 13იანვარს 1771 წელს, ტოტლებენის მაგიერ, საქართველოში დანიშნა ლენ.-მაიორი ალ. სუხოტინი.

IX

ალ. სუხოტინი დანიშნა საქართველოში მყოფ რუსის ჯარების მთავარ-სარდლად.

ეკატერინე თავის ინსტრუქციის პირველ მუხლშივე სწერს: „... ჩვენი განზრახვა იყო და არის ის, რომ თვით

---

*) იქვე. გვ. 24. (იხ. Сборник Имп. Рос. Ист. Общест. ტ. X, გვ. 41).

**) ეს ოფიცრები ეკუთვნოდენ ტოტლებენის მოწინააღმდეგეთა ბანაკს.

***) იქვე. ტ. I, გვ. 442.

ქართველები გამოვიყენოთ მტრის წინააღმდეგ სადივერსიოთ, ჩვენის მხრით კი უნდა გავამაგროდ მხოლოდ იმდენი ჯარით, რაც უკვე საქართველოში იმყოფება, და არა ის, რომ მაგ მხარეს ჩვენ უშუალო ბრძოლა ვაწარმოვოთ" *).

ლენ. სუხოტინი 13 მაისს 1771 წელს ჩამოვიდა იმერეთში, სადაც იმ დროს იყო რუსის ჯარი.

შემდეგ. ირაკლისა და სოლომონთან ერთად ხელთუბანში გამართა მოლაპარაკება. ირაკლის უნდოდა გაელაშქრა ახალციხეზე, ხოლო სუხოტინი მას არ დაეთანხმა და ის დაჟინებით ფოთის აღებას მოითხოვდა. ამ გვარად თავითვანვე სუხოტინიც იწყებს ისეთსავე მობყრობას ქართველ მეფეებისადმი, როგორც მისი წინამორბედი ტოტლებენი. იმ დროს, როცა მისი მოვალეობა იყო ირაკლის განკარგულებით ემოქმედა, მას არ უგონებს და რუსის ჯარით გაემგზავრება ფოთის ასაღებად.

ირაკლის კი ასმენს პეტერბურგში, რომ ის მხოლოდ თავის სარგებელს ეძებს და არა რუსეთისას, რუსების დახმარების მაგიერ, მას უნდა თავისი საქმე გაიკეთოს და რუსის ჯარი კი ამაში გამოიყენოსო. ის სწერს: „...ირაკლი დიდის მოწიწებით არჩევს ყველა საქმეს, ოღონდ ყველაფერს თავის სასარგებლოდ, ხოლო სოლომონი, მის უმაღლესობას ყველაფერში ეთანხმებაო".

რუსის ლენერალი ვერ მიმხვდარიყო იმას, რომ ქართველი მეფეები რუსეთის იმპერატორის ძიძიშვილები არ იყვენ, და მათთან მოკავშირედ შესვლის დროს, საკუთარი მიზნებითაც ხელმძღვანელობდენ. ქართველ მეფეთაც უნდოდათ ესარგებლად რუსეთ-ოსმალეთის ომის შემთხვევით და თავიანთი მტერი შეესრესტებინათ. ირაკლი ოცნებობდა სამხრეთ საქართველოს და მთელი ძველი ისტორიული საზღვრების აღდგენაზედ; თუ რუსის ჯარიც ზურგს გაუმაგრებდა, მას იმედი ქონდა, მიზანს მიაღწევდა. ხოლო ეს აქტი თავისთავად გამოხატავდა ამრიგად რუსების დახმარებასაც და ამ თვალსაზრისით ე. ი. რუსებისავე ინტერესის დაცვისათვის, სწორედ საჭირო იყო რუსის ლენერლები ერეკლეს პოლიტიკასა და გეზს დამორჩილებოდენ. მათთვის საინტერესო იყო ოსმალეთთან ბრძოლა, მისი ძალების შესუსტება, ხოლო სა-

*) იხ. ალ ცაგარელი. „გრამოტი", ტ. I, გვ. 471.

უკეთესი საშუალება კი ის იყო, რომ სრულიად საქართველოს და რუსეთის გაერთიანებულ ჯარებს ემოქმედათ ერთად და არა ცალ-ცალკე. ბრძოლის მთავარი გეზი კი იყო ერეკლეს მიერ ნაჩვენები და მეტად სწორიც. სუხოტინის შეხედულება იყო მცდარი, რათგან ფოთის ცხის აღებით, არაფერი შეემატებოდათ მათ და ვერც მტრის ძალას შეასუსტებდენ, ხოლო თურქებისაგან, მას ყოველთვის ადვილად მოელოდა განმეორებითი დაბურობა. რად იქცეოდა სუხოტინი ასე? ეს გარემოება ადვილი ასახსნელი ხდება, თუ გავიხსენებთ ტოტლებენის ამბებს. როცა მან თავის მიზანს ვერ მიაღწია აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთში გადავიდა და იქ შავი ზღვის ნაპირებისკენ გაეშურა. მას, ეგონა, ზღვის ნაპირებს თუ ხელში ჩაგდებდა, მერე საქართველოზე მოქმედება ადვილი იყო. აქ მას შედარებით სუსტ ძალებთან ქონდა საქმე, აფხაზეთი, გურია და სამეგრელო ისეთ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდენ, როგორც მეფე ირაკლი და სოლომონი. და ეი ტოტლებენის ღირსეული მემკვიდრის, ალ. სუხოტინის მოქმედებაც გვაგულისხმებინებს, რომ მისი გაზიც ისეთივე იყო, ისიც მის კვალს გაყვა და ამიტომ ცხადია, მასაც ის ბედი უნდა სწვოდა, რაც პირველს.

მთელი ძალები დანაწილდენ. სუხოტინი ფოთს გაემგზავრა და ირაკლის დაჰპირდა, რომ ქალაქის აღების შემდეგ მიეშველებოდა მას. სუხოტინს ეხმარებიან დიდიანი და გურიელი. სოლომონი კი გამაგრებული იყო ბალდათან და გზას უჭერდა, თათრის ჯარს ფოთში არ მიშველებოდა.

ამ დროს კი მეფე ირაკლიმ აილო ხერთვისის ციხე, გაანადგურა თათრები და მოელოდა სუხოტინს ახალციხეზედ გასალაშქრებლად.

მაგრამ ფოთთან სუხოტინი სასტიკად დამარცხდა და ითხოვა ეკატერინესგან მისი თანამდებობითგან განთავისუფლება, მიზეზად იმას ასახელებდა, რომ ის შეპყრობილი იყო საშინელი ციებ-ცხელებით. ამ ომში, როგორც ლვოვი სწერს, რუსებს გაუწყდათ 800 კაცი.

სუხოტინის ურთიერთობაც. ქართველ მეფეებთან მალე გამოირკვა. ისიც არ ემოწმენილებოდა ქართველ მეფეებს. ჯერ იყო და პირველ სამხედრო ბჭობაზე ირაკლის წინადადება არ მიიღო, და მერე არ გაუგონია სო-

ლომონს. რომ ფოთზე გალაშქრება იმ სეზონში, როცა ეს სუხოტინმა ჰქმნა. შეუძლებელი იყო და ამიტომ სასტიკად დამარცხდა. ისიც მსგავსად ტოტლებენისა, პირადი პატივმოყვარეობით იყო დატვირთული და ანგარიშს არ უწევდა ქართველ ჯარს. აი რას სწერს ამის შესახებ ეკატერინეს, სოლომონ მეფე:

„... ჩვენ რამდენიც არ ვურჩიეთ, სუხოტინმა მაინც არ შეიღო ჩვენი რჩევები, ასევე ფოთის ციხესთან ჩვენ არ მიგვიწვია, მხოლოდ თავისი პატივმოყვარეობით, რადგან მას სურდა მარტო დაეპყრო ის და ამით თავი ესახელა.". და სხვა მრავალი საყურადღებოა ამ წერილში. ბოლოს სწერს, რომ: „...გვარცხვენს თქვენს წინაშე ის მდგომარეობა, რომელიც აქ შეიქმნა, რამდენი ხანია აქ არის რუსის ჯარი და ვერაფერი ნაყოფი ვერ მოიტანა"".

რასაკვირველია ტოტლებენსავით სუხოტინის ასეთი მოქმედებაც, პეტერბურგის კარნახის შედეგი იყო. როგორც კანცლერი, ისე იმპერატრიცა საიდუმლოდ, ყოველთვის იმას სწერდენ თავიანთ ლენერლებს, რომ მათ თავიანთი ჭკუით ემოქმედათ და მეტიც, რომ მათი დიდი „სამხედრო მეცნიერებით" ქართველ მეფეებზედაც გავლენა მოეხდინათ. იმპერატრიცის მიერ სუხოტინისადმი მიცემულ ინსტრუქციაში აი, რასა ეკითხულობთ: „... შეეცადეთ ყოველთვის, დაიცვათ მნიშვნელობა თქვენდამი რწმუნებული მმართველობისა, რის გამო მათ მეტად მართებთ ანგარიშის გაწევა თქვენი, ვიდრე თქვენ მათი. ისინი მოვალენი არიან, რამოდენიმედ იყვენ თქვენს დამოკიდებულებაში. თქვენ კი უნდა იყოთ მათი, როგორც გაუნათლებლების და უზრდელების — ხელმძღვანელი და ზედამხედველი, ყველა განკარგულებების, რაც კი შეეხება სამხედრო საქმიანობას" და სხ. *).

მაგრამ სუხოტინიც მის ამგვარ უფლებას, მიცემულს პეტერბურგითან საიდუმლოდ, მოხერხებულად ვერ იყენებდა და მალე მანაც შეაძულა თავი ყველას, დაიმსახურა ჯნდობლობა და სიძულვილი და ყველასათვის ისეთივე ზედმეტი ბარგი შეიქმნა, როგორც ტოტლებენი.

თვით ლევიც კი, 27 ივნისს 1771 წელს სწერდა პა-

---

*) იხ. ალ. ცაგარელი. „გრამოტი", ტ. I, გვ. 475.

ნინს, რომ სუხოტინი შეც ძალიან უპატოსნოდ მექ-
ცეოდა.

სუხოტინის შესახებ მიდის პეტერბურგში მრავალი
საჩივრები, როგორც ქართველთაგან, ისე რუსის მოხე-
ლეთაგან. სხვათა შორის, ჩვეულებრივ, რუსებს თავიან-
თი მაღალი მოხელეების უკან, ყოველთვის ჰყავდათ საი-
დუმლო აგენტები რომელნიც მთავრობას აწვდიდენ
ცნობებს მათი მოქმედების შესახებ.

ბოლოს მთავრობა იძულებული გახდა, სუხოტინიც
დაეთხოვათ, მანამ კი ეკატერინემ ბრძანება გასცა, სამ-
ხედრო საბჭოს განეხილა სუხოტინის მოქმედება საქა-
ართველოში ყოფნის დროს. აუ კი რასაკვირველია უმთა-
ვრესად ეხებოდა სუხოტინის იმ შემცდარ სამხედრო
ოპერაციებს, სადაც აუარებელი ჯარი დალუპა.

იანვარში 1772 წელს, ეკატერინე სუხოტინს უგზავ-
ნის ბრძანებას, თავისი ჯარით რუსეთში დაბრუნების
შესახებ.

29 აპრილს 1772 წ. ლეონი ჩადის იმერეთში და მეფე
სოლომონს მიართმევს ეკატერინეს სიგელს და პანინის
წერილს, საქართველოთგან რუსის ჯარის გაწვევის შე-
სახებ.

რუსის ჯარი ქუთაისითგან გავიდა 5 მაისს; 31 მაისს
მივიდა ანანურში და აგვისტოში მოზდოკში.

7 ივნის 1772 წ. ლეონი ირაკლისაც გადასცემს ეკა-
ტერინეს სიგელს და პანინის წერილს, ჯარის გასვლის
შესახებ.

ამგვარად, რუსის ჯარი შემოვიდა საქართველოში
დიდი დაპირებებით, ჩაითრიეს ქართველი მეფეები თურ-
ქებთან ბრძოლაში, მათ არ დაეხმარენ, პირიქით ყოველ-
თვის ღალატობდენ, და ამით ზიანი მეტი მიაყენეს და
ბოლოს ქართველები შიატოვეს და წავიდენ. რუსის ჯა-
რი დარჩა საქართველოში სრულ 3 წელს.

X

რუსის ჯარმა დასტოვა საქართველო. ომი ისევ გრძე-
ლდება. მეფე ირაკლი და სოლომონი ჯერ დაიმედებულ-
ლი რუსის ჯარით, არბევდენ თათრებს, ახლა კი მარტო
დარჩენ. 27 ივნისს 1772 წელს, ირაკლიმ და სოლომონ-
მა შეკრიეს თავდაცვითი და შეტევითი კავშირი და 4 ოქ-

ტომბეკს შეეკითებული ძალით, ბორჯომის ხეობით გაილაშქრეს თურქების წინააღმდეგ. თითეულს ახლდა 5.000 კაცი. ირაკლის გარდა ამისა კიდევ ჰყავდა: ოსები, ინგუშები და სხვა 1.000 კაცი და 6 ზარბაზანი. 16 ოქტომბერს შევიდა ჯავახეთში და 6 დღის განმავლობაში ანადგურებდენ იქაურობას. მათ დაიპყრეს ქ. ახალქალაქი და მივიდენ ყარსსა და არტაანამდე. ბოლოს სოლომონის ავადმყოფობის გამო ბრუნდებიან უკან; სოლომონი მიდის იმერეთში, ირაკლი გორში.

ქართველ მეფეთა ამგვარი ლაშქრობა, რუსის ჯარის წასვლის შემდეგ, გამოწვეული იყო თავდაცვითი მიზნით. განრისხებულმა თურქებმა იმერეთს შეუსიეს ახალციხის ფაშა 2.400 ლეკით და 1.000 თურქით. ამ ბრძოლაში იმერლებმა გაიმარჯვეს; ხოლო ცნობილი ლეკი რაიჯამი, ხელმძღვანელი ამ ჯარებისა, სოლომონმა ცოცხალი დაიჭირა და ირაკლის გაუგზავნა საჩუქრად, რათგან ის დიდხანს ანადგურებდა ქართლ - კახეთს.

ეს ამბები ხდება სწორედ თებერვალში 1774 წელს, ე. ი. მეორე თვეს რუსეთ - ოსმალეთს შორის ზავის ჩამოგდებისა; ხოლო აგვისტოში ამ ამბების შემდეგ შექმნილი საშიშროების შესახებ ირაკლი სწერდა პანინს, რომ მთელი სპარსეთი, ოსმალეთი და ლეკები მის წინააღმდეგ არიან დაგეშილნი. მანამ კი, სანამ ქართველები მართმადიდებელ იმპერატორის დახმარებისთვის ხელს გაუწვდიდენ, სპარსელები მათთან კარგად იყვენ. ზოგი სახანოები, როგორც მაგ. ერევნის და განჯის, ირაკლის ხარკსაც აძლევდენ, ახლა კი, თურქები პირდაღებული ერტყმიან მას გარს, ხოლო სპარსელები, როგორც გაუმაძღარი ლომები ისე უცქერიან მათ, ლეკები კი ილესავენ კბილებს ქართველებზედ, როგორც მშიერი მგლები *). ირაკლი აცნობებს, რომ ამ ომის დროს მას დაეხარჯა 430.0000 მან. და ხბ. და რუსებს ითხოვს თანხასა და ჯარს 3 - 4 წლით, საზღვრების დასაცავად, იმ ხალხისაგან, რომელნიც ესევიან მას სამეგრელოს გადახდისათვის, რუსის ჯარის წასვლის შემდეგ.

ამ წერილის მიწერის დროს, რუსებს ქართველებისთვის ალარ ეცალათ, რათგან ზავი უკვე ჩამოდგებულ იყო და ყველაფერი იმით გათავდა, რომ ჯერ კიდევ 3

*) იხ. ალ. ცაგარელი. „გრიბოედოვი", ტ. II, გვ. 31.

იანვარს 1774 წ., როცა შესწყდა რუსეთ-ოსმალეთის ომი, პანინმა მისწერა რუსეთის საქმეთა რწმუნებულს საქართველოში, ლეონს, რათა გამოემშვიდობოს ქართველ მეფეებს და დაბრუნდეს უკან. ხოლო 5 ოქტომბერს 1774 წელს, ირაკლი და სოლომონი იღებენ ცნობას რუსეთ-ოსმალეთის 10 ივლისის 1774 წ. ქუჩუკ-კაინარჯეში ხელშეკრულების დადების შესახებ, სადაც არის მე-23-მე მუხლის დამატება საქართველოს შესახებ.

XI

ზავის ჩამოგდება დაიწყო ადრე. ჯერ კიდევ 1770 წ., როცა თურქები დამარცხდენ, სთხოვეს პრუსიას და ავსტრიას, პეტერბურგთან შუამავლობა გაეწიათ; მაგრამ რათგან ეს შუამავლობა ეკატერინემ არ მიიღო, მაშინ ავსტრიამ დაიწყო მოლაპარაკება თურქებთან მოკავშირეობაზედ, ამიტომ თურქებმა გადასწყვიტეს განეგრძოთ ომი. მთელი 1771 წლის განმავლობაში წარმოებულმა ომმა თურქებს არაფერი მისცა, ამიტომ ისევ მორიგებაზედ დაიწყეს ფიქრი. მარტში, 1772 წ. კოსტანტინეპოლითგან რუმიანცევი იღებს წერილს დიდი ვეზირისა (თურქების), პრუსიის და ავსტრიის წარმომადგენელთაგან, საზავო მოლაპარაკების გამართვის გამო. რუმიანცევი თანხმობას აცხადებს. 19 მაისს ჩამოვარდა ზავი, იმ პირობით, რომ დანიუბს არც ერთი არ უნდა გადაცილებულიყო და შავ ზღვაზედ ორივე მხრის ნავებს თავისუფლად ემოძრავათ. მოლაპარაკება დაიწყო ბუხარესტის ახლოს. 27 ივლისის სხდომაზედ, ოსმან ეფენდიმ, ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ოსმალეთი კიდევ 10 წელს იომებს და შავ ზღვაზედ, თავისუფალ მოძრაობას რუსებს ვერ დაუთმობსო *). მოლაპარაკება კიდევ შესწყდა, და განახლდა 1773 წელს 31 დეკემბერს. მაგრამ რათგან არც ამ მოლაპარაკების შედეგებს მოაწერა ხელი სულთანმა, ამიტომ გაზაფხულზედ ომი ისევ განახლდა.

10 ივლისს 1774 წ. კი საბოლოოდ ხელი მოაწერეს

*) იხ. Чечулин. «Внешняя политика России в начале царствования Екатерины II. გვ. 353.

ხელშეკრულებას, რომელიც 15 ივლისითგან შევიდა ძალაში.

XII

ამ ხელშეკრულების ძალით, თათრები უთმობენ რუსეთს კერჩს და იენი-კალეს, მიდამოებით, აძლევენ კონტრიბუციას 4½ მილიონ მან. და სცნობენ ყირიმის დამოუკიდებლობას *). რუსები კი უბრუნებენ თათრებს, ციხეებს იმერეთსა და სამეგრელოში **).

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მიზანი ქართველების ჩარევისა ამ ომში, ის იყო, რომ რუსების დახმარებით მათ ეკერ შინაური მტერი მოეგერიებინათ, აღედგინათ მთლიანობა. მაგ. სოლომონი ოცნებობდა, დაემორჩილებინა სრულიად გურია-სამეგრელოს მთავრები. ირაკლის ეკერ კიდევ აწუხებდენ ქართლის თავადები; მათ ერთხელ კიდევ მოუწყეს ირაკლის წეთქმულობა 1765 წელს, მაგრამ ირაკლიმ სასტიკად დასაჯა შეთქმულნი.

მეორე მხრით, ამ ომში მონაწილეობით უნდოდათ გარეშე მტერთაგან თავი დაეცვათ. ირაკლი ოცნებობდა, საქართველოს ძველი თემების, სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას, ხოლო სოლომონი—თურქების ვასალობისაგან განთავისუფლებას. ომის წინ, სოლომონმა ეს პრეტენზია

---

*) რუსებმა ყირიმი დაიბრუნეს 1771 წელს, და ზოგიერთ დაბრკოლებათა თავითგან ასაცილებლად, ის გამოაცხადეს თავისუფალ სამეფოდ, რუსეთის მფარველობის ქვეშ. დეკემბერში 1771 წელს, ყირიმის ხანად აირჩიეს **საგიბ გირეი**, ხოლო 7 ნოემბერს 1772 წ. ქ. კარასუბში რუსებმა და ყირიმელებმა დასდეს ხელშეკრულება, საუკუნო კავშირისა (ბუტკოვი. ტ. I, გვ. 327), ამით რუსებს უნდოდათ ყირიმი საბოლოოდ ჩამოეცილებინათ თურქთა გავლენისაგან. თურქები შეეგრძოლენ რუსებს, მაგრამ ყირიმი ვერ დაიბრუნეს, და ბოლოს ხელშეკრულების მე-3-მე მუხლით, იცნეს მათი დამოუკიდებლობა.

**) ტექსტში აღნიშნულია „საქართველოსა და სამეგრელოში" პირველი უნდა ეხებოდეს იმერეთს (იხ. მე23-ე მუხ. ტრაქტატისა).

კიდეც განახორციელა; მან უარი განაცხადა თურქთა ვასალობაზედ და ყოველგვარი გადასახადების მიცემაც შესწყვიტა, შესწყვიტა მათთან სავაჭრო ურთიერთობაც. ხოლო ომის შედეგებით უნდოდა ამ მდგომარეობის იურიდიული განმტკიცება.

ბრძოლის დროს, როგორც კი გამოვიდოდა სცენაზედ, საქართველოს ინტერესი, რუსის მთავარ-სარდალი წინაალუდგებოდა ხოლმე მათ და ბრძოლის ველითგან გარბოდა, რათგან თანახმად პეტერბურგის კაბინეთის გეგმისა, მათ ბოლოდ იარაღად გამოყენება სურდათ ქართველ მეფეებისა. და მთელი ის უთანხმოებაც, რომელიც მათ შორის ხდებოდა, მხოლოდ ამით იყო გამოწვეული, და არა იმ უბრალო მიზეზებით, რასაც რუსის ისტორიკოსები ასახელებენ.

ეს იყო ომი დროს.

ომში ჩარევის მიზანი ქართველ მეფეების მხრით, ჩვენ აღვნიშნეთ. რუსეთი კი მათ ჰპირდებოდა, საზავო ხელშეკრულებაში, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა სათანადო მუხლით აღენიშნა, და იგულისხმება საქართველოსთვის ზემოაღნიშნული პირობების დადასტურება.

მაგრამ რა მოხდა. ტრაქტატში ქართლ-კახეთის შესახებ არაფერია ნათქვამი.. რაც შეეხება იმერეთს და სამეგრელოს, როგორც აღვნიშნეთ, უკვე განმდგართ ოსმალეთის ვასალობისგან, ამ ტრაქტატის მიხედვით, რუსეთი სცნობს თურქეთის ბატონობას მათზედ. ტრაქტატში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „რათგან აღნიშნული ხალხები არიან თურქების ქვეშევრდომნი, ამიტომ რუსები მათ საქმეებში არ ჩაერევიანო.

აქედან ცხადია, სოლომონმა არამც თუ მიიღო რამე ამ ხელშეკრულობით, ვერ შეინარჩუნა ის, რაც მას უკვე ჰქონდა მოპოებული საკუთარი ძალით. ისიც დაკარგა, რაც ფაქტიურად უკვე მას ეკუთვნოდა.

ასეთი იყო შედეგები ამ ომის, და სარგებლის მაგიერ, ასეთი ვნება მიიღეს ქართველმა მეფეებმა. ხოლო რუსეთის პოლიტიკა, პეტრე დიდის საქციელის შემდეგ, კიდეე ერთხელ დამტკიცდა, რომ „რუსულის ერთობა არა რას გვარგებს, ოდეს თვისება ერთა შორის სხვადასხვაობდეს“.

თავი V

საქართველო 1774 - 1788 წლებში
და
რუსეთ - საქართველოს 1783 წ. ხელშეკრულება

I

წინა თავებითგან. მკითხველი ნათლად წარმოიდგენს რუსეთის საერთო მისწრაფებათ. ხოლო აღნიშნულ მისწრაფებათა გზაზედ იდო საქართველო. მაშასადამე ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში, რუსეთს აქეთ უნდა განეცოთარებინა თავისი აგრესიული მოქმედება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ რუსეთის პოლიტიკის ამ ტენდენციას, ეერ შესცვლიდა საქართველოს შინაგანი ფაქტორი. ეს იქნებოდა ქართველ შეფეთა მუდარა დახმარებისათვის, თუ საწინააღმდეგო მოქმედება, ის ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა რუსეთის პოლიტიკაზედ. ეს დამტკიცდა 1770 - 1774 წლის ომის დროსაც; თუმცა, აგრესიულობა ამ დროს უდღეური გამოდგა. რათგან გარეშე მიზეზებთან, რუსეთს ხელს უშლიდა მისი შინაური მდგომარეობაც. ერთი ასეთთაგანი იყო პუგაჩოვის აჯანყებაც. *).

რომ ჩვენ საერთო დებულება ნათელ ვყოთ და ავხსნათ ის მოვლენაც, თუ შეფე ერეკლე რატომ აჩქარებდა რუსეთის მფარველობაში შესვლის საქმეს, მოკლედ აღვწერთ კავკასიისა და ყირიმის ამბებს; აქედანვე გამოირკვევა თუ რუსეთი თავის მხრივ რატომ აჩქარდა საქართველოსთან ხელშეკრულების დასადებად.

---

*) 1774 წ. 22 ოქტ. ეკატერინე სწერდა ვოლტერს: — „... თემურ - ლენგის შემდეგ, არავის აუოხრებია ქვეყანა, არავის უწყვეტია ხალხი ისე, როგორც პუგაჩევმა“ (იხ. ბუტკოვი. ტ. II, გვ. 39).

კაინარჯის ხელშეკრულებით, ოსმალეთმა იცნო ყირიმის დამოუკიდებლობა, მაგრამ მალე ისევ დაიწყო ბრძოლა ყირიმზედ, რუსეთის გავლენის წინააღმდეგ.

1776 წლის დასაწყისში, ყირიმის ხანი საგიბ გირეი, თურქების დახმარებით ჩამოაგდო დევლათ გირეიმ, უკანასკნელი ყოველთვის იყო თურქების ორიენტაციისა, მან უკუაგდო რუსეთ-ყირიმის 1772 წლის ხელშეკრულება და ყირიმი ისევ თურქებს დაუმორჩილა. თურქების გარნიზონები იკავებენ ყირიმის ციხეებს.

იმავე წლის სექტემბერში ყირიმის ხანმა დევლათ გირეიმ გაუგზავნა ელჩი ორივე ყაბარდოს და ღენ. მედემს *), რომ უკანასკნელად ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულების ძალით, ყაბარდო ეკუთვნის ყირიმს და მოქდემს წინადადებას აძლევენ, გაიყვანოს რუსების ჯარები და მეციელები უკან. დაანგრიონოს. მედემმა შეეთვალა, რომ ყაბარდო ითვლება რუსეთის მფარველობაში და უმაღლესი ბრძანების გარეშე, მას ვერ დაგიბრუნებთო. ყაბარდო თვითონ კი, მოითხოვდა სრულ დამოუკიდებლობას **).

1772 წლის ხელშეკრულების მიხედვით, ყირიმმა იცნო ყაბარდოს რუსეთის მფარველობაში შესვლა, ხოლო 1774 წ. კაინარჯის ხელშეკრულებით, ყაბარდოს რუსეთის მფარველობაში დატოვების უფლება ოსმალეთ ყირიმს, და ცხადია, ახლა მას ჰქონდა უფლება მოეთხოვა ის. რაც აღვნიშნეთ. რუსები კი, ათასგვარ ზომებს იღებდენ, ეს ჩაეშალათ.

ყაბარდო არც თვითონ ემორჩილება რუსეთს. მაგრამ ღენ. მედემის მოქმედებით, ერთხანს კიდევ გრძელდება ეს მდგომარეობა.

1777 წელს რუსებმა მიმართეს იერალს. ღენ. სლეორეოვი შეიჭრა ყირიმში, დაამარცხა დევლათ-გირეი და ხანად დამტკიცა საგიბ-გირეის შვილი შაგინ-გირეი.

თურქები შეებრძოლენ რუსებს. მაგრამ დამარცხდენ და 1779 წ. მოლაპარაკებით ყირიმი ისევ თავისუფალი დარჩა.

1778 წ. ყაბარდოში დიდი უკმაყოფილობა იყო. ირა-

---

*) ღენ. მედემი ამ დროს იბრძოდა მთაში და ხალხს რუსეთის ერთგულებაზედ აფიცებდა.

**) იხ. ბეტკოვი. ტ. II, გვ. 41.

კლი მეფემ ისარგებლა ამ შემთხვევით და ორივე ყაბარდოს მფლობელებს იწვევდა საქართველოში დასასახლებლად; მაგრამ ელჩები მოზდოკში შეაჩერეს და ეს მიზანი მიუღწეველი დარჩა.

ყირიმის მდგომარეობა კი იმით თავდება, რომ რუსეთი ანექსიას მოუხდენს მას.

8 აპრილს 1783 წელს, უმაღლესი მანიფესტით *). ეს ამბავი რამოდენიმე თვით წინ უსწრებდა რუსეთ - საქართველოს შორის ხელშეკრულებას. ამ მოვლენას უშუალო კავშირი ჰქონდა რუსეთის აჩქარებასთან **).

ყირიმში კიდევ იწყება აჯანყება. რუსები ხელმეორედ იბრძენებენ და ამ მხარეს აზოვითგან კასპიის ზღვამდე აბარებენ კავკასიის ხაზის უფროს, რაც გაგრძელდა 1793 წლამდე. ამით ყაბარდოც დამარცხებული იყო.

მაიორი რიკკი ილაშქრებს ინგუშებზედ, იმორჩილებს, აფიცებს და იღებს მძევლებს.

1781 - 82 წლებში ჩეჩნებშიაც შეიტანენ რუსის ჯარები ღენ. - პორ. პოტიომკინის მეთაურობით. მან გადასწვა ზოგიერთი სოფლები და დიდი სისხლის ღვრის შემდეგ, ისინიც დაიმორჩილა. ასეთი იყო მდგომარეობა ამ დროს კავკასიაში, და 1783 წლისთვის ჩეჩნეთიც დამორჩილებული იყო.

II

რუსის ჯარის გასვლის შემდეგ, ირაკლის აღ ჰქონდა კარგი მდგომარეობა. ეს გაგრძელდა კაინარჯის ხელშეკრულების შემდეგაც. და 1775 წელს, როდესაც ღენ. მედემი დერბენდს იღებს, კიდევ ერთხელ მისწერა მას დახმარებოდა სახანოების დასამორჩილებლად. მედემი შეეკითხა ეკატერინეს, უკანასკნელი კი, 28 ივლისის 1775 წლის რესკრიპტით აცნობებდა, რომ ირაკლი სცდილობს

---

*) იხ. Арслан Кресчинский. «Очерки русской политики на окраинах» გვ. 10 - 11.

**) ყირიმის შეერთების საქმეც და საქართველოსთან ხელშეკრულების დადებაც ხდებოდა ღენ. პოტიომკინის ხელმძღვანელობით.

ჩვენი ძალებით, თავისი საქმეები მოაგვაროს, ამას სჩადიოდა მაშინაც, როცა ჩვენი ჯარები იდგა საქართველოში. ამიტომ მისი თხოვნა არ არის ყურადღების ღირსი. მედემიც უარს უთვლის ირაკლის *).

ბოლოს ირაკლი იძულებული შეიქმნა, საკუთარ ძალებს დაყრდნობოდა. მან ნელ-ნელა მათრლაც შიგნით სრული წეს-რიგი აღადგინა.

ერეკლემ დაიმორჩილა ლეკები; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან მაღნეულობის დამუშავება დაიწყო, სადაც ლეკებს ამუშავებდა ჯამაგირით. ხოლო 1778 წელს აუარების ომარ-ხანთან ბოლო ურსიამოვნება იწყება **).

ისევ დაიმორჩილა განჯის და ერევნის ხანები და მათ ხარჯიც დაადგა.

კარგ განწყობილებაში იყო ყარაბაღის იბრაიმ-ხანთან და დიდი გავლენა ჰქონდა ადერბეიჯანის დიდ ნაწილზეც თავრიზამდე. ნახჩევნის, ქოის, თავრიზის, ურმიის და სხვა წვრილი მფლობელებიც პატივისცემისათვის ირაკლის უგზავნიდენ საჩუქრებს ***).

თვით სპარსეთის ქერიმ-ხანიც, რომელიც რუსის ჯარის გასვლის შემდეგ, დაიძრა საქართველოსაკენ, ირაკლიმ მალე დაარწმუნა, რომ მისი ოსმალეთზედ გალაშქრება, სპარსეთისათვის სასარგებლო იყო. ხოლო სულთანი ქერიმ-ხანს უჩიოდა, რომ ჩვენ ხელშეკრულების ძალით ზავი გვაქვს, და შენ კი გამოუშვი ერთი ლომი (ირაკლიზედ) და გვიკლებსო. მაგრამ რათგან ქერიმ-ხანს ირაკლიზედ არავითარი გავლენა არა ჰქონდა, პირიქით, აქებდა კიდეც და ამბობდა: — ჩემთვის საამაყოა, ირაკლიმ იმ მდგომარეობამდე მიიყვანა სულთანი, რომ ის იძულებული გახდა ჩემთან ეჩივლაო.

მაგრამ ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ, სპარსეთში იწყება ჩვეულებრივი ანარქია.

ამ დროს გამოდის ახალი გვარი ყაჯართა, ალა-მამად-ხანის სახით. ის იყო შვილი ასტრაბადის მფლო-

---

*) იხ. ბუტკოვი. ტ. II, გვ. 26.

**) ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ირაკლის უფროს შვილს, ვახტანგს (პირ. ცოლითგან), ენდა შეეკითხა ომარის ქალი და ავარიის სასულიერო პირთა რჩევით ეს არ მომხდარა.

***) იხ. ბუტკოვი. ტ. I, გვ. 337.

ბელის, მეტად მხნე და გულოვანი. ალა-მაჰმად-ხანი დაიბყრობს ჯერ მაზანდარანის პროვინციას, მერე გილანს და რეშტითგან 1780 წ. განდევნის გილანის გელდაჯან-ხანს, მერე ილაშქრებს ყაზვინზედ და მასაც მალე დაიბყრობს.

როცა ის ყაზვინში იმყოფებოდა, რუსის ჯარი გრაფ ვორონცოვის სარდლობით უახლოვდება ასტრაბადს. ვორონოვიჩი შედის ალა-მაჰმად-ხანთან მოლაპარაკებაში, რათა რუსეთს დაუთმოს ასტრაბადის ნაწილები, სავაჭრო ოპერაციების წარმოებისათვის. ალა-მაჰმად-ხანმა დაუთმო ერთ-ერთი პუნქტი. რუსებმა იქ ააგეს ქალაქი და გამართეს ვაჭრობა ხმელეთით: სპარსეთის, ინდოეთის, ბუხარის, ხივის, ბადახშანის, ტიბეტის და კაშემირის მიმართულებით. ეს მდგომარეობა გრძელდება 1718 წ. დეკემბრამდე. რუსების მიზანი იყო, აქ გამაგრებულიყვენ და შემდეგ გაენგრძოთ დაბყრობა. ალა-მაჰმად-ხანმა მალე გაუგო ხრიკები, ვორონოვიჩი შეიპყრო და ქალაქი გაანადგურა. შემდეგ ის განაგრძობს სპარსეთის სხვა სახანოების დაბყრობას. ამ გარემოებამ კი, ირაკლი დააჩქარა რუსეთან ხელშეკრულების დასადებად, რათგან ალა-მაჰმად-ხანი დღითი-დღე იზრდებოდა და მისი შედეგი ირაკლისათვის ნათელი იყო; სპარსეთი თავის პრეტენზიას, რომელიც ფორმალურად აქამდეც სცოცხლობდა, საქართველოზედ, პრაქტიკულადაც განახორციელებდა. უდაოა, რომ ირაკლი, შახ-აბაზისა და ნადირ-შახის შემდეგ, ალა-მაჰმა-ხანში ხედავდა სპარსეთის ძლიერებას.

III

შიგნით კიდევ უთანხმოებამ იჩინა თავი. ქართლის ტახტის პრეტენდენტი კიდევ ებრძვის ირაკლის.

პირველ შეთქმულების შემდეგ, როცა ქართლის თავადები დასაჯა ირაკლიმ, ამ დროს რუსის ჯარში მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი, შვილი ვახტანგ VI, შვილის ბაქარისა, 1762 წელს უფლება აყრილი და გასტუმრებული იქმნა საზღვარ-გარედ. ალექსანდრე მიდის სპარსეთში ქერიმ-ხანთან და ქართლის ტახტზედ, თავის მემკვიდრეობის უფლებას მოითხოვს, რომელიც

სპარსელებთან 1732 წელს რეშტის და 1735 წ. განჯის ხელშეკრულებით, მას ეკუთვნოდა. ალექსანდრე ჰპირდება სპარსელებს, რომ თუ ის გამეფდება ქართლში, მას დაემორჩილებს. ქერიმ-ხანი მან აიყოლია. ქერიმ-ხანმა 1777 წ. მიიმხრო დაღესტნელები, გილანის გუდალათ-ხანის და თავის ძმის ზექი-ხანის სარდლობით ეუნდოდა ირაკლის ჩამოგდება. მაგრამ ქერიმ-ხანის სიკვდილის გამო ეს საქმე იშლება.

1779 წ. იმერეთის მეფე სოლომონიც ცოტა უთანხმოებაში იყო ირაკლისთან; ამიტომ მოიწვია სპარსეთიდან ალექსანდრე ბატონიშვილი — მიიმხრეს ანტონ კათალიკოსი, ქართლის თავადები და შეებრძოლენ ირაკლის, მაგრამ ალექსანდრე აქაც დამარცხდა.

1781 წელს ის მიდის ჯერ ახალციხეში, მერე იმერეთსა და შემდეგ დერბენტში. აქედგან მიდის დაღესტანში და თავად ამილახვართან ერთად იწყებს მოქმედებას. ეს იდგომარეობაც შეიქმნა ერთ-ერთ მიზეზად იმისა, რომ ირაკლიმ მფარველობის გაწევისთვის მისწერა წერილი პოტიომკინს, უკანასკნელმა კი მიაღწია იმას, რომ ფეტ-ალი-ხანს უარი განეცხადებინა ალექსანდრე ბატონიშვილის დახმარებაზედ *).

ასეთი იყო პოლიტიკური მდგომარეობა შიგნით. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ მაშინ თვით მეფე ირაკლის მრავალრიცხოვანი ოჯახის განსაკუთრებული მდგომარეობაც ერთგვარ გავლენას ახდენდა სამეფოს მმართვის საქმეზედ. ხოლო მაშინდელი მმართველი წოდება საქართველოსაც ზნეობრივად უკვე იშლებოდა და შინაგანი დასაყრდენი სახელმწიფოს თვითარსებობის გაგრძელებისათვის, ინგრეოდა. ასეთ პირობებში ირაკლიმ ვერ შექმნა სახელმწიფოს ადმინისტრატიული სიმტკიცე. რამდენადაც ის გენიოსი იყო სამხედრო დარგში, იმდენადვე სუსტი აღმოჩნდა შიგნით მოქიშპე ფეოდალების ალაგმაში. მან ვერ შექმნა ერთი ძლიერი ცენტრალისტური რეჟიმი. მდგომარეობა დამაფიქრებელი იყო. ეს ყველა პოლიტიკურ მოღვაწეთ ესმოდათ, განურჩევლად მათი ორიენტაციისა. გამოსავლად კი, ერთნი ისევ აღმოსავლეთისაკენ იცქირებოდენ, მეორენი დასავლეთისა და რუსეთისაკენ. ერეკლემაც უკანასკნელი გზა აირჩია.

---

*) იხ. ბუტკოვი. ტ. II, გვ. 87.

IV

საერთო მდგომარეობა მოკლედ ასეთი იყო: მე-18-ე საუკუნის მიწურული ყველაზე საბედისწერო გამოდგა. ოსმალებისაგან და სპარსელებისაგან შევიწროებულმა საქართველომ ერთხელ კიდევ გაიფარეხალა თავის ქერქში და სცადა დამოუკიდებელი ცხოვრების მოწყობა. ირაკლი II-ემ გააერთიანა ქართლ-კახეთი, გაინთავისუფლა თავი სპარსეთის ვასალობისაგან და შექმნა დამოუკიდებელი სამეფო. იმერეთიც ამ დროს ანე თუ ისე თავისუფალი იყო ოსმალებისაგან. თავისუფალი ცხოვრების სიო უბერავდა ნელად და ქართველთ მამულის ზღუდეთ ამაგრებდა. საქართველო, წინა საუკუნეებთან შედარებით, კულტურულადაც დაწინაურდა. გაჩნდა წერილობა, მეცნიერება, თვით სამხედრო საქმიანობაშიც შეიტანა იმ დროინდელი კულტურული მიღწევანი და საშუალებანი, მაგრამ მიუხედავად ამისა უკანასკნელი აქტებით გამოაშკარავდა, რომ საქართველოსათვის დაბნი ახლოვდებოდა და დამოუკიდებლობის ბედის ვარსკვლავი ცის ლრუბლიან სივრცეზე მიიპარებოდა.

სპარსეთში შექმნილი ანარქია გარეგნულად საქართველოს გაძლიერების პირობას იძლეოდა, მაგრამ ივივე მდგომარეობა ქმნიდა სრულიად ახალ და უფრო სახიფათო ძალას. გონება მახვილი ირაკლი ამას სვვრეტდა შორითგან. ირაკლიზე უკეთ ვის შეეძლო სპარსეთის ვითარების გამოცნობა. ალა-მაჰმად-ხანის პირველ გამოჩენაზედვე იგრძნო ირაკლიმ საშიშროება. ამიტომ ის თადარიგს ადრე შეუდგა. საკუთარ ძალებზე დამყარების იმედი, მას ნაკლებად ჰქონდა. ასეთ სამწუხარო აზრს ქმნიდა მასში საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა. მეორეს მხრით რუსეთთან ურთიერთობის გამოცდილება მას ლრმად აფიქრებდა. მან დაიწყო თემცა მოლაპარაკება ისევ რუსეთთან, მფარველობაში შესვლის შესახებ, მაგრამ ეჭვები არ ასვენებდენ და მიუხედავად იმისა, რომ ფაქტების ლოგიკას, ირაკლი რუსეთთან მიჰყავდა, მან მაინც გადასწყვიტა, პარალელურად ევროპისათვისაც მიემართა. სანამ ხელშეკრულებას დასდებდა რუსეთთან, ერთხელ კიდევ სცადა, ისტორიულად ნაცად საშუალებებისთვის მიემართა. იქნებ ევროპასთან დაახლოება აიცდენდა იმ უბედურობას, რასაც რუსთა დაახლოებისაგან ის უდაოდ მოელოდა.

ირაკლიზე უფრო ადრე, 1779 წელს, იმერეთის მეფეს სოლომონს მიუწერია წერილი პაპის პიო VI-სათვის, საითგანაც სჩანს, რომ სოლომონი „უსჯულოთაგან“ ფრიად შეწუხებული ყოფილა, და სთხოვს პაპს დახმარებას.

პაპის საპასუხო წერილს იღებს ის 1781 წელს, რითაც უკანასკნელი მხოლოდ ნუგეშს აძლევს სოლომონს და რაიმე რეალური დახმარების ნიშნები არა სჩანს.

1781 წელს, მეფე ირაკლი თავის მეგობარს პატრს დომინიკეს აგზავნის ავსტრიის იმპერატორის წინაშე დიპლომატიური მისიით.

დომინიკე კოსტანტინეპოლში მისვლისთანავე გარდაიცვალა და ირაკლის გატანებული წერილებიც დაიკარგა. ამიტომ არ ვიცით, რას სწერდა იქ ირაკლი. ხოლო ერთ-ერთი კათოლიკე პატრის წერილი, რომელიც ამ საგანზე მიუწერია კარდინალისათვის, გვაუწყებს ზოგიერთ რამეს. ის სთხოვს კარდინალს, რომ ირაკლის ელჩი პატრი დომინიკე გამოიგზავნოს რომში და თქვენ დაგვედრება, უნდა მისცეთ ავსტრიის იმპერატორთანო: „... ამ ბრძანით მეფე (ირაკლი) კვალად ევედრება თქვენს უმაღლესობას, რომ გაატანოთ ამ პატრს, იმპერატორისადმი თავის გასაცნობი წერილი, რომელმაც იმპერატორს გული აღუძრას მაგაზე და ჩააგონოს ის პატივი და ნდობა, რაც კი მოითხოვს ინდისთანა ღირსების პირთან, საჭირო საქმეთა გასარიგებლად“. დასასრულ სწერს ეს პატრი: „... რაც დავწერე ყოველივე თავისი პირით მითხრა თვით ირაკლი მეფემ, ამიტომ გევედრებით თქვენს უმაღლესობას, მიიღოთ წერილი, როგორც ჩემი დაწერილი, მაგრამ აზრი კი მეფისა, რომლისგანაც დიდად დავალებული ვარ“ *).

რასაკვირველია ეს წერილი კიდევ არ გვეუბნება, თუ რას თხოულობდა მეფე ირაკლი ევროპელთაგან, მაგრამ მთავარი მისახვედრია. ირაკლი სცდილობდა თავიდან აეცდინა რუსეთის მფარველობაში შესვლა. პატრებიც დიდად იყვენ დაინტერესებულნი ამ საქმით, რათგან, თუ ევროპელნი დაეხმარებოდენ ირაკლის, მაშინ მათაც საშუალება ექნებოდათ თავისუფალი მოღვაწეობისა საქა-

---

*) იხ. მიხ. თამარაშვილი. „ისტ. კათ. ქართ. შორის“.

რთველოში. ამას წერილშიც აღნიშნავს ერთი პატრი. ეს საკითხი მაინც ირკვევა შემდეგ წერილებში.

როცა ირაკლის პირველი ელჩი გარდაიცვალა სტამბოლში, მეფეს ძალიან ეწყინა და ზემოდ მოყვანილი წერილის ავტორი, პატრი მავრო, აირჩია ახალ ელჩად.

ახალ ელჩს ირაკლი აგზავნის ვენაში მოსკოვის გზით და სთხოვს პირდაპირ იმპერატორთან შეხვედრას.

გარდა ამისა ირაკლი სწერს ერთ-ერთ წერილებს: რომის პაპს, საფრანგეთის მეფეს, სარდინიის მეფეს, ნეაპოლის მეფეს და ვენეციის რესპუბლიკას. ამ წერილებითგან როგორც ირკვევა, ირაკლის საკმაოდ დიდი გეგმა ჰქონია. ის სთხოვდა ევროპის სახელმწიფოებს ჯარით დახმარებას. ორ გუნდს ლაშქარს სთხოვდა ავსტრიის იმპერატორს, ორს საფრანგეთის მეფეს და თითოს სარდინიის, ვენეციის და ნეაპოლის სამეფოებს, ხოლო თვითონ ირაკლი თავის მხრივ ჰპირდება, მათი ყოველნაირი დავალება შეასრულოს სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ.

მეფე ირაკლის ამ წერილებითგან ჯერ-ჯერობით აღმოჩენილია მხოლოდ ორი. ორივე ვენეციის რესპუბლიკისადმი წარგზავნილი. აქეთგან ერთი წერილი მეტად საინტერესო ცნობას შეიცავს.

როგორც სჩანს, მეფე ირაკლი ფიქრობდა, სამხედრო წყობის მთელი რეფორმა მოეხდინა. მას უნდოდა შეექმნა ევროპულად ჩაძოყალიბებული მუდმივი ლაშქარი, რომელიც იქნებოდა სათანადოდ გაწვრთნილი და ყოველთვის საძრომლოს სადარაჯოზედ მდგომი. ის იმედოვნებდა, რომ ამის შემდეგ სპარსეთი და ოსმალეთი მის წინააღმდეგ ომს ველარ გაბედავენ; და ამ დიდი ხარჯის დაფარვას, თავისი თხოვნით აკისრებდა ვენეციის რესპუბლიკას...

ქართული ჯარის, ამ ახალი რეფორმების ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო უნიჭიერესი მხედარი და ირაკლის ღირსული მემკვიდრე ლევან ბატონიშვილი, მაგრამ ულმობელმა ბედმა, ვერაგი მტრის ხელით, სიცოცხლე მოუსპო იმ ადამიანს, რომელიც იყო ერთად - ერთი იმედი ირაკლისა და მთელი საქართველოსი)*).

---

*) როდესაც ლევან ბატონიშვილი გარდაიცვალა, ახალციხის სულეიმან-ფაშას უთქვამს: „მოხუცების

მაგრამ ნახეთ ბედი, მეორე ელჩიც პოლონეთში გზად შიმავალი გარდაიცვალა, ხოლო ყველა მასთან მყოფი წერილები, იქაურ კათოლიკე პატრუნებს გადაუგზავნიათ რომში, რათა მათთვის ყურადღება მიექციათ და გადაეგზავნათ სათანადო ადგილებზე. მაგრამ აქედანაც ცრაფეური გამოვიდა და ბოლოს მეფე ირაკლიმ დაიჩქარა რუსებთან დაახლოვების საქმე.

ყოველმხრივ წელში გატეხილი საქართველო საგონებელმა მოიცვა. მეფე და ერი ამაზე ფიქრობდენ. ირაკლის გულმან ამ დღითგან გადასწყვიტა ბედი ქართლისა. დიდი მამულიშვილნი წინააღუდგენ ირაკლის გადაწყვეტილებას, ირაკლიც გრძნობდა ამას, გრძნობდა, რომ მეტად მძიმე იყო ხვედრი საქართველოსი, მაგრამ არსებული მდგომარეობა ამ მიმართულებით ვითარდებოდა, და როგორც გენიალური პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი შენიშნავს: „დღეს იქნება თუ ხვალ ქართლსა დაიპყრობს რუსთ ხელმწიფობაო", — ვინ იცის, იქნებ ეს მწარე დრამა ჩვენი ერისთვის, ისტორიული აუცილებლობა იყო და მეფე ირაკლიც ამ აზრით ხელმძღვანელობდა, რომელსაც ერისთვის საბედისწერო განაჩენს სწყვეტდა...

V

ასე იყო თუ ისე, როცა ირაკლიმ ევროპისაგან საბოლოოდ გადაიწყვიტა იმედი, რუსეთთან მოლაპარაკება გააცხოველა. ირაკლის მხრივ, რომ ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი, პარალელურად თვით რუსები გაავლენას ახდენენ ირაკლიზედ და სოლომონზედ. 1782 წელს ღენ. პოტიომკინი საქართველოში აგზავნის ციქმ **რეინეგსს** და ავალებს, ირაკლი და სოლომონი აიძულოს ფორმალურად შეეიდენ რუსეთის მფარველობაში *). ამას აკეთებდენ რუსები ჩუმად და ოფიციალურად, თვით ირაკლის მიმართვაზედ, თავი მძიმედ ეჭირათ.

ეამსა მეფეს ირაკლის, ერთი ფარდა აქვნდა საქართველოს, რომელიც ოთხ კერძოვე იყურდიე იფარებოდა და აწ დიდი შემწე მოეშალა ირაკლი მეფესაო". (იხ. ქართლის ცხოვრება", წ. II, გვ. 498.

*) იხ. ბუტკოვი. ტ. II, გვ. 118.

ხელშეკრულების დადებამდის, რუსეთის მთავრობას ირაკლიმ შემდეგი მოთხოვნილება წარუდგინა:

1. ირაკლი სთხოვს რუსეთს 4.000 კაცს, მათსავე ხარჯზედ, რათა დაიბრუნოს ახალციხე და ალაზნის ლეკებს ჩამოართვას კახეთის ზოგიერთი ადგილები.

2. იცნან ირაკლი მეფედ, მემკვიდრეებით ერთად და აიცილონ ალექსანდრე ბატონიშვილის მეტოქეობა.

3. კათალიკოსი დატოვებულ იქმნას თავის ადგილას.

4. ყირიმის განთავისუფლებულ ქართველებს ნება მიეცესთ საშშობლოში დაბრუნებისა.

5. საჭიროების დროს დაეხმარონ ფულითაც, ჯარის შესანახად.

ირაკლი თავის მხრივ ჰპირდება:

1. ის ხარჯები, რასაც გასწევენ რუსები საქართველოს ძველი პროვინციების დასაბრუნებლად, შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში ამავე პროვინციების შემოსავლითგან იქნება გადახდილი.

2. რუსეთის იმპერატორის კარზედ გაგზავნის მძეულებად თავის ერთ-ერთ შვილს და რამოდენიმე თავადაზნაურს.

3. ლიტონების დამუშავებიდან მიღებული სარგებლის ნახევარს მისცემს რუსეთის ხაზინას.

4. თითვეულ ოჯახზედ რუსეთს მისცემს 14 შაურს.

5. სასახლისათვის ყოველწლიურად მიუტანს 2.000 ვედრო ღვინოს ყიზლარში.

6. ყოველწლიურად გაუგზავნის 14 კარგ ცხენს.

ასეთი იყო ზოგიერთი პირობები ირაკლისა, ხელშეკრულების დადების წინ.

29 დეკემბერს 1782 წელს, იმპერატრიცამ ნება დართო პატიომკინს, ირაკლისთან ხელშეკრულება დაედო, და 3 აპრილს 1783 წელს პატიომკინმა გაუგზავნა მეფეს ტრაქტატის პროექტი.

მეფე ირაკლიმ თავის მხრივ ხელშეკრულების დასადებად გაგზავნა ღენ. ივანე ბაგრატიონი და ღენ. გარსევან ჭავჭავაძე.

როცა ქალ. გეორგიევსკში ხელშეკრულების გარშემო მოლაპარაკება სწარმოებდა, სწორედ ამ დროს პატიომკინი რეინეგსის ნაცვლად, საქართველოში ნიშნავს ბურნაშევს და უკვე 3 აპრილს ბრძანებას აძლევს გაემგზავროს.

24 ივლისს 1783 წელს, ქ. გეორგიევსკში, იმ დროს როდესაც ყირიმის ბედიც სწყდებოდა, რუსეთის და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას.

მალე მოხდა ხელშეკრულების რატიფიკაცია და 20 აგვისტოს 1783 წელს ტფილისში გადახდილ იქმნა საზეიმო დღესასწაული. ირაკლი და დარეჯანი ილებენ საჩუქრებს, ბატონიშვილი მირიანი კი პოლკოვნიკობას (17 წლ.) და ინიშნება ყაბარდოს ფეხოსანი პოლკის უფროსად. გარსევან ჭავჭავაძეს კი ირაკლი ნიშნავს სრულ უფლებიან ელჩად რუსეთის კარზედ. ხოლო ღენ. პატიომკინი, ეკატერინემ, ამ „საასახელო მონაპოვარისათვის, რომლისგანაც საჭიროებელი აუცილებლად მოსალოდნელია“ დააჯილდოვა 6.000 მანეთით და ძვირფასი სათუთუნით *).

იმავე წლის 3 ნოემბერს, დადებული ხელშეკრულების თანახმად, ტფილისში ჩამოდის ორი ბატალიონი რუსის ჯარი, მათ უფროსად ინიშნება უკვე საქართველოში მყოფი ბურნაშევი და შედის ირაკლის მორჩილებაში. ცოტა გვიან კი, 6 დეკემბერს 1784 წ. ეკატერინე ირაკლის უგზავნის 24 ზარბაზანს **).

VI

მოვიყვანოთ ხელშეკრულების შინაარსი:

შესავალში ნათქვამია, რომ მეფე ირაკლი ილებს რუსეთის „მფარველობას“, ხოლო რუსეთი სდებს მასთან სამეგობრო ხელშეკრულებას“.

1 მუხ. მეფე ქართლისა და კახეთისა, თავისი და მემკვიდრეების სახელით უარს ჰყოფს რა ვასალობას დანარჩენ სახელმწიფოთა, და აღიარებს უმაღლეს ხელისუფლებასა და მფარველობას მისი საიმპერატორო ბრწყინვალეობის, თავის მხრივ აღუთქვამს რუსეთს თავის დახმარებას.

2 მუხ. რუსეთი კისრულობს ქართლ-კახეთის სამე-

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. II, გვ. 11.
**) იხ. ბუტკოვი. ტ. II, გვ. 130.

ფოს მფარველობას. ის მოვალედ რაცხს თავის თავს დაიცვას მთლიანად მისი დღევანდელი ტერიტორია, ამავე გარანტიას გაავრცელებს ის იმ ტერიტორიაზეც, რომელიც მომავალში გარემოებათა მიხედვით იქმნება დაპყრობილი და მისად დამტკიცებული.

3 მუხ. ერთგულობის დასამტკიცებლად, მეფე ქართლისა და კახეთისა, მემკვიდრეობის წესით, ტახტზედ ასვლის დროს, უშუალოდ ელჩის მეოხებით ამცნობს იმპერატორს და მისგან იღებს დამტკიცებასა და სამეფო ნაშნებს.

4 მუხ. მეფე ქართლისა და კახეთისა სცნობს იმპერიის მფარველობას და ივალებს არ იქონიოს არავითარი ურთიერთობა თავის მეზობელ მფლობელებთან თვინიერ რუსეთის წარმომადგენლობასთან შეთანხმებისა.

5 მუხ. ხდება ურთიერთ ელჩების წარგზავნა თანახმად თავისუფალ სახელმწიფოთა შორის მიღებული წესებისა.

6 მუხ. 1) რუსეთი საქართველოს მტრებს, თავის საკუთარ მტრებად სცნობს, და უცხო სახელმწიფოებთან ზავის შეკვრის დროს, დაიცავს ქართლ-კახეთის სამეფოს ინტერესებს.

2) სამეფო ტახტზე დაიცავს ირაკლის და მის მემკვიდრეთა მეფობას.

3) რუსეთი ივალებს, არ ჩაერიოს ირაკლის სამეფოს შინაურ საქმეებში, არც ადმინისტრატიული, არც ფინანსიური და მართლმსაჯულების თვალსაზრისით.

7 მუხ. ქართველი მეფე თავის მხრივ ივალებს რუსეთისადმი სამხედრო დახმარებას.

8 მუხ. რუსეთი აღიარებს საქართველოს კათალიკოს წმ. სინოდის წევრად და რუსეთის ეპისკოპოსთა რიგში უთმობს მეექვე ადგილს.

9 მუხ. რუსეთი სცნობს საქართველოს პრივილეგიურ წოდებას რუსეთის პრივილეგიურ წოდებასთან თანასწორი უფლებით.

10 მუხ. ქართლ-კახეთის მცხოვრებთ თავისუფლად შეუძლიათ რუსეთში მოგზაურობა და იქ დასახლებაც.

11 მუხ. ქართლ-კახეთის ვაჭრები რუსეთში იმავე

უფლებებით სარგებლობენ, როგორც რუსები; ისევე რუსის ვაჭრები საქართველოში.

12 მუხ. ხელშეკრულება იდება სამუდამოდ. მისი შეცვლა შეიძლება მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით.

13 მუხ. ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მოხდეს 6 თვეში და სხ.

გარდა ამ ტექსტისა, არსებობს ოთხ მუხლიანი საიდუმლო ტექსტიც.

1 მუხ. რუსეთი იკავებს არბიტრის როლს იმერეთის მეფესთან კეთილი განწყობილების დასამყარებლად.

2 მუხ. რუსეთი უგზავნის მეფე ირაკლის ორ ბატალიონ ჯარს, გარეშე მტერთა თავდასხმისაგან დასაცავად

3 მუხ. ომიანობის შემთხვევებში, საზღვრებზედ მდგომ რუსის სარდლობას აქვს მინიჭებული სრული უფლებები, როგორც ქართ. მეფესთან ურთიერთობის, ისე ომის და თავდაცვის საქმეებისათვის.

4 მუხ. რუსეთი იკავებს ომის დროს იარაღით, და ზავის დროს გავლენით დაუბრუნოს ქართ. სამეფოს მისი ადრინდელი და შემდეგ დაკარგული ტერიტორიები. ამ მუხლებს ისეთივე ძალა აქვთ, როგორც ხელშეკრულებას.

ხელშეკრულების ტექსტი ამტკიცებს, რომ ის არის დადებული ორი მხრის მიერ თავისუფალი შეთანხმებით. ორივე მხარე ასახელებენ თავიანთ წარმომადგენლებს, ორივე მხარე აღიარებს, ურთიერთ განსაზღვრულ უფლებებს, და ბოლოს მე-12-ე მუხლში ისიც აღნიშნულია, რომ ხელშეკრულებაში რაიმე ცვლილების შეტანა უნდა მოხდეს ორივე მხარის შეთანხმებით და როგორც პროფ. L. Le Fur-ი დასძენს: „აქედან უდაოა, რომ ჩვენს წინაშეა საერთაშორისო ხელშეკრულება, დადებული ორ სწორუფლებიან სახელმწიფოს შორის და საერთაშორისო უფლების სუვერენულ პიროვნებისშორის“ *).

საქართველო იღებს რუსეთის მფარველობას, ხოლო ზღუდავს თავის უფლებას საგარეო პოლიტიკის თავისუფალ წარმოებაზედ, სახელდობრ ის ივალებს სანამ რაიმე საგარეო ნაბიჯი გადასდგას, რუსეთს შეეკითხოს. ამგვარად ამ ხელშეკრულებას საქართველოს იურიდიუ-

*) იხ. მისი „საქართველო და საერთაშორისო უფლება“.

ლი პირობენება არ გაუუქმებია, ის დარჩა უცვლელი. „მაშასადამე — განაგრძობს იგივე ლე ფ-ური—1783 წ. ხელშეკრულების შემდეგაც საქართველო განაგრძობს უშუალოდ საერთაშორისო უფლებით სარგებლობას, მას შერჩა სახელმწიფოს ხასიათი საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით". მაგრამ იმ შემთხვევაშიც, რომ საქართველო თავის საგარეო ურთიერთობაზედ მთლიანად უარი ეთქვა, ის სახელმწიფოებრივობას მაინცა არ ჰკარგავდა, რათგან მფარველობაში შესვლას წინ უძღოდა სათანადო ხელშეკრულება და მისი გაუქმების შემდეგ, მას უფლება ჰქონდა თავისი სუვერენობის დაბრუნების.

რაც შეეხება საქართველოს შინაგან უფლებებს, აქ მას არაფერი შეუკვეცავს, პირიქით, ტრაქტატის მეექვსე მუხლი ამტკიცებს მის ხელშეუხებლობას. ამ მხრივ საქართველო სრულიად დამოუკიდებელი ირჩება. შინაურ საქმეებში რუსეთი ვერ ჩაერევა. თვით მეფის დამტკიცებაც და მეჩკვიდრეობის დაცვაც რუსეთს ვალად ეკისრება.

მეორეს მხრივ, როგორც ზემოდ მოყვანილ ტრაქტატის შინაარსითგან დავინახეთ, რუსეთიც თავის მხრივ კისრულობს მთელ რიგ ვალდებულებებს. საქართველოს გარეშე მტერთაგან დაცვას, ომის დროს ჯარით დახმარებას,, თვით რუსეთისა და სხვა ქვეყნებს შორის მომხდარ საზავო ხელშეკრულებათა შემთხვევებში, საქართველოს ინტერესების დაცვას და სხ.

ამ ხელშეკრულებას. გარდა მფარველობითი, აქვს კავშირისა და ძეგობრობის ხასიათიც. ის მაგალითად აწესებს (იხ. შესავალი) არბიტრაჟს. ორივე მხარის შორის უთანხმოების ჩამოვარდნის შემთხვევებისათვის.

ასეთი იყო მოკლედ ამ ტრაქტატის ფორმა და მისი ობიექტიური ხასიათი; რომ ამ ხელშეკრულებით, თავისუფალ შეთანხმებით საქართველო შედის რუსეთის მფარველობაში, ხოლო რუსეთი კისრულობს მის დაცვას და დახმარებას.

საქართველოს შემდეგ ხანის მდგომარეობა გვაჩვენებს, თუ რუსეთ - საქართველოს შორის ეს მეგობრული და მფარველობითი ხელშეკრულება რუსეთმა როგორ აასრულა.

თავი VI

საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა 1783 წლის ხელშეკრულების შემდეგ

I

3 ნოემბერს 1783 წელს, თანახმად ხელშეკრულებისა, ბურნაშევის ხელმძღვანელობით, ტფილისში შემოვიდა ორი ბატალიონი რუსის ჯარი, და ჩაჰბარდა ირაკლის. ხელშეკრულების დადებისა და რუსების ჯარის საქართველოში შემოსვლის შესახებ, საქართველოს საგარეო მდგომარეობა აღმოსავლეთის მეზობლებთან ცოტა გარეულდა. ამ აქტით ყველა უკმაყოფილონი იყვენ. ირაკლის შიგნითაც ჰყავდა ოპოზიცია, ხოლომონ ლეონიძის, მეფის კანცლერის მეთაურობით, მაგრამ აქ შინაური წინააღმდეგობას არ ვეხებით.

პირველი, ამ ამბავმა იმოქმედა ახალციხის სულეიმან ფაშაზედ (ათაბეგი), ამ ხანებში სულეიმან ფაშა იმის ცდაში იყო, რომ ოსმალეთს ჩამოსცილებოდა და ავტონომია მოეპოვებინა. მაგრამ, როცა ირაკლიმ საქართველოში რუსის ჯარი შემოიყვანა, მაშინ სულეიმან ფაშამ კაცები აფრინა კოსტანტინეპოლში დახმარებისათვის. ოსმალეთმა ოფიციალურ დახმარებაზედ უარი შემოუთვალა, რათგან ხელს უშლიდა რუსეთ - ოსმალეთის ხელშეკრულება; მაგრამ ჩუმად ალუთქვა დახმარება ფაშას და კავკასიის მაჰმადიანებსაც მოწოდებები დაუგზავნა. სულეიმანი დატრიალდა რუსების წინააღმდეგ, ყარაყაიდაღის ხანს ის სწერდა: „ცრემლებით გეუბედრებით, დაგვიცავით ჩვენ, მიიღეთ ზომები ურწმუნოების ჩვენი საზღვრებითგან განდევნისათვის“. ლეკებს სთხოვს 3.000 კაცს და შუშის იბრაგიმ ხანსაც სწერდა, რომ რუსები

შემოიჭრენ კავკასიაში, მალე ალბად თავს დაესხმიან სპარსელებსა და თურქებს და ჩვენც მთლიანად მიწასთან გაგვასწორებენ, ამისთვის საჭიროა ახლავე შეებრძოლოთო" *).

ყველა ხედავდა, რომ რუსები ნელნელა მოიწევდენ კავკასიისაკენ. რუსებს ენდომათ აღედგინათ სომხეთი, რათა მათი საშუალებითაც კავკასიაში ფეხი მაგრად მოეკიდათ. რუსებმა პირველი იერიში მიიტანეს ყარაბაღის ხანზედ, ენდომათ თათრის მაგიერ სომეხი დაესვათ. ამით ისინი თავიანთ საქმეს უზრუნველ ჰყოფდენ. ამიტომ სომხებმაც პირველ ხანებში მათ ერთგულობა გამოუცხადეს, რათგან რუსეთის აგრესიული პოლიტიკის წყალობით ისინი მოელოდენ განთავისუფლებას სპარსელების უღლისაგან და დიდი ხნის სახელმწიფოებრიობას მოკლებული, სომხეთის აღდგენაზედ ოცნებობდენ.

კავკასიაში ინიშნება ღენ. პატიომკინი, მინისტრ. პატიომკინის ბიძაშვილი. ყირიმის შემოერთების შემდეგ, ის ხდება მბრძანებელი კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე და აზოვამდე. 2 თებერვალს 1784 წელს, ის ინიშნება სარატოვისა და კავკასიის ღენერალ-გუბერნატორად **). ის იწყებს ყველა სტრატეგიულ პუნქტებში ციხეების აგებას. 1785 წელს 5 სექტემბერს, პატიომკინს მოსდის უმაღლესი ბრძანება „კავკასიის სანამესტნიკოს" დაარქვების შესახებ, ორი ოლქით. ასტრახანის და კავკასიის. რაც 1786 წელს შესრულებულ იქმნა.

ამგვარად პატიომკინის მთელი მოღვაწეობა იქით იყო მიმართული, რომ მთელი კავკასია რუსეთის მფარველობაში შეეყვანა და ასე უვნებელი გზით იქ გაბატონებულიყო; ისინი კავკასიაში ყველაზედ მეტ ანგარიშს უწევდენ ქართლ-კახეთის სამეფოს და მათთანაც ამიტომ იყო, რომ საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულება დასდეს. ხოლო მათი ბნელი მიზნებისთვის ეს საკმარისი იყო. სხვებს, როგორც დანარჩენ ქართულ სამთავროებს, ისე მთიულებსა და თათრების სახანოებს მარტივად უცქერიდენ და როგორც მომავალში ვნახავთ, ასევე მარტივად გადასჭრეს მათი საკითხი.

სხვებს არ გამოპარვიათ რუსეთის ზრახვები და მცი-

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. II, გვ. 24-25.
**) იხ. ბუტკოვი. ტ. II, გვ. 165.

რე აზიაში ჩოჩქოლი შეიქმნა. ოსმალეთი ფირმანს - ფირმანზედ გზავნის კავკასიის მთიულებში და მოუწოდებს სარწმუნოების დაცვას. 1785 წელს, ჩეჩნეთში ჩნდება წინასწარმეტყველი მანსური, რომელიც მთელ კავკასიის ხალხებში გაითქვამს ღვთისაგან გამოგზავნილი კაცის სახელს. დარაზმავს ჩეჩნეთს, დაღესტანს, ყაბარდოს და სასტიკ ბრძოლას უმართავს რუსებს. თუმცა პატიომკინი მათ შაინც ამარცხებს.

ამ ხელშეკრულების შემდეგ, შექმნილმა მდგომარეობამ, საქართველოს უდიდესი ვნება მოუტანა: 1) სპარსეთ - ოსმალეთის პროპაგანდის წყალობით, ლეკები მუდმივ ესევიან და აოხრებენ საქართველოს; 2) შამშადილი ძალიან სუსტად ემორჩილება ირაკლის; 3) მალე ადერბეიჯანში უკარგება ის დიდი გავლენა, რითაც წინად სარგებლობდა; 4) განჯა თითქმის ჩამოშორდა; 5) ერევანი ხარკზედ უარს უუბნება; 6) ასევე იქცევა შამდინალი, ქურთების ერთ - ერთი ტომის ხელმძღვანელი, რომელიც მანამდე აგრეთვე ირაკლის მოხარკედ ითვლებოდა; 7) წუშის იბრაიმ ხანიც ზუსტად აქცევს ირაკლის, რომელიც ოცის წლის განმავლობაში მასთან კავშირში იყო. ქართველი ვაჭრები, სპარსეთ - ოსმალეთსა და სხვაგან განიცდიან საშინელ სივიწროვეს, მათ იჭერენ ყველგან, სცარცვავენ და ხშირად ხოცავენ კიდეც. ყველა ამის გარეშე, ირაკლიმ მარტო ლეკებს შეუწყვიტა დახმარების მიცემა, მაგრამ მათ მიერ შეყენებული ზიანი უფრო მეტი იყო.

1786 წელს, როცა ახალციხის ფაშა ირაკლის ებრძოდა, ის ილებს სულთანისგან საიდუმლო ბარათს, სადაც ნათქვამი იყო: „ხელს ნუ ახლებ ხარს, რომელიც წევს და ნურც აიძულებ, რომ ადგესო“.

როდესაც 1785 წ. ლეკები შემოესიენ ქართლს, შეერიგებისას მათ ქართველებს დასდეს ბრალი. ომარ ხანი, ირაკლის პირდაპირ ეუბნება: „რომ შენ ჩვენ არ გაგვიწიე ნამდვილი მამობა და მეც წვილობა არ მოვისურვეთ, და თუ შენ ამას იზამ, ბოლო დალესტანს დაგიმორჩილებო“. მეფე ირაკლის დარეჯანიც უსაყვედურებდა, რომ მთელი ეს უბედურობა, საქართველოს რომ დაატყდა არის შედეგი რუსეთთან ხელშეკრულების დადებისა.

ომარ ხანის შემოსევებისა და სულეიმან ფაშის ბრძო-

ლების მიზეზი იყო რუსის ჯარის შემოსელა საქართველოში. ისინი აიძულებდენ ირაკლის, რუსის ჯარი გაეყვანა საქართველოდგან. მეფე ირაკლი უარყოფითად უპასუხებს სულეიმანს — რუსეთთან ხელშეკრულობა მაქვსო. სულეიმანი 1786 წელს კვლავ აგროვებს ჯარს. იქვე თავს უყრის 12.000 ლეკს და ქართველ მეფეს შიშის ზარს სცემს. ირაკლი ყოველ დღე თხოვნას - თხოვნაზედ აზგავნიდა რუსებთან დახმარებისათვის, მაგრამ რუსებს არ უნდოდათ თურქებთან კონფლიქტი და დახმარებაზედ არ უზრუნიათ. ბოლოს ირაკლიმ კატეგორიულად დაიყენა საკითხი: — სპარსეთს ჩრომ მივმართო, სიამოვნებით დამიცავს, ასევე დამიცავენ ოსმალებიც და ლეკებიც, და მე კი თქვენს მეტი არავინ დამრჩენია, მივმართო დახმარებისათვისო.*). და როდესაც, რუსებმა ირაკლის არავითარი დახმარება არ აღმოუჩინეს, ის იძულებული გახდა საქმისათვის სხვაგვარად მოეცლო. მან მაშინადვე მისწერა წერილი სულეიმან ფაშას, და ჰპირდებოდა, რომ საქართველოში რუსის ჯარს აღარ შემოეიყვან, გარდა იმისა რაც არის (იყო 1.800 კაცი — უჩვენა 3.000), ხოლო თქვენ თქვენის მხრივ თქვენს საზღვრებში აღარ უნდა გაარჩეროთ ლეკები; არც სულთანის ჯარი შეინახოთ საზღვრებზედ და ქართველებით ვაჭრობაც აკრძალოთო.

სულეიმან ფაშამ ეს წინადადება არ მიიღო. და 29 დეკემბერს 1786 წელს, შეუთვალა: თუ ის რუსის ჯარს გაიყვანს საქართველოთგან, რუსეთითგან თავის ორ შვილს (მირიანს და ანტონს) დაამბრუნებს, მაშინ სულთანი ყველაფერს აუსრულებს. თუ ეს ჯარი არ გავა, ყოველ შემთხვევაში პირობა მისცეს, რომ მით სულთანის საზღვრებს არ ევნება და 12 თავადსაც მძევლად გაუგზავნის სულთანს.

ბოლოს ირაკლი იძულებული გახდა ელჩები ეახლებინა. მან გაგზავნა სულეიმანთან: მოსალაპარაკებლად ნიკ. ორბელიანი და თეიმ. ციციშვილი, და დაავალა, რიგიანათ შეეტყოთ სულეიმანის ზრახვები.

ამავე დროს ირაკლიმ ეს აცნობა ლენ. პატიომკინს. პატიომკინს ეს არ მოეწონა, ირაკლის ეაახსენა, რომ ამით არღვევთ ხელშეკრულების მე-4-ე მუხლს; რომ

*) იხ. დუბროვინი. ტ. II გვ. 210.

ირაკლის უფლება არა ჰქონდა რუსეთის თანხმობის გარეშე, მეზობელ ქვეყნებთან რაიმე ურთიერთობა დაემყარებინა. ამიტომ რუსის ელჩი ირაკლის სთხოვს, თავისი ელჩების უკან დაბრუნებას. მაგრამ ირაკლი კარგად ხედავდა, რომ პირველად სწორედ რუსეთმა დაარღვიეს ხელშეკრულება, როცა მას არ დაეხმარენ ბრძოლებში. და ირაკლის, ახლა სრული უფლება ჰქონდა, ის სრულიადაც არ ეცნო. მიუხედავად ამისა, მან პატიომკინს მაინც უპასუხა, რომ ის შეეცდება მძევლები უკან დააბრუნოს. ირაკლის აღნიშნულ მოქმედებაზედ, დიდ გავლენას ახდენდა თვით დარეჯან დედოფალი, რომელიც რუსეთის საწინააღმდეგო პარტიას ეკუთვნოდა. ის სასტიკი წინააღმდეგი იყო რუსეთთან კავშირის და ირაკლის ურჩევდა თურქების მფარველობაში შესვლას.

1787 წ. ივლისში, ირაკლის ელჩები მივიდენ ახალციხეში და გამართეს მოლაპარაკება პორტას წარმომადგენლებთან *).

როდესაც ირაკლიმ თურქეთთან მოლაპარაკება გამართა, ამავე დროს შიგნით სცდილობდა ზოგიერთი რამ მოეგვარებინა. მაგ. ამ დროს მან განჯის ხანი სავსებით დაიმორჩილა. ახალი ხანი მას აძლევს 5.000 მან. წელიწადში, რაც გრძელდება 1795 წლამდე.

ამავე დროს შეკრიბა 6.000 კაცი და ერევანიც დაიმორჩილა. ამდროსვე მოუხდა განხეთქილება შუშის იბრაიმ-ხანთან, რომლის წინააღმდეგ მან გაგზავნა 4.000 კაცი. სწორედ ამ ბრძოლის დროს, რუსის ჯარის უფროსს პოლკოვნიკს, მოსდის ბრძანება ღენ. პატიომკინისაგან, რათა დაუყოვნებლივ რუსის ჯარი საქართველოდან გაიყვანოს. რუსები თითქოს ამას იმ მოსაზრებით სჩადიოდენ, რომ რუსის ჯარის იქ ყოფნით ირაკლის მეზობელი მფლობელები გადაეკიდენ, ახლა ისევ დაუკავშირდებიან და თავიანთ ქვეყანას დაიკავენო.

ირაკლი და სომხის მელიქებიც ბევრი შეეხვეწენ ბურნაშევს, მისი ჯარი 12 დღით მაინც შეეჩერებინა, რათა დაწყებული ოპერაციები მოეთავებინათ, მაგრამ მან არ შეისმინა, და მაშინადვე გავიდა საქართველოთგან.

ამის მიზეზი კი იყო ის, რომ უკვე გადაწყვეტილი

*) იხ; ბუტკოვი. ტ. II, გვ. 193.

იყო ოსმალეთთან ომის გამოცხადება და საქართველოს მხრითგან ბრძოლა არ იყო ნავარაუდევი. თვით საქართველოსთვის დახმარება კი მათ არ უფიქრიათ, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით, ისიც ისევე უნდა ყოფილიყო ბრძოლის დროს, რუსების მიერ გამაგრებული, როგორც რუსეთის სხვა პროვინციები. მათ კი პირიქით, მცირე რიცხოვანი ჯარი ჰყავდათ და ისიც გაიყვანეს. ცხადია, ამით ხელშეკრულება დარღვეული იყო.

ირაკლის აღარაფერი დარჩენოდა, ის იძულებული იყო ყარაბაღიდან ჯარი უკან გამოეყვანა.

ამ დროს ირაკლიმ ახალციხითგანაც მიიღო ცნობა, რომ მათ უკვე შეკრეს კავშირი და ლეკებს ახალციხითგან გაისტუმრებდენ. ამავე ხანებში უკვე ახალციხეში ილებენ ფირმანს სულთანისაგან, რომ რუსეთთან ურთიერთობა ირღვევა, 52.000 კაცი უნდა გაემართოს ირფა-ჩაისაკენ და სულეიმანი ინიშნება მის **სერასკირად**, ხოლო სულეიმანი **დარეჯან** დედოფალს სწერს, რომ დღე მეფეებმა იბრძოლონ ერთმანეთთან, ჩვენ კი ჩვენი ქვეყნები უნდა დავიცვათო.

ირაკლიმაც დააბრუნა თავისი შვილები და ცარსევან ჰავეჰავაძე, და იქ დასტოვა მხოლოდ ერთი, თუმანიშვილი. ამავე დროს ის შეეუთანხმდა სულეიმანს, რომელიც თავის ხმრივ მზადებაში იყო, თუ სულთანი ბრძოლაში დამარცხდებოდა, ის სამცხე-საათაბაგოს დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა.

ომის დაწყებამდე ოსმალეთმა რუსეთს წარუდგინა 6 მუხლიანი მოთხოვნილება. ეს მოხდა 15 ივლისს 1787 წ. ისინი მოითხოვდენ ყირიმის დაბრუნებას და საქართველოს შინაური საქმეებში ჩაურევლობას. რუსის ელჩმა ბულგაკოვმა ეს არ მიიღო. 5 აგვისტოს ის იქმნა დატუსაღებული და 21 აგვისტოს გავარდა თურქების მხრითგან პირველი თოფი, რასაც ეკატერინე II-მ 7 სექტემბერს 1787 წელს, ომის გამოცხადების მანიფესტით უპასუხა.

ოსმალებმა მიიმხრეს თითქმის ყველა კავკასიელები და ფიქრობდენ ასტრახანისა და ყაზანის თათრების მიმხრობასაც.

ომი გაგრძელდა 1791 წლამდე. 1791 წ. 29 დეკემბერს **იასაში** დასდეს ხელშეკრულება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კავკასიის ყველა მაჰმა-

დიანი ხალხები ამ ომის დროს ოსმალეთს თანაუგრძნობ-დენ, ხოლო იძულებით ზოგი სახანოები მორჩილებაში მოიყვანეს რუსებმა. ეკატერინე გრძნობდა რა, რომ ყველა ეს ნაძალადევი იყო, ლენერლებს უბრძანა, მოლაპარაკების დროს თურქებთან, მიეღწიათ ისეთ შედეგებისთვის, რომ როგორც ყუბანის თათრები, ისე კავკასიელები დამოუკიდებელი მაინც დარჩენილიყვენ.

მაგრამ რუსეთმა ამ ხელშეკრულებით საქართველოსთვის რაც გააკეთა, ეს ის იყო, რომ თურქები დაიყოლია ახალციხის ფაშა, ქართლს აღარ დასხმოდა. ტრაქტატის ზეხუთე მუხლში სწერია: „ბრწყინვალე პორტა ჰპირდება დაამტკიცოს ახლად გაცემული ფირმანი, ... რათა ახალციხის ფაშამ და სანაპირო ჯაჯრებმა არც ლაზდ და არც ფარულად არ შეაწუხონ და არ შეავიწროვონ ქართლის სამეფო *). მაგრამ რუსების ამ წყალობას ფასი ეკარგება მას შემდეგ, რაც ზემოდ აღწერილ ამბებს გავიხსენებთ, რომ ირაკლის უკვე ისეთი კავშირი ჰქონდა სულეიმან ფაშასთან დადებული, რომ თავდასხმებისგან ამ ტრაქტატის გარეშეც დაზღვეული იყო.

ამ ზავის შემდეგ. რუსები კვლავ განაგრძობენ კავკასიის ხაზის გამაგრებას. ლენ. გუდოვიჩმა წარადგინა პროექტი ახალი ციხეების აგებისა. სათანადო სადგურების შექმნის და იქ ვოლგის ყაზახების გადმოსახლებისა, რათა ამ ადგილებში მათ სიმედო ხალხი ჰყოლოდათ.

28 თებერვალს 1792 წელს. ეკატერინე II სათანადო რესკრიპტით სცვლის ამ გეგმას და უბრძანებს იქ დონის ყაზახების დასახლებას. ყველაფერი მალე სისრულეში იქმნა მოყვანილი. 12 სადგურზე დაასახლეს 3.000 ოჯახი. ამავე დროს ბრძანება გასცა ეკატერინემ, რომ კავკასიის ხაზზედ ამ დროს მყოფი 6 პოლკი დონის ყაზახებისაც იქ დასახლებულიყვენ. აქ ამის გამო აჯანყებაც მოხდა, მაგრამ 1794 წელს კვლავ 1.000 ოჯახს ასახლებენ, და აქვე აარსებენ ყუბანის ყაზახთა პოლკს. ამის შემდეგ აუარებელი ხალხი გადმოსახლდა რუსეთიდან კავკასიის საზღვრებში. ყუბანში დასახლეს 12.810 სული, ხოლო 1795 წელს შავი ზღვის ნაპირებზედ უკვე დასახლებული იყო 17.000 სული და იქითგან ადგილობრივ მთიულებს ნელ-ნელა სდევნიდენ **).

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. II, გვ. 242.

**) იხ. ბუტკოვი. ტ. II, გვ. 292.

რუსეთი ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა და მაგრდებოდა კავკასიაში. კავკასიის საკითხი ამით სწყდებოდა, ხოლო სპარსეთს და ოსმალეთს ის უდიდეს საშიშროებას უშზადებდა. ამიტომ ჩვენ ვნახეთ, თუ როგორი წინააღმდეგობით შეხვდა მას ოსმალეთი, და ზემოხსენებული ომიც ამით იყო გამოწვეული. ახლა ვნახოთ, სპარსეთი როგორ შეხვდება ამ ამბებს, რათგან ყველაზედ სასტიკი მოუქარა მას მოელოდა რუსეთისგან.

II

სპარსეთ-საქართველოს ურთიერთობა კიდევ განსაკუთრებული იყო. წინა თავში ჩვენ ვნახეთ, რომ სპარსეთი ქართველ მეფეთა რუსეთის ორიენტაციას სასტიკად ებრძოდა. ეს იყო ერთი მიზეზთაგანიც, რომ სპარსელები ამ ბრძოლის დროს ყოველთვის, ემყარებოდენ მეფის ოპოზიციონურ პარტიას. ბოლოს შახ-ნადირმა კვლავ მორჩილებაში მოიყვანა საქართველო, და მის დროს მეფე ირაკლი ვასალურ დამოკიდებულებაში იყო სპარსეთთან. მაგრამ შახ-ნადირის შემდეგ, ირალიმ თავი გაინთავისუფლა. როდესაც ირაკლიმ რუსეთთან ხელშეკრულობა დასდო, სწორედ ამ ხანებშ სპარსეთში დიდი მოძრაობა იყო. ზოგორც ზემოდ აღვნიშნეთ, აღა-მაჰმად-ხანი ზედი-ზედ იბყრობს ყველა დანარჩენ სახანოებს და თავის ბატონობას ამყარებს მათზედ. 1795 წ. ის უკვე იმარჯვებს და თავს სრულიად ირანის შახად აცხადებს. ელჩებს გზავნის რუსეთთან და თურქეთთან მისი შახად ცნობისათვის. რუსეში არ სცნობენ; აღა-მამად ხანს შახად ცნობისათვის შიგნითაც აკლდა ზოგიერთი ფორმალობა. სახელდობრ წინეთ სპარსეთის ვასალად ითვლებოდა: 1) ერაბისტანის, 2) გურჯისტანის (საქართველო), 3) ლორისტანის და 4) ქურდისტანის. ტრადიციაა იყო, რომ შახად გამოცხადებას, ამ ოთხივე ქვეყნის მფლობელი უნდა დასწრებოდა და სათანადო ცერემონია შეესრულებინათ, კერძოდ ქართველ მეფეს მისვის ხმალი უნდა შემოერტყა.

როცა აღა-მამად-ხანი ტახტზედ ავიდა, მოუხმო მეფე ირაკლის, მაგრამ ირაკლიმ ცივი უარი შეუთვალა. პირველად მოითხოვა მორჩილება ერევნის და განჯის

ხანების, მათ უარი უთხრეს. შემდეგ ელჩები გაუგზავნა შუშის იბრაიმ-ხანს და სთხოვა მძევლები, მანაც უარი შეუთვალა. ხოლო შეიქის და შემახიის ხანები დაემორჩილენ. დერბენტის შიხ-ალი-ხანიც ილებს მის ელჩს, აგზავნის საჩუქრებით, და ილებს ალა-მამად-ხანის მფარველობას, რომელიც დაპირდა მთელი შირვანის ნაიბობას*). ტალიშინის ხანი უარს ეუბნება ალა-მამად-ხანს. ბაქოს უსეინ-ხანმა კაცი გაუგზავნა მთავარ სარდალს გუდოვიჩს და ეკითხება, დაეხმარებოდა თუ არა მას რუსეთის ფლოტი, ალა-მამად-ხანისთვის რომ წინააღმდეგობა გაეწია. გუდოვიჩმა პირდაპირი პასუხი არ გასცა, მაგრამ ეს ხანიც იძულებული იყო მიეღო ალა-მამად-ხანის წინადადება. ავარიის და კაზიკუმუხის ხანებსაც ბევრ დაპირებებს აძლევდა შახი, მაგრამ უკანასკნელნი რუსების გავლენით ადგილითგან არ დაიძვრიან.

როცა ალა-მამად-ხანმა ყველასგან გარკვეული პასუხები მიიღო, მაშინ გადასწყვიტა საქართველოც და კავკასიაც ძალით მოეყვანა მორჩილებაში.

პირველად ალა-მამად-ხანი აგზავნის 8.000 კაცს, ერევნის და შუშის ხანის წინააღმდეგ. აქ პირველად შუშის ხანმა, რომლის ჯარსაც სარდლობდა ქართველი მეფის ძე ალექსანდრე, ალა-მამად-ხანი სასტიკად დაამარცხა. ალა-მამად-ხანი შემდეგ მიადგა ტალიშნის ხანს, ააოხრა და გააქცია. შეესია და დაიპყრო შექის და სხვა სახანოები და გადასწყვიტა ყარაბალის გზით დაცემა საქართველოზედ.

სანამ ალა-მამად-ხანის შემოსევას აღვსწერდეთ, ვნახოთ, როგორ შეხვდა ამ ამბავს რუსეთი. რა დახმარება აღმოუჩინა მან საქართველოს, რომელიც ძლიერი მტრის პირის-პირ იდგა და რუსეთთან კავშირის შეწყვეტაზედ ცდილს უარს უთვლიდა ალა-მამად-ხანს.

ჩვენ ზემოდ ვნახეთ, რომ როდესაც ახალციხის ფაშამ და ლეკებმა, ოსმალეთის ფარული დახმარებით საქართველო შეაწუხეს, რუსეთმა მაშინ ხელი არ გაანძრია,

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. II, გვ. 13; ბუტკოვი. ტ. II, გვ. 333.

ის არ დაეხმარა. ე. ი. აქ დაარღვია მან პირველად ხელშეკრულებით მიღებული პირობა. ხოლო შემდეგ ისიც ვნახეთ, რომ საქართველოში მყოფი ორი ბატალიონი ჯარიც 1787 წ. უკან გაიყვანა.

ირაკლი გაძღონობდა რა ალა-მამად-ხანის გაძლიერებას და მოსალოდნელ უბედურებას, რუსეთს კვლავ ჯარსა სთხოვდა. 8 მაისს 1792 წელს, ეკატერინე II გუდოვიჩს სწერდა, რომ რუსის ჯარის შეყვანა საქართველოში ზედმეტია *). ისათგან ირაკლის დახმარება მათ მაინც და მაინც არ აინტერესებდათ, და ვინაითგან მათი საქმის თვისაც ხელსაყრელი პირობები ჯერ არ იყო შექმნილი, ამიტომ იმპერატრიცა ავალებდა ლენერალ გუდოვიჩს, რომ კავკასიის ხაზის გამაგრებაზედ ჯერ არ ეზრუნა.

1794 წელს, ირაკლი აგზავნის რუსეთში ელჩად გარსევან ქავქავაძეს, რომელიც იმავე თანამდებობაზედ წინათაც იყო ოთხ წელს. 1795 წელს მაისში, კიდევ ერთხელ მიმართა ირაკლიმ გუდოვიჩს, ბან აუხსნა ალა-მამად ხანის საფრთხე და სთხოვდა 3.000 კაცს. ირაკლის სხვა არავისი იმედი ჰქონდა ყარდა შუშის ხანისა.

გუდოვიჩს ვინაითგან ეკატერინეს ზემოხსენებული ბრძანება ჰქონდა, თვითონ ვერ ბედავდა ჯარების შემოყვანა საქართველოში, და მიმართა იმპერატორს. რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის სეპარატიული კონვენციის მე-3-ე მუხლით, ომიანობის შემთხვევაში სანაპირო ჯარების მთავარ სარდალს ეძლეოდა სრული უფლებები, ემოქმედა ქართველ მეფესთან შეთანხმებით, მაშასადამე გუდოვიჩს სრულებით არ სჭირდებოდა იმპერატორისათვის მიემართა, მაგრამ ისიც ამ მიმართვით მიიღო ირაკლიმ დროზედ პასუხი. დახმარება არ სჩანდა. რუსის ლენ. ბუტკოვი სწერს, რომ ირაკლი მხოლოდ რუსებზედ ამყარებდა იმედს და თვითონ არავითარ ზომებს არ იღებდაო. ამას რასაკვირველია რუსის ისტორიკოსი სწერს. ირაკლიმ ყოველნაირი ზომები მიიღო რაც კი შეესაძლებელი იყო. მაგრამ ჩვენ ზემოდ ვნახეთ, რომ მდგომარეობა შეტად მძიმე იყო; რომ პირველ შემოტევაზედვე კავკასიის სახანოთა უმრავლესობა ჩაჰბარდენ სპარსელებს. ირაკლიმ მაინც მოახერხა ამ ბრძოლებისათვის მიეღო ფულადი დახმარება: შუშის ხანისაგან 120.000

*) იხ. ბუტკოვი. ტ. II, გვ. 334.

ბან,. ერეკლის ხანისაგან 200.000 მან. და განჯის ხანისაგან 50.000 მანეთი. ირაკლი ახლო კავშირში იყო შუშის ხანთან, შეკავშირდა იმერეთის მეფესთანაც. ჯერ კიდევ 1790 წ. დაადო საკავშირო ხელშეკრულება საქართველოს ყველა მთავრებთან. ასე რომ, მას არც ერთი ცოცხალი ძალა არ დარჩენია, რომ კავშირი არ ეცადა. ისიც მართალია, რომ ამდროს თვით საქართველოს შინაური მდგომარეობა ვერ იყო კარგად, მაგრამ ეს ყველაფერი როგორც არ უნდა ყოფილიყო, ის რუსეთს მაინც არ ანთავისუფლებდა თავისი მოვალეობებითგან, რომელიც მან მიიღო თავზედ ხელშეკრულებით. ამიტომ ბუტკოვის სიტყვები, რუსეთის საქციელის გამართლების სურვილით არის ნაკარნახები; ხოლო ფაქტები სულ სხვას ლაპარაკობენ.

თუმცა ჩვენი თემა არ ეხება საშინაო მდგომარეობას, მაგრამ, რომ ირაკლის მომავალი დამარცხება ადვილი გასაგები გახდეს, ოდნავ ეს მდგომარეობაც უნდა გავითვალისწინოთ.

მეფე ირაკლის ოჯახში შექმნილმა მდგომარეობამ გავლენა იქონია საქმეთა მსვლელობაზედ. ირაკლის შემდეგ ტახტი გადადიოდა მისი უფროსი შვილის გიორგის ხელში. დარეჯან დედოფალი, რომელიც იყო მისი დედინაცვალი, ტახტი თავისი შვილისათვის უნდოდა (ამ საკითხის სხვა ხხარეებს შემდეგ შეეხებით, როცა ქართლ - კახეთის ანექსიას აღვწერთ). ამ ნიადაგზედ ოჯახში მუდმივი უთანხმოება იყო. მეფე ირაკლი საკმარისად ხანში შესული იყო და დარეჯანი უკვე ცავლენას ახდენდა მეფეზედ. ამ მოვლენას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ დარეჯანი და მისი შვილები, ალექსანდრე, იულონი და სხ. საერთოდ სოლომონ ლეონიძესთან ერთად რუსეთის ორიენტაციას არ იზიარებდენ, ადვილი გასაგებია, რომ ისინი გულიანად შეხვდებოდენ ალა-მამად-ხანის შემოსევას. ამის გამო იყო, რომ მეფე ირაკლის მრავალი შვილებითგან ამ დიდ ბრძოლებში მხოლოდ ორმა მიიღო მონაწილეობა. ალექსანდრემ, რომელიც პირველ ბრძოლას იხდის ალა-მამად-ხანთან შუშის ჯარებით, ხოლო შემდეგ კრწანისის ომში მოწინავე რაზმს სარდლობს ირაკლის შვილის გიორგის შვილი იოანე და მეორე დავითი შემარჯვენე ფრონტს, თავისი არტილერიით. მას აქ ახლდა მეორე შვილი ვახტანგი. გიორგი ამ დროს

ქიზიყში იყო, ლეკების თავდასხმისაგან კახეთს იცავდა, ხოლო ფარნაოზი და იულონი ქართლში და ისინი მამას ეელარ მიეშველენ.

რუსეთის საკითხმა ქართლ-კახეთის მოწინავე საზოგადოება ორად გააპო. ერთნი, რუსეთის მხარეს რომ იცავდენ, მოტყუულებულნი დარჩენ. მოწინააღმდეგენი გულცივად იყვენ ალა-მამად-ხანის საფრთხის წინაშე. ალ. ორბელიანის და სხვათა დამოწმებანი ნათელს ხდიან უკანასკნელთა ორპოფ მდგომარეობას; და როცა საფრთხე კარებზედ მოადგათ, ზოგიერთმა მოწინავე პირებმა მორიდებულად ზურგი შეაქცევს ირაკლის, რაც ერთნაირად ღალატსაც ეუდრიდა. ჩვენ გვწამს, და მომავალი გამოარკვევს, რომ მთელი ქართლ-კახეთი მეფე ირაკლისთან ერთგულად გამოსულიყო, ალა-მამად-ხანი საქართველოს ვერ ააოხრებდა. ასეთ პირობებში, რუსების დაუხმარებლად ირაკლი განწირული იყო. ეს იცოდენ რუსებმა და ამიტომ შეგნებულად უარი უთხრეს დახმარებაზედ.

ახლა დავუბრუნდეთ ალა-მამად-ხანის შემოსევას.

როგორც ზემოდ აღენიშნეთ, შუშის ხანმა პირველად თეიმცა დაამარცხა ალა-მამად-ხანის ჯარები, მაგრამ სპარსელებმა მალე დიდი ჯარით ალყა შემოარტყეს. მეფე ირაკლიმ იგრძნო საშიშროება და შეუდგა მზადებას. იმერეთითგან 8.000 მაგიერ ჩამოვიდა 2.000 კაცი, ზურაბ წერეთლის მეთაურობით. გიორგის ქიზიყში ჰყავდა 4.000 კაცი, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვროდა, ხოლო სხვა ბატონიშვილებმა ჯარი ვერ მიაშველეს. თვითონ კი როგორც იყო 5.000 კაცი შეაგროვა და კვლავ რუსებს მიმართა დახმარებისათვის.

ალა-მამად-ხანი დაბანაკდა განჯაში და ირაკლის შეეშინეთ, დამორჩილებოდა, ირაკლი ბოლომდე დაიმედებული იყო, რომ რუსები დაეხმარებოდენ, ამიტომ უარი შეუთვალა. დღეს, ირაკლის ასეთი ფანატიზმი, გულუბრყვილოდ მოგვეჩვენება. მაგრამ ის ოინდი იყო აღმოსავლურად აღზრდილი და მას ეს სწამდა. როცა გასჭირდა, დარეჯან დედოფალმაც მიმართა გუდოვიჩს, ალა-მამად-ხანმა დაიპყრო განჯა და მოიწევს ჩვენზედაო; რისხვა დღითი დღე ახლოვდებოდა და ირაკლი ზედიზედ თხოვნებს აგზავნიდა რუსებთან. მაგრამ გუდოვიჩმა დახმარებაზედ უარი უთხრა, და იმით დააიმედა, რომ

ალა-მამად-ხანი ვერ გაბედავს შემოსევასო. როცა ირაკლის გოდელგვარი იმედი გადაუწყდა, მაშინ მოხსნა ჯარები საზღვრებს და ტფილისს მიაშურა. ამ დროს იმერეთის ჯარებიც დაიშალენ და უკან წავიდენ. დარჩა ირაკლი მარტო. როცა ალა-მამად-ხანმა ირაკლის ასეთი მდგომარეობა შეიტყო, მაშინადვე მიატოვა შუშის ციხე და საზღვრებზედ რომ არავინ ნახა, მაშინადვე წამოვიდა ტფილისისაკენ; ალა-მამად-ხანს ამ დროს ახლდა 70.000 კაცი.

ის დაბანაკდა ტფილისითგან 7 ვერსის მანძილზედ და იწყო ძლიერი სამზადისი, რათგან იცოდა, რომ ქართველები მას ადვილად არ დაუთმობდენ დედა-ქალაქს.

10 სექტემბერს, ალა-მამად-ხანი მიუახლოვდა ტფილისს ცხენოსანი ჯარით, მაგრამ მისი მოწინავე რაზმი ქართველებმა მთლად გაუწყვიტეს. ეს ხმა მაშინადვე გავარდა და ქართველები ყველგან ზეიმობდენ, გიორგი კი ჭიზიყში მთელი ჯარით ქეიფობდა. პირველი დამარცხების შემდეგ, სპარსელებმა ისევ მიიტანეს იერიშები ტფილისზედ, ხოლო ირაკლი შემოეგება მათ; ირაკლიმ ჯარები გაჰყო ოთხად: პირველი ნაწილი დავით ბატონიშვილის სარდლობით გაჩერდა სოლოლაკის მხარეს და თავისი არტილერია აქ გაშალა; ცენტრი დაიკავა თვით შეფე ირაკლიმ ბატონიშვილი ვახტანგთან და თავად ამილახვარით; მარცხენა ფრთა დაიკავა თ. ივანე მუხრან-ბატონიშვილმა თავისი რაზმით; ხოლო მოწინავე ჩაებარა ირაკლიმ თავის შვილისშვილს იოანე ბატონიშვილს.

მოწინავე დაეშვა ვაკეებზედ, ხოლო ბატონიშვილი დავითი ირაკლის ბრძანებით იკავებს კოწანისს.

თავის ბრივ ალა-მამად-ხანმა ჯარი გაჰყო 14 ნაწილად, დაიკავა მაღლობები: სოლანლუღის, ქოსნაპადა, თელეთის, კოწანისის და დაიძრა ქართველებისაკენ.

დაიწყო ხელჩართული ბრძოლა კოწანისის ველზედ. ქართველები ისე გაოფრთრებული იბრძოდენ, რომ სპარსთა ურიცხვი ჯარი შედრკა და გარბოდ-გამორბოდა. ალაფმამად-ხანს, რომ მისი ჩვეულებრივი ხერხი არ ეხმარა, მთელი ჯარი გაექცეოდა. მას ჩვეულებად ჰქონდა, თან ჰყოლოდა თურქმენთა ტომის ხალხი, უკანასკნელთ ძალიან ეჯავრებოდათ სპარსელები, და ის სპარსელებს ზურგში ყოველთვის მათ გაუჩერებდა და გაქცეულებს აყლეტინებდა ხოლმა. ახლაც მას 6.000 თურქმანი ახლ-

და და როდესაც შეშინებულმა სპარსელებმა გაქცევა დაიპირეს, ისინი მიუსია, რომელთაც დიდძალი ჯარი გასწყვიტეს. ამის შაყურებელი დანარჩენი ნაწილი იძულებული გახდა, ისევ ქართველებთან ბრძოლაში ჩაბმულიყო. ალა-მამად-ხანმა კვლავ მიიტანა ქართველებზედ იერიში.

ქართველთა მოწინავე ჯარი მამაცად იბრძოდა დილის 7 საათითგან მოყოლებული, დაჰკარგა მრავალი ხალხი და ბოლოს მისუსტდა. სწორედ მაშინ, როდესაც ქართველთა მოწინავეს გადაწყვეტილი ჰქონდა უკან დახევა, ამ დროს გამოჩნდა ირაკლის მიერ გამოგზავნილი ვახტანგ ბატონიშვილი, ქიზიყის, არაგვის ნაპირების და ფშავ-ხევსურთა რჩეული ვაჟკაცებით; ქართველები ამით გაძლიერდენ და კიდევ უფრო გმირულად შეუტიეს სპარსელებს. მალე კიდევ ახალი დამხმარე ჯარი მოვიდა მაჩაბლის ხელმძღვანელობით. მაჩაბელს თან ახლდა ზურნა-დუდუკი. მან ბრძოლის წინ ჩამოჰკრა ჩონგურს, რამდენიმე მხიარული სიმღერა დაიმღერა, შემდეგ შეუერთდა იოანე და ვახტანგ ბატონიშვილების ჯარებს და პირდაპირ სპარსთა დროშებისაკენ მიიტანა იერიშები. ის მიიპრა გმირულად და ალა-მამად-ხანის თვალწინ სპარსელებს აუარებელი დროშები ჩამოართვა.

ალა-მამად-ხანმა სწორედ ამ დროს სთქვა: — **მე არ მახსოვს, რომ ჩემს მტრებს ასე ვაუკაცურად ებრძოლოთო.**

მაშინ ალა-მამად-ხანი აძლევს ბრძანებას ზურგში მყოფ მაზანდარანის ქვეითა ლაშქარს, დადგეს ხელჩართულ ბრძოლაზედ. ირაკლიმაც დასძრა თავისი უკანასკნელი და მცირე რიცხოვანი ჯარი და გაიმართა უკანასკნელი სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. მაგრამ იძლია ირაკლი, ის თავისი მცირე რიცხოვანი ჯარით ვერ გაუმკლავდა 70.000 სპარსელს და თითქმის მთელი ჯარი გაუწყდა...

ბრძოლა გრძელდებოდა დილითგან-საღამომდე. სპარსელები სამჯერ იქმნენ უკუგდებული ჭალაქის კედლებითგან, მაგრამ ქართველების ძალას მათი დიდად აღემატებოდა, ამიტომ ქართველებმა დაიხიეს. მეფე ირაკლი ამ ბრძოლაში ჰგავდა გააფთრებულ ვეფხვს, რომელიც ამ დამარცხებით თავდავიწყებამდე იყო მისული და ბრძოლის ველის მიტოვება მაინც არ უნდოდა. მთელი

მხედრობა ეხვეწებოდა ირაკლის და არწმუნებდა: რომ ყველამ იცის შენი თავგანწირულება, ყველამ იცის, რომ შენ სამშობლოსთვის სიკვდილს ხიხარულით შეეგებები მაგრამ თუ ბედმა გვილალატა, შენი ასეთი საქციელით ბაინც მეტ მსხვერპლს ნუ ილებ მტრის გასახარებლად, რათგან შენ კიდევ საჭირო ხარ სამშობლოსათვისო. მაგრამ ეს ხვეწნა ამაო იყო, ირაკლი მაინც არ იხევდა უკან და მაშინაც კი, როდესაც სპარსელებმა გზა მოუჭრეს იოანე და ვახტანგ ბატონიშვილების ლაშქრებს და დაეშვენ ირაკლის მიერ დაკავებულ პოზიციებისკენ, ირაკლი ბანრისხებული პირისპირ შეიჭრა სპარსთა უთვალავ ლაშქარში და მართლაც უმოწყალოდ დაილუპებოდა, რომ არ ეხსნა ის მის შვილისშვილს. ამ დროს იყო, რომ იოანე ბატონიშვილმა 300 რჩეული ვაჟკაცით გააპო სპარსეთის ჯარი, შეიჭრა შიგ შუაგულში და ალყა შემორტყმული მოხუცი მეფე მტერს ხელითგან გამოჰგლიჯა...

აღა-მამად-ხანი შეიჭრა ტფილისში. ირაკლიმ მოასწრო და ავლაბრის ხიდით არაგვის ხეობას შეაფარა თავი...

ირაკლის წასვლით ბრძოლა კიდევ არ შეწყვეტილა, არამედ ის სასტიკ სახეს ილებს ტფილისის ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში. დავით ბატონიშვილი სასტიკად ებრძვის უკვე შემოსულ მტერს და რამოდენიმეჯერ კიდეც უკუაგდო, მაგრამ როცა გასჭირდა და გაიგო აგრედვე, რომ მეფე ირაკლი უკვე გასულია, ისიც სტოვებს ტფილისს და არაგვით მიდის მთიულეთში, და გადასწყვეტს, აღარ მოსცილდეს თავის პაპას, სანამ სპარსელები არ წავლენ.

ამგვარად აღა-მამად-ხანმა დაიპყრო ტფილისი და სასტიკად ააოხრა. ტფილისი დანგრიეს, მთელი ავლაბრის მიდამოები გადასწვეს. აღა-მამად-ხანი შევიდა ტფილისში და დამბრძანდა ირაკლის სასახლეში. მიასია ჯარები, დანგრევია ეკლესიები, სამეფო აბანოებიარსენალი და სხ. თვითონ თურმე ტფილისში გათევის ეშინოდა, ამიტომ ღამის სოლანლიღში ათევდა და მხოლოდ დღისით შემოდიოდა ტფილისში. სპარსელები ათასგვარ სიხაძაგლეს სჩადიოდენ, დედას ბავშს გულზედ აკლავდენ, ხშირად ვარჯიშობდენ, თითო ხმლის დაქნევით ბავშების შუაზედ გადაჭრაზედ. მტკვარზედ, ხიდთან ღვთისმშობლის ხატი დასვენეს და ვინც შეურაცხყოფას არ მიაყე-

ნებდა, მდინარეში ჰყრიდენ. გვამებით აავსეს მტკვარი.

აღა-მამად-ხანის ისტორიკოსი არ ფარავს და აშბობს, რომ მან ქართველებს აჩვენა მაგალითი, რასაც უნდა მოელოდენ ისინი განკითხვის დღესაო.

ამგვარად რუსებისგან განწირული, ტფილისი ისე ააოხრა აღა-მამად-ხანმა, რომ ქვა - ქვაზედ არ დასტოვა. ამდროს იმდენი ხალხი (მამაკაცი განსაკუთრებით) გაწყვეტილა, რომ 1803 წლის ცნობით, თურმე ომში დალუპულთა 7.000 დედაკაცი ქვრივად დარჩენილა.

როცა აღა-მამად-ხანმა თავისი ოპერაციები მოათავა და ქართველების ხოცვა - ყლეტით გული ივსერა, ის დაბრუნდა განჯას.

ქართველები ნელ-ნელა ტყეებითგან და მთებითგან ჩამოვიდენ და განადგურებულ ბინებზედ დაიწყეს დასახლება. შეიქმნა მეტად შემზარავი და აუტანელი წუთები: მთელი ოჯახი დაქსაქსულია, ზოგს მამა აღარ ჰყავს, ზოგს დედა, ზოგს ძმა დაჰკარგვია, ზოგი შვილსა სტირის და არც ერთი ოჯახი არ იყო ამ უბედურობის გარეშე დარჩენილი...

ანანურის ძველ, ნახევრად დანგრეულ მონასტერთან, ერთ ბნელ კუთხეში, ცხვრის ქურქში შეხვეული იჯდა ამ დროს მეფე ირაკლი და ქვეყნის მწარე ხვედრზედ ფიქრობდა...

ახლა ვნახოთ, როგორ აღასრულეს თავიანთი მოვალეობა რუსებმა ქართველების მიმართ, მათთვის ამ ტრაგიკულ წუთებში.

ჩვენ ვიცით, რომ ხელშეკრულების ერთი მთავარი მიზანი ქართველების მხრივ ის იყო, რომ მათ თავი უზრუნველ ეყოთ, მომავალი გაძლიერებული სპარსეთის თავდასხმისაგან, და რუსეთმაც მრავალი ვალდებულებები იკისრა. ზემოდ აგრედვე ჩვენ ვნახეთ, რომ მეფე ირაკლიმ აუარებელი თხოვნები მიართვა რუსებს დახმარებისათვის; სანამ აღა-მამად-ხანი შემოესეოდა, სპეციალური დელეგაცია გაგზავნა პეტერბურგს: გარსევან ჭავჭავაძე და მირიან ბატონიშვილი. მაგრამ ამაოდ. რუსეთს დახმარება არ სურდა. მოსაჩვენებლად კი, მხოლოდ შემდეგ, 4 სექტემბერს 1795 წელს, გასცა ეკატერინემ ბრძანება, ქართველებს დაეხმარეთო; მაგრამ 12 სექტემბერს, ტფილისი აღა-მამად-ხანის ჯარების მიერ უკვე აღებული იყო. ყველასათვის ცხადია, რომ ამ შემოსევის 8 დღით

წინ გაცემა ბრძანებისა, მხოლოდ დაცინვა იყო, ჯარების იმ მოძრაობის პირობებში, რომელიც მაშინ იყო. და ესეც რომ არ იყოს, 4 სექტემბრის თარიღი აზის დღეს არსებულ დოკუმენტებს, მაგრამ სინამდვილეში ღენ. გუდოვიჩმა (ამ დროს კავკასიის ფრონტის სარდალი იყო) ეს ბრძანება მიიღო 1 ოქტომბერს. როგორც ვხედავთ, ბრძანების მიღებას დასჭირებია პეტერბურგიდან 26 დღე. ამ დროს საქართველო უკვე აოხრებული იყო და ალა-მამად-ხანიც უკან გაბრუნებული. მხოლოდ დეკემბერში მოვიდა საქართველოში რუსების 2 ბატალიონი ჯარი, როდესაც ყველაფერი გათავებული იყო.

III

ამ სასტიკი დამარცხების შემდეგ, დიდი ადამიანის სამხედრო გენია არ წყნარდება და კვლავ ბრძოლისათვის ემზადება.

ირაკლი სწერს გუდოვიჩს, რომ მას რუსების იმედი არ ჰქონოდა, სხვა გზით გამონახავდა საშუალებას თავდაცვისა. ხოლო პეტერბურგში კვლავ სწერს მირიან ბატონიშვილს და გარსევან ჭავჭავაძეს: „... აი დრო, როდესაც გვირდებათ თქვენ დიდი შრომა საშშობლოსათვის, ეკლესიისა და ქრისტიანობისათვის. ალარაფერი დაგვრჩა, ყველაფერი დავკარგეთ... თქვენ თვითონ იცით, რომ ჩვენ რუსეთთან ფიცით დაკავშირებული არა ვყოფილიყავით და ალა-მამად-ხანთან თანხმობა გაგვეცხადებინა, ეს უბედურობა არ დაგვატყდებოდა თავს...“ *) და კიდევ სთხოვს, იქნებ ახლა მაინც მოაშველონ ჯარი, სანამ ალა-მამად-ხანი გაძლიერდებოდეს

ირაკლი ხელმეორედ დაგზავნის მოწოდებებს; გიორგის აგზავნის კახეთში, იულონს ქართლში, ხოლო ალა-მამად-ხანს გაუგზავნა თ. ქაიხოსრო ავალიშვილის ხელით შემდეგი წერილი: „... თუ შენ სთვლი შენს თავს შახად და მთელი სპარსეთის მბრძანებლად, რატომ ააოხრე ჩემი დედა-ქალაქი, რატომ ამოსწყვიტე შენდამი დაუმორჩილებელი ჩემი ქვეშევრდომნი? უნდა იცოდე მოქცევა მეფურად. ომის შემდეგ ტფილისის მცხოვრებ-

*) იხ. დუბროვინი. გიორგი XII, გვ. 31 (რუს.).

ლებისათვის უნდა მიგენიჭებია მშვიდობა და ამით მოგვეგო მათი გული. მოისმინე ახლა ჩემი წინადადება: ტყვეებს დაუბრუნე თავისუფლება: და მერე ჩვენ ვიფიქროთ კავშირის პირობებზედ, შეეკრად ის და მე მას აღვასრულებ დაურღვევლად, როგორც მოითხოვს პატიოსნება და სამართლიანობა. თუ შენ არ შეასრულებ ჩემს სურვილს, მე ვიზამ ყველაფერს, რომ სამშობლო გადავარჩინო, რათგან ყოველი ქართველის გული ალსავსეა შეურაცყოფით და შურისძიების გრძნობით. გიცხადებ აგრედვე, რომ ჩვენი თანამოძმენი, რუსეთის იმპერატორი არ აიტანს იმას, რასაც შენ ჩვენ გვაყენებ" *).

ალა-მამად-ხანმა ირაკლის ამის საპასუხოდ აი, რა პირობები დაუყენა:

1. გასცეს მასთან დახმარებისათვის მყოფი ყარაბაღის მცხოვრებლები.

2. მისცეს შვილი მძევლად.

3, მისცეს აზატ-ხანის მიერ ქართველ მეფეებისადმი მიცემული დიდი თეთრი ალმასი.

4. და საათი, რომელიც ჰკიდია საბჭოში (ეს საათი იყო ირაკლისადმი რუსის მინისტრის გრაფ. პატიომკინის ნაჩუქარი).

ალა-მამად-ხანი თავის მხრივ ჰპირდებოდა, ის გაანთავისუფლებდა 30.000 ქართველ ტყვეს, რომელიც მან წაიყვანა, ალაგდენდა და შეაკეთებდა გადამწვარ და დანგრეულ ტფილისს და შეკრავდა მასთან მეგობრულ კავშირს (იქვე. გვ. 32).

ირაკლი მეფემ ულარი შეუთვალა და ისევე გრაფ გუდოვიჩს მიმართა ხვეწნით, თუ დროზედ ულარს არ მოშაშველებ, იძულებული ვიქნები დავეთანხმო მახის პირობებსო. მაგრამ გუდოვიჩმა მაინც ულარი შემოუთვალა. ეკატერინესგან ამის ბრძანება არა ჰქონდა, ამიტომ გუდოვიჩი სწერდა ირაკლის, რათა მოლაპარაკებით დრო მოეგო, თუ გაუჭირდებოდა დაეთმო საათი და ალმასი, ხოლო კავშირზედ ულარი ეთქვა. ალა-მამად-ხანი ამ დროს ტფილისის ახლოს დაბანაკდა და ლეკებთან მოლაპარაკება გამართა. ის უსვამს ქართველებს და დიდ ფულს ჰპირდება.

ამ დროს გარსევან ჭავჭავაძემ კიდევ მიმართა თხოვ-

---

*) იხ. დუბროვინი. გეორგი XII, გვ. 32.

ნით პეტერბურგში. თხოვნა განიხილა სახელმწიფო საბჭომ და 18 ოქტომბერს 1795 წელს, დაადგინა დაეხმაროთ ირაკლის. ამიტომ გუდოვიჩსაც წინადადება მიეცა. თვით ეკატერინე სწერდა, რომ თანახმად ხელშეკრულებისა, ირაკლის უნდა დავეხმაროთო (რა კი დროს გაიხსენეს ხელშეკრულება!), მაგრამ ეკატერინე მაინც აფრთხილებს გუდოვიჩს, ისე მოიქცეს, რომ მისი მოძრაობა თურქებისათვის გამაღიზიანებელი არ იყოს.

28 ნოემბერს, საქართველოში გამოეშურა ორი ბატალიონი (2.000), წინამძღვრად ირაკლის სურვილისა (8.000). ჯარის უფროსს სიროკნევს წინადადება ჰქონდა მიცემული, რომ ტფილისში მანამ არ შესულიყო, სანამ ირაკლი თავისი ხალხით არ გაამაგრებდა ტფილისს.

როდესაც რუსის ჯარი დღეშეთში მოვიდა, ამ დროს აღა-მამად-ხანი გაბრუნდა სპარსეთში და რუსის ჯარიც უკან წავიდა და გაჩერდა „კავკასიის ლინიაზედ".

1796 წელს, რუსეთი ომს უცხადებს სპარსეთს,- და აგზავნის 40.000 კაცის ექსპედიციას ზუბოვის ხელმძღვანელობით. საინტერესოა ცოტა ხანს შევჩერდეთ ამ ომის მიზეზებზედ.

რუსეთის ზოგიერთი ისტორიკოსები გვარწმუნებენ, თითქოს ეს იყო საშაგიეროს გადახდისთვის, იმიტომ, რომ სპარსეთმა საქართველო აიობრაო. 1796 წლის. თვით ეკატერინეს მანიფესტშიც ნათქვამია. რომ ის ილაშქრებს სპარსეთზედ, რათგან მან (აღა-მამად-ხანმა) დაარღვია ხელშეკრულება რუსეთთან, რომელიც შეიცავდა რუსი ვაჭრების პრივილეგიებს და მერე შემოიჭრა საქართველოშიო *). მაგრამ სანამ მიზეზებზედ რამეს ვიტყოდეთ, ჯერ ვიკითხოთ, თუ რუსეთს სურდა საქართველოს მაგიერ სპარსეთზედ ჯავრი ეყარა, რალა აქამდე მიიყვანა საქმე. მას ხომ შეეძლო. ბარემ საქართველოს აიობრებამდე დახმარებოდა! და ისიც ვიცით, რომ აღა-მამად-ხანს, რომ სკოდნოდა რუსების ქართველებისადმი დახმარება, ის შემოსეევას ვერ გაბედავდა. მაგრამ რუსებმა განგებ მიიშვეს აღა-მამად-ხანი. ამ ომის ნამდვილი მიზეზები კი შემდეგი იყო: ჩვენ ვიცნობთ უკვე რუსეთის მისწრაფებას სპარსეთისაკენ. ისიც ვიცით, თუ რა ოპერაციები მოახდინა ჯერ კიდევ პეტრე დიდმა და მაშინაც ქართ-

*)) იხ. ბეტკოვი. ტ. II, გვ. 371.

ველები როგორ გამოიყენა. მაგრამ შემდეგ, როგორც კი სპარსეთი გაძლიერდა ჯერ ნადირ შახის და მერე აღა-მამად-ხანის დროსაც, რუსეთის სიმაგრეებს, რომლებიც ამ დროს მათ ეკავათ კასპიის ნაპირებზედ, დანგრევა მოელოდათ. ეს იმ დროს, როდესაც მათი ინტერესი იყო მუდამ წინ წაწევა. მათ ამდროს ეკავათ ორი თვალსაჩინო ჯარი, ასტრაბადისა და ენეტლის, რომელიც საკმაოდ ძლიერი იყო ამ მხარეში რუსეთის ვაჭრობის ბატონობის უზრუნველსაყოფად. რუსები ყოველ წუთს საბაბს ეძებდენ, იქით წადავებოდენ და როდესაც აღა-მამად-ხანის მეორე ძმამ, **მურთაზა-გული-ხანმა** მიმართა რუსებს დახმარებისათვის, მათ დიდის სიამოვნებით მოისურვეს მისი დახმარება, რათგან მისი გილანში აღდგენით, შალე, მაზანდარანსაც შემოიერთებდენ.

ამავე მიზეზების გამო იყო, რომ რუსებმა განგებ არ მოინდომეს ირაკლის დამარცხება აღა-მამად-ხანის წინააღმდეგ. აქ მათ თავიანთი ანგარიში ჰქონდათ და ირაკლი და საქართველო მსხვერპლად გაიღეს, მხოლოდ იმიტომ, რომ საბაბი გაეჩინათ და თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის, სპარსეთს თავს დასხმოდენ.

მაშ ყველაფერი იყო წინასწარ ნაანგარიშევი.

ხოლო მაშინ კი, როდესაც სპარსელებმა ტფილისი ააოხრეს და რუსეთმა მათ ომი გამოუცხადა, ამ ლაშქრობის მთავარ სარდალს ზუბოვს მოეკვიდა ბრძანება, რომ მან მძევლების სახით უნდა ჩამოართვას კავკასიის ყველა მფლობელებს შვილები, აძლიოს ჯამაგირი და ამსახურის. ეს უნდობლობა ქართველებზედაც ვრცელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა ასეთი ერთგულება გამოიჩინეს, რუსების, როდესაც უკიდურეს კრიტიკულ შემთხვევაშიც არ უღალატეს. რუსებმა დაარღვიეს ხელშეკრულება, უღალატეს ქართველებს და ამის შემდეგ ცხადია ქართველებსაც სრული უფლება ჰქონდათ თავისუფლად ემოქმედათ. მაგრამ ირაკლიმ აქაც არ უღალატა რუსებს, მართალია მისი ეს მოქმედება იყო რაინდული, მაგრამ პოლიტიკურად გაუმართლებელი. მიუხედავად ყველა ამისა, რუსები ამ ომის დროს მაინც არ ცნობდენ ქართველებს და ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ ზუბოვს თან უნდა წაეყვანა 1.000 რჩეული ქართველი, მათ შორის ირაკლის საყვარელი შვილები.

თავის ჯარში უნდა ემსახურებია იულონ ირაკლის ძე და ბატონიშვილი დავითი *).

რუსების ეს ექსპედიცია უშედეგო აღმოჩნდა. მათ მალე უკან გაიწვიეს თავიანთი ჯარები.

მაშინ აღა-მამად-ხანმა შემოიკრიბა ძალები და მოკავშირეებს დაემუქრა. აზერბეიჯანსა და დაღესტანში გაგზავნა ფირმანები, ირაკლისაც კაცი გამოუგზავნა წერილით, საქართველო და მთელი კავკასია შიშის ზარმა მოიცვა. მაგრამ ირაკლის სწერდა: ან შენ მოდი ჩემთან და ბოდიში მოიხადე ან ქვეყანა დამიმორჩილე და ერთი შვილიც მძევლად გამომიგზავნეო. ამავე მეფეს ითხოვა აღა-მამად ხანი შეესია და შუშის სახანო დაიპყრო და კვლავ საქართველოს ემუქრებოდა. 1797 წლის დასაწყისში. ირაკლიმ კიდევ გაგზავნა ელჩი გარსევან ჭავჭავაძე პეტერბურგს. მან აპრილში იმპერატორის მიერთვა თხოვნა, და სთხოვდა 4.000 კაცს. ამის შესახებ კი აღა-მამად-ხანი ირაკლის გასცინოდა, რომ რუსების საქმეა ვაჭრობა, ვის უნახავთ, რომ მათ ხმალი ეხმაროსთო. ბოლოს აღა-მამად ხანმა თავის მოთხოვნილებანი მოხსნა და ირაკლის სთხოვდა წერილობითი პირობა მიეცა, რომ ის მას დაემორჩილებოდა. ირაკლის კიდევ ეშინოდა შახის. რათგან მდგომარეობა ასეთი იყო: ერთის მხრივ აოხრებული საქართველო და მეორეს მხრით შახმა მთლად შემოსაკრავა ირაკლის მორჩილებაში მყოფი ხანები და მის წინაღმდეგ აამხედრა. ბამბაკის და ბორჩალოს მცხოვრებთ უბრძანა აღა-მამად-ხანმა ერევნის ხანს, დამორჩილებოდეს. ნახჩევნის ხანს ჯერ თეალები დასთხარა და მერე მოკლა. ასევე მოექცა ქოის ხანს. განჯის ჯევატ-ხანი გაიწვია და სხვა დანიშნა. ერევნის ხანს მოსთხოვა 500.000 მანეთი, წინაღმდეგ შემთხვევაში ჩამოხრჩობით ემუქრებოდა.

ჯერ კიდევ გარსევან ჭაეჭავაძის პეტერბურგში ყოფისგან პასუხი არ მიეღო, რომ ხმები გავრცელდა აღა-მამად-ხანის მოახლოებაზედ, 1797 წელს ის გამოჩნდა **არაქსთან.**

აღა-მამად-ხანმა რომ შუში დაიპყრო, ის დაბინავდა ხანის უფროსი შვილის მაჰმად-ჰასან-აღის სასახლეში, და რომ აქეთგან კვლავ ახალ გეგმებს ამზადებდა, ერთ

*) იხ. ბუტკოვი. ტ. II, გვ. 369.

ლამეს ის მოჰკლა ერთმა მისმავე მსახურმა, რათგან ბატონი წინადღით მას სიკვდილით დაემუქრა სრულიად უმიზეზოდ; მსახურმა კი მოასწრო და შახს ლამე ხანჯლით გული გაუპო... როდესაც მას ხანჯალი ჩასცეს, ერთი წამოიწია, გულზედ ხელი ჩამოიკიდა და მკვლელს მიაძახა — „უბედურო, შენ მოჰკალი ირანი"-ო. ამ სიტყვების შემდეგ დაეცა ირანის დიდი ტირანი, და მარად მშფოთავი სული განუტევა.

ამ ანაზდეულმა შემთხვევამ არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა და მთელი მდგომარეობა შესცვალა, როგორც შიგნით ისე გარედ. შიგნით ცოტა არევ-დარევის შემდეგ, ტახტზედ ადის მისივე ნათესავი **ფეტალი შახი** (ბაბახანი); ხოლო საქართველო და მთელი კავკასიაც მის მოსალოდნელი თავდასხმისაგან თავისუფლდებიან და წელში სწორდებიან.

ასე აღსრულდა სიცოცხლე აღა-მამად-ხანის და საქართველოც გადარჩა მეორედ მისგან აოხრებას.

ხოლო ირაკლის ელჩს პეტერბურგში პასუხი მხოლოდ დეკემბერში მისცეს. ერთი წელი ათრიეს მისი თხოვნები და ყოველივეზედ უარი უთხრეს.

თვით მეფე ირაკლი-ამ დროს ძალზედ ავად გახდა. ეს აცნობეს პეტერბურგში და იქითგან დაბრუნდა მირიან ბატონიშვილი, და ჩამოიყვანეს ექიმი **გერცეზიუსი**, მაგრამ სანამ ექიმი მოვიდოდა, მეფე ირაკლი უკვე გარდაიცვალა.

ამგვარად 1796 წელს მოკვდა ეკატერინე მეორე, 1797 წელს აღა-მამად-ხანი, ხოლო 11 იანვარს 1798 წ. გარდაიცვალა მრავალჯერ ჭირნახული მეფე ქართველთა ირაკლი მეორე.

თავი VII

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა გიორგი XII-ის დროს
და
აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია

ირაკლი II-ის სიკვდილის შემდეგ, საქართველოში ახალი დრამა დაიწყება. დრამა, სადაც მთავარ როლს თამაშობენ როგორც გარეშე, ისე შინაური ვითარებანი.

ეპიდემიის გამო, ირაკლის ნეშთი თელავითგან მხოლოდ 40 დღის შემდეგ გადმოასვენეს მცხეთაში. მთელმა ერმა დაიტირა თავისი საყვარელი მეფე. დამარხვას დაესწრენ კავკასიის ყველა ხალხების წარმომადგენლებიც.

დარეჯან დედოფალი ამ დროს თელავში დარჩა თავისი ბნელი მიზნების განხორციელებისათვის. ტახტის მემკვიდრე კი, ხალხს ერთგულებაზედ აფიცებდა. ეს ის დრო იყო, როდესაც აღა-მამად-ხანის აოხრების შემდეგ საქართველო ჯერ გონს არ მოსულიყო და შიგნით ფარული უთანხმოების დასაწყისი გზას უხსნიდა მასზედ, იმ რისხვას, ახალი სპარსეთი რომ სამხრეთიდან ემუქრებოდა.

I

მეფე ირაკლის დარჩა 7 ვაჟი. აქეთგან უფროსი გიორგი იყო პირველი ცოლითგან, ხოლო დანარჩენები უკანასკნელითგან. გიორგი, როგორც უფროსი შვილი, ითვლებოდა ტახტის მემკვიდრედ. ტრადიციით მეფობა მასზედ უნდა გადასულიყო. ამ ტრადიციის წინააღმდეგ საქართველოში არავითარი ახალი აზრი არ არსე-

ბობდა. მთელი ისტორიის განმავლობაშიც გამონაკლისი იყო მხოლოდ გიორგი III-ის შემთხვევა.

დედოფალმა დარეჯანმა მოინდომა ამ კანონის დარღვევა. მას უნდოდა მისი შვილის გამეფება, რომელთაგან უფროსი იყო იულონი. ბოლო ხანებში, როდესაც ირაკლი მოხუცდა და ხშირად ავადმყოფობდა, სამეფოს დარეჯანი მართავდა. მან ყოველმხრივ შეამზადა ნიადაგი, გაიჩინა მრავალი მომხრეებიც, მაგრამ ინტრიგამ ტრადიციას ვერ სძლია. საერთოდ დედოფალი დარეჯანი, თუმცა ინტრიგანი, მაგრამ ჭკვიანი და მაგარი ნებისყოფის ქალი იყო. ის მალე მიხვდა, რომ გიორგის მეფობიდან ჩამოცილება ძნელი საქმე იქნებოდა, სამაგიეროდ სხვა ხერხს მიმართა. შეუჩნდა ავადმყოფ მეფე ირაკლის და წერილობითი პირობა ჩამოართვა, რომ გიორგის შემდეგ, ტახტი გიორგის უფროს შვილზედ კი არ გადასულიყო, არამედ დარეჯანის შვილებზედ, რიგრიგობით, უფროსობის მიხედვით.

ავადმყოფობის დროს, ამ დადგენილებაზედ დარეჯანმა ირაკლის ხელი მოაწერინა. ეს აქტი რომ ნაძალადევი იყო, ამას ამტკიცებს ირაკლის მიერ 28 მაისს 1794 წ. გიორგისთან მინაწერი წერილი *), მეფე ირაკლი შვილს, გიორგის, ფიცს აძლევს, რომ როდესაც ის კარგად გახდება და ომიანობაც (აღა-მაჰმად-ხანთან) გათავდება, მე ამ დადგენილებას გავაუქმებ; ის არ არის ჩემის სურვილით შედგენილი, მასზედ ძალით მომაწერინეს ხელი და მას ძალა არა აქვსო. ირაკლიმ ასე დაამშვიდა მაშინ გიორგი.

მაგრამ ჯერ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის და მერე მალე ირაკლის გარდაცვალების გამო, მეფემ ვერარ შეასრულა თავისი დანაბრძანები, ეს აქტი ვერარ გააუქმა და ამიერითგან გიორგისა და დარეჯანის შორის დაიწყო უთანხმოება. გიორგი იცავდა თავის კანონიერ უფლებას მემკვიდრისა, ხოლო დარეჯანიც, ირაკლისგან ჩამორთმეული პირობის ძალით, ფიქრობდა, რომ მისი მოთხოვნილებაც კანონიერი იყო.

და, როდესაც ირაკლის გარდაცვალების დღეს მთელი ერი ძაძებით იყო მოსილი, დარეჯან დედოფალი

---

*) იხ. დუბროვინი. გიორგი XII, გვ. 53; მისივე ისტორია. ტ. III, გვ. 222.

სცდილობდა, გიორგი ტახტზედ არ დაეშვა, ან უკიდურეს შემთხვევაში, უმაღლესი ხელისუფლება გაენაწილებინა იულონისათვის.

გიორგის ახალგაზრდობაში არა ერთხელ გამოუჩენია ვაჟკაცობა, მაგრამ როგორც ყველა მოწმობენ, ის გუნებით უფრო სასულიერო მიდრეკილების კაცი ყოფილა. ამიტომ, მისი ასეთი ხასიათისთვის ის დიდად პატივცემული იყო სამღვდელოების მიერ. რომ გიორგის გავლენა სასულიერო პირებზედ აეცდინათ, დარეჯანის პარტია შეეცადა, გიორგი თელავიდგან შორს ემყოფებინა. მეფე ირაკლის სიკვდილის წინ ჩააგონეს, რომ აოხრებულ ტფილისს კარგი პატრონის ხელი სჭირია, და ასეთი კი გიორგიაო. მეფემ გიორგის უბრძანა, წასულიყო; გიორგი თუმცა მიხვდა ყოველივეს, მაგრამ მამის ბრძანება მაინც აასრულა, ხოლო თან წაიყვანა თავისი ერთგული პირები და მოსაჩვენებლად, რომ ის ვერ მიხვდა, მოწინააღმდეგენიც.

ამგვარად მეფე ირაკლის გარდაცვალების დროს გიორგი ტფილისში იყო. დარეჯანმა შეძლო გადამწყვეტ მომენტში, როდესაც გიორგის შეეძლო სასულიერო პირების შემწეობით, ირაკლისათვის აღნიშნული აქტი გაეუქმებინა, ის მამასთან არ ყოფილიყო.

გიორგიმ თავისი მისია პირნათლად შეასრულა. ის შეეიდა ტფილისში და დაიწყო დაქცეული ქალაქის აღდგენა.

თავისი შვილის, დავითის საშუალებით, აყრილი მცხოვრებნი შამშადილისა და ბორჩალოსი დაასახლა. საშინელი ხიმშილი სუფევდა ტფილისში. მან ყარსის საფაშოში შეიძინა უხვი სანოვაგე და შემოზიდა ტფილისში. და ბოლოს ის ტფილისში არ გაჩერდა; წავიდა სოფ. სალა - ოღლი - ში ყაზახის აღალარებთან, სადაც დიდის პატივით მიიღეს.

გიორგის ყოველთვის მოსდიოდა ცნობები, თავისი ერთგული პირებისგან, თუ რა ხდებოდა თელავის სასახლის გარშემო. როდესაც გაიგო მეფის გარდაცვალების ამბავი, მაშინადვე შეკრიბა მცხოვრებნი, აილო ჯვარი და ხალხი ერთგულობაზედ დააფიცა. ჯვართან პირველი წარსდგა მისი მოწინააღმდეგე პარტიის ივანე ბაგრატიონ - მუხრანელი, მას მიჰბაძეს სხვებმაც და ყველამ ერთხმად იგრიალა — გაუმარჯოს მეფე გიორგისო.

ყაზახის შემდეგ შეეფიცენ მორჩალოელებიც. ამავე დროს მან განიზრახა, ქმის ალექსანდრეს შაბყრობა, რათგან ის ჯერ მამის სიცოცხლეშივე ალარ ემორჩილებოდა და ხმებს ავრცელებდა, რომ ტფილის დაიბყრობს და ქართლში გამეფდება. ალექსანდრე დუშეთში გაიქცა. გიორგი კი მივიდა გორში და აქაურებსაც ფიცი ჩამოართვა.

ამ დროს კი, დანარჩენი ბატონიშვილები, გარდა ალექსანდრესი, თელავში დარეჯანთან შეიკრიბენ. როდესაც დარეჯანის შტაბმა შეიტყო გიორგის უკანასკნელი ამბები, საქმე წაგებულად იცნო, და შემდეგ მოისურვა ამ წაგებულობიდან რაიმეს ვამორჩენოდა.

ირაკლი მეფის მდივანმა, სულხან თუმანიშვილმა, დარეჯანის ბრძანებით შეკრიბა ხალხი და განუცხადა, რომ ყველანი დედოფლის სახელით ვსცნობთ გიორგის მეფედ, ხოლო დედოფლის ტიტული, სანამ დარეჯანი ცოცხალია, მას უნდა დარჩეს და მეფის ცოლი მოიხსენიოს, მეფის რძლადო. ხალხი სდუმდა, და პასუხს არ აძლევდა. ბოლოს სიჩუმე დაარღვია არქიეპისკოპოსმა ჩოლოყაშვილმა და განაცხადა, რომ როგორ შეიძლება მეფის ცოლი დედოფლად არ იხსენიებოდესო!

ასეთი შთაბეჭდილება მოახსენეს დარეჯანს; უკანასკნელი იძულებული გახდა ეცნო გიორგის მეფობა და დანარჩენი შვილების ბეჭედ დასმული წერილობითი რწმუნებაც გაუგზავნა, და სთხოვა მეფის დაკრძალვაზედ გამოცხადებულიყო. მეფე გიორგიმ ყველაფერი კარგად გამოარკვია და შეუთვალა, მეფე უმისოდ დაემარხათ და როცა ის დაბრუნდება თელავში, ყველაფერს მოაგვარებდა თანახმად არსებული ჩვეულებებისა.

დამარხეს ირაკლი. გიორგი მიდის თელავში; იქ დახვდება დარეჯან დედოფალი, ვახტანგ ბატონიშვილი და ანტონ კათალიკოსი. გიორგი გამოცხადდა დარეჯანთან და მასთან ერთად დაიტირა მამა.

შემდეგ აქ გაიმართა მოლაპარაკება, სადაც გიორგიმ მოახსენა, რომ კანონით მან უნდა ჩაიბარეოს ტახტი განუსაზღვრელი უფლებებით.

გიორგი იწვევს გორის არქიეპისკოპოსს და ყველა წარჩინებულთ. აქვე მოგვრიდა კახეთის თავად-აზნაურობა, სამღვდელობა და გლეხობაც. გიორგი გრძნობდა რა მოწინააღმდეგეთა ძალას, გადასწყვიტა, მეტი გა-

მბედავობა გამოეჩინა. ყველა ესენი შეკრიბა დიდ დარბაზში და მოუწოდა: — მამა ჩემი გარდაიცვალა, მე უფროსი შვილი მისი, ვილებ ტახტს, აგერ ჯვარი და სახარება, ვისაც სურს შემომფიცოს, ვისაც არა და კარში გავიდეს. აქაც ფიცი ყველამ მიიღო და მეორე დღეს ის გამოცხადდა მეფე გიორგი XII -ად.

ერთი სიტყვით გიორგი გამეფდა, ხოლო დაუთმო ის, რომ ხელი მოუწერა დარეჯანს, ირაკლის ანდერძის აღსრულებაზედ, რომლის მიხედვით, გიორგის შემდეგ ტახტი დარეჯანის უფროს შვილზედ, იულონზედ უნდა გადასულიყო. ეს ბარათი დარეჯანმა შეინახა. უთანხმოების აღმოსაფხვრელად, ყველა სადედოფლო ქონება, რომელიც ახალი კანონით, დარეჯანისგან მარიამის ხელში უნდა გადასულიყო, გიორგიმ დარეჯანს დაუტოვა; დედოფალიც შეურიგდა და ყველა სამეკვიდრო ნივთები გიორგის გაუგზავნა.

გიორგი გრძნობდა, რომ შიგნით ძნელი იყო თავისიანებზედ დამყარება, ამიტომ მოიწვია 4.000 ლეკი და მათზედ დამყარებით უნდოდა თავისი პირობა არ შეესრულებინა. დარეჯანი და ძმები უძლურნი არიან წინააღმდეგობა გაუწიონ და მიდიან თავ-თავიანთ მამულებში.

ისინი აქ არ წყნარდებიან. ნელ-ნელა იმრავლებენ თავიანთ მომხრეებს და გიორგის არ ემორჩილებიან. გიორგიმ სცადა დარეჯნის საშუალებით ალექსანდრესთან შერიგება, მაგრამ უკანასკნელი არ ენდო და არ შეურიგდა. ის გაიქცა ბორჩალოში. აქეთგან კი ახალციხეს გა მერე იმერეთში. ამის შემდეგ, გიორგიმ დარეჯანსაც ჩამოართვა მამულები და ძმებიც შეაწუხა.

შინაური მდგომარეობის სურათი სრული არ იქნებოდა, თუ ოდნავ მისი ეკონომიური მდგომარეობაც არ გავითვალისწინეთ, მაშინ ადვილი იქნება შემდეგ საკითხებში გავერკვეთ. თუ რა პირობებში მოხდება რუსეთის აგრესიული მოქმედების დაწყება, რომ ამისთვის თვით საქართველოს შინაური მდგომარეობაც მას ასე ადვილად გზას უხსნიდა.

ალა-მამდ-ხანის შემოსევის შემდეგ, ქართლ-კახეთი მთლად აოხრებული იყო. მას კვლავ ახალი უბედურება დაემატა. მეფე ირაკლის ავადმყოფობა, მისი გარდაცვალება, შინაური ჭიშპობა, ხელისუფლებას ნებას არ აძლევდა ქვეყნის ეკონომიურ აღდგენაზედ ეფიქრა. ამავე

გარემოებით ისარგებლეს ლეკებმა და ისინიც სისტემატიურად არბევდენ ქართლ-კახეთს. მიჰყავდათ ტყვეები და იტაცებდენ ნივთიერ ფოლათს. მეფეს თავის ჯარში ჰყავდა დაქირავებული ლეკები, ისინიც სარგებლობდენ მეფის სისუსტითა და შექმნილი მდგომარეობით და ცარცვა-გლეჯაზედ ხელს არ იღებდენ. მეფე გიორგი გრძნობდა სისუსტეს, გრძნობდა რომ ის ამ მდგომარეობითგან ვერ გამოიყვანდა ერს; მთელი ქვეყანა სიღატაკით იყო მოცული და კვლავ გარეშე ძალებით შეწინეებული გიორგი, როგორც ახლავე ვნახავთ, გამოსავალს ისევ რუსებთან, ძველი ხელშეკრულების განახლებაში, ან რომელიმე სხვა სახელმწიფოზედ დამყარებაში ხედავდა. ამ აზრით ხელმძღვანელობს ის შემდეგ თავის პოლიტიკაში..

II

წინა თავში დავინახეთ, რომ იალ-მამად-ხანი საქართველოს მეორედ ემუქრებოდა აკლებას. ცხადია, მისი ოცაბეადი სიკვდილი, სპარსეთის პოლიტიკის მიმართულებას ვერ შესცვლიდა. იალ-მამად-ხანის მემკვიდრეები კვლავ ემუქრებიან საქართველოს. ირაკლის სიკვდილი მათში საქართველოსადმი სიბრალულის გრძნობას ვერ გამოიწვევდა. გიორგი გრძნობდა სპარსეთის საშიშროებას; ამავე დროს რუსეთის იმედიც მას საკმაოდ ჰქონდა გამოცდილი. ამიტომ მან პირველად გადასწყვიტა ოსმალეთისათვის მიემართა და კიდეც გაგზავნა ელჩად **ასლან ორბელიანი** ახალციხეში, ახალციხის ფაშის შუამდგომლობით სულთანთან მოლაპარაკებისათვის. ფაშამ აცნობა სულთანს და სანამ ასლან ორბელიანი კოსტანტინეპოლს ესტუმრებოდა, აქ მეფემ აზრი შეიცვალა. ამ დროს რუსეთითგან ბრუნდება მეფის ძე დავითი ბატონიშვილი და მამას არწმუნებს, რომ რუსეთი ჩვენდამი მეგობრულად არის განწყობილი და ბრძოლის დროს დაგვეხმარებაო. ამიტომ მეფე გიორგიმ ახალციხითგან თავის მოციქული უკანვე გამოიწვია და ოსმალეთთან მოლაპარაკება შესწყვიტა.

ამის შემდეგ იყო, რომ მან გარსევან ჭავჭავაძე გაგზავნა პეტერბურგში. ჭავჭავაძემ პეტერბურგის გზა უკვე კარგად იცოდა, და იცოდა კიდევ იქაური ბატონების

განწყობილებაც, მაგრამ ქვეყნის ბედსა და მეფის ნებას, ის მაინც იქით მიჰყავდა და ისიც ემორჩილებოდა მას.

ამ მისიით მეფე გიორგი იხდის ვალს იმპერატორის წინაშე, თანახმად 1783 წლის ტრაქტატის. ის მას მიართმევს წერილს და აუწყებს რა მის გამეფებას, სთხოვს მფარველობას და განსაკუთრებით დავითის ტახტის მეშკვიდრეთ დამტკიცებას, რომელიც ამ დროს რუსეთის სამსახურში იმყოფებოდა (არტილერიის ლენერალად). გიორგის კიდევ ერთხელ სურდა შეეტყო, რუსეთს სურდა თუ არა საქართველოსთვის დახმარების გაწევა, თუ არა, წმნალმდეგ შემთხვევაში, მას სხვა მოკავშირე უნდა ეძებნა.

რუსეთითგან ჯერ კიდევ პასუხი არ იყო მიღებული, როდესაც ცნობა მოვიდა სპარსეთის მეორედ შემოსევის შესახებ. ამავე 1798 წ. ივნისში, ტფილისში მოდის შახის მოციქული ფირმანით, და გიორგის მოთხოვნილებებს უყენებს. ეს ლჩითან მოლაპარაკების შემდეგ, მეფე გიორგი შახთან აგზავნის თავის სიმამრს თ. ციციშვილს საჩუქრებით და ამავე დროს თ. გიორგი ავალიშვილს პეტერბურგში ახალი თხოვნით. მეფე სთხოვს იმპერატორს 5.000 კაცს და პირობას აძლევს, რომ ის შევა რუსეთის სრულ მფარველობაში. ამავე ამბებითგან ირკვევა, რომ 1783 წლის ხელშეკრულებას რეალურად აღარავითარი ძალა არ ჰქონდა, თუმცა რუსებს რომ დასჭირდებოდათ მისი გამოყენება, ყოველთვის მას ემყარებოდენ, პრაქტიკულად კი, არც ერთი მუხლი არ სრულდებოდა. მეფე გიორგი იმავე ხელშეკრულების მიხედვით სთხოვდა მის ტახტზედ დამტკიცებას.

იმპერატორი უკანასკნელზედ დადებით პასუხს აძლევს, ჰპირდება ტფილისში რუსეთის ელჩის დანიშვნას და სამეფო ნიშნების გამოგზავნას.

გიორგი კიდევ მეორე თხოვნას აგზავნის 11 ოქტომბერს 1798 წ. *), რომლის მთავარ მუხლში ნათქვამია: „... რათა მოგვეცეს იმედი დაპირებით, რომ ჩემს მემკვიდრეებს ექნებათ სრული უფლება საქართველოში მეფობისა, და რომ სხვა არავინ გაერევა ჩვენს შინაურ საქმეებში და აგრეთვე, როგორც თავად-აზნაურობასთან ისე მთელს ჩემს ქვეშევრდომებთან არავის ექნება

*) იხ. დუბროვინი. გიორგი XII, გვ. 71.

საქმე, ჩეში პირადი ნების გარეშე" *). როგორც ვიცით, შინაური მდგომარეობის გამწვავების ამ საკითხის გამო იყო გამოწვეული, და რომ თავისი შვილი დამტკიცოს გიორგიმ და უარჰყოს დარეჯნის და ძმების პრეტენზიები, ის ემყარება იმპერატორს.

რუსეთში რომ ამ კითხვებზედ კამათი მიმდინარეობდა, დავით ბატონიშვილი სწერს გარსევან ჭავჭავაძეს: „თქვენთვის ცნობილია ქართული ანდაზა: რომ ყოველი საქმე თავის დროზედ უნდა იყოს გამოყენებული, სხვანაირად ის მოკლებულია ყოველგვარ ღირებულებას, ჩვენს სამეფოს დღეს არ შეეფერება ისეთი საქმე, რომელიც სრულდება კამათით" **). მდგომარეობა რთული იყო; ახალციხითგან ხშირად ესეოდენ ლეკები. 1798 წ. ნოემბერში კიდევ შემოესხნენ და გაიტაცეს ოთ. ციციშვილი, ამისთვის სთხოვდენ 3.000 მანეთს. სპარსეთის ჯარი გოგჩის ტბასთან იყო დაბანაკებული. და ყველა ეს გარემოებანი აიძულებდა დავით ბატონიშვილს, კიდევ ცრთხელ მიემართა წერილით გარსევან ჭავჭავაძისათვის, საჩქაროდ რუსეთისგან ჯარითა დახმარება გამოეთხოვა. ის სწერდა: — „რომ თუ რუსის ჯარი დროზედ არ მოვიდა საქართველოში, ვეშვობ, რომ სპარსელებმა თავიანთ მიზანს არ მიაღწიონო.

დაბოლოს პეტერბურგში გადაწყდა, საქართველოში მინისტრის დანიშვნა, მეფის დამტკიცება და დავით ბატონიშვილიც შემკვიდრედ. ამაზედ თვით იმპერატორი სწერდა მეფე გიორგის: „... მივიღეთ რა კმაყოფილებით თქვენი თხოვნა, თანახმად ტრაქტატის მესამე მუხლის, თქვენ გამტკიცებთ მაგ ქვეყნის მეფედ და თქვენს შვილს დავითს მემკვიდრედ" ***). აქვე სწერს, რომ როდესაც გიორგი მიიღებდა სამეფო ნიშნებს, შეეფიცა ერთგულობისათვის და ეცნო რუსეთის იმპერატორების უმაღლესი ხელისუფლება და მფარველობა.

ამავე დროს გადაწყდა, საქართველოში რუსის ჯარის გამოგზავნაც, მაგრამ მინისტრის ბრძანებაში ნათქვამი იყო: — „ამით სამინისტრო გაცნობებთ, რომ რუსის ჯარი იგზავნება საქართველოში მხოლოდ საჩვენებლად,

---

*) იხ. დუბროვინი. ისტორია ვოინი, ტ. III, გვ. 240.
**) იხ. დუბროვინი. ისტ. ვოინი, ტ. III, გვ. 242.
***) იქვე. გვ 245.

რომ ზეფე (ქართველი) იმყოფება რუსეთის იმპერიის მფარველობაში *).

III

ჯერ კიდევ 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული იყო საქართველოში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის არსებობა, მაგრამ რუსებმა აქამდე ის არ შეასრულეს. მაგრამ ახლა საქართველოს შინაური მდგომარეობა რუსეთის სასარგებლოდ ვითარდებოდა. ახლოვდებოდა დრო, როდესაც ისინი მოახდენდენ საჭირო ოპერაციებს, ამიტომ ამიერიდან საჭიროდ დაინახეს იქ სრულუფლებიანი წარმომადგენელი დაენიშნათ, რომელიც ერთნაირად უხელმძღვანელებდა, როგორც კავკასიის ისე სპარსეთთან ურთი-ერთობის საქმეებს.

16 აპრილს 1799 წლის, იმპერატორის ბრძანებით საქართველოში მინისტრად ინიშნება **კოვალენსკი**, რომლის ინსტრუქციაში ნათქვამია: „თქვენ არასოდეს მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ მანდაური მფლობელობისა და თვით მეფის მოლალატეობა და ორგული მოქმედება, რომ მანდ არაფერი იყოს მათ მიერ ჩადენილი ისეთი, რაც ეწინააღმდეგება უმაღლესი კარის ინტერესებს (რუსის)"**). ეს ინსტრუქცია გაკეთებულია საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ, სადაც მრავალი დარიგებებია თავმოყრილი. ხოლო იმავე თარიღით, თვით იმპერატორი უგზავნის კოვალენსკის უმაღლეს რესკრიპტს. იმპერატორი აფრთხილებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ საზღვრებს და ახლო-მახლო სახანოებს, რომელნიც სპარსეთის ვასალები არიან, მაგრამ საქართველოსთან ერთნაირად ახლო ურთიერთობაში იმყოფებიან. საჭიროა მათში ჩვენი გავლენის გავრცელება, რათა ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში, შემოუერთდენ ჩვენს საბრძანებელს. ამგვარად ყოველთვის ჩვენი საზღვრების გაზრდისა და გაფართოების ფიქრში უნდა იყოთ. აგრეთვე კავშირი უნდა იქონიოთ სპარსეთის მბყრობელ **ბაბა-ხანთან**, რომლისგანაც მივიღეთ კაცი, რომელიც თხოულობს ჩვენთან მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერ-

*) იქვე, გვ. 248.
**) იხ. აქტები. ტ. I, გვ. 93.

თობას. მათ ვაჭრებსაც ეშნებათ ჩვენში ყოველთვის თავისუფალი ასპარეზი და სხვა.

ამ ორი ინსტრუქციითგან ნათელია, თუ რა მიზანი ჰქონდა რუსეთს, როდესაც ის თავის წარმომადგენელს ნიშნავდა საქართველოში.

იმპერატორმა გამოისტუმრა ელჩი საქართველოში, მეფისა და მისი ოჯახისათვის მრავალი საჩუქრებით.

ამავე ხანებში, კავკასიის დივიზიის უფროსად ინიშნება ლენ. კხორინგი, რომელსაც ბრძანება ეძლევა, კავკასიის ხაზზედ მყოფი ჯარებითგან გამოჰყოს ლაზარევის პოლკი, და მეფე გიორგის გამოსთხოვოს გზების შესაკეთებელი ხარჯები, რათა რუსის ჯარი იქმნას შემოყვანილი.

26 ნოემბერს შემოვიდა რუსის ჯარი და რამდენიმე დღით წინ წარმომადგენელი კოვალენსკი.

5 დეკემბერს ის წარსდგა აუდიენციაზედ მეფესთან; მეფემ კოვალენსკი დიდის ცერემონიით მიიღო. კოვალენსკიმ მეფეს მიართვა მისი მეფედ და დავით ბატონიშვილის მემკვიდრედ დამტკიცების სიგელები და სამეფო ნიშნები.

ცოტა რამ რუსის მოხელეებზედ. კოვალენსკი, გარდა მთავრობის დარიგებებისა, თვითონაც პატივმოყვარე კაცი გამოდგა და პირველი დღითგანვე შეეცადა მეფე გიორგიზედ გავლენა მოეხდინა და მთელი საქართველოს ფაქტიური მბრძანებელი თვითონ გამხდარიყო. მაგრამ ამ მისწრაფებაში მას ჰყავდა მეტოქე. ეს იყო საქართველოში რუსის ჯარის ლენერალი ლაზარევი; ამიტომ კოვალენსკი თავის მთავრობას უმტკიცებდა, რომ რუსეთისთვის უმჯობესი იქნებოდა, თუ პოლიტიკური წარმომადგენლობის და სამხედრო ხელმძღვანელობის ორივე ფუნქციას ერთ პირში მოუყრიდა თავს და ეს იქნებოდა კოვალენსკი.

ამ ნიადაგზედ ამ ორ დიდ რუსის მოხელის შორის ასტყდა სასტიკი ინტრიგა და ყველა მისი მავნე შედეგები, მოდიოდა მეფე გიორგის ხარჯზედ. მეფემ მალე შეიტყო კოვალენსკის ბოროტი განზრახვები. როდესაც მეფის ტახტზედ დამტკიცების ცერემონია გათავდა, გიორგის რწმუნებულები უნდა დაენიშნა და კოვალენსკისთან ერთად, ხელმეორედ, ხელმოწერით განეახლებინათ 1783 წლის ხელშეკრულება.

მაგრამ გიორგიმ როგორც კი გაიცნო კოვალენსკი, მასთან არაფრის გაკეთება არ სურდა; აქტზედ ხელის მოწერასაც აგვიანებდა, იმ საბაბით, რომ ჯერ სხვა თხოვნით მინდა გავგზავნო კაცები იმპერატორთანო. ხოლო კოვალენსკი დაეინებით მოითხოვდა და აგრეთვე მეფეს აფრთხილებდა, რომ მას არ ჰქონდა უფლება, უმისოდ იმპერატორისათვის მიემართა. ბოლოს გიორგი მისი ნახევრად დათანხმებით გზავნის პეტერბურგში გარსევან ჭავჭავაძეს, ელ. ფალავანდიშვილს და გ. ავალიშვილს.

IV

ერთის მხრით კოვალენსკი და მეორეს მხრით დარეჯან დედოფლის ინტრიგებით, შიგნით შეფოთმა მწვავე ხასიათი მიიღო.

მას შემდეგ, რაც იმპერატორმა ტახტის მემკვიდრედ დავით ბატონიშვილი დაამტკიცა, დარეჯანი ახლილად იწყებს მუშაობას რუსების წინააღმდეგ. ამ ბანაკს მეთაურობს იულონ ბატონიშვილი, რომელიც უნდა გამხდარიყო მემკვიდრე, ირაკლის ანდერძის მიხედვით. ახლა აშკარად გადაუწყდათ იმედი, რათგან რუსებმა დავითის უფლება იცნეს. იულონთან ერთად მოქმედობენ მისი ყველა ძმები, განსაკუთრებით ალექსანდრე და ფარნაოზი, ხოლო მთავარი სულის ჩამდგმელი, ცხადია იყო დარეჯანი. იულონი აშკარად განუდგა მეფეს და აღარ ემორჩილებოდა. ალექსანდრე ჯერ კიდევ ირაკლის, სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში აღარ ემორჩილებოდა, და მას ჰყავდა ბევრი მომხრეები.

ამ დროს მირიანისა და ფარნაოზს შორის ცოტა უთანხმოება ჩამოვარდა. მირიანი იყო რუსეთში და ამასობაში დარეჯანის მთავგონებით, მეფე ირაკლიმ მისი ქონების ნაწილი ფარნაოზს მისცა, რათგან მას წილად ჰქონდა დარეჯანის მამული (მისი სიკვდილის შემდეგ), მანამდე კი, სასარგებლოდ მირიანს მამული მისცა. როცა მირიანი დაბრუნდა, მან თავისი ქონება მოითხოვა. ამ ნიადაგზედ უთანხმოება გაჩნდა ძმებს შორის. -მეფე გიორგი მირიანს უპერდა მხარს, დარეჯანი კი ფარნაოზს იცავდა.

აქელსანდრესაც ფარნაოზთან ერთად დარეჯანის

ქონება უნდა გაენაწილებინა მისი სიკვდილის შემდეგ, და რათგანაც დღეს - დღეობით მასაც არაფერი ჰქონდა, მოითხოვა **ყაზახის** პროვინცია, რომელიც ტრადიციით მხოლოდ მეფეს ჰქონდა ხოლმე. გიორგი მეფემ ძმას უარი განუცხადა, ამის შემდეგ ალექსანდრეც გადაეცოდა.

ივნისის პირველ რიცხვებში 1800 წ., ალექსანდრე სტოვებს თავის სოფელ შულავერის და მიდის თურქეთის საზღვრებისკენ. მეფე აგზავნის მასთან მოციქულს, მაგრამ ის იქ აღარ დახვდა. გიორგი წერილსაც სწერს და პირობას აძლევს შერიგების, მაგრამ ალექსანდრე აღარ ენდობა. ასევე უარყოფითად უპასუხა კოვალენსკის წერილს.

ალექსანდრეს დევნა განაგრძეს, ხოლო ის გაიქცა საზღვარ - გარედ. პირველად ის მივიდა ყარსის ფაშასთან, თავისი ამალით მიიღეს საუკეთესოდ. სამი დღის შემდეგ წავიდა **სპარსეთში**. ის მივიდა სპარსეთის ჯარის ბანაკში, სადაც იდგა **აბას - მირზას** ჯარი. აბას - მირზამ მას მიაგება 6.000 კაცი; ალექსანდრეს აქ ილებენ ისე, როგორც მეფის შვილს შეეფერება და ამით სპარსეთი არც არაფერს ჰკარგავდა. ალექსანდრე იქ რჩება ორთვენახევარს და სპარსელებთან სათანადო კავშირს ალაგებენს.

ალექსანდრე ხედავდა, რომ საკუთარი ძალებით ვერ ლარას ვახდებოდა, ერთ - ერთი გარეშე დასაყრდნობი ძალა იყო სპარსეთი, რომელიც თავის პრეტენზიას არ სთმობდა საქართველოზედ. ამიტომ ალექსანდრეს სპარსეთთან შეთანხმებას არავითარი სიძნელე არ გადაეღობებოდა, თუ კი ის საქართველოს სავსებლად დაჰპირდებოდა.

ასე თუ ისე **ბაბახანი** დიდის სიხარულით შეეგება ქართველ ბატონიშვილს ასეთ აქტს და ყოველ მხრივი დახმარება აღუთქვა. ხოლო თავის მეშკვიდრეს აბას მირზას, რომელიც იყო მმართველი აზერბეიჯანის და საზღვრებზედ დასახლებულ ჯარს მეთაურობდა, გამოუგზავნა ფირმანი, რითაც უბრძანებდა, ემოქმედა ისე, როგორც ალექსანდრე ბატონიშვილი და შუშის **იბრაიმ ხანი** ურჩევდენ.

ალექსანდრე შედის კავშირში დარეჯანთან და ძმებთან და იწყება სამზადისი შესაბრძოლებლად.

დარეჯანი სთხოვს იმპერატორს თავისი შვილების უფლების დაცვას, რომ გიორგის შემდეგ ტახტი გიორ-

გის ძის დავითისათვის არ გადაეცათ. დარეჯანი ამაოდ ელოდა პასუხს. ხოლო, რომ მისი ტფილისში ყოფნა მოსალოდნელი ომიანობის დროს სახიფათო არ გამხდარიყო, შვილებმა გადასწყვიტეს ის ტფილისითგან გაეყვანათ. იულონი და ფარნაოზი 3.000 კაცით მოადგენ კიდეც სოფ ავეჭალას, მაგრამ გიორგიმ ეს შეიტყო და ყოველივე ზომები იხმარა, დედოფალი ტფილისითგან არ გაეპარებინათ. ამგვარად, ორ ბანაკს შორის აშკარა ბრძოლა იწყება. ერთი მხარე ემყარება რუსებს, მეორე — სპარსელებს; უკანასკნელთ მხარს უჭერს კავკასიელთა დიდი უმრავლესობა.

აღა - მამად - ხანმა, რომელიც იყო ყაჯარი — თურქის შთამომავლობის, ტახტის განმტკიცებას მთელი სიცოცხლე შეალია. მან მემკვიდრედ თავის სიცოცხლეშივე დანიშნა თავისი ძმის წული, ბაბახანი (ფეთ - ალი - შახი). მან ყოველივე ზომები მიიღო, რომ მის მემკვიდრეს მშვიდობით ემეფა. ამისთვის სამი ძმა სამშობლოდან გაანდევნა, ერთს თვალები დასთხარა. და მეხუთეს, ჯაფარ - ყული - ხანს, რომელიც მეტად ძლიერი პიროვნება იყო და მისი მეტოქეობის ეშინოდა, ღალატით თავი მოაკვეთა. როდესაც მას ჰკლავდა, პატარა ბაბახანი მოუყვანა და უთხრა: — ამას შენთვის ვასრულებო.

1797 წელს, როდესაც მოულოდნელად მოკვლეს აღა-მამედ-ხანი, ერთხანს ანარქია შეიქმნა. ჯარის სარდლებმა აქეთ-იქით გაიწ - გამოიწიეს, ბაბა - ხანს შერჩა ვეზირი ჰაჯი-იბრაიმი და სარდალი სულეიმან - ხანი, რომელთაც ტახტის მემკვიდრეს მოუწოდეს თეირანისაკენ.

ამ მდგომარეობით ისარგებლეს უკმაყოფილო ელემენტებმა, ყანდაარში ბატონდება ავგანთა ზამან - შახი. შახს ერთი ძმა გადაუდგა და აღარ ემორჩილება. ხორასანის ხანის შვილი, ჯარებს აგროვებს შახის წინააღმდეგ; კავკასიის სახანოებშიც შეირყა შახის უფლება და ზოგი მათგანი რუსებთან ამყარებს ურთიერთობას.

ბაბა - ხანი გამაგრდა ტახტზედ, მოსპო ყველა უთანხმოებანი და ანარქიას ბოლო მოუღო. ასეთი ამბები ხომ სპარსეთისათვის ჩვეულებრივი იყო, ყოველ ახალ შახის გამეფების დროს. ახლაც, როცა შახმა ყველა დაიმორჩილა, ყურადღება მიაქცია საქართველოს.

ჩვენ ზემოდ ვნახეთ, რომ ბაბა - ხანმა კიდეც გამოგზავნა კაცი მეფე გიორგისთან და უნდოდა თავისი ბატო-

ნობა კვლავ გაეცრცელებინა საქართველოზედ, ამისათვის სთხოვდა ერთ-ერთ ბატონიშვილს მიელო სამსახური შახის კარზედ. ხოლო თუ გიორგი ამას არ შეასრულებდა, მაშინ ის გამოიცალა შერებდა საქართველოზედ. რუსებმა გიორგის ურჩიეს, სპარსეთთან საპასუხოდ 1783 წლის ხელშეკრულებას დაჰყრდნობოდა; გიორგიც ასე მოიქცა.

პეტერბურგის კაბინეტი თავის მხრივ ავალებს კოვალენსკის, სპარსეთ-საქართველოს საკითხის შესახებ მანაც აღნიშნული ტრაქტატით იმოქმედოს. კოვალენსკიმ კიდეც გაგზავნა თავისი მისია სპარსეთში, ხოლო საიდუმლოდაც კაცი დაადევნა, რომ მათგან ცნობები მოეტანა, თუ რას აკეთებდა ამ დროს სპარსეთი.

ცნობები მიღებული არ იყოს, რომ კვლავ ხმები გაისმა სპარსელების შემოსევის შესახებ. შახის 12.000 კაცი, მართლაც დაიძრა ყარაბაღისაკენ.

კავკასიის ხანებთან ქართველი ბატონიშვილების მეგობებით გამბული იყო კავშირი. აბას-მირზამ ქოი დაიკავა და აქეთგან უნდა განეგრძო ერევნის დაპყრობა. ერევნითგან ერთ რაზმს უნდა ემოქმედნა ტალიშინის სახანოს წინააღმდეგ, რათა ის ჩამოეცილებინა შემახიის ხანისათვის და მერე დაეპყრო ბაქო.

სწორედ ამ ხანებში იყო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი გაჩნდა სპარსეთის ბანაკში, და ზემოხსენებული ოპერაციების მოთავეების შემდეგ, ალექსანდრეს გეგმითაც, მერე საქართველოში უნდა შემოსულიყო სპარსეთის ჯარი.

30 ივლისს 1800 წელს, ალექსანდრე უკვე ატყობინებდა დარეჯანს, რომ სპარსეთის ჯარები ერევნის ციხის ირგვლივ იყვენ დაბანაკებულნი. 7 დღეში ისინი მოვლენ ფოცჩასთან და მერე ლეთის შეწევნით ტფილისშიო, სწერდა ის. ტფილისშიაც ეს ხმები ულვის სისწრაფით ერცელდებოდა ხოლმე და მოსახლეობას აგულიანებდა.

მიუხედავად ალექსანდრეს ასეთი იმედების და ხმების, როგორც მომავალმაც დაამტკიცა, სპარსეთის რუსეთთან შებრძოლების თავი არა ჰქონდა, ამიტომ შახი დიპლომატიით და მუქარეებით სცდილობდა გიორგი მეფის განდრეკას რუსეთისაგან.

14 ივნისს გიორგი მეფე იღებს აუდიენციაზედ სპასეთის საგანგებო ელჩს. ის მოითხოვდა გიორგისთან

საიდუმლო პაემანს; გიორგიმ კი ეს ვერ გაბედა, რათგან რუსეთით იყო გერშემორტყმული და პირიქით, ის მიიღო კოვალენსკის თანადასწრებით.

შაბის ფირმანში გამოთქმული იყო მუქარა და მრისხანება, და გიორგის სთხოვდა ერთგულობისათვის უფლის შვილს დავითს, მეფე გიორგი კატეგორიულ უარს ეუბნება სპარსეთის ელჩს. უკანასკნელის გრძელმა და ენამჭრელმა სიტყვამ, გიორგის აზრი ვერ შეაცვლევინა და მან განუცხადა, რომ ის მოვალედ ჩრნევს, დაიცვას ის პირობა, რაც მისმა მამამ ირაკლი მეორემ რუსეთის იმპერიასთან დასდო 1783 წ. ხელშეკრულობის ძალით, რომ ის მას არ გადალახავს და რუსეთის იმპერატორების თანხმობის გარეშე, სხვის ვერავის ბრძანებას ვერ აღასრულებს *). ცხადია რუსებთან გიორგი მეტს ვერას ეტყოდა და სპარსეთის ელჩი ასეთი უარით გაისტუმრა.

გიორგის ასეთი პასუხის გამო იყო, რომ კნორინგი იმპერატორისადმი რაპორტში, შესაძლებლად სთვლიდა სპარსეთის საქართველოზედ თავდასხმას

ასეთი მდგომარეობა გიორგი მეფეს უკარნახებდა საშზადისს. ტფილისის საზოგადოებაშიც დიდი მითქმა-მოთქმა და რყევა გამოიწვია.

იმპერატორმა როგორც კი მიიღო კნორინგის ცნობა, უბრძანა კავკასიის ხაზზედ მყოფი ჯარებითგან ერთი ნაწილი გამოეყო **), და როდესაც დანამდვილებით შეიტყობ, რომ ბაბა-ხანი საქართველოზედ გამოლაშქრებას აპირებს, შენ თვითონ იკისრე სარდლობა და მას წინააღმდეგობა გაუწიეო — სწერდა იმპერატორი. ხოლო ამ მზადების დროს, გიორგიმაც მოლაპარაკება გასაგრძოს, რათა შაბის სურვილი კარგად გამოვარკვიოთ, მას მართლა სრული დამორჩილება უნდა საქართველოსი თუ მისგან რაიმე დახმარებას მოითხოვს თავისი მტრების წინააღმდეგ, თუ მხოლოდ უკანასკნელი სურს, ეს ომის გარეშეც შეიძლება მოგვარებულ იქმნესო.

სწორედ ამ დროს მოვიდა თეირანიდან კოვალენსკის მიერ გაგზავნილი პირი, და ხანაც ისეთივე წერილები მოიტანა, როგორც იყო შაბის ფირმანი.

---

*) იხ. 22 ივლისის 1800 წ. კნორინგის რაპორტი იმპერატორისადმი. აქტები, ტ. I, გვ. 107.

**) იხ. იმპერატორის პასუხი 10 ივლ. 1800 წ. აქტები, ტ. I, გვ. 107.

მოკლედ, ეს იყო ისევ სპარსეთის კლასიკური მოთხოვნილება, რომ ქართველთა მეფეს უარეყო რუსეთი და სპარსეთის ვასალი გამხდარიყო, როგორც ამას **აბას-მირზა** და ვაზირი უმტკიცებდენ.

ტფილისში ლაზარევის თავმჯდომარეობით შესდგა თავდაცვის კომიტეტი. ჯარი იყო კოვალენსკისა და იოანე ბატონიშვილის ვანკარგულებაში. მეფე შეუდგა პურის და სხვა საჭირო სურსათის მომარაგებას. ლაზარევი, წინაღმდეგ კოვალენსკისა, დაჟინებით მოითხოვდა კნორინგის ჩამოსვლას და ეგერთა პოლკის მაგიერ, ყაზახების ჩამოყვანას.

სპარსეთის ჯარების მდგომარეობაც არ იყო მაინც და მაინც კარგად, მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილი ყოველ ღონეს ხმარობდა, მოეწყო ლაშქრობა. სულეიმან სარდალმა ალყა შემოარტყა ერევანს და მოითხოვა გადასახადი, უკანასკნელი გაღებულ იქმნა. მათ მიიმხრეს აგრედვე შუშის და განჯის ხანებიც და **ბაბა-ხანის** გეგმით, რუსებს სამი მხრითგან უნდა დასხმოდენ: 1) დაღესტნიდან ომარ-ხანი; 2) სამხრეთ დასავლეთიდან ახალციხის ფაშა და იმერეთის მეფე სოლომონი; 3) ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთის ჯარით ყაზახსა და ბორჩალოზედ ილაშქრებდა და შემდეგ ტფილისზედ. მთელ კავკასიაში იყწება დიდი პროპაგანდა. ალექსანდრე ბატონიშვილი და **აბას-მირზა** აგზავნიან წერილს-წერილზედ და აქეზებენ ყველა კავკასიელებს.

კოვალენსკი ამის გამო კნორინგს ჯარებს სთხოვს *), ასევე სთხოვს გიორგი მეფეც **).

ბოლოს ზოგორც იყო, 23 სექტემბერს, ტფილისში შემოდის ღენ. **გულიაკოვის** პოლკი. აქვე დახვდათ მათ კიდევ შახის ყაკი, ფირმანით.

ჯარის შემოსვლის შემდეგ, ვინაითგან კოვალენსკიზედ დიდი უკმაყოფილება სუფევდა, იმპერატორმა ის მოხსნა და უკან გაიწვია. ეს თანამდებობაც გაუქმა და მეფე გიორგის წინადადება მისცა, რათა მან კავშირი იქონიოს, სპარსეთში რუსეთის ღენერალურ კონსულთან და კავკასიის ხაზის მთავარსარდალთან.

---

*) იხ. 6 აგვისტოს 1800 წ. რაპორტი. აქტები, ტ. I, გვ. 127.

**) იქვე. გიორგის წერილებიც.

VI

ომარ ხანი იწყებს მზადებას. 14 აგვისტოს 1800 წ., თავის მეორე დამატებით წერილში, გიორგი სწერდა კნორინგს: „... ეს წიგნი დაწერილი გვქონდა, რომ ჩვენის სამძღვრის მთავრის წიგნი მოგვივიდა, რომ ომარ-ხან, ხაშუთა და ჯონგათაი, მაჰმად-ხან და ორი ყადი ესენი დაღესტანის ჯარებით საქართველოზედ მომსვლელნი არიან; რომ ყიზილბაშებს, იბრაგიმ-ხანს, ჩვენს ძმას ალექსანდრეს, ამათ ერთი პირი აქვთ...“ *). და გიორგი კიდევ ერთხელ 29 აგვისტოს, 6.000 კაცს სთხოვს, მუდმივ საქართველოში სამყოფად.

აგვისტოს თვის განმავლობაში ოპერაციები შეჩერებულია და ლაზარევი სწერს, რომ ჯარების გამოგზავნა შეაჩერონ. კნორინგიც მეფე გიორგის უპასუხებს, რომ მე მებრძანა, იმპერატორისგან, ჯარების გამოყოფა, ხოლო რასაც თქვენ მწერთ, ეგ ჯერ საჭირო არ არის. 1783 წლის ტრაქტატის მე-2-ე მუხლის ძალითაც, ჩვენ მხოლოდ უნდა გაგამგრეთ ჩვენი ჯარით და არა დაგიცვათო. 3.000 რუსის ჯარი თქვენში იმყოფება, გამაგრებისათვის ეგ საკმარისიაო.

ამდროს სპარსეთის ბანაკი უკვე სამზადისშია. 25 ოქტომბერს 1800 წელს, ალექსანდრეს ბანაკითგან მოდის წერილი მიტროპოლიტ ბოდბელის სახელზედ **), იძლევა ყველა ცნობებს და ავალებს შიგნით მზადებას.

ომარ-ხანიც მზად არის. ის დავით ბატონიშვილს, ომის მზადების მიზეზებზედ, შეკითხვებზედ, ასე უპასუხებს: „... როგორც თქვენ თქვენს წერილში მეძახით მამას, და თუ თქვენ თქვენს სიტყვას უარჰყოფთ და ჩვენს ფულს არ მოგვცემთ, მაშინ მე ჯარით დავეშვები ქირს, ორ დღეში თქვენი ბიძა ალექსანდრე აქ მოვა, რომელმაც მოციქულით მიიღო ბაბა-ხანის ფირმანი, რომელშიდაც სწერს, რომ რაც მას ჯარი და სურსათი სჭირდება, ის გამოუგზავნის. თქვენ თვითონ უწყით, რომ თუ მე ჯარით უკან დაბრუნდები, მაშინ ვერც ბაბა-ხანი და

---

*) იხ. აქტები. ტ. I, გვ. 144.

**) იხ. წერილი ბოდბელთან.

ვერც ბატონიშვილი ალექსანდრე ვერ გაბედავენ თქვენს საზღვრებში შემოსვლასო *),

ხოლო როცა ომარ-ხანი დიდი ჯარით ალაზნის მარჯვენა ნაპირითგან გამოემართა ყარალაჯისაკენ, რუსები თავის მხრივ შეეშზადენ და ომიც დაიწყო; ლაზარევის შეკითხვაზედ **), თუ რატომ ებრძოდა მათ ომარ-ხანი, უკანასკნელი უპასუხებს: „... მე არ მინდა და არ მსურს არავითარი უკმაყოფილების ჩამოგდება რუსეთის იმპერატორისადმი, და არ მინდა მხოლოდ ამ ერთი მიზეზის გამო: ჩემი საყვარელი ძმა, ალექსანდრე ბატონიშვილი, შვილი დიდი მეფის, მამაჩემის, ირაკლისა, მოვიდა ჩემთან სტუმრად; მივიღე რა ის სტუმართმოყვარეობის მოვალეობით, საჭიროდ ვიცან მისი დახმარება. მე არ მქონდა სურვილი, მქონდეს თქვენთან რაიმე კავშირი, გარდა მეგობრული ურთიერთობისა, რაც ჩემთვის შესაძლებელი იყო, მაგრამ რა ვქნა, როდესაც ღმერთმა საქმე ასე მოაწყო, თუ ის დასთანხმდება შერიგებაზედ, მე მასთან ერთად კმაყოფილი ვიქნები, იმ მიზეზით, რომ ის ჩემი სტუმარია და ძმისა საშვილი, და თუ ის კმაყოფილი არ იქნება, ასევე მეც არ ვიქნები“.

აქედან სჩანს, რომ ომარ-ხანი თავის პოლიტიკას მაინცდამაინც ვერ ფარავს, სტუმართმოყვარეობის მოვალეობით. ლაზარევი ცხადია, ამით არ დაკმაყოფილდა და ომარს მოსთხოვა ალექსანდრესთან შეერიგებინა.

ალექსანდრე თავის მხრივ სწერდა, რომ მასაც არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო რუსებთან, რომ ისიც ყველაფერს გიორგის აბრალებდა და სხ.

ალექსანდრემ ომარის ბანაკითგან სპარსეთში კაცი გაგზავნა და შახს დახმარებას სთხოვდა, მაგრამ იქითგან ვერაფერი მიიღო. შახმა მიზეზად ხოროსანის არეულობა დაუსახელა. ამასობაში ლაზარევი ძალას იკრებდა და მოლაპარაკებით დროს იგებდა. ბოლოს რომ მეტი გზა აღარ იყო, 15.000 დალესტნის ჯარით ალექსანდრე და ომარი შეებრძოლენ რუსებს.

ბრძოლა მოხდა 7 ნოემბერს; ჯარებს მიუძღვებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი. ჯარების ერთი ნაწილი

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. III, გვ. 322.

**) იხ. ლაზარევის წერილი ომარ-ხანს — 16 ნოემბერს 1800 წ.

ტფილისზედ წამოვიდა პირდაპირ, ხოლო მეორე ნაწილი იმერეთის ჯარებს უნდა შეერთებოდა და იმავე ტფილისზედ მეორე მხრითგან მოსულიყო. ასეთ დაყოფით, ომარის ჯარი დასუსტდა და რუსებმა ი სინი ძალიან მალე დაამარცხეს *).

ამგვარად, ამ ექსპედიციითგანაც არაფერი გამოვიდა ომარ-ხანი დაბრუნდა დელესტანში, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილი — სპარსეთში.

VII

1800 წლის ნოემბერში, მეფე გიორგი ძალზედ ცუდად შეიქმნა, მისი მორჩენის იმედი აღარ იყო. დავით ბატონიშვილი გრძნობდა რა მამის სიკვდილის მოახლოებას, შეუდგა ხალხის დაფიცებას. თავისი ძმა თეიმურაზი დანიშნა ქართლის მმართველად და სთხოვა, ბიძები იქ არ დაეშვა. თვითონ კი უცხადებს ხალხს, რომ მამამ ის უკვე დაასახელა მეფედ.

არც მეორე ბანაკს ეძინა. ისინიც თავის მხრივ მომხრეებს ამრავლებდენ; ისინი სცდილობდენ დავითი ტახტზედ არ დაეშვათ. ამაზედ პეტერბურგში იმპერატორის სწერდა დარეჯანი: **) „... აწ გერი ჩემი, მეფე გიორგი იმყოფება მძიმესა სნეულებასა შინა და თუ ღმერთი, ცოდვისათვის ჩემისა განმირისხდება და ამას რაიმე შეემთხვევა, მაშინ ვიშვიულობ, რათა ტახტი მეფობისა არა მიიღოს მისგანვე აღრჩეულმან მემკვიდრედ, ძე მან მისმან დავით და ძენი ჩემნი დაშთენ უნაწილო სამართლისა მამის მიერ თავისისა მათდა დატეებულისაგანო".

გიორგიც რუსეთის მფარველობაში ხედავდა ხსნას, ამიტომ მან პეტერბურგში გაგზავნილი ელჩების საშუალებით მიართვა იმპერატორს ვრცელი მოხსენება, რომაც სთხოვდა, საქართველოს მიღებას რუსეთის სრულ მფარველობაში.

საჭიროდ მიგვაჩნია, დეტალურად გავარჩიოთ ეს ნოტა, რათგან რუსებმა ის მიიჩნიეს, მეფის მხრივ საქართველოს დამოუკიდებლობის სრული უარყოფის აქტად,

---

*) იხ. აქტები. ტ. I, გვ. 170 - 177.

**) იხ. აქტები. ტ. I, გვ. 200.

რას მსგავსიც იქ არაფერია. ხოლო უნდა აღინიშნოს, რომ ეს ე. წ. პუნქტები, პეტერბურგში წარდგენილი იყო გიორგის ელჩების მიერ სიტყვიერად. ხოლო გიორგის აზრით, იმპერატორის მიერ პრინციპიალური დათანხმების შემდეგ, უნდა მოჰყოლოდა, ამ თხოვნაზედ დამყარებით, ახალი ხელშეკრულების დადება. ჩვენ არ ვიცით, ის იქნებოდა განახლება 1783 წლის ხელშეკრულების, თუ აქ კიდევ მეტ დათმობებს ექნებოდა ადგილი, რაც საგულისხმებელია, ხოლო ის კი ვიცით, რომ აღნიშნული თხოვნის თანახმად, საქართველოს სუვერენობა ისევ შემონახული რჩებოდა. სულ სხვაა, თუ თხოვნის ყველა მუხლები რამდენად არიან ერთმანეთთან შეთანხმებული და როგორც მკითხველი ახლავე დაინახავს, ის რამდენად კომპრომისულიც არ იყოს 1793 წლის ხელშეკრულებასთან, მაინც არ ამტკიცებს, მეფის მიერ საქართველოს სუვერენობაზედ სრულიად ხელის აღებას.

მოვიყვანოთ ჯერ შინაარსი:

ელჩი შესავალში აღნიშნავს: ჯერ კიდევ მეფე ირაკლის სიცოცხლეში, გიორგის, როგორც მემკვიდრეს, მხედველობაში ჰქონდა თავის სამეფო მთლიანად და სამუდამოდ რუსეთის მფარველობაში შეეყვანა, ის ბოლომდე ამ აზრის დარჩა. ხოლო გამეფების წინ, მან გადასწყვიტა, ჯერ მიეღო იმპერატორისაგან მისი მეფედ დამტკიცების და შვილის, დავითის მემკვიდრედ გამოცხადების სიგელები და სამეფო ინვენსტიტურა და მერე, ამ საქმეს შესდგომოდა. ყველა ეს მიიღო რა იმპერატორისაგან წინასწარი სამადლობელო სიგელების შემდეგ, გვაგზავნის იმპერატორის წინაშე, მოგვართვათ მისი შემდეგი თხოვნა:

მუხ. 1. მეფე გიორგი ქართლისა და კახეთისა, თავადაზნაურობის, სამღვდელოების და ხალხის საერთო სურვილით, აცხადებს სურვილს, სამუდამოდ მიიღოს რუსეთის მფარველობა და მოვალეობად იღებს აღასრულოს ყველაფერი, რასაც რუსეთის ქვეშევრდომნი ასრულებენ.

მუხ. 2. ის თხოულობს, რომ სამეფოს ჩაბარების შემდეგ „ის დატოვებულ იქმნეს, და მის შემდეგ, მისი მემკვიდრენი, ტახტზედ, მეფეების ტიტულით", შედის რა რუსეთის იმპერიაში თავის ნებით; მეფე თავის

მმართველობის დროს, უმთავრესად მიმართავს იმ კანონებს, რომელიც ნაკარნახები იქნება უმაღლესი კარის მიერ და მათი განსაკუთრებული ნებართვის გარეშე, არავითარ კანონებს არ შემოიღებს.

მუხ. 3. მისი ქვეშევრდომობისა და ერთგულობის დასამტკიცებლად, მეფე მოითხოვს, დაენიშნოს მას ჯამაგირი და ებოძოს რუსეთში სოფლები; თავის სამეფოს შემოსავალს გადასცემს რუსეთის სრულ განკარგულებაში. ხოლო პირველ წლებში, იქაური მიწის მფლობელთა თხოვნით, გადასახადების მხრივ, მათ მიეცესთ შეღავათები.

მუხ. 4. სამეფოს მიღების დროს პირველ ხანებში, საჭირო იქნება შემოყვანა იქ ჯარის, 6.000 კაცის, თავისი არტილერიით, რომელიც დაბანაკდება იქ, სადაც მათი სარდალი საჭიროდ დაინახავს.

მუხ. 5. საქართველოს ყველა ციხეები უნდა დაკავებულ იქნეს, რუსის ჯარებით და მათი კამენდანტებით, ხოლო თვ. იმპერატორი ინებებს, ზოგიერთი მოხელეები დაენიშნოთ ადგილობრივ წარჩინებულთაგან.

მუხ. 6. თხოულობს ალმაშენებელ სპეციალისტებს, ზოგიერთ ციხეების შესაკეთებლად, რასაც მისი უმაღლესობა საჭიროდ დაინახავს. მავ მუშას, განსაზღვრული ქირით ადგილობრივ იშოვიან.

მუხ. 7. ცნობის სახით ებრძანოს, როგორც კეთილშობილთ, ისე სხვებს, რათა ისინი შევიდენ იმპერატორის სამსახურში, არსებული კანონების მიხედვით, თავიანთი სამეფოს დასაცავად, მიეცესთ ჩვეულებრივი ჯამაგირი და პირველ ხანებში, ჩვეულებისამებრ მათ წასაქეზებლად, დართული იყოს ერთგული ტანსაცმელი.

მუხ. 8. მრავალი მადნები: ოქროსი, ვერცხლის და სხვა, რომელთა წარმოება აქამდე მტრების შიშის გამო, შესუსტებული იყო, მათი განახლებისათვის, მეფე სთხოვს ამ დარგის სპეციალისტებს.

მუხ. 9. მეფე თხოულობს, გააფართოვოს ან იგივე დასტოვოს ფულის საქმე, ან დასტოვოს ისევ, ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ფული, შემდეგი ნიშნებით: პირველ მხარეს იმპერატორის მონოგრამა, რუ-

სული წარწერით, მეორე მხარის, საქართველოს საბეჭდო გვირგვინი, ქართული წარწერით.

მუხ. 10. პირველ ხანებში, სანამ მდგომარეობა მოწესრიგებული იქნება, ადგილობრივ მყოფი ჯარებისთვის, სურსათი შეძენილი იქმნას საბაზრო ფასების მიხედვით, იქ სადაც ჯარი იქნება, ან აქ რწმუნებულის მეოხებით.

მუხ. 11. მეფე ირაკლის მიერ ხელშეკრულებით, რუსეთის მფარველობაში შესვლის დღითგან, ვინც ჩვენს საზღვრებს თავს დაესხმება, ებრძანოსთ ჯარის უფროსებს, რათა ქართველებთან ერთად ანგარიში გაუსწორონ მათ, და თანახმად მეფის გადმეორების, დაიკავან მთელი ტერიტორია, ისტორიულ საზღვრებამდე.

მუხ. 12. აზერბეიჯანის სახანოები, განჯისა და ერევნის უძველეს დროითგან ითვლებოდენ ჩვენი სამეფოს მორჩილად; ისინი იხდიდენ და იხდიან გადასახადს და ომშიაც გვეხმარებიან. მათი ჩვენთან ურთიერთობის საკითხი დატოვებულ იქმნას ჯერ-ჯერობით უცვლელად და ჩვენ შეგვეძლოს მათი დახმარება ჯარით, მანამ იმპერატორის წარმომადგენელთან ერთად, მეფე მიიღებს დებულებას.

მუხ. 13. აგრეთვე, საქართველოს მეზობელი სახანოები, ომის შემდეგ, საქართველოს მეოხებით მოისურვებენ თქვენი წყალობის მიღებას.

მუხ. 14. ადგილობრივ რუსეთის ჯარის უფროსის პირით, შეეთვალოს თურქებს და ახალციხის ფაშას, რათა თავის საბრძანებელში და საქართველოს საზღვრებზედ არ დაუშვან ლეკები.

მუხ. 15. ქართველ მეფის ყველა ქვეშევრდომები, თავად-აზნაურობა, ხაძღვდელობა, ვაჭრები და სხვა ხელობის ხალხი, სარგებლობდენ რუსეთის სხვა ქვეშევრდომებთან თანასწორი უფლებებით.

მუხ. 16. ვინაითგან ჩვენში ჩვეულება არ ყოფილა აღწერის და არ ვიცით რაოდენობა ჩვენი მოსახლეობის, გამოგზავნილ იქმნას რუსეთითგან სპეციალისტი და მეფის დახმარებით აღწერილ, ცნობის იმპერატორისადმი წარსადგენად.

ელჩები დასასრულ დასძენენ: ამას ჩვენ მეტს აღარას დავუმატებთ, ხოლო როდესაც იმპერატორის წარმომადგენელი იქ მობრძანდება, მაშინ ყველაფერი უნაკლოდ იქმნება აღნუსხული და მოგვარებული.

ასეთია შინაარსი იმ ნოტის, რომელიც გიორგი მეფის ელჩებმა წარუდგინეს იმპერატორს. ამ ნოტის ოფიციალურ დაფასებას ვერ შევუდგებით, რათგან ის არ არის საბოლოოდ დადგენილი დოკუმენტი; თუმცა მისი შინაარსითგან, რაც ჩვენ გვაინტერესებს, ცხადია, რომ ამ თხოვნაში სულაც არ არის გათვალისწინებული საქართველოს სუვერენობის უარყოფა, ე. ი. თვითმკვლელობა. იმდენად, რამდენადაც ეს სუვერენობა მაშინდელ ქართველთა გაგებით, დაკავშირებული იყო საკუთარ მეფის ყოლასთან. ასე ფიქრობდა ყოველ შემთხვევაში ის ხალხი, ვინც მას სწერდა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად იქნებოდა შეკვეცილი ეს სუვერენობა.

ქვემო მასალებითგანაც გამოირკვევა, რომ რუსეთის იმპერატორსაც და მის მთავრობასაც, აგრედვე ასე ესმოდათ მაშინ ეს საკითხი. არც მათ მიუჩნევიათ მაშინ ეს აქტი სუვერენობის უარყოფად; ეს მხოლოდ, შემდეგ, რუსის დამბყრობელმა ლენერლებმა შეთხზეს და გაავრცელეს პრესაში, თითქოს ქართველ მეფემ თვით უარჰყო თვისი სამეფო.

მაგრამ, ამ ნოტაზედ რომ საუბარი გავათავოთ, კიდევ ის უნდა აღინიშნოს, რომ ის არ იყო რაიმე დადებული პირობა, ხელმოწერილი, რაიმე ვალდებულება, ქართველი მეფის მიერ მიღებული. თვით ნოტითგან და ელჩების სიტყვებითგან და ქვემოდ მოყვანილ მასალებითგანაც დავინახავთ, რომ ის იყო წინასწარი ინფორმაცია მეფე გიორგის, ის ამით უცხადებს იმპერატორს თავის სურვილს, რათა მათ შორის დაიდოს ოფიციალური ხელშეკრულება, რომლის ძირითად შინაარსს, მეფე წინასწარ აცნობს. ამგვარად, ეს როგორც ვნახავთ, აღარ მომხდარა. ხოლო თავისთავად ამ ნოტას ღირებულება აქვს მხოლოდ იმდროინდელი განწყობილების დასაფასებლად და ის არ წარმოადგენს იმეთ საბუთს, რომელზედაც შეიძლებოდეს უფლებრივი დამყარება.

VIII

როდესაც იმპერატორმა მოისმინა გიორგის ელჩებისგან ალნიშნული ნოტის შინაარსი, 14 ნოემბერს, გრაფ რასტოპჩინის პირით ელჩებს გადასცეს, რომ ერთი ელჩი დაბრუნდეს საქართველოში, იქითგან ჩამოიტანოს ხელ მოწერილი თხოვნა მეფის და ხალხის თანხმობით, და მერე გადავწყვეტთ საკითხს საბოლოოდ.

15 ნოემბერს, თვით იმპერატორი შემდეგ რესკრიპტს უგზავნის კნორინგს, კავკასიის ხაზის სარდალს: „... საქართველოს მეფე გიორგი ირაკლის ძეს, ხედავს რა საქართველოს განსაცდელში, როგორც გარეშე მტრების, და უფრო მეტად შინაური, ოდახურ უთანხმოებათ, განსაკუთრებით ტახტის მემკვიდრეთა მეოხებით შექმნილს, მიანდო აქ მყოფ თავის ელჩს განეცხადებია, საქართველოს მიწა - წყლის უშუალოდ ჩვენს ქვეშევრდომობაში შემოყვანის სურვილი.

ეს არის საინტერესო საქმე, როგორც თვით მაგ ქვეყნისთვის, აგრეთვე ჩვენი საზღვრების სიწყნარისათვის. წინადადება გვაძლევთ, დაუყოვნებლივ წარმოგვიდგინოთ, თქვენდამი რწმუნებული ლაშქრიდან რამდენის გამოყოფა შეგიძლიათ საქართველოს დასაკავებლად, რომელსაც შეუერთდება იქ მყოფი ჯარიც.

მეფის ჯარმთავარობის შესუსტება გვაფიქებინებს მის სიკვდილს, ამიტომ, ამის შემდეგ, დაუყოვნებლივ ჩვენის სახელით გაუგზავნეთ განცხადება, რომ ჩვენგან ნებართვის მოლებამდე, არავინ არ იქმნეს დანიშნული მემკვიდრედ საქართველოს სამეფოსი. ეს საქმე ირჩევა აქ და მოკლე ხანში გამოგზავნილი იქმნება მანდ, აქ მყოფი საქართველოს რწმენებულები, მანდედან მეფისა და ქართველი ხალხის სიგელების ჩამოსატანად, ჩვენს სრულ ქვეშევრდომობაში შემოსვლის შესახებ“ *).

ხელს აწერს: „პავლე“.

საჭიროდ მიგვაჩნია, იმავე თარიღით მეორე დამატებითი წერილის მოყვანაც: „... იმ შემთხვევაში, როდესაც დაბრუნდება ტფილისში გაგზავნილი რწმუნებული მეფისა და ხალხის სიგელებით, მე ვნიშნავ: იქ მყოფ ეგ-

*) იხ. აქტები. ტ. I.

ერთა პოლკს დაემატოს თქვენი ინსპექციიდან ერთი დრაგუნის პოლკი და სამი ფეხოსანი, კარგი არტილერიით. მაცნობეთ თქვენს მიერ დანიშნული პოლკები და მისწერეთ ბინებისათვის საქართველოში. დანარჩენს ჯარს ვტოვებ თქვენს განკარგულებაში, სანამ მიიღებდეთ ბრძანებას, თვითონ წახვიდეთ თქვენი ჯარებით საქართველოს დასაკავებლად, თუ ჩაანდოთ რომელიმე თქვენს განკარგულებაში მყოფ ოფიცერს *).

„პავლე".

ამ საბუთებიდან ორი რამ ირკვევა: პირველი ის, რომ მეფე ამზადებს ჯარებს საქართველოს დასაკავებლად; მეორე, რომ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საქართველოთგან დაბრუნდებიან გიორგის ელჩები და ამის შესახებ მეფისა და ხალხის მიერ ხელმოწერილი, დადასტურებული საბუთის ჩამოიტანენ. მაშ, აქეთგან ისიც ირკვევა, რომ ზემოდ მოყვანილი ნოტა თვით იმპერატორისათვის არ ყოფილა საბუთი, საქართველოს ანექსიის გასამართლებლად. მაგრამ დავუბრუნდეთ ფაქტებს; რა მოხდა შემდეგ.

საქართველოს ანექსიის საკითხი დასმული იყო სენატში და ის უმთავრესად აქ მოელოდა გადაწყვეტას; დანარჩენი ყველაფერი მოჩვენებითი ფორმალობა იყო. ამას მერეც ვნახავთ. თვით გრაფ რასტოპჩინი, ამავე 26 ნოემბერს 1800 წ. სწერდა კნორინგს, გამოგზავნილ ელჩებზედ და არიგებდა, რომ საქმე მათ სასარგებლოდ გაეკეთებინა. ავალებს, მან გაავრცელოს ხმები, თითქოს ის მიდის მეფის ბრძანებით, ქართველთა მტრების შესაკავებლად და სხ. რათა ხალხზედ იმოქმედოს და ხელი მოაწერინოს **). აქეთგანაც ცხარია, რომ ის ფორმალურ საბუთს ეძებს ქართველების მხრითგან.

მაგრამ რუსის მინისტრი, რომ ამას ამზადებდა, ამ დროს საქართველოში ხალხი დავით ბატონიშვილს ფიცს აძლევდა და მას მეფედ ირჩევდა. ერთი ნაწილი კი პროკლამაციებს აერცელებდა იულონის მეფედ არჩევის შესახებ, თანახმად ირაკლის ანდერძისა.

---

*) იქვე.

**) იხ. რასტოპჩინის წერილი კნორინგს. 26 ნოემბერი 1800 წ. აქტები ტ. I.

კახეთის მოსახლეობამ თხოვნაც მიართვა ღენერალ ლაზარევს, და მოითხოვდა დავითის გამეფებას. ეს სრულიად კანონიერი იყო, იმავე რუსეთთან ურთიერთობითაც, რადგან დავითი უკვე დამტკიცებული იყო მეფეკვიდრედ რუსეთის მიერ.

მკითხველისათვის აშკარაა, თუ საქართველოს ასეთი სურათი არაფერს ამბობს თავის ნებით თავის სუვერენობაზედ ხელს აღებაზედ; ამას რუსებიც კარგად ხედავდენ და ამიტომ იყო, რომ ბოლოს თვით ფორმალურ აქტებსაც თავი დაანებეს.

კნორინგი საქართველოსთვის უკვე ჯარებს ნიშნავს.

2 დეკემბერს 1800 წ., ის საიდუმლო ბრძანებას აძლევს ტფილისში ღენ. ლაზარევს, რათა მეფის სიკვდილის შემდგ, ტახტზედ არავინ დაუშვას *). (ასეთსავე ბრძანებას უმეორებს 3 იანვარს 1801 წელს).

სენატში წარდგენილია მთელი რიგი მოსაზრებები, საქართველოს ანექსიის შესახებ. რუსის ღენერალები უთითებენ მის პოლიტიკურ და კომერციულ ღირებულობაზედ. საქართველოს სიმდიდრეების შესახებ საგანგებოდ გამოგზავნილი გრაფ მუსინ-პუშკინი უმტკიცებს, საქართველოს დიდ სარგებლობას, მისი ბუნებრივი სიმდიდრეებით.

სენატი სცნობს, საქართველოს ანექსიით, რუსეთის შემდეგ ინტერესთა უზრუნველყოფას: 1) ის უზრუნველყოფს კავკასიის ხაზს მთიულთა თავდასხმებისაგან. სრულობის დროს შეიძლება იქითგან სურსათის მიღება; 2) საქართველოს სახით, რუსეთი იქენს ბუნებრივი სიმდიდრეებით მდიდარ ქვეყანას; 3) გაფართოვდება რუსეთის ვაჭრობა სპარსეთთან და ინდოეთთან; 4) სამხედრო თვალსაზრისითაც, თურქებთან ომის შემთხვევაში, ანატოლიის ფრონტი იქნება დაზღვეული.

სენატის არგუმენტაცია გარკვეულია. აქ ნათლად არის გამოთქმული რუსეთის ინტერესები და ამის შემდეგ ცხადია, ზედმეტია სხვა საბუთების ძებნა.

ასე რომ ზემოდ აღნიშნული ელჩები ჯერ კიდევ გზაში იყვენ,(ისინი საქართველოში ჩასვლას ვერ ასწრებენ), როდესაც სენატი საბოლოოდ დაადგენს, საქართველოს ანექსიას. ჯერ მეფე გიორგიც ისევ ცოცხალია.

---

*) იხ. აქტები. ტ. I, გვ. 182.

18 დეკემბერს 1800 წ. შედგენილ იქმნა უმაღლესი მანიფესტი; 22 დეკემბერს, იმპერატორი ხელს აწერს ხოლო მეფე გიორგი გარდაიცვალა 28 დეკემბერს *). დეკემბერშივე, მეფე გიორგის სიკვდილის წინ, ილებს მას კნორინგი; იმპერატორი უბრძანებს, რომ ის გამოაქვეყნოს მხოლოდ მეფის სიკვდილის შემდეგ.

IX

ახლაც იგივე დრამა მეორდება, რაც ირაკლის სიკვდილის დროს. მაშინ გიორგის არ ეცალა მამის დამარხვისთვის. იგივე დაემართა მის შვილს დავითს. დავითი გრძნობდა, რომ მის ტახტს, გარდა ბიძების, რუსებიც ემუქრებოდენ; ამიტომ გიორგის სიკვდილი არ დააცალა, და ის თავს მეფედ აცხადებდა. სიკვდილის წინ გიორგისა და დავითს შორის უთანხმოება სუფევდა, ამას მიაწერენ სხვა და სხვა მიზეზებს. ჩვენ გვგონია, ეს პოლიტიკურიც იყო. დავითმა შეიტყო გიორგის მიერ პეტერბურგში ნოტის გაგზავნა და მისი შინაარსი მან არ იცოდა; ხოლო ამის შემდეგ, რუსების მოქმედებითგან მან დასკვნა გააკეთა, რომ რუსების აგრესიულ მოქმედებას, ამ თხოვნამაც შეუწყო უთუოდ ხელი. დავითის ასეთი დასკვნა ბუნებრივად გვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ მას ერთგულობდა ცნობილი ირაკლის კანცლერი სიდლომონ ლეონიძე, რომელიც გიორგის მიერ ჩამოცილებული იყო ყოველგვარ საქმიანობას და რომელიც ცნობილი იყო თავისი ანტირუსული პოლიტიკით. როდესაც გიორგი გარდაიცვალა, დავითმა მის ქალაქებში, კიდევ აღმოაჩინა რალაც თხოვნები, იმპერატორისადმი.

როგორც ზემოდ ვნახეთ, ღენ. ლაზარევი უკვე გაფრთხილებული იყო იმპერატორის მიერ, რათა მეფის სიკვდილის შემდეგ, ტახტზედ არავინ დაეშვა. როცა მეფე გარდაიცვალა, მაშინ ლაზარევმა შეკრიბა ხალხი და იმპერატორის ეს ბრძანება გამოუცხადა. მან ის რუსულად წაიკითხა და სანამ სთარგმნიდენ, ამ დროს საზოგა-

*) 18 იანვარს 1801 წელს ის გამოქვეყნდა პეტერბურგში.

დოებიდან გამოვიდა სოლომონ ლეონიძე და ხალხს ქა-
რთულად აუხსნა, თითქოს ლაზარევმა დავითს მეფობა
მიუღოცა. ლაზარევმა როგორც გაიგო ის, მაშინადვე
ხალხს სწორი აზრი აუხსნა. მაშინ ლეონიძე თურმე ქუ-
ჩებში გავარდა და ხალხს ყვირილით არწმუნებდა, რომ
დავითი მეფედ იქმნა გამოცხადებულიო. ამის გამო ლა-
ზარევმა ლეონიძე დაატუსაღებინა. ხოლო ხალხს გამო-
უცხადა, რომ დღეითგან ყველა ბრძანებებს ხელს მო-
აწერენ შემდეგი პირები: იოანე ბატონიშვილი (დავი-
თის ძმა), ეგნატე თუმანიშვილი და თვით ლაზარევი.

როგორც ვნახავთ, საქართველოს ანექსიის მა-
ნიფესტი ხელმოწერილი და ღენერალ კნორინგისადმი
გადაცემული იყო გიორგის სიცოცხლეშივე. როცა კნო-
რინგმა წაიკითხა მანიფესტი, ნახა რომ იქ გათვალისწი-
ნებული იყო: ჯერ ტფილისში ჩამოსულ ელჩებს, საერ-
თო სურვილით დადასტურებული თხოვნა უნდა მიერთ-
მიათ იმპერატორისათვის, და მხოლოდ მერე შეიძლებდა
მანიფესტის გამოქვეყნება. ამიტომ კნორინგი უხერხულ-
ობაში ჩავარდა. საჭირო იყო მანიფესტის გამოცხადე-
ბის გადადება. გიორგის ველარ მოუსწრეს ელჩებმა. ისი-
ნი ჩამოვიდენ ტფილისში; მეფისგან ხომ ველარაფერ
თხოვნას ვერ მიიღებდენ, ვერც ბატონიშვილებისგან. აღ-
წერილი ვითარებითგან ნათელია, რომ არც ხალხი მის-
ცემდა მათ ასეთ რასმეს. რუსებმა მაინც მოახერხეს რა-
მდენიმე მათ მომხრე მოწინავე ქართველს ხელი მოაწე-
რინეს და 18 იანვარს 1801 წ. ისინი კვლავ პეტერბურგს
გაისტუმრეს. ტხადია, ეს იყო ბავშური მოჩვენება, რა-
თგან მანიფესტი უკვე ტფილისში იყო და როგორც ქვე-
მოდ ვნახავთ, სანამ ელჩები პეტერბურგს მივიდენ, აქ ის
უკვე გამოცხადებულ იქმნა. ლაზარევმა ისიც კი ვერ მო-
ოფიქრა, რომ ელჩების პეტერბურგში ჩასვლის შემდეგ
გამოეცხადებინათ მანიფესტი.

მაგრამ ყველა ამ ამბებამდე, მეფის სიკვდილის შემ-
დეგ, ყველაფერი უნდა მოეგვარებინა ლაზარევს. ამიტომ
მან დანიშნა დროებითი მთავრობა. იქ არ შეიყვანა ტა-
ხტის არც ერთი პრეტენდენტი; შეიყვანა მხოლოდ იოა-
ნე ბატონიშვილი.

მაგრამ საქმე ამით რიდის გათავდა. დავით ბატონი-
შვილი როდის სთმობდა თავის უფლებას; არც იულო-
ნის პარტიაა კმაყოფილი. შინაგანი ბრძოლა ისევ სწარ-

მოეებს. ეს ორივე მხარე ცალ-ცალკე სცდილობენ მათი გავლენის გაფართოებას ხალხზედ და ამავე დროს სცდილობენ რუსეთისგან ტახტი მოიპოვონ. ასეთი ანარქიის დროს, გაჩნდა ერთი უმნიშვნელო ჯგუფიც, რომელიც ნამდვილად რუსეთს ეკუთვნოდა, თუმცა, რითგან საერთო განწყობილება მეფის მხარეს იყო, აღნიშნული ელემენტების მოქმედება ამ პერიოდში, შეუმჩნეველი დარჩა.

30 დეკემბერს ლაზარევი იღებს კახეთის თავადაზნაურობისა და ნეკერესის მიტროპოლიტის ხელმოწერილ ბარათს, დავითის გამეფების შესახებ. ისინი ემყარებოდენ, პავლეს მიერ დავითის მემკვიდრედ დამტკიცების სიგელს. ამის შემდეგ დავითი თავს ფაქტიურად მეფედ წარმოიდგენს და იწყებს მოხელეების დანიშვნას. მისი ძმა ბაგრატი ქართლში ხალხს აფიცებს დავითის მხარეს; მეორე ძმა თეიმურაზი მოწოდებას ავრცელებს ქართლში და მოწინააღმდეგე თავადებს ემუქრება: დავითი იმპერატორის მიერ არის დამტკიცებული და თქვენ მის წინააღმდეგ მიდიხართო.

15 იანვარს 1801 წ. დავით ბატონიშვილმა შემდეგი მოწოდებით მიმართა ქართველ ხალხს:

„ხელმწიფე იმპერატორმა ინება სჯულიერითა წესითა შედგომა და მოხედა უკანასკნელსა წერილსა სანატრელისა პაპის ჩემისა მეფისა მეორისა ირაკლისასა ქრონიკონს უ პ კ მაისა კ ს, რომელიც უბოძა სანატრელსა მამასა ჩემსა*), ძესა თეიმურაზისა მეფე გიორგისა, რომელიც იყო ნამდვილი დამკვიდველი თავისისა პირველის ანდერძისა, რომელსაც სასინანულოდ აღსრულებოდა უკანონოდ პოლიტიკა დასამყუდროებლად აღბორგებულთა პირისპირ მეფისა და სამეფოისა და წარუდგინა რა დიდსა იმპერატორსა და მით სთხოვა საუკუნოდ დამამყუდრებელი მშვიდობა ქვეყნის თეიმურაზისა და მისცა წერილი ესე სანატრელმან მამამან ჩემმან მეფემან გიორგიმ, სრულის ძალისა მქონებლისა ელჩისა თეიმურაზისა გარსევან ჭავჭავაძისა მიერ და შერთოცა სამეფო თვისი იმპერიასა რუსეთისასა. ამა ორისა მიზეზის ძალით მე-

*) აქ გულისხმობს იმ წერილს, რომლითაც ირაკლი გიორგის ჰპირდებოდა მემკვიდრეობის შესახებ, ზემოდ აღნიშნული ანდერძის გაუქმებას..

ბრძანა უმაღლესითა ბრძანებითა მიახლოებულა მემკვიდრეებით ტახტისადმი საქართველოისა, საღვთისაწყალობითა, ღვთისაწყალობითა, მართებლად და ვინათგან საჭირო იყო გამოცხადება ამისი ერთიადმი ჩვენთა, ამისთვის გამოუცხადებთ ღვთისაწყალობითსა მეფებასა, მართებლობით მემკვიდრეობითსა ტახტისა ჩვენისასა და უკეთუ აქუს ვისმე ჩემდამი დაბრკოლებაი, აღუთქუამთ მათ მიტევებასა თვისსა დანაშაულისასა და შევიწყნარებთ მათ მოქცეულთა ეგრეთ, ვითა შეუყარებულსა უძღებსა ძესა და უკეთუ შემდგომად გამოცხადებისა ამის ჰქმნას ვინმე წესისა ნებით გარდამავლობა. იგი დასჯილ იქმნების იმპერატორისა ჩემისა მიერ, მებრ სჯულისა ერისა კანონითა, როსიას შინაპყრობლობითა"*).

ყველა ამათ ლაზარევი ამცნობდა კნორინგს, ხოლო კნორინგი დანდობილი რუსის ხიშტზედ, ამშვიდებდა ლაზარევს: „განზრახვები დავით ბატონიშვილისა უმნიშნელოა, მის მეფედ გახდომის სურვილს ვერ მიიღებს სამეფო კარი. თუ ის ძალით ფიქრობს მოიპოვოს უფლება საქართველოს ტახტისა — ამისთვის მისი საშუალებანი ძალიან სუსტნი არიან, მაშინ ის უნდა შეუერთდეს იმერეთში გადახვეწილ ბატონიშვილებს..." და. სხვა.

თავის მხრივ იულონმა შეითქვა ქართლელები. აქ იულონი ეკლესიებში უკვე ქართლის მეფედ იხსენიება; აქაური თავად-აზნაურობა და სამღვდელოება ამცნობს ლაზარევს, რომ ისინი იულონს შეეფიცნენ.

ვახტანგ და მირიან ბატონიშვილების თხოვნით, იმერეთის მეფე სოლომონ მეორეც სწერს წერილს იმპერატორს იულონის კანონიერებაზედ.

ასეთი იყო მდგომარეობა, რომ 8 იანვარს 1801 წ., ზემოხსენებული ელჩები ჩამოვიდენ. და როგორც უკვე აღენიშნეთ, ისინი უკანვე გაისტუმრეს.

რუსებისათვის ცხადი იყო, რომ ამ მდგომარეობისათვის ბოლო უნდა მოელოთ.

იმპერატორი პავლე კიდეც მოითხოვდა ფორმალობის აღსრულებას, მაგრამ ბოლოს სენატმა ის საქმეები დაარწმუნა და ბრძანება გამოუგზავნა კნორინგს, რათა საქართველო. რუსეთის გუბერნიად გამოაცხადებინა, ხოლო გუბერნატორად დავით ბატონიშვილი დაენიშნა. ეს

*) იხ. აქტები. ტ. I, გვ. 247.

ადვილი იყო, რათგან დავითი ამ დროს რუსეთის სამსახურში ითვლებოდა. ამ არგუმენტს წარუდგენდენ ტახტის მეორე პრეტენდენტებს, ხოლო პირველს დაიმორჩილებდენ

20 იანვრის 1801 წ. იმპერატორის რესკრიპტი კნორინგს: „... შე მაურს, რომ საქართველო იყოს გუბერნია, და ამნაირად ის დაუკავშირეთ სენატს, ხოლო სასულიერო მხრით — სინოდს, მათი პრივილეგიების ხელშეუხებლად; გუბერნატორად დეე იყოს ვინმე სამეფო სისხლის, მხოლოდ თქვენი მორჩილების ქვეშ...“ *).

ამის შემდეგ აი რას სწერს დუბროვინი: „... ჩვენი მთავრობა, იმპერატორ I-ის ხელმძღვანელობით ამ შემთხვევაში შორის იყო ყოველგვარი ძალმომრეობითი მოქმედებითგან, ჩვენის მხრივო...“ **).

ასე თუ ისე იმპერატორის აღნიშნული ბრძანების შედეგ, საქართველო გამოცხადებულ იქმნა გუბერნიად, ხოლო დავითი იქმნა დანიშნული საქართველოს მმართველად.

როგორც კი დავითი მოექცა სათავეში, ის დაწყნარდა; ხოლო მისი ბიძები კიდევ ერთხელ შეებრძოლენ მას, მაგრამ, რომ ვერას ვახდენ, იულონი და ფარნაოზი იმერეთში გადაიხვეწენ.

X

16 თებერვალს 1801 წელს, სოლნის ტაძარში მოიწვიეს დიდძალი საზოგადოება და წირვის გათავების შემდეგ, რუსულ-ქართულ ენაზედ ლაზარევმა წაუკითხა ხალხს 18 დეკემბრის 1800 წლის მანიფესტი. მეორე დღეს იგივე განმეორდა ტფილისის მცხოვრებ სომეხთა შორის.

მანიფესტს ყველა გულცივად შეხვდა. დავით ბატონიშვილი იძულებული იყო შეეერთებოდა ამ მანიფესტაციას, თავისი ძმებითა და სხვა თავადებით. იმპერატორი ჰპირდება დიდ ჯილდოს სამეფო ოჯახის ყველა წევრს, ვინც მოისურვებს რუსეთში გადასახლებას.

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. III, გვ. 359.

**) იქვე.

(პირველ წყებას კიდეც ისტუმრებენ. 9 მარტს 1802 წ. უკვე ტფილისს სტოვებენ გიორგი მეფის სამი შვილი: ივანე, ბაგრატი და მიხეილი. ხოლო 15 მარტს, გაისტუმრებენ მირიან ბატონიშვილს (ირაკლის ძე). ამ დროს ირაკლის შვილებითგან: ვახტანგი სცხოვრობდა დუშეთში, ალექსანდრე სპარსეთში, იულონი და ფარნაოზი — იმერეთში.

მაგალითი წინადადებით მიმართეს ყველა ამ ბატონიშვილებს. კნორინგი სწერდა დარეჯანს, რომ მირიანს უკვე ლენერალ-ლეიტენანტობა ებოძა და სხვა რუსეთში წასულ ბატონიშვილებს წლიურად თითოს 10.000 მ. და სხ. მაგრამ ბატონიშვილები სასტიკ უარს ეუბნებიან. იმერეთითგან იულონი აბარებს დავით ბატონიშვილის მოციქულს: — „დავითს გადაეცით, რომ ის ნუ სულელობს, მემკვიდრის ტიტულით თავს იქცევს, და სამეფოს კი ჰკარგავს“-ო).

საკრთოდ ამ აქტს, ყველა ბატონიშვილები ცუდად შეხვდენ, და ეს იქამდე აშკარა იყო, რომ მას რუსებიც არ ფარავენ. თვით ანტონ კათალიკოსის (ერეკლეს ძე) შესახებ, მანიფესტის კითხვის დროს, აი რას სწერს ლაზარევი კნორინგს: „...არ შეეძლო დაეფარა თავისი უკმაყოფილება და ის სახეზედ ნათლად ეხატებოდა“-ო *).

აქ ზოგიერთმა თავადებმა, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზების გამო უკმაყოფილონი იყვენ ბატონიშვილებისა, მაშინადვე რუსებს ერთგულობა გამოუცხადეს. ასეთები იყვენ: სარდალი ორბელიანი, თავ. ბებუთოვი, არგუთინსკი-დოლგორუკოვი, თუმანიშვილები და სხ.

ამიტომ იყო, რომ ლაზარევი აღფრთოვანებული წერილით ატყობინებდა პეტერბურგში, თითქოს მთელი ქართველობა დიდის ზეიმით შეხვდა მანიფესტის გამოცხადებას.

ქართველი ბატონიშვილები ახლაც და შერეც თავიანთი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე, იბრძვიან სამეფოს შენარჩუნებისათვის.

კერძოდ დავით ბატონიშვილი ერთხანს სარგებლობს თავისი ძდგომარეობით, და ის საქართველოს მმართველის თანამდებობაზედ, ეერთგულებს შრავალ თავადაზნაურობას; ნელ-ნელა ზრდის თავის გავლენას, რათა

*) იხ. დუბროვინი. ტ. III, გვ. 377.

ისევე დაიბრუნოს მეფის უფლებები, მაგრამ რუსის მოხელეები მას სასტიკად ებრძვიან, უწყობენ სათასგვარ ინტრიგებს და განუწყვეტლივ ამბენენ პეტერბურგში. როგორც შმართველს, მას ყველაფერი თავისუფლად უნდა ეწარმოებინა, მაგრამ ლაზარევი მას ნებას არ აძლევდა თავისუფალი მოქმედებისა.

ანექსიის გამოცხადების შემდეგ ყველაფერი გათავებული იყო და დავით ბატონიშვილის ცდები ამაო. მაგრამ, სანამ რუსის ჯარი ცოტა იყო საქართველოში, ის კიდევ არ ჰკარგავდა იმედებს. მალე, რუსებმა საკმაო რიცხვის ჯარიც შემოიყვანეს და დავითის ოცნებასაც ფერთები შეეკვეცა.

XI

როგორც კი გაიგეს საქართველოში, იმპერატორ ალექსანდრეს ტახტზედ ასვლა, დავით ბატონიშვილი მაშინადვე აგზავნის თხოვნას, მისი საქართველოს ტახტზედ მეფედ დატოვების შესახებ *).

დარეჯანი კი იულონზედ სწერს შემდეგს: „... დაგვიხსენით, ჩემი გარდაცვალებული ბიორგი მეფის მიერ მოყენებული უმართებულობისა და უსინდისობისაგან, და დაამტკიცეთ ჩვენი უფლება. როშელიც დაკანონებული იყო სამეფო ოჯახში ჩემ გარდაცვალებულ ქმრის, მეფე ირაკლის მიერო" **).

როდესაც ამ ორ განცხადებას იღებს იმპერატორი ალექსანდრე, საკითხს ვერა სწყვეტს, და საქართველს რუსეთთან შეერთების საკითხი გადასცა სენატს ხელმეორეედ განსახილველად.

სახელმწიფო საბჭოში ერთხელ უკვე დადგენილი იყო და პავლე იმპერატორის „უკაზით" საქართველოს ანექსია გამოცხადებული, ამიტომ მას ბევრი კამათი აღარ დასჭირებია, კვლავ განმეორებითი დადგენილების გამოსატანად.

11 აპრილს 1801 წლის, სენატის ორგანოში, საქართველოს ანექსიის შესახებ სამი მთავარი მოსაზრებაა ალნიშნული:

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. III, გვ. 389.

**) იქვე.

1) რომ საქართველოს სამეფო ოჯახში არსებული უთანხმოება, სამეფოს უქადის შინაგან ბრძოლას.

2) მფარველობა, რომელსაც დიდი ხანია რუსეთი უწევდა საქართველოს, მოითხოვს საქართველო დარჩეს მთლიანი.

3) რომ საქართველოს შემოერთება უზრუნველყოფს რუსეთის საზღვრებს და ხელს შეუწყობს რუსეთის მთიულეთის დაპყრობის საქმეშიც.

ამიტომ საბჭო მოითხოვდა:

1) ყველა იქ მყოფი ჯარების დატოვებას; 2) დაარსებას იქ დროებითი რუსული მმართველობისა, სათავეში უნდა ყოფილიყო რუსეთიდან გაგზავნილი გუბერნატორი, უკანასკნელი გააერთიანებდა სამოქალაქო და სამხედრო უწყებათ.

ამ დადგენილებას პირველ ხანებში იმპერატორი და საბჭოს ორი წევრი არ იზიარებს. იმპერატორის წარმომადგენელმა მთავარმა პროკურორმა ბეკლეშევმა საბჭოს განუცხადა: „...რომ იმპერატორის აზრით, აღნიშნული სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომად გახდომა იქნებოდა მითვისება უცხო მიწისა, რაც უსამართლობა იქნებოდაო". აღნიშნულ სიტყვები რუსეთის საერთო პოლიტიკის გავითარებას ხელს ვერ შეუშლიან, მაგრამ ამავე სიტყვებს ჩვენთვის ის დიდი მნიშვნელობაც აქვს, რომ ამ აქტის **უკანონობას და ნაძალადობას, იმპერატორი თავისი პირით აღიარებს.** ამაზედ უკეთესი საბუთის ძებნა ზედმეტი იქნებოდა.

იმპერატორმა ის ხელმეორედ გადასცა საბჭოს; საბჭომ სულ მოკლედ იმსჯელა 15 აპრილს, და ისევ იმავე დასკვნამდე მივიდა. ამის შემდეგ იმპერატორიც დაეთანხმა საბჭოს დადგენილებას და გადასწყვიტა ადგილობრივ პირობების გამოსარკვევად, საქართველოში ღენ. კნორინგის გაგზავნა.

იმპერატორი 19 აპრილს 1801 წ. უგზავნის მას რესკრიპტს დირექტივებით; აქაც მხოლოდ ფორმალობის ნიადაგზედ სდგას ის. კნორინგი უნდა დაბრუნდეს პეტერბურგში ვრცელი მოხსენებით და საქართველოს საკითხიც საბოლოდ მაშინ უნდა გადაწყდეს; თუმცა ამან ხელი არ შეუშალა, იმპერატორს თავის რესკრიპტში ეთქ-

ვა: „... აუცილებელ დაუფარავად გვტყვით, რომ ლრისება იმპერიისა, დაცვა ჩვენი საზღვრებისა თურქების მხრით, და მთიულთა თავდასხმებისგან ,და ყველა სხვა სარგებლობანი რუსეთისათვის, დიდი ხნიდან აიძულებდა მთავრობას ეფიქრა ამ ამბებზედ და მიეღო ეს გადაწყვეტილება" *).

როდესაც კნორინგი საქართველოში ჩამოვიდა, ამ დროს ქართველი ელჩები ჩავიდენ პეტერბურგში. ჩვენ ზემოდ დაეინახეთ, თუ ამ ელჩებმა როგორი თხოვნები წაიღეს, მაგრამ მაინც წაიღეს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსების მიერ, შემდეგ, ეს თხოვნები ისე იყო გაგებული, თითქოს ქართველები რუსეთის საჩუქრად სთავაზობდენ საქართველოს. მთავარი აზრი ყველა მათი მოთხოვნილების იყო პროტექტორობის განახლება, შეიძლება უფრო მეტი დათმობით, ვიდრე 1783 წლის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ახალი თხოვნით ელჩებმა იგივე გაუმეორეს, სამეფო უნდა დარჩენილიყო და მეფის საგვარეულო უზრუნველყოფილ ტახტზედ.

ახლაც კვლავ სთხოვდენ საქართველოს ტახტზედ დაენიშნათ ერთ-ერთი ბატონიშვილი — **საქართველოს მეფის სახელწოდებით**, ხოლო მის მოადგილედ ერთი რუსის მოხელე დაენიშნათ. აქვე გათვალისწინებული იყო საქართველოს ადმინისტრაციის ახალი ფორმა და სხ.

ამ თხოვნების განხილვა გადაიდო კნორინგის პეტერბურგში დაბრუნებამდე.

კნორინგი ტფილისში ჩამოვიდა 1801 წლის მაისში. იმპერატორი ავალებდა, რომ შეეტყო ფულწრფელი იყო თუ არა ქართველების თხოვნა და თუ დადებით პასუხს მიიღებდა, მაშინადვე შეედგინა ახალი მთავრობა. აქეთგანაც ცხადია, თუ რა იყო კნორინგის პირდაპირი მოვალეობა. როგორც მკითხველი დაინახავდა აქამდე და მერეც ნახავს, რუსები ჯერ ამდენენ ხოლმე აქტს და ფორმალობას მერე ასრულებდენ. ახლაც იგივე განმეორდა. მას შემდეგ, რაც საქართველოს საკითხი განახლდა სენატში, ანექსიის საქმე კნორინგის პეტერბურგში

---

*) იხ. Потто. «Утверждение русского владычества на Кавказе». ტ. I, გვ. 28.

ჩასვლის შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო, მას შემდეგ, როცა ის საქართველოს მდგომარეობაზედ ვრცელ მოხსენებას წარუდგენდა სენატს. მაგრამ მან გვერდი აუხვია თავის პირდაპირ მოვალეობას და შეუდგა პირდაპირ საქმეს.

პირველად კნორინგმა გადაიყენა მმართველის თანამდებობიდან დავით ბატონიშვილი. დავითი სთხოვდა იმპერატორს ელჩების გაგზავნას, მაგრამ კნორინგი არ დაეთანხმდა.

შემდეგ შეადგინა ახალი მთავრობა ღენ. ლაზარევის თავმჯდომარეობით. მთავრობაში შედიოდენ: ზსაალ ბარათაშვილი, ეგნატე და სულხან თუმანიშვილები, იოანე ჩოლოყაშვილი და დარჩი ბეგბუთოვი.

ამაზედ კნორინგი სწერდა პეტერბურგში: „... მთელი მოსახლეობა საქართველოსი ხედავდა რა, რომ თვინიერ ხელისუფლებისა, შეუძლებელია საზოგადოებრივი წეს-რიგის დამყარება, საჭიროდ სცნო, რომ მთავრობის შექმნა სამშობლოს წინაშე დამსახურებული პირებისგან იყო აუცილებლობის შედეგი“ *)

ამგვარად, მიუხედავად გარეგნულად მომხდარი კამათებისა სახელმწიფო სენატში, მიუხედავად იმპერატორ ალექსანდრეს „ყველილშობილი“ განზრახვებისა, მათივე მორჩილი მოხელე კნორინგი გვერდს უხვევს ყოველივე ოფიციალურ დავალებებს და ერთის ხელის დაკვრით პეტერბურგის კაბინეტს და იმპერატორსაც ფაქტის წინაშე დააყენებს, რაც ნათლად ლაპარაკობს, რომ მის ამ გაბედულ და ოფიციალური ბრძანების წინააღმდეგ მოქმედებაში, პეტერბურგის ხელი უნდა ყოფილიყო გარეული.

კნორინგმა მთელი ეს საქმე სამ კვირაში მოათავა და პეტერბურგში გაბრუნდა.

რუსებმა მაშინადვე უბრძანეს ლორიერებით მთავრობას, ჩამოერთმია გაქცეული ბატონიშვილების მამულები, აგრეთვე ის მამულები, რომელიც დავით ბატონიშვილის მიერ იყო გაცემული, უკანონოდ ეცნო და ჩამოერთმია.

ამის შემდეგ, დავით ბატონიშვილი გადაუდგა რუსებს. ის სწერდა ბეგლარ ორბელიანს: „... ჩვენს ქვეყანას დღეს ოთხი ცრუ და ერთი ბრიყვი გვანაგებენო“.

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. III, გვ. 399.

დავით ბატონიშვილი კიდევ შეეცადა, პეტერბურგის დელეგაციის საშუალებით ხელისუფლების ხელში ჩაგდებას, მაგრამ რუსის მოხელეებმა იცოდნენ, რომ მისი ხელისუფლების სათავეში ყოფნა, ხალხის თვალში საშეფოს არსებობას უდრიდა, ამიტომ ის არას გზით ალარ დაუშვეს დროებით მთავრობაში.

ხოლო ლენ. ლაზარევი საჩქაროდ სწერს კნორინგს: „... ჩემის აზრით, ყველაზედ საუკეთესო საშუალება ის იქნება, რომ მთელი ბაგრატიონების ოჯახი აქედან გადასახლებულ იქმნას, ხოლო სანამ ის აქ იქნება, არეულობას ბოლო არ მოელება“ *).

XII

კნორინგი ვრცელი მოხსენებით მიადგა პეტერბურგს. ის დაასკვნის საქართველოს ანექსიის აუცილებლობას. ამავე დროს სენატს წარუდგენს ლენ. მუსინ-პუშკინი თავის მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა პოლიტიკური და ეკონომიური სარგებლობა ექნება რუსეთს საქართველოს ანექსიით.

8 აგვისტოს 1801 წელს, სენატში გაიმართა კამათი. დიდი უმრავლესობა მომხრე იყო ანექსიის. წინააღმდეგი იყვენ: ბრაფები ს. რ. ვორონცოვი, კოჩუბეი და თავ. ჩარტორიისკი. მათი არგუმენტი იყო შემდეგი: რომ რუსეთი ისედაც დიდი იყო და კვლავ საზღვრების გაფართოება, თავდაცვის საქმეს გააძნელებდა; ასევე საგრძნობლად გაზსდიდა სახელმწიფო ხარჯებს. გარდა ამისა, საქართველო ჯერ უშუალოდ არ იყო მიკრული რუსეთის საზღვრებს; მათ შორის მდებარე ჩრდილოეთ კავკასია ჯერ კიდევ დიდ წინააღმდეგობას უწევდა რუსებს. ეს არგუმენტიც გამოიყენეს მოწინააღმდეგეთ. ვიცე-კანცლერი ვორონცოვი ამტკიცებდა აგრეთვე, რომ საქართველოში ბაგრატიონების მეფობა არჩევით არ ხდება, არამედ ის მემკვიდრეობითია და ეს აქტი ნაძალადევი იქმნებაო. მოკლედ, ის ხედავდა ამაში უსამართლობას და მოითხოვდა, საქართველო დაეტოვებინათ ვასალურ დამოკიდებულებაში.

სენატი წინააღმდეგი იყო ვასალური დამოკიდებულ-

*) იქვე. გვ. 402.

ლეპის, რათგან მისი აზრით, 1783 წლის ხელშეკრულებამ „ეს უბედური ქვეყანა დალუპვის კარამდე მიიყვანა, და თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება, ის სამუდამოდ დაილუპებაო“.

ხოლო ყველაზედ დიდი როლი საკითხის გადაწყვეტაში ითამაშა გრაფ ვალ. ზუბოვმა, რომელიც 1796 წ. სპარსეთის ფერონტის ჯარიებს მეთაურობდა, და ძალიან კარგად იცოდა კავკასიის მნიშვნელობა. ამიტომ ის დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს ანექსიას. ის უმტკიცებდა სენატს, რომ თუ ჩვენ ამას არ ვიზამთ, რუსეთს საფრთხეში ჩაეგდებათ, რათგან კავსაკიაში ბატონობა სხვებს ხელში ჩაუვარდებათო.

დაბოლოს, სენატი ადგენს საქართველოს ანექსიას. იმპერატორი ალექსანდრე I-ი თავისი გვირგვინის კურთხევის სამი დღის წინ აქვეყნებს ცნობილ 12 სექტემბრის 1801 წლის მანიფესტს *). ეს მანიფესტი ეკუთვნის იმავე ვ. ზუბოვის კალამს.

რასაკვირველია ეს გაწია-მაწია სრულიად ზედმეტი იყო, რადგან როგორც ვნახეთ, კნორინგმა ფაქტიური ანექსია უფრო ადრე მოახდინა და საქართველოს ტახტის შემკვიდრეს, პავლეს მიერ ნაწყალობები „საქართველოს მმართველის“ თანამდებობაც ჩამოართვა.

ამგვარად, იმპერატორმა მიიღო რა სენატის უკანასკნელი დადგენილება, კავკასიის ხაზისა და საქართველოს პირველ მთავარმართებლად ლენ. კნორინგი დანიშნა და დაავალა ქვეყანა განეგო: „... ხალხის ადათების, ჩვეულებების და გონებგანწყობილების მიხედვით“.

XIII

გადაწყდა რა საქართველოს ანექსია, თვით მეფის ოჯახზედ სენატი ადგენს: ადგილობრივ დატოვილ იქმნან ისინი, ვინც თავიანთი მოქმედებით საეჭვონი არ არიან, ვინც არ ააღელვებენ მეზობლებს და სხვა რაიმე ცუდს არ ჩაიდენენ, დანარჩენები გადასახლებულ იქმნან რუსეთში, რომელთათვისაც მათი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, აღვილი იქნება პენსიების დანიშვნა“.

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. III, გვ. 416 - 7.

ხოლო იმპერატორი 12 სექტემბერს 1801 წელს კნორინგს სწერს: „... რაც შეეხება მეფის ოჯახს, ქვეყნის დაწყნარებისა და მავნე აზრთა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, სასურველი იქნებოდა, რომ ორივე დედოფალი და ყველა ბატონიშვილები, განსაკუთრებით ყველაზედ მოუსვენარი, დაითანხმოთ რუსეთში გასტუმრებაზედ“.

სენატის ასეთმა გადაწყვეტილებებმა თავზარი დასცეს ჯერ იქვე მყოფ საქართველოს დელეგატებს, რომელთათვისაც არაფერი არ უკითხავთ. აქვე იმყოფებოდა ამდროს იოანე ბატონიშვილი.

ჩვენთვის ეს ფასაგები არის, რათგან როგორც არა ერთხელ გამოიჩკვა, როგორც ცალკე პარტიებს, ისე მთელ ერს სურდა ხოლოდ **მფარველობა რუსეთისა**, და არავინ ფიქრობდა, რომ სენატი ანექსიით უპასუხებდა. თუმცა სამეფო ოჯახში არსებულმა უთანხმოებამაც მისცა ზოგიერთი საბაბი რუსებს, და იმპერატორმაც ამან ათქმევინა, რომ მას ენდა: „საქართველოს სამეფოში, მისივე საკუთარი კეთილდღეობისათვის, დამყარდეს მმართველობა და წესიერებაო“ *). მაგრამ მეფის ოჯახის მდგომარეობა ვერ გაამართლებს რუსეთის საქციელს.

ყველა ეს ამბები პეტერბურგითგან მაშინადვე აცნობა იოანე ბატონიშვილმა დავითს, უკანასკნელმა საჩქაროდ ხელი მოაწერინა თავადებს და თხოვნა მიართვა იმპერატორს, რომლითაც მოითხოვდენ მეფეს.

მალე დელეგაციის წევრებმაც მთელ საქართველოს ამცნეს ყველაფერი.

12 სექტემბერს 1801 წელს, ზაალ ანდრონიკაშვილი სწერს საქართველოში სოლომონ თარხნიშვილს და იოანე ორბელიანს, რომ მათ მიერ სამშობლოს ბედი კარგად იყო შოწესრიგებული პეტერბურგში, მაგრამ ლენ. კნორინგის შემდეგ, მთლად უკუღმა შემობრუნდა და უსაყვედურებს, რომ თქვენმა მანდ უთავბოლო მოქმედებამ ეს დაგვატეხა თავსაო.

პეტერბურგში მყოფმა ელჩებმა და ბატონიშვილებმა ალელვებული მიმართეს იმპერატორს, კვლავ თხოვნები მიართვეს სამეფოს აღდგენაზედ, ზრუნავდენ, ფიქრობდენ, დარბოდენ დღე და ღამე, ხან ერთთან, ხან შეორეს-

*) იქვე. ტ. III, გვ. 419.

თან, მაგრამ საქმე გათავებული იყო — ბედი ქართლისა გადაწყდა!

თუ ქართველები სანუგეშოდ, უკანასკნელ საშუალებასაც მიმართავდენ, იმპერატორი კნორინგს ავალებდა, ეფიქრა და ეზრუნა მას საქართველოს დანარჩენი პროვინციების მეთოდიურ ანექსიაზედაც.

პეტერბურგში მყოფი ბატონიშვილები, თანხმად სენატის დადგენილებისა, იქვე დაკავებულ იქმნენ, ხოლო ელჩებს მისცეს სხვა და სხვა ტიტულები და ორდენები.

დავით ბატონიშვილმა იგრძნო რა საბედისწერო დამარცხება, მთავრობას ნებართვას სთხოვდა, ჯერ ალმოსავლეთში და მერე ევროპაში მოგზაურობის; მაგრამ მის ამ საიდუმლო განზრახვასაც მიუხვდენ რუსები და მის ოცნებათ ფრთები შეაკრეს. დავითი ოცნებობდა საფრანგეთში წასვლას და ნაპოლეონთან სამსახურს, ნაპოლეონიც უთუოდ გამოიყენებდა ქართველ ბატონიშვილს.

დავითი საიდუმლოდ ყოველგვარ ცნობებს იღებდა რუსეთითგან და როდესაც შეიტყეს, რომ პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილებს ალარ აბრუნებდენ, აშან კიდევ განაჯავსა ის. მას შეაქვს განცხადება და რუსეთის სამსახურზედ (ის ითვლებოდა არტილერიის ლეიტენანტად) უარს ამბობს, მაგრამ იმპერატორი ამაზედაც უარს ეუბნება.

მთელ საქართველოში უკმაყოფილება გაისმოდა. დაწყებული ბატონიშვილებით, გლეხობით გათავებული, ყველა წინააღმდეგი იყო რუსების. ამას თვით რუსის ღენ. დუბროვინიც ალნიშნავს: „... თავიანთი სხალი ბედით, ხალხი მთლად კმაყოფილი არ იყო. ქართველები იყვენ რალაც გაურკვეველ მდგომარეობაში. არც კმაყოფილნი, არც უკმაყოფილონი". „ქართველები იმედგაცრუებულნი დარჩენ თავიანთ მოლოდინშია" *). ამას სწერს ის პირი, რომლის აზრიდაც ასე ხალხის სურვილით ინება რუსეთმა საქართველოს გაბედნიერება!

საქართველო გაიყვა რუსის ჩინოვნიკებით. რას აკეთებდენ ღმერთმა უწყის, მათი ქართველებს არა ესმოდათ რა და მათ ქართველებისა. იგივე დუბროვინი სწერდა: „... ქართველები ისე გამოდიოდენ საკამართლო-

*) იქვე. გვ. 429.

დან, რომ არავინ იცოდა ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი". და როდესაც მათი მმართველობის პირველდღესვე ასეთმა გაუგებრობებმა იჩინა თავი, პეტერბურგში მყოფმა გარსევან ჭავჭავაძემ კიდევ ერთხელ მიმართა მთავრობას და სთხოვა, რომ საქართველოს ადგილობრივ მმართველად ვინმე ადგილობრივი პირი მაინც დაენიშნა, უფრო უკეთესი იქნებოდა, თუ ვისმეს სამეფო გვარიდან დანიშნავდენ. მაგრამ რუსეთის მთავრობამ ქართველებს არც ერთი თხოვნა შეუსრულა და ენერალ-ინგის გვერდით საქართველოს მმართველად სწორედ პირველი ელჩი კოვალენსკი დაინიშნა, რომელიც ათას სასაძაგლეს სჩადიოდა გიორგი მეფის დროს და რომელიც ეზიზღებოდა ქართველ ხალხს.

როდესაც იქაც საბოლოო იმედი გადაწყდა, მაშინ გარსევან ჭავჭავაძეც სწერდა ტფილისში ნათესავებს, რომ მეფე გიორგის არც ერთი დებულება არ იქმნა აღსრულებული: „... სამეფო მოგვისპეს და მფარველობაშიც არ აგვიყვანეს. არც ერთი ქვეყანა არაა ისე დამცირებული, როგორც საქართველო" *).

ამიერითგან, როდესაც საქართველოს მწარე ბედი ასე ერთბაირად გადასწყდა ყოველი ქართველისათვის, ამ გარემოებამ ყველა ერთი დროშის ქვეშ დააყენა. მთელ ერში დაიწყება მღელვარება. ამასზედ ქვემოდ. ახლა კი აღვნიშნოთ, რომ სამეფო ოჯახის ორი აღნიშნული პარტიის შორის ხდება შეთანხმება; იბრძოდენ ტახტის გარშემო და ის რუსებმა გააუქმეს. დღეს მხოლოდ ისლა დარჩენოდათ, აღედგინათ ბაგრატიონების დინასტია და ვინ იქნებოდა მეფედ, ეს საკითხი მეორე ხარისხოვანად იქცა. დავით ბატონიშვილმა, განძარცულმა მემკვიდრის პრივილეგიისგან თავი სუსტად იგრძნო, შედარებით დარეჯანის შვილებთან, მის ბიძებთან, ამავე დროს აღსრულდა მასზედაც ბიძების ნაწინასწარმეტყველები. დავითი გადაუდგა რა რუსებს, ალარაფერი დარჩენოდა, თუ არა ბიძებთან შეკავშირება. ისინი მალე რიგდებიან და ფიცსა სდებენ, რომ რუსების წინააღმდეგ ერთად იბრძოლონ, ოღონდ ტახტი ბაგრატიონებს შეუნახონ; ხოლო მეფედ ის ბატონიშვილი უნდა ყოფილიყო, ვისაც დარეჯანი დანიშნავდა. დავითმა, ვახტანგმა და დარეჯანმა მოკლე-

*) იქვე. გვ. 432.

შირაკს საიდუმლო შეხვედრები. ალექსანდრე ბატონიშვილი სწერდა ლაზარევს, რომ ის საქართველოში ფეხს არ დაადგამდა, სანამ იქ მეფე არ იქნებოდა.

ამგვარად, 1802 წლის დასაწყისში, საქართველოს საკეფო ოჯახში მოხდა შეთანხმება, მაგრამ საკმაოდ გვიან. რომ ეს მანამ მოეხდარიყო, სანამ რუსები ერთ-ერთ მიზეზად ანექსიისა, ამ უთანხმოებასაც აღიარებდენ, თუმცა ის რუსეთის პოლიტიკას საბოლოოდ ვერ შეცვლიდა, მაგრამ რუსეთს უფრო მეტი მორალური პასუხისმგებლობის ქვეშ დაყენებდა, ხოლო ქართველი ერის ისტორიის წინაშე, ბაგრატიონთა დინასტიის ეს მწარე დასავალი უფრო მოწამებრივი შეიქმნებოდა!..

ამიერიდან მაინც რუსებს წინ აღუდგა საქართველო მათი ერთი მთლიანი მეთაურობით, მეფის ოჯახიდ.

ენერგია გაორკეცდა. უცბად შეწყდა ყოველივე ქიშპობა და ნამდვილი ნათესაური ურთიერთობა გაიბა მათ შორის. იმერეთში იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები კისრულობენ სოლომონ II-თან და ახალციხის ფაშასთან კავშირის გაბმას; ალექსანდრე ბატონიშვილი ამ მდგომარეობით წაქეზებული ითანხმებს სპარსეთის შახს საქართველოზედ გამოსალაშქრებლად, ხოლო დარეჯან დედოფალი, დავით და ვახტანგ ბატონიშვილები კავშირს აბამენ კავკასიის მთიულებთან და თათრის სახანოებთან და ბოლოს, მთელი სამეფო გვარის საბჭოს ხელმოწერილი წერილით მიმართავენ ბაბახანს დახმარებისათვის. ბაბახანმა ბრძანება გასცა 45.000 კაცის შეკრების, რომელიც აბას მირზას და ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით უნდა შემოჭრილიყო ჯერ ერევანში, იქ უნდა დაეტოვა 10.000 კაცი და 35.000-ით საქართველოში, უნდა დაებყრო ყაზახის და ბორჩალოს პროვინციები და რუსებისთვის წინადადება მიეცა საქართველოდან ჯარები გაეყვანათ.

სულ რამდენიმე თვის განმავლობაში მოხდა, ქართველ ბატონიშვილების მიერ ამ საქმის შემზადება.

ეს რომ ხდებოდა საქართველოში, 9 აპრილს 1802 წ. უკვე ტფილისს ესტუმრა მისი პირველი მთავარ-მართებელი კნორინგი და სამოქალაქო საქმეთა მმართველი კოვალენსკი.

XIV

ჩვენ ზემოდ ვნახეთ, რომ საქართველოს ფაქტიური ანექსია მოხდა კნორინგის პირველად ჩამოსვლის დროს, დავით ბატონიშვილის, მმართველობიდან გადაყენებით და დროებითი მთავრობის შექმნით. ახლა მხოლოდ მისი ფორმალურად გამოცხადებაღა იყო საჭირო.

12 აპრილს 1802 წელს, აღდგომის შაბათს გამოქვეყნდა მანიფესტი *). აი მოკლედ მისი შინაარსი.

წყალობითა ღვთისათა და ს.ხ. იმპერატორი ალექსანდრე უცხადებს მცხოვრებთ, საქართველოს სამეფოსი. მფარველობა და მფალი ხელისუფლება რუსეთისა საქართველოზედ, ყოველთვის ავალებდა რუსეთს, საქართველოს დაცვას. ამიტომ იყო რომ ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ, 1796 წელს ეკატერინე II-მ გაგზავნა ჯარი სპარსეთისაკენ და საქართველოს საზღვრები უზრუნველ ჰყო (და ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ დაიცვეს!). ხოლო იქითგან რუსის ჯარის გაწვევის შემდეგ, საქართველოს დაეტყდა უპატრონობა, შინაგანი თუ გარეგანი. და ბოლოს სამეფო ოჯახის განხეთქილებამ ვაჟაპა საზოგადოება ორ ნაწილად და დაიწყო შინაური ბრძოლა. ამიტომ, როდესაც საქართველო უფსკრულის პირს მივიდა, ქართველმა ერმა არა ერთხელ მიმართა რუსეთს და სთხოვდა მის უმაღლეს მფარველობას: დაცვას შინაგან და გარეშე მტერთაგან. ჩვენ კიდევ ერთხელ შევეცადეთ, თუ შეიძლებოდა საქართველოში ისევ ძველი წესი და მთავრობა აღგვედგინა; მაგრამ ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქართველოს აღარ შესწევდა ძალა საკუთარის საშუალებით თავდაცვისა. ამ გრძნობამ, გარემოებათა ძალამ და თვით ქართველი ხალხის ხმამ, გვაიძულა არ გაგვეწირა ეს თანამორწმუნე ერი თავისი ბედის ამარად და მივიღეთ ჩვენს თავზედ მისი დაცვა, და ამ შემთხვევაში მისი იმედი გამართლებულ იქმნება...

ჩვენ დავაფუძნებთ საქართველოში სამართალს, შევქმნით საბართლიანობას და ხელს შეუწყობთ ქვეყნის კეთილდღეობას. ყოველი ადგილობრივი გადასახადები დარჩება თქვენს განკარგულებაში, ადგილობრივ საჭიროებისათვის; დაკული იქნება წმიდად კერძო საკუთრე-

*) სრული ტექსტი იხ. დამატებაში (II ტომში).

ბა. ბატონიშვილები შეინარჩუნებენ თავიანთ მამულებს, ხოლო გადასახადს მიიღებენ ფულად. მთელი მოსახლეობა იქნება თავისუფალი თავის მოქმედებაში და დაემორჩილება რუსის კანონებს, ისე როგორც დანარჩენი ქვეშევრდომნი. მოვითხოვთ თქვენგან ფიცის დადებას და სხვა.

ასეთი კეთილი სურვილებით იყო აღსავსე ეს მანიფესტი; მაგრამ რომ ის იყო მზოლოდ სიცრუე ქვეყნის წინაშე, ეს თვით იმავე დღეს, როცა ის იქმნა გამოცხადებული, საჯაროდ გამოჩნდა.

ეი თვით სიტყვათა მანიფესტის გამოცხადების. ის ჯერ წაკითხულ იქმნა ყველა ეკლესიებში; ფიცის მისაცემად როდესაც შეგროვდა ქართველი თავად-აზნაურობა და ხალხი, კნორინგმა ბრძანება გასცა, ჯარს მათთვის ალყა შემოერტყა და ასე ამნაირად მიიღო ფიცი. რუსების მთელი სივერაგე და აუტანლობა, როგორც ვხედავთ აქ, პირველ დღესვე ამ ფიცის დროს, ნათლად აღიბეჭდა ქართველთა ცნობიერებაში. ქართველები, ძალიან დიდი უმრავლესობა წინააღუდგა კნორინგის ასეთ საქციელს. და არ უნდოდა ძალით ფიცი მიეღო, მაგრამ კნორინგმა ძალა იხმარა და ბევრს მუქარით მიაღებინა, ხოლო მრავალი იქვე შეიბყრო და დაატუსაღა.

ამ მანიფესტის შემდეგ, ორივე დედოფლებმა პროტესტი განუცხადეს კნორინგს სამეფოს გაუქმებაზედ, მთელი სამეფოს სახელით და უმტკიცებდენ რუსებს უკანონო მოქმედებას. მთელ ხალხსა და თავად-აზნაურობაზედაც ამ აქტმა საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა.

მაშინ კნორინგმა კიდევ იცრუა, თითქოს ეს მოითხოვა პეტერბურგში, მათმა წარმომადგენელმა, გარსევან ჭავჭავაძემ.

კნორინგმა იმავე დღეს, მარიამ დედოფალს მიუგზავნა ლენ. ტუჩკოვი და მთელი სამეფო ინვენსტიტურა ჩამოართვა.

დავით ბატონიშვილიც მის ნება დაურთველად დაითხოვეს რუსეთის სამსახურითგან.

შემდეგ კნორინგი უგზავნის წერილებს იმერეთის მეფეს და სხვა მთავრებს კავკასიისა და მოუწოდებს შეერთებულ რუსეთს.

ყველა ამ უსამართლობის წინაღმდეგ ხალხი აღსდგა

იმავე დღეს და დაიწყო იარაღში ჩაკვლომა. ამან თუმცა ხელი არ შეუშალა კნორინგს მიეწერა პეტერბურგში, რომ მანიფესტის გამოცხადების ცერემონია ჩატარდა „ხალხის სიხარულითა და აღფრთოვანებითო“ *).

ამგვარად, ძალითა და ძლიერებით დამყარდა საბოლოოდ რუსეთის მმართველობა ქართლ-კახეთის სამეფოში.

ცაუქმდა ათასი წლის ბაგრატიონთა დინასტია და ქართველთა მართვის საქმე მათ მაგიერ, გადაეცა რუსეთში დევნილ და კავკასიაში დასასჯელად გამოგზავნილ კრიმინალ მოხელეებს.

მაშინადვე საქართველო გუბერნიად იქმნა გამოცხადებული, და იქ რუსული ადმინისტრაცია და კანონები იქმნა დამყარებული.

რუსები არ ფარავენ, რომ არც ერთი წევრი არ იყო სამეფო გვარში, ვისაც ტახტის ცაუქმება დაედასტურებინა. მაგრამ დაეუმატებთ, რომ ასეთი არც ერთი ქართველიც არ იყო, ვისაც ის მიელო; მიუხედავად ისე, ძლიერად შინაგანი დაცემის, ამ საერთო უბედურობის წინაშე, რაღაც არაჩვეულებრივის შეგნებით იფეთქა მთელ ერში შეურიგებლობის გრძნობამ, რომ მას ჰკლავდენ და მას ეს არ უნდოდა. ძნელი იყო კულტურულ ქართველს, ასე ლაჩრულად დავისუფლება დაეთმო, გაცილებით კულტურულად დაბლა მდგომ რუსეთისთვის. საუკუნეებით თავისუფლებისათვის მებრძოლი ერისათვის, მართლაც გაუგებარი იყო ასე ერთი „უკაზით“ მისი თავისუფლების წართმევა. მას ბევრის ყმობა და მორჩილება განუცდია: სპარსეთის, თურქების, მონგოლების, რომის, არაბების და სხ., მაგრამ საქმეფოს გაუქმება და მისი ქვეყნის ადმინისტრატიულ ერთეულად გადაქცევა, უჩვეულო იყო მისთვის. ეს დამტკიცდა იმითაც, რომ მთელს საქმეფოში ერთი შეგნებული პირიც, თუნდაც მოღალატე, არ აღმოჩნდა, რომ ის მიეღოს. ასე შეხვდა ამ აქტს მთელი ქართველი ერი და როგორც მერე დავინახავთ, საშშობლოს თავისუფლების დაკარგვა მან მტერს სისხლის ფასად დაუსვა.

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. III, გვ. 446.

თავი VIII

ალმოსავლეთ-საქართველოს აჯანყებები რუსეთის წინააღმდეგ

I

რუსებმა მოახდინეს რა ალმოსავლეთ-საქართველოს ანექსია, ის აქციეს რუსეთის გუბერნიად, დაუმორჩილეს იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას და შემოიღეს რუსული მართვა-გამგეობის წესები.

ქართველი ერი ვერ შეეგუა რუსებს და ანექსიის დაწყებითვან მთელი 30 წელიწადი იარაღით ხელში ებრძოდა მას. ამ დროის განმავლობაში რამდენიმე დიდი მნიშვნელობის აჯანყებაც მოუწყო, მაგრამ რუსებმა ის სისხლში ჩაახრჩეს.

რომ ჩვენთვის გასაგები გახდეს, რუსების მმართველობის სიტლანქე და აუტანლობა ქართველებისათვის, სანამ აჯანყების მიზეზების პირდაპირ ფაქტიურ მასალებს მოვიყვანდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ დავახასიათოთ ეს ორი ერი; მათი მორალის, სულიერი კულტურის და იურიდიული დაწესებულებათა თვალსაზრისით. ვნახოთ, რა აკავშირებს მათ და რა აშორებს.

დავიწყოთ რუსეთით.

რომ მკითხველმა ცალმხრივობა არ დაგვწამოს, რუსის ერის დახასიათებაში, ჩვენ დავემყარებით რუსეთისავე გამოჩენილ მწერლებს და პუბლიცისტებს, რუსების ისტორიულ ქრონიკებს და ხალხურ სიტყვიერებას. ჩვენთვის ყველა ეს იქნება საუკეთესო საბუთი, რათგან არ გვგონია, რომ რუსის საუკეთესო შვილებმა ეანგეს დაამცირონ თავისი ერი. ხშირად გულუბრყვილოდ, მაგრამ რუსის ხალხის შეტად დამახასიათებელ ცნობებს შეიცავენ რუსული ქრონიკები. ასე მაგ. მე-XVI საუკ. ერთ

ქრონიკაში იოანე მრისხანზედ ნათქვამია: „... ერთხელ იოანემ მიმართა თავის კარის ოქრომჭედელს, რომელიც იყო ინგლისელი, და უთხრა, რათა კარგად მოუპაროს თავის ოქროს, რათგან რუსები ყველა ქურდებია. ოქრომჭედელმა მიუგო, რომ თვით მეფეც რუსი ბრძანდებოდა, „არა, შენ სცდები, ჩემი წინაპრები წარმოშვებით ინგლისელები არიანო“ მიუგო იოანემ“ *).

ეს ერთი ნიშანი ვანგებ მოვიყვანე მხოლოდ იმისთვის, თუ რანაირი ცნობები მოიპოვება რუსულ წყაროებში. ახლა დავუბრუნდეთ თემას.

რუსეთი ძალიან გვიან გამოვიდა ისტორიის სარბიელზედ. მისთვის მიუწდომელი დარჩა ორი დიდი ცივილიზაცია. ძველი აღმოსავლეთის და საბერძნეთ - რომის. ის გეოგრაფიულადაც ცივს ზონაში მოჰყვა და ვერ გათბა აღმოსავლეთის და მერე ევროპის ცხოველი მზით.

რუსის ხალხი ბოლომდე ცივილიზაციის გარეშე დარჩა. ბევრი რუსის მწერლები წინასწარმეტყველებენ, რომ ის მუდამ ასეთი დარჩება, ზოგი კიდევ ფიქრობს, რომ რუსის ხალხი მსოფლიოს ახალ მეოთხე ცივილიზაციას მოუტანს. ხვალ რა მოხდება, ის აქ არ გვაინტერესებს; ჩვენ მხოლოდ გვინდა ვიცოდეთ, რა იყო და რა არის.

ჩვენ ვიცით, რომ ახლად სტეპებითგან გამოსულ რუსის ხალხს სკანდინავიელები ჩაუდგენ სათავეში და პირველი სახელმწიფო მათ დაუარსეს. ის დიდი კულტურული ქარიშხალი, რომელიც ევროპის ცაზედ მე-14-16 საუკუნეთა განმავლობაში გადაიარეს და მთელ დასავლეთს ახალ სულს ჩაუდგამს, ვერ აღწევს რუსეთის ქოხებში. რუსეთი დიდხანს მოწყვეტილია ევროპის ცივილიზაციას, ის მისთვის გაუგებარი რჩება. რუსის ხალხს არ აღმოაჩნდა იმდენი სულიერი ძალა, რომ მას ის მიეღო, ხოლო თუ აქა - იქ გარეშოებათა წყალობით, მისი რაიმე ნაწილი შეიჭრა, ისიც ვერ გადაბარეშა და მას რაღაც გაუგებარი ფორმა მისცა. მე-18 საუკ. როდესაც პეტრე დიდმა ევროპის მიბაძვით, ზოგიერთი რეფორმები შეიტანა რუსის ხალხში, ისინიც უდღეურნი აღმოჩნდენ. მათ ვერ იხეირეს რუსეთის მოუმწიფებელ ნიადაგზედ. ხალხმა ვერ გაიგო ნამდვილი აზრი კულტურული და-

*) იხ. Brian - Chaninov. La tragedie Moscovite, p. 24.

წესებულებებისა და მან ის მხოლოდ უარყოფითად გამოიყენა. მხოლოდ მე-19 საუკ. პირველ ნახევარში ოდნავ კულტურული მოძრაობა შემოიჭრა ევროპიდგან, მაგრამ მას რუსეთის ფართე მასასთან არაფერი საერთო წრ ჰქონდა. ზოგი ფიქრობდა, რომ ის საზოგადოების მალალ ფენას შეეხო. ჩვენ გვგონია, რომ არც ასე მომხდარა. საზოგადოების მალალი ფენა, მაშინ იქ იყო მიწის მფლობელი არისტოკრატია; მაგრამ სულიერი კულტურის მხრივ, ყველამ უწყის, რომ რუსის „ბოიარი" და „მუჟიკი" არაფერით განსხვავდებიან, არამედ ეს ახალი კულტურა დარჩა ინდივიდების საკუთრებად. ეს ინდივიდები კი იყვენ არა მარტო მალალი, არამედ ყოველი წრიდან გამოსულნი, ხოლო აღზრდილნი ევროპაში. ამ ინდივიდებისგან კი შეიქმნა ერთგვარი კასტა, რომელიც არც კლასი იყო და არც წოდება, და მან მიიღო სახელწოდება „ინტელიგენცია". საინტერესოა, რომ ასეთი მოვლენა არც ერთი ერის **საზოგადოებრივ** განვითარებას არ ახასიათებ იმ ხანაში, როდესაც ესა თუ ის ერი გარკვეულ სოციალურ ფენებად არის დანაწილებული. ამიტომ არც ერთ ქვეყანაში „ინტელიგენციის" შესატყვისი ტერმინიც არ შექმნილა. ამ გვარად რუსის ხალხი ბოლომდე გაურეშე დარჩა ყოველივე ცივილიზაციის. განა ამას არ ჰგოდებდა რუსეთის ცნობილი მწერალი ბ. ჩაადაევი თავის „ფილოსოფიურ წერილებში!" ის სწერდა: „,,, ჩვენ ვიზრდებით, მაგრამ არ ვმწიფდებით... ჩვენ ვართ რალაც გამონაკლისი ხალხი". აი მეორე, რუსის ბუმბერაზი მწერალი ტურგენევი რას ამბობს 1861 წელს: „... რუსეთი მუდამ იმყოფება გაზოგრივ პერიოდში. მე ვშიშობ, რომ მეორე მომდევნო პერიოდი, ესე იგი პლანეტარული მას შეიძლება არ ეღირსოს, რათგან მე არ ვხედავ არაფერს მაგარს, მჭიდროს, შეკავშირებულს არა მარტო მალალ საზოგადოებაში, თვით ხალხშიაც" *). ტურგენევის ეს სიტყვები არ არის პოეტური მიზნით ნაბმარი. როდესაც ტურგენევი ევროპიდგან დაბრუნდა და საპროფესორო გამოცდები უნდა ჩაებარებინა, მთელ რუსეთში კაცი ვერ იპოვეს, ვინც მის გამოცდებს ჩაიბარებდა. ასეთი იყო ის რუსეთში და მის სიტყვებს უეჭველი ღირებულება აქვს.

---

*) იხ. **Tourguenev: Lettres à la Comtesse de Lambert. (Br. ch. XX).**

რუსის ხალხის მიერ კულტურის და ცივილიზაციის მიღებულობას, მათში განვითარებას მხოლოდ მდაბალ თვისებაია, ზოგიერთი რუსის მწერლები, რუსეთის კლიმატიურ და გეოგრაფიულ პირობებში ხედავენ, რომ რუსის ხალხის დაბალი მორალი, მისი ფსიქიკა და ბოლოს მისი ტლანქი იურიდიული დაწესებულებანი, შედეგნი არიან ამ მთავარი ფაქტორების. ერთი რუსის პუბლიცისტი სწერს: „„„ ამგვარად, ეს უკიდურესობანი ტემპერატურის და ეს უცაბედი ცვალებადობანი წარმოადგენენ მთავარ დამახასიათებელ თვისებას რუსეთის. მას დაუმატეთ, ერთფეროვანობა მიწის და დაუსრულებლობა სივრცის, და ყველამ ერთად იქონიეს განსაკუთრებული გავლენა, ყოველს დროში რუსის ხალხის მორალზედ, მის ხასიათზედ, მის სულიერ ცხოვრებაზედ, და მის საწმუნოებრივ გრძნობებზედ“.

„მოკლე ვადიან ზაფხულებმა ვერ გაათბეს სული და სხეული. რუსულ ცივილიზაციას მუდამ აკლდა სრული გაფურჩქვნა, დამწიფება. პირიქით, გეოგრაფიულმა ერთფეროვანობამ, ბავრცელებით ყველაზედ, ხელი შეუწყო ჩვენ დროამდე, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრების უძველესი ფორმების შენარჩუნებას“ *).

ჩვენ ალარ ვანვავრძობთ რუსის მწერალთა უამრავ მოწმობას და მოკლედ დავასკვნით, რომ რუსის ხალხი, როგორც ძალიან გვიან გამოსული ისტორიის სარბიელზედ, აბცდა ორ უძველეს ცივილიზაციას, ხოლო მან ვერ შესძლო მიღება ახალი ევროპის ცივილიზაციისა. ამიტომ დარჩენილი სამივე დიდ მსოფლიო ცივილიზაციის გარეშე, ის დარჩა კულტურის და ცივილიზაციის დაბალ საფეხურზედ. ყველა მისი მორალური და იურიდიული დაწესებულებებიც, რომელნიც ამ დონეზედ არიან აგებულნი, ატარებენ პრიმიტიულ ხასიათს. ხოლო ის, რაც მმართველ წრეებმა ევროპის მაგალითით თავს მოახვიეს დაბალ საფეხურზედ მდგომ ხალხს, ამან გამოიწვია ფართო ანტაგონიზმი იქ, სადაც ეს ეგრძნეს, ხოლო რათგან საერთოდ რუსის ხალხი ცოცხალ გრძნობას მოკლებულია, ის დარჩა მატარებლად მ ო ნ უ რ ი ფსიქოლოგიისა

---

*) იხ. Brian-Chaninov. La tragedie Moscovite, p. XVIII, 1925. Paris

ამიტომ იყო, რომ ძველადაც და ახლაც რუსის ხალხი ძალიან ადვილად ეგუებოდა და ეგუება ყოველგვარ ბატონობას.

რუსების დახასიათება საკმარისი არ იქნება, თუ ცივილიზაციის ერთ კონკრეტულ ფორმას, ცალკე არ შევეხეთ. ვლაპარაკობთ სარწმუნოებაზედ, რითგან რუსეთ-საქართველოს ფორმალურ ერთმორწმუნეობაში, ბევრმა ზოგი ერთი საერთო რამ დაინახა.

ქრისტიანობა წარმოიშვა და განმტკიცდა ანტიური ცივილიზაციის ნანგრევებზედ, და ბუნებრივია, რომ მისი მცნებანი უნდა გამომხატველი ყოფილიყვენ ამ ცივილიზაციათა მაღალი ღირებულებების. ხოლო ამგვარ ღირებულებათა მიღებას და გაგებას კულტურული განვითარების გარკვეული დონე სჭირია. რუსის ხალხში, ვინაიდგან მსგავსი რამ არ არსებობდა, ამიტომ ქრისტიანობა მისთვის ბოლომდე მიუღებელი და მის ბუნებასთან შეუთავსებელი დარჩა. რუსი ბოლომდე წარმართად დარჩა. ქრისტიანობა დღეს ბევრ დაბალი დონის ხალხებშიც არის შეჭრილი და იქითგან ვიცით, რომ მათს ცნობიერებაში ვერ თავსდებიან ქრისტიანობის მაღალი მცნებანი. ისინი მას გარეგნულად მისდევენ, მხოლოდ ყოველივე რელიგიური ცერემონიის შესრულების დროს, მათ წარმოდგენაში ადგილი აქვს წარმართულ ღვთაებათა სურათებს. რუსეთში ქრისტიანობა მე-9 საუკუნეში პირველად კავკასიის მხარეებიდან შედის, დასავლეთიდანაც, ოლგას მეფობის დროს, იმპერატორი ოტონი აგზავნის რუსეთში ეპისკოპოს ადალბერტს, მაგრამ უკანასკნელი, რუსების წარმართობისგან შეშინებული უკან გარბის; ასე რომ ორგანიული გზით, რუსეთში ქრისტიანობის დამკვიდრება ვერ მოხერხდა. ის მხოლოდ ვლადიმირის მათრახით იქმნა მიღწეული.. ამ დროიდგან რუსის „მუჟიკს" „კრესტიანინ" (ქრისტიანე) უწოდეს. მაგრამ რუსის მუჟიკი ამით მაინც ვერ გააქრისტიანეს და ის ბოლომდე წარმართი დარჩა. ბრიან-შანინოვი სწერს: „... ჯერ კიდევ მე-19-ე საუკუნის მიწურულში, რუსი იყო მხოლოდ ნახევრად ქრისტიანე". „ერთი სიტყვით, ამ ხალხს არ მიუღია სერიოზული ქრისტიანული აღზრდა" *). ამგვარი მაგალითებით სავსეა რუსული მწერლო-

*) იხ. La tragedie Moscovite, p. 5-7.

ბა, რომ რუსის ხალხი მხოლოდ გარეგნულად იყო ქრისტიანე და მის მაღალ მოძღვრებას, მათი პრიმიტიული სული ვერ ჩასწვდა, ამის ყველაზედ კარგ დოკუმენტს წარმოადგენს რუსის ხალხის მოქმედება რევოლიუციის დროს და შემდეგ, რომლის აღწერაც ზედმეტად მიგვაჩნია. ქვემოდ ჩვენ დავიხახავთ, რომ ნამდვილ ქრისტიან ქართველ ხალხთან, რუსის წარმართ ხალხს არავითარი საერთო არა ჰქონდა. მეტიც, რუსის ხალხი თვით მაღალი რელიგიური წარმოდგენიდანაც შორს იყო და მისი ყოველდღიური რწმენანი, დღიურ ლუკმა პურთან და სხვა მატერიალური ხასიათის მოთხოვნილებებთან იყვენ დაკავშირებულნი.

ახლა ვნახოთ ქართველი ერი.

ჩვენ დრომდე მოღწეული დოკუმენტების მიხედვით, ქართველ ერს ისტორიის სარბიელზედ ვხედავთ, რუსებზედ რამოდენიმე ათეული საუკუნით ადრე. უკვე გარკვეულ სოციალურ იერარქიაში ჩამოყალიბებულს, თავიანთი მეფეებით, რელიგიით და ზოგიერთი ტრადიციებით. ის იყო თანამედროვე და მონაწილე იმ ცივილიზაციის, რომელიც ეგვიპტის პარალელურად იქმნებოდა მესოპოტამიასა და მცირე აზიაში. ქართველი ერი, უკვე პირველი ცივილიზაციით საზრდოობს, იმ ცივილიზაციით, რომელზედაც აღმოცენდა შემდეგ საბერძნეთის და რომის კულტურა. უკანასკნელ კულტურასთან საქართველოს უშუალო კავშირი ჰქონდა, ისევე როგორც ელინიზმთან. მაშინ, როდესაც ევროპაში ანტიური კულტურის გაცნობა აკრძალული იყო და ამისთვის ხალხს სდევნიდენ, საქართველოში, ბიზანტიის გზით მას უშუალოდ ეცნობოდენ. საქართველოში ქრისტიანობის საზეიმოწირვო საწმუნოებად გამოცხადება მოხდა რომთან ერთ და იმავე დროს. მე-5-ე საუკუნეში ქართული ეკლესია ავტოკეფალიას აცხადებს; ამ დროს საქართველოში იბრძვის ორი დიდი რელიგია, ხოლო მათ ორივეს ებრძვის უძველესი წარმართობა. ყველა მათ ქართველის სულს, ლრმა კვალი დაუჩნიეს და ის კულტურულად აღამაღლეს, რათგან ჩვენ ვიცით, რომ სპარსეთითგან შემოჭრილი ზოროასტრიზმი იყო გარკვეულ ფილოსოფიურ აზროვნებაზედ დამყარებული. საქართველოში ბოლოს ქრისტიანობა იმარჯვებს და მთელ მის სიბრძნეს, ქართველი ერი თავისუფლად იღებს, რათგან მას საამისო გა-

ნვითარება უკვე ჰქონდა. ამიტომ არის, რომ მან ამ ნიადაგზედ შექმნა იმგვიანთი მწერლობა. საქართველოში არც ერთი გორაკი არ არის, სადაც შესანიშნავი ხუროთმოძღვრებით ნაშენი ეკლესიის ნანგრევები არ იყოს აღმართული. ამ ხელოვნებაში აშკარად მოსჩანს ქართველი ერის მაღალი გაგება ქრისტეს მცნებისა, მისი მაღალი სულიერი, გონებრივი და ესთეტიური ღირებულება. უკვე მე - 5 - ე საუკ. ქართველებმა სთარგმნეს სახარება; ხელნაწერთა ნაშთები მოწმობენ, თუ მაშინდელი ქართველი რამდენად ახლოს მდგარა ქრისტიანობასთან. მე-9 - 10 საუკუნეებში, საქართველო წარმოადგენდა ბიზანტიის და არაბ - სპარსული კულტურის უმშვენიერეს ოაზისს, ხოლო ეკლესია მონასტრებითა და საქრისტიანო მწერლობის მხრივ მას იმდროინდელ აღმოსავლეთში მაღალი ადგილი ჰყავს. მე-11 - 12 საუკ. საქართველოში პოლიტიკურ ძლიერებასთან ერთად, იქმნება მაღალი ხარისხის ეროვნული კულტურა. იფურჩქნება მეცნიერება და ხელოვნება, არსდება უმაღლესი სკოლები, აკადემიები. აქ იკრიბებიან მწერლები, მეცნიერნი და ფილოსოფოსები. ითარგმნება საეკლესიო და საერო მწერლობა; არისტოტელი, პლატონი და სხვა მრავალი ანტიკური და ბიზანტიის მწერლობა. სთარგმნიან სპარსეთის გამოჩენილ მწერლებს და ბოლოს შეიქმნება მაღალი ხარისხის ორიგინალური ლიტერატურა, ამ დროინდელი ქართული ტექსტებითგან სჩანს, რომ მაშინ ქართველი ისე იცნობდა ჰომეროსს, არისტოტელს და პლატონს, როგორც მას იცნობენ დღეს.

საქართველოში ამ დროს შეიქმნა მეტად მნიშვნელოვანი იურიდიული ფორმებიც. პირველი ქართული იურიდიული ძეგლი ჩვენ გვაქვს მე-12 საუკუნიდან; მე-13 - 14 საუკუნეებში ჩვენ უკვე კანონთა მთელი კოდექსი მოგვეპოვება, ხოლო მე-18 საუკუნეში ე. წ. ვახტანგ VI კანონთა კრებული, დღეს მთელ მსოფლიო იურისტთა ყურადღებას იქცევს.

ქართული კანონმდებლობა უტყუარი გამოხატულებაა ქართველი ერის სოციალური და კულტურული ცხოვრების; ის არის ერის ორგანიული განვითარების შვილი, და ბუნებრივია, რომ მის მიხედვით ერის ცხოვრების წარმართვა სრულიად გასაგები და ნორმალური იყო. ქართველი ერი თავის ხანგრძლივი კულტურული ცხოვ-

რებით. გარეშე მტკიცებთან 3.000 წლის ბრძოლის გამნავ-
ლობაში ქმნის ათასგვარ ტრადიციებს; საზოგადოებრივი
ურთიერთობის, ოჯახის, სახელმწიფოსა და სარწმუნო-
ების სფეროში. ყველა ეს ტრადიციები და ადათ-ჩვეულ-
ებები ხანგრძლივი დროის განმავლობაში მტკიცდე-
ბიან და ერისთვის საკალდებულო დოგმებად იქცევიან.
ამიტომ აქ რაიმე დისონანსის შეტანა, უთუოდ გამოიწ-
ვევდა ერის საზოგადოებრივი ცხოვრების კალაპოტით-
გან ამოვარდნას. ამავე ხანგრძლივმა არსებობამ, ქართ-
ველ ერში შექმნა მრავალი მაღალი ჰუმანიური ღირე-
ბულებანი, რომელიც მის არც ერთ აღმოსავლეთის
მტერს არ გამოპარვია და მას სათანადოდ აფასებდენ
ხოლმე. მრავალთაგან მინდა ერთი მაგალითი მოვიყვა-
ნო. როდესაც მე-13 საუკ. დასწყისში, მონღოლები სა-
ქართველოს იკავებენ, ისინი განცვიფრებული რჩებიან
ქართველთა მრავალი კეთილშობილი თვისებებით; ისინი
ჰსგავს მთელს აღმოსავლეთში ვერ ნახულობენ, ამიტომ
ქართველებს თავიანთ თანასწორ პატივს ანიჭებენ.

აი **ბათუ-ყაენის** ბრძანება: „უკეთუ ნათესავი ქართ-
ველთა ეგე ვითარი არს, ვბრძანებ: რათა რაოდენნიცა
ნათესავნი ასრულ მორჩილებისა ქუეშე ჩვენ ყაენთასა,
ყოველთა უმაღლესად და უწარჩინებულესად დაგიჭირ-
ნე, და ყოველთა უპატიოსნესად აღგრაცნე, და შამუ-
ლი და საქონელი თქვენთა ხელთა იყოს, და ყოველსა
საქმესა შინა .მისანდონი იყუნეთ ჩუენგანო“ *).

აქეთგან სჩანს, რომ თვით აღმოსავლეთის დამპყრო-
ბელნი როგორ იგებდენ ქართველთა მაღალ ღირსებებს
და მას როგორ აფასებდენ ხოლმე.

ჩვენთვის უსეირსულია ქართველთა ერის მაღალ მო-
რალურ თვისებებზედ ვილაპარაკოთ. ეს უცხოელების
საქმეა და მსურველნი სათანადო მასალასაც იპოვიან.

ადამიანი და მისი არსებობა, როგორც თვით მიზანი
ქართველებს ასრა მარტო შეგნებული ჰქონდათ, არამედ
მათი ეს ღირება აზრი, ტრადიციებშიც იხატებოდა. იმ
დროს, როდესაც რუსის ხალხში მორალზედ გაჩაკვეული
წარმოდგენაც ვერ შეიქმნა. მისთვის არც ერთ დროსა
და სიტუაციაში არ ჰქონია საზღვარი ამორალობას, რათ-
გან მას ეს ცნება არ ეარმოდა. ამიტომ რუსის ცნობილი

*) იხ. „ქართ. ცხ.“ ბროსეს გამოცემა, ტ. I, გვ. 366.

მწერალი დოსტოევსკის გენიალობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მან მიაგნო რუსის ხალხის სულიერ და მორალურ სიცალიერეს და ის მკვეთრად დაასურათა. ეს აზრი სრულ ჭეშმარიტებად მოეჩვენება ყველას, ვინც თანამედროვე რუსეთის ცხოვრების ანალებში ჩაიხედავს, რათგან იქ ძალიან უხვად ნახავს დოსტოევსკის გმირების პროტოტიპებს.

რუსეთის საქართველოში შემოჭრით, ასეთი ორი, ყოველმხრივ განსხვავებული კულტურის მატარებელი ერი შეხვდა ერთმანეთს. რუსეთს უნდა დაიმორჩილოს ქართველი ერი; მაგრამ მისთვის გაუგებარია ქართველების ხასიათი, მისი კულტურა. ამაში რუსები ხედავენ უკულტურობას. ქართველების მაღალი რაინდული ტრადიციები, მას ცრუმორწმუნოებად ეჩვენება და თავისი ყოველმხრივ პრიმიტიული და მდაბალი კულტურული ფორმებით სურს, ქართველი ერი განანათლოს. ქართველობა ცხადია ადვილად ვერ დასთმობდა, ათასეულ წლებში ძალ-რბილში გამოკვდარ წესებს და ბუნებრივია, მათ შორის ღრმა ანტაგონიზმი უნდა გაჩენილიყო იმთავითვე, ხოლო დამბყრობელს, სხვა აღარა დარჩენოდა თუ არა ეხმარა ძალა და ისე დაემორჩილებინა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ძალაც არ არის საკმარისი საშუალება, უცბად თავს მოახვიო კულტურულ ხალხს, ცხოვრების პრიმიტიული წესები და ადათები, ამისთვის კი საჭიროა თვითონ ერის კულტურული განიარაღება, განუწყვეტელი ბრძოლა დამორჩილებულის სულიერი და კულტურული საუნჯის განიავებისა და იქ საკუთარის ჩანერგისათვის; რასაც მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში რუსებმა ნაწილობრივ მიაღწიეს.

პირდაპირ ზღაპრად მოეჩვენება ადამიანს ის შთაბეჭდილებანი, რომელსაც რუსეთის მრავალი მოხელენი იღებდენ საქართველოდან და ამას ისინი თავიანთ ოფიციალურ მოქმედებას უდებდენ საფუძვლად.

1770 წელს როდესაც (იხ. ზემოდ) ტოტლებენის საქმის გამოსაძიებლად ეკატერინემ პირადი წარმომადგენელი იაზიკოვი გამოგზავნა, ეკანასკნელი თავის მოხსენებაში სწერდა, რომ ქართველები მოუხარშავ თევზსა სჭამენ და თევზაობასზედ წარმოდგენაც არა აქვთო. ხოლო სწორედ ამავე ხანაში აკადემიკოსი გვილდენშტეტი, რომელიც სპეციალური მიზნით შეესწავლის საქართველოს

მრეწველობას, ამტკიცებს, რომ ამ დროის საქართველოში მეთევზეობა ყოფილა ერთი დიდი წყაროა ხალხის შემოსავლის. ხოლო ჯერ კიდევ 1638 წელს რუსეთისავე ელჩი ვოლკონსკი, რომ მოვიდა საქართველოში, მას მეფე თეიმურაზ პირველის სასახლის ბაღში უნახავს თევზების ხელოვნური აუზები, საიდაც დაკურავდენ ათასი ჯიშის თევზები, და რუსის ელჩი განცვიფრებაში მოსულა. იგივე იაზიკოვი თავის ოფიციალურ მოხსენებაში სწერს, ასეთი კურიოზსაც: რომ იმერეთის მიტროპოლიტმა წერა - კითხვა არ იცისო. ეს პირი იყო კარგად ცნობილი მიტროპოლიტი იოსები, იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ძმა, კაცი დიდად განათლებული და ნიჭიერი; ხოლო რუსებისავე აკადემიის მიერ გამოქვეყნებულ მასალებში, იაზიკოვის მოხსენების ტექსტის გვერდით მკითხველი წაიკითხავს ამ „წერა-კითხვის უცოდინარი მიტროპოლიტის" შესანიშნავ წერილებს. ზედმეტად მიგვაჩნია სხვა მაგალითებით, მკითხველის შეწუხება, რითაც სავსეა ამ დროის შესახებ მასალები.

ყველა აქეთგან კი ნათელი იყო, რომ ამ ორ ერს შორის სულიერი ანტაგონიზმი, მოცემული იყო თავითგანვე, რომლის ძირიც იმარხებოდა ერთის ყოველივე უკულტურობაში და მეორის ფრიად კულტუროსნობასა და მრავალ საუკუნეებით შექმნილ მტკიცე ადათ - ჩვეულებების და ტრადიციების მატარებლობაში.

ასეთი იყო ერთი მთავარი მიზეზი ქართველების შეურიგებლობისა რუსების მიმართ. მაგრამ იყვენ უშუალო, ხელშესახები ფაქტორებიც. მეორე ასეთი მიზეზი იყო **საქართველოს სამეფოს გაუქმება და მის ნაცვლად რუსული წესების შემოღება.**

თუ რა მძიმე და შეურიგებელი იქნებოდა ქართველი ერისთვის მისი სამეფოს გაუქმება, ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ ქართველი ერის ხანგრძლივი გამოცდილება სხვა დამყრობელთა ხელში.

ქართველმა ერმა თავის არსებობის ათასეული წლების განმავლობაში, მხოლოდ ერთი საუკუნე გაატარა, სხვებისგან ხელშეუხებელი, დამოუკიდებელი ცხოვრებით, ეს იყო მე-12 საუკუნე. დანარჩენი ხანა წარმოადგენს გარეშე ძალთა დაბყრობების და მათ წინააღმდეგ ბრძოლების განუწყვეტელ ისტორიას. ქართველებს აბსოლუტურ დაბყრობანი: ასურეთის, სპარსეთის, რომის, არაბე-

ლის, მონგოლების, თურქების, მაგრამ მათთვის უცხო იყო საკუთარი სამეფოს გაუქმება. ძველად ასეთი რამ თუ მოხდარა, ის ყოფილა მხოლოდ დროებითი მოვლენა და კერძო მიზეზებიც დასდებია საფუძვლად. პირიქით ჩვენ ვიცით, რომ სპარსეთის შახები, ქართველ მეფეებს სრულიად ირანის მთავარსარდლობასაც ანიჭებდენ და დიდ პატივშიც ჰყავდათ ხოლმე. სპარსეთი ორჯერ შეიჭრა ინდოეთში ქართველ მეფეების ხელმძღვანელობით. მე-5-ე საუკ. მეფე გორგასალის და მე-18-ე საუკ. ერეკლეისი. ჩვენ ვიცით, რომ რომის იმპერატორებმა, ქართველ მეფე ფარსმანს რომში, მარსის მინდორზედ ძეგლიც აუგეს (ცხენზედ მჯდომარე). ჩვენ ვიცით, რომ მონღოლთა იმპერატორის კარზედ, ქართველი მეფეები უდიდესი პატივით სარგებლობდენ, ყაენის ბრძანებით, როგორც გამონაკლისი, ქართველი მეფე დემეტრე შეყვანილი ჰყავდათ მონღოლთა სარდლობის უმაღლეს საბჭოს წევრად. მცირე აზიასა და ეგვიპტეში, მათ მიერ გაფანტულ მრავალ ბრძოლებში, მოწინააღმდეგენ რაზმებს ქართველი მეფეები და სარდლები ხელმძღვანელობდენ. ქართველების სიმამაცეს, რაინდობას, თითქმის ყოველი დამბყრობელი აფასებდა. აზიის ყველა „ბარბაროს" ხალხისთვის გასაგები იყო ქართველი ხალხი. არც ერთ მათგანს არ მოუსურვებია მათ შინაურ საქმეებში ჩარევა. ისინი კმაყოფილდებოდენ მხოლოდ მისი ვასალობით და გარკვეული ეკონომიური და სამხედრო მოვალეობის დაკისრებით. სხვა მხრივ კი სრულ თავისუფლებას ანიჭებდენ ხოლმე ქართველობას, და როგორც ფრიად სანდო და მრავალ საუკეთესო თვისებების მქონე ხალხს, თავიანთ იმპერიებში, ათასგვარი წარჩინებებით აჯილდოვებდენ ხოლმე. ისინი ენდობოდენ და პატივს სცემდენ ქართველებს. სპარსეთის იმპერია ამაყობდა ხოლმე ქართული სარდლობით, მას მათი საშუალებით, არა ერთი აჯანყება ჩაუქრია. ოსმალეთის მთელი სამხედრო უწყება სამი საუკუნის განმავლობაში, ნახევრად ქართველებისაგან არ შესდგებოდა! (სულთან აბდულ ჰამიდის 400.000 ლაშქარს მონღოლების წინაღმდეგ, ორი ქართველი მთავარსარდლობდა). მონგოლების უდიდესი გამარჯვებები ეგვიპტესა და სირიაში, ქართველი ჯარებით არა ხდებოდა! ხოლო მონღოლთა მეორე დიდი დამბყრობელი თემურლენგი, ქართველთაგან ბოლომდე დამარცხებული ჩადის საფლავში და ეს მწარე ნაღველიც თან ჩაიქვს!..

ამგვარად, რანაირიც არ უნდა ყოფილიყო ამ „ბარბაროსთა“ დაბყრობა, რანაირი მძიმე და აუტანელიც არ ყოფილიყო მათი ბატონობა ქართველებზედ, ის მაინც განსაზღვრული იყო. ქართველებსა და მათ ერთმანეთი ესმოდათ, მათ შორის ყოველ შესაფერ შემთხვევაში იდეა ბოდა ერთობის ხიდი. რითგან ყოველ მათგანს გააჩნდა კულტურის და ცივილიზაციის ნასახი. ამიტომ ისინი მარტო იმით კი არ იყვენ ლმობიერნი, რომ საქართველოს შინაური იურიდიულ დაწესებულებებს არ ეხებოდენ, მათ ეროვნულ კულტურულ წინსვლას ხელს არ უშლიდენ, პირიქით, ისეთი დამბყრობელნი, როგორც სპარსელები და არაბები, რომელთა ცივილიზაციები საქვეყნოდ ცნობილია, საქართველოში შემოჰქონდათ კულტურულია საუნჯეც. განა არაბების წყალობით არ იყო, რომ საქართველოში განვითარდა ვარსკვლავთ მრიცხველობა! განა სპარსელების წყალობით არ იყო, რომ ჩვენში გაიფურჩქნა საერო ლიტერატურა, ისეთი, რომლის ბადალი არ იცის აღმოსავლეთის ქრისტიანმა ქვეყნებმა. განა ბიზანტიის გავლენით არ იყო, რომ ჩვენში, თვით ბიზანტიაზე არა ნაკლები მდიდარი სასულიერო მწერლობა შეიქმნა! ქართველი პოეტები და მეცნიერნი თავისუფლად მოგზაურობდენ არაბეთს და სპარსეთში; სთარგმნიდენ და სწავლობდენ ერთი-ერთის მწერლობას და ხელოვნებას. ქართველ მოღვაწეთა არა ერთი შესანიშნავი ცხოვრება დაწერილა სპარსელებისა და არაბების მიერ. ასე გათქვეფილი იყო მაშინ დამბყრობელთა და დაბყრობილ ქართველებს შორის კულტურული მუშაობა.

აღმოსავლეთის „ბარბაროსი“ და **მაჰმადიანი** დამბყრობელი მეფეები, ქართველ კათალიკოსების კურთხევის დროს, ძვირფას საჩუქრებს და თვალ-მარგალიტებს უგზავნიდენ ხოლმე. როდესაც ულაგუ-ხანი, ეგვიპტის ექსპედიციისათვის მცირე აზიაში ჩამოვიდა, საქართველოს კათალიკოზის და სამღვდელოებისათვის საჩუქრებად, სპეციალურად ოქროს ჯვრები გაუკეთებინა! დიახ, ამას სჩადიოდა წარმართი მონგოლი, ხოლო „ქრისტიანი“ და „ერთ-მორწმუნე“ რუსეთი ქართველ ეპისკოპოსებს, ტიმრებში ძალლებივით ახრჩობდა და მდინარეებში ჰყრიდა. ქართველ ეკლესიებს სცარცავდა და რუსეთში მიეზიდებოდა, საუკუნოებების განმავლობაში ქართველ ხალხის მალალის გონებით შეწირულ ნივთებს!

დამბყრობელთა ურთიერთობის ამგვარ ტრადიციებზედ აღზრდილი ქართველი ერისთვის მძიმე იყო და აუტანელი, მისი წმიდათა-წმიდის შეგინება, მისი სახელმწიფოს გაუქმება, მისი შინაური წესების მოსპობა. რათგან ყველა ის იყო შექმნილი საუკუნეთა განმავლობაში, კანონიერი შვილი მისი ცხოვრების, ნაშობი მის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრების წიაღში. ქართველი ერი განსაკუთრებულია თავისი სოციალური ისტორიითაც. მას ცხადია ბევრი საერთო აქვს კულტურული ევროპის ძველ ფორმებთან, ხოლო არაფერი რუსებთან. საქართველოში, ისტორიულად განსაკუთრებულმა მდგომარეობამ, სრულიად განსხვავებული, სოციალური ურთიერთობა შექმნა. აქ არ შეიძლებოდა ყოფილიყო ის, რაც სხვაგან, საქართველოში ადათიც და კანონიც სულ სხვანაირად აფასებს საზოგადოების სხვა და სხვა სოციალურ ფენებს და მათ ურთიერთობასაც უფრო ლმობიერ და ჰუმანიურ სახეს აძლევს, ვიდრე ეს იყო თუნდაც ფეოდალურ ევროპაში, ეს სული კი მკვეთრად აღიბეჭდა ქართველთა კანონებსა და განსაკუთრებით კი ადა - ჩვეულებებში, რომელზედაც დამყარებული იყვენ საქართველოს სამოქალაქო და იურიდიული დაწესებულებანი; და რუსებმა ყველა ამის, ერთი ხელის დაკვრით მოსპობა და მის ნაცვლად თავიანთი „ზაკონ-პრიკაზების" შემოღება მოინდომეს.

მესამე უბედურება, რომელიც მათ ქართველებს დაატეხეს, ეს იყო მოსახლეობის ნიველიერი შეეიწროება. ჩვენ ვიცით, რომ განსაკუთრებით პირველი 30 წელიწადი რუსეთი განუწყვეტლივ ომიანობას აწარმოებდა ოსმალეთთან და სპარსეთთან; რუსეთი შორის იყო და საგზო საშუალება მაშინ გაძნელებული, ამიტომ ომის მთელი მატერიალური სიმძიმე დააწვა ქართველ ხალხს. ფაქტიურ მასალებს ქვემოდ მოვიყვანთ, აქ კი დავსვენთ, რომ რუსები უკანასკნელ ლუკმას პირიდანაც აცლიდენ ქართველს ბლეზობას და ამ ხარჯზედ ინახავდენ თავიანთ ჯარს. ხოლო თუ ამას დავუმატებთ რუსის მოხელეთა საძაგელ მოქმედებათ საქართველოში, მაშინ აშკარა იქნება ყველასთვის ის განრისხება, რომელმაც ქართველ ერს ხმალი ამოიღებინა და ის მას შანამ არ ჩაუგია, სანამ სისხლითვან არ დაიცალა; რაც გაგრძელდა 1801 წლიდან — 1832 წლამდე.

ის უბედურობა რაც რუსებმა ქართველებს მოუტანეს, აუწერელია, ამის შესახებ მასალების მთელი არხივებია დაგროვილი, და მათი აღწერა ტომებს მოითხოვს. სანამ თვით აჯანყების ფაქტებს აღვნიშნავდეთ, საჭიროა ხალხის შეეიწროების სურათები გადაუშალოთ წინ მკითხველს, რომელმაც გამოიწვია განუწყეტელი ბრძოლები რუსების წინააღმდეგ, ხოლო განსაკუთრებით კი 1802, 1804, 1812 წლის აჯანყებანი.

საქართველოს სამეფოს გაუქმებას ხალხმა სასტიკი პროტესტით უპასუხა. კახეთის მცხოვრებთ იმპერატორს ასეთი თხოვნა მიართვეს: „... ერთობით კახეთის შინა მცხოვრებნი, სამღვდელონი და საერონი, მუხლდადგომით მოვასხენებთ ყოვლად უდიდებულესსა მფარველობასა თქვენსა ესრეთ:

„უმოწყალესო ხელმწიფევ! როდესაც ერთგულებასა ზედა თქვენისა იმპერატორებისა დიდებულებისასა დაგვაფიცეს, მყის გამოგვიცხადდა მანიფესტი, რომ ვითომ ჩვენ მოგვეხსენებინოს კარსა წინაშე უდიდებულესისა ხელმწიფისა თქვენისასა, — მეფე აღარ გვინდა და უმეფოდ შემოსულვართ მფარველობისა ქვეშე.

„ეს ფრანციელი მსგავსი რესპუბლიკობა იქნებოდა ჩვენგან. ჩუენს ბატონებს რა დაუშაეებია ჩვენზედა, რომ უარეყოთ! ათას ორი (ათას ორასი) წელი მეტი არის, რომ ბაგრატოვანნი მეფეკვიდრეობენ და აგრეთვე მრავალი ამათთანი, ჩვენის გულისთვის წამებულან, ქრისტესთვის და ჩვენთვის სისხლი დაუთხევიათ და ჩუენც ამათ წინ ამოვწყვეტილვართ მრავალნი...

„ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ჩვენზედ მრავალ გვარად გარეკილის და ღვაწლდადებულის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ, და იმ ანდერძის წესით მეფე დაგვისვათ და ჩვენის მეფით თქვენს მფარველობის ქვეშ გვამყოფოთ, და რაოდენ ჩვენი შეძლება იყოს, ისე გვიმსახურეთ...“ და სხ. *).

20 იანვარს 1803 წელს, ალექსანდრე ბატონიშვილიც ხაზგასმით აღნიშნავს ციციანოვისადმი მიწერილ წერილში, სამეფოს გაუქმების უსამართლობას: „... წარსულ-

*) იხ. აქტები. ტ. I.

თა ჟამთა შინა მრავალჯერ გვასმია წერილებით, უცხოთა თესლთა აგარიანთაგან მძლავრებით წარტყვევნანი, ამას და გარდა ესრეთ წერილობით გვსმენია ცვალებათა ჩვენთა აგარიანთაგან მეფობის აღხოცა; პირველად ესე, რომ ნეტარად ხსენებულმან საქართველოისა მეფემან ირაკლიმ, ბატონმან ,,მამა ჩვენმან,, მათის იმპერატორების დიდებულებას ამისთვის მიმართა, რათგანაც ქრისტიანი ყოველად მოწყალე ხელმწიფე ბრძანდებოდა, ამისთვის, რომ თავისი ოჯახი და საქართველო უმეტესად აღემალებინა, ესრამც თუ დაემდაბლებინა, და გვაქვს იმედი მათის იმპერატორების დიდებულებისგან..." და სხ. *).

მაგრამ ჩვენ როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, ამ თხოვნებს რუსეთის გადაწყვეტილებაზედ ვავლენის მოხდენა ალარ შეეძლოთ. ხოლო როგორც კი დამყარდა მათი ხელისუფლება, რუსის მოხელეთა თავგასულობას საზღვარი არა ჰქონდა.

რუსის მოხელეთა ყოველად უზრდელი და აუტანელი მოქმედება პირველი დღითვანვე იწყება, და საუკეთესო წარმომადგენელი იყო თვით პირველი ელჩი კოვალენსკი. პირველი ანექსიის შემდეგ ის იყო დანიშნული საქართველოს საბოქალაქო მმართველობის უფროსად. ამ დღიდგან ის ყველაფერს დაეუფლა და იქცა საქართველოს უგვირგვინო მეფეთ. მან ათასი ბოროტმოქმედებანი ჩაადინა და ამით ზოგიერთი რუსის მოხელეებიც გადაიკიდა; ამ ხმებმა მიაღწიეს იმპერატორამდე, უკანასკნელმა გამოგზავნა ჩუმად ვინმე სოკოლოვი, კოვალენსკის მოქმედებათა შესასწავლად. აი რას ეკითხულობთ სოკოლოვის მოხსენებაში: „... ტფილისში მოსვლის დროს მინისტრმა თავისი საქციელით, ყველა გააოცა. ადგილობრივი ჩვეულების შიხედვით, მეფე ყოველდღე უგზავნიდა კაცს, მისი კარგად ყოფნის შესატყობად, ხოლო მინისტრი მიუგებდა მოკლედ, რომ ის კარგად არის. ასეთი მიგზავნები გრძელდებოდა რამდენიმე დღეს. თუმცა მეფე აგრძნობინებდა სურვილს მისი მოლებისა, მაგრამ მინისტრს არ უნდოდა მისი გაგება.

ბოლოს გადასწყვიტა გამოცხადებულიყო მეფესთან, მაგრამ წინასწარ გაგზავნა კაცი მეფესთან და შეატყობინა, რომ მას სხვანაირად არ სურს მისვლა, თუ მისთვის სათანადო სავარძელი არ იქმნება მომზადებული.

*) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 153.

მეფემ ძრავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია და ყველაფერი მისი სურვილების მიხედვით აღასრულა.

მინისტრი მივიდა მეფესთან და შეეკითხა განსაკუთრებული ჩაცმულობით: — ქურქში, „ვალინკებით“ და საგზო ქუდით. შეეკითხა რა საუდიენციო დარბაზში, უკმაყოფილო იმით, რომ მისთვის მომზადებული სავარძლები, შესაფერ ადგილას არ იდგენ, მოათრია ისინი პირდაპირ მეფის წინ და ისე დაჯდა, რომ ფეხებით ეხებოდა მეფის ფეხებს...

აუდიენციის გათავების შემდეგ, ის წავიდა და ინახულა დედოფალი; იყო იმავე ჩაცმულობით, მაგრამ თავისი როლი შეაესო განსაკუთრებული გამოგონებით: ის იდგა დედოფლის წინ და როცა შეხედა საათს, სთქვა, რომ რუსების ჩვეულების მიხედვით, შუადღეს ეწოდება ადმირალის საათი და დრო არის ალაყის დალევისაო. დედოფალმა უბრძანა, მიეტანათ ალაყი და აუდიენცია ამით გათავდა...

ერთხელ მეფემ ის სადილზედ დაპატიჟა, მან უარი შეუთვალა, ავად ვარო. ერთხელ როცა მეფეს წერილი ჰქონდა, მან გაგზავნა ყველა მსახურნი, თვითონ ჩუმად შეიპარა, ავიდა ჩარდახში, სადაც ქალები ცხრიან და წერილის გათავებამდე იქითგან ათვალიერებდა ხალხსაო“ და სხ. *).

როდესაც კოვალენსკი მეფობის მოსპობის შემდეგ საქართველოს სამოქალაქო მმართველი გახდა, მაშინ ხომ პირდაპირ აუტანელი იყო მისი მოქმედება. იგივე სოკოლოვი განაგრძობს: „... კოვალენსკიმ მთლად გააწყო ტფილისში ოქროსა და ვერცხლის ფული და თავისი სახლი ნამდვილ ზარაფ-ხანად აქცია. კოვალენსკის ხელს უწყობდა მდიდარი ვაჭარი ბეგთაბეგიშვილი. სასმელ-საჭმელი, სანოვაგე, საშინლად გაძვირდა ტფილისში. ხალხი იტანჯებოდა. კოვალენსკიმ იმდენი ფული იშოვნა, რომ შეისყიდა რაც საქართველოში მატყლი მოიპოვებოდა, რომ მოეკვლინა სახაზინო მაუდის ქარხნისათვის მიეყიდა; ქარხანა ვითომდა ზაზინის ხარჯით უნდა აშენებულიყო. მაგრამ ბატონიშვილი დავითის სასახლე დანგრიეს და ამ მასალით აშენებდენ. ბატონიშვილმა იჩივლა, მაგრამ მის ჩივილს ყურადღება არ მიაქცეს“.

---

*) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 5-6.

აქეთგან კიდევ ერთხელ ცხადია რომ, თუ თვით სათავეში მდგომი ასე უდიერად სცარცვავდა ხალხს, რას ჩაიდენდენ მისი ქვეშევრდომნი, ან და მათზედ საჩივარს რა გასაგები ექნებოდა!

ამ შრომის მიზანს არ შეადგენს, როგორც აღვანუსებეს ბის საერთო შინაარსის, ისე ამ საკითხებზედ ვრცელს საუბარს. ის არის სპეციალური თემა, ჩვენ მხოლოდ ოდნავ ვეხებით ყველაფერს. რათგან დაულევველია ის უდიერობანი, რასაც რუსის დიდი და წვრილი მოხელენი სჩადიოდენ საქართველოში.

III

ცარცვა - გლეჯასთან ერთად, რუსებმა დაიწყეს ხალხის ფიზიკური დაწიოკება. ქართველებს არ ესმოდათ რუსული კანონები, არც ენა, რუსებს კი ქართველებისა არ ესმოდათ. ამიტომ ისინი სჯიდენ ყველას, მართალსა და დამნაშავეს. ასრულ ქართველს გასაგები არა ჰქონდა. მათ საჩივრებს არავინ უსმენდა, პირიქით რუსები საჩივრის და უკმაყოფილების დროს, უარესად ავიწროებდენ. ეს თვით რუსის ისტორიკოსი აკადემიკოსი დუბროვინი ასრულა სწერს რუსის მოხელეებზედ: „... საკმარისი იყო, ერთი უბრალო ეცვი მცხოვრებლებზედ, და მაშინადვე დაიჭერდენ, ზურგზედ ხელებს გაუკრავდენ, ყელზედ ტვირთს ჩამოკიდებდენ და როგორც მძიმე დანაშაულთ, ფეხით ატარებდენ 50 ვერსტს, ხან კიდევ მეტს. მოხელეებს და ოფიცრებს ძალით მიჰყავდათ სოფლებიდან ქალები და ქალიშვილები და აუპატიურებდენ" *).

„... შეიძლება თუ არა დაუსდოთ ბრალი ქართველებს, რომელთაც ჰქონდათ სრულიად თავისებური ადათები და წესები, და გაეამტყუნოდ იმაში, რომ მაგალითად ისინი შეჩვეულნი არიან უცქერონ თავიანთ მეფეს თავიანთებურად, რომ მათ არ ესმოდათ ჩვენი მართვა - გამგეობა, წესი ჩვენი სასამართლოების? ამ ხალხისთვის უცხო იყო ის ადმინისტრატიული ზომები, რაც კარგი იყო ველიკოროსიის გუბერნიებისათვის" **).

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. III, გვ. 461.
**) იხ. დუბროვინი. ტ. III, გვ. 498.

ქართველები ვერ შეურიგდნენ რუსეთის მმართველობას. და კახეთში დაიწყო აჯანყება. კახეთის მცხოვრებთ უარი განაცხადეს, რუსეთის მმართველობისადმი დამორჩილებაზედ. ზოგიერთი თავადები გარბიან და შეუერთდებიან ალექსანდრე ბატონიშვილს. იწყება ძლიერი ომი.

ტფილისის ვაჭრებმა გადასახადებზედ უარი განაცხადეს და ღენ. კლოპინგის გასვლის შემდეგ ყველა დუქნები დაჰკეტეს. ვახტანგ ბატონიშვილი თავის ქვეშევრდომებს უკრძალავს, დაემორჩილონ ადგილობრივ ისპრავნიკს. დარეჯან დედოფალი აფრენს კაცებს ალექსანდრესთან. ფარნაოზი იწერება, რომ ის მალე გადმოვა იმერეთითგან დიდძალი ლეკის ჯარით, იმერლებით და თათრებით. დავით ბატონიშვილი, თითქოს სპილენძის ქარხანა უნდა აშენოს, მთავრობის მოსატყუებლად, თავს უყრის დიდძალ „მეშებს". შემდეგ მოსაჩვენებლად, მიდის „ჰაერზედ" ბორჩალოში და შეუერთდება ბიძებს და ძმებს. ანტონ კათალიკოსიც თუმცა იყო „არაჩვეულებრივად მძიმე აგებულობისა, მაგრამ ის არ იყო უკანასკნელი მომქმედი პირი, დედოფალ დარეჯანისა".

ამგვარად, მთელი სამეფო ოჯახი ჩაუდგა აჯანყებას სათავეში. ახლა ერთი სამშობლოს საკითხი იდგა და აქ ყველა შეერთდა და ერთგულად მოქმედებდენ.

დარეჯანი იწყებს მოლაპარაკებას თავადებთან. ასევე ფართო მოლაპარაკებას აწარმოებს მარიამ დედოფალი, რომელიც თავის შვილობილთან, დავითთან აქამდე ცუდად განწყობილი, ახლა შეურიგდა.

ალექსანდრე წერილებს აფრენს ყაზახის აღალატრებთან. აქეზებს და ჰპირდება, რომ მალე რუსებს განდევნიან საქართველოდან. ბორჩალომაც ყაზახს მიჰბაძა და ამ ორი თემის თათრები შეუერთდენ აჯანყებულებს. სურამში მყოფი თეიმურაზ ბატონიშვილი აღელვებს სურამელებს და შედის კავშირში იმერლებთან. ეკლესიებში უკვე იწყება დავით ბატონიშვილის მოხსენება. აბაშიძეები კავშირში შედიან ახალციხელებთან.

აჯანყება მოედო მთელ საქართველოს. აჯანყებულებმა ადგილობრივ ყველა რუსის მოხელეები ამოიყლიტეს და პირველ ხანებში ზოგიერთ გამარჯვებებსაც მიაღწიეს.. ტფილისში დარეჯანის ძრძანებით, დასწვეს ავლაბრის ხიდი და რუსებს აუტეხეს სროლა. სპარსელები ამ დროს ნახჩევანიდან 60 ვერსის მანძილზედ იყვენ დაბა-

ნაკებულნი. დალესტნელები ბალაკანში იკრიბებოდენ; განჯის ხანიც მათ უერთებოდა.

როდესაც ასე გამწვავდა მდგომარეობა, 21 ივლისს 1802 წელს, კახეთის აზნაურობამ ადილობრივ ჯარების უფროს ლენ. გულიაკოვს შემდეგი წერილი მიართვა: „... პირველი ჩვენი მოხსენება ეს არის: საქართველო ერთი მცირედი ქვეყანა ვართ. ჩვენ გვეძრძოდა დიდი ხელმწიფე, არის ხონთქარი, ჩვენ გვეძრძოდა ყეენი და ყმანიც იმისნი ვიყავით. ჩვენ გვეძრძოდა დალისტანი, რომ ისეც ერთი დიდი ქვეყანა არის, მაგრამ, ამაებს თავი არც ერთს არ დავუდეგეთ, თუმცა ძალას გვატანდენ, ზოგჯერ კიდეც დაგვიჭირეს, მაგრამ თავი არც ერთს არ დაუდეგით, ამისთვის წარმართნი იყვენ, როდესაც ამათ დაგვიჭირეს, ვერც მაშინ და ვერც მას უკან ჩვენში ვერ მოშალეს მეფობა, ვერც მოშალეს ეპისკოპოსობა, ვერც მოშალეს თავადობა, ვერც მოშალეს გლეხობა, რომ ყოველისფერს თვით თქვენი თვალი ხედავს. ამ დიდროვანის ურჯულოს მტერთაგან, რომ მოსვენება არ გვქონდა, ხმლითაც ბევრი მოვიშორეთ, მართლის და ტყუილის თქმითაც და ბიცემითაც დალესტანს ვიშორებდით. ამ გაჭირვებაში რომ ვიყავით, ჩვენი მეფენი ევედრებოდენ ყოველად მოწყალეს ხელმწიფეს, რომ ქრისტიანობის გულისათვის მოწყალება მოეღო და რუსეთის საფარველი გვდებოდა, ჩვენს მეფესაც პატივი და დიდება მომატებოდა, ეკლესიებსაც და ეპისკოპოსთაც, თავადთაც და გლეხთაც, და უშიშრობაშიაც ცხოფილიყავით. ინება ყოველად მოწყალე ხელმწიფემ და საქართველო რუსეთის შეერთა და მანიფესტი მოგვიბოძა, რომ ყოველისფერს მოწყალებას თვითეულად გვიბრძანა, იმისთანა ბრძანება და მადლობა მოგვახსენეთ, და სხვა რაც მოწყალება მანიფესტით გვიბრძანა, თქვენგან არ აღგვისრულდა: უშიშროება გვიბრძანა, რაში სჩანს? სოფლებს და სოფლებს გლეჯენ ლეკნი და ამას არას ნაღვლობთ, ეკლესიებისა და ეპისკოპოსების პატივისცემა ბრძანა. — თქვენ ყმა და მამული მთლად ჩამოართვით, თავადთ პატივის მომატება გვიბრძანა, ჩვენ რომელნიც ჩვენი ბატონებისაგან პატივცემულნი ვიყავით და იქიდან ვრჩებოდით, ის პატივი მოგვეშალა; ვისაც დიდის ღვაწლით და სისხლის დაღვრით სოფლები სახელოდ გვეჭირა, ის მოგვიშალეთ, გლეხთ 12 წელიწადს მოწყალება უბრძანა ხარჯის გამოურთმეველა-

ბისა; ჩვენის დაქცეულს ქალაქისა გვიბრძანა, რაც შემოსაკალი მართებელთ ჯამაგირს გადაარჩეს, დაქცეულის ქალაქის (იგულისხმება ტფილისი) ალსაშენებლად დაბარჯულიყო — ესეც არ მოხდა...“ (და სხ. *).. და ამ წერილზედ პასუხს სთხოვდენ, რომ მერე გვინდა თხოვნა იმპერატორს მივართვათო. როგორც ვხედავთ, ქართველები თავიანთ მოთხოვნილებას სრულიად კანონიერად ჯერ ადგილობრივ მთავრობას ამცნობდენ (თხოვნის მეორე პირი გაუგზავნეს კოვალენსკის). მიუხედავად ამისა, რუსები ასეთ კანონიერ წერილზედ არამც თუ პასუხს არ აძლევენ, პირიქით მათ ატუსაღებდენ და ათასგვარ ვნებას აყენებდენ და როგორც ქვემოდ მეორე თხოვნიდგან ვნახავთ, ახლაც ასე მოხდა.

კახელები თავიანთ მოქმედებას განაგრძობენ. 25 ივლისს შეიკრიბენ ქიზიყელები კულმანჩურზედ: სამღვდელოება, თავად - აზნაურობა და გლეხობა, შეიფიცენ და წერილობით აქტსაც ხელი მოაწერეს, რომ იმპერატორს მოსთხოვონ, ირაკლის ანდერძის აღსრულება. ისინი მოითხოვენ სამეფოს აღდგენას, მეფედ იულონის დასმას და რუსეთის მფარველობაში დარჩენას. თავიანთი გადაწყვეტილება ქიზიყელებმა აცნობეს ყველას და იმერეთში იულონსაც. ამგვარად ჩვენ როგორ ვიცით, დინასტიური საკითხი, თვით სამეფო საგვარეულოში უკვე გადაწყვეტილი იყო; დავითმა ის დაუთმო იულონს და უკვე კი ხანია ყველა შეერთებული იყვენ ამ საკითხში, ახლა კი ის ხალხმაც თავიანთი მოთხოვნილებით დაადასტურა. ღენ. ლაზარევი იმპერატორს ატყუებდა, თითქოს ეს ყველაფერი ბატონიშვილების მოგონილი იყო, და თითქოს ხალხი რუსების მომხრე იყო. მაგრამ აქვე და მერეც მოყვანილი დოკუმენტებითგან დავრწმუნდებით ამ სიცრუეში. თვით ისტორიკოსი დუბროვინიც, რომელიც, სხვა ადგილას სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა ხალხის მღელვარების მიზეზებს, ახლა ისევ რუსულ ყაიდაზედ მღერის ამ ამბებზედ. ის სწერს: „... ამგვარად, მღელვარება იყო მხოლოდ თავადების და გამომხატველი მათი უმრავლო პროტესტისა, იმ ცრუ ხმების წინააღმდეგ, თითქოს, ვინმე უკვეცავდა მათ საუკუნეებრივ

*) იხ. აქტები. ტ. I, გვ. 388.

უპირატესობას" *); მაგრამ დოკუმენტები კი აი რას ამბობენ.

25 ივლისს, როცა გაიფიცენ ქიზიყელები, მათ ყოველგან წერილები აფრინეს. შიდა კახელებისადმი მიმართვაში სწერია:

„... მათს ბრწყინვალებას, ერთობით შიგნით კახეთის თავადთა და გლეხთა, ერთობით მოკითხვას მოვახსენებთ, ერთობით ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები და ერთობ ქიზიყელნი, მერე დღეს რომ 25 აქის, აქ კელმანჩურზედ შევიყარენით, დავიფიცეთ იულონის მეფობაზედ და რომელიც კი დაიჭირეს, იმაზე სისხლი დავთხიოთ ერთობდ. ამ ამბებში რომ ვიყავით, პოდპოლკოვნიკი მოგვიხდა ჯარით და არტილერიით, ჩვენც მაგრა დავუხვედით" და სხ.

„... გავაზელნო,, ყვარელნო, ენისელთ მოუერავნო, ნოდარიანნო (ჯორჯაძე) თქვენც ჩვენის ძმობისაგან ვერ კახვალთ; ყოვლად სამღვდელო ნიკრესელო, შენც ამაზედ მბნედ უნდა იყო, ხალხი გაამზნევო და ფიცით შეჰკრა ხელმწიფის ერთგულობაზედ და იულონის მეფობაზედ" და სხ.

ამავე 25 ივლისს მეორე წერილი აახლეს ლენ. გულიაკოვს:

„... მერე ამას წინათ წიგნი გაახელით და ჩვენი მოხსენება ყველა წერილად მოგახსენეთ, რომელიც ჩვენ წიგნი გაახელით, ჩვენის წიგნის მომტანი დაიჭირეთ, ამას თვით ხელმწიფეც ეჭი იკადრებდა და ამას გარდა, კიდევ თავადნი დაგიჭერიათ; მაგათ დანაშაული არა აქვთ რა... ჩვენი ლაპარაკიც და მაგათიც ეს არის და ეს იყო. ჩუენ რომელნიც ჩუენმა დიდად მოჭირნახულემ მეფემ ირაკლიმ ანდერძი ბრძანა და დაფიცებულნიც ვართ, რომ მეფის გიორგის შემდგომად, მეფედ იულონი ყოფილიყო. ჩუენ იმ ფიცზედ და იმის ანდერძზედ ვდგევართ. ახლა ჩვენ ერთობით ანდრონიკაშვილებმა, ვაჩნაძეებმა, ჯანდიერებმა, მთლად ქიზიყის და სხვათ თავადთ და გლეხთ, ჩუენ ჯერ ხელმწიფის ერთგულობაზედ დავიფიცეთ, მერე იულონის მეფობაზედ, რომ იულონი მეფედ გვიჯდეს, და ხელმწიფის ერთგულნი ვიყვნეთ. **რაც ხელმწიფეს ჩვენგან სამსახური ენებებოდეს, ჩვენს მეფეს უბრ-**

*) იხ. იქვე. ტ. III, გვ. 514.

ძანოს და ჩვენმა მეფემ ჩვენ გვიბრძანოს და ისე ჩვენის შეძლებით ხელმწიფეს ვემსახუროთ. მეორეც ამაზედაც დაფიცებულნი ვართ, დაუნაშავებლად ნურც თავადს და ნურც გლეხს ნუ დაიჭერთ; ეს ხალხი უბრალოდ ხელმწიფის წინაღმდეგ საქმეში არ შეიყვანოთ..." და სხ. *). და ბოლოს სთხოვენ მთავრობას, რომ შეაჩერონ რეპრესიები, სანამ ისინი, პასუხს მიიღებდენ იმპერატორისაგან. წერილს პირველად ხელს აწერს ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე, რომელიც იყო ამ შეკრებულობის სულის ჩამდგმელი და მერე ქიზიყის მცხოვრებნი თავადიც და გლეხიც.

ამ წერილის მიღების მეორე დღესვე, ღენ. გულიაკოვი შეუდგება დაჭერებს და მრავალი მოწინავე პირებს დაატუსაღებს. ჯერ თვით 25 ივლისს, აღნიშნულ ყრილობას ჯარით დაესხენ რუსები, მაგრამ ქართველებმა ისინი მამაცურად მოიგერიეს. ამგვარად რუსებსა და ქართველებს შორის გაიმართა სამკვდრო-სასიკოცხლო ბრძოლა, მაგრამ რუსებმა გაგზავნეს ჯარები და აჯანყება ჩააქრეს..

ამ საბუთებითგან ირკვევა, რომ ქართველები ვერ შეურიგდენ რუსების მიერ სამეფოს გაუქმებას და ამ საკითხში მთელი ერი ერთად იყო. მიუხედავად რუსების სიცრუეების, ჩვენამდე მოღწეულ და იმავე რუსების მიერ გამოქვეყნებული უამრავი დოკუმენტებითგან კიდევ მეტი ირკვევა: **არც ბატონიშვილებში, არც მოწინავე წრეებში და არც გლეხობაში ერთი ადამიანიც კი არა სჩანს, რომელიც ამ საშინელ წუთებში სხვა აზრის ყოფილიყოს.** ამიტომ, ყველა ერთად შეითქვა, რაც არ უნდა დასჯდომოდათ, რუსები საქართველოდან განედევნათ. ოფიციალური ნოტებითგან სჩანს, რომ ქართველები ცდილობენ დამოუკიდებლობას, მათი მეფის და შინაური მართვა-გაძგეობის აღდგენას, ამავე დროს კი, რუსეთის იმპერატორის მფარველობაში დარჩენას. უკანასკნელი მხოლოდ დიპლომატიური ხერხი იყო ქართველებისა. ოფიციალურ ნოტებში, ცხადია თავიანთ განზრახვებს პირდაპირ ვერ განაცხადებდენ; მაგრამ მთელი იმ გარეგნობების და ქართველთა ყოველმხრივი მზადებითგან კი მხოლოდ ერთი დასკვნა გვრჩება, რომ მათი მიზანი იყო

*) იხ. აქტები. ტ. I.

რუსების სრული განდევნა საქართველოდან. სხვაგვარად გაუგებარია თვით სპარსელების დახმარებაც, რომელსაც აბას მირზა ჰპირდებოდა. აბაზ მირზამ ალექსანდრე გამოგზავნა საქართველოში. ჯერ კიდევ 22 ივლისს, ღენ. გულიაკოვი სწერდა ლაზარევს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი მრავალ რიცხოვანი ჯარით ბელაყანაშია დაბანაკებული და ემუქრება საქართველოს, ხოლო კახეთში 40.000 კაცია შეკრებილი.

საკითხი სრულიად გარკვეულია. სამეფო ოჯახმა და მთელმა ერმა ივრძნო რა მძიმედ თავისუფლების დაკარგვა, აჯანყდა მის მოსაპოვებლად. იბრძოლა გმირულად, მაგრამ მტრის მიერ ულმობელად იქნა დამარცხებული.

IV

1802 წ. აჯანყების დამარცხების შემდეგ, რუსებმა იგრძნეს ის სიძნელენი, რომელნიც მათ საქართველოს დამორჩილების გზაზედ შეხვდებოდათ. იმპერატორმა გადაწყვიტა, საქართველოს მთავარ-მართებლად ისეთი პირი დაენიშნა, ვინც ადგილობრივ პირობებს კარგად გაიგებდა. მან გადაიყენა მთავარ-მართებელი კნორინგი და სამოქალაქო საქმეთა მმართველი კოვალენსკი და მთავარ-მართებლად დანიშნა პავლე ციციანოვი, რუსეთში საკმარისად განთქმული ღენერალი. ციციანოვი იყო შთამომავლობით ქართველი. მისი პაპა გადასახლდა რუსეთში ვახტანგ მეექვსესთან და უკანასკნელიც რუსეთში იყო აღზრდილი. პავლე ციციანოვი, სიმსლით, სიმამაცით, ნიჭით იყო ქართველი, ხოლო სულით და იდეურად რუსი. რუსის იმპერატორის არჩევანი, უდაოდ სწორი იყო. თუ არა ციციანოვისთანა ძლიერი პიროვნებისა, სხვისთვის ძნელი იყო საქართველოსა და კავკასიაში მოქმედება; მაგრამ ქართველებმა და კავკასიელებმაც იცოდენ ასეთი ძლიერი პიროვნების გამასპინძლება და ჩვენ ვნახავთ, რომ ციციანოვიც მალე ბაქოს კედლებთან მსხვერპლად მიუტანიეს რუსეთის დაბყრობით პოლიტიკას.

ციციანოვი ინიშნება 8 სექტემბერს 1802 წნლს. საქართველოში ის ჩამოდის 1 თებერვალს 1803 წელს.

იმპერატორი თავის ინსტრუქციის მე-7-ე მუხლში

სწერდა: „... სხვათა შორის თვითაც მიხვდებით, თუ რამდენად არის ეს საჭირო, ამიტომ თქვენ პირველ დანიშნულებათაგანს შეადგენს, მიიღოთ ყოველივე ზომა დაჯერებით და ბოლის იძულებით, ბატონიშვილების და განსაკუთრებით დარეჯან დედოფლის რუსეთში გასაწვევად". ამგვარად უკვე დასაწყისშივე გადაწყვეტილი იყო და ეს ებრძანა ციციანოვსაც, რომ შესდგომოდა მთელი სამეფო ჯვარეულობის გადასახლებას რუსეთში. იმპერატორი და მინისტრებიც განუწყვეტლივ სწერენ წერილებს ბატონიშვილებს და იწვევენ რუსეთისაკენ. მაგრამ ბატონიშვილთაგან, თავისი ნებით, არავინ მიდის რუსეთში. ამ დროს ალექსანდრე ბატონიშვილიც საქართველოს საზღვრებთან ახლოს იყო დაბანაკებული. ციციანოვი მასაც წინადადებას აძლევს, რომ წავიდეს რუსეთში და იმპერატორს პირადად აუხსნას ყველაფერი. ალექსანდრეს კი ასახსნელი არაფერი ჰქონდა, მას უნდოდა თავისი ქვეყნის თავისუფლება და ეს წაართვეს.

მაშინ ციციანოვმა გადასწყვიტა ძალა ეხმარა. 19 თებერვალს 1803 წელს, მან შეიბყრო ვახტანგ და დავით ბატონიშვილები და როგორც ტუსალები, ის გაისტუმრა რუსეთში. დავით ბატონიშვილი ოცნებობდა, რაიმენაირად რუსების ხელიდან დასხლტომოდა და უნდოდა ნაპოლეონთან შეერთება *). ის მოიმზ

ებითი რუსებს სთხოვდა, ნება შეეცალა მოგზაურობის. სოკოლოვი კურაკინს სწერდა: „დავითის მოგზაურობის გეზი ასეთია: იმერეთი, ფოთი, შავი ზღვის ნაპირები, გურია, ანატოლია, კონსტანტინეპოლი და ევროპა, განსაკუთრებით კი საფრანგეთი. მას ლაპარაკში ემჩნევა აღფრთოვანება ბონაპარტისადმი, რომლითაც ის ფრიად მოხიბლულია. დავითი იყო ვოლტერის მიმდევარი. ის იყო მეტად ნიჭიერი მხედარი — რუსის ჯარში ალტილერიის ლეიტენანტი და როგორც ქართველისთვის, მისი ნაპოლეონთან გაქცევის ოცნება, სრულიად გასაგები. ხოლო მის ასეთ გეგმაში რა იმალებოდა, ეს მისმა მწარე ხვედრმა, ჩვენთვის გაძოუსაკვეთელი დასტოვა. ის ძალით შებყრობილი, იქმნა გადასახლებული.

შემდეგ ციციანოვმა წინადადება მისცა მარიამ დედოფალს; მარიამმა ჯერ კიდევ 2 თებერვალს 1803 წ.

---

*) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 68.

იმპერატორს მიმართა და სთხოვა, სიკვდილამდე ის სამშობლოში დაეტოვებინათ *), მაგრამ უარი უთხრეს. მარიამმა ბოლოს გადასწყვიტა ხევსურეთში გაქცევა, ესეც შეუტყეს და მის სახლს მრავალი მეთვალყურეები დაუყენეს. ძაგრამ უბედურობა რუსებსაც ძვირად დაუჯდათ, და დატრიალდა საინტერესო დრამა. ამ ამბებს რუსის მოხელე კ. ა. ლოფიცკი, 30 აპრილს 1906 წ. იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში **), შემდეგნაირად გადმოგვცემს: „21 აპრილს ღამის 4 საათზედ, მე-17-ე ეგერთა პოლკის ორი რიტა ჯარით ალყას არტყავენ მარიამ დედოფლის სასახლეს, აქვე იმყოფება ღენერალი ლაზარევი. ის შეგზავნის ოფიცრებს, უკანასკნელთ ცნობა მოაქვთ ლაზარევთან, რომ დედოფალი წასვლაზედ უარს ამბობს. მაშინ ლაზარევი ჯერ შევა დედოფალს მოელაპარაკება, მერე გამოდის და უბრძანებს კურაკოვს, შევიდეს და დედოფალი ძალით გამოიყვანოს. კურაკოვის შესვლაზედ, მარიამი და მთელი ოჯახი ფეხზედ დგება, ამ დროს შედის ლაზარევიც, მიდის დედოფალთან და უნდა თავისი ხელით დედოფლის წაყვანა, ამ დროს მარიამ დედოფალი ამოიღებს ხანჯალს, ჩასცემს ღენერალს მარჯვენა მკერდში და იქვე მოჰკლავს.

ასე გმირულად უპასუხა მარიამმა, ლაზარევის უზრდელ მოქმედებას.

ამგვარად, საქართველოს უკანასკნელმა დედოფალმა ხანჯლით განუგმირა გული, რუსეთის პირველ ღენერალს და ეს აქტი გადაიქცა სიმბოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა.

ვინც იცნობს ქართველი ქალის ისტორიას, არ გაუკვირდება მარიამის ასეთი გმირობა. ადამიანს, რომელსაც წაართვეს ყველაფერი, სამეფო, სამშობლო, ქონება, შვილები და როცა უკანასკნელთ სიცოცხლე გაუმწარეს, ის იქცა ვეფხვად და თავისი მცირეწლოვანი ქალით თამარით და ვაჟით ჯიბრაილით, სანამ რუსები მოასწრებდენ მის შებყრობას, ორი მოხელეც სასტიკად დასჭრა.

რუსებმა ცხადია ის შეიბყრეს მაშინადვე და რამდენიმე საათის განმავლობაში, გაუყვანეს რუსეთის გზას. ის

*) იქვე. გვ. 100.
**) იხ. აქტები. ტ. III, გვ. 5.

მიჰყავდათ ისე, როგორც ავაზაკი და ბორიტ-მომქმედი!

გზაში მთიულები თავს დაესხნენ რუსებს და უნდოდათ დედოფლის განთავისუფლება, მაგრამ მას დიდი ჯარი ერტყა გარს და ეს ვერ მოახერხეს.

მარიამ დედოფალი დაატუსალეს ეორონეჟის ერთ-ერთ მონასტერში, სადაც იმყოფებოდა 8 წელიწადი და ძხოლოდ შემდეგ მისცეს ნება მოსკოვში გადასახლებულიყო.

ამ დრამის შემდეგ, ჯერი იყო დარეჯან დედოფლის, რომელიც უკვე ლრმად მოხუცებულობის გამო, მუდმივ ავადმყოფობდა და ორმელსაც რუსები სთვლიდენ, მთიელი არეულობის სათავედ. მაგრამ ჩვენ ვნახავთ შემდეგ, რომ ბაგრატიონთა გადასახლებით, ისინი ვერ შეესძლებენ ქართველ ხალხში, თავისუფლებისადმი სიყვარულის აღმოფხვრას. ციციანოვი სამეფო საგვარეულოს გადასახლებას, მეტად შეთანდიერად ანხორციელებდა. ამ დროს ის ემზადებოდა ყანჯის სახანოს დასაპყრობად, და უნდოდა მანამდე დედოფალი დარეჯანიც გაესტუმრებინა.

დარეჯანმა იგრძნო ყოველივე და ავადმყოფობის მიზეზით მუხრანში გადასახლდა. ციციანოვმა ამაზედ ნება დართო, ხოლო ყარაულები გააყოლა. დარეჯანმა აქეთგან კელაე გამართა მიწერ-მოწერა სპარსეთში ალიქსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებთან, იმერეთში კი იულონთან და ფარნაოზთან. ის ყოველ ლონეს ილებს, რომ ასცდეს გადასახლება. ის სწერს იმპერატორს, ალიქსანდრე ბატონიშვილიც სწერს სპარსეთიდან ციციანოვს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. 25 ოქტომბერს 1803 წელს, ციციანოვმა გაგზავნა მუხრანში ორი როტა ჯარი, შეიბყრო დარეჯან დედოფალი და რუსეთში გაისტუმრა. დედოფალს გაუვა 36 სელი; მის მცველთა მეთაურად, ციციანოვმა ქართველი დაუნიშნა, დედოფალმა კი ეს უარყო და მოითხოვა, რომ რუსი გაეყოლებინა, ამ საპატიო ადგილს რუსი უფრო შეეფერებოდა! *).

1804 წ. აგვანყების დროს შეიბყრეს იულონი და ფარნაოზი და ისინიც 3 - 5 აპრილს 1805 წელს გადაასახლეს იულონი ქ. ტულაში, ფარნაოზი ქ. ეორონეჟში. მათაც გაჰყვა მრავალი ქართველობა.

---

*) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 106.

ამის შემდეგ კი, მეორე ხარისხოვან წევრებს სამეფო ოჯახისაც შეიბყრობენ და გაისტუმრებენ რუსეთში.

საქართველოში ტახტის გაუქმებასთან, მთელი სამეფო ოჯახი, რომელიც 100-ზედ მეტი სულისაგან შესდგებოდა, თითო-თითოდ ყველა გადაასახლეს და გაჰფანტეს შიდა რუსეთში, რომელთაგან კვალიც აღარ დარჩა.

ციციანოვი სპარსეთში ალექსანდრესაც და თეიმურაზსაც ბევრს სწერდა, მაგრამ ვერას გზით ვერ დაიყოლია.

V

სამეფო საგვარეულის ასე უწყალოდ გადასახლებამ, საზარელი შთაბეჭდილება დასტოვა ქართველებზედ. მრავალნი გაიქცენ სპარსეთში და ალექსანდრეს შეუტრთდენ. სოფლებში კი, კვლავ მღელვარება დაიწყო. რუსებისაგან ყოველმხრივ შევიწროებული ხალხი, პატარა საბაბს ეძებდა, რომ იარაღი აეღო ხელში. ახლაც, როდესაც ციციანოვმა ერევანზედ გაილაშქრა, იდროოვეს ქართველებმა. ყველა იმ უბედურობათაგან, რასაც რუსები ქართველებს აწევდენ, აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთს.

1804 წელს, მთიულ შეთქმულთა წარმომადგენლებმა შემდეგი თხოვნა მიართვეს მთავარ-მართებელს:

„1. კაცისაგან თითქმის მოუთმენელს სიცივეში, სტეფანწმინდიდამ ანანურამდე საშინელი თოვლი გვახვეტინეს და გზა გავაწმინდეთ.

2. ჩვენგან გაკეთებულს ამავე გზაზე, წვიმისაგან შეიქმნა ტალახი, გვაპრევინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრეინეს; ამ დაფენილს ფიჩხში, ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა, მოგვადგნენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოგვიკლეს, ერთი გუდამაყრელი ჩობელი და ერთიც ლაგათხეველი ჯაუნარისძე.

3. მოვიდა თოვლი და აღმაივსო ჩვენგანვე გაკეთებული გზა; ისეთ დროს მიგვიყვანეს საკეთებლად, რომ ზვავი მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვრიდნეს; წამოვიდა ზვავი და ცოტას მოვაჭრით, რომ ქვეშ არ დაგვიტანა. კიდევ ტიმოთეს ხმლის ცემით მიგვყარა, წამოვიდა ზვავი და შიშით ერთმანეთს, რომ ვეკვნით, ტიმოთე და სამი ჩვენი კაცი იქ გაიყლიტა.

4. მოვიდენ ოთხმოცი სალდათი და თორმეტი ცხე-

ნოსანი ყაზახი: ამათ უნდებოდათ დღეში, სალდათს ათი საკლავი და ყაზახთ ორი საკლავი; ქათამს, ყველს და ერბოს ვინ იანგარიშებს.

5. ცხენსა და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი ალარ შერჩარ და არ მოუცია ქერა; ერთჯერ მოგვცეს თითო მანეთი, ესეც მოვითმინეთ.

6. ორნი დედაკაცნი ულელში შეაბეს, მარხილი მიუბეს და სალდათები უკან დედაკაცებს მათრახითა სცემდენ.

7. გვიბრძანეს და ოთხი საკერე დავწვით, ერთი ზაქათ კარს, მეორე ბურდულის კარს, მესამე ნაღიბაქრის კარზე და მეოთხე ამირიძის კარზე.

8. თავადმა ერისთავმა თორნიკემ ჯარს რომ დაუძახა, ჩვენ გამოგვიცხადეს, ერთობით ჯარში უნდა წახვიდეთო, და იქიდან გავიგონეთ, წინ ჩვენ უნდა წავეყვანეთ, ჩვენთან მიდევნებით ქსნის ჯარი და ჩვენს უკან სალდათი და შეწყვდეულნი ცემით, რუსეთს უნდა გადავერეკენით. დედაკაცნი და რომელიც წვრილნი შინ დარჩებიან, ხიდის საკეთებლად, კირი იმათ უნდა ვაზიდვინოთო — ესეები იმათგან გავიგონეთ.

9. დაგვიდვეს ფიცი შვიდისწლის სითარხნე *), არც ერთი წელი დაგვაკლეს: წელს ცხვრისა, თოხლისა, ერბოსა და სხვისაც დებულებისა შაგიერად, სულ თეთრი (ფულად) გამოგვართვეს ორის წლისა, რომელიც ჩვენგან შესაძლებელი არ იყო, და ვერსად ვიშოვეთ და ჩვენის ეკლესიებიდან გამოგვატანიეს თეთრი და წაიღეს. —გამოგვართვეს ცხვარზედ ხუთი აბაზი, თოხლზედ ათი აბაზი, ერბოზედ ოთხი აბაზი, თივაზე, ხუთი ლიტრა ქერზე და ერთ პუთზე გამოგვართვეს ხუთი აბაზი.

10. ვისაც თითო კოდი ქერი ჰქონდა და თივა, უფასოდ წაგვართვეს, რომელიც ჩვენს მოხელეთაც არა ჰკითხეს.

11. ბრძანება იყო, რომელნიც ყაზახნი ადგილ-ადგილ იდგნენ, ქერი და თივა ფასით უნდა ეყიდნათ; ჩაფარიც თავიანთის ცხენით უნდა მიეყვანათ. ქერსა და თივას უფასოდ გვართმევდენ და ცხენსაც უქირაოდ და კურიელიც ჩვენის ცხენით დაჰყავდათ.

ჩვენ ამ ზემოხსენებულის მწუხარებისაგან, რომელ-

---

*) გადასახლებისაგან განთავისუფლება.

ნიც ყოველად მოწყალის ხელმწიფის უძლეველის ჯარის საქართველოში გაძლიერებას ღმერთსა ვსთხოვდით, ახლა ამას ვითხოვთ, რომ მსწრაფლის განსაცდელითა ერთობით დავინთქნეთ. ჩვენ ძალას არ ვიქადით, რომ რუსთ ვებრძოდეთ. ჩვენ ერთობით ეს აწ ვარჩიეთ, თუ სხვა არა მოგვეცლინა რა განსაცდელი ამ მოუთმენელის მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით, ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოვუკიდოთ, ცოლ-შვილი შიგ შევყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ და დავიწვნეთ. ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს და ჩვენის ცოლებისას უწესოს საქმეთ დანახვას, ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ, — მარტო მთიულეთში, ცემით 23 კაცი მომკვდარა სხვას გარდა...“ *).

ეს და მრავალი თხოვნები მიდიოდა საქართველოს მთავარ-მართებელთან, მაგრამ რუსეთის ყველა მთავარ-მართებლები ერთი-მეორეზედ დესპოტები იყვენ და ქართველებს ისე ეპყრობოდენ, როგორც მზეცებს.

საქართველოს ასეთ მდგომარეობას თვალ-ყურს ადევნებდენ ქართველთა ყველა მოწინავე პირები. მთელი ხალხის გულის-ყური მიბყრობილი იყო ალექსანდრე ბატონიშვილზედ. ალექსანდრე მთელ ამ აჯანყებაში ზღაპრულ ენერგიას იჩენს. ის აფრენს მთელ კავკასიის ყველა თემებში წერილებს, მას დღე და ღამე არ სძინავს, მთელ კავკასიას დარაზმავს და ფეხზედ დაყენებს.

ჯერ კიდევ 29 მარტს 1804 წ. ის სწერს საქართველოს ყველა წარჩინებულ თავადებს, მიმართავს სამღვდელოებას და გლეხობას, ყველას ერთად და ცალ-ცალკე ამხნევებს, რომ ის მოდის სპარსეთის დიდ ძალი ჯარით და მას მზად დახვდენ. ამავე წლის მაისში უკვე მას შეთანხმება აქვს ქართლ-კახეთის ყველა მოწინავე პირებთან და ყველა თანახმაა მასთან მოქმედების. ალექსანდრე წამოიწევს შიგნით საქართველოში. მთიულეთში გავარდა შეთქმულთა თოფი. ქართველები ჯერ და მაშინადვე ამოიყლიტეს ყველა გარნიზონები, ვინც კი გაქცევა ვერ მოასწრო. აჯანყებულებმა მაშინადვე შეკრეს გზა, კავკასიის ხაზსა და საქართველოს შორის, დაანგრიეს დარიალის ხეობაში ხიდები, კაიშაურიდან ანანურამდე მთელი გზა ქვებითა და ხეებით გაავსეს.

---

*) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 311.

ან ზოგიერთი საბუთები. 11 ივნისს 1804 წ. მთავარ-მართებლის კანცელარიიდან ცაცანოვს ატყობინებ-დენ *), რომ ჩარტალის, ბუდამაყრის, ხანთელის და მთი-ულეთის ხეობათა მცხოვრებნი შეიკრიბნენ ანანურზედ, თავდასასხმელად და ყველა იმ სოფლებზე, რომელნიც თანახმა არ არიან აჯანყებისა. ანანურიდან კაიშაურამ-დე გზა დაბრკოლებულია, გზაში არავის უშვებენ, ყვე-ლას კლავენ. ცოხის ძირთან მყოფი პოსტი მოგვიშა-ლეს, მოკლულია რამოდენიმე ყაზახი.

5 ივნისს, ანანურის ისპრავნიკი პეტრიკოვი სწერს საქართველოს მმართველს ვოლკონსკის, რომ მეამბოხე-ები 4.000 აღწევენ, რომ მათი მდგომარეობა ცუდი არის და არავისზედ დამყარება არ შეიძლება **).

ამ ხანებში პოდ.-პოლკ. ერისთავმა არაგვის ხეობაში შეკრიბა ჯარი მთიულეთის წინააღმდეგ. ეს ჯარი მიუბ-რუნდა და რუსებს დაეწყო ულტა.

27 ივლისს, მაიორი მელელი სწერს ვოლკონსკის: — აჯანყებულებმა ყოველმხრივ ალყა შემოგვკრეს; ჩვე-ნთან მყოფი ქართველები გაგვიდგენ და აჯანყებულებს შეუერთდენ, თუ დროზედ არ გეიშველეთ, ჩვენ იძულე-ბული ვართ გამოვიქცეთ, სანამ კიდევ გზა გვაქვს.

22 ივლისს, დრენინკინი სწერს ციციანობს: შეთქმუ-ლებაში გავრცელდა ხმა, რომ რუსები საქართველოში ყველა ამოწყვეტილია, ამიტომ მათ შესძლეს ყველას მი-ნბარობა. მთიულებმა მიიწვიეს ხევსურები, რომელნიც უკვე მზად იყვენ ბრძოლისათვის, მალე მათ ყაზბეგიც შეუერთდა. ამ თვის 9-ს გავრცელდა ალექსანდრე ბა-ტონიშვილის წერილები, ის სწერს, რომ მოდის 200.000 სპარსელი ლაშქრით და სხ. და ისიც შველას სთხოვს, თორემ დავიღუპებითო ***).

საქართველოში მყოფი რუსები პანიკამ მოიცვა. ქართ-ველები ამით კიდევ მხნეებდებიან. აჯანყება მთელ მთი-ულებს მოედება. დასავლეთ საქართველოდან გამომოდი-ან იულონი და ფაჭინაზე ბატონიშვილები და აჯანყებუ-ლებს უერთდებიან. ამ დროს, კახელები, რომელნიც ალა-ვერდის მონასტერში დღეობაზედ იყვენ შეკრებილი, გა-

*) აქტები. ტ. II, გვ. 308.
**) იქვე. გვ. 308.
***). იქვე. გვ. 323.

იგეს თუ არა იულონის გადმოსვლა, ისინიც აჯანყებულებს შეუერთდენ. მალე აჯანყება მოედო სხვა თემებს. მათ შეიმოუერთეს შამშადილის, ბამბაკის და ყაზახის თათრებიც. შექისა და შემახიის ხანები აგროვებენ 6.000 კაცს და უახლოვდებიან საზღვრებს; შუშის ხანმა და ლეკებმაც მოუხშირეს რუსებზედ თავდასხმები. ყარსის ფაშა უგზავნის ალექსანდრე ბატონიშვილს სურსათს, და საჩუქრებს ბაბახანს *), დახმარებისათვის; ტალიშინის მუსტაფა ხანიც, თავის ჯარს შეუერთებს სპარსეთისას და გამოეშურება რუსების წინააღმდეგ. მალე მთელი ქართლ - კახეთიც იწყებს მოლელვარებას.

ამგვარად ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც მეთაურობს შეთქმულებს, შესძრავს მთელ კავკასიას და რუსების წინააღმდეგ აღაშფოთებს. მაგრამ ციცანოვი შიგნით და გარედ დამარცხებული, სტოვებს ერევანზედ ლაშქრობას, ბრუნდება უკან და აჯანყებას ბოლოს მოუღებს.

რუსის მოხელის ლოფიცკის მოხსენებაში ეს ამბები ასეა აღწერილი: მისი სიტყვით, მთიულებმა გადაუჭრეს რა გზა რუსებს, „...მათ განაიარაღეს არა მარტო ერამოდენიმე როტა სევასტოპოლის პოლკის და სხვა ნაწილებისა, გასაკვირველად და სამარცხვინოდ, მისი უმაღლესობის ყველა ქვეშევრდომთა, ვინც ტფილისში იყვენ დატოვებულნი, ამ „მუჟიკებმა“ მათაც ჩამოართვეს სამი ზარბაზანი“. ამან დაჩქარა ბატონიშვილის ფარნაოზის მოსვლა საქართველოში. მის მოსვლისას კიდევ გაიზარდა მეამბოხეთა რიცხვი. კახეთი ისევ აიღელვეს და მოითხოვენ მეფობის აღდგენას. ტფილისითგან მიწერ - მოწერა იმართება ბაბა - ხანთან, რომელსაც იწვევენ ჯარით. შამშადილის, ყაზახის, ბამბაკის და ბორჩალოს თათრები შეეფიცენ ბაბა - ხანს და ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით გადაუჭრეს ერევანში მყოფ რუსის ჯარებს ყველა გზები და როცა გაიგეს რომ ამ პოლკიდან მიემგზავრება მაიორი **მონტრეზორი** 200 ცხენოსნით და 2 ზარბაზნით, შესახვედრად იმ პროვიანტის, რომელიც ერევნის ჯარისთვის იგზავნებოდა ტფილისიდან, გადაუჭრეს მათ გზა. „ყველა სამხედრო პირები ვაამთრახეს და ზარბაზნები ჩამოართვეს“. ამ

*) იხ. დუბროვინი. ტ. IV, გვ. 345.

შემთხვევამ კიდევ მეტად გააშფოთა მეამბოხენი. მათ მოიწვიეს ლეკები და გაიწვიეს ტფილისისაკენ, რათგან იცოდნენ, რომ გარნიზონები სუსტი იყვნენ და ტფილისის მცხოვრებნიც მზად იყვნენ მათი გაცემისთვის. რუსეთის ჩინოვნიკებმა დაადგინეს: საქართველოში დარჩენილი ჯარები დაახლოვონ ტფილისთან; ჯარი დააყენონ ხაზინასთან და სხვა დაწესებულებებთან. ქალაქი ჩაკეტონ და თავი დაიცვან. შექმნან თავდაცვითი მდგომარეობა.

ამ დროს ტფილისში არც პური იყო, არც მარილი, და არც საარტილერიო ტყვია - წამალი. ამგვარად ტფილისის ხელში ჩაგდება ადვილი იყო, მაგრამ ერევნითგან პოლკის დაბრუნებით, ამ მდგომარეობას ბოლო ელება.

ამგვარად, ლოფიცკის ცნობებიც ადასტურებენ მძიმე მდგომარეობას რუსებისთვის; სჩანს ერევანშიც ციციანოვი სასტიკად დამარცხებულა, ეს დამარცხება იქამდე სამარცხვინო უნდა ყოფილიყო, რომ მასზედ ლოფიცკი ასე სწერს იმპერატორს: „... არის დაწვრილებითი ცნობები ერევნის უბედური ლაშქრობის შესახებ, მაგრამ ვერ ვბედავ ის გავავრცელო“ ... *).

ყველა ცნობებით ირკვევა, რომ საქართველოში მდგომარეობა რომ გართულდა, ერევანშიც ციციანოვი დამარცხდა, სადაც ალექსანდრე ბატონიშვილმა მიმავალი სპარსათი ხელში ჩაიგდო და ციციანოვს გზა გადაუჭრა. როცა ციციანოვი უსპარსათოდ შეწუხდა, ის საკითხს აყენებს სამხედრო საბჭოში, უცანასკნელი კი დაადგენს დახევას.

სექტემბრის ბოლო რიცხვებში ციციანოვი იხევს უკან, შეასევს ჯარებს მთიულეთში და აჯანყებას ჩაქრობს.

ლოფიცკის სიტყვით, მან დაარბია მრავალი სოფელი და ტყვედ წამოიყვანა მთელი ოჯახები, დაატუსალა გორის ციხეში, განგებ არ აძლევდა საჭმელს და ყველა ხმლით ამოხოცა **).

ასე უშედეგოდ დამთავრდა ეს აჯანყებაც. ის ჩაქრეს, მაგრამ როგორც ვნახავთ, ჯანყის სული საქართველოს დიდხანს შერჩება.

---

*) იხ. აქტები. ტ. III, გვ. 5.
**) იხა აქტები. ტ. III.

VI

1804 წ. აჯანყების შემდეგ, საქართველო ერთ დღესაც არ დაწყნარებულა. არსებითად აჯანყება გრძელდება და შეიძლება ითქვას, რომ 1802 წლითგან 1812 წლამდე ის განუწყვეტლად ხდებოდა. ხოლო ქართველების მუდმივი მღელვარება ერთნაირად ფრთებს ისხამდა ამ საერთაშორისო ვითარებაში, რომელშიც შედიოდენ მისი მტრები და მოკეთენი და მართლაც, აჯანყებებსაც ბოლო მაშინ მოეღო, როდესაც მთელი ის აფეთრიალებული მდგომარეობა, ნაპოლეონის მოძრაობამ რომ შექმნა, ჩადგა კალაპოტში. ნაპოლეონის საბოლოო დამარცხება, რუსეთ-ოსმალეთის ბუხარესტის ზავი, რუსეთ-სპარსეთის გულისტანის ხელშეკრულება, ვენის კონგრესი და სხვა იყვენ მოვლენები, რომლითაც მთელი პოლიტიკური სინამდვილე შესცვალეს და მათთან ყოველმხრივ დაკავშირებული საქართველოს ამბებიც, თავიანთ პირველ ცოკლს ამით ამთავრებენ.

ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ ვითარებას ოდნავ თვალი გადავავლოთ, რათა გასაგები გახდეს ქართველთა მოქმედების შინაარსი. იყო თუ არა მათი მოქმედება დამყარებული რაიმე რეალურ პირობებზედ.

ეინაიდგან ამ დროიდგან აღმოსავლეთ საქართველოს ბრძოლებთან მჭიდროდ გადაბმულია იმერეთის ბრძოლაც, ამიტომ ამ დროინდელ საერთაშორისო ვითარებას ჩვენ უფრო ვრცლად ვეხებით იმერეთის დაბყრობის ისტორიაში. ნაწილობრივ კი, საჭიროდ მიგვაჩნია აქაც შევეხოთ.

როდესაც ბაბა-ხანი დამკვიდრდა სპარსეთის ტახტზედ, მის ერთად-ერთ საზრუნავ საგანს წარმოადგენდა საქართველოს დამორჩილება; ის აგრეთვე გრძნობდა რუსეთის წაწევას კასპიის ნაპირებზედ და მალე მასაც მოელოდა, ფაქტიური დამოუკიდებლობის დაკარგვა. ამიტომ ის ყოველ ღონეს ხმარობდა, კავკასიაში, ხალხისთვის ხელი შეეწყო რუსების წინააღმდეგ. ის აქეზებდა ალექსანდრე ბატონიშვილს და მისი მეოხებით, სისტემატიურად ამხიდრებდა მთელ კავკასიას. მთელი კავკასია ამ იდეის გარშემო გაერთიანებული მისდევდა ალექსანდრე ბატონიშვილს და მის ყოველ დაძახებაზედ, მზად იყო ბრძოლისთვის.

ერევნის შემდეგ, ციციანოვი 8 თებერვალს 1806 წ. შედის ბაქის დასაკავებლად, მაგრამ აქ მას ჰკლავენ და მის თავს აბას-მირზას უგზავნიან.

ციციანოვის სიკვდილის შემდეგ, საქართველოში მოძრაობა გაძოკოკტლდა. კელავ იწყება შეთქმულება. შესდგა დიდი გეგმა. ამ საერთო შეთქმულებაში შედიოდენ: ავარიის ახმედ-ხანი, ყაზიყუმუხის, შემახიის, ნუხის და სხვა სახანოები. ალექსანდრე ბატონიშვილიც აბას-მირზასთან ერთად სპარსეთის ჯარებით ემზადებოდა, მაგრამ აქ კიდევ დამარცხდა სპარსეთის ჯარი და აბას-მირზა არაქსის მეორე ნაპირას გადაბანაკდა.

ამ ხანებში ოსმალეთსა და ნაპოლეონის შორის მოლაპარაკება გრძელდებოდა და ბოლოს ნაპოლეონი ოსმალეთს დაითანხმებს. უკვე 1806 წ. რუსეთ-ოსმალეთს შორისაც უთანხმოება ჩამოვარდება; ოსმალეთი ესკადრებს გზავნის შავი ზღვის ნაპირებზედ. 1805 წლის -- სექტემბრის ტრაქტატით, რომელიც რუსეთს უფლებას აძლევდა ოსმალეთის ქრისტიანების პროტექტორობისა, და ფოსფორზედ თავისუფალი მოძრაობის საშუალებას, ნაპოლეონს გზას უკრავდა აღმოსავლეთში და საერთოდაც, რუსეთ-ოსმალეთის კავშირი მას ზიანს აყენებდა. და როგორც კი ნაპოლეონმა მიზანს მიაღწია, ისინი გადაჰკიდა ერთი-მეორეს, ოსმალეთმა მაშინადვე აუკრძალა რუსეთს, დარდანელზედ გემების გატარება. წინაღმდეგ იასის ზავის პირობისა, გადააყენა რუსეთის ერთგული მთავრები მოლდავიისა და ვალახიისა და სხვები დანიშნა, ისეთ, რომ რუსეთს არც შეეკითხა.

რუსის წარმომადგენელმა უკანასკნელი ულტიმატუმი წარუდგინა ოსმალეთს და მერე აპირებდა კოსტანტინეპოლის დატოვებას. სულთან სელიმი კაიხანს პასუხს არ აძლევდა და ელოდა, ნაპოლეონის ბრძოლები ევროპაში რით გათავდებოდა; მაგრამ ნაპოლეონის ზედი-ზედ გამარჯვებამ პრუსიაში, სულთანი გაამხნევა. 1806 წელს 18 დეკემბერს, ოსმალეთი ნაპოლეონის გავლენით ომს უცხადებს რუსეთს. დანიუბის ჯარების მთავარსარდლად ნიშნავს მუსტაფა-ბაირალტარს, აზიის კი იუსუფ-ზია-ფაშას. დაიწყო ომი. ამ დროს რუსეთი კიდევ ერთხელ შეეცდება სპარსეთან ზავის ჩამოგდებას, მაგრამ შექმნილი მდგომარეობით წაქეზებული სპარსეთი ზავზედ თავს შორს იჭერს. (რაზეც ვრცლად შემდეგ ვი-

ლაპარაკებთ). მოკლედ, ისიც ოსმალეთს ემხრობა და ორივენი ერთად კვლავ იწყებენ კავკასიის ხალხების მიმხრობას. იუსუფ - ფაშა აგზავნის მთაში აუარებელ პროკლამაციებს და კაცებს კავშირის დასამყარებლად. აბას-მირზა თავის მხრივ სწერდა: „.... ალლახის შეწევნით, როდესაც საშყარო მოიფინება გაზაფხულის სუნნელოვანებით, ჩვენი ძლევამოსილი დროშების არწივნი გაშლიან ფრთებს თავიანთ ბინიდან; მტრობისა და ცბიერების მატარებელი ერის გასანადგურებლად, მაშინადვე, ვეზირი იუსუფ-ფაშაც გაილაშქრებს ბაშჩუკიდან (იმერეთი) ტფილისზედ" და სხ. *). იუსუფ - ფაშა თავის მხრივ ამცნობს, რომ ნაერუზობის დღეს (10 მარტს) ის დაიძრება ტფილისისაკენ და მოუწოდებს მოსახლეობას, შემოუერთდენ ამ დროს მას. საერთო გეგმით, თურქები სამეგრელო - იმერეთის მხრიდან უნდა შესულიყვენ და სპარსელები ყარაბალითგან. ამგვარ ვითარებაში, ქართველები საქართველოსა და საზღვარ - გარეთ სცდილობდენ, ამ ბრძოლაში ჩაბმულიყვენ და საქართველო რუსებისაგან გაეწმიდათ.

როდესაც ნაპოლეონმა ოსმალეთ - სპარსეთი ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანა, შეკრა მათან სამთა კავშირი. 10 მაისს 1807 წელს, სპარსეთთან ხელშეკრულების მე-3 და მე-4-ე მუხლებით, ნაპოლეონმა სპარსეთს საქართველო აღუთქვა**); მაგრამ ეს კავშირები მეტად ხანმოკლე აღმოჩნდენ. ივნისის პირველ რიცხვებში, რუსის ჯარები ალეფაჩაისთან სასტიკად ამარცხებენ იუსუფ-ფაშის ჯარებს, აბას - მირზას ჯარებიც უკან იხევენ; ხოლო 25 ივნისს 1807 წელს, ნაპოლეონი რუსეთთან სდებს ტილზიტის ზავს და მთელი ეს ოცნებაც ასე მალე ჰქრება.

ნაპოლეონის ეს გეგმა ჩაიშალა ტილზიტის ზავით. ნაპოლეონმა იცოდა, რომ ამ ზავის შემდეგ, სპარსეთი ხელითგან გაუსხლტებოდა, ამიტომ მისსა და რუსეთს

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. V. გვ. 142

**) «L'ambition de Feth-Ali était encore plus grande. Il comptait qu'avec l'aide de Napoléon il referait non seulement la Géorgie, mais reprendrait à la Turquie Bagdad et toute la Messopotamie». (Afchar. La politique Européenne en Perse, pp. 33).

შორის მოლოგებას თვით აწარმოებს. ნაპოლეონი ძალიან ელასტიურ პოლიტიკას ეწევა, მას არ სწამს ტილზიტის ზავის ხანგრძლივობა. ამიტომ შისი წარმომადგენლის ღენ. გარდანის გავლენით, აბას-მირზა მხოლოდ ერთი წლით სთხოვს რუსეთს შერიგებას. რუსები მიხვდებიან ნაპოლეონის პოლიტიკას და ზავი არ მყარდება. 1808 წ. ისევ იწყება ომი; რუსეთს იერიში მიაქვთ ერევანზედ, მაგრამ გრაფ გუდოვიჩი მარცხდება და თანამდებობაზეც ეცლება ხელს 1809 წ. მის საქმეს განაგრძობს ღენ. ტორმასოვი. ამდროს კი სპარსეთში ჩამოდის ინგლისის წარმომადგენელი ჰასფორტ-ჯონესი და სპარსეთზედ გავლენას ახდენს; ის სცდილობს, რომ რუსეთ-სპარსეთის შორის ზავი არ მოხდეს, და ნაპოლეონი დააცილოს სპარსეთს. ინგლისის წარმომადგენელი ჰპირდება ზოგიერთი ადგილების დათმობას ინდოეთში და კასპიის ზღვასზედ ფლოტის მოწყობას. მანვე მოარიგა სპარსეთ-ოსმალეთი და მისცა გეგმა კავკასიის ხალხების აჯანყებისა, რუსების წინააღმდეგ.

თურქების ელჩისრები შემოდიან: იმერეთში, გურია-აფხაზეთში, სამეგრელოში ამიერ-კავკასიის მუსულმანურ პროვინციებში. ბაბა-ხანი აგზავნის ფირ.....ფირმაზედ და სწერს, რომ მან უკვე გამოგზავნა ალექსანდრე ბატონიშვილი ახალციხეში. ალექსანდრე ახალციხეში შეუთანხმდება იმერეთის მეფეს სოლომონს. ახალციხის ფაშას და მოიწოდებს მთელ საქართველოს ამბოხებისაკენ. მოგვაყავს 31 აგვისტოს 1809 წ. *) ალექსანდრეს წერილი, ქიმართული საქართველოს სამღვდელოების, თავად-აზნაურობისა და ხალხისადმი:

„საყვარელსა მეფესა და სახსოვარსა მამისა თქვენისა, მეფის ირაკლის ძე ალექსანდრე. მოხუცებულთა ვითარცა მამასა და ჭაბუკთა ვითარცა ძმათა ერთობით ყოველთავე მოგიწერთ სიყვარულსა, მშვიდობასა და მოკითხვასა. არა მოვალ თქვენზედა ძალითა და მახვილითა, არცა შურის გებითა, უკეთუ გაქვსთ რომელთამე წინააღდგომა რაიმე დიდი ანუ მცირე ოდესმეს ჩემისა; არამედ მოვალ ძალითა მღვთისათა სმტერთა ზედა და თქვენ ყოველთადმი მშვიდობით და სიყვარულითა. ვითარცა ძმათა ამბორს გიყოფთ და ვითარცა მამათა პატივ-გცემ;

*) იხ. აქტები. ტ. IV, გვ. 126.

ვიცნობ გვარსა თქვენსა; ვიცი სიძლიერითადმდე, თავდადებით ნამსახურობა მათი; მახსოვს პატივისცემა თქვენი და სიყვარულისა თქვენისათვის არა შეეიწყალებ სიცოცხლესა ჩემსა, ვიდრემდის გამოგიხსნათ თქვენ უფლებისაგან უცხოთასა, რომელთა არა იციან პატივისცემა თქვენი, ვერცა იცნობენ მამა-პაპათა თქვენთა, რომელთა ხელთა შინა არა აქვს დასასრული მწუხარებასა თქვენსა. აწ მოიხსენეთ თქვენცა სიყვარული მამა-პაპათა ჩემთა — მეფეთა, პატრონთა და მეგობრეთა თქვენთა, და კვალად მოიხსენიეთ ტყვეობა მამისა და პაპისა ჩემისა და ტყვედ მიცემა მამიდისა ჩემისა გამოხსნისათვის თქვენისა ნადირ-ავაზარისაგან, და კვალად სისხლითა წამებულისა ქეთევან დედოფლისა, ბებიისა ჩემისა, აბაზ პირველისაგან. და აწ ესოდენ დაუძინებელი თქვენთვის შრომა ჩემი, რომელსა მომაქვს სამთა ძლიერთა და დიდთა ხელმწიფეთა ძალი და ხაზინა სრულიად ირანისა, ოსმანთა და ინგლისისა, გამოხსნად თქვენდა ხელთაგან უცხოთასა. ესე არს მინუტი ბედნიერებისა თქვენისა, რათამცა განაახლოთ ერთგულობა მამა-პაპათა თქვენთა და მიიღოთ პატივი შესაბამი დიდთა და მცირეთა, შეიწყალოთ საბლეულნი, საყმონი და საცხოვრებელნი თქვენნი, და მშვიდობით დაცვისა თქვენისათვის სისწრაფით და ერთგულობით მომამზადოთ საზღვარსა შინა საქართველოსასა, სადა იგი გესმასთ ხმა მოსვლისა ჩემისა და უკეთუ არა ინებებთ, უვალო ვიყო მე ყოვლისა განმწარებისა თქვენისაგან, რომელიც არა მნებავს მე, ვინაიდგან სიყვარულისა თქვენისათვის არს ნიადაგ განუსვენებელი შრომა ჩემი". **აზის ბეჭედი ალექსანდრესი.**

ბრძოლა ისევ ახლდება და ხალხი იარაღს ისხამს. ალექსანდრე ბატონიშვილი ასეთსავე წერილებს უგზავნის კავკასიის მთიულებს; მოუწოდებს აბარდოელებს და ოსებს. მას ყველა ერთხმად ეფიცება. ლეკები უკვე შემოესვიენ ქართლს.

სპარსეთის 10.000 კაცი შეესია ბამბაკის პროვინციას, მაგრამ დამარცხდა და უკან დაიხია. შემდეგ გოგჩის მხრიდგან შემოესევა, აქაც უკან დაიხევს და სპარსელები ტორბასოვს კაცს უგზავნიან მორიგებაზედ, ტორბასოვი სთანხმდება, მაგრამ ასეთ პირობას უყენებს: მტკვარი, არაქსი და არეფჩაი უნდა იყოს ჩვენ შორის საღზვარიო. ეს პირობა არ მიიღო აბას-მირზამ; ინგლისიც

სკდილობდა. რომ სპარსელები არ შერიგებოდენ რუსებს. ომი და უთანხმოება გრძელდება მათ შორის. ამ დროს, 1810 წ. ზაფხულში, სპარსეთიდან ჩამოდის ალექსანდრეს დავალებით იულონის ძე ლევან ბატონიშვილი და შეიპრება ოსეთში. მან აიკიდა ოსეთი. რუსეთითგან მისი მშობლები სწერდენ ტორმასოვს, რომ მათი ახალგაზრდა შვილისთვის ეპატიებინა, და ტორმასოვმა რომ მას კაცები მიუგზავნა, ლევანმა ასეთი პასუხი გასცა — მას შემდეგ რაც ჩემი დედ-მამა რუსებს შეეურიგდენ, მე მათ აღარ ვსცნობ. ლევანმა შესძლო მთელი ოსების ამხედრება; ოსები მას დიდ პატივს სცემდენ, ამიტომ, მიუხედავად მრავალი ცდის და ფულების ხარჯვისა, რუსებმა ის მაინც ვერ ჩაიგდეს ხელთ და ის აქეთგან იმერეთს გაარბის, ხოლო ოსეთს შეაპეკენ რუსები ჯარებს და სასტიკად აოხრებენ.

1811 წელს ინგლისის მცდელობით, სპარსელები და თურქები კვლავ შეერთდებიან და უთანხმოება გრძელდება. ასეთი იყო მოკლედ გარეშე მდგომარეობა და ამ პირობებში დაიწყება საქართველოში 1812 წლის აჯანყება.

VII

გარეგან რომ აღნიშნული ვითარება იყო შექმნილი, შიგნით ქართველობა უარესად შეაწუხეს რუსებმა. პირველი იყო რუსეთის სასამართლოები, რომელნიც ყოველად აუტანელი შეიქმნენ ქართველებისთვის. რუსებს ქართველების არ ესმოდათ და ქართველებს რუსების. ხშირად რუსის მოხელეებს, თვითონაც არ ესმოდათ თავიანთი კანონები და ხალხს, როგორც უნდოდათ ისე აწვალებდენ და სტანჯავდენ. ამ აუტანელ მდგომარეობაში, ხალხის უკმაყოფილება კვლავ იზრდება. ამას უნდა დემატოს მათი ეკონომიური შეევიწროება. იმ ხანგრძლივი ომების დროს, რუსის ჯარის კვება, მთლად ქართველების ზურგზედ გადადიოდა, მოსახლეობა სიმშილით იხოცებოდა, და რუსები მაინც მათრახის ცემით ართმევდენ ყველაფერს, ხან 1/4 ფასებში და უფასოდაც. მთავარ-მართებელი პაულუჩი იმპერატორისადმი მოხსენებაში, ამას თავის პირით აცხადებდა: „... მიუხედავად მცხოვრებთა უარისა და მუდარისა, რომელნიც ნამდვილად

უკიდურეს სილარიბეში იმყოფებიან, მე თავ-თავის დროზედ მივმართავდი ხან დაუვაკებას და ხან ძალას, რომ ჯარი უზრუნველ მეყო" *).

რუსეთის საძაგელ მოქმედებაზედ, მოვიყვანთ ზოგიერთ საბუთებს და მკითხველმა თვით დასდოს მსჯავრი.

დავით ბატონიშვილი თავის მასალებში სწერს:

„წელსა აძასავე 1811 ქ-კს ყუთ, გამოსცვალეს ტორმასოვი და წარგზავნეს მარკიზი პაულუჩი, იტალიელი, ლიანარილი - ლეიტენანტი, აგვისტოში. კაცი ელამი რაგვარადაც თვალითა, ეგრედვე სულითაცა და მოქმედებათა, მაშინ იყო შეშინებაი დიდი ქართველთა ზედან მარკიზისაგან, ესრეთ: ართმევდიან ხშირად ურემთა და ხართა საბძარად მზეღრობისა, რომელ კნინლა დაჰშთათ ხარი სოფელთა შინა, ეგრეთვე სადაც განიელიდიან რუსნი, ამშირვებდიან სოფელთა ცემითა, ტაცებითა და რთმევითა თვინიერ თეთრისა, და იყო ესრედცა სიყბილი, რომელ კოდი პური იყო ექვს მინანთულადა თეთრს ფულად. მაშინ მარკიზმან ებრძანა წარსულისა ორი წლისა პურისა მოკრეფაი სურსათისა კახთაგან, ვინაიდან სიმცროისა გამო მოსავლისა, ვერ ძალედვათ მიცემაი და ბრძანა ყოველსავე სოფელსა ეგზეკუციისა ჩაყენებაი — ორასისა და სამასისა თითო სოფელთა, და სადაცა მიეიდოდიან, იყო ვაებაი მათ ზედან მით, რამეთუ სცემდიან დედაკაცთაცა, და ხელთა ჰკიდებდიან, და ართმევდიან პურთა ძალითა. თუმცალა კახნი ეეედრებოდიან რომელ მიიღონ ნაცვლად პურისა ექვსი მინანთული კოდში და რომელთაც არა აქვნდათ თეთრი, მაშინ ძე და ასულთა თვისთა აძლევდიან, გარნა უქმ იყვს ვედრებაი მათი, და იყო ვალალებაი ერთა შორის. გარნა სხვათაცა ბოროტ - ბოქმედებათა შორის ესეცა ჰქმნეს, რომელ თიანეთის მთავრალთა ოფიცერთა შეიბყრეს დედაკაცი და საშოსა შინა შთაასხეს ძაბრითა ღვინო".

სოფ. ბოდბისხევის მცხოვრებთა მოხსენებაში ეკითხულობთ:

„... ცამეტი წლის განმავლობაში, რაც ხელმწიფემ ლიარსი გაგვხადა მფარველობისა, სული ამოგვხადა უსამართლობამ. ამგვარი უღვთოობა და უბედურება არ გამოგვიცდია ლეკთა, ყიზილბაშთა და ოსმანთა ბატონო-

*) იხ. დუბროვინი. ტ. V, გვ. 460.

ბის დროსაც კი; ვითმენდით, ვიტანდით თავზედ მოვლენილ ჭირსა, რადგან ერთგულობის ფიცი მივეცით ხელმწიფესა. მაგრამ როდესაც ხელიდან ცოლები წაგვგლეჯეს, ველარ მოვითმინეთ და ავიშალენით. რუსებმა მოსტაცეს ცოლი ბინობაშვილს, ორი კვირა ჰყავდათ ბოდბის ხევში და შემდეგ დაითხოვეს; ბალაშვილს და ხაპაშვილსაც წაართვეს ცოლები, თითო კვირა ჰყავდათ თავისას და შემდეგ დაითხოვეს. ცოლთა გაუპატიურება და ნამუსის ახდა საკუთარის თვალით იხილეს, ამ უბედურებმა. კანონი ხელმწიფისა ისეთია, რომ თუ მამაკაცი რასმე დააშავებს, სასჯელიც დამნაშავეს უნდა გადახდეს. ამის მაგიერ, წაალებენ ხელს დედაკაცებს, ჩახდიან ნიფხვებს და ჯოხებით უკან ტანს უჭიელებენ... (შემდეგ აღწერილია მათი შევიწროება სამხედრო ბეგარაზედ გაყვანით და მერე განაგრძობენ) ... ცარცვა-გლეჯისა და ცემა-ტყეპის გარდა, სული გაგვიმწარეს ქრთამების აღებით... ვასმევდით, ვაკმევდით, თუ ქრთამს ვაძლევდით, სულ ერთი იყო, მაინც განუწყვეტლივ გვამათრახებდენ. სასამართლო ხომ არ არსებობდა ჩვენთვის. ისპრაენიკი ნამდვილი ძილის გუდა იყო; მომჩივანს კარებს არ გაუღებდენ, ვიდრე ქრთამს არ დაანახვებდა. გავშებს პურსა ჭამლეკდენ ხელიდან, დედა-კაცებს კისერზე ქვებსა ჰკიდებდენ..." *).

სოფელ პარსანელები სწერენ 1812 წელს სექტემბრის მოურავს:

„... ისე დაგვარბიეს და შეგვაწუხეს მოხელეებმა, რომ გამწარებული სიკვდილს ვეძებდით, მაგრამ ჩვენი მფარველი და პატრონი არასადა სჩანდა. ბაბუნელებელ ცეცხლის ალში გაგვხვიეს, ვიწოდით და ვიდაგებოდით, მაგრამ მანუგეშებელი ვერავინ ვნახეთ. ჯარისათვის ხორბალი უნდა გაგვეყო, როცა არა გვქონდა რა, რას მივსცემდით, მაინც ვყიდულობდით, ლიტრაში 40 კაპეიკს ვაძლევდით, პროვიანტის მოხელენი კი 10 ან 7 კაპ. ანგარიშობდენ. ურმის ქირას 6 მანეთს ანგარიშობდენ (თვეში), როდესაც ჩვენ თვითონ 30 მანეთი გვეკუდებოდა ურემი...

... დიდძალი ხარ-კამეჩი იხოცებოდა ბეგარაზედ; საქონლის მაგიერ ჩვენ გვამავდენ და მათრახის ცემით მი-

*) იხ. აქტები. ტ. V, გვ. 61.

გველალეებოდენ... ღვთის რისხვა იყო სწორედ, ჯარის ჩაყენება ოჯახებში. ვასმევდით სალდათებს, მაინც გვცემდნენ, ვაჭმევდით, მაინც მათრახს ვერ ავცდებოდით. ლოგინებიდან წამოგველალაედენ ხოლმე და თვითონ წვებოდნენ შიგა. ვინ მოსთვლის, რამდენი ცოლი და შვილი გაგვიუპატიურეს და ნამუსი აჰხადეს! ... საჩივლელად მისულს თუ მუშტი შეკუმშული არა ჰქონდა, ნიშნად იმისა, რომ ხელში ქრთამი უჭირავს; სასამართლოში არ უშვებდნენ და ბევრსაც მიაყოლებდნენ ხოლმე. ხუთი მანეთის სალირალი საქმე რომ გვქონოდა, ხუთი თუმანი უნდა დაგვეხარჯა..." *).

სოფელ ბირზაანის მცხოვრებნიც სწერდენ თავიანთ მოხსენებაში:

„... ცოლებსა გვტაცებდენ, ქმრებს ხელებს უკრავდენ და ჩვენ თვალ წინ ცოლებთან მრუშობდენ; დედა-კაცი წვიის და კვიის, კაცო მიშველე, ქმარი კი ლულლულებს: რა გიშველო შეკრულ - შებოჭვილმა..." და სხ. **).

როდესაც შარკიზ პაულუჩმა მოუწოდა კახელებს, დაწუნარებულიყვენ, მათ ასეთი პასუხი გასცეს;

„... თქვენ თვითონ მოგვეცით მიზეზი, რაც დაპირებული იყო ყოველად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორის მიერ, თქვენ არ შესარულეთ, თქვენ მოგვეცით მიზეზი მით, რომ ხალხს ხოცავდით, თოკებზედ ანჩრობდით, ერთგულნი და დამნაშავენი გარჩეული არ იყვნენ. მას, რაც არ გვებადა ეგზეკუციებით და ხიშტებით გვაიძულებდით მოგვეცა, ხოცავდით ჩვენს ცოლებს და შვილებს; წაგვართვით პური და შიმშილით გვხოცავდით, და გვეუბნებოდით, რომ ბალახი გვეძოვნა. ბავშმა ბალახი როგორ უნდა მოსძოვოს! (და ბოლოს დასძენენ) ... ჩვენი თქვენთან შერიგება შეუძლებელია, ჩვენ ისეც მკვდრები ვართ და უნდა დავიხოცნოთ... თქვენ გვატყუებდით და ჩვენ ვითმენდით, უკვე მეტი აღარ შეიძლება, ეხლა აღსრულდა და ჩვენ უნდა დავიხოცნოთ..." ***).

აღარ განვაგრძობთ დოკუმენტების ამოღებას, რომელთა რიცხვი უამრავია და რომელთა შინაარსი სავ-

---

*) იხ. აქტები. ტ. V, გვ. 81.
**) იქვე. გვ. 83.
***) იხ. აქტები. ტ. V, გვ. 82.

სეა ისეთი ამბებით, რომლის მსგავსი რამ არც ერთი დაბეჭდილი ერის ისტორიას არ ახსოვს.

აი, თვით რუსის ისტორიკოსი, რომელიც უფრო შეფერადებით სწერს, რას ამბობს რუსების მიერ, ქართველებს შევიწროვებაზედ: „... დარჩენილი საბუთებიდან სჩანს, სულ მოკლე ხნის განმავლობაში, ამიერკავკასიის მცხოვრებთ გაჰყავდათ 112,154 ურემი, ხარებით ან კამეჩებით და 99,780 საპალნის ცხენები თავიანთი გამყოლებით. ეს რიცხვი თავისთავად საკმარისია დავასკვნათ, თუ რათ უნდა დასჯდომოდათ მცხოვრებლებს ასეთი ბეგარა, ისიც ისეთ პირობებში, როცა არც სურსათი ჰქონდათ, გზები იყო ცუდი და გაყვანილი ცხოველებიდან სახლში ცოცხალი ბრუნდებოდა არა უმეტეს ერთი მეოცედისა, სხვა გზაში იხოცებოდა“ *).

საქონლის ფასებზედ რასაც რუსები იხდიდენ, ის სწერს:

„ფასები პურზედ დანიშნული იყო ნახევარი და ხშირად მეოთხედი ნამდვილი ღირებულებისა; მაგალითად ხაზინა მათ აძლევდა კოდ ხორბალში 6 აბაზს, მაშინ, როდესაც მცხოვრებნი მას ყიდულობდენ 25 აბაზად“.

მიუხედავად ამგვარი საშინელი მდგომარეობის, იმავე ავტორის სიტყვით: „... ქართველები იხდიდენ მორჩილებით და არ ჩივოდენ, მანამდე, სანამ მათმა შევიწროებმა არ მიაღწია უკიდურესს საზღვრებს“. ბოლოს კი როცა პირდაპირ შეუძლებელი შეიქმნა ხალხისათვის გადახდა იმის, რაც არა ჰქონდა, რუსები ჩაუყენებდენ ხოლმე ყოველ სოფელს 200 - 300 კაცს ვამოსაკვებად, რასაც „ეგზეკუციას“ უწოდებდენ; ხოლო უკანასკნელნი კი, აოხრებდენ სოფლის უძრავ - მოძრავ ქონებას და მცხოვრებლებს უმოწყალოდ აწიოკებდენ. აი თვით რუსის ისტორიკოსის დუბროვინის სიტყვები ერთ ასეთ „ეგზეკუციაზედ“: „... დაინიშნა ეგზეკუცია. დარიგდა ჯარები სოფლებში მათი განადგურებითა და შეურაცყოფებით, მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ გაუარესდა. შინაური ფრინველები, ღვინო, ბოსტნეულობა, ცხენები და მთელი მათი ქონება მთლიანად გადავიდა ჩასახლებულთა განკარგულებაში. ფენახების სარეები და ლობიები გამოყენებული იყო საწვავად. მცხოვრებთა თიკვას

*) იხ. დუბროვინი. ტ. V, გვ. 459.

თავიანთი ცხენებისათვის სთიბდენ და მათ ნებას არ აძლევდენ, საკუთარი მიწაზედ, საკუთარი საქონელი ეძოვებინათ. ყველაფერი ეს ხდებოდა ახლილად, მცხოვრებთა ყოველგვარი ჩივილისა, წინალმდეგობის გარეშე, რათგან საპასუხოდ ისინი მოელოდენ მხოლოდ მუქარასა და სასჯელს" *).

ასეთ საშინელ მდგომარეობაში ჰყავდათ ჩაყენებული ქართველი ხალხი. 31 იანვარს 1812 წელს, სოფ. ახმეტში შემოვიდა ეგზეკუცია და ხალხს მოსთხოვა გადასახადი; ხალხმა უარი უთხრა და რუსები სოფლიდან გარეკეს. მეორე დღეს, როდესაც რუსებმა იქ ახალი რაზმი გაგზავნეს, ქართველები ტყვეთით დახვდენ. მალე მათ შემოუერთდენ თუშ-ფშავ-ხევსურები და გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. ერთმა ქართველმა ქალმა, რომელიც შეეარდა შამაკაცებში და მივიდა ქმართან, მოხადა ქუდი, მას თავისი ლეჩაქი დაახურა და უთხრა: — ახლა შენ ცოლი ხარ და მე ქმარი, მე გაუპატიურებული ვარ და მინდა მტერს სამაგიერო გადაუხადოვო. ამოიძრო ქმარს ხანჯალი და სახლისკენ გაქანდა, მას გაყვა ხალხი, იქ ნახეს მრავალი რუსები, რომელნიც მთლად ამოჟლიტეს. აქეთგან აჯანყება სულ მალე მთელ კახეთს მოედო. ხალხი რუსის კაპიტან-იმპრაენიკებს ალარასად არ ემორჩილებოდენ და სადაც კი რუსს ნახავდენ, უწყალოდ ხოცავდენ.

როდესაც მთავარ-მართებელმა შეიტყო აჯანყების ამბავი, მაშინადვე ბრძანება გასცა, შეეჩერებინათ სურსათის აკრება. მიილეს ყოველივე ზომა, მაგრამ გვიანი იყო. ხალხს მათი ალარ ესმოდა. და როგორც მთავარ-მართებელი სწერდა შემდეგს იმპერატორს: „... განრისხებული ხალხი ყურადღებას ალარ აქცევდა არავითარ რჩევებს, ესროდენ მათაც, ვინც მათ ამშვიდებდა; ხოცავდენ ყველას, განურჩევლად, თვით მთავრობის მიერ გაგზავნილ პირებსაც" **).

როგორც კი შეერთდენ კახელები და თუშ-ფშავ-ხევსურები, მაშინადვე რუსებს უკან დასახული გზები შეუკრეს; თელავსა და სიღნაღს ალყა შემოარტყეს და გარნიზონებს ყველები გამოსჭრეს. შემდეგ სოფ. კაკაბეთში

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. V, გვ. 462-3.

**) იქვე. გვ. 466.

მეფე ესკადრონს თავს დაესხენ და ისინიც ამოხოცეს. ასე მოექცენ ყველგან, სადაც ერთი რუსი მაინც ნახეს. კახელებმა ძალიან მალე გასწმინდეს კახეთი რუსებისაგან და მაშინადვე ამოირჩიეს მეფედ გრიგოლ ბატონიშვილი; მოსკოვში მეფეს იოანე (გიორგი XII-ის ძე) ბატონიშვილის ძე. თუმცა ტახტის მემკვიდრე ჯერ დაბითი იყო, რომელსაც შვილი არ ჰყავდა და მერე ხალხმა იულონიც იცნო, მაგრამ აქ ამ ფორმალობის დრო არ იყო, მეფის ოჯახიდან ერთ-ერთი წევრიდა მონახეს, რომელიც რიღაც მანქანებით გადარჩენილი იყო რუსეთში გადასახლებას.

აქამდე ხალხშიაც უცნობი გრიგოლი, რომელსაც მცხოვრებთა ვიწრო წრე ინახავდა უთუოდ, ღღეს მეფის რიგში გამოსვლით, უცბად მოიხვეჭს სახელს და მთელი ხალხი მას შეეფიცება. გრიგოლი მიიღებს მეფობას და აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგება. გრიგოლის სახელი რიგორც მეფის, უკვე იხსენიება ყველა ეკლესიებში. ის აქვეყნებს ალმაფრთოვანებელ მოწოდებებს და მოუხმობს, ქართლ-კახეთისა და მთის მოსახლეობას, შეერთგენ რუსების განსადევნელად. მართლაც, მთელი ხალხი, რიგორც ერთი კაცი, ისე ემორჩილებოდა მის ყოველ სიტყვას. ხალხი დგება აჯანყების დროშის ქვეშ; სწერენ ერთი მეორეს წერილებს, ცოლი ქმარს აქეზებს, დედა შვილს და ყველა ერთხმად ფეხზედ დგება. აი რას სწერენ ამ დროს კახეთის 31 მოწინავე პირები ყაზახის ალალოვებს და ხალხს: „... ჩვენ ყველა, კახეთის თავადები, ქიზიყის მოხელენი და ქეიხები, მოსახლეობა ხევსურეთისა, თუშეთისა და ფშავისა გწერთ თქვენ, გვეარწმენეთ, რომ დაწყებული თიანეთიდან ქიზიყამდე და ქიზიყიდან მარტყოფამდე რუსის ხსენება ალარ არის. ამ ჩვენს შეეიწროებაზედ გვაჩვენეთ, რაც შეგიძლიათ, რაიმე საქმე, ე. ი. საჩქაროდ მიიწვიეთ ბატონიშვილი (გრიგოლი). ჩვენ ერთად-ერთი მეფის შეტი არაფერი გვაკლია, თუ თქვენც ჩვენთან თანახმანი ხართ — გვიპასუხეთ. თუ არა, მაშინ ჩვენ თვითონ მოვაგვარებთ ყოველივეს. თუ ჩვენ არ დაგვიჯერებთ, აქ ჩვენთან თათრებიც სცხოვრობენ, ჰკითხეთ მათ და გაიგებთ, რომ ჩვენ სისხლში ვართ გასვრილნი" *).

---

*) იხ. ლებრეოვინი. ტ. V, გვ. 468.

კახეთის ჯარების უფროსი ღენერალი პორტნიაგინი, ცოცხლად დარჩენილი ჯარებით უკან დაიხევს და შეუდგება ტფილისის გამაგრებას. აჯანყება ძლიერდება. მთავრობამ გადასწყვიტა შეიარაღებული ძალით ჩაეჭრა; ქართლიდან იგზავნება ექვთი ბატალიონი პოდ. პოლკ. უშაკოვის მეთაურობით, მათ შეუერთდა მუხრანის ჯარი. ვლადიკავკაზის კომენდანტს უბრძანეს გზების გაწმენდა. ტფილისიდან გადის ტიხონსკის ბატალიონი.

მთავარ-მართებელი პაულუჩი ამ დროს ბაქოში იყო, ის საჩქაროდ ბრუნდება და მაშინადვე ტფილისის პოლკიდანაც ერთ ბატალიონს აგზავნის ისევ ღენ. პორტნიაგინის მეთაურობით. მთავარ-მართებელმა ღენერალი კარგად დასტუქრა, რომ მას შეეშინდა და აჯანყებულებს გამოეექცა. უკმაყოფილო პორტნიაგინიც თავს მოიავადმყოფებს და აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობაზედ უარს ამბობს. მაშინ თვითონ პაულუჩი იღებს ხელმძღვანელობას აჯანყებულთა წინააღმდეგ.

აჯანყებულებმა მიმართეს ამდროს ახალციხის შერიფ – ფაშას; უკანასკნელმა იდროვა და თავს დაესხა ქ. ახალქალაქს, რომელიც ამ დროს რუსების ხელში იყო, ორჯერ მიიტანა იერიში, მაგრამ ვერ აიღო.

მთავარ-მართებელი ვავიდა თუ არა ტფილისიდან, მოწოდება გაუგზავნა აჯანყებულებს. ის მოუწოდებს მათ დაწყნარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება განადგურებით. მერე მოლაპარაკებასაც გამართავს, მაგრამ აქეთგან არაფერი გამოდის. აი რა მიუგია აჯანყებულთა მეთაურმა მთავარ-მართებლის მოციქულს: „... ჩვენ ვიცით, რომ ცოტანი ვართ შედარებით რუსებთან, არ ეფიქრობთ, რომ ისინი დაეამარცხოთ მაგრამ გვსურს, რომ მათ ჩვენ გაგვანადგურონ... ჩვენ ბევრი მოვითმინეთ; ახლა კი, როცა ღმერთმა მოგვივლინა ეს საშინელი სიმშილობა, როცა ჩვენ ვიკვებებით ბალახითა და მცენარეთა ფესვებით, ჩვენ ძალით გვთხოვენ პურსა და სუსრსათს. გაგვყარეს ჩვენი საკუთარი სახლებიდან, დახსნეს ჩვენი კიდობნები და ორმოები ღვინის, დაითვრენ სასტიკად და დანარჩენიც წაახდინეს, შიგ ათასი სიბინძურის ჩაყრით" *). და აქ კიდევ ერთხელ განმეორებულია ის უბედურება, რასაც რუსები აწევდენ და ბოლოს დასძენს: „... და ჩვენ გვახსოვს, პასუხები ჩვენი უფროსები-

სა, როცა მათ მივმართავდით საჩივრებით. — ღმერთამ-დის მალალი მანძილია და მეფემდის შორია".

როგორც ვხედავთ, აჯანყებულებმა უარი უთხრეს მთავარ-მართებელს თავისით დაწყნარებაზედ; ამიტომ მთავარ-მართებელი შეესია ჯარებით და მცხოვრებლებს დაუწყო უწყალოდ ჟლეტა. მალე ჩაიგდო ხელში გრიგოლ ბატონიშვილი და რუსეთში გაიტეტეა, აჯანყებაც ძალათი ჩაქრა და ხალხის დასამშვიდებლად და მოსაჩვენებლად, სურსათის შემსყიდველი ჩინოვნიკები უკან გაიწვია და დროებითაც ვახტანგის კანონები შემოილო ხმარებაში. მაგრამ აჯანყება ამით არ გათავდება, ეს იყო მხოლოდ პირველი ეპიზოდი, და ის მალე ისევ განახლდება.

VIII

ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთ - ნაპოლეონის შორის ომი მეორედ იწყებოდა, ამიტომ კავკასიის ფრონტზედ ჯარებს ვერ უგზავნის რუსეთი, პირიქით, კარგ მხედრობას ყოველი მხრიდან ცენტრალიზაციას უხდენს. ამიტომ იყო, რომ საქართველოდანაც პაულუჩი გაიწვია და მის ადგილას დაინიშნა რატიშჩევი.

ზუსტად ჩენ ვნახავდ, რომ ტილზიტის ზავმა, სპარსეთის უთანხმოება რუსეთან ვერ შეაჩერა. ოღონდ, ნაპოლეონის მაგიერ, მათზედ იზრდება ინგლისელების გავლენა. ამ შემთხვევაშიც რუსების მიმართ მდგომარეობა უცვლელი დარჩა. ინგლისი ამ დროს თავის წარმომადგენლის სირ გოლ უზელეის საშუალებით, მეტად ელასტიურ დიპლომატიას უწევა. ის სცდილობს, როგორმე რუსეთს მეტი ადგილები დაათმობინოს სპარსეთისათვის; ამით შეაფერხებს რუსეთის წამოწევას წინა აზიაში და მერე სპარსეთის გულს მოიგებს. ხოლო მეორეს მხრივ ეშინია ნაპოლეონის და ამიტომ ამავე დროს, უნდა სპარსეთი რუსეთთან ზავში ამყოფოს. მოკლედ, მას უნდა სპარსეთი ისე ატრიალოს, რომ ორივე მოპირდაპირის წინალმდეგ იარაღად გამოიყენოს, როცა რომელთან დასჭირდება.

ასეთია მთავარი ძარღვი ინგლისის პოლიტიკისა წინა აზიაში. ს ცდილობს გავლენის ქვეშ იყოლიოს სპარსეთი და ოსმალეთიც, რათა ყოველ შემთხვევაში, გამო-

იყენოს ისინი ნაპოლეონ - რუსეთის წინააღმდეგ, აღმოსავლეთში თავისი გავლენის და ბატონობის შენარჩუნებისათვის.

ახლაც, როდესაც რუსეთი დაინტერესებული იყო აბას - მირზასთან ზავით, რათგან ნაპოლეონი მოსკოვს მიადგა და კავკასიის ფრონტზედ ბრძოლა გაუჭირდებოდა, მით უმეტეს, შიგნითაც აჯანყებები იყო, ინგლისელებმა წააქეზეს აბას - მირზა და მან რუსების მოთხოვნილება არ მიიღო. ზავის საკითხი გაჭიანურდა. სპარსელები ელოდენ ნაპოლეონის შედეგებს. ერთხელ, ფეტალი - შახი ნაპოლეონს წინადადებასაც აძლევდა, რუსეთის დანაწილების, და დღეს ნაპოლეონის მოსკოვზედ გალაშქრებას არ შეიძლება სპარსეთზედ გავლენა არ მოეხდინა. აბას - მირზა ჯარებს აგროვებს

თუშ - ფშავ - ხევსურებში ისევ აჯანყება იწყება. ისინი კაცებს აახლებენ სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილს და სთხოვენ ხელმძღვანელობა გაუწიოს. ალექსანდრემ მაშინადვე კაცი აფრინა აბას - მირზასთან; ის კავშირში შედის ერევნის ხანთან, ახალციხეში მყოფ იმერეთის მეფე სოლომონთან და თვითონაც ემზადება საქართველოში შემოსასვლელად. მანამ კი საქართველოსა და მთის ხალხებში აგზავნის პროკლამაციებს და კაცებს. აი მისი პასუხი ქართველების მოწვევაზედ. 11 ივლის 1812 წელს *):

„... ქ. მათს ბრწყინვალებას, ერთობით თელავის ზეით თავადთ, აზნაურთ, მოხელეთ და სრულიად თელავის ზეით თემის ხალხთ, ს. ქართველოს მეფის ძე ალექსანდრე მრავალს ძმურის სიყვარულით აღესილს მოკითხვას მოგახსენებ; მერმე თქვენგან გამოგზავნილთ თავადთ, აზნაურთ და გლეხთ ყოველთავე ღვთის მოწყალებით მშვიდობით აქ ჩვენთან მოაწიეს და ეს თავადები შაჰზადა რომ მობრძანდება, წინ მიეგებებთ და ჩვენც მზადებაში ვართ, რომ ამ რამოდენიმე დღეს ღვთის შემწეობით მანდ ვართ და ჩვენს სიხლესაც თქვენს სისხლში გავრევთ... ამაზე სარწმუნო მექმენით, რომ ერთ კვირას თქვენთან სიცოცხლე, ათას წელიწადს სხვაგან ცხოვრებას მირჩევნია... ესეც კარგად იცით, რომ რათგან სისხლში გაერიენით და მაგდენი რუსი გასწყვიტეთ, ღმერთ-

*) აქტები. ტ. V.

მან ნუ ქნას, რომ მაგათ ძალი მოიკვენ, არას დროს არ შეგარჩენენ და მაგათი ფიციც დასარწმუნებელი არ არის; თუ ლბილს სიტყვას გეუბნებიან, მაინც უკანასკნელი რუსებისა სიცრუვე, ორპირობა და გაუტანლობა არის. ბუნებით მუხთალნი არიან. ჩვენ რომ არა დაგვეშავებინა რა და შემწეობის მაგიერ ასე დაგვამხეს, თქვენ რომ აგრე სისხლში მორეულნი ხართ, ხომ კარგად იცით, არ გიცოდებენ და არც შეგარჩენენ და არც ჭეშმარიტება მაგათში მკვიდრობს და თუ თქვენგანით ვისითმე მოტყუებით და ანუ ნივთის მოყუარეობით გაცდუნებენ, მაინც უკანასკნელი საფრხე არის, რომ მაგათგან უკანასკნელ ერთგულთა და ორგულთ მისაგებელი, ერთი მიეგება ყოველთვის — ციბირი. თქვენ მაგათს რბილს სიტყვას და სიცრუეს ნუ აჰყვებით და ნურც ენდობით, და როგორც მზნედ მოქცეულხართ, ისევე ისე მზნედ აღიჭურენით და მზანი იყავით, რომ ღვთის მოწყალებით ჩუენც მანდა მომსვლელნი ვართ და კიდეც მოვალთ ღვთით...";

ალექსანდრე სწერს აუარებელ წერილებს ყველა თავადებს, განსაკუთრებით ისეთებს, ვინც მერყეობენ და არ უნდათ რუსების წინალმდეგ იარაღი აიღონ. აი გაბრიელ ყაზბეგს როგორ არწმუნებს, რომ ის აუცილებლად მიუდგეს აჯანყებულებს: „... მერწმუნე გაბრიელ. ჩვენი წყალობა საუკუნოა ხოლო რუსების წარმავალი და როგორც ქარი ისე გაქრება" *).

9 აგვისტოს 1812 წელს, უკვე 20.000 სპარსეთის ჯარი შემოესევა ტალიშინის სახანოს, ალექსანდრე ბატონიშვილი კი შემოიჭრება საქართველოში.

სექტემბერში მთელ საქართველოში მოედება პროკლამაციები, რომ ალექსანდრე შემოდის კახეთში და მთელი ხალხი შეუერთდება მას; ალექსანდრე მალე ჩაუდგა აჯანყებულებს სათავეში. მან მიიმხრო ლეკების დიდძალი ჯარი და რუსებს სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა. რუსები ყოველ ზომას იღებენ ბატონიშვილისგან ჩამოიცილებინათ ხალხი, მაგრამ ვერას მიაღწიეს. ალექსანდრეს წინალმდეგ გაგზავნილი მაიორი ორბელიანი სწერდა მთავარმართებელს: „... როდესაც მე ერთ ადგილას ვმოქმედობ, მომყავს მცხოვრებნი მორჩი-

*) იხ. აქტები. ტ. V, გვ. 360.

ლებაში, ისინი მე მოვრჩილებას მიცხადებენ, ხოლო რო-
ცა მეორე ადგილას გადავალ, ბატონიშვილი თავის პარ-
ტიით ანადგურებს მათ და ისევ თავის ამალას უბრუ-
ნებს" *).

მაგრამ ბოლოს რუსებმა ეს აჯანყებაც ჩააქრეს და
აჯანყების მონაწილეთა ფული გადასახდევინეს მოსაჩვენე-
ბლად, ხოლო აუარებელი გასწყვიტეს.

ალექსანდრე გარბის ფშავში და აქ იწყებს მთიულე-
ბში შეხვედებას. ყაბარდოს თავადი ასლან ბეგი სწერდა,
რომ თუ ალექსანდრე შეძლებს შეკრას კავკასიის გზა,
რუსეთიდან საქართველოში მომავალი, მთელი ყაბარდო
მას დაეხმარება; ასევე დახმარებას ალუთქვამენ ჩეჩნე-
ბიც,, ხოლო დალესტანი მას ჰპირდება 40.000 კაცს**).

ალექსანდრე ახერხებს ყველა კავკასიელების გაერ-
თიანებას და კვლავ აჯანყებისთვის ემზადება. რატი-
შჩევს კი დიპლომატიურ წერილებს სწერს. რუსებმა
ცხადია ყველაფერი იცოდენ, ამიტომ შეასიეს ჯარები
და ქართველ მთიულებს წაართვეს 40.000 საქონელი და
ემუქრებოდენ, რომ სულ ამოგწყვეტთ, თუ ალექსან-
დრეს არ გასცემთო. მთაში მიდის 3 წყება ჯარებისა, ალე-
ქსანდრეს დასაჭერად, მაგრამ ამაოდ; ის მთიული რაღა
მთიული იქნებოდა თუ ალექსანდრეს გასცემდა. მათ გა-
სწირეს მთელი ქონება, ოჯახი, სახლ-კარი და ბატონი-
შვილი მაინც არ გასცეს. რუსებმა გადასწვეს ხევსუ-
რეთის და ქისტების 30-ზე მეტი სოფელი და მცხოვრე-
ბლები ამოხოცეს ***).

ამ საშინელი ხოცვა-ყლეტის მიზეზად რატიშჩევი
ასახელებდა ალექსანდრე ბატონიშვილს, მისადმი მიწე-
რილ წერილში; ხოლო ალექსანდრე ამ წერილზედ 15
თებერვალს 1813 წელს უპასუხებს: „...განსაკუთ სამა-
რთლიანად, თქვენო უმაღლესობავ, თუ თქვენ არ მოქმე-
დობთ სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის, მაშინ ამ
მოხუცებულობის ჟამს, დღეითგან თქვენის მოსვლისა,
რატომ ხართ მუდმივ მოუსვენრობაში! მე კი მამტკიცე-
ნებთ იმაში, რომ მე ჩემი სამშობლოსი და ხალხის გუ-

*) იხ. დუბროვინი. ტ. VI, გვ. 66.
**) იხ. აქტები. ტ. V — № 449 - 451; დუბროვნი. ტ. VI, გვ. 105.
***) იხ. დუბროვინი. ტ. VI, გვ. 112.

ლისთვის ერაკი შეიმოუშვი ჩემი ცხენი, არაფრის გაწირ-
ვას არ ვერიდები...

„მართალია, ჩემს ეხლანდელ ცხოვრებას, ცხოვრება
არ ეთქმის, მაგრამ ამ ჩემს განუწყვეტელ ტანჯვას ჩემის
სამშობლოსათვის არაფრად მიეჩნევ". „ჩემი ძმისწულის
ლევანის ტყვედ წაყვანა არ შეეფერება თქვენს სახელო-
ვან პიროვნებას, და მეც მასზედ ვჩუმდები. ის იმყოფება
სავანეში აბრაამისა, რათგან თავი დასდო სამშობლოსა-
თვის".

ამგვარად ალექსანდრეს სული გამწარებული ჰქონდა
და სიკვდილით მას ვერავინ შეაშინებდა; თუმცა ის ხე-
დავდა, რომ საქმის მოგება ძნელი იყო, მაინც კიდევ რა-
მდენიმეჯერ მოახერხა ლუკვებითა და მთიულებით რუსე-
ბზედ თავდასხმა, მაგრამ დამარცხდა. რათგან საერთო
მდგომარეობა შეცვლილი იყო და სპარსეთ - რუსეთის შო-
ლისაც მოლაპარაკება დამთავრებული იყო. სპარსეთ -
რუსეთის ზავისაც და საქართველოს საკითხიც უფრო
შორს გადაწყდა — ბოროდინოში. და უცნაურია ქართ-
ველი ხალხის ბედი, რომ იქაც ქართველი ადამიანის პე-
ტრე ბაგრატიონის ხმალმა გადასწყვიტა ის... ამიტომ მა-
რთალი იყო რუსეთის სამხედრო მინისტრი გორჩაკოვი,
რომელიც სწერდა რატიშჩევს: „... ჟზენაეს უკურთხა
რუსეთს მისი იარაღის წარმატებანი, ევროპის გადარჩე-
ნისთვის, და გვიანდერძა ალგვედგინა სიწყნარე არაქს-
ზედ *).

ამგვარად ირკვევა, რომ რუსეთი საერთო პოლიტი-
კის სისტემაში გამარჯვებასთან ერთად, იმარჯვებს სპა-
რსეთზედაც და საქართველოს საკითხი ამიერიდგან სა-
მუდამოდ დაიმარხება.

ნაპოლეონის დამარცხება უკვე საკმარისი იყო, რომ
სპარსეთისაც თავი დამარცხებულად ეგრძნო. ამიტომ
უკვე 1 ოქტომბერს 1813 წელს მოაწერა ხელი ომის
პირობას, ხოლო 12 ოქტომბერს 1813 წელს, გვილისტან-
ში რუსეთისა და სპარსეთის წარმომადგენლებმა ხელი
მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას **).

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. VI, გვ. 129.

**) იხ. G. F. de Martens. Recueil des principaux traités: 1820. Göttingen, t. IV, p. 89.

აღნიშნული ხელშეკრულებით, რუსეთს სპარსეთი უთმობს საუდამოდ: ყარაბაღის, განჯის, შექის, შირვანის, დერბენტის, ყუბის და ტალიშნის სახანოებს.

ამასთანავე მთელი დაღესტანი, საქართველო, შულაველის პროვინციით და ყველა ის მიწები, რომელნიც მდებარეობენ ტრაქტატით, განსაზღვრულ ხაზის შიგნით კავკასიის ხაზამდე, ირჩება რუსეთის საკუთრებად, ე. ი. სპარსეთი მთელ კავკასიას სცნობს რუსეთის საკუთრებად. ტრაქტატის მე-5-ე მუხლი, აგრეთვე კასპიის ზღვაზედ სცნობს მხოლოდ რუსეთის ფლოტის ბატონობას.

ამით ყველაფერი გათავებული იყო; თუმცა გულის მოსაგებად რატიშჩევმა ნება მისცა შახს ელჩი გაეგზავნა იმპერატორის კარზედ და ტრაქტატით დაკარგული ზოგი ადგილები უკან მოეთხოვა, მაგრამ ამას არაფერი შედეგი არ მოჰყოლია — ისე რომ, სპარსეთის მხრივ ყოველგვარ ცდას, კავკასიის დაბრუნებაზედ, და მაშასადამე ალექსანდრე ბატონიშვილის და ყველა ანტირუსულ ელემენტთა იმედებს, აღნიშნულმა ზავმა საბოლოო ჯვარი დაუსვა.

ალექსანდრე ბატონიშვილი ბედს მაინც არ შეურიგდა. მან უარჰყო რუსების წინადადება და სამუდამოდ სპარსეთში გადაიხვეწა. მისი ცოლი და ერთად-ერთი მცირეწლოვანი შვილიც, ირაკლი, რუსებმა ჩაიგდეს ხელში და რუსეთში გადაასახლეს, ხოლო თვითონ ღრმა მოხუცებულობამდე იცხოვრა სპარსეთში, შახის პატივისცემაში.

თავი IX

იმერეთის სამეფოს დაბურობა რუსეთის მიერ

I

კავკასიის დაბურობას რუსეთისათვის, პირველი ადგილი ეჭირა აღმოსავლეთის საკითხის რკალში. ქართლ-კახეთის ანექსიით საქმე დამთავრებული არ იყო, თუმცა კავკასიის მთავარი ძალა დამარცხებული იყო. რუსეთი საჭიროებდა დროზე დაბურობას, როგორც საქართველოს ყველა ნაწილებისა, ისე კავკასიის სახანოებისა, რათა ცრუთხელ და სამუდამოდ შინაგან წინააღმდეგობათაგან უზრუნველ ეყო თავი და სპარსეთ-ინდოეთის და შავი და ხმელთაშუა ზღვებისაკენ თავისუფლად დაძრილიყო. პირველი მიმართულება მოითხოვდა დროზე დაბურობას ბაქოს, ყარაბაღის, ერევნის და სხ. სახანოთა, ხოლო მეორე — იმერეთის, გურია-სამეგრელოსი და აფხაზეთისა. შავი ზღვის ამ ხაზის დაბურობით, ის უზრუნველ ჰყოფდა ოსმალეთის საზღვრებს კავკასიის ფრონტზე, ხოლო აღნიშნული სახანოებით სპარსეთის საზღვრებს.

აი რა ჰქონდათ მთავარ საზრუნავ საგნად რუსებს, ქართლ-კახეთის ანექსიის შემდეგ. და თუ რუსის ლენერლების ოცნებათ—მალე ვერ შეიხსნეს ფრთები, ისე როგორც ეს მათ ელანდებოდათ, ამის მიზეზი იყო ორი ფაქტორი, ორივე საკმაოდ ძლიერი. პირველი ის, რომ იმდროინდელი საერთაშორისო მდგომარეობა, როგორც თავ-თავის ალაგას ვნახავთ, რუსეთს ნებას არ აძლევდა, ასე ადვილად განეხორციელებინა თვისი სურვილები, ხოლო მეორე რაც ალბად უფრო ნაკლებ გათვალისწი-

ნებული ჰქონდათ მათ. ეს იყო თვით კავკასიის ხალხი. კავკასიის, ბუნებით ლაღნდ და მებრძოლი ხალხისაგან, საშშობლოს ძალათი ხელოთგან გამოგლეჯდა ანაც ისე ადვილი საქმე იყო. ეს კავკასიამ და საქართველომ დაუმტკიცა ოსებს, თავისი ნახევარსაუკუნიანი ეგმირული ბრძოლებით, და მათ მისი დაბყრობა ძალიან ძვირად დაუსვა.. კავკასიისა და საქართველოს დაბყრობა რუსეთმა ერთი ხელის დაკვრით ვერ მოახერხა და თითეული კუთხის დაბყრობისათვის მას დასჭირდა ხანგრძლივი დრო და უზომო მსხვერპლი. ეინაიათგან თითეული სამეფოს ან სახანოს დაბყრობა ხდებოდა საერთაშორისო მდგომარეობის გარკვეულ ვითარებაში, ეინაიდგან ის ხდება სხვა და სხვა დროსა და სხვა და სხვა მიდგომით, ამიტომ ყოველ მათგანს, თავისი საკუთარი ისტორია აქვს. ჩვენც მათ ცალ-ცალკე ვანვიხილავთ. მთელ კავკასიასა და საქართველოში მეოთხე სამეფო, ქართლ-კახეთის შემდეგ, იმერეთი იყო. ეკერ როგორც სამეფო და ბეკრე როგორც ძლიერი ძალა, რუსების ყურადღება მან უფრო ადრე მიიბყრო და რომ საერთო ვითარება არ გამხდარიყო მიზეზი, მისი ბედიც უფრო ადრე უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ, სანამ დაბყრობის ისტორიას დავიწყებდეთ, მოკლედ აღვწერთ იმერეთის იმ დროინდელ შინაგან მდგომარეობას.

II

23 აპრილს 1784 წელს, დარდაიცვალა იმერეთის მეფე სოლომონ I-ლი; მას შემკვიდრე არ დარჩა *), ამიტომ

*) სოლომონ I-ს ჰყავდა ერთი შვილი ალექსანდრე, რომელმაც შეიყვარა ელენტის ასული მარიამი და მასთან ცხოვრობდა. ეს სოლომონმა არ იცოდა და როცა გაიგო, გაჰკიცხა შვილის საქციელი, მარიამი მიატოვებინა და დანიშნა წულუკიძის 8 წლის ქალიშვილზე, მაგრამ ქორწინება ალარ დასცალებია ალექსანდრეს და ის მოულოდნელად დარდაიცვალა; ასევე დარდისაგან გარდაიცვალა მარიამი.

როდესაც, ეკერ კიდევ ალექსანდრეს სიცოცხლეში მარიამი დაორსულდა, ეს ამბავი ალექსანდრემ მხოლოდ დედას, დედოფალ მარიამს გაუმხილა. დედოფალმა პი-

იმერეთის ტახტი უანდერძა უნცროსი ძმის, არჩილის შვილს, დავით ბატონიშვილს.

დავითი ჯერ სულ 10 წლის იყო და ის იზრდებოდა პაპის, მეფე ირაკლის კარზედ, შემკვიდრის მცირეწლოვანობის გამო, იმერეთის მოწინავე პირებმა, დროებით, ტახტი ჩააბარეს სოლომონს I ბიძაშვილს, დავით გიორგის ძეს, იმ პირობით, რომ როდესაც დავით არჩილის ძე სრული ასაკის შეიქნებოდა, ტახტი მისთვის უნდა გადაეცა; მაგრამ, ის როგორც კი გამაგრდა, თავი მეფედ გამოაცხადა *).

ჯერ კიდევ სოლომონ I-ის სიცოცხლეში, როცა ერეკლე II-ემ დასდო ხელშეკრულება რუსეთთან, საქართველოს ესტუმრა ლენ. პოტიომკინი **), მის გასაცნობად; ამავე მიზნით და სხვა დავალებებით, იმერეთში გაგზავნა პოლკ. ტამარი, ლეანასკნელის შთაგონებით, სოლომონ I ყველა წოდების წარმომადგენლებს თავი მოუყარა და გადასწყვიტა ირაკლის მსგავსად დაედო რუსეთის მფარველობაში შესვლის ხელშეკრულება. ეს მოხდა 1884 წელს 4 მარტს, ხოლო 23 აპრილს მეფე გარდაიცვალა, ამიტომ ეს საქმე შეფერხდა ***)

როდესაც დავითი მეფედ გამოცხადდა, მან განაგრძო სოლომონ I-ის დაწყებული საქმე. გაგზავნა რუსეთში ელჩები და სოლომონ I-ის თხოვნები. თუმცა დავითი უკანონოდ აცხადებს თავს მეფედ, მაგრამ, რადგან რუ-

---

რობა მისცა, რომ შვილს გაუმრდიდა. მარიამს შეეძინა ვაჟი და უწოდა გიორგი; დედოფალმაც პირობა შეასრულა და მშობლების სიკვდილის შემდეგ, პატარა გიორგი აღზარდა ისე, როგორც ბატონიშვილს შეეფერებოდა. მაგრამ, გიორგი როგორც უკანონო შვილი, ტახტის მემკვიდრედ არავის უცვნია. ამის პრეტენზია არც თვითონ ჰქონია და ცხოვრობდა უდარდელად, მაგრამ დავითს, მემკვიდრეს ტახტისა, შემდეგ სოლომონ II-დ წოდებულს, მაინც ეშინოდა, და როგორც მერე ვნახავთ, ის დიდხანს ციხეში ჰყავდა დატუსალებული.

*) იხ. პოტტო. ტ. I.

**) ეს იყო ასტრახანის მხარის გუბერნატორი, ხოლო იმავე დროს იყო მეორე პოტიომკინი, პირველი შინისტრი.

***) იხ. დუბროვინი. ტ. II, გვ. 60.

სებისათვის ხელსაყრელი იყო, ამიტომ მისი მეფედ ცნობა მათ არ გაუპირველათ, ხოლო კანონიერი მემკვიდრის უფლება შეილახა. რუსებმა ირაკლიც აიძულეს ეცნო მეფედ დავით გიორგის ძე. ამ უკანასკნელს კი შემდეგ გარემოებამ შეუწყო ხელი:

დავით გიორგის ძემ მეფედ გამოცხადებისთანავე ახალციხის ფაშისაგან მიიღო წერილი. ფაშა ატყობინებს, რომ მან უნდა მიმართოს კონსტანტინეპოლში სულთანს, მეფედ დამტკიცებისათვის. ასეთ მდგომარეობაში რუსებისათვის ცოტა სახიფათო იყო, თუ დავითს მეფედ არ იცნობდენ, ვიდრე თუ მას პირი ოსმალებისაკენ შეებრუნებინა, ამიტომ იყო, რომ ირაკლიმაც იძულებით მიიღო რუსების წინადადება, დავით გიორგის ძის მეფედ ცნობის შესახებ. ამაზე ის სწერდა ღენ. პოტიომკინს, იმერეთის მდგომარეობა რომ არ გართულდეს, წინალმდეგ კანონიერებისა, მე ვსცნობ მეფედ დავით გიორგის ძეს, ხოლო როცა კანონიერი მემკვიდრე დავით არჩილის ძე სრულ ასაკოვანი შეიქმნება, მაშინ მის ბედს მივანდობ მის უმაღლესობას რუსეთის იმპერატორსო. ახლა კი ირაკლი რუსებს უდგენდა შემდეგ მოთხოვნილებას: დავით მეფე შერიგებოდა დავით არჩილის ძეს, მიეცა მისთვის მამის სამემკვიდრო მამულები და დაეთმო ორი ციხე. რუსებს ამ მდგომარეობისაც შეეშინდათ, იქნებ დავით მეფისათვის ეს პირობა მიუღებელი ყოფილიყო, და რომ ურთიერთობა არ წაეხდინათ, ირაკლის წინადადებაზე უარი უთხრეს.

ამდროს უმაღლესი ბრძანებით, რუსეთითგან იმერეთში ჩამოდის ბურნაშევი და ეერევა იმერეთის შინაურ საქმეში.

მეფემ მიიღო ბურნაშევი და მოლაპარაკება გამართა. ეს არ მოეწონათ ზოგიერთ დიდებულებს, განსაკუთრებით სარდალს, პაპუნა წერეთელს, რომლის წყალობითაც იყო დავითი გამეფებული. პაპუნამ მაშინვე შექმნა რუსეთის ორიენტაციის მოწინააღმდეგე პარტია, მიიმხრო ბერეა წულუკიძე და სხვა ცნობილნი პირნი და განუდგა მეფეს. თვით ელჩად განმზადებულმა პირებმაც რუსეთში წასვლაზედ უარი უთხრეს. ეს რომ მეფემ შეიტყო, კაცები მიუგზავნა პაპუნა წერეთელს, უკანასკნელმა მოახსენა, რომ ისინი რუსეთის მფარველობაში შესვლის წინალმდეგნი იყვნენ, ხოლო მეფეს შეუძლია მო-

ლაპარაკება იქონიოს ბურნაშევთანო. მეფეს შეუთვალეს, რომ თუ ის რუსეთთან კავშირზედ ხელს არ აიღებს, მაშინ ჩვენ მზად ვართ გავამეფოთ დავით არჩილის ძეო.

მეფე დავითის მდგომარეობა რთული იყო; სწორედ ამ დროს მილო ცნობა, რომ პორტას იმერეთის ტახტზედ მეფედ გამოუცხადებია, ამ დროს იმერეთითგან დევნილი ქაიხოსრო აბაშიძე (რომელსაც სხვათა შორის დადიანიც აქეზებდა), ეს უკანასკნელი ჰპირდებოდა პორტას, ეძლია მისთვის ხარკი და ყოველწლიურად ეგზავნა კონსტანტინეპოლში ახალგაზრდა ქალ - ვაჟი. ქაიხოსრო აბაშიძე წერილებს სწერს იმერეთის თავადებს, რომ მას პორტა აძლევს 12.000 კაცს და მალე შემოიჭრება იმერეთში.

დავითი საფრთხეში ჩავარდა და შეირიგა ყველა თავადები; ასევე შეირიგა დავით არჩილის ძე, რომელსაც დაუთმო რაჭის ციხე. თუმცა მასში ყოველთვის ხედავდა მეტოქეს, ამიტომ ყოველთვის მისი ძალების შესუსტებას სცდილობდა. მან ამდროსვე შეირიგა გურიისა და სამეგრელოს მთავრები *).

ქაიხოსრო აბაშიძე შიგნით რომ ვერას გახდა, მაშინ ის სულთანის ფირმანით მიდის ანატოლიის ჰაჯი ფაშასთან. სულთანი უბრძანებს, მისცეს მას 30.000 კაცი და თვითონაც გაჰყვეს იმერეთს, აბაშიძის გასამეფებლად.

ჰაჯი - ფაშამ კიდეც გაგზავნა ჯარები ფოთისაკენ. ეს რომ იმერეთის მეფემ, დავითმა გაიგო, ასეთ ხერხს მიმართავს: იმერეთის საზოგადოებას წაუკითხა ტყვილი წერილი ღენ. პოტიომკინის, რომელიც ჰპირდებოდა დახმარებას თურქების წინააღმდეგ, და მოითხოვდა, რუსეთში გაეგზავნათ ელჩები. მაშინ მოწინავე საზოგადოება იძულებული იყო დასთანხმებოდა მეფეს და რუსეთში გაგზავნეს: საბლარ - უხუცესი ზურაბ წერეთელი, მიტროპოლიტი მაქსიმე, მდივან - ბეგი დავით კვინიხიძე და ბესარიონ ვაბაშვილი.

29 დეკემბერს 1784 წ., იმერეთის დელეგაცია წარსდგა იმპერატრიცას წინაშე; უკანასკნელი მათ საჩუქრებითა და ტკბილი სიტყვებით აჯილდოებს და ისტუმრებს უკან, მეფე დავითს კი უბრძანებს ორდენს ანდრია პირველწოდებულისა.

*) იხ. დუბროვინი. ტ. II, გვ. 69.

მაგრამ იქ რომ იმპერატორიცა იმერეთის ელჩებს დახმარებასა და მფარველობას ჰპირდებოდა, ამ დროს იმერეთის თურქების ჯარი აოხრებდა; ქაიხოსრო აბაშიძე შემოიჭრა ბათუმში და იმერეთის თავადებს მოუწოდებდა ერთგულობისაკენ, ასევე ეხვეწებოდა გურიელს და დადიანს, შეერთებოდენ მას.

რუსები კი ერიდებოდენ საზავო ხელშეკრულების დარღვევას და იმერლებს ნუგეშს აძლევდენ, რეალურ დახმარებაზე კი არ უფიქრიათ. ლენ. პოტიომკინი ამ დროს მეფე დავითს უგზავნის ფულად უმნიშვნელო საჩუქარს, ხოლო დადიანს სთავაზობს ალექსანდრე ნევსკის ორდენს და თუ ისინი არ განდარეკენან რუსებისგან, ჰპირდება კიდევ მეტ წყალობას. ხოლო პეტერბურგითგან ეკატერინე წერილს უგზავნის კოსტანტინეპოლში თავის ელჩს და ავალებს, სთხოვოს პორტას, რათა იმერეთს ნუ შეაწუხებენ, მაგრამ სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავს აძრობდენ და კიდეც გააძრეს. თურქების მხრივ ჩვეულებრივ დიპლომატიას ჰქონდა ადგილი; პორტა ოფიციალურად უარს ამბობდა ყოველგვარ შემოსევებზე, ხოლო საიდუმლოდ ყოველმხრივ ხელს უწყობდა ქაიხოსრო აბაშიძეს. ფარმანებს უგზავნიდა ანატოლიის ფაშას დასახმარებლად და ახალციხის ფაშასაც წინადადებას აძლევდა, ლეკების საშუალებით შეევიწროებინა იმერეთი. მეორეს მხრით, რუსეთის დიპლომატიაც ქართველების მიმართ ასეთი იყო, სიტყვით დახმარებას ჰპირდებოდენ, საქმით არ ასრულებდენ, მათ სიტყვას არც პორტას კარზე ჰქონდა გასავალი. პირველი შემთხვევით, თურქებს უნდოდათ იმერეთი თვით ეგდოთ ხელში, მეორე შემთხვევით, რუსებს უნდოდათ თავიანთვის და ასე ამგვარ ვითარებაში, სანამ საქართველო ან ერთის შეიქმნებოდა ან მეორის, ამ აქლემთა დიპლომატიური ჭიდილში, იმერეთის ხალხი ნადგურდებოდა.

ჯერ ეკატერინეს მიწერამდე, თათრებმა შემოუტიეს იმერეთს; შეიჭრენ გურიაშიაც, გურიის ხალხი მალე გაიხიზნა და გაქცევას გადარჩა. ხოლო დავით მეფემ მოუწოდა იმერეთის ხალხს ბრძოლისაკენ და თვითონ სასწრაფოდ 40.000 კაცით საჯავახოში დაბანაკდა. აქედან ერთხელ კიდევ მიმართა პოტიომკინს და როცა ვერაფერ-

რი დახმარება მიიღო, მაშინ შემოუტია თურქის ჯარს, სასტიკად დაამარცხა და იმერეთითგანაც განდევნა *).

ირაკლა ტახტის მემკვიდრე, დავით არჩილის ძე წასულიყო ზარდა, მეფე ირაკლიმ წინადადება მისცა დავით გიორგის ძეს, ტახტი პირველისთვის გადაეცა; დავითის ულარ-ზე, ირაკლიმ გაგზავნა დავით ბატონიშვილი ჯარით და იმერეთის ტახტზედ გაამეფა დავით არჩილის ძე. ეს მოხდა 1790 წ. დავით არჩილის ძე ავიდა იმერეთის ტახტზე სოლომონ II-ის სახელწოდებით.

დავითი არ დამორჩილდა; გაიქცა ახალციხეში და სულეიმან-ფაშის დახმარებით დაუწყო სოლომონს ბრძოლა. ირაკლიმ სოლომონის დასახმარებლად ისევ დავით ბატონიშვილი გამოაგზავნა, რომელმაც დავითი სასტიკად დაამარცხა და იძულებული გახდა, ისევ ირაკლის საშუალებით შერიგებოდა სოლომონ II-ეს.

დავითი, რომელიც შემოსევისთანავე ტყვედ იყო სოლომონმა და მოკვლას უპირებდა — ირაკლიმ გადაარჩინა. ნიშნად ერთგულობისა მან სოლომონს მისცა მძევლად შვილი კოსტანტინე, ხოლო სოლომონმა დავითს, ირაკლის ირჩევით მამულებიც დაუთმო. არ გასულა ცოტა ხანი და დავითი მეორედ აუჯანყდა სოლომონს და ახლაც იძლია; ხოლო მესამედ ის ისევე ყარაბის ახალციხეში, შემოესევა სულეიმან-ფაშის ჯარით და სოლომონ II-ეს ამარცხებს. სოლომონი თავს შეაფარებს სარეერეში, დავითი კი თათრების დახმარებით, მეორედ ცხადდება მეფეთ. შემდეგ ჯარებს აგროვებს და გაეშურება ქართლში. აქ მას შეხვდა იოანე ბატონიშვილი (ირაკლის შვილის გიორგის ძე) 1.000 კაცითა და 2 ზარბაზნით და დავით მეფე დაამარცხა. უკანასკნელი ისევ ახალციხეში გაიქცა და კვლავ შემოესია იმერეთს; ახლა კი ის სასტიკად დაამარცხა ალექსანდრე ბატონიშვილმა (ირაკლის ძემ) და ამის შემდეგ დავითი საბოლოოდ იქმნა განდევნილი ოსმალეთში, სადაც ყარდაიცვალა.

სოლომონ II-ე დამკვიდრდა იმერეთის ტახტზედ; მაგრამ მდგომარეობა მთლად მაინც არ იყო შეცვლილი. ახლა ანნა დედოფლის შიში ჰქონდა; დავითის ქვრივისა *) და მისი შვილის კოსტანტინესი. სოლომონმა დედა

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. II, გვ. 74.

**) ეს ანნა იყო მათე ორბელიანის ასული, შვილის

განდევნა იმერეთიდან და შვილი, კოსტანტინე ბატონიშვილი დაატუსაღა, ასევე მოექცა გიორგი ბატონიშვილს, ეს გიორგი იყო შვილი (უკანონო) სოლომონ I-ის ძის ალექსანდრესი. გიორგი როგორც უკანონო შვილი, ტახტის პრეტენზია არ ჰქონდა; მან შეირთო ლრისთავის ასული და ცხოვრობდა ისე, როგორც ბატონიშვილს შეეფერებოდა, ხოლო სახელმწიფო საქმეებში არ ერეოდა. სოლომონს მაინც ეშვები აწუხებდა. ერთხელ მან მიიწვია გიორგი, მოტყუებით, სანადირიოდ ..ჯამეთის ტყეში, დაიჭირა და კოსტანტინესთან ერთად მუხურის ციხეში დაატუსაღა.

კოსტანტინეს დედა, განდევნილი იმერეთიდან თავს შეაფარებს აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მფარველობს ირაკლი მეფე. ასეთი იყო დაახლოებით შინაური მდგომარეობა იმერეთისა მე-18-ე საუკუნის მიწურულში; იმ დროს, როდესაც ახლოვდებოდა ჟამი საქართველოს დაბყრობისა.

III

ირაკლი მეფის მიერ რუსეთთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, ოდესაც აზრი იმერეთსაც აწუხებდა, ჩვენ ზემოდ ვნახეთ, რომ ამ საქმეს სათავე ჯერ სოლომონ I-მა დაუდო. შემდეგ შინაური ბრძოლის დროს ის ძმაეწყებული იყო. როცა სოლომონ II-ე განმტკიცდა ტახტზედ, ის გრძნობდა, რომ ირაკლის მოქმედების გარეშედ ვერ დარჩებოდა. 1794 წელს 29 ნოემბერს, მისწერა წერილი ღენ. გრ. გუდოვიჩს და სთხოვდა მას შუამდგომლობა გაეწია იმპერატორის წინაშე; ამის შესახებ მას გარკვეული პასუხი არ მიუღია.

მას შემდეგ კი, რაც ქართლ-კახეთის ბედი ანექსიით გადაწყდა, იმერეთის საკითხიც თითქოს ახლოვდებოდა. სოლომონი კვლავ აღძრავს საკითხს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ. 27 აპრილს 1801 წლის, კნოგის მიერ იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში

შვილი ერაკლი II-ის დისა. ეს ის ანნა დედოფალია, რომელიც უკანასკნელად ჩვენს მწერლობაში ბესიკის პოეზიის საგნად ასახელებენ, მის მიჯნურად, ამ ხანებში, მართლაც, ბესიკი სოლომონ II-ის კარზე მოღვაწეობდა.

ნათქვამია, რომ სოლომონ მეფე მას აუწყებს, რომ მა-
უნდა იმპერატორთან ელჩების წარგზავნა, და „მივიდ-
ის და წარმოვგზავნო პეტერბურგს თუ არაო“ — ეკით-
ხება კნორინგი იმპერატორს. აგრეთვე დასძენს, რომ იმე-
რეთის მეფეს დამბლა დაეცა, მისი სიცოცხლე საფიფათ-
შეიქმნა, ამიტომ სამეფოკვიდრეოდ ჩრეევას სთხოვს დარე-
ჯან დედოფალსაო *).

კნორინგის წერილითგან სჩანს, რომ მას სურს დადე-
ბითი პასუხი, ის საქართველოს დაბყრობის საქმეში
თავითგანვე გაბედულ ნაბიჯებს სდგამდა

22 მაისს 1801 წელს, სამეგრელოს მთავარმაც მისწე-
რა წერილი **) კნორინგს; ხოლო შემდეგ დარეჯან დე-
დოფალმაც მიწერა სამეგრელოს შესახებ.

მაგრამ ყველა მათ პასუხად 17 სექტემბერს 1801 წ.
იმპერატორმა მოსწერა კნორინგს შემდეგი: „... ვინაიდ-
გან მე მგონია, რომ ამ ნაბიჯის გადადგმით შეიძლება
წავახდინოთ ის ურთიერთობა, რაც რუსეთს აქვს დამყა-
რებული ოსმალეთთან, ამიტომ სჯობს ეს საქმე გადაი-
დოს; და ისე მეგობრული ურთიერთობა ვიქონიოთ ყვე-
ლა მაგ მფლობელებთანო.

რუსის მთავრობა ფრთხილობდა, მაგრამ საქართვე-
ლოში მყოფი რუსის მოხელეები მაინც ამზადებდენ ამი-
სთვის ნიადაგს. ბოლოს იმერეთის ზოგიერთ შინაურ სა-
ქმეებმა მიიქცია რუსების ყურადღება და უკანასკნელნ-
მოურიდებლად ჩაერიენ მათ საქმეში. ეს ჩარევა იწყება
შემდეგი ფაქტებით. სამცხე-საათაბაგოს მფლობელთა
შორის ატეხილი იყო შინაური დავა. ახალციხის შე-
რიფ-ფაშა შეიბყრობს ჩილდირის გუბერნატორს ზაბით
ფაშას, უკანასკნელი ტყვეობაში იმყოფება იმერეთის მე-
ფის კარზე. შერიფ-ფაშა ზაბით-ფაშაში ხედავს დიდ
მეტოქეს და სოლომონს სთხოვს ის სიკვდილით დასა-
ჯოს. ამის გამო 1802 წელს 24 თებერვალს, კნორინგ-
სწერს სოლომონს, ვინაიდგან რუსეთს ოსმალეთთან
მშვიდობიანი ხელშეკრულება აქვს, ამიტომ გთხოვთ ზა-
ბით-ფაშა სიკვდილისაგან გაანთავისუფლოდ; მაგრამ
ეს არ ეთანხმება სოლომონის ინტერესებს და ეს მიმა-
რთვა კნორინგისა არ შესრულა. ფაშა დასაჯა.

---

*) იხ. აქტები. ტ. I, გვ. 555.

**) იქვე. გვ. 556.

ამ ამბის პოლიტიკური საჭიროება ასეთი იყო. შეერიფ ფაშა იყო ერთგული თანამშრომელი ალექსანდრე ბატონიშვილისა და სოლომონის. ახალციხეში მის კარზე ალექსანდრე ბატონიშვილი თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. მისიცე ხათრისთვის იჭახავდა თავისი ხარჯით ლეკების ჯარს და ფულითაც ხშირად ეხმარებოდა. ის აგრედვე დიდი მტერი იყო ერთის მხრით რუსეთის, რომელთა განდევნისათვის ყოველმხრივ დახმარებას უწევდა ალექსანდრესა და სოლომონს, და მეორე მხრით, არ ემოსრჩილება სულთანს, რათგან უკანასკნელი მისი მტერი იყო, ასე რომ შეერიფ-ფაშა ერთ-ხანებში ოსმალეთითგან გამოყოფას, ავტონომიის შექმნას და ქართველ მეფეებთან ძმური კავშირის აღდგენასაც ფიქრობდა. ამ აზრის განხორციელებას ისიც ხელს უწყობდა, რომ ამ დროს სულთანის ხელისუფლება ძალზედ მოიკოჭლებდა.

მეორეს მხრით, ზაბით-ფაშა სულთანის მომხრე იყო და რათგან მისი საშუალებით ველარ გაბატონდა ახალციხეში, ამიტომ რუსებს დაუწყო მეგობრობა, და ჰპირდებოდა, თუ ის გაიმარჯვებდა, შევიდოდა რუსეთის მფარველობაში.

ეს იყო მიზეზი რუსების ჩარევისა ამ საქმეში. ისინი ყოველთვის ისწრდენ ბადეს ამღვრეულ წყალში, რაც არ უნდა ყოფილიყო მიზეზი ამ ამღვრევისა.

აღნიშნული აქტით რუსები უკმაყოფილო დარჩენ, ზოლო სოლომონი გაფრთხილდა და მაშინადვე 300 კაცი აფრინა სხვა და სხვა გზებით, რუსეთის მდგომარეობის შესასწავლად.

რუსები განგებ ეძებდენ ისეთ მიზეზებს, რომლითაც იმერეთის მეფეს გააბამდენ ინტრიგებში. მეორე მათვის ხელსაყრელი ფაქტორი იყო ის, რომ იმერეთის მეფესთან, როგორც თავის ადგილას ენახეთ, თავი შეფარებული ჰქონდათ ირაკლის ძეთ, იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს, თავისი ამალით. რუსები ჯერ ალექსანდრე ბატონიშვილის გაქცევით ვერ ისვენებდენ და ახლა სხვათა გაქცევამაც მათთვის დიდი სახიფათო მდგომარეობა გამოიწვია. კნორინგი დაეინტერესებით სთხოვდა სოლომონს, გაეცა ბიძები, იულონი და ფარნაოზ ბატონიშვილები. ამავე დროს სოლომონმა დაამარცხა გრიგოლ დადიანი და სამთავრო ჩააბარა მის ძმას ოთია დადიანს. ვი-

ნაიდგან გრიგოლ დადიანს რუსეთთან შეგობრული კავშირი ჰქონდა, კნორინგი მოითხოვდა სოლომონისგან გრიგოლის დაბრუნებას; ხოლო მესამე იყო კოსტანტინე ბატონიშვილის მდგომარეობა, რომელიც იყო დატუსაღებული. კოსტანტინეს დედამ იშუამდგომლა რუსეთთან შვილის განთავისუფლებისათვის. რუსები აქაც თუმცა ფრთხილობდენ, მაგრამ ჩაერიენ ამ საქმეშიც. 1803 წ. 23 თებერვალს, იმპერატორი სწერდა ციციანოვს: „... მე არ მინდა ჩაერევით ფაქტიურად სოლომონისა და ანნა დედოფლის საქმეში, მაგრამ თქვენ მაინც უნდა ეცადოთ, კოსტანტინე ბატონიშვილი გაანთავისუფლებინოთ“-ო. ... ასე რომ, ფაქტიურად მაინც ერევიდენ და ჯერ კიდევ კნორინგი სოლომონს წინადადებას აძლევდა მის განთავისუფლებაზე. შემდეგ სოლომონთან იმპერატორმა სპეციალურად გაგზავნა სოკოლოვი. სოლომონმა ის დიდებანს არ მიიღო მოსალაპარაკებლად და ბოლოს უარი უთხრა. კოვალენსკის ყველა მოთხოვნილებებზედ კი შემდეგი უპასუხა: რომ ზაბით-ფაშამ თვით მოიკლა თავი, ხოლო ირაკლის შვილები მან თუ მიიღო, არც შეიძლება არ მიეღო, რათგან მისი სახლი ირაკლის სახლია, და ჩვენ შვილებს ლუკმა პურს ხომ ვერ დაუჭერდა! რაც შეეხება სამეგრელოს საკითხი, ამაზე სწერს: მისი მთავარი იყო სოლომონის სამეფოს თავადი, ის განუდგა და მიემხრო აფხაზებს და ამიტომ დასაჯა *). ხოლო კოსტანტინეზე კი სწერდა: რომ ის მას ამზადებს მემკვიდრედ, რათგან მას შვილი არა ყავდა.

ასეთი პასუხი რასაკვირველია რუსებს არ აკმაყოფილებდა. მათ მომავლის უზრუნველყოფისათვის, განსაკუთრებულად აინტერესებდათ კოსტანტინეს საკითხი; რათგან იგინი გრძნობდენ, რომ თუმცა ის დღეს მეფეს ტყვედ ყავს, ხვალ იქნებ მართლა მემკვიდრედ გამოაცხადოს და იმერეთის დაბყრობის საქმე ამით ალბად უფრო გაძნელდება; ენდოდათ კოსტანტინე თვითონ ჩაეგდოთ ხელში. 1802 წლის იმპერატორის, სოლომონისადმი გამოგზავნილ სიგელში ნათქვამია, რომ ის კოსტანტინეს თავისთან იწვევდა. რუსებს ის ვერ გაეგოთ, რომ სოლომონი პირადი პატივმოყვარეობით, არც ისე იყო დაბრმავებული და ამგვარი ცნობა უფრო აფიქრებდა

*) იხ. პოტტო. ტ. II, გვ. 340 - 1.

მას, ვიდრე აქეზებდა. სოლომონისათვის ნათელი იყო რუსების განწირავების მთელი საიდუმლოება; ამიტომ, როგორც შემდეგ ვნახავთ, საქმე სულ სხვაგვარად წაიყვანა.

რუსები თავიანთ აგენტების გზავნას უხშირებდენ იმერეთში. მეორე მხრით ოსმალეთის აგენტებსაც არ ეძინათ; თუმცა სოლომონი ოსმალებთან პირდაპირ კავშირში იმყოფება ახალციხის ფაშის საშუალებით, მაგრამ უკანასკნელთ მაინც ეშინოდათ. სოლომონი ბოლოს და ბოლოს არ მიდრეკილიყო რუსებისაკენ.

ჯერ 1802 წელს ჰაჯი-იუსუფ-ფაშა სწერს სოლომონს, რომ მას აქვს სულთანისაგან ფირმანი, რომელიც უგზავნის სოლომონს, რათა გააცნოს ყველა თავადებს და შეასრულოს სულთანის ბრძანება, ე. ი. იმერეთითგან განდევნოს რუსები; თუ არ აასრულებენ მას, ფაშა ურიცხვი ჯარით შემოესევა, ჯერ რუსებს შემუსრავს და მერე სოლომონს ტახტითგან ჩამოაგდებს.

რასაკვირველია, ეს მუქარა საჭირო არ იყო, მაგრამ ის მაინც უფრო აქეზებდა რუსების წინააღმდეგ სოლომონს. სოლომონის ამ დროინდელ მოქმედებაზედ პოდპ. სიმონოვიჩი 18 დეკემბერს 1802 წ. სწერდა ლაზარევს *): — „... სოლომონმა კავშირი დასდო. გურიელთან, აფხაზეთთან, სვანებთან, ლეკებთან და უნდათ შერიფ-ფაშა ძველებურად აღადგინონ ახალციხეში **), და მერე როგორც ისმის, თანახმად ძველი ხელშეკრულებისა, ყველა ერთად აპირებენ რუსებზედ თავდასხმას, შერიფ-ფაშის და სოლომონის ჯარები შეესევიან ზემოქართლში, იულონი და ფარნაოზი, რაჭველებითა და ოსებით აგრედვე ქართლში, ალექსანდრე ბატონიშვილი აზერბაიჯანელი ჯარებით ტფილისს და ლეკები დაღესტნითგან კახეთს, ყველა ეს კი მოხდება ერთ დანიშნულ დღესო“.

IV

მიუხედავად სოლომონის ასეთი მოქმედებისა, ის

*) იხ. აქტები. ტ. I, გვ. 580.

**) ამ დროს შერიფ-ფაშა იყო ფანდეენილი სელიმ-აღა ხიმშიაშვილის და სელიმ-აღა ყიფიანის მიერ და ახალციხე მათ ხელში იყო.

მაინც ერიდებოდა რუსებს; ის უფრო შეავიწროვა ციციანოვმა. უკანასკნელის დანიშვნა საქართველოს მთავარ მართებლად, იყო პირდაპირი ირისხვა ქართველი ერისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მეფემ და თავადიშვილებმა, პირველ ხანებში მას ბევრი წითელი ყვერცხები უგოროს, რუსის ერთგულ ლენერალს, ეს მაინც ვერ ატყუებდა. მასში, როგორც ქართველთა შთამომავალში, სრულებით გამქრალი იყო ქართული მამულიშვილური გრძნობა და როგორც ხშირია ასეთი მოვლენა ისტორიაში, მის ნაცვლად მისადმი უდიდესი ზიზღით იყო შეპყრობილი და ის საქართველოს ყველა მტერზე, უდიდეს მტრად მოეელინა; მას ყველაზე მეტი ძალა ჰქონდა ამ მხრივ, ის კარგად იცნობდა ქართველი ერის ფსიქოლოგიას, მის ხასიათს, მან იცოდა ქართველს, რა აწყენდა და რა ასიამოვნებდა, მან კარგად იცოდა ქართველს რომელი იარაღის ქრილობა უფრო დააზიანებდა და რუსის მახვილის ცემა მან სწორედ ისეთ ალაგას დაუწყო საქართველოსა და ერთობ კავკასიის რაინდ ხალხებს, რომელიც უფრო ადვილად დასცემდა სასიკვდილოდ. ვეიდენბაუმი ასე ახასიათებს ციციანოვს: „წარმოშვებით ქართველი, თავადის გვარეულობის, გადასახლებული რუსეთში პეტრე დიდის მეფობის უკანასკნელ ხანებში, **თავისი ხასიათით, აღზრდით, აზრებით სავსებით რუსებს ეკუთვნოდა** (ხ. ჩ.), ამასთანავე ნათესავური კავშირი და ურთი-ერთობა მას აძლევდა საშუალებას, სკოდნოდა შინაგანი მდგომარეობა საქართველოსი. ამ გვარად ციციანოვი არ იყო უცხო იმ ჯერთხისათვის, სადაც მოუხდა მას მოქმედება, მაგრამ მასთან არც იმ ზომამდე იყო დაკავშირებული, რომ ადგილობრივ ანგარიშებს და პარტიულ ინტერესებს შესძლებოდათ გადაედრიკათ ის თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, როგორც წარმომადგენელის მთელი სახელმწიფო ინტერესებისაო“ *).

ამ ადამიანის ხელში გადავიდა საქართველოს ბედის გადაწყვეტა და იმერეთთან ურთიერთობის საქმეც მას დაეკვემდებარა.

ციციანოვი როგორც კი ჩამოდის საქართველოში, მისი მოქმედებით ქართველები მალე რწმუნდებიან, თუ

*) იხ. პოტტო. ტ. I, გვ. 44.

მის სახით ვინ მოუვლინათ. ციციანოვმა უფრო მოფიქრებით განაგრძო კონფლიქტის საქმე და მანაც წარუდგინა ნოტა სოლომონს, რომელიც თხოულობდა: 1) კოსტანტინე ბატონიშვილის განთავისუფლებას; 2) იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილების გაცემას და 3) სამეგრელოს მთავართან ბრძოლის შეწყვეტას.

სამეგრელოსთან, რომელთანაც იმერეთს სადავო ჰქონდა ლეჩხუმის პროვინცია, ეს ურთიერთობა ბოლომდე რჩება, ბატონიშვილ იულონის და ფარნაოზის გაცემაც არ იკისრა სოლომონმა, ხოლო კოსტანტინე ბატონიშვილის განთავისუფლებაზე დიდხანს უარზედ იყო და ბოლოს რუსების იძულებით ის გაანთავისუფლა.

V

12 იანვარს 1803 წ., სოლომონ II-ემ გაგზავნა სოლომონ ლეონიძე პეტერბურგში, რათა შესულიყო რუსეთის მფარველობაში. ის ცრძნობდა, რომ ციციანოვი დღეს თუ ხვალ მას ძალით უპირებდა დაბყრობას და მშვიდობიანი გზით, იქნებ სამეფოს გაუქმება მაინც აეცდინა.

ეს აქტი ციციანოვმა რუსეთის სასარგებლოდ მიიჩნია და ტფილისითგან სოლომონ ლეონიძე, კოსტანტინე ბატონიშვილთან ერთად დროზე მიაცილა პეტერბურგს, ხოლო თავის მხრივ სწერდა მთავრობას, რომ კაინარჯის ხელშეკრულობის ძალით, იმერეთს მოპოებული აქვს დამოუკიდებლობა ოსმალეთისაგან და ამიტომ პორტას მასზე არაფერი პრეტენზია არ ექნება, თუ იმერეთი ჩვენს მფარველობაში შემოვალ.

კოსტანტინეს განთავისუფლებით რუსებმა იმერეთს მოაცილეს ტახტის მემკვიდრე, და მისი დაბყრობის დროც მათთვის საუსებით მომზადებული იყო. ციციანოვი ყოველთვის იმას აგონებდა პეტერბურგს, რომ აუცილებელი იყო შემდეგი ოპერაციების წარმოებისათვის, იმერეთის დაბყრობა. მისი აზრით, ეს გაუადვილებდა მათ ხელთ ეგდოთ შავი ზღვის ნაპირებზე საკუთრო ადგილები.

ციციანოვი პირველად მშვიდობიანად სცდილობს დაიყოლიოს იმერეთის მეფე, ყველა მის მოთხოვნილებებზე. ის უგზავნის ზოგიერთ მოთხოვნილებებს, ხოლო იმ-

პერატორი მისივე შთაგონებით, 3 აგვისტოს 1803 წ. უგზავნის სოლომონისთვის გადასაცემად სიგელს და ალექსანდრე ნევსკის ორდენს *). ამ დროს ციციანოვი ელოდა პასუხს სოლომონისგან თავის ნოტაზე, ამიტომ სიგელი გაუგზავნა და ორდენი კი ვერ შეაჩერა. იმპერატორის კი მისწერა, რომ ორდენს მანამ არ გადასცემს, სანამ მისგან დადებით პასუხს არ მიიღებს, შემდეგ კი გაუგზავნის და შთააგონებს, რათა დროზე შევიდეს ის რუსეთის მფარველობაში.

იმპერატორმა 26 ოქტომბერის 1803 წ. ციციანოვს გამოუგზავნა ვრცელი ინსტრუქცია, თუ როგორ ნელ-ნელა უნდა მოხდეს მთელი დასავლეთ საქართველოს შემოერთება. იქვე ნათქვამია: „... გამაგრდებითო ოა, ამგვარად, შავ ზღვაზედ, მიაქციეთ ყურადღება კასპიის ზღვის ნაპირების პროვინციებს... მე მით უმეტეს ვიმედოვნებ ხიხწვევებზედ ამ დაწყებისა, რომ თქვენს განკარგულებაში მყოფ კასპიის ზღვის ფლოტით, თქვენ საშუალება გექნებათ, გადალახოთ ის წინააღმდეგობანი, რაც შეიძლება თქვენ შეგხვდეთ, ბაქოსა და სალიანის დაბყრობით; რუსებთან ახლოს მდებარე ადგილები, კასპიის ზღვაზედ, აგრეთვე ჩვენს ხელში იქნებიან. ამ მოწერილობის განხორციელების შემდეგ, შეუდექით ბაქოსა და საქართველოს შორის დაუბრკოლებელი მიმოსვლის საშუალების შექმნას, რომელიც, იმერეთისა და სამეგრელოს დაბყრობის შემდეგ, შეაერთებს რა კასპიისა და შავ ზღვას ერთად — ჩვენს ვაჭრობას გაუხსნის ახალ გზასაო“ **).

აქეთგან ირკვევა, რომ რუსეთს თავისი გარკვეული დაბყრობითი გეგმა ჰქონდა, რომლისათვისაც დღეს იქნებოდა თუ ხვალ, რასთაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდა მიეღწია. კერძოდ იმერეთის საკითხიც ამ გეგმაში იყო მოქცეული და ცხადია, საერთო ბედისწერა მასზედაც გარდაუალი იყო.

ამგვარი ვითარება სუფევს პეტერბურგში, როდესაც 5 აგვისტოს 1803 წელს, სოლომონ ლეონიძემ პეტერბურგის კაბინეთს წარუდგინა სოლომონ II-ის თხოვნა და

---

*) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 352.
**) იქვე. გვ. 359.

დაუმატა, რომ თუ იმპერატორი მას დაამტკიცებს, მაშინ იმერეთი გაილაშქრებს აფხაზეთის წინააღმდეგ და ქალ. ფოთს გადასცემს რუსეთს. ამავე მოხსენებაში ვრცლად აწერილი აქვს ლეონიძეს ის სარგებლობა, რომელიც მოელის რუსეთს, იმერეთის მფარველობაში მიღებით, წარდგენილ ხელშეკრულების ნიადაგზედ. ეს მოხსენება მეტად ნიჭიერად არის შედგენილი, იქითგან ჩანს, რომ სოლომონ ლეონიძე ყოფილა არა მარტო დიდი მცოდნე სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, არამედ მოხსენება ატარებს დიდ დიპლომატიურ შინაარსსაც. შორს მჭვრეტელი სოლ. ლეონიძე ამით სცდილობს, ზოგიერთი საშუალებანი შეინარჩუნოს, ისეთი, რითაც ხვალ საშუალება ეჭნება რუსებს ხელითგან კვლავ დაუსხლტეს. ჩვენ აქ არ მოვიყვანთ მის მოხსენების ვრცელ შინაარს; სათანადო მუხლები თავ-თავის ადგილას იქნება აღნიშნული. აქ კი აღვნიშნავთ ზოგ საინტერესო გარემოებას, რომელიც გვიხსნის სოლომონ მეფისა და სოლ. ლეონიძის საიდუმლოებას. ერთ-ერთ დებულების მიხედვით, იმერეთის სამეფომ უნდა დაიმორჩილოს სამეგრელო და აფხაზეთი ე. ი. შემოიერთოს მთელი დასავლეთ საქართველო; ამით ის თითქოს რუსების საქმეს აკეთებს, როგორც თხოვნაში აღნიშნულია, მაგრამ ის არსებითად სცდილობს რუსების გამოყენებით ერთი მთლიანი ძალა ჩამოაყალიბოს დასავლეთ საქართველოს სახით. ამ აზრს ნოხსენების მეორე დებულებაც ადასტურებს, სახელდობრ, მას ზედმეტად მიაჩნია საქართველოში რუსთა მრავალრიცხოვანი ჯარის შემოყვანა და სხ. ამ მოხერხებულად შედგენილი დებულებით *), სოლომონ ლეონიძე მომავალს ამზადებდა. თუ ის რუსეთთან ურთიერთობას, მის მფარველობაში შესვლით — მშვიდობიანად მოათავებდა ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით, იმავე რუსების საშუალებით დას. საქართველოს ნაწილებს ხორჩილებაში მოიყვანდა, ამით შექმნიდა ძლიერ ძალას და ბოლოს ალბად ადვილი იქნებოდა, სრულებით მათგან განდგომა და დახმარება აღმოსავლეთ საქართველოსაც, იქითგან რუსების განდევნისათვის. გვეგონია, რომ ასეთი ლრმა იდეებით ხელმძღვანელობდენ სოლომონ მეფე და მისი კანცლერი, რომელსაც რუსეთის მფარველობაში შე-

*) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 366-7.

სვლის საკითხს სწყვეტდენ. სხვა გვარად მოქცევის საშუალება გამორიცხული იყო, რათგან სჩანდა, რომ რუსეთი მაინც უპირებდა მას დაბყრობას. ასე ფიქრობდა ლეონიძე და თუ უკანასკნელი იმედიც განქრებოდა, ბედს მაინც ვერ უნდა დამორჩილებოდა.

ამ საქმეში იყო პეტერბურგში სოლ. ლეონიძე, როდესაც საქართველოში მოხდა შემდეგი ამბავი. სამეგრელოს მთავარს ამ დროს მიწერ-მოწერა ჰქონდა ციციანოვთან, რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ და ხშირად გზავნიდა ხოლმე ტფილისში კაცებს. ერთხელ ტფილისითგან მიმავალი სამეგრელოს მთავრის კაცი მოჰკლეს იმერეთის საზღვარზე; ციციანოვმა ამაზედ იმერეთის მეფეს მოსთხოვა პასუხი. სოლომონმა უპასუხა, რომ ის მოჰკლეს მცხოვრებლებმა, რათგან გზაში მათგან რაღაც მოუპარავსო. პირდაპირი ცნობა ვერ არის დარჩენილი, მაგრამ მაინც სჩანს, რომ სოლომონს ეს საქმე ჩაუდენია, სამეგრელოს რუსეთთან დაახლოებაში ხელის შეშლის მიზნით. მის ამგვარ სურვილს ის ყოველთვის ამეღავნებდა. ციციანოვს რასაკვირველია არაოდეს გამოპარვია სოლომონის ორგულობა და ის თავითგანვე მას უნდო თვალით უყურებდა. თუმცა კნორინგიც არ ენდობოდა სოლომონს, მაგრამ ციციანოვი მის საიდუმლოებას უფრო დროზედ იგებდა ხოლმე. ამიტომ ამ უკანასკნელი აქტის საბაბით, ციციანოვმა აცნობა რა იმპერატორს, ჩაგონა შეეწყვიტათ კავშირი ლეონიძესთან. იმპერატორმა მაშინვე გასცა ბრძანება, სოლომონ მეფის წარმომადგენელთან ყოველგვარი მოლაპარაკება შეეწყვიტათ და უკანვე დაებრუნებინათ. ამაზე გრაფ ზორიჩი სწერდა ციციანოვს: „... იმერეთის მფლობელს (მეფეს) სოლომონს, მე მგონია მისი თაღლითობითგან კეთილი საშუალებით ვერ გამოვასწორებთ, ამისთვის საჭიროა მისი აღმოსავლურად დაშინება, მაშინ ის გასწორდება, რაზედაც ჩვენ თქვენზედ ვემყარებით. წარმომადგენელს ჩვენ თქვენ გამოგიგზავნით და მას განუცხადებთ, რომ თქვენ გაქვთ მონდობილი სრული უფლება მაგ მეფესთან საქმეთა მოსათავებლად *).

ციციანოვი ადრეც ფიქრობდა სოლომონთან ანგარი-

---

*) იხ. დუბრო

ში გასწორებას, მაგრამ მას სხვა საქმეები უშლიდა ხელს. ის ამბროს აპირებდა განჯის დაბყრობას და მერე ერევანზედ გალაშქრებას. ამიტომ მისი გეგმით, როგორც გრ. ვორონცოვს სწერდა 1803 წ. 27 ოქტომბერს, 17 ნოემბერს და მერე 19 დეკემბერს, „როგორც კი განჯას დავიბყრობ, შეეუდგები იმერეთის დაბყრობასო" *). ის საბაბს ეძებდა და ესეც გაჩნდა.

იანვარში 1804 წელს სოლ. ლეონიძე დაბრუნდა საქართველოში. ამაზე გრ. ვორონცოვი 5 იანვარს 1804 წ. სწერდა ციციანოვს: „... იმერეთის წარმომადგენელი თავ. ლეონიძე ამ დღეებში გამოსტუმრებულ იქნება საქართველოში, თანახმად იმისა, როგორც მე თქვენ აქამდე უკვე გწერდით; მასთან იქნება საგარეო საქმეთა კოლეგიის თარგიმანი კ. ა. იაკოვლევი. აღნიშნული წარმომადგენელი (ე. ი. ლეონიძე) არ უნდა გაუშვათ იმერეთში, სანამ იმერეთის მეფესთან ყველა საქმეებს არ მოათავებთ, მანამდე კი იცხოვროს ტფილისში". იმავე დროს იმპერატორისაგან ილებს უმაღლეს რესკრიპტს: — „თუ იმერეთის მეფე ბოდიშს არ მოიხდის და შეცდომას არ გაასწორებს, იმერეთი დაიბყარეო, რათგან „დაბყრობა ქუთაისისა და სხვა სიმაგრეთა იმერეთისა, ამგვარად შეიქმნა რა აუცილებელი, გამოყავით თქვენს ბრძანებლობაში მყოფი ჯარითგან იმდენი, რამდენიც თქვენ საჭიროდ სცნოთ და მოიქეცით ისე, როგორც თქვენ საჭიროდ დაინახავეთო" **).

როდესაც ციციანოვმა მიიღო ეს რესკრიპტი, ის მაშინ იდგა განჯასთან და იქითგან ემუქრებოდა იმერეთის მეფეს.

განჯის დაბყრობით, მეზობელ სახანოების განწყობილება იცვლება; ასევე იმოქმედა ამ აქტმა სოლომონზედაც.

ციციანოვმა ისევ გამართა მოლაპარაკება სოლომონთან.

ამ მოლაპარაკებას ციციანოვთან აწარმოებდა სოლომონის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი და მისი სიმამრი გ. აბაშიძე. სოლომონი მოითხოვდა, რომ თუ რუსები

*) იხ. აქტები. ტ. II.
**) იხ. დუბროვინი. ტ. IV, გვ. 114.

იმერეთში მეფობას არ მოსპობდენ, ის შევიდოდა მათ მფარველობაში. ციციანოვმაც შეიცვალა ტაქტიკა, თავი დაანება ძალმომრეობას და ენდოდა დიპლომატიური გზით გაება სოლომონი მახეში. სოლომონის ასეთი წინადადება მან მიიღო; პირიქით, ის მასში სარგებლობასაც ხედავდა. მისი აზრით უკეთესიც იყო, რომ იმერეთში დაეტოვებია მოჩვენებითი მეფე, ამით ხალხსაც ადვილად გაიერთგულებდა და იმ ხარჯსაც აიცდენდა რუსებს, რაც საჭირო იყო რუსების ხელისუფლების დამყარების დროს; ხოლო ფაქტიურ ბატონ-პატრონად იმერეთისა ისევ რუსები რჩებოდენ.

სოლომონმა ეგზავნა ელჩებად ქაიხოსრო წერეთელი და სეხნია წულუკიძე, ორნი ჩავიდენ გორში და იქ ციციანოვთან გამართეს მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკებამ ნაყოფი ვერ გამოიღო, რათგან ციციანოვმა სოლომონის მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა. სოლომონი შედიოდა რუსეთის მფარველობაში, ოღონდ სამეგრელოს მთავარს მისთვის უნდა დაებრუნებია ლეჩხუმი. მაგრამ, რადგან დადიანის რუსეთის მფარველობაში შესვლის ხელშეკრულებით, რუსებმა ლეჩხუმი სამეგრელოს დაუმტკიცეს, ამიტომ ციციანოვმა სოლომონს უარი უთხრა. ეს მოლაპარაკებაც ამით გათავდა. ელჩები გაბრუნდენ იმერეთში; -ციციანოვმა კი მათ გააყოლა ახალგაზრდა პორუჩიკი გრ. ვორონცოვი, მას გადაეცა სათანადოდ შედგენილი „პუნქტები", რაზედაც სოლომონს უნდა მოეწერა ხელი. ვორონცოვის მოლაპარაკების შედეგების მოლოდინში, ასევ სწერდა ციციანოვი 10 მარტს 1804 წ. იმპერატორს: „... ველი მის მოსვლას და მერე გადავწყვეტ — იმერეთში ჯარების შეყვანის საქმეს, მახვილით ხელში თუ მშვიდობიანადო"*). ამავე თარიღით ის აცნობებს თავ. ჩარტორიისკის საქმის ვითარებას, და ელის მათგანაც პასუხს.

იმერეთის მეფემ კი ვაჟაგრძელა დრო ვორონცოვის ჩოლებისა. ბოლოს 20 მარტს მიიღო ის და ციციანოვის „პუნქტებზედ" ხელი მაინც არ მოაწერა. ციციანოვის არც ერთი მუხლი არ მიიღო სოლომონმა და პასუხად უარი შეუთვალა. ციციანოვმა როგორც კი მიიღო ვორონცოვისაგან ამგვარი მოხსენება, მაშინადვე გადაუგზავნა ის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგს ჩარტორი-

*) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 380.

ისკს და იმპერატორსაც 27 მარტს 1804 წ. მოართვა მოხსენება, სადაც სწერდა: „... მე ერთი დამრჩენია, სოლომონის ელჩს (ტფილისში იყო) სოლ. ლეონიძეს მივცე უკანასკნელი წინადადება და გავგზავნო სოლომონთან, თუ კიდევ იუკადრისებს, მაშინ ძალით შევესევი და დავიბყრობ იმერეთს, რაც ასე საჭიროა რუსეთისათვისო. მით უმეტეს, ციციანოვი, ვორონცოვის ცნობით, დაიმედებული იყო, რომ სოლომონს არავითარი საშველი სამზადისი არ გააჩნდა.

23 აპრილს, ციციანოვმა გაგზავნა ს. ლეონიძე იმერეთში *) და მისცა რვა დღის ვადა; ის უნიშნავს პაემანს თვით სოლომონ მეფეს.

სოლომონი დაიყოლია ციციანოვმა და მასთან პირველი მოლაპარაკება ჰქონდა 16 აპრილს, შემდეგ უფრო ხანგრძლივი მოლაპარაკება გამართა 19 აპრილს, იმერეთის საზღვარზედ, და აქანაც უშედეგოდ ჩაიარა. შეთანხმება შეუძლებელი იყო; სოლომონი თბოულობდა ლეჩხუმს, ხოლო ციციანოვს არ შეეძლო მისი დათმობა.

20 აპრილს, ციციანოვმა შეასია ჯვარები იმერეთის სოფლებს და დაიწყო მისი დაბყრობა. სოლომონი იძულებული შეიქმნა ელჩები გაეგზავნა ციციანოვთან. ციციანოვმა შეაჩერა ჯვარები. 25 აპრილს გაიმართა უკანასკნელი მოლაპარაკება, სადაც სოლომონმა წარუდგინა უკანასკნელი წინადადება. რომ ლეჩხუმის საკითხი მანამ ნუ იქნება გადაწყვეტილი, სანამ სოლომონი იმპერატორს არ წარუდგენს სათანადო საბუთებს, დამადასტურებელს იმისა, რომ ალნიშნული ოთხი ეკუთვნის იმერეთს, და რათგან ამ დროს ლეჩხუმის დიდი ნაწილი დაბყრობილი ჰქონდა სოლომონს, საქმის გამორკვევამდე, ის უნდა დარჩენილიყო იმერეთის ხელში. ციციანოვმა სოლომონს თანხმობა გამოუცხადა, მიიღო ეს წინადადება და მისცა ამისთვის პირობითი წერილიც, რომ ის არ დაარღვევდა პირობას **). მაშინ სოლომონმაც მოაწერა ხელი „პუნქტებს“ და 4 ივლისის 1804 წლის უმაღლესი სიგელით იმერეთი მიღებულ იქმნა რუსეთის შეფარველობაში ***).

---

*) იხ. აქტები. ციციანოვის რაპორტი 1804 წ. 25 აპრ.

**) პირობის წერილი, იხ. აქტები. ტ. II, გვ. 377.

***) იხ. დუბროვინი. ტ. IV, გვ. 167.

VI

1804 წლისთვის მდგომარეობა კავკასიაში ასეთი იყო: რუსეთს დაბყრობილი ჰქონდა ქართლ-კახეთი, განჯა და მფარველობაში შეყვანილი იმერეთი, სამეგრელო და გურია. ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი იყვნენ: ჩრდილო და აღმოსავლეთ ოსეთი, ინგუშები, ავარია, აღმ. ლეკეთის თავისუფალი თემები და კუბის და შექის სახანოები, სამხრეთით ყარაბაღის და ერევნის სახანოები დასხ. ყველა ეს სამფლობელოები განუწყვეტლივ წინააღმდეგობას უწევდენ რუსეთს. მათ აჯანყებდენ ხან სპარსელები, ხან ოსმალები, ხოლო ქართველ ბატონიშვილებს თითქმის ყველა ერთგულად ემსახურებოდა. ამით ბრკოლდებოდა რუსების ბატონობა საქართველოში და მეორეს მხრივ, მიზანიც მიღწეული არ იყო. ციციანოვმა გადაწყვიტა, რუსეთის ბატონობა დაემყარებინა მთელ იმ ტერიტორიაზედ, რომელიც მოქცეულია კასპიისა და შავი ზღვის შორის და სპარსეთის საზღვრად დაედოს მდ. არაქსი.

მან ისარგებლა შემთხვევით და სოლომონის რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ მოახერხა დადიანთან შეთანხმება, დაადებინა მათ ხელშეკრულება *. 4 ივნისს 1804 წ. უმაღლესი რესკრიპტით, იმპერატორი ალექსანდრე ამტკიცებს მას და ავალებს, დროზედ წარაკვგინოს პეტერბურგში დეპუტატები 5 იმერეთისა და 2 სამეგრელოსი; მზოლოდ, რჩეული და რუსეთის ერთგული თავადები.

ამ შეთანხმებით შავი ზღვის ნაპირებზედ მოქმედების ნიადაგი მზად იყო, და ციციანოვმა საერთო გეგმის განხორციელება დაიწყო ერევნით. გადაწყდა ერევანზედ გალაშქრება.

VII

იმერეთის ფორმალური შემოერთებით საქმე გათავებული არ იყო. ციციანოვი გრძნობდა სოლომონის ორგულობას. მან იცოდა, რომ მისი იძულებითი დათანხმე-

*) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 384.

ბა კიდევ შორს იყო ერთგულობისაგან. თუ არა ციციანოვს, სხვა რომელ რუსს შეეძლო გაეგო, რომ ქართველი მეფისთვის ასე ადვილი არ იყო თავისუფლების დაკარგვა! სოლომონისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ მან უდიდესი სირცხვილი სპამა აღმოსავლეთისა და ბიძის ალექსანდრეს წინაშე და ერთგულობას როგორ იკადრებდა! ის მაინც რჩება კავშირში ძველ მოკავშირეებთან. ციციანოვს არაფერი გამოპარვია სოლომონისა; ამიტომ მისი მთავარი საზრუნავი საკანი ახლა ის იყო, რომ რამენაირად იმერეთის სამეფო გაეუქმებინა.

ჯერ კიდევ 26 აპრილს 1804 წ. ე. ი. სოლომონის მიერ „პუნქტებზედ" ხელის მოწერის მეორე დღეს თ. ჩარტორიისკი სწერდა ციციანოვს, რომ ყველაზე საიმედო ზომის მიღება ის იქნება, რომ იმერეთის სამეფო შემოუერთოთ რუსეთის იმპერიასო *); და მერე ეკითხება ციციანოვს მის აზრს.

ხოლო 31 აპრილს 1804 წ. გრ. ა. ეორონცოვი სწერს ციციანოვს: „... თქვენს განკარგულებაში მყოფი ჯარებით დაიკავეთ იმერეთი, რათგან სოლომონს საამისო დამსახურება მიუძღვისო **). ასევე უბრძანებდა მას იმპერატორი უმაღლესი რესკრიპტით ***).

8 ივლისს 1804 წ. კი, ჩარტორიისკი აცნობებს ციციანოვს, რომ სამეფო ნიშნებს, რომლითაც ოქმით მოითხოვს იმერეთის მეფე, არ შეიძლება მიიღოს, რათგან „უკვე რუსეთის სრულ მფარველობაში შესულ მეფეს, ის აღარ ეკუთვნისო". ამგვარად რუსებმა სამეფო ნიშნებზედ სოლომონს უკვე უარი უთხრეს. ჩარტორიისკი დასძენს: — არც ლეჩხუმზედ შეიძლება დათანხმება, რათგან საქმეგრელოს მთავართან, თქვენს მიერ დადებული ხელშეკრულებით ის მას რჩება, ხოლო სოლომონისგან იყავით მოლოდინში, წარმოგიდგინოსთ დასამტკიცებელი საბუთები, რომ ის თემი მას ეკუთვნის. ამასობაში ჩვენი პოლკიც ჩამოვა და მერე როგორც უკეთესი იქნე-

---

*) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 377.

**) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 592.

***) იქვე. გვ. 593 - 4.

ბა საკითხი ისე გადაწყვარიოთ"*). 4 ივლისის იმპერატორის სოლომონისადმი გამოგზავნილი სიგელიც გვერდს უჭვევს სამეფო ნიშნებს **).

მიუხედავად იმისა, რომ სოლომონის, რუსეთის მფარველობაში შესვლის აქტი იყო ციციანოვისაგან ძალდატანებით გამოწვეული, მიუხედავად იმისა, რომ ამ აქტით სოლომონმა სულ მცირე რამეზედ მაინც ძლივს დაიყოლია რუსები, როგორც ვხედავთ უკანასკნელთ ხელშეკრულება მაინც დაარღვიეს. აქ ჩარტოლინსკი, როდესაც ლეჩხუმზედ უარს ეუბნება, ერთის მხრით მართალია, რათგან მათ ის უფრო ადრე ხელშეკრულებით სამეგრელოს დაუტოვეს; მაგრამ ეს იცოდა ციციანოვმა, სოლომონს პირობა მაინც მისცა, და მერე ის დაარღვია.

ამგვარ ეითარებაში იყო რუსეთის იმერეთთან ურთი-ერთობის საკითხი, როდესაც ციციანოვი ილაშქრებს ერევანზედ.

ამით შაშასადმე, იმერეთის დაბყრობა შეიარაღებული ძალით კიდევ გადაიდო

სოლომონ მეფეც ძალიან კარგად გრძნობდა ყველა ამათ. მან იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ რუსეთი დაიბყრობდა იმერეთს. ის ხედავდა, რომ რუსები არც ერთი დანაპირის აღსრულებას არ აპირებენ. ამიტომ უფლებრივადაც და მორალურადაც მას სრული თავისუფლება ეძლეოდა, ეშოქმედა რუსების წინააღმდეგ.

როდესაც ციციანოვი ერევნის ახლოს იყო დაბანაკებული, სოლომონმა ბაბა-ხანისაგან მიიღო ფირმანი, ის უხსნიდა მდგომარეობას და იწვევდა დასახმარებლად რუსების წინააღმდეგ. სოლომონი ელჩს საჩუქრებით ისტუმრებს.

იმერეთში ციციანოვს წარმომადგენლად ყავდა ლიტვინოვი; ეს უკანასკნელი იყო ნამდვილი ჯაშუში და ათას რასაზე ასმენდა. რუსები ფრიად განრისხებული იყვენ სოლომონზედ.

---

*) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 392. (ჩარტოლინსკი ავალებდა ციციანოვს, სოლომონი მოეტყუებინა, რათა მას კიდევ არ დაეკარგა იმედი სამეფო ნიშნების მიღებაზედ, ოღონდ საჭირო იყო რაიმე დამსახურება იმპერატორის წინაშე).

**) იქვე. გვ. 393

სოლომონი სხვათა შორის რუსეთში ელჩების გაგზავნის საქმესაც აგრძელებდა; ამის მიზეზი იყო ერთი თვით პოლიტიკური მდგომარეობა და მეორე, ის, რომ ციციანოვის მეცადინეობით უნდოდა რუსების ერთგული პირები გაეგზავნა სოლომონს, უკანასკნელს კი ეს არ მოსწონდა. ამაზეც ერთი დავა იყო!

სოლომონი ფრიად შეეიწროებული იყო რუსების მიერ. ციციანოვმა ბევრნაირი ზომები მიიღო, იმერეთის მეფის მოსატყუებლად, მაგრამ ეს ვერა შესძლო, ბოლოს დაუწყო მუქარა; მაგრამ ციციანოვს მისი მუქარის აღსრულება ალარ დასცალდა და მას ბაქოში ეანუეგმირეს გული.

მის სიკვდილს მთელი კავკასია ზეიმობდა, და ამ დროს სოლომონმაც ნახა შემთხვევა, რუსებისათვის ზეროგი შეეტანა. ყველა ამას წინასწარ გრძნობდა ღენ. რიკგოფი (რომელიც ამ დროს იმერეთში იყო), და ერთი ბატალიონი ჯარით დაიკავა ქუთაისი.

სანამ სოლომონის შემდეგ მოქმედებას აღვწერდეთ, რომ ის ჩვენთვის უფრო გასაგები იყოს, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ გავითვალისწინოთ იმდროინდელი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება, მდგომარეობა, რომელშიც უხდებოდა სოლომონს მოქმედება.

VIII

ამ დროს იხსნება ნაპოლეონის ბრძოლა ავსტრიასთან. ნაპოლეონი იმარჯვებს და იკავებს ავსტრიის სატახტო ქალაქს. ავსტრია მარცხდება და სდებს საზავო ხელშეკრულებას საფრანგეთთან. საფრანგეთს ეთმობა ტიროლია და მთელი ვენეციის მხარე, ისტრია და დალმაცია კი შეეერთდენ იტალიის სამეფოს.

ნაპოლეონის სამფლობელო იზრდება ოსმალეთის საზღვრებამდე. ოსმალეთს რისხვა მოელის. საფრანგეთის აგენტები აგონებენ პორტას აგრეედვე, რომ თუ ის საფრანგეთს დაიკავებს, მიიღებს იმ ადგილებს, რაც მან დაკარგა რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს. რა მდგომარეობაში იყო ოსმალეთი.

ჯერ კიდევ 1798 წელს, რუსეთსა და ოსმალეთს ჰქონდათ დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით კრძალავდენ თავდაცვით კავშირს ფრანგების წინააღმდეგ

რომელთაც ამ დროის დაკავებული ჰქონდათ ეგვიპტე. ხოლო 11 ოქტომბერს 1805 წელს, დადგეს მეორე ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, რუსეთმა მიიღო უფლება, ოსმალეთის ქვეშევრდომ ქრისტიანთათვის მფარველობის გაწევისა. აგრედვე ეძლევა მას უფლება, ბემეტის თავისუფალი მოძრაობისა ბოსფორის სრუტეზედ, ხმელთაშუა ზღვაზედ მათი საკრთო მფარველობის ქვეშ მყოფ კუნძულების დასაცავად.

ასეთი დაახლოვება ოსმალეთისა რუსეთთან, უკანასკნელის ასეთი გავლენის მოპოვება აღმოსავლეთზედ, ნაპოლეონს არ მოსწონდა; ამიტომ ის სცდილობდა რაიმენაირად დაეცილებინა ისინი. საფრანგეთის ოფიციალური პრესა ამტკიცებდა, რომ ოსმალეთის ბედი ბევრნაირად იყო დამოკიდებული საფრანგეთზედ. ხოლო ნაპოლეონი სწერდა სულთან სელიმს: „... მაშინ, როდესაც მე თქვენ ყოველმხრივ პატივისცემას გიცხადებთ, რატომ ამბობთ უარს იცნოთ ჩემი ხელისუფლება, რატომ ითმენთ რუსების საქციელს; რუსეთის ფლოტი გადის თქვენს დედა ქალაქში, და ის უარს არ იტყვის თავის სურვილზედ, საბერძნეთის დაპყრობისა. რამდენად შეეფერება ეს თქვენს ინტერესებს, არ მიაქციოთ ამას ყურადღება და იმოქმედოთ ჩემს წინალმდეგ? მე რომ არ ვიცოდე ნამდვილი მიზანი რუსებისა, მაშინ თქვენ ასე გულწრფელად არ გეტყოდით. თქვენი მინისტრები ერთგულნი არიან რუსეთისა“. და აფრთხილებს, რომ, თუ აყვებით რუსებს, მაშინ თქვენ ჩემში უნდა ხედავდეთ მტერსო.

ამის შემდეგ რუსეთის იმპერატორიც სწერს წერილებს სულთანს და დიდი ზომებიც მიიღო ოსმალეთი მისგან არ გამდგარიყო, მაგრამ ცდებმა რუსებს ამაოდ ჩაუარათ. ნაპოლეონმა დიდი გავლენა მოახდინა ოსმალეთზეც და როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ნაპოლეონის აფრიკაზედ გამარჯვების შემდეგ, სულთანი საქსებით მას ემორჩილება, რუსებს შეაქცევს ზურგს და პარიზში გზავნის ელჩს. ნაპოლეონმა 1806 წელს იელისში, საგანგებო ელჩად სტამბოლში გამოგზავნა ლენ. სებასტიანი.

საფრანგეთისაკენ გავლენით უკვე 18 დეკემბერს 1806 წელს, ოსმალეთმა რუსეთს გამოუცხადა ომი. აზიის ჯარების მთავარსარდლად დანიშნა ერზერუმის ალუსუფ-ზია ფაშა და მთავარ სამოძრაო ასპარეზად დაისახა შავი

ზღვის ნაპირები. ამგვარად, რუსეთის წინააღმდეგ ნაპოლეონმა აღამხედრა ოსმალეთი..

ახლა ჯერი იყო სპარსეთზედ; თუმცა ამ დროს სპარსეთსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება იყო დადებული. მაგრამ ნაპოლეონმა მაშინადვე აფრინა სპარსეთში ელჩისრები და სპარსეთსა და რუსეთს შორის უთანხმოება ჩამოაგდო. სპარსეთი დაიყოლიეს და 1807 წ. 4 მაისს, სპარსეთ-საფრანგეთს შორის დაიდო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით, თუ სპარსეთი საფრანგეთისადმი ერთგულობას გამოიჩენდა, ნაპოლეონი აძლევდა გარანტიას, სპარსეთის მთლიანობის დაცვისა და ჰპირდებოდა საქართველოსი *) და სხვა სამფლობელოების დაბრუნებას.

ტრაქტატის მე-3-ე მუხლში ნათქვამია:

„...მისი უმაღლესობა ფრანგთა იმპერატორი, საქართველოს სცნობს როგორც კანონიერი კუთვნილებას მისი უმაღლესობის სპარსეთის იმპერატორისა".

მე-4-ე მუხ. „... ის იღვაწებს, იზმარის ყოველი ღონე, რათა რუსეთს დაატოვებინოს საქართველო და სპარსული ტერიტორია. ეს ევაკუაცია იქმნება მუდმივი საგანი მისი პოლიტიკისა და მცდელობისა".

ამის შემდეგ შემუშავდა საერთო გეგმა: სპარსეთი უნდა შეეჭრილიყო საქართველოში (აღ.) ყარაბაღის მხრითგან, ხოლო თურქების ჯუსუფ-ფაშა, სამეგრელოსა და იმერეთში; აქ კი იმერეთის მეფე სოლომონი ეგულებოდათ მოკავშირედ. სოლომონი საესებით კურსში იყო ამ საერთო ვითარებისა და მათთან ახლო კავშირიც ჰქონდა.

მეორეს მხრით, კავკასიის მაშინდელი მთავარ-მართველი გრ. გუდოვიჩი არწმუნებდა ბაბა-ხანს (ფეტ-ალი-ხანს), რომ სპარსეთისათვის საფრანგეთთან კავშირი არ იყო სასარგებლო.

ბოლოს რუსების ოსმალეთზედ გამარჯვების შემდეგ, სპარსეთი სთანხმდება ზავზედ. რუსები სთხოვენ სამხედრო ოპერაციების შეწყვეტას, სპარსეთი არ დასთანხმდა ე. ი. ამაზედ პასუხი არ გასცა, უნდოდა დრო მოეგო. რათგან ამდროს ელოდენ პარიზიდგან ელჩის ჯუსუფ-

---

*) იხ. Revue de l'histoire des colonies française, t. XVI, 1923, p. 249-282. (Lettres inedites de membres de la mission Gardane en Perse 1807-1809).

ბეკის პასუხს, ნაპოლეონისაგან დახმარების შესახებ, მაგრამ 25 ივნისის 1807 წ. ტილზიტის ზავის შემდეგ, რომელიც გულისხმობდა რუსეთისა და საფრანგეთის შორის მტრული განწყობილების შეწყვეტას; სპარსეთის განწყობილებაც შეიცვალა, მაგრამ ამაზედ შემდეგ.

IX

ასეთ საერთაშორისო მდგომარეობაში მოეღლოდა იმერეთს დანარჩენ საქართველოსაგან ერთად, ბრძოლა რუსეთის წინაღმდეგ, და რასაკვირველია ის ვრცელი ასპარეზი ბრძოლისა, რომელიც ამ პირობებში შეიძლებოდა გაშლილიყო, ალექსანდრე ბატონიშვილსა *) და სოლომონ მეფეს, უსაზღვრო იმედებს უსახავდა. თუ კარგად ჩავუკვირდებით იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებას, დავრწმუნდებით, რომ ქართველ მეფე-ბატონიშვილთა ამგვარი იმედები, არ იყო მათი თავქარიანობის შედეგი, როგორც რუსის ისტორიკოსები ფიქრობენ, პირიქით ეს იყო სრულიად გამოზომილი. ნაპოლეონი ებრძვის რუსეთს, მან მიიმხრო ოსმალეთი, სოლომონი კი ემყარება ოსმალეთს რუსების წინაღმდეგ ბრძოლაში; ალექსანდრე ბატონიშვილი ემყარება სპარსეთს, რომელიც აგრეთვე ნაპოლეონთან ერთად განაგრძობს ბრძოლას რუსეთთან. ამგვარად, ქართველების სასარგებლოდ, რუსების წინაღმდეგ სდგება კოალიცია. საფრანგეთ-სპარსეთ-ოსმალეთისა და საქართველოს თუ არა ახლა, სხვა რომელი მდგომარეობით შეეძლო სარგებლობა! თუ რუსეთის, შემდეგი დროის ისტორიკოსებმა ვერ გაიგეს, ან არ გაიგეს, რათა დაეფარათ რუსების მოქმედების მიზეზები საქართველოში, სამაგიეროდ, თავის დროზედ, პეტერბურგის კაბინეთი, ამ ამბავმა საგონებელში ჩააგდო. კავკასიის და მისი მთავარ-მართებლის როლიც მისთვის უფრო დიდი შეიქმნა, რათგან მთლად საქართველოს და განსაკუთრებით დასავლეთის, შავი ზღვის ნაპირების დაბყრობა მისთვის ორნაირი სარგებლობის მომტანი იყო. ჯერ ადგილებს იბყრობდა და მერე ოსმალეთის წინაღმ-

*) ალ. ბატონიშვილის ამ პერიოდში მოღვაწეობის შესახებ, უკვე ზემოდ გვქონდა ლაპარაკი, როდესაც ალ. საქართველოს აჯანყებებს აღვწერდით.

დეგ სტრატეგიული პუნქტებიც მის ხელში იქნებოდა; წინალმდეგ შემთხვევაში, ის ზარალობდა არამარტო საქართველოს დაკარგვით, არამედ, იმ მდგომარეობითაც, რომელსაც მას ანიჭებდა ოსმალეთის წინალმდეგ საქართველოს და კავკასიის გეოგრაფიული მდგომარეობა. პეტერბურგი გრძნობდა რა ყველა ამას, წინასწარ, ჯერ კიდევ ციციანოვს წინადადებას აძლევდა: დროზედ მოეთავებინა საქართველოს „შინაური საქმეები" (ე. ი. დაბყრობა), დაეცდო ზავი სპარსეთთან და თუ შესაძლებელი იყო, რუსეთის მხარეზეც გადმოეყვანა.

ამგვარ პირობებში უხდებოდა ბრძოლა რუსების წინალმდეგ ალექსანდრე ბატონიშვილს და მანვე გაიტაცა სოლომონი. სპარსეთითგან თეიმურაზ და ალექსანდრე ბატონიშვილებს კავშირი ჰქონდათ საფრანგეთის წარმომადგენლებთან, სპარსეთის ლაშქარს წინ უძღვიან, ხოლო ოსმალეთის სანაპირო საფაშოები: აზრუმის, ტრაპიზონის, ყარსის და განსაკუთრებით ახალციხის, მათ ზორგს უმაგრებენ. ამიერ-კავკასიის ყველა სახანოები ეფიცებიან და კიდით-კიდეზედ ბანს აძლევენ ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლის ყიჟინას. დალესტნის ლეკები ყოველთვის მზად არიან ბრძოლისათვის რუსების წინალმდეგ; ისინი ხშირად თავს ესხმიან რუსებს და მუსრს ავლებენ. ლეკების ჯარებით სავსეა ახალციხე და მზად არიან ბატონიშვილის ყოველ დაძახებაზედ. ალმოსავლეთ საქართველო ეფიცება ალექსანდრე ბატონიშვილს, უკანასკნელი უსაზღვროდ ალმაფრთოვანებელ წერილებს სწერს მთაში. მისი აუარებელი პროკლამაციები ცლვის სისწრაფით ვრცელდება თემიდან - თემებში, სოფლიდან - სოფელში. კახეთი, მთა, თუშ - ფშავ - ხევსურეთი იარაღში ჩაჯდა; ხოლო იმერეთი შეეფიცა სოლომონ შეფეს. და იმდენითგან რაც რუსის ჯარი შევიდა ჭუთაისში, იმერეთის ტყეებში ჩნდება ურიცხვი პარტიზანული რაზმები. მოკლედ, ქართველი ერი ერთი იდეით არის შეპყრობილი, დიდი და წარჩინული მზად არის სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართოს რუსებს...

X

ასეთი იყო ფარეშე და შინაგანი ვითარება და გენიოსი ალექსანდრე ბატონიშვილი ლირსეულად წინამძღვ-

რობდა შექმნილ მდგომარეობას, ხოლო სოლომონი სრულის შეგნებით მოქმედებდა, როდესაც რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას მათ თავზედ გადახედვას უპირებდა, რათგან არც ერთი მუხლი მათ არ აასრულეს. და ციციანოვს საჯაროდ ეუბნებოდა, რომ მან სირცხვილი სჭამა აზიის ხალხთა წინაშე, რუსეთის მფარველობაში შესვლით, და ამაზედ სწუხდა.

ახლა გავყვეთ სოლომონის მოქმედებას. როგორც აღენიშნეთ, ციციანოვის სიკვდილის შემდეგ ყველა წინაალუდგა რუსებს. ერევნის ხანი ემზადება შულავერის დასაბურობად (ამდროს რუსებს ეკავათ); შექის და შირვანის ხანები, ავარიის, დერბენდის და კაზიკუმუხის ხანები დახმარებით, ადგენენ დიდ მეგმას რუსების წინააღმდეგ. სპარსეთის ჯარები უახლოვდებიან რუსების საზღვრებს. ალექსანდრე ბატონიშვილი იყო ერევანში და ის კაზიკუმუხის ხანთან ერთად აპირებდა ჯერ განჯისა და მერე ტფილისის დაბურობას *), და სოლომონ მეფეც ამ დროს რუსებს წინადადებას აძლევს, დასტოვონ ქუთაისი; ის ამასთანავე სწერს მთავარ-მართებელს, გუდოვიჩს, რომ თუ რუსები ყველა პირობებს შეასრულებენ, სოლომონი მზად არის დასდოს რუსებთან ახალი ხელშეკრულება. მისი პირველი წერილის შინაარსი გუდოვიჩისადმი ასეთია: — „თქვენს მიერ დარღვეულია პირობა, ციციანოვის მიერ ხელმოწერილი, რომ ჩვენ ლეჩხუმი ჩამოგვართვით, აგრეთვე ქუთაისი და ჩემი სასახლე" და სხ. „მაგრამ ყველა ეს უნდა დავივიწყოთ და კეთილგანწყობილება დავამყაროთ. ამისთვის კი, გთხოვთ გაიყვანოთ ჩემი სატახტო ქალაქითგან ,ჯარები და ნება მომცეთ თქვენი სახელით, იმპერატორის კარზედ ჩემი ელჩი გავგზავნო. თუ ამას არ ინებებთ, მაშინ პირდაპირ მომწერეთ, რომ თქვენ, მე მართმევთ სატახტო ქალაქსაც და საბრძანებელსაც.

ეს იყო ივნისში, მხოლოდ აგვისტოს 9-ს, ამერეთში-მყოფი რუსის ღენერალი ნესვატაევი სწერს გუდოვიჩს, რომ ქუთაისს ვერ დაუბრუნებთ, ხოლო ელჩების გაგზავნა არ შეეფერება რუსეთის იმპერატორის კარსო, და აცნობებს, რომ სოლომონი ჯარებს აგროვებსო. გუდოვიჩი თავის მხრივ ილებს სათანადო ზომებს და ღენ. რიკ

*) იხ. პოტტო. ტ. I, გვ. 250.

გოფს აფრთხილებს, თვალ-ყური ადევნოს სოლომონის ჯარების მოძრაობას *).

სოლომონი 15 სექტემბერს 1806 წ., კიდევ ჩივის გუდოვიჩთან, რომ ციციანოვმა მასთან „...დაწყება იძულებითი დაარღვია დარღვევითა შეკრულებისა ჩვენისათა, და უწერდა ნიადაგ ცილის წამებასა ჩვენსა უმაღლესისა კარისადმი...“ და სთხოვს, მან ახლად წარადგინოს „პუნქტები“ იმპერატორის წინაშე **). სოლომონის მიერ გუდოვიჩთან გაგზავნილ წერილში ნათქვამია: „სახითა მრისხანითა მაიძულა მე ციციანოვმან, ხელის მოწერად თავისგან დაწერილთა, ჩვენ მიერ შეუძლებელთა პუნქტთა ზედა“. ჩამოთვლის ყველა მათ რაც კი იყო ხელშეკრულებაში და ციციანოვმა დაარღვია. ახვათა შორის მე-7-ე შეხლში სწერს: „... ციციანოვისა მიერ დამტკიცებული იყო პირობა, რათამცა იდგეს სამეფოსა შინა ჩვენსა ნაწილი მხედრობისა, სადაც მენებოს, დასხნა პირობა ესე და წინააღმდომად ჩვენდა დაგვიდგინა, რომა ერთი ქუთაისს, რომელსაც გარდაუსვლელად ვთხოვდი, რათამცა განიყვანოს მხედრობა იგი და დამანებოს ქალაქი და სასახლე ჩემი, ხოლო შემდგომად სიკვდილისა ციციანოვისა, ნაკვლად მხედრობის გაყვანისა. თვით იარანალი რიკბობ უნებლად ჩემდა სრულითა მხედრობითა შემოვიდა ქუთაისს, ჩამომართვა ქალაქი და სასახლე ჩემი და თვით სასახლეს შინა ჩემსა მდაბალთა მოხელეთა ჯარისათა უსხედან კაბპეში, წართმეულნი თავადთა ჩემთა მუახლენი...“ ***).

ეს და მრავალი სამართლიანი საჩივარი მიართვა სოლომონმა, ხან იმპერატორს, ხან გუდოვიჩს და ხან იმერეთში მყოფ რუსის ჯარების ლენერალებს, მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევდა. მისი საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო. რუსეთის მთავრობამ დადგინა, სხვა ქართველ ბატონიშვილთა მსგავსად, სოლომონი შეებყრათ და რუსეთში გადაეგზავნათ, ხოლო იმერეთი დაებყრათ და რუსეთის პროვინციათ გამოეცხადებინათ. ეს დადგენილება მოჰყვა გუდოვიჩის მიერ იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილს, სოლომონის „პუნქტებთან“ ერთად. მაგ-

*) იხ. აქტები. ტ. III, გვ. 118.
**) იქვე. გვ. 212.
***) იქვე. გვ. 122.

ერამ, რომ თვით თავი მართლად მოეჩვენებინა, რიკგოფს წინადადება მისცა, ქვეთაისითგან დროებით გაეყვანა ჯარები *); და 14 მარტს 1807 წ. ბარონ ბუდბერგი უწონებს გუდოვიჩს განზრახვას და უგზავნის „პუნქტების“ შენიშვნებს **), სადაც ყველაფერში გამტყუნებულია სოლომონი. გუდოვიჩი სასწრაფოდ ბრძანებას აძლევს რიკგოფს, შეიბყრის სოლომონი და გადაგზავნის ტფილისში, ხოლო 10 თებერვალს 1808 წ. თვით იმპერატორის გუდოვიჩისადმი ბრძანებაში, გუდოვიჩის მიწერილობაზედ, რომ განზრახვა მაქვს სოლომონი შევიბყრავო — ნათქვამია: „... მე არა მარტო თანახმა ვარ... არამედ **გიბრძანებ**, დროზედ სისრულეში მოიყვანო“. 18 თებერვალსაც გრაფ რუმიანცევი სწერს გუდოვიჩს: „... ეცადე შეიბყრო ყოფილი მეფე, სოლომონი და გაისტუმრო ტფილისში, იქითგან შეუჩერებლად გამოგზავნეთ ვორონეჟშია; ხოლო 12 აპრილს, იგივე რუმიანცევი სწერს, რომ სოლომონის შეპყრობის საქმე უნდა მოხდეს ისე, რომ სისხლი არ დაიღვაროს, და არც მინდა რომ ის გაიქცეს ***).

ამ საბუთებით, ჩვენთვის საკვლევებით გამოჩენილია მიზანი რუსებისა. ახლა საჭირო იყო საშუალება და დრო იმერეთის დაბყრობისა.

ამ დროს იმერეთის მხრითგან რუსებს დიდი სამსახური გაუწია ზურაბ წერეთელმა. წყაროებითგან სჩანს, რომ ზურაბ წერეთელი ახლილად ვერ ბედავდა ლალატს, და ხშირად ორეფოვ მდგომარეობაში იყო ის, იმიტომ რომ ის ბევრნაირად იყო დაკავშირებული სასახლესთან და იმერეთის სხვა მოწინავე პირებთან და შერე როგორც ვნახავთ, თვით მისი შვილი სიმონ წერეთელი ფრიად ერთგული პირი იყო მეფის, რომელიც გაჰყვა კიდეც ციგრაციაში. ამ ორგულობას, ზურაბ წერეთელისას რუსებიც ხშირად აღნიშნავენ და ყოველთვის არ ენდობიან. თავის მხრივ სოლომონიც მისგან ბოლომდე არ ჰკარგავს იმედს, მაგრამ ასე იყო თუ ისე, მისი მოქმედება ეწინააღმდეგებოდა ხალხის და მეფის საერთო განწყობილებას,

*) იხ. 15 იანვრის 1807 წლის გუდოვიჩის ბრძანება რიკგოფს (აქტები. ტ. III, გვ. 129).

**) იქვე. გვ. 125.

***) იქვე. გვ. 131. 154.

და განსაკუთრებით ბრძოლის დროს, მათ წინააღმდეგ მოქმედება, ლოგიკურად უნდა ჩაითვალოს. ამგვარად, ზურაბ წერეთელი იყო დიდი გამოსაყენებელი ძალა რუსეთისათვის და მართლაც მით ძალიან ისარგებლეს.

მეორე ძალა, რომელიც ხელს უწყობდა რუსეთს იმერეთის დაბყრობის საქმეში, იყო სამეგრელო. სამეგრელო უკვე 1804 წელს შეეკრა რუსეთის მფარველობაში და მისი მთავრები ლოიალურად იყვნენ განწყობილი რუსეთთან. მეორე მხრივ, რათგან იმერეთთან მუდმივ წინააღმდეგობაში იყვნენ, ახლა რუსების ზურგით საარბევლობდენ და სხვა და სხვა გზით ებრძოდენ სოლომონს. აქ ჩვენ უმთავრესად ვლაპარაკობთ მმართველ წრეებზედ და არა ხალხზედ.

ჯერ კიდევ 14 ივლისს 1806 წ. პეტერბურგში სამეგრელოს დეპუტატებმა შეიტანეს ორი თხოვნა. ერთით თხოულობდენ: სამეგრელოს დაუბრუნდეს ის ადგილები, რომელიც მას წაართვა იმერეთის მეფემ; და მეორით: — იმერეთისთვან გაყარეთ მეფე სოლომონი და ბატონიშვილი კოსტანტინე, და იმერეთში „მმართველის" სახელით დანიშნეთ იოანე ბატონიშვილი (გიორგი XII-ს შვილი), რომელიც დიდად პატივცემულია იმერეთში *)

1806 წლის ოქტომბერში კი ნიკ. დადიანი სწერდა გუდოვიჩს:—„საუკეთესო დრო არის იმერეთის დაბყრობისა, ციხითგან გაიქცა გიორგი ბატონიშვილი **), უახლოესი შემკვიდრე იმერეთის ტახტისა. ის ახლა იმყოფება თქვენს ლენერლებთან, მისი საშუალებით იმერეთის ხალხში ნდობა უნდა მოიპოვოთ და დაიბრუნოთ იმერეთი. იმერეთის თავადებზედ მეც ვიმოქმედებ და ლეონ დადიანიც დაგვეხმარება. ეს ხელსაყრელი მომენტი ხელითგან არ გაუშვათო ***).

ასეთი ერთიერება ქართველების მხრივ, რასაკვირველია, რუსებს ფრიად ხელს უწყობდა, მაგრამ მათ თუ

---

*) იხ. (აქტები. ტ. III, გვ. 175) ბარონ ბუდბერგის წერილი გუდოვიჩს.

**) ეს გიორგი არის, ჩვენს მიერ მოხსენებულ სოლომონ I-ის შვილის, ალექსანდრეს უკანონო შვილი, რომელიც დიდხანს სოლომონ II-ეს კოსტანტინე ბატონიშვილთან ერთად ციხეში ჰყავდა.

***) იქვე. გვ. 125.

მაინც ერთის ხელის დაკვრით ვერ დაიბყრრეს იმერეთი, ამას ხელს უშლიდა თვით რუსების მდგომარეობა. გუდოვიჩს საქართველოში მყოფი ჯარები არ ჰყოფნიდა, რუსეთთითგან მილებაც ძნელი იყო, რათგან ევროპასთან შექმნილი მდგომარეობა აიძულებდა რუსეთს, დიდძალი ჯარები დაებანაკებინა ფინლანდიაში, ბალტიის და თეთრი ზღვის ნაპირებზედ *).

30 აპრილს 1808 წ. გუდოვიჩი იღებს წერილს რუმიანცევისაგან, სადაც ნათქვამია: — „მ. უ. ინება ჯერ-ჯერობით გადაიდოს სოლომონის მმართველობითგან განდევნის საქმე, და დაეკმაყოფილდეთ შძევლების ჩამორთმევით, ნიშნად ერთგულობისა **). ასე იცვლება დროებით რუსების აზრი; მაგრამ სოლომონი მაინც ეძინობს მის მომავალს. ის მძევლების მიცემაზედ უარზეა და შეუდგება მზადებას რუსების წინააღმდეგ ბრძოლის გამოსაცხადებლად. სოლომონი ახლა მხოლოდ საკუთარ ძალებზედ იყო დამყარებული, რათგან ამასობაში, საერთაშორისო მდგომარეობა იცვლება მის საწინააღმდეგოდ. ამიტომ, სანამ მის შეჭდეგ მოქმედებას აღვწერდეთ, ცოტა ხნით შევჩერდებით საერთო მდგომარეობაზედ.

XI

ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ ნაპოლეონის მოქმედება სპარსეთსა და ოსმალეთში; ამით მას ორი მიზანი ჰქონდა დასახული: ჯერ რუსების დამარცხება და მერე ბრძოლის მომზადება ინგლისელების წინააღმდეგ ინდოეთში. ამ საქმისთვის ნაპოლეონმა გაგზავნა სპარსეთში მისია გენ. გარდანის ხელმძღვანელობით. გარდანმა პირველად მიაღწია კიდეც მიზანს, სპარსეთ-საფრანგეთის კავშირს რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ მეორეში მიეღწეველი დარჩა, ამიტომ ის 1809 წელს ბრუნდება უკან.

ამის მიზეზი იყო რუსეთ-საფრანგეთ შორის ჩამოვარდნილი ზავი. 14 ივნისის 1807 წლის გამარჯვების შემდეგ, ნაპოლეონს აღარ სჭირდებოდა სპარსეთი, რათგან 7 ივლისს 1807 წ. დაიდო რუსებსა და ფრანგებს შორის ტილზიტის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ალე-

*) იხ. დუბროვინი. ტ. V, გვ. 200.
**) აქტები. ტ. III, გვ. 159.

ქსანდრე I-ი აცხადებდა თავს ნაპოლეონის მეგობრად. ამგვარად, ის დანაპირი, რაც ჰქონდათ სპარსელებს ნაპოლეონისგან ხელშეკრულების მიხედვით, ნაპოლეონმა რუსებთან საქმე როგორც კი გამოასწორა, — ველარ შეასრულა. სპარსელები დარწმუნდენ, რომ ფრანგებს თავიანთი ინტერესები ჰქონდათ, და ის ვერ თავსდებოდა სპარსეთის ინტერესებთან ერთად. ამავე დროს ინგლისელები სპარსელებს დიდძალ ფულს აძლევდენ და ბოლოს კიდეც შეაბრუნებიეს პირი ფრანგებისაგან. სპარსელებმა ახლა ინგლისელებთან გამართეს მოლაპარაკება *); მაგრამ, შემდეგი ჩვენ აღარ გვაინტერესებს.

ჩვენთვის კიდევ საინტერესოა მეორე ამბავი, რომელიც აგრედვე ნაპოლეონთან და იმავე ტილზიტის ზავთან არის დაკავშირებული.

ამ ტრაქტატის მიხედვით, აგრეთვე, საფრანგეთს უნდა ეზრუნა რუსეთ - ოსმალეთის შორის მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის. საფრანგეთისთვის ეს არ იყო ძნელი, რასთან ომი თვით მათივე გამოწვეული იყო. ნაპოლეონმა უბრძანა ოსმალეთის უმაღლეს ვეზირს, შეეჩერებინა სამხედრო მოქმედება; ასეთივე ბრძანება მიიღო რუსეთის იმპერატორისაგან გუდოვიჩმა, და ბოლოს 2 სექტემბერს 1807 წელს, მათ შორისაც დაიდო ზავი.

ამგვარად, ის უზარმაზარი ქალა მიმართული რუსეთის წინაღმდეგ ინგრეა. იშლება ნაპოლეონის კავშირი და საქართველოს საქმეც სრულ უიმედობაში გადადის. თუმცა მართალია, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს საკითხი არ მდგარა ნაპოლეონის წინაშე, მაგრამ, რასთან ის მას უთმობდა სპარსეთს, ხოლო სპარსეთი საქართველოზედ ლაპარაკობდა როგორც ვასალურ სახელმწიფოზედ. ხოლო ალექსანდრე მატონიშვილი ფორმალურად მაინც უსათუოდ ამ პირობით იქმნებოდა შეთანხმებული აბას - მირზასთან და ბაბა - ხანთან. ასევე სოლომონისთვისაც მისაღები იყო, ყოფილიყო მფარველობაში ოსმალეთის, ვიდრე რუსეთის. ასე რომ, რუსების წინაღმდეგ ეს ხელსაყრელი მდგომარეობა დღეს

*) ამის შესახებ მასალები იხ. Mission du général Gardane en Perse sous le Premier Empire. Documents historique. Paris 1865. Par Gardane Alfred. და M. Driault. La politique orientale de Napoléon.

ალარ არსებობდა. სოლომონი იძულებული იყო, საკუთარ ძალებს დაყრდნობოდა და იმ საშუალებათ, რაც მას ლიათ თუ ფარულად, ოსმალეთის განაპირა საფაშოების სახით ყოველთვის ჰქონდა.

XII

ერთხანს სოლომონი პროპაგანდას ეწეოდა, თითქოს ტილზიტის ზავით, იმერეთი ოსმალეთს დარჩა და მოითხოვდა რუსებისგან, დაეცალათ იმერეთი, მაგრამ ზავის შედეგები მალე ყველასათვის ცნობილი შეიქმნა და სოლომონმაც მიანება მას თავი.

ამავე ხანებში გამოირკვა, რომ სოლომონისთვის აუცილებელი იყო ზურაბ წერეთლის თავიდან მოცილება; ასეც მოიქცა და ძის მაგივრ დანიშნა როსტომ ნიკარაძე, მან შემოიკრიბა გარს მხოლოდ ის ხალხი, ვინც გარკვეული მტრები იყვენ რუსების; მათ შორის კი თვალსაჩინო როლს თამაშობდა ირაკლის ძველი კანცლერი სოლომონ ლეონიძე.

გუდოვიჩმა 1808 წ. იანვარში, იმერეთში გაგზავნა მე-9-ე ეგერთა პოლკის ერთი ბატალიონი.

სოლომონს საფრთხე უახლოვდებოდა. მან ერთხელ კიდევ სცადა მშვიდობიანი გზით მოეხერხებინა თავის დედა - ქალაქში დარჩენა, მაგრამ, რომ ვერას გახდა, დასტოვა ქუთაისი. სოლომონისთვის მძიმე იყო სატახტო ქალაქის დატოვება, მაგრამ მან იცოდა, რომ რუსები მას არ დაინდობდენ და ისევ „უსაფუძვლოებ“ არჩია „ერთმორწმუნე“ რუსებს.

სოლომონი გაიქცა ქუთაისითგან. რუსებმა იგრძნეს, რომ ეს აქტი მათთვის არ იყო კარგი და გუდოვიჩმა მაშინადვე აფრინა წერილი სოლომონთან; 31 მაისს 1808 წ. ის სწერდა, რომ შენი სასახლითგან ჯარები გავიყვანეთ, რათა შენ მყუდროდ იცხოვრო, ხოლო ქუთაისითგან ვერ გავიყვანთ, რათგან თათრებისა გვეშინიან *). ხოლო სოლომონი ნაღვლიანის ირონიით უპასუხებს: — თქვენ მწერთ, რომ სასახლე დაცლილია, „მე ეს მესმის გაოცებით, რათგან, რა დასცალეთ, როდესაც სასახლე

*) იხ. აქტები. ტ. III, გვ. 160.

ალარ არსებობსო". მართლაც, ის კარი ხნით ადრე დაანგრიეს რუსებმა *).

გარდაიცვალა იმერეთში მყოფ რუსის ჯარების სარდალი რიკბოფი და 10 თებერვალს 1809 წელს, მის ნაცვლად გუდოვიჩი ნიშნავს ღენ. მ. ორბელიანს და ავალებს, რომ რა

წერეთელი და სეხნია წულუკიძე, ქუთაისში კი მუშაობენ ლოსტომ წერეთელი და ლევან და დიმიტრი აბაშიძეები. 5 ივლისს 1809 წელს, ეს შეიარაღებული ხალხი გადმოდის ქართლში, თავს ესხმის რუსების არტილერიის ტრანსპორტს და ანადგურებს. ამ დროს ლენ. დ. ორბელიანი მიმდგარი იყო ფოთის ციხესთან და როცა გაიგო ტორმასოვმა, რომ ფოთის საშველად ახალი ძალები ემატებოდა, დასძრა ორი ბატალიონი ჯარი პოლკ. სიმონოვიჩის მეთაურობით. ფოთის ჭუჩუკბეის ეხმარებოდა სოლომონი და მამია გურიელი, მათვე მიიხმრეს ტრაპიზონის სერასკირი შერიფ - ფაშა, მაგრამ 9.000 - ანი ლაშქარი მოკავშირეთა დაამარცხეს რუსებმა. 1809 წელს 15 ნოემბერს, ფოთი ჩაჰბარდა რუსებს და თათრების გარნიზონი წაიყვანა ტრაპიზონში.

ამ ბრძოლის შემდეგ, ტორმასოვმა იმერეთითგან გამოიქცა ორბელიანი და მის მაგიერ დანიშნა პოლკ. სიმონოვიჩი. მასაც ივივე წინადადება მისცა, რომ იმერეთი უხლა შეეიდეს „რუსეთის იმპერიის საუკუნო ქვეშევრდომობაში".

როდესაც სიმონოვიჩი ჩავიდა იმერეთში, მან დიდ ხანს აწარმოა მოლაპარაკება ზურაბ წერეთელთან, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამ დროს ზურაბი თითქოს ერთგვარ ორპირობას იჩენს; ხედავს, რომ იმერეთის ტახტი გაუწირულია, და არ უნდა რუსებს ზერგი შეაქციოს, მაგრამ უდაოდ, იმერეთის საზოგადოებრივი აზრიც მასზედ უკელენას ახდენდა, ბოლოს ის მაინც ერთგული რჩება რუსების და მოქმედობს მათთან ერთად. ამ დროს სწერს ტორმასოვიც სიმონოვიჩს, რათა დროზედ გადასწყვიტოს ბედი სოლომონისა და იმერეთში მშვიდობიანობა დაამყაროს *).

სოლომონი ხედავდა, რომ ცუდად იყო საქმე, მას ერთილა დარჩენოდა, რომ აქ რუსებთან მოლაპარაკებით დრო მოეგო და იქით, თურქებთან და სხვა მოკავშირეებთან ეძია დახმარება.

1810 წელს იანვარში, სოლომონმა გაუგზავნა ტორმასოვს ტფილისში ელჩები და თან გააყოლა წერილები, რითაც უკეკავდებს რუსების ბრალდებებს და უდგენს საბუთებს იმისა, რომ რუსებმა დაარღვიეს ყველა პირობე-

*) იხ. აქტები. ტ. IV, № 203 და პოტტო ტ. II, გვ. 73.

ბი, და დასძენს: თუ ის დასდებს მასთან ახალ ხელშეკრულობას, მაშინ შეიძლება გახდეს ერთგული რუსეთისა. საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ სოლომონის ბრალდება, მანამდე კი უნდა აღვნიშნოთ, ეს ამბავი ანალოგიური ირაკლის ურთიერთობისა რუსებთან. მაშინ როდესაც რუსებმა ხელშეკრულების დადების შემდეგ, ალა-მამად ხანის შემოსევის დროს უღალატეს ირაკლის, არ დაეხმარენ, და ირაკლიმ ერთგულად დაიცვა პირობა, და ეს ერთგულობა ისეთ უკიდურესობამდე მიიყვანა, რომ მას საშიშროებლოც კი ანაცვალა. ხოლო სულ სხვანაირად მოიქცა სოლომონი და სრულიად სამართლიანადაც, და მისი ნაბიჯი უფლებრივად ყოველთვის გამართლებული დარჩება; რათგან, დროგორც კი შეამჩნია რუსებს ღალატი, ხელშეკრულების დარღვევა, ის აშკარად გადაუდგა მათ და ერთგულობას ჰპირდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, თუ მასთან ახალ ხელშეკრულებას დასდებდენ.

აი სოლომონის ბრალდება *):

ა) „... სადა არს სამკვიდრო სამეფლობელო ჩემი ლეჩხუმი, რომლითა შემოველ მფარველობასა ქვეშე და რომელსა ზედა საშინელისა ფიცითა მაქვს ხელმოწერილობა და პირობა თავადის ციციანოვისა.

ბ) და უკეთუ დაიცვეს წმიდად, შემდგომად გვაქვნდა ციხე ერთი დეხვირი, საშვალ ლეჩხუმისა, რომელსა შინა მოგვიკლეს მეციხოვნე მუნ მყოფთა მოსახლეთა, ვთხოვეთ მასზედა სამართალი და ნაცვლად სამართლისა მოცემისა, წაგვართვეს ციხეცა იგი და მისცეს დადიანს.

გ) და უკეთუ დაიცვეს წმიდად, ქუთაისს ქალაქსა შინა ჩვენსა დაბეჭდილი იყო ჩვენ მიერ დუქანი ვაჭრისა ჩვენისა; წინაალდგომად ჩვენდა, სტათის პოლკოვნიკმა მოგლიჯა სამეფო ბეჭედი ჩვენი, გატეხა დუქანი, გამოიღო საქონელი და მისცა ჩვენ მიერ განწყრომილსა ვაჭარსა ჩვენსა.

დ) და უკეთუ დაიცვეს წმიდად, ციციანოვმა გამოგვიცხადა აღწერილი პუნქტებთა შორის, რათა იდგეს სამეფოსა შინა ჩემსა მცირე ნაწილი მხედრობისა, — როტა ერთი, ასოცი კაცი, სადაც მე შენებოს, და დაგვიყენა მა-

---

*) იხ. სოლომონის წერილი ტორმასოვს. 5 იანვარი 1810 წ.; აქტები. ტ. IV, გვ. 214.

ითარი ერთი ასოცი ყაცითა, ხოლო აწ სადაც მე არა მნებავს, უკითხავად ჩემდა, დგანან სიმრავლე მხედრობისა.

ე) და უკეთუ დაცულ არს წმიდად, გვაქვს ხელმწიფეობა და პირობა უფლისა ფერთმარმლის ლუდოვიჩისა, რათა თვინიერ შკვდრის მაგიერის რეკრუტისა, იმეორეთს არა გარდამოვიდეს საჭურველიანი სალდათი არცა ერთი, ხოლო აწ პოლკები დაზამთრებულ არიან.

ვ) თუ უკეთუ დაიცვეს წმიდად, ჭუთაისს სამეფოსა ხასახლესა და თვით საწოლსა შინა ჩემსა დაბალთა მოხელეთა, უსხდათ ხასები, წართმეულნი თავადთა ჩემთა მოახლენი,

ზ(ეა) და უკეთუ დაიცვეს წმიდად, დააქციეს სამეფო სასახლე ჩემი ქუთაისს ვიდრე საფუძვლამდე.

თ) და უკეთუ დაიცვეს წმიდად, პირველი თავადი იმერეთისა წულუკიძე, თვით ხიძე ჩემი დავით, სალდათებმა შეიბყრეს ქუთაისს, ათრიეს, გალახეს, თავი გაუტეხეს და სისხლითა შეღებილი წარმოდგა ჩვენთანა; ესთხოვეთ მასზედა სამართალი, რომელსა ზედა გვიპასუხეს: თავადს წულუკიძეს თუმცა დანაშაული არა ჰქონდა, მაგრამ სალდათებს ვერ ეცნოთ, თორემ არ გალახავდენო.

ი) და უკეთუ დაიცვეს წმიდად, ესოდენთა წელიწადთა დგანან მხედრობანი რუსეთისანი სამეფოსა შინა ჩემსა, ვითარცა სახლსა შინა თვისსა, და იზრდებიან შემოთა, სახლითა ჩვენ მიერ მიცემულითა, პრავიანტითა, ფურაჟითა, ხარითა, ცხენითა, ურემითა, სასმელითა და საზედელითა, და წარვლიან დღეთა ზამთრისა და ზაფხულისათა მშვიდობითა, გარნა ნაცვლად მადლობისა, გვაგინებენ და შეურაცხყოფენ თავადთა და კეთილშობილთა ჩვენთა.

განვრცელებისათვის წერილისა, არღარა დავსწერ რუსეთის უსარგებლოდ, მრავალთა სხვათა მწუხარებათა ჩემთა გარნა ვკითხავ მაღალ ალმატებულებასა თქვენსა: მოწყალეო ხელმწიფეო ჩემო! მიხედე ზემოთქმულ აღწერილთა და მიბრძანეთ, სად არს დაცვა წმიდად და უცვალებლად პირობისა და შეკრულობისა უწინარეს თქვენსა მყოფთაგან..?" (აზის სოლომონის ბეჭედი).

მაგრამ სოლომონის ამგვარ სამართლიან ჩივილს, ყურადღებას არავინ აქცევდა და ტორმასოვი ისევ ყიციანოვის ხაზს განაგრძობდა. ის დაეინებით მოითხოვდა სო-

ლომონისგან დეპუტატების გაგზავნას პეტერბურგში და კანდიდატებსაც თვით უსახელებდა. ძალმომრეობა ამაზედ მეტი წარმოუდგენელი იყო, რომ მეფემ უნდა გაგზავნოს ის პირები, რომელთაც მთავარ-საბოლოო დაუსახელებს, ე. ი. ბრუსოფილები. ასევე ექცეოდა სოლომონს ციციანოვი; და სოლომონიც ტორმასოვს სრულიად სამართლიანად სწერდა: *) — რომ ელჩების ამორჩევა ეცუთვნის მას, სოლომონს, და არა რუსებს, რათგან ისინი უნდა იყვნენ მეფის აზრებისა და სურვილების გამომხატველნი. ციციანოვი ამიტომ ამბობდა უარს ლეონიძის დეპუტატობაზედ. ხოლო ტორმასო

ზანში: სოლომონის შვილი ამ დროს ტფილისში სწავლობდა და აგრეთვე ზოგიერთი კავშირი მისი, ალმოსავლეთ საქართველოს თავადებთან; ტორმასოვს აფიქრებიებდა, თითქოს მას ადვილად მოისყიდიდა, მაგრამ ანგარიშში სასტიკად მოსტყუვდა. ტორმასოვმა აუარებელი თანხები გაუგზავნა სიმონოვიჩს, ლეონიძის მოსატყუებლად და უკანასკნელს ჰპირდებოდა დიდ ჯილდოს, ოლონდ მეფე სოლომონი გაეცა; ლეონიძემ კი სასტიკი უარი შეუთვალა, ყველა ეს მეფეს აუწყო და შეუდგენ სათანადო მოქმედებას. რუსებისათვის მაშინაც და შემდეგაც იქამდე გაუგებარი იყო, ასეთი მაღალი მამულიშვილური შეგნება, რომ ყველა მას, ისევ სოლ. ლეონიძის პირადი სარგებლიანობით ხსნიდენ. აი მაგ. აკადემიკოსი დუბროვინი რასა სწერს ამაზედ: „ლეონიძეს ესმოდა, რომ ამგვარი ჯილდო (რუსების) ვერ მისცემდა მას იმ მდგომარეობას, რომელშიც იყო ის წერა-კითხვის უცოდინარ მეფესთან, ხოლო თანხა და ღირებულება საჩუქრებისა, ვერასოდეს მიაღწევდენ იმ ციფრს, რომელიც მას შეეძლო მიეღო, მეფის სახელით, მცხოვრებთა ცარცვა-გლეჯისაგანო“ *). ასე ხსნიდა რუსის ისტორიკოსი ლეონიძის მამულიშვილობას; მაგრამ, მამულიშვილობა, სამშობლოს სიყვარული, ერთგულობა, ეს არიან შედეგნი პირადი ნივთიერი კეთილდღეობისა. ეს შეგნება ქართველში დამუშავებული იყო ხანგრძლივი ისტორიული ბრძოლებისა და განცდების წიაღში და იმ ერის შვილებისათვის, ვინც ამ დიდ ღირებულებას მოკლებულნი არიან, რასაკვირველია გაუგებარია დიდი მამულიშვილური ვრძნობებიც. რუსის აკადემიკოსი ამ შეგნებას ვერ სცილდება. მისი აზრით, თუ კი რუსები ლეონიძეს ან სხვა მამულიშვილ ქართველთ, იმაზედ მეტად უზრუნველყოფდენ, რაც მათ ასრულებულ პირობებში გაეჩინდათ, ერისთვის ადვილადაც უნდა ეღალატათ, მაგრამ რუსეთის ისტორიკოსი მაინც უნდა დარწმუნებულიყო, რომ რუსული ალაშინი სუსტი იყო ქართველთა ერთგულნი შეგნების საზომად!..

XIII

ასე იყო თუ ისე, ტორმასოვმა ამ გზითაც ვერას მიაღწია და ბოლოს და ბოლოს რწმუნდებოდა, რომ ქა-

*) იხ. დუბროვინი. ტ. V, გვ. 290.

რთველებთან ერთად ძნელი იყო რამის გაკეთება. ჯერ სოლომონის მიერ გაგზავნილი, ახლად შედგენილი პუნქტები არ მიიღო და სოლომონს აიძულებდა, ძველი ბრძანება შეესრულებინა; მერე თვით სოლომონიც მოითხოვა, პირადად, ტფილისში ხლებოდა მას. და ბოლოს ტორმასოვმა სოლომონს დაუდო შემდეგი პირობა:

1) წარუდგინეთ სიმონოვიჩს სამი დღის განმავლობაში მძევლები და დეპუტატები პეტერბურგში გასაგზავნად.

მძევლებად: კოსტანტინე ბატონიშვილი და სოლომონის სიძე, მალხაზ ანდრონიკაშვილი.

დეპუტატებად: ლეონიძე, სეხნია წულუკიძე, ქაიხოსრო წერეთელი და როს. ნიკარაძე.

2) სასწრაფოდ გადადით საცხოვრებლად ქუთაისში.

3) დეპუტატებთან ერთად, გაგზავნეთ თხოვნა იმპერატორთან, სამუდამოდ რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ.

რასაკვირველია, ეს იყო უკანასკნელი ცდა ტორმასოვის მხრით. იქნებ, როგორმე უმსხვერპლოდ ჩაეგდო ხელში სოლომონი.

ტორმასოვმა დასძრა რუსის ჯარები და დაიწყო იმერეთის ძალით დაბყრობა. 20 თებერვალს 1810 წელს, მაიორი პრიბილევსკი იბყრობს ,,ჩიჩხერიასა და სვირა" და შეიფიცებს ზურაბ წერეთელს შვილით და ზოგიერთ სხვა თავადებს.

ვადის უკანასკნელი დღეთ დანიშნული იყო 20 თებერვალი; სოლომონთან ტორმასოვს მოსალაპარაკებლად გამოგზავნილი ჰყავდა მოგილევსკი. რომელმაც ვერა გააწყო რა. სოლომონი მოლაპარაკებას განგებ აგრძელებდა, ელოდა ,,გაზაფხულის მოსვლას. ხოლო სოლ. ლეონიძე და ,,კოსტანტინე ბატონიშვილი, სასტიკი წინააღმდეგნი იყვენ რუსეთისა და ამიტომ მეფემ ბოლოს მაინც სასტიკი უარი შეუთვალა.

იმავე 20 თებერვალს, სიმონოვიჩი ყველა უკლესიებში აქვეყნებს მთავარ-მართებლის პროკლამაციას (რომელიც ,,კარ ხნით აღრე იყო დამზადებული), და აფიქებს იმერლებს რუსეთის ერთგულებაზედ. მანიფესტში ნათქვამია: — რომ ამ დღითგან იდევნება სოლომონი და მის ნაცვლად „... თქვენი ,,ეთილდღეობისათვის არსდება იმერეთის დროებითი მმართველობა', შემდგარი იმერეთის

მოწინავე თავად-აზნაურთა წარმომადგენლობისაგან, რუსის საგზაო წარმომადგენლის თავმჯდომარეობით" და სხ. *). რუსებმა ამ მანიფესტს მოაყოლეს სასტიკი შეტევები.

24 თებერვალს დაიბყრეს ბაზალეთი და დაამარცხეს ქაიხოსრო წულუკიანი; ხოლო მოდინახეს ციხესთან, სადაც კაიხანს სასტიკი ბრძოლა აწარმოა ქაიხოსროს ცოლმა, აგრედვე გაიმარჯვეს რუსებმა.

ამის შემდგ რუსებმა გადასწყვიტეს, ალყა შემოერტყათ ვარციხისათვის, სადაც იმყოფებოდა ამ დროს სოლომონი, და შეებყრათ ის.

5 მარტს შემოარტყეს ალყა. სოლომონი გაიქცა და დაბანაკდა ზეკარში, და როდესაც იქითგან ახალციხეში აპირებდა გაქცევას, რუსებმა ზურგიდანაც შემოკრეს, მდგომარეობა კრიტიკული იყო და სოლომონს კიდევ სჭირდებოდა დრო; ამიტომ ჭუთაისში სიმონოვიჩს შემდეგი მოთხოვნილება გაუგზავნა, მიტროპოლიტ გენათელისა და სეხნია წულუკიძის მეოხებით, რომ თუ ისინი სოლომონს უვნებლად დასტოვებენ საცხოვრებლად თავის ქვეყანაში, ის ფორმალურად უარს განაცხადებდა სამეფოს მმართველობაზედ, მაგრამ სიმონოვიჩმა ის არ მიიღო.

ბოლოს დანიშნეს უკანასკნელი მოლაპარაკება, ეს იყო 12 მარტს. ამ დღეს სოლომონი უკანასკნელად უნდა შეხვედროდა მაგილევსკის და სიმონოვიჩს. სოლომონი მათ ველარ ენდობოდა, ეშინოდა დაჭერის, ამიტომ ჯვარზედ და სახარებაზედ დაიფიცა ისინი, რომ არ დაიჭერდენ მეფეს. სოლომონი მაინც ფრთხილობდა და სთხოვდა მათ, რომ პაემანი ტორმასოვთან დაენიშნათ, რომელიმე სოფელში ქართლისა, გორის ახლოს, რათა სახიფათო შემთხვევაში, კიდევ შესძლებოდა — გაქცევა. ამ საბედისწერო მომავალს თითქოს გრძნობდა სოლომონის გული.

15 მარტს სოლომონი სიმონოვიჩთან ერთად დაიძრა ბანაკითგან, მას თან ახლდა საკმაო რიცხვის ამალა. როცა ის მოვიდა სურამში, ტორმასოვისაგან იღებს წერილს, რომ მას სურს, მეფეს შეხვდეს გორში. სოლომონი უარზეა და სთხოვს, გორის ახლოს სადმე სოფელში შეხვდენ.

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. V, გვ. 304 - 306.

ბოლოს ტორმასოვი შეხვდება მას სოფ. ვაზიანში, გორის ახლოს.

სოლომონი შებრძანდა სოფელში, მაგრამ ეს სოფელი თურმე, წინასწარ შემორტყმული იყო რუსის ჯარებით, და ამიერითგან ის გამოცხადებულ იქმნა ტუსაღად. ის მოიყვანეს გორში; მის მხლებელთაგან 400 კაცი გაბრუნდა უკან იმერეთში, ხოლო 100 კაცი თან გაჰყვა ტფილისში.

სოლომონი დაატუსაღეს ტფილისში. მის კარებს ჰყარაულობდენ რუსის ჯარები და ყველა ახლო-მახლო გზებიც შეკრული იყო რუსისავე ჯარებით.

სოლომონის ბედიც მისი ბიძების ბედს უერთდებოდა. მან მწარედ იგრძნო თვისი ხვედრი, ის მიხვდა მის შეცდომას; იგრძნო, რომ მუხანათ რუსებისადმი მინდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ, გვიანი იყო... ყველა ეს ფიქრები უადგილო და თანაც მავნებელი იყო. საჭირო იყო რაიმე გზით გაპარულიყო, რუსებს დასხლტომოდა ხელითგან. სოლომონის ამალითგან, საკმაო ნაწილი ახლდა თან; მთელი დღე ფუს-ფუსი იყო მის გარშემო და შესვლა-გამოსვლა არ სწყდებოდა. რუსები კი, სასტიკად თვალ-ყურს ადევნებდენ ყველაფერს. ასე მიდიოდა დღეები.

XIV

1810 წლის 11 მაისს, ღამე იყო წყნარი. მეფის სატუსაღოს ირგვლივ ჩამ-ჩუმი ალარ ისმოდა. უკვე ღამის ათი საათი იყო და ყველა მიწყნარებული; ძველებური მისვლა მოსვლაც შესწყდა. თითქოს მეფეს სამუდამოდ გადაეწყვიტა იმედი, შერიგებოდა ბედს და ელოდა განაჩენს; სწორედ ამას წინეთ ორიოდე ნაბდოსნებმა ჩაუარეს სატუსაღოს კარებს, ყარაულის შეუმჩნეველად და მოშორებით ერთი კედლის ბნელ კუთხეში აიტუზნენ. ამ დროს სოლომონის სამყოფითგან გამოდის ვიღაც მოსამსახურე, მხრებზედ დოქი უდგა და დაბალის ლილინით მიეშურებოდა წყლისაკენ; მას წინ გადაეღობა ერთი ყარაული, მაგრამ მიმავალმა ამცნო, რომ ის მეფის მიერ არის წყალზედ გაგზავნილი და განთავისუფლდა. ის მიუახლოვდა შავ ნაბდიანებს და ერთად მიაშურეს ქალაქის ნაპირას. ქალაქში მათ ხვდებათ ღამის ყარაული და

ყველას ერთად გაიყვანს ქალაქს გარეთ. აქ კი მათ ხუდეებად ოცდაათოდე ახალგაზრდა ცხენოსანები და მომავალნი რომ შენიშნეს მყის მოამზადეს ცხენები და ერთი თვალის დახამხამებაში მოასხდენ ზედ, ისინიც მოვიდენ და ეს გახლდათ მეფე სოლომონი, რომელიც მოტყუებით, გადაცმული გამოვიდა სატუსაღოდგან; სასწრაფოდ გადაიცვა ტანსაცმელი, ისიც მოახტა ცხენს და ყველამ ერთად გაჰქუსლეს თრიალეთის მიმართულებით, ახალციხისაკენ. ასე დაიქცა სოლომონი, მას თან ახლდენ ოთხი თ. წერეთლები, მათ შორის ზურაბის შვილი, ორი ძმა ერისთავები, აბაშიძე და 23 მხედარი *).

როგორც კი გაიგო ტორმასოვმა სოლომონის გაქცევის ამბავი, შეშფოთდა ფრიად, სასწრაფოდ გაუგზავნა სიმონოვიჩს ბრძანება, რათა „უცაბედად, მაგრამ თავაზიანი მობყრობით" დაეტუსაღებინა დედოფალი მარიამი (სოლომონის ცოლი) და სოლომონის დები, მიქელაძისა და ანდრონიკაშვილის ცოლები, ასევე გაქცეულ თავადების ცოლებიც, ციხეში შეეყარათ. ასე დაფაცურდენ რუსის მოხელეები.

სოლომონმა კი 13 მაისს, მშვიდობით მიაღწია ახალციხეს; ის მივიდა სოფ. კოთელასა, სადაც იყო ამ დროს ალექსანდრე ბატონიშვილი. სოლომონის შეხვედრით, ალექსანდრე ბატონიშვილმა ფრიად განიხარა და ამაზედ იმერეთში ოთია ლორთქიფანიძეს სწერდა: „... ღმერთმა გადმოგვხედა და ჩვენი ოჯახის ბედნიერება იწყებაო**).

სოლომონი მალე შეუერთებს თავის მოქმედებას ალექსანდრე ბატონიშვილისას. მასთან ერთად იმუშავებს ბრძოლის ახალ გეგმებს და მოწოდებას მოწოდებაზედ აგზავნის, რათა იმერეთის ხალხი ერთიან ფეხზედ ამდგარიყო რუსების წინააღმდეგ. სოლომონი თავის მოწოდებაში, უთითებს ალმოსავლეთ საქართველოს მაგალითს, რათგან ამ დროს უკანასკნელს, უკვე რამდენიმე-ჯერ ჰქონდა გადახდილი თავგანწირული ბრძოლები რუსების წინააღმდეგ. ის სწერს, რომ რუსები პირველად შეიძლება ცბიერად მოგეპყრონ, მოქცენ ოქროები, მაგრამ ხვალ ლუკმა პურს წაგართმევენ, ლირსებას შეგილახავენ, ოჯახს შეგირცხვენენ, ნამუსს აგხდიან... ასეთია მა-

*) იხ. პოტტო. ტ. II, გვ. 106 - 108.
**) იხ. პოტტო. ტ. II, გვ. 260.

თი თვისება, რითაც ისინი ყველასგან განირჩევიანო. „და ამასთანავე იყავით დარწმუნებული, რომ ცით თუ მიწით, ჩემს სიცოცხლეს დავლევ მხოლოდ იმერეთისათვის“-ო *).

ხოლო მიტროპოლიტ დოსითეოზს ასე სწერს: „... მეფე სრულიად იმერთა სოლომონ უსამართეს მარჯვენის სასოებით ამბორის ყოფას მოგახსენებთ. მერმეთ, როდესაც გარდაწყვეტით გული დავაჯერეთ, რომ რუსეთს მისტუმრებდენ, თქვენის მოშორებისა და იმერეთის საუკუნედ დატოვების ცეცხლი ჩემს გულს მოეგზნა; ცას ქვეშეთს დიდებას თქვენთან ყოფნა, თქვენთან სიხარული, თქვენთან სიცოცხლე და სიკვდილი ვირჩიე, ჩემი თავი გარდავსდევ და ათს ამ თვეს, ღამის ორ საათს გასულს, ღვთის მოწყალებით ქალაქიდამ გამოველ. ოთხნი წერეთლები, ორნივ ძმები ტერისთავები და ლაბუაშვილი მათის კაცებით, ოცდა სამი ცხენოსანი, აქ ახალციხეს მშვიდობით მოვედით. თქმად შეუძლებელია დიდთა და მცირედთაგან ერთობით ჩემის მოსვლისათვის ამათი სიხარული. აწ თქვენგან და მთლად იმერეთისგან ჩემი საწადელი ეს არის, — მე თუ სხვა სამსახური რამ დამიკლია იმერეთისათვის, ეს კი ყველამ იცით, რომ თქვენის პატივისცემისა და სიყვარულისაგან ვ�ადეს ჩემი გული არ გამაძღარა; აწ კიდევ სიკვდილისა და განსაცდელისათვის თავი გარდავსდევ თქვენთან სიცოცხლისათვის. ამაზედაც ფიცით გარწმუნებთ, თუ იმერეთს ჩემის დაკარგვით ბედნიერება და თავისუფლება მიეცემოდეს, როგორც თქვენის მოუშორებლობისათვის, თავი გამოვიმეტე, ისე თქვენთვის დაკარგვას სიხარულით მივიღებდი; მაგრამ ვიცი და თქვენც ხედავთ, რომ როგორც სხვა თქვენი მეზობელნი**), იმათს ხელში უნუგეშოდ კვნესიან, და დღე და ღამ ოჯახის პატივიდამ მდაბალდებიან, საბლისა და ცოლ-შვილის უპატრონობისათვის სიკვდილს ნატრულობენ, თუ იმერეთის დამორჩილებაზე გულდასმულნი ზეიქმნენ, ბერი უმწარესი და ყოველს მეზობელზე უძნელესი დღე იმერეთს მოადგება, და

*) იხ. აქტები. ტ. IV, № 343 და პოტტო. ტ. II, გვ. 111.

**) გულისხმობს ალმ. საქ. ქართველობას.

რომელსაც დღეს ოქროს აძლევენ, ხვალ მათის ოჯახის საცხოვრებელსაც წაართმევენ; დღეს რომ პატივს სცემენ, ხვალ ყოველის ქვეყნისაგან იმერეთში უკეთესად დაკრძალულს ცოლ-შვილის პატიოსნებას, უპატიოდ გახდიან.

შეხედეთ საქართველოს *). რომელიც პირველში ფიცითა და ოქროთი მოატყუეს, და დღეს ალარც სიმდიდრე უხარიანთ, და ალარც თავეთი სახლი და სიკვდილს ნატრულობენ. ყველამ იცით, რომ თავეთ ჩვეულებას თქვენთვის არ გამოსცვლიან, არც თქვენს მამა-პაპათ იცნობენ, არც აქვთ სიყვარული და გულის შეტკივება, რომელიც მე მაქვს, გიცნობთ და მიცნობთ. ეს �რის დღე ერთგულობისა და ჩვენთვის დათხეულთა, მამა-პაპათა თქვენთა სისხლითა განახლებისა, რომ განთავისუფლებისა თქვენისათვის გამოაცხადოთ ერთგულობა თქვენი, რომელიც აქამომდე ყოველს ქვეყანაზედ, იმერეთი ჩინებული ყოფილა მემკვიდრის მეფის ერთგულობაზედ და უმეტესად თქვენი ოჯახი და თქვენ ჩვენთვის თავდადებულნი ბრძანებულხართ. ნუ დაიდებთ საუკუნედ საძრახის საქმეს და ნუ დაიღუპეთ ქართლისავით, რომელნიც სულიერად დიდ პარასკევს ხორცს სჭამენ და ხორციელად გატანჯულნი სიკვდილს ნატრულობენ. გაისარჯე თქვენებურად, — ოჯახი დიდი თუ მცირე. თქვენი მოკიდებული და თქვენი სამწყსო არ იყოს, იმერეთში არ არის, ყველანი განამტკიცეთ, და თქვენი ჩემზე მამა-შვილური სიყვარული და შემძლეობა დღეს გამოაცხადე. თუ დამაჯერებთ, მე თვითონ შემოვალ თქვენთან და უცხოს ჯარებს ალარ დავეძებ, რომ ღვთისა და თქვენი შესაწყენელი საქმე არა მოხდეს-რა, და რაგორც თქვენგან პასუხი მომივა, ამაზედ გული დააჯერეთ, თქვენთან და იმერეთში ცხოვრებისათვის, ჩემი სიცოცხლე უნდა დავკარგულო, იცოდეთ." (აზის სოლომონის ბეჭედი **).

---

*) აღმოსავლეთ საქართველო.

**) სოლომონ II-ის წერილი ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოსს 17 მაისს 1810 წ. იხ. აქტები. ტ. IV, გვ. 268; პოტტო. ტ. II, გვ. 111.

XV

იმერეთისთვის ზედმეტი იყო რწმუნება იმაში, რომ მისი გვარგვინოსანი მამულის ბედნიერებას, ზედ დაკვდებოდა და ამიტომ სოლომონის მოწოდებაზედ, იმერეთის ხალხი მეორე დღესვე ფეხზედ დადგა. ხალხი აზვირთდა; მღელვარება მთელს იმერეთს ისე სწრაფად მოედო, რომ რუსები კიდევ ვერ გამორკვეულიყვენ, და ეს პროტესტი იმდენად ძლიერი და მრისხანე იყო, რომ რუსები შეშინდენ კიდეც. სიმონოვიჩი ველარ ფარავს თავიანთ სივერაგეს და ის პირდაპირ სწერს ტორმასოვს: „... არ შეიძლება შეცვალო იმერლების ჩემდამი ნდობა. თუმცა მე ვსცდილობ ეს შთაუნერგო მათ, მაგრამ როგორ შეიძლება მივალწიო მას, მის შემდეგ, როდესაც ხალხის თანადასწრებით, მეფეს ფიცი მივეცი ჯვარზედ და სახარებაზედ, რომ ის არ იქნებოდა დაჭერილი, მაგრამ ჩვენ ის დავიჭირეთ და მერე გაიქცაო... ასევე მარიამ დედოფალს ფიცით ვარწმუნებდი, რომ ის იცხოვრებდა ტფილისში, მაგრამ ის უკვე რუსეთში გაისტუმრეთო“.

აქეთგან სჩანს, რომ სიმონოვიჩს სინდისმა ამხილა; მაგრამ ეს სამართლიანი ჩივილი ტორმასოვმა არამც თუ არ მიიღო, პასუხად ლანძღვა მიართვა. დღეს ძნელია იმ სულიერი ვითარების წარმოდგენა, რაც მაშინ თვით ფაქტების მოხდენის დროს შეიძლებოდა, და სადამდე შემზარავი უნდა ყოფილიყო სოლომონისა და იმერეთის ხალხისთვის, ანუ აშკარად, ვერაგულად ფიცის გატეხვა, ჯვრისა და სახარების მიწაზედ დანარცხება, იმ ხალხისგან, ვინც „ერთმორწმუნეობის“ ქადილით ჰპირდებოდენ ქართველებს, ბედნიერების მოტანას. სადამდის ველური უნდა ყოფილიყო ეს საქცელი, რომ მან თვით რუსის ერთგული მოხელე, სიმონოვიჩიც კი აღელვა!?

ასე მოექცენ სოლომონს რუსები აბლაც; ის ვერაგულად მოიტყუეს და დაიჭირეს. ასევე მარიამ დედოფალი და სხვა მანდილოსნები იმერეთისა ჯერ ტფილისში გადმოიყვანეს მოტყუებით, ვითომდა საცხოვრებლად და მერე მსგავსად სხვა ქართველ დედოფალთა და ბატონიშვილთა ცოლს რუსეთში უკრეს თავი.

ამ ამბებმა იმერეთი აღელვა, სოლომონი გაქცეული აბალციხეში, შორითგან ხელმძღვანელობს ამხედრებულ ხალხს.

იწყება აჯანყება. სოლომონი შემოიკრება, ჩაუდგება ხალხს სათავეში და რუსებს მეესრს აყლებს; სიმონოვიჩი დიდ საფრთხეში ჩავარდა, ამიტომ ტორმასოვმა ჯარების მთავარსარდლად დანიშნა ღენ. მ. ორბელიანი. მაგრამ, ორბელიანი სანამ იმერეთში გადავიდოდა, სოლომონის შეთქმულებმა სურამთან ახლოს სასტიკად დაამარცხეს და მან შესვლა ვერარ გაბედა. ტორმასოვმა შეიტყო თუ არა ეს ამბავი, უფრთხილად დანიშნა ღენ.-ლეიტ. ბარონ როზენი. ორბელიანმა, სიმონოვიჩმა და როზენმა სამი მხრითგან შეუტიეს იმერეთს და 1810 წლის სექტემბერში, ბრძოლა დამთავრებული იყო. სოლომონი ისევ ახალციხეში გაიქცა, ხოლო ტორმასოვმა, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს და აფხაზეთის მმართველად დანიშნა ღენ. მ. ორბელიანი და სხვები კი ტფილისში გაიწვია. ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ სიმონოვიჩი დაბრუნდა იმერეთის მმართველად.

ამგვარად ეს აჯანყებაც ჩაქრეს და ამით თითქოს იმერეთის ბედიც საბოლოოდ გადაწყდა. თუ პირველად რუსების ზრუნვა ამით განისაზღვრებოდა, რომ რაიმენაირად სოლომონი მოეკლებინათ თავითგან, ახლა ამ აჯანყების დამარცხების შემდეგ, ყველაფერი მათ ხელთ იყო.

რუსებმა სათანადო მანიფესტით გამოაცხადეს იმერეთის ანექსია, და სიმონოვიჩს ებრძანა, დროზედ შეედგინა იმერეთის საოლქო მმართველობა, „რომელიც დაახლოებული იქნებოდა რუსულ წესთან, მსგავსად (აღ.) საქართველოსი *).

ამ დროითგან იმერეთიც გადაიქცა რუსეთის ერთ-ერთ პროვინციად; თუმცა, შემდგომ კიდევ არა ერთი ცდა იყო მის განსანთავისუფლებლად. ჯერ თვით სოლომონისავე სიცოცხლეშიც და მერე განსაკუთრებით 1819 - 1820 წლის აჯანყება, რომელიც იყო უკანასკნელი აკორდი, იმერეთის მღელვარე სულისა, მაგრამ იმერეთის საქმე გათავებული იყო. აღსრულდა მისი ბედი. სამეფო ოჯახის დიდი უმრავლესობა რუსეთში გადასახლეს, ხოლო უმნიშვნელო დასტოვეს ტფილისში. აჯანყებათა მთავარი მონაწილენი კი გააციმბირეს. ასე დამთავრდა საქართველოს დიდი დრამის ეს ერთი ეპიზოდიც.

---

*) იხ. აქტები. ტ. IV, № 458 - 464 და პოტტო. ტ. II, გვ. 145.

XVI

მაგრამ, სურათი სრული არ იქნება თუ მოკლედ არ შევჩერდებით სოლომონის, ამ ბედისგან განწირულ გვირგვინოსნის, უკანასკნელ ცდებზედ.

ხოლო ჩვენთვის რომ უფრო ადვილი გასაგები შეიქმნეს ის გარემოებაც, თუ აქც ადვილად რად დამარცხდა იმერეთი და რატომ მერეც, სოლომონის სიკვდილამდეც იმერეთის განთავისუფლების საქმე რად გადაიცა ისტორიას — ამის პასუხს მივიღებთ, იმ დროინდელ მსოფლიო პოლიტიკურ ვითარებათაგან. საიდანაც დავინახავთ, რომ ჩვენი საკითხი ყოველმხრივ განწირული იყო, იმერეთის განთავისუფლების საქმეს ყოველმხრივ კარები ეხშოებოდა და გასაკვირველია ის, რომ ასეთ უიმედო პირობებში, ხალხი მაინც იარაღს არ ჰყრიდა და სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდა რუსებს.

აქ ორიოდე სიტყვით შევჩერდებით აღნიშნულ ვითარებაზედ.

ჩვენს მიერ ზემოდ აღნიშნულ ტილზიტის ზავისა და მასთან დაკავშირებით შექმნილ მდგომარეობის შემდეგ, საერთოდ დრონი იცვალნენ. მაშინ, პირველად, რუსეთის წინააღმდეგ შეესდგა დიდი კოალიცია საფრანგეთ - სპარსეთ - ოსმალეთის და საქართველოს საკითხს პირი ეღიმოდა. მართალია, ის მოკავშირე საფრანგეთის, მისი სუვერენობის თვალსაზრისით, არ აინტერესებდა, ხოლო სპარსეთ - ოსმალეთისათვისაც საინტერესო იყო როგორც საკასალო ლუკმა, მაგრამ ქართველი მამულიშვილნი შეელას მაინც ამაში ხედავენ; ბრძოლა მაინც ამ გზით იყო საჭირო და შექმნილი მდგომარეობა ერთგვარად გამარჯვების გარანტიას იძლეოდა. მაგრამ ტილზიტის ზავმა ეს მდგომარეობა დაასამარა.

1810 წლის შემდეგაც მსგავსი ამბავი მეორდება.

ზემოდ აღვნიშნეთ, რომ ტილზიტის ზავის შემდეგ, ინგლისი უკავშირდება სპარსეთს. თუ მაშინ ინგლისს ნაპოლეონის გამარჯვება აშინებდა, ახლა შემდეგ რუსების გამარჯვება ახარებდა. ამიტომ 1810 წლის ბოლოს, ინგლისელების შთაგონებით, სპარსელები ოსმალეთთან კრავენ კავშირს რუსების წინააღმდეგ, საერთო შეტევისათვის; ინგლისი სპარსეთში გზავნის დიდძალ იარაღს, ოფიცრებს, ინჟენერებს. სპარსეთის ჯ ა რ შ ი ახდენს

დიდ რეფორმებს. რუსულ წრეებში ჩოჩქოლი შეიქმნა. ტორმასოვი იმპერატორისგან გამოითხოვეს კიდევ ერთ დივიზიას და სპარსეთს ემუქრება. სპარსეთმა ამ მუქარაში დაინახა, რომ რუსეთს შერიგება არ სურს და მას ალბად კიდევ უნდა მისი პროვინციების დაბერობა.

სპარსეთი და ოსმალეთი ამ დროს ფირმანს - ფირმანზედ აგზავნიან კავკასიის ხალხებში და საქართველოში, და მოუწოდებენ ხმალი აიმაღლონ რუსების წინააღმდეგ. 1812 წელს შემოიჭრება ნაპოლეონიც რუსეთში და ზედ - ზედ აძარცვებს მას.

ამ დროს ეყუთვნის ის ამბებიც, როცა გაისმა ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლის ყიჟინა. ამ საერთო ვითარებაში მზადდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს 1812 წლის აჯანყებაც, და ალექსანდრე ბატონიშვილმაც ტყვილად არ შეიჭრა ეს დრო, მაგრამ იმერეთი 1810 წლის სასტიკი დამარცხების შემდეგ, ძლიერ აჯანყებას ადგილობრივი ხასიათისა, ვეღარ ახერხებს, ისე კი ეხმარება აღმოსავლეთ საქართველოს.

16 მაისს 1812 წელს, რუსეთ - ოსმალეთის შორის ქ. ბუხარესტში დაიდო ტრაქტატი, რომლის მე-6-ე მუხლში ნათქვამია, რომ აზიის საზღვრები იგივე რჩება, რაც ომის წინ ე. ი. ოსმალეთს დაუბრუნა რუსეთმა ფოთი და ახალქალაქი, ხოლო სოხუმზედ უარი უთხრა. ოსმალეთი ამ ხელშეკრულებით არ დარჩა კმაყოფილი; მან აფრინა აგენტები და აფრცელებდა ხმებს, რომ გურია, სამეგრელო, იმერეთი და აფხაზეთი ძველთაგან მე მემორჩილებოდა, და ახლაც ოსმალეთის მფარველობაში უნდა დარჩენო. თათრების საქმე წაგებული იყო; თვით ლევან დადიანმა, როდესაც სულთანის ფირმანი მიიღო, ის გადასცა რატიშჩევს და სთხოვა დაეცვა თურქთა ძალადობისაგან *). ოსმალეთმა ერთხელ კიდევ მიიტანა იერიში აფხაზეთის მიმართულებით და როდესაც დამარცხდა. აზრუმის სერასკირმა ახმედ-ფაშამ (ეს ახმედ-ფაშა იყო, რომელმაც მოაწერა ხელი ბუხარესტის ტრაქტატს) წერილით მიმართა რატიშჩევს, რათა იმერეთი, სამეგრელო, გურია და აფხაზეთი დაებრუნებინათ ოსმალეთისათვის. რატიშჩევმა კი შეუთვალა, რომ ეს ქვეყნები რუსეთის მფარველობაში შეიდგენ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რუსეთსა და ოსმალეთს შორის მშვიდობიანი ურთიერ-

*) იხ. დუბროვინი. ტ. VI, გვ. 126.

თობა არსებობდა; ჯერ კიდევ 1807 წელს, როცა მოხდა ზავი თურქებსა და რუსებს შორის, ის პროვინციები ჩვენს ხელში იყო და პორტას მასზედ არავითარი პრეტენზია არ განუცხადებია, ამიტომ თქვენი მოთხოვნა უკანონო არისო და ამ პასუხთან ერთად, ეს კუთხეები რტიშჩევმა გააძლიერა ჯარებით.

ბოლოს ეს ამბავი ამით გათავდა: ოსმალეთი უცდიდა რუსეთ-საფრანგეთის მდგომარეობის განვითარებას, და იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი დამარცხდებოდა, ოსმალეთი აპირებდა სერბიის დაბყრობას და შიგნით რუსეთში შეჭრას. მაშინ იმერეთისა და გურია-სამეგრელო-აფხაზეთის საკითხიც ადვილად გადაწყდებოდა. მაგრამ მდგომარეობა სხვანაირად წავიდა. საქართველოს ბედი ალმა ტრიალებდა. იმ საერთაშორისო კორიანტელმა, რომელიც ამოვარდა ნაპოლეონის ირგვლივ, პატარა იმერეთის ცაზედ, უკანასკნელი იმედის ვარსკვლავიც ჩააქრო.

რუსეთი გამარჯვებული გამოდის ნაპოლეონთან ბრძოლაში. ოსმალეთი უკან იხევს და კმაყოფილდება ამით, რაც ბედმა არგუნა. რუსეთმა თუმცა ოსმალეთს დალეთმა ახალ-ქალაქი და ფოთი, მაგრამ ესენიც სხვა პუნქტებთან იყვენ დაბყრობილნი და თუ მათი დათმობა კანონიერი იყო, სხვებისაც ასევე უნდა მომხდარიყო. ასე მაგალითად, იმერეთი ფაქტიურადაც და იურიდიულადაც 1810 წელს დაიბყრეს, რათგან 1804 წლის ხელშეკრულებას, ალარავითარი უფლებრივი ძალა აღარ ჰქონდა. ეს დადასტურდა რუსეთის მიერ, მისი დარღვევით და სოლომონის მიერ შემდეგ აშკარა ბრძოლის გამოცხადებით. მაგრამ ნათქვამია: „ძალა ალმართს ხნავსო“ და გამარჯვებულმა რუსეთმა ადვილად მოხნა ეს ალმართი. ამგვარად დასრულდა ოსმალეთითგან დახმარების იმედი.

იგივე ხდება სპარსეთთან ურთი-ერთობის საქმეშიც.

12 ოქტომბერს 1813 წელს სპარსელებმა რუსეთთან დასდეს გულისტანის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, სპარსელებს რჩებოდათ: ყარაბალის, განჯის, შეკის, შირვანის, დერბენდის, ბაქოს, ყუბის და ტალიშინის სახანოები. ამგვარად, სპარსეთმა ზავით მიაღწია მთავარ მიზანს. ამავე ტრაქტატით. სპარსეთი რუსეთის საკუთრებად სცნობდა: დაღესტანს, საქართველოს და შურაგელის თემს.

1812 წლის აჯანყების დამარცხებისა, და 1813 წლის გვილისტანის ტრაქტატის შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო სპარსეთის მხრით. თუ არა სხვა ახალი პირობები, ქართველებს სპარსეთისგან ოფიციალურად, ალარიფერი დახმარების მიღება არ შეეძლო; ამ ფრონტზედაც დამარცხდა ჩვენი საქმე.

ხოლო შიხმა სპარსეთისა, რუსეთის მხრისგან ხელშეკრულების მონაწილე რტიშჩევნი დაავალდოვა ლომისა და მზის ორდენებით, თავის მხრივ მონაწილე მირზა - აბულ - ჰასან - ხანი კი დანიშნა ელჩად პეტერბურგში; ასევე დიდი მადლობა უძღვნა ინგლისის წარმომადგენელს სირ - გორ - უზელეის, რომელიც შუამავლობდა რუსეთ - სპარსეთის მოლაპარაკებას.

როცა ინგლისს რუსეთის შიში ჰქონდა, მაშინ თურქებს აქეზებდა მის წინააღმდეგ და სპარსელებსაც ეხვეწებოდა, თურქები დაეცვათ. მაშინ კი, როცა ნაპოლეონის ბრძოლები საშიშარი შეიქმნა, ახლა რუსეთს ამაგრებდა ნაპოლეონის წინააღმდეგ, რისთვისაც სპარსეთ - რუსეთის გაერთიანებას იყენებდა. ასეთ საერთაშორისო ვითარებაში ქანაობდა საქართველოს ბედი. უკანასკნელად ვამბობ ბედი, და არა საკითხი, რათგან ამ დროს საქართველოს საკითხი, როგორც მომავალში, დამოუკიდებელ სახელმწიფოსი არ არსებობდა, და ამის მოპოვება საესებით მის შვილების გმირობასა და სათანადო პირობებზედ იყო დამყარებული.

საქართველოს საკითხი ამ დროს გარკვეულად არ ხვდებოდა არც ინგლისს და არც საფრანგეთის ინტერესებს. ის იყო უფრო დიპლომატიური ხრიკების საგანი, მათი ურთიერთობისა სპარსეთთან და ოსმალეთთან. ხოლო უკანასკნელთა პოლიტიკაში, ჩვენი საკითხი თუმცა ხშირად იყო აქტუალური, მაგრამ რათგან ისინი თვით სათამაშოს საგნები შეიქმნენ ნაპოლეონისა და ინგლისის, ამიტომ საერთო მდგომარეობის ცვლასთან, ჩვენი საკითხი უცბად ჰქრებოდა ხოლმე.

ყველა ამ ამბების შემდეგ, სოლომონი ვეღარ ხედავდა გამოსავალს; ირგვლივ ყოველნაირი ძალები შემოძარცეული იყო და დასაყრდენი არსად ჩანდა. ის ამ დროს სცხოვრობდა აზრუმის ფაშასთან და ძალიან სიღარიბეს განიცდიდა. აქედან უკანასკნელად გაგზავნა

სტამბოლში თავის სიძე მალხაზ ანდრონიკაშვილი და სულთანს სთხოვდა დახმარებას ფულითა და ჯარით; სულთანს უარის თქმა არ უნდოდა, რათგან ის ელოდა რუსეთის იმპერატორთან საგანგებოდ გაგზავნილი პირის პასუხს. დასავლეთ საქართველოს პროვინციებზედ მოლაპარაკებას კიდევ განაგრძობდა სულთანი; რათგან მიწერ-მოწერითა არა გამოვიდა რა, პირდაპირ კაცი გაგზავნა და მოითხოვდა აღნიშნულ პროვინციებს. ამის პასუხად კი, სულთანს, იმპერატორმა აცნობა, წარმომადგენლის იტალინსკის პირით, ბონაპარტის დაცემა და ლიუდოვიკე XVIII-ის გამეფება. სულთანიც რასაკვირველია მიხვდა ყველაფერს.

აქე გადაწყდა ეს საქმეც და სოლომონი ყოველნაირ იძულებული, თურმე სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა...

თუმცა ერთი კიდევ წამოუბერა ძველმა გრიგალმა, მაგრამ ისევ ჩადგა.

ნაპოლეონის გაქცევამ ელბიდანვან, ერთხელ კიდევ შეაზანზარა მთელი ევროპა და მისი ერთი ტალღა სულთანის სასახლესაც ეხეთქა. კოსტანტინეპოლში მაშინადვე გაჩნდა ნაპოლეონის აგენტი ეობერი და დაიწყო მოქმედება

ოსმალეთი ამ დროს თვალს აფეენებდა ევროპის მდგომარეობას და ელოდა ისეთი მომენტის დაჭერას, როცა ის თავის მიზანს განახორციელებდა. მან აფრინა აგენტები საზღვარ-გარეთ და ავრცელებდა ხმებს, რომ რუსეთის გარდა, მთელი ევროპა ემხრობა ნაპოლეონსაო და წინადადება მისცა აზრუმის სერასკირს, თავიანთი მოთხოვნილებანი ირტიშჩევისადმი კიდევ განემეორებინა.

1815 წლის ივნისში, აზრუმის სერასკირმა შეაგროვა 15.000 კაცი და მოსაჩვენებლად, თითქოს მიდის ახალციხის სელიმ-ფაშის დასასჯელად, დაბანაკდება იმერეთის საზღვრებზედ და უდგენს მოთხოვნილებას.

მაგრამ მალე, ნაპოლეონის დამარცხებით, მდგომარეობა იცვლება და იმერეთის საკითხიც სწყდება აქტიური პოლიტიკის ასპარეზს.

ბოლო უკანასკნელად მეფე სოლომონის უდროოდ გარდაცვალებით, თავდება იმერეთის დაბყრობის ისტორია.

13 მარტს 1815 წელს, ფეოდოსიპოლის სომხის მიტ-

რეაქციონერი ფეოდორსი ატყობინებს ოლტიშჩევს, რომ 7 იანვარს ქ. ტრაპიზონში გარდაიცვალა იმერეთის მეფე სოლომონი; „აღასრულა ცა თავისი მოვალეობა, გადაეცა სამარადისო ნეტარებასო".

ამ თავზარდამცემმა ამბავმა, ძაძებში გახვია მთელი იმერეთი, ხოლო ჭირისუფალი მარიამ დედოფალი ამ დროს ეორონეეითგან ემუდარება სიმონოვიჩს, რათა ნება დართონ მას, დროებით მაინც, იხილოს სამშობლო, გადმოასვენოს მისი საყვარელი ქმრის გვამი, რომელიც მოკვდა უწყალოდ სამშობლოსათვის, და დაკრძალოს გელათში. მაგრამ, რუსებმა მარიამს, განზრახვაზედ უარი უთხრეს.

გარდაიცვალა სოლომონი. ის დამარხეს ტრაპიზონში, ბერძენთა ეკლესიის გალავანში. სამშობლო მიწას მოშორებით, მისი სხეული ჩაეშვა დღეს უცხო, და ოდესღაც, თამარის დროთა, მზიან დღეთა, დით კომნენთა მიწაში.

მის საფლავს სდარაჯობს საუკუნოდ, კომნენთა ცეხე - სიმაგრის ნესტიანი კედლები, მოწმენი წარსულთა დროთა დიდებისათა.

მისი სახელი გადაეცა ხსოვნას მისი ბედკრულ სამშობლოს შვილებისა, ხოლო მისი მშფოთავი სული, შეუერთდა შხუილს შავი ზღვის მრისხანე ტალღებისა, რომელნიც დრო გამოშვებით ეხეთქებიან ხოლმე სოლომონის საფლავის კალთებს და კვლავ იმედის ხმას ჩასჩურჩულებენ.

ამ შხუილში დაუსრულებლად მოისმის სოლომონის უდროოდ დაჭრილი გულის კვნესა და ჩუმი მოწოდება ამბოხებისაკენ, ხოლო მარად ამწვანებული ხევები ტრაპიზონისა, უეჭნობად ინახავენ მის იმედს, სამშობლოს მომავალი განთავისუფლებისა...

თ ა ვ ი X

გ უ რ ი ი ს დ ა ბ ყ რ ო ბ ა

I

3 იანვარს 1804 წ., ვახტანგ გურიელი სწერს ტფილისში ცოციანოვს: „... ოდეს მათის უდიდებულესობის ეკატერინა ხელმწიფაისა მიერ წარმოგზავნილი ჯარი ჩვენს ქვეყანაში იყო და ჭუთაისის ციხე აიღეს *), მას ჟამსა იმერეთი, ოდიში და გურია, ოსმალთ მონებისაგან გამოხსნილ იქმნა და მამაჩემი, მისი უდიდებულესობის საერთგულოდ დაიფიცეს და მისის მოწყალებითა და საფარველით ესეოვრობდით და მათი ნიშანი მამაჩემს ქონდა და მეც მაქვს ხრმალი და ბეჭედი და მათის უდიდებულესობის წერილი წელიწადში ორი, სამი მოგვივიდოდა; მას მერმედ, ჩვენ არას ხელმწიფის ხელში არა ვყოფილვართ, ისე თავისუფლად ვიყვენით და მრავალჯერ ვეცადენით, რომ მის უდიდებულესობის კარზედ ვხლებოდით და ჩვენი შეწუხება გამოგვეცხადებინა, მაგრამ ეზა ვერა ვიშოვნეთ. აწ რათგან ღმერთმან ინება ამ ქვეყნებში მათის უდიდებულესობის ძალი ცხადი იქმნა, ჩვენც გვევედრებით, თქვენი შეწევნა და მოწყალება ჩვენზედ იყოს; ღმერთს ვიმოწმებ, რომ რაც განსაცდელი და ძნუხარება მადგას, ან მე და ან ჩემს ქვეყანას, ყოველივე ჯერ ქრისტიანობისა და მერმედ მისის უდიდებულესობის ერთგულობისათვის, თორემ სხვა მიზეზი არავისთან არა გვაქვს რა.

აწ ქრისტიანობის ვალსა ვდებთ, რომ ამ შეწუხებისათვის მიხსნათ მეცა და ჩემი ქვეყანაცა და საუკუნოდ მისის უდიდებულესობის სამსახურში განგვაწესოთ" **).

ცოციანოვი 29 მაისს 1804 წ. სწერს გურიელს:

„... ვინაითგან იმერეთის სამეფოს ჰქონდა ბეღნიერე-

*) იგულისხმება ტოტლებენის მისია.

**) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 540.

ბა მ. უ. მფარველობაში შესულიყო, ამიტომ გურიის პროვინციაც, როგორც ყოველთვის იმერეთთან დამოკიდებული, მოვალეა ასევე იყოს სრულიად რუსეთის მფარველობაში... რასაც გილოცავთ..." და სხ. *).

ვახტანგ გურიელის ამ აქტის გაგებისათვის, საჭიროა მოკლედ გავითვალისწინოთ გურიის სამთავროს ვითარება როგორც ადრეც აღვნიშნეთ, რათგან გურია იმერეთთან ხშირად ახლო დამოკიდებულებაში იყო, ცხადია პირველად სოლომონის მფარველობაში შესვლა მასაც წააქეზებდა. რუსებსაც შეეძლოთ, როგორც ციციანოვი სწერს, ეს მაგალითი მიეთითებინათ, მაგრამ იყო შინაური პირობებიც, რომელთაც აგრეთვე ვახტანგს ეს ნაბიჯი გადადგმევინეს.

სოლომონ პირველის დროს, გურიის მთავრად იყო მამია გურიელი (სოლომონის სიძე); პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ, ის ირთავს თავდგირიძის ქალს, უკანასკნელისგან შეეძინა ორი შვილი: გიორგი და თამარი.

სიძეერის ჟამს, მამიას ამარცხებს უნცროსი ძმა გიორგი და ცხადდება მთავრად. სიკვდილის შემდეგ მთავრობა გადასცა უფროს შვილს სიმონს; სიმონის გარდა ჰყავდა შვილები: ვახტანგი, ქაიხოსრო, ლევანი და დავითი.

როცა სიმონიც გარდაიცვალა, მას დარჩა მცირეწლოვანი შვილი; ამიტომ, დროებით მთავრობა გადასცეს მეუმეკვიდრის ბიძას ვახტანგს, თავადების და მთ. ქვრივის მარინეს თანხმობით. ბოლოს ვახტანგი ითვისებს მთავრის წოდებას. ქვრივი მარინე, მეორე მაზლის, ქაიხოსროს დახმარებით შეებრძოლება ვახტანგს. ამ ხანებში მეუმეკვიდრეს შეუსრულდა 15 წელი და ვინაითგან ამ ასაკში, მას შეეძლო უკვე საკითხის რეალურად დაყენება, ამიტომ იყო, რომ ვახტანგმა იჩქარა, ზემოდ მოყვანილი ვანცხადება მიეართმია ციციანოვისათვის.

1804 წ. 15 ოქტომბერს, დედოფალი მარინეც სწერს ციციანოვს, რომ მისი ვაჟი მამია, უკვე ასაკში მოვიდა და ის დაამტკიცოს გურიის მთავრად. სამაგიეროდ ჰპირდება, რუსებისადმი ერთგული სამსახურს, ამასვე სთხოვს ქაიხოსროც **).

აქეთგან ცხადია, რომ მთავრის გვარში ბრძოლის

*) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 541.

**) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 42 და დუბროვინი. ტ. IV, გვ. 417.

�оს, ორივე მხარის დასაყრდნობ ძალას, რუსები წარმოადგენენ. ორივე მხარე რუსების საშუალებით სცდილობს, თავის პატრონობა უზრუნველყოს ტახტზედ, და რუსებისთვისაც, ცხადია ეს მდგომარეობა საინტერესო იყო. ისინი ნელ-ნელა გურიის სასიცოცხლო ძარღვს იჭერდენ ხელში და გართულებას მოელოდენ, რომ გურიის სამთავრო იურიდიულადაც გაეუქმებინათ.

ასე თუ ისე, ტახტის მემკვიდრე იმარჯვებს; ვახტანგი განიდევნება ახალციხეში.

როგორც აღენიშნეთ, რუსეთს უნდოდა გურია ისე დაემორჩილებინა, რომ მასთან ფორმალური დამოკიდებულება ცალკე, აღარ დასჭირებოდა; ამიტომ ცოციანოვის აღნიშნული წერილით, ის იმერეთის მოქმედებასთან დააკავშირებს. რათგან გურიის მთავარი მამია ლოიალობას აჩრჩევს, ამიტომ დროთა განმავლობაში, მან აირჩია, რუსეთის მფარველობაში შესულიყო, იმერეთის დამოუკიდებლად, რათგან ის ხედავდა, იმერეთში მდგომარეობა ისე ვითარდებოდა, რომ რუსების მფარველობაში შესვლას მისი გზით, რეალური ლირებულება ეკარგებოდა.

15 დეკემბერს 1809 წ., მამიამ მიმართა მთავარმართებელ ტორმასოვს, (აქტები, ტ. IV, გვ. 431), ის სწერს: „ვავიგე | რა, რომ იმერლები წინალმდეგნი არიან რუსეთის მფარველობაში ყოფნისა, ხოლო ჩვენ კი, მათთან ერთად ვიგულისხმებოდით. და ცხადია თუ ისინი უარ ჰყოფენ, ჩვენც მათთან ერთად კარში უნდა დავრჩეთ. მაგრამ „მე დაეინახე, რომ ეს ჩემთვის არ შეიძლება იყოს სასარგებლო...“ და სხ. ის უცხადებს ერთგულებას და სთხოვს, იმერეთის დამოუკიდებლად იქმნას მფარველობაში მიღებული.

ამაზედ 17 თებერვალს 1810 წ., ტორმასოვი ანუგეშებს, რომ მისი ერთგულობისათვის, იმპერატორი მას დააჯილდოვებს მფარველობაში მიღებით.

მამია გურიელის ქართველებისადმი აშკარა ლალატი თითქოს არა სჩანს, მაგრამ ხან შეგნებით, ხან შიშით, ბოლომდე რუსების ერთგული რჩება. მაგალითად, ის ხშირად ილებდა წერილებს ახალციხის სულიმ ფაშისაგან, ტრაპიზონის და აზრუმის ფაშებისაგან და სხ. და ყველა ამათ ის მაშინადვე რუსის მთავრობას უგზავნიდა*). რუსებმაც დაუფასეს ერთგულობა! 16 მარტს 1810

*) იხ. აქტები. ტ. IV, გვ. 439.

წელს. მან კიდევ მიმართა თხოვნით იმპერატორს და 19 ივნისს 1810 წ. მფარველობაში შესვლის „პუნქტებიც“ წარუდგინა *).

იმპერატორი კი 25 მაისს 1811 წელს, ადედოფალ მარიენეს უმაღლესი რესკრიპტით აუწყებს, რომ ვინაითგან მისმა შვილმა რუსეთისადმი ერთგულობა გამოიჩინა, ამიტომ იმპერატორი მას ილებს თავის მფარველობაში და უგზავნის მის მთავრად დამტკიცების სიგელსაც **).

II

გურია ხშირად ერთგულობას უწევდა იმერეთს და ახლაც, როცა იმერეთის სამეფო გაუქმდა და სოლომონი ოსმალეთში გაიქცა, ის იქითგან ხშირად მიმართავდა მამიას დახმარებისათვის. ამ დროს მდგომარეობა გართულებული იყო და მამია გურიელს ერიდებოდა სოლომონის დახმარება.

სოლომონი თურქების საშუალებით სცდილობს მის მიმხრობას; 10 ნოემბერს 1813 წელს ახალციხის სელიმფაშა შემდეგ წერილს სწერს: „... ყოველად აღმაღლებული დიდებით სავსე, ცათა სწორი ხელმწიფედ ხელმწიფისაგან სამართლად პატივცემული, ჩილდირისა, ახალციხისა და მისი ალეკათის მპყრობელი, ბათუმისა და ზღვის კიდეთა სხვათა და სხვათა უფლებათა მქონებელი, დიდებული და ბედნიერი ვეზირი სამ თუღიანი სელიმფაშა მოგახსენებთ:

„ჩემს საყვარელს და უერთგულეს შვილს მამია გურიელს, დიაღ სიყვარულით მოკითხვას მოგახსენებთ. მეორეთ, ჩემო საყვარელო შვილო, მეფე სოლომონი ჩემი ძმა ხაზინადარ-ოღლი სულეიმან ფაშასთან მოსულა და ამიტომ მოგახსენებთ ამ წერილით, რომ თუ ჩემი მამაშვილობა გაქვს და ჩემგან არ გაგიგლია, მეფე სოლომონს ნახავ და სულეიმან ფაშასაც შეეყრები და მათ საქმესა და სამსახურზედ მუყაითი გაუხდები, რომ ჰამ ხელმწიფის სამსახურია და ჰამ ჩვენი მოყვრობა და მამაშვილობა ამ საქმით გამოცხადდება, და ღვთით ჩემი ხელმწიფის წყალობაც შენზედ იქნება და ჩემიც უკეთესი

*) იხ. აქტები. ტ. IV, გვ. 439.
**) იქვე. ტ. IV, გვ. 441 - 443.

ერთგული საყვარელი იქნები და ჩემი ხაზინადარი მუსტაფა გამიგზავნია და ისიც ამოგივლის და მოგახსენებს და რაც ამ წერილით მოგახსენეთ, თუ ამ დარიგად არ ქენი, მე და შენი მოყვრობა და ერთობა აღარ იქნება..." და სხვა *).

როგორც ვხედავთ, მამია გურიელს უძნელდებოდა რუსების წინააღმდეგობა და ეს ლოიალობა მან ბოლომდე დაიცვა.

III

მაგრამ ერთი იყო გურიის მთავარი და მეორე გურიის ხალხი. თუმცა ამ დროს გურია ფორმალურად ისევ დამოუკიდებელი იყო, ითვლებოდა მხოლოდ რუსეთის მფარველობაში, მაგრამ ფაქტიურად გურიელი რუსების ბრძანება-მორჩილი და მათი ბრძანების აღმასრულებელი იყო. რუსები ისეთსავე ვერაგულად იქცეოდნენ გურიაში, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში და იმერეთში; ამიტომ აქაც ღელავდა ხალხი და მზად იყო თოფი აეღო ხელში. კიდეც მიმართავდა მამია გურიელს, მაგრამ უკანასკნელი ლოიალობას არჩევდა. ის გრძნობდა, რომ რუსეთი მხოლოდ საბაბს ეძებდა მისი სამთავროს ფორმალური გაუქმების და რომ მას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწია, ცხადია ეს უკვე საბაბს მისცემდა რუსებს, ის დაეთხოვათ. ამიტომ მამიამ არჩია ეს საბედისწერო დღე მისთვის, რაც შეიძლება გვიან დამდგარიყო. ასე ფიქრობდა გურიის მთავარი, რომელიც იმერეთი 1819 წელს, აჯანყების ცეცხლით იყო მოცული; და მაშინ, როდესაც იმერეთში აჯანყების ზოგიერთი მონაწილენი შეიბყრეს და ციხეში ჩააგზავნეს, ერთ-ერთი მონაწილე და შემდეგ ბელადი აჯანყების ივანე აბაშიძე **), გამოიქცა იმერეთიდან და ესტუმრა გურიას. ის მივიდა გურიის მთავრის ბიძასთან, ქაიხოსროსთან; მაგრამ ქაიხოსროსი ერიდებოდა და გურიის ხალხისაც, ამიტომ აბაშიძის წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიიღო, მხოლოდ თვალ-ყურს ადევნებდა.

6 აპრილს 1820 წელს, ღენ. ველიამინოვი სწერდა

*) იხ. აქტები. ტ. V, გვ. 510.

**) დეტალი სოლომონ I-ის შვილის - შვილი.

მამია გურიელს, რომ მისი ბიძის ქაიხოსროს ორგულობა დიდი ხანია რუსებისათვის ცნობილია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მასთან თავი შეაფარეს იმერეთის აჯანყებულებმა, აბაშიძემ და სხვებმა. მის წინააღმდეგ აგზავნის პოლკ. პუზირევსკის და გურიელს სთხოვს მისდამი დახმარებას *).

ივანე აბაშიძის გურიაში გაჩენა, იყო საუკეთესო საბაბი, რომ მოთმინებისაგან გამოსულ გურიის ხალხშიც აჯანყების ცეცხლი ანთებულ ქა.

ქაიხოსრო გურიელმა, თუმცა აჯანყებაში არ ერეოდა, მაგრამ ივანე აბაშიძის მიღებით, რუსები ძალზედ განარისხა. სტუმართ-მოყვარეობის ჩვეულება, რომელიც საქართველოში დაცული იყო, როგორც ღვთაებრივი დოგმა, რუსებისთვის გაუგებარი იყო. ისინი კულტურულად და მორალურად შორს იდგენ ასეთი ტრადიციების გაგებისგან; ყოველ მსგავს მოვლენებში ხედავდენ მათ წინააღმდეგ შეთქმულებას, ამიტომ მათ ბადასწყვიტეს ქაიხოსრო გურიელის დასჯა და მას მიუგზავნეს ჯარით პოლკ. პუზირევსკი. როდესაც პუზირევსკი ქაიხოსროს სასახლეს მიუახლოვდა, მას გურიელის ჯარის კაცები მოეგებენ, პუზირევსკი შეუფარაფოთ ეხსენიებს ქაიხოსროს და ეთუქრება; მაშინ ერთი გურიელი ილია ბოლქვაძე ჰკლავს პუზირევსკის, და ეს იქნება ნიშანიც გურიის აჯანყებისა, რომელსაც ველარც მთავრის ლოიალობა და ველარც დარიგებები ველარ შეაჩერებენ. იმერეთში დაწყებული აჯანყება გადადის რა გურია-სამეგრელოში, აქ იწყება აქტიური გამოსვლა. თავს ესხმიან რუსის გარნიზონებს და მუსრს ავლებენ აჯანყებულები. მთელი გურია-სამეგრელო და იმერეთი აჯანყების ცეცხლშია გახვეული. რუსები აგზავნიან იქ ჯარებს და აჯანყებას ჩაახრჩობენ; გურიაში შემოდის ღენ. ველიამინოვი დიდძალი ჯარებით, აჯანყებას ლიკვიდაციას მოუხდენს. ყველა მის მეთაურებს, ვინც ოსმალეთში გაქცევა ვერ მოასწრო, დახოცავს და მათ სახლ-კარს ცეცხლს წაუკიდებს; შემდეგ მიადგება და მრავალ ბოროტობას გააკეთებინებს და სოფლებსაც გადასწვავს. ამგვარად, ეს აჯანყებაც რუსებმა სისხლში ჩაახრჩეს.

1820 წ. აჯანყების შემდეგ, მამია გურიელის მდგომარეობა უნუგეშო შეიქმნა. ამ აჯანყებაში საერთოდ გა-

*) იხ. აქტები. ტ. VI, წ. I, გვ. 671.

მოირკვა, რომ მთავრის მოქმედება ასკდა ხალხის ინტერესებს. ჩვენ არ ვიცით რამდენად ლრმა იყო და სასარგებლო, ეროვნული თვალსაზრისით მისი ფიქრები, მაგრამ მომხდარ ფაქტის წინაშე, ის მაინც გამტყუნდა და დამცირდა, ყველა ეს კი ნახევრად ღალატს უდრიდა. ცხადია, მამია გურიელის საქციელი არ შეიძლება გამართლებულ იქმნას, მით უმეტეს, როდ რუსები მის ლოიალობას მხოლოდ სიფუსტით ხსნიდნენ და ამიტომ, მისი ნაკლები პატივისცემაც ჰქონდათ და რომ მას პირველშემთხვევაშივე ადვილად გასწირავდენ, ამას აქვე მოყვანილი დოკუმენტი ნათელ ჰყოფს.

პუზირევსკის სიკვდილის შემდეგ, როცა აჯანყება დაიწყო, აი რას სწერს ღენ. ველიამინოვს საქართველოს მთავარ-მართებელი ერმოლოვი, ვახტანგ ბატონიშვილზედ *) და თვით გურიელზედ:

«S'il arrive que Wakhtang, fils naturel du roi, puisse être pris, vous le ferez fusiller à Koutaïs sans délai et de la manière la plus ostensible...

Au Gouriel vous punirez de mort les moteurs de la revolte, surtout s'ils ont été pris les armes à la mains.» **)

ასე თუ ისე, გურიის სამთავროს გაუქმება ამ აჯანყების შემდეგ, მაინც მოახლოებული იყო და საბაბიც თვით მამიას სიკვდილი შეიქმნა. 1826 წელს 21 ნოემბერს, გარდაიცვალა მამია გურიელი, მას დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი დავითი.

IV

რუსებმა მთავრის სიკვდილის შემდეგ, გურიაში შეადგინეს „გურიის სამთავროს სამმართველო საბჭო", მამიას ცოლის, სოფიოს თავმჯდომარეობით.

საბჭოში შედიან: ვახტანგ და ბიძაგი ერისთავები, დ. მაჭუტაძე, სიმონ გუგუნავა, გიორგი ნაკაშიძე და გ. თაქადგირიძე. ამ დროებით მთავრობას უნდა ფანეგო გურია, სანამ მემკვიდრე დავითი სრულ ასაკოვანი შეიქმნებოდა.

ცხადია, ეს იყო მხოლოდ მოჩვენებითი აქტი; მთა-

---

*) ეს ის ვახტანგია, იმერეთში რომ გამეფება უნდოდათ.

**) იხ. აქტები. ტ. VI, წ. I, გვ. 674. წერილი მოწერილია ფრანგულ ენაზედ. საიდუმლოების დასაცავად.

ვარ-მართებლის მხრივ, ანსებითად ის უკვე აუქმებდა გურიის ავტონომიას; ხოლო რომ ამ აქტს, ისე როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში, მღელვარება არ მოჰყოლოდა, ამ პირველ მთავრობის თავმჯდომარეთ თვით სოფიო, გურიელის ცოლი დანიშნა. ერმოლოვი იმპერატორთან მიწერილ წერილში სწორედ ასე იმართლებს თავს: „... საბეჭოში სოფიოს დაშვება მიგვაჩნია აუცილებელ პირობად, რათა გზები გადავუჭრათ, ყოველნაირ არა სასურველ გაგებას იმის შესახებ, რომ ჩვენი მთავრობა რიყავს მმართველობიდან სამთავრო ოჯახს და თვითონ ითვისებს მის სამთავროსო“ *).

როგორც სოფიომ, ისე გურიის მოწინავე საზოგადოებამ, კარგად გაიგო, თუ რას ნიშნავდა ეს აქტი, და მაშინადვე წინააღმდეგენ.

გურიის მოწინავე თავადებმა 25 თებერვალს 1827 წ. მთავარ-მართებელ ერმოლოვს მიმართვის თხოვნა, სადაც განუმარტავენ, რომ მათ ეს ახალი მთავრობა „საბჭო“, ზედმეტად მიაჩნიათ. ჯერ იმიტომ, რომ ის ეწინააღმდეგება მათ ტრადიციას, და საბჭოს საშუალებით, დახმარების მაგიერ, ვნება მეტი მოუვა გურიას. მათ ჰყავთ მეფეკვიდრე, ხოლო სანამ ის წამოიზრდებოდეს, გურიას მართავს სოფიო; მით უმეტეს, ასეთი მაგალითი გურიისათვის ახალი არ არის. ადრეც, სანამ მამია წამოიზრდებოდა, გურიას მართავდა მისი დედა მარინე. ახლა ხომ რუსების დახმარებით, სოფიო უკეთ წარმართავს საქმესო.

ასეთივე თხოვნა მიმართეს თვით ამ საბჭოში დანიშნულმა პირებმა. საბჭო მათაც ზედმეტად სჯეს, ხოლო ალუთქვამდენ დედოფლის ერთგულ სამსახურს **).

თვით სოფიო 25 თებერვალს 1827 წ. უფრო ახდილად სწერს ერმოლოვს თავის უკმაყოფილებას: „... ეს დაწესებულება მიმაჩნია დამცირებად ჩვენი სამთავროსი, მით, რომ ჩემის შვილის დავითის სრულ ასაკში მოსვლამდე, მე თვითონ შემიძლია განვაგო სამთავრო, რაზედაც მაქვს უფლება, თანახმად მისი უმაღლესობის (იმპერატორის) მიერ, 8 აპრილს 1811 წლის ბოძებულ სიგელისა.

---

*) იხ. პოტტო. ტ. III, წ. II, გვ. 538.
**) თხოვნები. იხ. აქტები . ტ. VI წ. I, გვ. 681.

საქმიდან სჩანს, რომ თქვენთვის უცნობებიათ, თითქოს მე არ შემეძლოს სამთავროს მართვა. ვფიქრობ, რომ ჩემს სისუსტეს; რუსის მთავრობა შემდეგაც გამოარკვევდა და მას დროც ექნებოდა ჩემი ჩამოცილებისა.

მე ვრჩები ჩემი განსვენებული ქმრის მიერ დამყარებულ წესზედ, რაც უფრო მეტეფერება ამ მხარეს..." *).

სოფიო ერმოლოვს უგზავნის დელეგაციას დ. მაჭუტაძეს და ნაკაშიძეს.

რასაკვირველია, როგორც უკვე ვიცნობთ რუსების მეთოდს, აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითით, ახლაც იგივე მეორდება. ერმოლოვი სოფიოს წერილზედ საპასუხოდ სწერს, რომ იმ სიტყვაში, რომელიც თქვენს ქმარს მიეცა, თქვენ ანა ხართ ნაგულისხმები, ხოლო თქვენი შვილი, როცა სრულასაკოვანი შეიქმნება, ის მიიღებს მთავრობასო **), და აიძულებს სოფიოს, საბჭო მიიღოს და დაადასტუროს.

დროებითი საბჭო დაარსდა, მაგრამ სოფიო შეურიგებლობას განაგრძობს. 4 მარტს 1827 წ. ***), ის ახალ მთავარმართებელსაც მიმართავს და ამ დაწესებულების გაუქმებას სთხოვს. როცა ეს წერილი მიიღო, პასკევიჩი უკვე გამგზავრებული იყო სპარსეთის წინააღმდეგ ომში და მას ლეონ.-ად. სიპიაგინი ცვლის უარს უთვლის ტფილისითგან. მაგრამ ამ დროს, როგორც ჭეშმარიტად ვნახავთ, რუსეთის მდგომარეობა გართულებული ჰქონდა და შიგნით ისევ ლოიალობას არჩევდა. რუსების მთავრობა აგზავნის გურიაში თავ. ფალავანდიშვილს; უკანასკნელი შეეცადა და დაითანხმა დედოფალი, ზოგიერთი პირობების შეცვლით. სოფიო უნდა წოდებულიყო „თავმჯდომარის" მაგიერ „მთავრად". შემდეგ, ზოგიერთი მუხლები გულისხმობენ, რომ სოფიო ინარჩუნებს ანა მარტო ტიტულს, არამედ უფლებასაც, რომ ის უნდა იყოს შეუზღუდელი, მბრძანებელი, საბჭო კი ერთგვარი დამხმარე ორგანო. საბჭოს არ შეუძლია უარჰყოს სოფიოს ბრძანება და სხ.

26 დეკემბერს 1827 წელს, პასკევიჩი სწერს ლენინრალ სიპიაგინს, რომ სოფიოს მოთხოვნილება მიუღებელია და

---

*) იხ. აქტები. ტ. VI, გვ. 682.
**) იქვე. გვ. 684.
***) იხ. აქტები. ტ. VII, გვ. 404 - 405.

საქმე დროზედ მოათავოს. თორემ. შეიძლება სოფიომ იწვალოს და იმპერატორისგან ის დაიმტკიცოსო *).

ამის შემდეგ კი. ყველაფერი გათავებული იყო. სოფიო ან უნდა დათანხმებულიყო, ან და სხვა გზები ეძია...

V

გურიის ბედი საბოლოოდ ამ ახალ მდგომარეობასთან ერთად გადაწყდება. 1826 - 1828 წლის სპარსეთ - რუსეთის ომი გათავდა. რუსეთი გამარჯვებული გამოდის და იწყება პასკევიჩსა და აბას - მირზას შორის მოლაპარაკება. მოლაპარაკება და შეთანხმებაც მიღებულია. სპარსეთი იხდის რუსეთის სასარგებლოდ 10 მილ. მანეთს; პირობით, ჯერ ფული უნდა იქნეს გადახდილი და მერე დაიდება ზავი. ფული უკვე გზაშია და ამ დროს აბას - მირზა ილებს ცნობას, რომ ფული შეჩერებულია ყაზვინში და მის მაგიერ მიდის ჯარები. შახი უთვლის ტახტის მემკვიდრეს, რომ თუ ჯერ არ გასწმენდენ ადერბეიჯანს, ფულს ვერ მიიღებენო. ამის მიზეზი: ოსმალეთი ომს უცხადებს რუსეთს; ვანის ფაშა უკვე მზად არის შეიარაღებული დახმარებისათვის. ამის გამო ეს მოლაპარაკება სწყდება და ორივე მხრით იწყება კვლავ ომისთვის სამზადისი. ოსმალეთი უცხადებს თუ არა ომს რუსეთს, სპარსეთიც სწყვეტს შეთანხმებას. ამ მდგომარეობით კიდეც ერთხელ წაქეზდებიან საქართველოს თავისუფლების მომხრენი. კვლავ გაიმართება კავშირები, ზოგის სპარსეთთან, ზოგის ოსმალეთთან და იძებენ ხსნას.

ამ დროს გურიაში შემოიჭრენ ქაიხოსრო წერეთლის და სეხნია წულუკიძის კაცები და მთელი გურია მიიძყრეს. მათ მიიმხრეს თვით სოფიოც, რომელმაც გადასწყვიტა რუსეთის მოწინააღმდეგეებთან ერთად თოფი აეღო ხელში და რუსებს შებრძოლებოდა. ამიტომ ის წინასწარ თავისი შვილით ტყეში გარბის. ქაიხოსრო გურიელიც, რომელიც აჯანყების შემდეგ ქობულეთში სცხოვრობს, იქითგან მოქმედებს თათრებთან ერთად. სოფიო იმერეთის თავადების საშუალებით, შედის თურქებთან მოლაპარაკებაში, უკანასკნელნი ჰპირდებიან გურიის განთავისუფლებას. სოფიო აშკარად ოსმალეთს შეუერთდა, და 1829 წ. როდესაც რუსები ახალციხეს მეო-

*) იხ. აქტები. ტ. VII, გვ. 409.

რედ დაესხნენ, ამ დროს გურიასაც შემოუტიეს, და აქ სოფლო ჯვარს თვითონ მოუძღოდა, რუსების წინააღმდეგ.

მაგრამ ეს ავანტიურაც უშედეგოდ დამთავრდა. სპარსეთი, რომელიც ფრიად იყო დაზიანებული, ომის გაგრძელება ალარ შეეძლო და აბას-მირზამ პასკევიჩთან 22 თებერვალს 1828 წელს, სოფ. თურქმანჩაიში ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას; რომლის ძალით რუსები იმტკიცებენ მთელ სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეს. ტრაქტატის მე-4-ე მუხლში პირდაპირ ნათქვამია: „... ყველა წყლები, რომელნიც ჩადიან კასპიის ზღვაში, ეკუთვნიან რუსებს“ *).

მალე ამას მოყვება რუსეთ-ოსმალეთის ზავიც და 14 სექტემბრის 1829 წლის, ადრიანოპოლის ზავის მე-4-ე მუხლით, თურქეთი სცნობს რუსეთის საკუთრებად: საქართველოს (ე. ი. ალმ. საქ.), იმერეთს, სამეგრელოს და მათ შორის გურიასაც **).

VI

როგორც დავინახეთ, აღნიშნულ გარემოებათა წყალობით, გარეშე იმედი სამოლოოდ გადაწყდა და გურიის საქმეც ამით გათავდა.

ჯერ კიდევ 27 ივლისს 1828 წელს, პასკევიჩი სწერდა პირველ მინისტრს ნესელროდეს, რომ თუ სოფიო ერთგულობას არ გამოიჩენს, მას მოვუსპობ ყოველივე საშუალებას და თავმჯდომარეს რუსის ჩინოვნიკს დავანიშნავო ***) მაგრამ, როგორც კი გურიაში შედიან იმერეთის მმართველის დენ. გესსეს ჯარები — სოფიო გარბის. 31 ოქტომბერს 1828 წელს, პასკევიჩი ბრძანებას აძლევს ლენ. გესსეს, შეაჯგინოს მთავრობა. სოფიოს მიწერის, რომ მას გურიაში დაბრუნება ეკრძალება, ხოლო თუ დავითს დააბრუნებს, მას უფლებას შეუნახავენ; ეს დადასტურებულია იმპერატორისაგან.

1829 წელს 7 სექტემბერს, ქ. ტრაპიზონში გარდაიცვალა გურიის დედოფალი სოფიო და დარჩა მკირეწლოვანი დავითი და ეკატერინე.

---

*) იხ. Martens. Receuil des traités général. ტ. VII, (1824 - 1828), გვ. 564.

**) იხ. Martens. ტ. VIII, გვ.143.

***). იხ. აქტები. ტ. VII, გვ. 413 - 415.

26 დეკემბერს 1829 წელს კი, პასკევიჩი იმპერატორს ამცნობს თავის გადაწყვეტილებას:

1) დღეითგან (სოფიოს გარდაცვალებისა) გურიაში გაუქმებულია ყველაფერი და ის იქცევა რუსეთის პროვინციად.

2) სარდინიის და ავსტრიის კონსულების საშუალებით, საჭირო მოისყიდოს დავითი და გადაასახლონ შიდა რუსეთში; ასევე მისი და.

3) რაც შეეხება მოღალატე თავადებს, მათ აეკრძალოთ სამშობლოში დაბრუნება.

ეს პროექტი 1830 წელს იანვარში, დაამტკიცა იმპერატორმა და ის ცხოვრებაშიც იქმნა გატარებული *).

მალე შესძლეს დავით გურიელის და მისი დის ეკატერინეს დაბრუნება ტრაპიზონითგან; ეკატერინე დარჩა გურიაში, ხოლო დავითი 25 იანვარს 1833 წელს პეტერბურგში გაისტუმრეს **).

ამიერითგან გურიაშიც მოისპო ადგილობრივი მმართველობა, ისიც რუსეთის ცალკე პროვინციათ იქმნა გამოცხადებული და შემოიღეს ისეთივე წესები, როგორც ალმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთში. ხოლო 1840 წელს კი, გურია შემოუერთეს საქართველოს იმერეთის გუბერნიას, როგორც ცალკე მაზრა.

ასე აღსრულდა პატარა გურიის ბედიც; თუმცა მისი, ბუნებით მკვირცხლი და თავისუფლების მოტრფიალე შვილები, არასოდეს არ შერიგებიან რუსეთის ბატონობას და ბოლომდეს ვაჟკაცურ წინააღმდეგობას უწევდენ ხოლმე. 28 აგვისტოს 1846 წ. ***), საქართველოს „განმანათლებელი" მთავარ-მართებელი გრაფი ვორონცოვი სწერდა იმპერატორს, რომ „გურია ჯერ კიდევ არ ჩაითვლება საბოლოოდ დამორჩილებულ და დაწყნარებულ პროვინციადო".

---

*) იქვე. ტ. VII, გვ. 419.

**) იხ. აქტები. ტ. VIII, გვ 974.

***) იხ. აქტები. ტ. X, გვ. 264.

თავი XI

სამცხე-საათაბაგოს დაბურობა

I

საქართველოს დაცემის შემდეგ, ამ კუთხეში ყველაზედ ადრე დაიწყო დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება და ამალე თავისუფალ სამთავროდ იქცა. სამცხე-საათაბაგოს, საქართველოს დანარჩენ სამთავროთაგან, ყველაზედ დიდი ტერიტორია ეკავა. დაწყებული ბორჯომითგან ყარსამდე, და ზშირად აზრუმამდე, შემდეგ ისპირის გაყოლებით, ლაზისტანი და აჭარა. ეს საზღვრები დროთა ეითარეებაში იცვლებოდა. როდესაც მე-15 საუკუნითგან იწყება სპარსეთ-ოსმალეთის ზრდა და მეტოქეობა საქართველოზე, პირველი, მიზანში ეს მხარე მოხვდება. ის ხდება თარეშის საგნათ ხან სპარსეთის, ხან ოსმალეთის და ბოლოს 1625 წელს, მას საბოლოოდ იბყრობენ თურქები. ორი საუკუნის განმავლობაში, აქ თითქმის ყველა გაამაჰმადიანეს; მაგრამ ეროვნული სულ მაინც ვერ ჩაკლეს. დიდ ნაწილში დარჩა ქართული ენა და ჩვეულებებიც. ეს კუთხე, საშუალო საუკუნეებში წარმოადგენდა აკვანს ქართული კულტურისა. მის ხელებსა და ტყეებს დღესაც აშენებენ უკვდავი ძეგლები ციხე-კოშკების და ეკლესია-მონასტრების სახით. ხოლო ყველა მათი მაყურებელი ქართველნი, დარჩენ სულით ისევ ქართველებად და მიუხედავად მათი გამაჰმადიანების, რუსეთის შემოსვლამდე, ისინი ისეთივე ურთიერთობაში იყვენ საქართველოს სამეფოებთან, როგორც ყველა სხვა სამთავროები.

როცა ის თურქებმა დაიბყრეს, გამოაცხადეს ახალციხის საფაშოდ. ის დაუმორჩილეს აზრუმის სერასკირს, მისი საშუალებით კი სულთანს. ფაშის ტიტული აქ მეშკვიდრეობით დასტოვეს მთავრების ოჯახში.

თითქმის მე-18 საუკუნის მეორე ნახევრამდე, სამც-

ხეს ძველი ჯაყელების გვარი განაგებდა. შემდეგ თუმცა გამოუკვეთელია, მაგრამ დრო-გამოშვებით ხდებოდა მეტოქეობა, იმავე ჯაყელების, აპარის ძეგლების, ხიმშიაშვილების და სხვა სულთანის მიერ დანიშნულ პირებს შორის; ხოლო აქ გამოუკლებლად ყველა ქართველების შთამომავალი პირები ინიშნებოდენ ხოლმე. მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19-ის დასაწყისში, ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება საკმარისად დასუსტებული იყო, ამიტომ განაპირა საფაშოები თითქმის სრული ავტონომიით სარგებლობდენ. ძალიან ხშირად მის მოწინააღმდეგეებთან კავშირშიაც შედიოდენ ხოლმე. ამ მდგომარეობით სარგებლობდენ ახალციხის ფაშებიც და ისინიც თითქმის დამოუკიდებელნი იყვენ.

ირაკლიმ ქართლ-კახეთის სამეფოს სრული დამოუკიდებლობა მოუპოვა სპარსეთის ვასალობისაგან და იმერეთის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს სხვა სამთავროებთან ერთად, მომწიფდა აზრი სრულიად საქართველოს გაერთიანების; ამ დროს მეფე ირაკლის მიზანში ჰქონდა ძველი მესხეთის, სამცხე-საათაბაგოს შემოერთებაც. მაგრამ, რათგან ახალციხე ფორმალურად მაინც სულთანთან იყო დამოკიდებული, ამიტომ აქ მას უნდოდა რუსეთის გამოყენება. ამ საერთო გეგმით იყო ნაკარნახები, რომ მან 1783 წლის ხელშეკრულების დამატებით კონვენციის მე-4-ე მუხლში, ეს საკითხი სპეციალურადაც შეატანია.

ასე თუ ისე, ამ დროიდან სამცხე-საათაბაგოს ფაშები, საქართველოს ყველა ნაწილებთან საესებით ძმურ ურთიერთობაში არიან და როგორც სხვა ადგილებშიც დავრწმუნდით, ისინი მთლიანად ქართველებთან მოქმედებენ რუსების წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ მისი ბედიც საქართველოს ბედთან უნდა გადაწყვეტილიყო და ეს ასეც მოხდა.

II

1800 წელს ახალციხის საფაშოს განაგებდა ზაბით-ფაშა, უკანასკნელს შეებრძოლა მისივე ნათესავი შერიფ-ფაშა *), შერიფ-ფაშამ განდევნა ზაბით-ფაშა. ზაბით-

*) ბუტკოვის აზრით, ეს იყო ჯაყელი.

ფაშამ დახმარებისათვის რუსეთს მიმართა, აგრეთვე დავიდ ბატონიშვილსაც იწვევდა თავისკენ, მაგრამ რუსებმა ის არ გაუშვეს *). შემდეგ ის თვით ხვდება პაემანზედ ლენ. ლაზარევს, მაგრამ რუსები ბოლომდე თავს იკავებენ და მათ საქმეში არ ერევიან; ოსათვან, ერთის მხრივ პორტასთან უთანხმოებას ერიდებოდენ და მეორე ასეთი არეულობაც მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო.

მაშინ ის მიდის ანატოლიის ბათალ ფაშასთან და მისგან ილებს დახმარებას. ის განდევნის შერიფს, მაგრამ მალე ისევ დამარცხდა ზაბითი და გაიქცა იმერეთში.

ამ დროს ახალციხეში იყო ალექსანდრე ბატონიშვილი; შერიფ - ფაშა მას და იმერეთის მეფეს სოლომონს შეუთანხმდა და იმერეთში ზაბით ფაშას თავი მოაკვეთეს. ამაზედ რუსები აუვირდენ, მაგრამ ველაფრას გახდენ.

შერიფ - ფაშის გულის მოგებით, ალექსანდრე ბატონიშვილმა და სოლომონმა ახალციხეში მათი მუდმივი შტაბი მოაწყეს, რუსების წინააღმდეგ. ასე რომ, მათ ეს მკვლელობა ჩაიდინეს გარკვეული პოლიტიკური ანგარიშით და მართლაც, შემდეგში ახალციხით მათ დიდად ისარგებლეს. სწორედ ამის შემდეგ. ერთ მთავარ საშიშ მხარედ რუსების თავდასხმისა, ეს მხარე გადაიქცა.

შერიფ - ფაშა შედის კავშირში ალექსანდრესთან და სოლომონთან ერთად რუსების მოწინააღმდეგე პარტიასთან და ის მათ უწევს ყოველგვარ დახმარებას.

მაგრამ, მალე შერიფ - ფაშას (ჯაყელს) განდევნის (1801) წ.) სელიმ - ფაშა (ხიმშიაშვილი). მაშინ შერიფ - ფაშა ინიშნება სულთანის მიერ ტრაპიზონის სერასკირად. სელიმ - ფაშაც ისეთსავე ერთგულობას იჩენს ქართველებთან, როგორც შერიფ - ფაშა.

III

როგორც აღვნიშნეთ, ახალციხე მუდმივ თავდასხმელ პუნქტად გადაიქცა. ამიტომ რუსები ხშირად ცემენ თავდებენ ფაშას საყვედურით.

*) ეს ის დრო იყო, როცა დავ. ბატონიშვილი დაპირისპირებული იყო თავის ბიძების პარტიასთან. ზაბითი მათთან იქერს კავშირს, ხოლო შერიფ - ფაშა. როგორც მერეც ვნახავთ, ალექსანდრე ბატონიშვილთან და სხ.

16 სექტემბერს 1801 წ. შერიფ - ფაშა პასუხს აძლევს ღენ. ლაზარევს: „... ჩვენი მამები და პაპები ყოველთვის ძძელ და მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ ქართველ ხეფეებთან, არასოდეს არ გვქონია და გვაქვს განზრახვა, საქართველოს ვნება მოვუტანოთო“.

აქეთგან სჩანს თუ შერიფ - ფაშას რუსების წინააღმდეგ მოქმედება, არ მიაჩნია საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებად, როგორც ამას ლაზარევი სწერდა. ზემოდ, როდესაც გურიაზედ ვსწერდით, იქ ვნახეთ, თუ სელიმ-ფაშაც როგორის ერთგულობით ეხმარებოდა სოლომონს და სთხოვდა საქართველოს სხვა მთავრებსაც, მათ დახმარებოდენ.

ახალციხე გადაიქცა ავრეოდეე მუდმივ თავშესაფარად ლეკების, რომელნიც ჩამოდიოდენ ბორჯომის ხეობით ქართლში და რუსებს მოსვენებას არ აძლევდენ.

მაგრამ ახალციხის საფაშოს აქტიური მოქმედება განსაკუთრებით მაშინ იწყება, როცა 1806 წელს ნაპოლეონი გაარღვევს ოსმალეთ - რუსეთის შორის კავშირს და ოსმალეთს აუმხეღრებს მათ.

ამ დროს რუსეთი დაფაცურდა სპარსეთთან კავშირზედ, მაგრამ ნაპოლეონმა დაასწრო; თუმცა ბაბას - მირზა შევიდა მათთან მოლაპარაკებში, მაგრამ ამავე დროს კავკასიის მთიულებს იმედს აძლევდა და ფაქტიურად აქ მთელი ფრონტი შეიკრა..

დაიწყო სამზადისი. აზიის ჯარების მთავარ-სარდალი იუსუფ - ფაშა აგზავნის პროკლამაციებს კავკასიაში. ამცნობს *) რომ, ნაკრუზობის დღეს ის დაიძრება (10 მარტს) ტფილისისაკენ და ყველა უნდა მას შემოუერთდენ, ხოლო ვინც მათ მზარს არ დაუჭერს „მათი თავები იქმნება გასრესილი, ცხენების ფეხებით“..

ამ საერთო მოწოდების დროს, მთელი კავკასია იწყებს მღელვარებას. რუსები სამი მიმართულებით შეებრძოლებიან თურქებს, ფოთის, ყარსის და ახალციხის. ახალციხეში ჯარების ხელმძღვანელობას კისრულობს, თვით მთავარმართებელი გუდოვიჩი და პირველი იერიში მიაქვს ახალქალაქის ციხეზედ, სადაც სასტიკად მარცხდება და უკან იხევს.

მაგრამ, შემდეგ 1807 წ. 25 ივნისის რუსეთ - ნაპოლეონის ტილზიტის ზავის შემდეგ, სპარსეთი უკან იხევს

*) იხ. დუბროვინი. ტ. V, გვ. 142.

და ოსმალეთიც იმავე ნაპოლეონის ზე-გავლენით, ისევ ზავს აკეთებს რუსეთთან.

ამგვარად, ომი თითქოს შესწყდა, მაგრამ სპარსეთი კვლავ უკმაყოფილობას განაგრძობს და ალექსანდრე ბატონიშვილი ისევ ახალციხეში გაჩნდება. ის იქ თავს უყრის ლეკებს და რუსებს არ ასვენებს. სელიმ-ფაშა, დღეითგან მისი ფაშად გამოცხადების, არ ემორჩილება აზრუმის ფაშას, რომელსაც ჩვეულებრივ ემორჩილებოდენ ახალციხის, ყარსის და ბაიაზეთის ფაშები. შემდეგაც, როდესაც სერასკირმა იუსუფ-ფაშამ ზავი ჩამოაგდო გუდოვიჩთან, სელიმ-ფაშა არც ამ ზავსა სცნობს და სულთანის დამოუკიდებლად, დახმარებას უწევს ქართველებს. ის კავშირში რჩება რუსების წინააღმდეგ ყოველ ქართულ კონსპირატიულ წრეებთან და ეხმარება ფეულითა და ჯარით.

რუსებმა ერთხელ გადასწყვიტეს, რაიმენაირად მისი მოსყიდვა, მაგრამ არაფერი გაუვიდათ.

ვრძნობდა რა კავკასიის მთავარ-მართებელი ტორმასოვი ახალციხის დიდ ძალას მათ წინააღმდეგ, 20 მარტს 1809 წელს სწერდა გრაფ რუმიანცევს: „... ჩემდამი რწმუნებული საპმსახურის მოვალეობის გამო, ახდილად უნდა ვსთქვა, რომ სანამ ახალციხის საფაშო, დიდმნიშვნელოვანი საქართველოს დაწყნარებისათვის. თავისი ღირებულებით და ადგილ-მდებარეობით, არ იქნება შემოერთებული საქართველოსთან, მისი უმაღლესობის სრულ მფარველობაში, მანამ ჩვენი მარჯვენა ფრთა ამ მხარეში, მუდამ განიცდის მღელვარებას ამ მტაცებელთა ბუდისაგან *).

მაშ, რუსეთისთვის ახალციხის საკითხიც გადაწყვეტილი იყო და ისინი ყოველ ღონეს ხმარობდენ. საქართველოს სხვა მთავრებსავით ისინიც ჩაეთრიათ.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რუსების ჯარები აბას-მირზას წინააღმდეგ მიეშურებოდენ, ნაწილი ჯარებისა ახალციხის მხარეს დაიძრა. სელიმ-ფაშამ დასწრო და მოლაპარაკება გამართა. ამით ისარგებლა ტორმასოვმა და მაიორი ორბელინი გაუგზავნა და სთხოვა, რუსეთის მფარველობაში შესვლა.

რუსები ასეთ მუხლებს უდგენდენ: 1) შესულიყო რუსეთის მფარველობაში; 2) შეეშვა ახალციხის ტერიტო-

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. V, გვ. 320-321.

ჩიაზედ რუსების ჯარები და 3) უფროსი შვილი მძევლად გაეგზავნა. სელიმი უარს ეუბნება სამივე მუხლზედ, და აბას-მირზას და ალექსანდრე ბატონიშვილის ჩაგონებით, კვლავ თავს ესხმის რუსებს.

მაგრამ, სწორედ ამ დროს ფოთთან რომ მარცხდება ტრაპიზონის სერასკერი შერიფ-ფაშა, ის თავისი ჯარებით მიდის ახალციხეში და განდევნის მის ძველ მეტოქეს, სელიმ-ფაშას. სელიმი ცადადის აჭარაში. რუსები სარგებლობენ კვლავ მისი მარცხით; ახლა ის თვითონ აძლევს წინადადებას რუსებს, ჯარით დაეხმარონ, მაშინ ჰპირდებოდა რუსეთის მფარველობაში შესვლას. რუსებმა პირობა მისცეს, რომ დაეხმარებიან. მაშინ სელიმმა ასეთი პირობა დაუდვა: — მე ყველაფერს შეავასრულებ მაშინ, თუ ჯარს შემოიყვანთ ახალციხეში და შერიფ-ფაშას განდევნითო. ამ დროს დანიუბის ფრონტზედ თურქები მარცხდებიან და ამიტომ ტორმასოვმაც დააჩქარა ახალციხის ექსპედიცია, რათგან ფიქრობდა, რომ თურქეთი მალე ზავს მოითხოვდა და იქნებ ამ ზავის პირობით ახალციხე ხელში ეგდოთ; ხოლო ამისთვის რომ მიეღწიათ, საჭირო იყო მანამდე მისი დაბყრობა. ტორმასოვმა გაილაშქრა ახალციხეზედ და კიდეც შეუახლოვდა ქალაქს. შერიფ-ფაშა 10.000 კაცით ციხეში ჩაიკეტა; თუმცა ახალციხეს ზიანი მიაყენეს, მაგრამ ბოლომდის ვერ დაგვირგვინეს და ისევ უკან დაიხიეს.

მაგრამ, 8 დეკემბერს 1811 წელს, ახალი მთავარ-მართებლის პაულუჩის ბრძანებით *), რუსებმა მოახერხეს და ხელში ჩაიგდეს ახალქალაქი, საფაშოს ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი. 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს, შერიფ-ფაშა შეეცადა, მაგრამ ის ვერ დაიბრუნა.

ამგვარი იყო მდგომარეობა ახალციხისა და რუსეთის შორის, როდესაც რუსეთ-ოსმალეთ შორის დაიდო ბუხარესტის ზავი, 12 მაისს 1812 წ.

ამ ხელშეკრულებით (მუხ. IV), აზიის საზღვრებად რუსეთ-ოსმალეთის შორის, ეუნდა დარჩენილიყო ომის წინა დროინდელი საზღვრები; ახალქალაქი რუსებმა ისევ დაუბრუნეს თურქებს. წინალმდეგ კავკასიის მთავარ-მართებლის სურვილისა, ახალციხის საფაშო, ერთად-ერთ დაკარგულ ადგილსაც დაიბრუნებს და აღადგენს თავის მთლიანობას.

*) იხ. დუბროვინი. ტ. V, გვ. 437.

შეინარჩუნა რა თავისი მთლიანობა, ახალციხის საფაშო ამის შემდეგ უფრო გამაგრდა; მუდმივ დახმარებას უწევდა ოსმალეთში გაქცეულ სოლომონ II-ს და სხვა ქართველ ბატონიშვილებს და დაბურობამდე რჩება რუსების შეურიგებელ მტრად.

IV.

1828 წ. კავკასიის მთავარ-მართებელი პასკევიჩი ჯერ კიდევ მოლაპარაკებაში იყო აბას-მირზასთან თურქმანჩაის ხელშეკრულების შესახებ, რომ შეიტყო ოსმალეთის მზადება ომისათვის. აზიის ჯარების მთავარ-სარდალი ქიოს-მაჰმედ-ფაშა, აზრუმში თავს უყრის დიდძალ ჯარებს.

სანამ ომი გამოცხადდებოდა, პასკევიჩი ილებს იმპერატორისაგან ბრძანებას, რათა სანამ ოსმალეთი დაესხმოდა, მას დაესწრო და გაელაშქრა თათრებზედ.

პასკევიჩმა აღარ დააყოვნა; ის პირველად ილაშქრებს ყარსზედ და მერე ახალციხეზედ. 23 ივლისს 1828 წელს, უკვე ყარსი დაიბყრო *) და მიადგა ახალციხეს, ახალციხის აღება ძალიან ძნელი იყო, რათგან მას იცავდა მეტად სტრატეგიულ ადგილს აგებული მისი მაგარი ციხე. ციხეში იდგა 15.000 გარნიზონი და თვით ქალაქის 25.000 მცხოვრებიც შეიარაღებული იყო. 15 აგვისტოს 1828 წ. პასკევიჩმა ალყა შემოარტყა და იერიშები მიიტანა; 16 აგვისტოს ძალზედ შეაწუხა თათრები; ქიოს-ფაშა უგზავნის კაცს და სთხოვს 5 დღით ბრძოლის შეჩერებას. პასუხად მიიღო: — თუ ხუთი საათის განმავლობაში ციხეს არ დამიცლი, რისხვა მოგელისო.

ქიოს-ფაშა იძულებული გახდა თანხმობა განეცხადებინა, მან პირობა ჩამოართვა, ჯარების გაყვანისა, ხოლო მთელი ქონება რუსებისათვის უნდა დაეტოვებინა. ქიოს-ფაშამ ხელი მოუწერა პირობაზედ და ციხის გასალები პასკევიჩს ჩააბარა **).

ქალაქის აღება ასე ამცნო პასკევიჩმა იმპერატორს: „... მაქვს პატივი მოგილოცო თქვენს უმაღლესობას, რომ 12 საათის ალყის შემდეგ, დავიბყარ ეს ქალაქი, განთქმული მთელს აზიაში ***).

*) იხ. პოტტო. ტ. IV, გვ. 50.
**) იქვე. გვ. 96.
***) იქვე. გვ. 98.

რუსებმა დაიბყრეს თუ არა ახალციხე, შეადგინეს საოლქო მმართველობა და უფროსად ღენ.-მაიორი ვას. ბებუთოვი დანიშნეს.

მაგრამ ქალაქის დაბყრობით, მთელი საფაშო ჯერ არ იყო დაბყრობილი, ამიტომ ამის შემდეგ, ჯარი დაუშვა აწყვერის ასალებად, სამხრეთით კი ბოლეს არტაანი. ამ დროს აჭარითგან ასმედ-ფაშა მოადგა ახალციხეს დიდძალი ჯარით და ბებუთოვი შეაწუხა; თორმეტი დღე ალყაშემოარტყმული იყო, და როდესაც გადასწყდა უკანასკნელი იერიშის მიტანა, ამ დროს რუსებს ბორჯომითგან დამხმარე ჯარმა მოუსწრო და ფაშამ უკან დაიხია *).

რუსები სამხრეთისკენ კარგა შორს მიდიან, იბყრობენ: აზრუმს, ბაიბურთს და გუმბრიშანას; ასე რომ, აჭარას საკმაოდ შორითგან ალყა შემოარტყეს, აჭარის ფაშა საქმეს წაგებულად გრძნობს და შეადის მოლაპარაკებაში ახალციხის ახალ მმართველთან ოსტენ-საკენთან; რუსებმა მას პირდაპირ მორჩილება მოსთხოვეს.

4 აგვისტოს 1829 წ. ოსტენ-საკენი სწერს ასმედ-ფაშას: „... თუ ოთხი დღის განმავლობაში, ან თქვენ, ან თქვენი შვილი არ გამოცხადდებით ჩემთან, მაშინ იძულებული ვიქნები დავიძრა ჩემი ჯარებით აჭარისაკენ — თქვენი დახმარებისა ან დასჯისათვის; თქვენი მოქმედება გადასწყვეტს, თუ რომელი ზომის არჩევა დამჭირდება **).

12 აგვისტოს 1829 წ. ოსტენ-საკენი უკვე გაეშურა; ის იბყრობს ხულოს, ფაშის რეზიდენციას და იქაურობას ცეცხლს უკიდებს, აჭარლებმა კი მას გზები შეუკრეს და ალყა შემოარტყეს; ის ჯერ გარბის გურიისაკენ, მაგრამ იქაც შეკრილი დახვდა გზები და ბოლოს როგორც იყო, ახერხებს ისევ ახალციხეში გაქცევას. გაქცევის დროს კი, მან მთელი სოფლები გადასწვა. აი ერთი რუსის ისტორიკოსისვე სიტყვები: „... მართლაც ოსტენ-საკენის ექსპედიციამ დიდი უბედურობა მიაყენა აჭარლებს... გზა, განვლილი რუსის ჯარის მიერ, ყველგან აღიბეჭდებოდა გადამწვარ ზეთა ნაცარით, სადაც ილუპებოდა ხოლმე მცხოვრებთა მთელი ქონება“ ***).

---

*) იხ. პოტტო. ტ. IV, გვ. 188.
**) იქვე. გვ. 394.
***) იქვე. გვ. 403.

პასკევიჩის ბრძანებით, აჭარაზედ გალაშქრება მაინც აუცილებელი იყო; ეს ასეთი გეგმით ხდება. ბათუმიდან შემოუტევს გურიის ფრონტს ჯარების უფროსი გენერალ, ხოლო საკენი ირჩევს აჭარაზედ გალაშქრებას სამხრეთ აღმოსავლეთითგან, ფოცხოვის ხეობითგან. ის ამ ხეობაშიც აუარებელ სოფლებს გადასწვამს, და 23 სექტემბერს ისევ უკან იხევს, რათგან, ამ დროს ილებს ცნობას გენერალ დამარცხებისა.

მაშინ როდესაც აზრუმის ფრონტზედ იმარჯვებენ რუსები, თათრის ჯარები წაოვდებიან გურიის მხარეს; აქ ხდება ის ამბები, რაც გურიის განყოფილებაში აღვწერეთ, როცა თვით მთავრის მეუღლე შეუყრია თურქებს და მათ ჯარს წამოუძღვა.

ამგვარად, ჯერ კიდევ ახალციხის საფაშო მთლად არ იყო დაბყრობილი რუსების მიერ და ასეთი იყო მათი ჯარების პოზიციები, რომ მოვიდა ცნობა, ოსმალეთსა და რუსეთს შორის ზავის ჩამოგდებისა.

V

ზავის ჩამოგდებამდეე, პასკევიჩმა ახალი საზღვრების დადების შესახებ, პირველ მინისტრს ნესელროდეს თავისი პროექტი წარუდგინა; მას საჭიროდ მიაჩნდა, საზღვრად დადებულიყო ერთის მხრივ სოლანლული, მეორე მხრით გურია - ბათუმით.

საერთოდ კი ის სწერს: „...როგორც ახალციხისა და ყარსის დაბყრობა უზრუნველჰყობს ჩვენს საზღვრებს, ლეკებისა და ყარაფაფახების თავდასხმებისაგან, ასევე ბაიაზეთის საფაშოს ჩამოცილება და მისი დამოუკიდებლობის გაძოცხადება თურქებისაგან, ჩვენს მფარველობაში, გააძლიერებს რუსეთის გავლენას ქურდისტანზედ; უზრუნველჰყოფს გზებს. მაშინ მთელი ტრანზიტი ევროპის საქონლისა, უშიშრად გაიარს, ჩვენს ამიერ - კავკასიის მხარეში. თვით ყარსს, რომელიც ახლა განზედ არის მიტოვებული, მიენიჭება ახალი მნიშვნელობა, როგორც ცენტრალურ საწყობს საქონლისა, რომელიც ხმარდება ოსმალეთის მთელ აღმოსავლეთ ნაწილს, აზრუმიდან ბაღდადამდე *).

*) იხ. პოტტო. ტ. IV, წ. II, გვ. 436. - 437.

კავკასიის მთავარ-მართებელი დაეინებით მოითხოვს პირველ მინისტრისგან, მისი პროექტის განხორციელებას. აქ მყოფმა პირმა უკეთ იცოდა კავკასიის მდგომარეობა და მისი პროექტი მართლა უფრო ხელსაყრელი იყო რუსებისათვის, მაგრამ მთავარ-მართებლის სურვილით საქმე ვერ გადაწყდებოდა, რადგან, როგორც ნესელროდე უპასუხებდა, რუსეთის ურთიერთობა ოსმალეთთან შეადგენდა ერთ რგოლს ევროპის პოლიტიკის სისტემაში, ამიტომ ძნელი იყო წინასწარ თქმა, თუ როგორ გადაწყდებოდა მათი საზღვრები ამ ფრონტზედ *)

როდესაც პასკევიჩმა მინისტრისაგან დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო, მაშინ მან მისწერა დუნაის ჯარების მთავარ-სარდალს, ლენ. დიბიჩს, რომელიც იყო ზავის მონაწილე, მაგრამ მის წერილმა ხელშეკრულების დადებას ვერ მოუსწრო; ხოლო დიბიჩი, კავკასიის საზღვრების საკითხს ნაკლები ყურადღებით მოეპყრო და შემდეგ, პასკევიჩისადმი საპასუხო წერილში, მწუხარებას გამოსთქვამდა, რომ დროზედ არ იცოდა პასკევიჩის პროექტი აზიის საზღვრების შესახებ.

კონფერენციაზედ, ახალციხის საკითხმა მაინც გამოიწვია კამათი. საქმეში ჩაერიენ ინგლისელებიც და ისინი ახალციხეს არ უთმობდენ რუსებს, მაგრამ ლენ. დიბიჩი, სტამბოლისაკენ ჯარების დაძვრის მუქარით, ბოლოს მაინც დათანხმებს მათ. ამგვარად, ამ ზავით რუსებმა დაიმკვიდრეს ახალციხე და მისი საფაშო, ზოგიერთი ადგილების გამოკლებით. ტრაქტატის მე-IV მუხლით, რუსეთი დაბუროშილ ადგილებიდან უკან უბრუნებს ოსმალეთს: ყარსს, ახალციხის საფაშოს დიდ ნაწილს და მის იქით მდებარე ყველა ადგილებს; ბათუმიც ცხადია ისევ ოსმალეთის ხელში რჩება.

V I

ჩვენ დავინახეთ, რომ აღნიშნული ომის დროს დაბუროშილი ადგილებიდან, რუსებმა ახალციხის საფაშოც მთლიანად ვერ შეინარჩუნეს. მისი მთლიანი დაბურობა საქართველოს და კავკასიის ბუნებრივ საზღვრებამდე

*) იხ. პოტტო. ტ. IV, წ. II, გვ. 437.

მისვლას უდრიდა, ამიტომ პასკევიჩი სწორედ აფასებდა მას. აქეთგანვე ცხადი იყო, რომ რუსეთის ინტერესი კიდევ არ იყო დაკმაყოფილებული.

ხელშეკრულების მეორე დღესვე, კავკასიის საზღვრების შესახებ, რუსებში უკმაყოფილება სუფევს; ეს ნაწილი ჩაგონებს იმპერატორს, იქნებ ბათუმი და ყარსი მიეღოთ თურქეთისგან იმ თანხის მაგივრ (10 მილ. მან.), რომელიც თურქეთს უნდა გაეღო რუსეთის სასარგებლოდ, მაგრამ თურქები დათმობაზედ არ წავიდენ და ხელშეკრულება დარჩა ძალაში *).

1832 წელს, რუსების მთავრობაში დაისვა საკითხი, ახალციხის ორი სანჯაკის, ფოცხოვისა და ჩილდირის შემოერთების შესახებ. ეს პროვინციები, ადრიანოპოლის ხელშეკრულებით დარჩა ოსმალეთს, და ამიტომ რუსებს მხოლოდ კომბინაციებით შეეძლოთ მიეღოთ ის. რუსებმა თავიანთი წარმომადგენელის საშუალებით, ითხოვეს კოსტანტინეპოლში ეს მხარე.

მთავარსამართებელი როზენი სწერდა პირველ მინისტრს, რომ თუ რეის-ეფენდი და სულთანი ვერ დავიყოლიეთ, მაშინ უნდა დავეთმოთ ნაწილი იმ ფულის, რაც მივიღეთ ოსმალეთისაგან და ეს თემები ამ ფულში შეეისყიდოთ, ხოლო შემდეგ ეს თემები აგვინაზღაურებენ მის ღირებულებასო.

17 იანვარს 1834 წელს, პეტერბურგში თურქების საგანგებო ელჩთან ახმედ-ფაშასთან, რუსებმა შეკრეს კონვენცია, რომელიც შეიცავს ადრიანოპოლის ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლთა განმარტებას.

ამავე კონვენციით მათ დაიბრუნეს: ჩილდირის, ფოცხოვის და ქობლიანის თემები **).

არც აღნიშნული დათმობით კმაყოფილდება რუსეთი და ის კიდევ ელოდა შემთხვევებს, რომ ეს მხარე მთლად ხელში ჩაეგდო.

ყირიმის ომის დროსაც შეეცადა მას: 1853 წ. 6 სექტემბერს, როცა რუსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ ომისთვის ემზადებოდა, იმპერატორი ნიკოლოზ I-ი, სპეციალური ინსტრუქციით, წინადადებას აძლევს მთავარ-

*) იხ. პოტტო. ტ. IV, გვ 443.

**) იხ. აქტები. ტ. VIII, გვ. 885.

მართებელ ვორონცოვს, რათა ამ კამპანიის დროს, მთავარი ძალა ყარსისკენ გადატანოს *).

თურქებმა დაჰკარგეს ყარსი, მაგრამ პარიზის კონგრესმა არც ახლა არგუნა რუსეთს ის. პარიზის ტრაქტატის (30 მარტ. 1856 წ.) მე-III-ე მუხლით, რუსეთი უკან უბრუნებს ყარსს ოსმალეთს **).

მხოლოდ 22 წლის შემდეგ, ბერლინის კონგრესზედ 1878 წელს, მოკავშირეებმა რუსეთს დაუთმეს: არტაანი, ყარსი და ბათუმიც. 13 ივლისს 1878 წ. ბერლინის ტრაქტატის მე-58-ე მუხლით, მან დამტკიცა აღნიშნული ადგილებათგან საზღვრების ის ხაზი, რომელიც უკვე ახალციხის საფაშოს, მთლიანად რუსეთის საზღვრებში სტოვებს, და აღწევს რა კავკასიის ბუნებრივ საზღვრებს, რუსეთის ინტერესიც სავსებით კმაყოფილდება.

აღსრულდა მთავარ-მართებელ პასკევიჩის სწორი წინასწარმეტყველება, რომელიც აღნიშნულ საზღვრებზედ სწერდა რუსეთის პირველ მინისტრს ნესელროდეს: „... თვით ბუნება ვიჩვენებს, თუ სად უნდა შევაჩეროთ ჩვენი დაბყრობანი; ადრე იქნება თუ გვიან, ჩვენ მოგვიხდება საზღვრების წაწევა იმ ადგილებამდე, რაც ჩემს მიერ არის ნაჩვენები“ ***).

---

*) იხ. აქტები. ტ. X, გვ. 761.

**) იხ. C. H. Saver.. Receuil général de traités. Göttingen, t. II, p. 770.

***) იხ. პოტტო. ტ. III, გვ 437.

თავი XII

1832 წლის შეთქმულება

I

ზემოდ დავინახეთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს და იმერეთის აჯანყებანი, რუსებმა სისხლში ჩაახრჩეს.

მაგრამ ამით ბრძოლა არ დამთავრებულა. ის განახლდება ახლო მომავალში, ახალი თაობის ხელმძღვანელობით.

რუსეთში გადასახლებულ ბატონიშვილთა წიაღში კვლავ იფეთქებს აჯანყების იდეა. ამასთან პარალელურად საქართველოში გრძელდება მეტად შემავიწროებელი მდგომარეობა. 1828 - 28 წ.წ. რუსეთ - სპარსეთის და 1828 - 29 წ.წ. რუსეთ - ოსმალეთის ომების დროს, ხალხი წელში გასტეხა რუსის მთავრობამ. ქართველ გლეხ - კაცობას დღე და ღამე მოსვენება არ ჰქონდა; გაყავდათ განუწყვეტლივ ბეგარაზედ ხარითა და ცხენით, რომელთა ნახევარზედ მეტი იქ იხოცებოდა. ართმევდენ ძალით პურსა და სხვა სანოვაგეს, ვისაც არ ჰქონდა. იძულებული იყო შეეძინა, რუსები კი მხოლოდ ერთ მეათედს უხდიდენ. ასეთ პირობებში, გლეხ-კაცობას ისევ ბრძოლა და ვაჟკაცური სიკვდილი ერჩია.

მაშინდელი რუსის მოხელეები და მერე ისტორიკოსები, საქართველოში მომხდარ მღელვარებას, ან თავად - აზნაურობის მკრეხელ ჯგუფს, ან ტახტის მაძიებელ ბატონიშვილებს აბრალებდენ; სინამდვილე კი ის იყო, რომ საქართველოს ყველა აჯანყება, რუსების მიერ განადგურებულ ცხოვრებას უმყარებოდა, და უფრო ხშირად მათივე იწყებოდა. ამას ღალადებენ, იმავე, შინაარქიული რუსეთის დროს გამოქვეყნებული დოკუმენტები. ხოლო თუ ბატონიშვილები და თავად - აზნაურობა მათ ხელმძღვანელობას უწევდა, ეს სრულიად ბუნებრივი

იყო; მაშინ ჩვენი საზოგადოების მოწინავე ძალას თავადაზნაურობა შეადგენდა, ხოლო თავს, სამეფო ოჯახი. და ყოველივე ხდებოდა ისე, როგორც იმდროინდელ საზოგადოებას შეეფერებოდა.

რუსების მრავალი ცდები, მოწინავე წრეების შესყიდვისა, ჩინ - მედლებით დაჯილდოებისა და სხვა უპირატესობის წყალობით, გაცილებით სუსტნი აღმოჩნდენ, იმ ძლიერ პატრიოტულ სულთან, რომელიც მაშინ ყოველ ქართველს ამოძრავებდა და ამოქმედებდა.

1832 წლის აჯანყების ნიადაგიც ჯერ ხალხში მომზადდა. ამ თემის გარშემო ვსტოვებთ იმ საშინელებებზედ საუბარს, რაც რუსის მთავრობამ აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთს დაატეხა. მათ ემატება კიდევ ახალი მოვლენები.

სპარსეთზედ გამარჯვებული რუსეთი თურქმანჩაის ზავის ზეიმში იყო, როდესაც ამბავი მოვიდა, თურქებზედ გამარჯვებისა. 1829 წლის აღრიანოპოლის ზავით, რუსეთმა ახალციხის საფაშო ხელში ჩაიგდო და მერე გაუქმა გურიის სამთავროც.

ამგვარად, გარდა რამდენიმე სამთავროსი, რომელთა ხვედრიც ცოტა გვიან ასევე გადაწყდება, თითქმის მთელი საქართველო დაიბურო რუსეთმა და ყველგან მათრახი და სახრჩობელა გაუჭატონა.

ამიერითგან მთელი საქართველო მზადდება ბრძოლაში ჩასაბმელად.

II

საქართველოში რომ ასეთი მდგომარეობა იყო შექმნილი, მის ცნობას მოკლებულნი არ იყვენ რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილები და სასწავლებლად წასული ახალგაზრდობა. 1832 წლის შეთქმულების იდეური ორგანიზაციაც სწორედ აქედან დაიწყება.

წარსული ბრძოლებიდან ვიცით, თუ გადასახლებულთა პირველმა თაობამ, როგორ გმირულად შეასრულა სამშობლოსადმი თავისი მოვალეობა. გავიდა დრო, წამოიზარდა ბატონიშვილთა მეორე თაობა და მამების ბრძოლა შვილებმა განაგრძეს. ბატონიშვილთა წრეში ტრიალებდენ მაღალი სულისა და გრძნობის ქართველები. დიდი მოღვაწენი და პატრიოტები, ისინი ბატონი-

შვილებს ბაკმორიდგანვე უნერგავდენ მამულის სიყვარულს; ერთ ასეთ პირადენებად უნდა ჩაითვალოს ცნობილი მწერალი, ბერი იოანე ხელაშვილი, რომელიც შეიქმნა ბატონიშვილებისადმი შეთქმულების იდეური სულის ჩამდგმელად.

შეთქმულების შემზადება შეიძლება გავყოთ სამ პერიოდად. 1) 1820 - 26 წ.წ. ხდება თვით ბატონიშვილთა შემზადება და გადაწყვეტილების მიღება; 2) 1829 წლამდე ამზადებენ ნიადაგს მოძრაობის შექმნისა; შეიქმნება ხელმძღვანელი დასი და 3) 1829 - 30 წ.წ. კი თვით საქართველოში არსდება საიდუმლო საზოგადოება.

მოძრაობის იდეური ხელმძღვანელები იყვენ რუსეთიდან ორი ბატონიშვილი: დიმიტრი იულონის ძე და ოქროპირ გიორგის ძე. მთელი ეს მოძრაობა, შვილია ახალგაზრდობის; ამიტომ იყო რომ მოძრაობა იქმნებოდა დიდის ენტუზიაზმით და იზრდებოდა ელვის სისწრაფით. ხოლო ხანგადასული თაობა, საქართველოში თუკლა ბატონიშვილისა და სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით ზურგს უმაგრებდენ.

დიმიტრი ბატონიშვილი როგორც იდეოლოგი, იქცევს დიდ ყურადღებას. საბუთებიდან ირკვევა, რომ ის ფრიად განათლებული და იმდროინდელი ევროპის კულტურულ და პოლიტიკურ მდგომარეობაში, კარგად გათვითცნობიერებული ყოფილა, და მის მიერ გაწვრთნილი, აჯანყების მეთაურებიც გაამართლებდენ იმედებს, რომ ეზაში ბედს მათთვის ხიდი ავ ჩაეტეხა.

ოქროპირ ბატონიშვილი უფრო ორგანიზატორია; პირველი მოქმედობს პეტერბურგში და მეორე. მოსკოვში.

ამ ორ ცენტრში თავმოყრილი იყო მრავალი ქართველი ახალგაზრდობა და ბატონიშვილთა მთავარი მოქმედებაც აქ იწყება. 1826 - 27 წ. ბერი ფილადელფოს კიკნაძე, აღჭურვილი იქ შემზადებული იდეებით ბრუნდება საქართველოში; მიდის შუა მთის მონასტერში და იქიდან მოქმედობს.

ამავე წლებში პეტერბურგსა და მოსკოვში შეამზადებენ: სოლომონ დოდაშვილს, ალ. ორბელიანს, ელიზბარ ერისთავს და ისტუმრებენ საქართველოში.

ისინი იქ სულ მალე თავს მოუყრიან ახალგაზრდათა ერთ ჯგუფს. 1829 წ. ოქროპირ ბატონიშვილი დიდის წვალებით, მიიღებს ნებართვას, კავკასიის წყლებზედ

სამკერნალოდ გამომგზავრებისა, იქითგან კი შემოდის საქართველოში და აარსებს ფაქტიურად ორგანიზაციას. შესდგება მთავარი კომიტეტი სამი კაცის მეთაურობით: ალ. ორბელიანი, სოლ. დოდაშვილი და ელიზბარ ერისთავი; უკანასკნელს ირჩევენ კომიტეტის თავმჯდომარედ და მოძრაობის მეთაურად. სოლ. დოდაშვილი კისრულობს კულტურულ პროპაგანდას (ამას ემსახურება მისი გაზეთი „საქართველოს უწყებანი"), ხოლო ალ. ორბელიანი ასრულებს კავშირისა და მთავარი ინსტრუქტორის მოვალეობას. მასალებიდან ისეც ირკვევა, რომ თუმცა ხელმძღვანელად ელ. ერისთავი იყო არჩეული, მაგრამ ყველაზედ აქტიური და საქმის ნამდვილი ხელმძღვანელი ალ. ორბელიანი ყოფილა.

ოქრომპარის რეფერენდუმში დაბრუნების შემდეგ, კავშირი სწარმოებს მიწერ-მოწერით, საიდუმლო ანბანით.

ტფილისში თეკლა ბატონიშვილის გარდა, ამავე ჯგუფს შეუერთდა თამარ ბატონიშვილი, იულონის ასული, რომელიც აგრედვე მოძრაობის დიდ ფიგურად უნდა ჩაითვალოს.

თუმცა შეთქმულთა ორგანიზაციის აქტიური ძალა იყო ახალგაზრდობა, მაინც ხელ-ხელა დიდის სიფრთხილით ითრევდენ უფროსებსაც. თეკლას შემდეგ მიმართეს და ჩაითრიეს ღენ. ალ. ჭავჭავაძე, ცნობილი პოეტი და ერთი უდიდესი ავტორიტეტის მქონე მაშინდელ საქართველოში. მისივე რჩევით გააბეს კავშირი სპარსეთში მყოფ უკვე ხანში შესულ ალექსანდრე ბატონიშვილთან; ბატონიშვილი პირველად ცივად შეხვდა და რა ნახა საქმე სერიოზულ ხასიათს იღებდა, მთელის არსებით საქმეს გადაეცა. ამგვარად შეიქმნა ორგანიზაცია, დამყარდა მთავარ ძალებთან კავშირი და დაიწყო მოქმედება.

III

სანამ შეთქმულთა ორგანიზაციის ფორმასა და მათ საქმიანობას შევეხებოდეთ, მოკლედ თვალი გადავავლოთ ისტორიულ საერთაშორისო მდგომარეობას, რითაც გაგვიადვილდება აჯანყების დროის შერჩევის დადგენება.

ამ ეპოქაში ევროპა შეეხოდა ახალი გარდაქმნის ხანაში. საფრანგეთის 1830 წლის რევოლიუცია, იყო ნიშანი ლიბერალური აზროვნების გამარჯვებისა. შიგნით

და გარედ, ეროვნულ - განმანთავისუფლებელი მოძრაობა მწიფდება ყველგან. იტალიაში, ბალკანეთზედ, პოლონეთში, თვით რუსეთში შექმნილ დეკაბრისტების მოძრაობასაც ჰქონდა ერთგვარი მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი ატარებდენ თანაგრძნობას დაბყრობილი ერებისადმი. შემდეგ ეგვიპტის ფაშის ბრძოლა სულთანის წინააღმდეგ; ხოლო განსაკუთრებული გაკვლენა იქონია პოლონეთის აჯანყებამ და დალესტნის ბრძოლამ რუსეთის წინააღმდეგ.

მაგრამ პოლონეთის 1831 წ. აჯანყება, რუსებმა სისხლში ჩაახრჩეს, წაშალეს ყოველივე კვალი ავტონომიის და ის რუსეთის განუყოფელ ნაწილად გამოაცხადეს. გადაასახლეს მრავალი აჯანყებულები, ჩამოართვეს მამულები და ერში საშინელი ტერორი და წამება გამეფეს. პოლონეთის ამ საშინელ დამარცხებას, დიდის მგლოვიარობით შეხვდა ქართველი ერი; და თუ მან ქართველებს იმედი ეცა ჩაუქროთ, მათზედ მაინც იმოქმედა და აჯანყების საქმესაც თავისი ადგილი დასვა, რათგან პოლონეთზედ გაფრთრებული რუსის მთავრობა, საქართველოშიც რეაქციას გამეფებს. ასეთ პირობებში კი ქართველ შეთქმულებს მუშაობა უძნელდებათ; საჭირო იყო აჯანყება გადაედოთ და უკეთ შემზადებულიყვენ. ასეც მოხდა.

ამავე დროს ეგვიპტის ფაშას, მაჰმად - ალის გახურებული ბრძოლა ჰქონდა სულთანთან; მისი შვილი იბრაიმი მალე შეიჭრა შუა - მცირე აზიაში, დაიბყრო ქ. კონია და დაემუქრა კონსტანტინეპოლს, და ამას შეაკრთობდა კიდეც, რომ უცხოეთის დიპლომატია არ ჩარეულიყო და ეგვიპტის ფაშას შვილი უკან არ გაეწვიათ.

ამ ამბებს დიდის ყურადღებით ადევნებდენ თვალს ქართველები. შეთქმულთა გამოძიების მასალებიდან ირკვევა, რომ ამ დროს საქართველოში დიდი მითქმა - მოთქმა ყოფილა; იყო ხმები, რომ იბრაიმი აზრუმში შესულა და მალე ახალციხესაც დაიჭერსო.

ეგვიპტის ფაშისა და ქართველ შეთქმულთა შორის მყარდება კავშირი; საქართველოს ურთიერთობას ეგვიპტესთან ისტორიული ტრადიციაც ჰქონდა და ასეთმა ინტერესმა ახლაც იჩინა თავი.

როდესაც ოსმალეთს გაუჭირდა, მიმართა გარეშე ძალებს. ინგლისი ზოგიერთი მოსაზრებით (რასაც აქ ვერ

შეეხებით), არ ჩაერევა კონფლიქტში. ფრანგები ეგვიპტეს ექომაგებიან. ამგვარად, ხელსაყრელი პირობებით სარგებლობს რუსეთი და ოსმალეთს დახმარებას შესთავაზებს. ეს ყველაფერი კარგად იცოდა მაჰმედ-ალიმ, ისიც იცოდა, რომ ამ დროს კავკასიის მთებში ჰქუხდა დაღესტნის ბელადი ყაზი-მოლა და ისლამის სახელით ებრძოდა რუს „გიაურებს". მას ქართველების როლიც კარგად ესმოდა, და პირველი მან აახლა კაცები სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილს და სთხოვა ყაზი-მოლასთან დაკავშირება. ყაზი-მოლა ალექსანდრეს იდეიური მეშკვიდრე იყო მთაში, და მის წინადადებას აღტაცებით შეხვდა. ასე მყარდება კავშირი ეგვიპტის ფაშისა ქართველ შეთქმულებთანაც.

მთაში ყაზი-მოლას გარშემო ირაზმება მთელი დაღესტანი და ჩეჩნეთი; ხოლო მათ პარალელურად დასავლეთ კავკასიაში, ჩერქეზეთი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა რუსებთან. ასეთ პირობებში აპირებდენ ქართველები აჯანყებას, და სჩანს, რომ თავიანთ გეგმებს, ისინი უფარდებდენ გარეშე ფაქტორებსაც. ალ. ორბელიანი თავის მემუარებში პირდაპირ დასძენს, რომ ჩვენ აჯანყება გადაგვწყვეტინა ორმა გარემოებამ: პოლონეთისა და ყაზი-მოლლას აჯანყებებმაო *).

IV

შეთქმულთა კომიტეტს შემდეგ უახლოვდებიან ი. ფალავანდიშვილი და ფილ. კიკნაძე. მოძრაობა გადაადგთ დასავლეთ საქართველოში. იმერეთში შეთქმულთ ხელმძღვანელობას თეიმურაზ ლორთქიფანიძე, რომელიც შედის ხელმძღვანელ კომიტეტში.

ორგანიზაციები მალე მოეფინება მთელ საქართველოში; ჩნდებიან ადგილობრივი ხელმძღვანელებიც. აქვე უნდა აღვნიშნოთ ამ ორგანიზაციის ერთი მთავარი ხასიათი. როგორც წესდებიდან და მთელი მათი საქმიანობიდან ირკვევა, ორგანიზაციას არ უნდა ჰქონოდა მასიური ხასიათი. აქ ფიცით შეკრულნი. მხოლოდ წარჩინებულნი უნდა შესულიყვენ; წარჩინებულნი, არა წოდე-

*) იხ. გ. გოზალიშვილი. „1832 წ. შეთქმულება", ტ. I, გვ. 122. ტფილისი. 1935 წ.

ბით, არამედ ლირსებით.. უმთავრესი ყურადღება ექცეოდა ზნეობრივ და გონებრივ მხარეს, მოქმედების უნარს, ე. ი. იქმნებოდა შეთქმულთა მთავარი ხელმძღვანელი წრის საზოგადოება. როგორც ქვევით ვნახავთ, თუმცა თვით ეს ვიწრო წრე იყო საკმარისად მრავალრიცხოვანი, მაგრამ ის მაინც დარჩება მხოლოდ ხელმძღვანელად. აქ თავმოყრილია ყველა ის ელემენტები, რომელთა ერთ დაძახებაზედ, მთელი ერი ფეხზედ უნდა დამდგარიყო.

შეთქმულნი ეკავშირდებიან უფროსი თაობის წარმომადგენლებს. ალ. ჭავჭავაძეს მათ წრეში ჰქონდა უდიდესი მორალური მნიშვნელობა; ეს ჩანს გამოძიების მასალებიდან. მაგალითად, როდესაც შეთქმულნი ამა თუ იმ დიდ პიროვნებას მიმართავდენ, ყველა ალ. ჭავჭავაძის მონაწილეობას კითხულობდა, ხოლო შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილის მონაწილეობისა, საქართველოში გარდა სულ უმნიშვნელო ნაწილის, რომელიც რუსის საამსახურში იყო და ეშინოდა, ყველა ამა თუ იმ გზით, შეთქმულთა საქმეში იყო ჩაბმული. აქ იყვენ ჩაბმულნი რუსის ჯარში მყოფი ქართველი ოფიცრები. მაგალითად, ტფილისის სამოსწავლო ბატალიონის მთელი ოფიცრობა შეეფიცა შეთქმულთ. აჯანყების დროს, მათ ჯერ იარაღი უნდა გამოეზიდათ, რუსის ჯარის კაცებად გადაცმულ აჯანყებულებისათვის და მერე ბატალიონიც აჯანყების მხარეს გადაეყვანათ.

შეთქმულებმა ჩაითრიეს ორავალი ეუცხოელები, მათში კი ერიენ ფრიად დიდი თანამდებობის ოფიციალური პირებიც. ასეთები იყვენ: ლეტელიე, ფრანგების საკონსულოს მდივანი, ერთი აქტიური მონაწილე შეთქმულების. ის მიდის პეტერბურგს, ნახულობს თეიმურაზ და ფარნაოზ ბატონიშვილებს და იქიდან კავშირშია ალ. ჭავჭავაძესთან; კავშირს ამყარებს პოლონელებთან და აჯანყების დროს, ჰპირდება საფრანგეთის მთავრობის დახმარებას.

შეთქმულებას თანაუგრძნობდა და პარიზში მყოფ ქართველ ბატონიშვილებს საფრანგეთის მთავრობასთან დახმარებას უწევდა, ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი მარი ბროსე, აღმოჩენილია რუსეთის მინისტრის საიდუმლო ბრძანება, რომლის მიხედვით მას საქართველოში შესვლა ეკრძალებოდა.

შეთქმულებას შეუერთდება საიდუმლოდ, ტფილისის

სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეიკი (პოლონელი), ის ურჩევს ქართველებს, აჯანყების დაწყებას პოლონელებთან ერთად. მას მიწერ-მოწერა ჰქონდა ოქროპირ ბატონიშვილთან ერთად, საფრანგეთსა და ინგლისში. შეთქმულთა წევრი იყო დუშეთის მაზრის მმართველი პაუშენკო (უკრაინელი); შეთქმულთა რიცხვში იყვნენ აგრეთვე ტფილისში გადმოსახლებული თვით რუსეთის ზოგიერთი დეკაბრისტები. მაგრამ უცხოელთაგან, ყველაზედ დიდ ძალას წარმოადგენდა გადმოსახლებული პოლონელები. აჯანყების დროს, უნდა გამოსულიყო 3 - 6 ათასამდე პოლონელი.

აქეთგან ირკვევა,თუ რა ფართო ხასიათი ჰქონდა აჯანყების სამზადისს.

V

ახლა საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორი ბუნებისა იყო ეს საზოგადოება და რანაირი მეთოდებით მოქმედებდა. ის იყო აგებული მასონების ლოჟების პრინციპზედ (ისე, როგორც იტალიაში კარბონარების, რუსეთში დეკაბრისტების და პოლონეთის შეთქმულთა ორგანიზაციები). მათ ჰქონდათ წესდებაც, „აქტი გონიერი", რომელიც შეადგინა ბერმა ფილადელფოს კიკნაძემ.

წესდება შედგენილია მეტად მოფიქრებით, ის ითვალისწინებს ყველა იმ ზომებს, რითაც დაცულ უნდა იქმნას შეთქმულთა შორის უმაღლესი საიდუმლოება. ამ აქტს მოსდევს ფიცი, რომელზედაც შეთქმულს ხელი უნდა მოეწერა.

წესდებით, შეთქმულთა საზოგადოებაში შეიძლება მხოლოდ სულით და ზნეობით რჩეულნი შევიდენ. წევრთა შორის უნდა დაცული იყოს ძმობა და მეგობრობა, ურთი-ერთ მორალური და ნივთიერი დახმარება.

ყველა წევრი იცნობს მას, ვისი წყალობითაც ის გახდა წევრი და მას, ვისაც ის გახდის წევრად.

„მტკიცედ უნდა იცოდეს ყოველმა წევრმა დაცვად საიდუმლოებისა, რათა ძმავის განუცხადოს სხვასა, გარდა მისსა, რომელსაც მიიყვანს წევრად" (მუხ. 8).

„ჯერ არს რათა ფიცი, და ხელმოწერილი აქტის საჯულები პოვნილისა წევრისა აქვნდეს მპოვნელსა, და არა აქვნდეს მპოვნელისა პოვნილსა" (მუხ. 10).

„ნიშანი არს (მუხ. 11), რომლითაც ანიშნებს წეკრი წეკრსა მარჯვენის ხელის ნეკით მოიფხანს შუბლსა, უკეთუ შემხედველი წეკრი არის, მივალს და ამბორს უყოფს ვითარცა ძმასა და წეკრსა“ *).

ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ინდივიდუალურ გაცემას არ შეუძლია ორგანიზაცია საფრთხეში ჩააგდოს. ასეთი სისტემის დროს გაცემა, მხოლოდ მთავარ ხელმძღვანელთა წრითგან იქნება საშიში, და როგორც შემდეგ ვნახავთ, ამ შეთქმულებასაც, ასეთი ბედი ეწევა.

ორგანიზაციის ასეთი სკოლის აღზრდამ, თავისი ნაყოფიც გამოიღო და როდესაც შემდეგში შეთქმულთ დაიჭერენ, გამოძიების დროს შეთქმულნი ახერხებენ შეთქმულთა მაქსიმალური რიცხვის დამალვას.

VI

უფრო საინტერესოა შეთქმულთა კავშირები. როგორც აღვნიშნეთ, შიგნით, უფროსებთან კავშირისათვის მათ დაბრკოლებები არ ხვდებათ. ყველაზედ დიდი ავტორიტეტი ღენ. ალ. ჭავჭავაძე არა მარტო დაიყოლიეს, უკანასკნელი რუსის სამსახურსაც თავს ანებებს. დეკემბერში რომ აჯანყება იყო განზრახული, ის ნოემბერში ჩამოდის ტფილისში და შეთქმულების მეთაურთან, ელ. ერისთავთან აქტიურად ემზადება... იმუშავებს აჯანყების გეგმას **).

მეორე ბურჯი, როგორც ვსთქვით, იყო თეკლა ბატონიშვილი, რომელსაც კავშირი აქვს ქართველ მანდილოსნებთან და რუსეთში მყოფ ბატონიშვილებთან. თეიმურაზ ლორთქიფანიძის საშუალებით, კავშირს აბყარებს იმერეთის მოწინავე წრეებთან და ოფიცერ შერვაშიძის საშუალებით, აფხაზეთთან. გურია და სამცხე-საათაბაგოც კონსპირაციაში უნდა ვიგულისხმოთ. ალ. ორბელიანს კავშირი აქვს ბორჩალოს თათრებთან, რომელთაც ძზაგ ჰყავთ რამდენიმე ასეული ცხენოსანი. ცხოველი კავშირი ჰქონდა თამარ ბატონიშვილ ალექსანდრესთან სპარსეთში, და ხვეებთან პეტერბურგში. ერთ-

*) იხ. ბ. გოზალაშვილის შიერ გამოქვეყნებული მასალები —1832 წ. შეთქმულება“. ტ. I, გვ. 114. ტფილისი. 1935 წ.

**) იხ. აქტები. ტ. VIII. გვ.

ხელ მან კიდეც გადასწყვიტა, მლოცველის სახელით იერუსალიმში გამგზავრება, რათა ალექსანდრე ბატონიშვილს შეხვედროდა და პირის-პირ მოლაპარაკებოდა.

ეს ინიციატივა მოდიოდა ალ. ჭავჭავაძისაგან, თუმცა უკანასკნელს მთელ საქართველოში დიდი სახელი ჰქონდა, მაგრამ ის ფიქრობდა, რომ მეთაურობისათვის საჭირო იყო ალ. ბატონიშვილის ავტორიტეტი. ამიტომ ურჩევდა მას, აჯანყების დროს მაშინადვე კახეთში შემოსულიყო; მასთან კავშირს აწარმოებს ბორჩალოელი თათრის მოლა ზამანას საშუალებით. რუსებმაც კარგად იცოდნენ ალ. ბატონიშვილის ფასი. როზენი სწერდა სამხედრო მინისტრს ჩერნიშევს: „... საერთოდ მას, ბატონიშვილს სთვლიან ისეთ პირად, რომელსაც შეუძლია ყველაზედ მეტად გამოიწვიოს მოლოდინი და განაგოს საქართველო“ *). როდესაც 1831 წ. ვარშავა დაეცა, ალ. ბატონიშვილი სწერდა სპარსეთიდან შეთქმულებს, რომ რატომ არ მოქმედობდენ; პასუხი კი იყო, რომ ჯერ ხნობით სდუმდენ.

შეთქმულები უშუალოდ კავშირში შედიან დაღესტნის ბელად ყაზი-მულასთან.

კარგად ჰქონდათ მოწყობილი კავშირი გარედ

რუსეთიდან ბატონიშვილები მიწერ-მოწერას აწარმოებენ ევროპის ქვეყნებთან. პარიზში მოქმედებენ იმერეთის ბატონიშვილები თეიმურაზი და ვახტანგი; მათ კავშირი აქვთ რუსეთში მყოფ ბატონიშვილებთან, ფრანგი მეცნიერის მარი ბროსეს საშუალებით. ფრანგებთან და პოლონელებთან კავშირს ხელმძღვანელობს ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორი ზაგილეისკი; სპარსელებთან ახლო კავშირში არიან შეთქმულები ალექსანდრე ბატონიშვილის საშუალებით. ისინი კავშირში უნდა ყოფილიყვენ ოსმალებთანაც, თუმცა ეს არ სჩანს. ალბად იმიტომ, რომ ოსმალეთი ამჟამად შეევიწროებული იყო ეგვიპტის ფაშის მიერ. განსაკუთრებულ როლს თამაშობდა შეთქმულების ერთი პირველხარისხოვანი წევრი სოლომონ რაზმაძე (1898 - 1862), მწერალი და დიპლომატი; ის იყო აღზრდილი პეტერბურგში, ბატონიშვილი თეიმურაზის (გორგის ძე) მიერ. ამ ხანებში რუსეთის ელ-

*) იხ. გ. გოზალიშვილი. „1832 წ. შეთქმულება“, ტ. I, გვ. 57.

ჩად სპარსეთში იყო სიმონიჩი, უკანასკნელს ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი, და თეიმურაზ ბატონიშვილის ცოლისა. ამ ნათესაობის ნიადაგზედ შესაძლებელი გახდა, სოლომონ რაზმაძის დანიშვნა რუსეთის, სპარსეთის მისიაში, სადაც ის საპასუხისმგებლო როლს ასრულებდა. სიმონიჩის ცოლის საშუალებით, რაზმაძე დაუახლოვდა ევროპელთა წარმომადგენლებს, განსაკუთრებით კი კავშირში შევიდა ინგლისელებთან; ის ალექსანდრე ბატონიშვილთან აბამს კავშირს, მღვდელ თალიაშვილის საშუალებით. ალექსანდრე იმყოფება კავშირში ეგვიპტის ფაშასთან. ამგვარად, მთელი ალმოსავლეთის ქვეყნების კავშირები იკრობება ალექსანდრე ბატონიშვილთან, დასავლეთის დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილებთან პეტერბურგსა და მოსკოვში. ხოლო მთავარი ცენტრია ტფილისი, სადაც ამ ვრცელ სისტემას ხელმძღვანელობს ნიჭიერი ორგანიზატორი ალ. ორბელიანი. ასეთი დიდი კავშირებით შეთქმულნი, მოელოდენ ერთგვარ დახმარებასაც, თუმცა ისინი უმთავრესად, საკუთარ ძალას ეშყარებოდენ.

VII

შეთქმულთა მზადება მარტო ორგანიზაციულ მუშაობაში არ გამოიხატებოდა. ისინი დიდ ყურადღებას აქცევდენ პროპაგანდას, სიტყვით და პრესით. ნიკოლოზ I-ის რეჟიმი მეტად მძიმე იყო; განსაკუთრებით სასტიკი იყო მაშინ ცენზურა. ამიტომ ახალილად რამის თქმა ძნელი იყო. შეთქმულნი მიმართავდენ ათასგვარ ხერხებს, ხან ეკადაკვრებით, ხან ალეგორიებით და ხან კიდევ პირდაპირ, ზრუნავდენ ეროვნული გრძნობის გაღვიძებისა და ხალხის გათვითცნობიერებისათვის.

ამგვარი მუშაობა მათ თავითვანვე ჰქონდათ მოფიქრებული; ჯერ კიდევ 1827 წ. ბერის ი. ხელაშვილის თანხით, ს. დადაშვილი ხსნის სტამბას და მერე აარსებს ქართულ გაზეთს. ამ დროს რუსეთში, გადასახლებულთა წრეში დიდი კულტურული ოუშაობა სწარმოებდა; თითქმის ყველა მათგანი მეცნიერებასა და ლიტერატურას დაეწაფა. მათგან ჩვენამდე ბ. ეკვრმა ლირს-მნიშნელოვან ნაწარმოებმაც მოაღწია. დოდაშვილის მიზანიც პირველად, სწორედ ამ ნაწარმოებათა გამოცემა

იყო. მაგრამ ეს გეგმა მან ვერ შეასრულა. სამაგიეროდ 1828 წელს, მან გამოსცა გაზეთი „ტფილისის უწყებანი", და დაიწყო მოფიქრებული ცრუენული პროპაგანდა. მის ირგვლივ იკრიბება ნიჭიერი ახალგაზრდობა, მწერლები და ყველა მოწინავე პირები, ანდილად თუ ფარულად მას ეხმარებოდენ. აქ იწერება ისტორიული გმირების ცხოვრებანი, პატრიოტული ლექსები, მოთხრობები და სხ. და ბოლოს ის გადაიქცევა შეთქმულობის ორგანოდ.

შეთქმულთა წრეში, შინაური საკითხებში სრული თანხმობა სუფევდა. ძველი წყობის მომხრე არც ერთი ყოფილა და როგორც მერე ვნახავთ, მათი პროგრამა გულსხმობდა კონსტიტუციონალურ მონარქიას, თუმცა მათ შორის ყოფილან რესპუბლიკანელებიც. ეს იდეა საქართველოში შემოდის მე-18-ე საუკ. მეორე ნახევარში, საფრანგეთის რევოლიუციის გავლენით. ს. რაზმაძე ფრანგულიდან სთარგმნიდა საფრანგეთის რევოლიუციონური მთავრობის (1830 წ.) მოწოდება - დეკრეტებს და ხელნაწერების სახით აცნობდა შეთქმულებს. მასვე ეკუთვნის თარგმანი, ცნობილი პოლონელი მწერალის მიცკევიჩის ლექსისა „ფარის"-ის; და ბოლოს მან დასწერა იგავი „დათვი და ცხვარი", სადაც წარმოდგენილია ალეგორიული დახასიათება რუსეთ - საქართველოს ურთიერთობისა. ფილადელფოს კიკნაძე სწერს: — ორგანიზაციის წესდებას და „იერემიას გოდება ივერიის აწინდელი მდგომარეობის შესახებ". სოლომონ დოდაშვილი თავის გაზეთში ბეჭდავს მეფე ირაკლი II-ის ბრძოლების ისტორიას, სადაც ახდენს ამ დიდი მხედრის ომების იდეალიზაციას და მკითხველს მამა - პატრიოტი შეუდრეკლობისაკენ მოუწოდებს. იწერება ბევრი რამ, რაც ჯერ იბეჭდება, ის ვრცელდება საზოგადოებაში ხელნაწერების საშუალებით. მაგალითად, ს. დოდაშვილის ქალალდებში, რუსის მთავრობამ აღმოაჩინა „თხზულებანი ალმაშეოთებელნი". დიმიტრი ერისთავი კომენტარიებს უკეთებს 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტს და ამტკიცებს რუსთა უსამართლო მოქმედებას. ტარასი მონაზონის („შეთქმულთა წევრია) ქალალდებში ნახეს ილიუსტრაცია რაზმაძის „დათვი და ცხვრისა" *). იწერება მრავალი ლექსე-

*) იხ. „საქართველოს ძველი", № 2, გვ. 110.

ბიც, მაგრამ, რომ მთავრობამ არ შენიშნოს, ხშირად სთარგმნიან უცხო ენებიდან შერჩეულ ნაწერებს და თავიანებურად აქართულებენ. მაგალითად, გრ. ორბელიანმა გადააკეთა დეკაბრისტის რილეევის „ნალივაიკოს აღსარება" (ამაზედ გამოძიება დიდხანს აჩერებს თავის ყურადღებას). მას სათაურად დაწერა: „აღსარება გოვი ამილახვრისა, როდესაც მეფე იყო გარდავარდნილი და საქართველო იმყოფებოდა თათრთა მონობაში". ამ შესანიშნავ ლექსში შემდეგ სტრიქონებს ვკითხულობთ:

„ჯოჯოხეთი მტანჯს, მაშინ მე, ვხედავ ტყვედ
ქმნილსა მამულსა!
რის ენახო თავისუფლება, ვხედავ მაშინ
სასუფეველსა!
მე თავისუფლებისთვის სული მარადის მიკვნესის;
და ეს ოცნება დღე და ღამ, ვითა აჩრდილი თან
ძდევნია;
მოსვენებასა არ მაძლევს ნათესავს შორის გინა
ვაჟდე,
გინა საყდარსა შესული გულმხურვალებით
ვილოცდე!
ხმა საიდუმლო მარად ჟამს მეჩურჩულების მე
ყურსა,
ჟამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილსა
ლესულსა".

ასეთივე გრძნობით არის გაჟღენთილი გრ. ორბელიანის ლექსი „იარალი" და ვრცელი პოემა „სადღეგრძელო". უკანასკნელში მოცემულია წარსული დიდების იდეალიზაცია და წარმოადგენს მომავლის მოწოდებას. მაგრამ რუსების თვალების ასახვევად ჩართული აქვს ნიკოლოზ I-ის სადღეგრძელო და ასე აჩვენებს, თითქოს ის დაწერილია რუსების მიერ ერეკლის აღების გამო. ახლად აღმოჩენილ ერთ 1832 წ. დაწერილ ლექსში გრ. ორბელიანი ამბობს:

„შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის
ცხოვრებას,
მოყვარულად გვმტრობს, გვტაცებს ყოველს,
გვითქმს ალერსობას,

ეს ნაყოფი აქვს მარადის ცოდვა მონებას!
ბედო! ნუ გაძინავს, გაბილვიძე, ისმენდ ვაღბას!".

დასასრულ: შეთქმულთა გავლენითვე დაუწერია ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816 - 1845) თეკისი პოემა „ოცნებიელნი" (დაკარგულია).

როგორც ვხედავთ, იდეურ ფრონტზედაც შეთქმულთა ორგანიზაცია, უდიდეს შუშაობას ეწეოდა და ფიზიკურ დარაზმულობასთან ერთად, სულიერადაც აშზადებდა ერს, რომ შეუდრეკელის ძალებით ჩაება ის შომავალ საბედისწერო ბრძოლაში.

VIII

ირა ძალებს ემყარებოდა ფაქტიურად შეთქმულთა ორგანიზაცია; ზემოდ გათვალისწინებული მასალებიდან ირკვევა, რომ აჯანყებისათვის მზადება ხდებოდა მთელი კავკასიის მაშტაბით. ჩვენ ვიცით, რომ აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად, მისი შეზობელი თათარია და სომეხთა სახანოებიც რუსთა ჩაგვრას განიცდიდენ. ის გრძნობა, რომელმაც ბაქოს კარებთან ციციანოვს გული განუგზირა, ჯერ კიდევ სცოცხლობდა მათში. მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დავიწყებული ის მწარე დღეები, რომელნიც ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად, ბრძოლებში გადიტანეს, და ახლაც, როცა აჯანყების მზადება დაიწყო, ამ ხალხის საუკეთესო ნაწილი მასში იყო ჩაბმული; დასავლეთ - საქართველოც იმ დროს აღმოსავლეთთან იყო, დაღესტანი და ჩეჩნეთი უკვე სისხლსა ღვრიდა და დასავლეთ კავკასიაში ჩერქეზთა გმირული ბრძოლა რუსებთან, დღითი - დღე მატულობდა, ასე რომ ფაქტიურად მთელი კავკასია ბრძოლაში იყო და ცხადია შეთქმულნი სათანადოდ გამოიყენებდენ შექმნილ მდგომარეობას.

შეთქმულთა ორგანიზაციის მეთაურები, ერთოვნული ტრადიციების მაგალითებზედ იყვენ აღზრდილნი, ამიტომ მათ კარგად იცოდენ საქართველოს დაცვის სტრატეგიული პრინციპები.

შეთქმულების მთავარი ორგანიზატორი ალ. ორბელიანი შემდეგს გადმოგვცემს თავის მემუარებში (გარდაიცვალა 1860 წელს).

„ეს შეთქმა ისე უნდა მოშლილიყო, რომ მთელი კავკაზია, შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი, უნდა გავერთებულიყავით და ერთიანი აღრეულობა შოგვეხდინა, რომელიც ამ შეთქმაში გარეული იყო, ზევით რომ ვთქვი, ლენერალი ალ. ჰავპავაძე, არა მარტო ეს გენერალი, არამედ სრულიად საქართველოს დიდი კაცნი და მცირენი, და ბევრი სასულიერო წოდებანი, რომელთაც ხნიანი დედაკაცნი და ყმაწვილ ქალთა ერთი აზრი ჰქონდათ, ყველას ჩვენთან: ან უნდა გავწყვეტილიყავით სულ ერთიან ან არა და მამული გამოგვეხსნა, საშინელის ჩვენის მტრის რუსეთისაგან. ბევრმა პატიოსანმა გვარმა, დედაკაცებმა დაიფიცეს: კაცურად ჩავიცვამთ და ჩვენს ოკანასკნელს სისხლს დაეღვრით მამულის გამოსახსნელადო. ზოგიერთმა ყმაწვილმა დედაკაცებმა, ბაირაღების ყერვაც დაუწყეს და აღრეულების ნიშნად მოამზადეს“.

აქეთგან ირკვევა, თუ შეთქმულთ რა ძალა უნდა ჰქონოდათ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვით შეთქმულთა ორგანიზაცია წარმოადგნდა ხელმძღვანელ შტაბს, რომელიც უნდა გასძღოლოდა აჯანყებას. აჯანყების ყოველმა მთავარმა მონაწილემ დაივალა, მისადმი მიჩენილი რაიონიდან განსაზღვრული რიცხვის ჯარი გამოეყვანა. ყველა ერთი - მეორის დამოუკიდებლად ამზადებდა თავის ძალებს. თითქოთა პროვინციებში, მომზადებული ჰყავდათ რამდენიმე ცხენოსანი ასეული და სოფლის მამასახლისებიც გაფრთხილებულნი იყვენ, რომ პირველ დაძახებაზედ, მთელი მოსახლეობა ფეხზედ დამდგარიყო. მარტო ტფილისის ოუბერნიის მარშალს, ორბელიანს, ქ. ტფილისიდან გამოჰყავს 2.000 კაცი; 2.000 კაცს ჰპირდება ოფიცერი შერვაშიძე. პირველი ლამის განსაგულებიდან ირკვევა, რომ ტფილისში აჯანყებისათვის მზად იყო 3.000 პოლონელი. ეს ოფიციალური ცნობაა *) (სხვა ცნობით იყო 6.000).

ცხადია, ეს ის რიცხვია, რომელიც შეთქმულებმა წარადგინეს გამძიეტის დროს, და ოფიციალურ დოკუმენტებშიც ის დარჩა. სინამდვილეში, ის გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო. შემდეგი დოკუმენტიდან ირკვევა, თუ რა განწყობილებაზედ იყო მაშინ გლეხ - კაცობა

*) იხ. აქტები. ტ. VIII, გვ. 409.

(ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენებიდან). ალ. ორბელიანი უბნება ზაქარიას: „თქვენ ჯერ კიდევ არ იცნობთ აქაურ ხალხს, იმათი შიშით თავადებს ველარ გაგვიგია, სულ იმას ფიქრობენ. რომ ჩვენ ისინი რუსებს გადავეცით; მზოლოდ ერთ რამეს გაიგონებთ, ნეტავი გამოჩნდებოდეს ვინმე, რომ ისინი რუსების ხელიდან დაიხსნას...“ (იხ. გოზალიშვილი. გვ. 147).

შეთქმულებს მიზნად ჰქონდათ აგრეთვე, რუსის ჯარის ზოგიერთი ნაწილები მოეყიდათ, ქართველი ოფიცრების საშუალებით, რომელნიც უხვად იყვენ ამ დროს რუსის ჯარში. აჯანყებამდე მათ შესძლეს ტფილისის სამოსწავლო ბატალიონის ოფიცრობა ჩაეთრიათ. შეთქმულები წინასწარ ამზადებდენ ზარბაზნების მსროლელებს, რათგან იმედი ჰქონდათ, მალე ხელში ჩაიგდებდენ რუსის ზარბაზნებს. აჯანყებულები ამზადებდენ ორდენებს დავით აღმაშენებელისა და წმ ნინოს სახელზედ; ამზადებენ დროშებს. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საერთო გეგმის მიხედვით, მთელს კავკასიაში, განსაზღვრული ნიშნის მიცემის დროს, ერთ და იმავე დროს უნდა ტფილისში აჯანყებას და ყველგან უნდა სცემოდენ რუსებს და ამოეჟლიტათ. აჯანყების პირველი დროშა უნდა ამართულიყო თათრის მოედანზედ.

IX

ასეთი იყო აჯანყების საერთო სამზადისი; როგორი იყო მოქმედების გეგმა. აჯანყება უნდა დაწყებულიყო 20 ნოემბერს, ეს სეზონი შერჩეული იყო განსაკუთრებული მოსაზრებით. ეს იდეა და მისი დასაბუთება ეკუთვნის თამარ ბატონიშვილს; ზამთრის პერიოდში რუსებს გაუძნელდებოდათ ჯარის მოშველება. უნდა შეეკრათ ქართული სამხედრო დზა; პირველი ფზა,საიდანაც რუსის დამხმარე ჯარს შეეძლო შემოსვლა. მეორე პუნქტია, კასპის ზღვა. აქ თამარის აზრით, ამ დროს, რუსებს მზოლოდ წვრილი ხომალდები ეყოლებათ და ამ ფრონტზედ დაყენებული შეთქმულთა ჯარი, მათ ადვილად გაუმასპინძლდება. აგრეთვე, შავი ზღვის მზარესაც უნდა გამაგრებულ იქმნეს სათანადო ადგილები და შიგნით მომწყვდეული რუსების დამარცხება, შეთქმულებს ძნელ საქმედ არ მიაჩნდათ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ,

რომ რუსის კორპუსი, მთავარმართებელ როზენის მეთაურობით ამ დროს დაღესტანზედ იყო გალაშქრებული. აჯანყების დღე შეთანხმებული იყო იმ დროსთან, როცა ტფილისში მოწვეული იქნებოდა თავად-აზნაურობის კრებულობა, რათა მთავრობას ბოლომდე ეარაფერი გაეგო; მაგრამ, ამ კრებულობის გადადების გამო,, აჯანყებაც 20 დეკემბრამდე გადადიდო.

აჯანყება უნდა დაწყებულიყო ასე: პირველი ღამის გასკარგულება: აჯანყების წინა ღამეს, თავად-აზნაურობის სახელით, უნდა გაემართათ დიდი ბალი, იქ იქნებოდა მიწვეული რუსის ყველა წარჩინებული მოხელეები და მხედრობა; აქვე უნდა ყოფილიყვნენ მოწვეულნი, შერჩეული ქართველი ვაჟკაცები, ერთვნულ ტანსაცმელში. ტანზედ უნდა ჰქონოდათ ხმლები და ხანჯლები და ჯიბეში თითეულს ორი დამბაჩა. ღამის პირველ საათზედ, საერთო ნიშნის მიხედვით, უნდა დაწყებულიყო რუსების ჟლეტა და იქ მყოფი ყველა რუსები უნდა ამოეხოცათ. გადაწყვეტილება იყო მეტად სასტიკი. მათ უნდა დაეხოცათ ყველა ის ქართველებიც, ვინც ოდნავ წინალმდეგობას გაბედავდა. შეთქმულებს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ დაეხოცათ გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალი მუხრანბატონი, ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორი ნ. ფალავანდიშვილი; შეთქმულთა ერთ-ერთი მეთაურის ი. ფალავანდიშვილის ძმა. უკანასკნელმა, პირველმა დასვა ძმის მოკვლის საკითხი.

1) ამ აქტის შემდეგ, აჯანყებულთა ერთი ნაწილი გიორგი და ლევან ერისთავების მეთაურობით, იერიშს მიიტანენ ციხეზედ.

2) მეორე ნაწილი კაპიტან ჩოლოყაშვილის და ოფიცერ დიმ. ორბელიანის მეთაურობით, 200 კაცით თავს დაესხმიან ყაზარმებს.

3) მესამე ნაწილი მიდის არსენალზედ, იარაღის ხელში ჩასაგდებად.

4) მეოთხე, — სანოვაგის საწყობებზედ. მეხუთე — ხაზინაზედ. მეექვსე — ნავთლულის კომისიაზედ და სხ. ერთი სიტყვით, მთელი რაზმები განაწილებული იყო თავიანთი დანიშნულებისათვის. წინასწარ შედგენილი იყო ქალაქის დამცველი და წეს-რიგში მომყვანი კომისიები, რათა მოსახლეობაში ნორმალური მდგომარეობა არ შერყეულიყო. დანარჩენი ხალხი, დილით ადრე თავს

იერის თათრის მოედანზედ; და მაშინ, როდესაც ყველა პუნქტებში ერთ და იმავე დროს გაეარდებოდა თოფის ხმა, აქ აზიური მუსიკას უნდა დაეკრა; ეკლესიაში უნდა აეტეხათ ზარების რეკა. ხალხს უნდა გამოეტანა ჯვრები და ხატები, და ქუჩებზედ თავისუფლების დროშები აეფრიალებინათ. მომზადებული იყო პროკლამაციები ხალხში გასავრცელებლად.

ვინაიდგან, საქართველოში სამეფო გვარს კიდევ დიდი ტრადიცია ჰქონდა, შეთქმულებმა დაადგინეს, აჯანყების მეთაურად და გამარჯვების შემდგ, საქართველოს დროებით მმართველად, სანამ სპარსეთიდან ალექსანდრე ბატონიშვილი დაბრუნდებოდა, თამარ ბატონიშვილი გამოეცხადებინათ.

X

როგორი იყო სახელმწიფოს ფორმა, რომელიც უნდა შეექმნათ გამარჯვების შემდეგ.

ზემოდ აღვნიშნეთ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ, თავისი გამოძახილი ჰპოვა. პოეტი ნიკო ბარათაშვილი თავის პოემაში „ბედი ქართლისა"-ში იძლევა ნიშნებს რესპუბლიკანური განწყობილებისა. ეს აზრი ათქმევინა პოეტმა, ირაკლის კანცლერს, სოლომონ ლეონიძეს, როდესაც ირაკლი შოითხოვდა დაეინებით რუსებთან დაახლოვებას, ხოლო სოლომონს, როგორც მოწინააღმდეგეს, ამ პოლიტიკისა, ბუნებრივია დაჰბადებოდა იდეა, მეფის განუსაზღვრელ უფლებათა უსამართლობის შესახებ. ის ასე მიმართავს მეფეს:

„მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთ კაცს მოჰმადლებ ყოველთა უფლებას,
და მის გულის თქმას მონებენ ერნი,
განურჩეველად სულელნი, ბრძენნი,
და ივი მათ ბედს ისე განაგებს,
ვითა ამღერდეს ივი კამათლებს...
მაგრამ, შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება, —
სხვას განუბოძო შენ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა გულის კვეთებას
და ითრგუნვიდე თავისუფლებას?!
შენ ერმა მოგცა პირველობისება,

რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,
და რათ ივიწყებ, რომე მარადის
მეფის გულისთქმა ერსა ეკუთვნის.

ჩვენ გვგონია, რომ ეს სიტყვები ბარათაშვილის ფანტაზიის ნაყოფი არ უნდა იყოს, არამედ, ის ისტორიული გამოძახილია. ყოველშემთხვევაში, ბარათაშვილი სწორედ 30-40-ანი წლების პოეტია, და იმდროისთვის ეს უტყუარი დოკუმენტია.

რომ ეს იდეა 30-ან წლებში, საქართველოში საკმაოდ იყო გავრცელებული, ამას მოწმობს, მაშინ ახალგაზრდა ოფიცრის, (შეთქმულის) პოეტ გრიგოლ ორბელიანის სიტყვები, ნოვგოროდში მოგზაურობის დროს: „... ვიდრე იყო რესპუბლიკა, ნოვგოროდი ყვავილნარობდა ეკონომიითა, მხნეობითა, სიმდიდრითა და იყო სხვათა რუსეთზე უმეტეს განათლებულიცა და თვით თათარნი მონეტასაც გადუჭრნა; გარნა აწ ალარც ჩრდილი სჩანს უწინდელისა მის შემძლებლობისა.—„რკინის ხელმა შეიპყრა და განაქარვა ყოველი დიდება მისი“ *). აქეთგან აშკარად სჩანს გრ. ორბელიანის სიმპატიები რესპუბლიკისადმი.

საფრანგეთის რევოლიუციის დეკრეტების თარგმანსაც (ისიც ისეთ მძიმე პირობებში). რასაკვირველია მარტო საინფორმაციო მიზანი არ ექნებოდა, არამედ მას ჰყავდა თავისი მიმდევრები და ისინი ამ მხრივ მუშაობდენ.

რადიკალურ აზროვნებას არ ყოფილან მოკლებულნი თვით საამეფო ოჯახის წევრნიც, განსაკუთრებით შეთქმულთა მთავარი ხელმძღვანელები, დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილები. დიმიტრი თურმე ალფრთოვანებული ყოფილა საფრანგეთის მმართველობის წესებით და შეთქმულებს დიდის აღტაცებით ესაუბრებოდა თავისუფალ ქალაქებზედ, ფრანკფურტ-მაინზე და კრაკოვზედ. დოკუმენტებიდანვე ირკვევა, რომ ოქროპირ ბატონიშვილს, როდესაც საქართველოდან რუსეთში ყაენ მიემგზავრებოდა, განუცხადებია, რომ სამეფო გვარის

*) იხ. „ქართული მწერლობა“. 1926. ტფილისი. პავ. ინგოროყვა. „გზიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები“.

წევრის დამეფება, საინტერესო აღარ არის, სჯობს რესპუბლიკანური წესები შემოვიღოთო.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, შეთქმულთა ერთ წრეში გავრცელებული იყო რესპუბლიკანური იდეები, მაგრამ ისიც სჩანს, რომ ეს იდეები უმთავრესად ისეთ პირებს ეკუთვნით, რომელთაც ამა თუ იმ გზით, ევროპის გავლენა განიცადეს.

შეთქმულთა მორის, მეორე მიმართულება იყო ტრადიციული, მონარქიული, რომ საქართველოს სათავეში უნდა ჰყოლოდა ბაგრატიონთა დინასტიის ერთი წარმომადგენელი, შეფე. და ეს კ,ყველას მიერ ერთხმად აღიარებული იყო, ალექსანდრე ბატონიშვილი.

მაგრამ მონარქიული პრინციპი უკვე ევოლიუციას განიცდის და აბსოლიუტურის ადგილს იკავებს კონსტიტუციონალური მონარქია. შეთქმულთა ეს მიმართულება, აღიარებდა კონსტიტუციონალურ მონარქიას; მას მეთაურობდა ფილად. კიკნაძე.

ვინაიდგან საქართველოში, განსაკუთრებით დაბალ ფენებში, მეფის ტრადიციას არა მარტო დიდი კვალი ჰქონდა, არამედ მეფე ქართველ ხალხს აგონებდა თავისი მრავალ საუკუნეთა გმირულ ბრძოლებს, ცხადია, მონარქიას მეტი ნიადაგი ჰქონდა.

საერთო იდეალი — საქართველოს განთავისუფლება და მისი დამოუკიდებლობა ყველასათვის იმდენად წმიდა იყო, რომ სახელმწიფოს ფორმის საკითხს მათ მორის, დიდი დავა არ გამოუწვევია და შეთქმულთაც მიიღეს ის ფორმა, რასაც ალბათ მაშინდელი საზოგადოებრივი აზრი ამართლებდა; ეს იყო კონსტიტუციონალური მონარქია *).

საქართველო თავისი პოლიტიკური და იურიდიული დაწესებულებებით, სულ მალე ამოუდგებოდა გვერდში მოწინავე ევროპას.

მომავალი მთავრობის გეგმა ეკუთვნის ცნობილ პოეტს და დრამატურგს გიორგი ერისთავს (18-- - 1864). ეს გეგმა საგამომძიებო ოქმებში, ძალიან მარტივად არის წარმოდგენილი, თუმცა მისი ზემოდ აღნიშნული ხასიათი, ჩვენთვის დაფარული არ არის.

ხელისუფლება ორი განყოფილებისაგან შესდგება.

---

*) აქედან სჩანს, რომ თუ არა რუსეთის ბატონობა,

პირველში შედიან: მეფე — ალ. ბატონიშვილი, სამხედრო მინისტრი — პოეტი ალ. ჭავჭავაძე, იუსტიციის მინისტრი — მუხრანბატონი, ფინანსტთა მინისტრი — თ. ფალავანდიშვილი, შინაგან საქმეთა და საბალხო განათლების — ჭილაშვილი, საგარეო საქმეთა — გენერალი ბებუთაშვილი.

მეორე ნაწილი შესდგება ხალხის მიერ არჩეული დეპუტატებისაგან. ეს გეგმა მიიღო შეთქმულთა ორგანიზაციამ და საინტერესოა, რომ მთავრობაში, აჯანყების არც ერთი მეთაური არ შედის. იქ დასახელებულნი არიან მხოლოდ ცოდნა - გამოცდილებითა და ავტორიტეტით აღჭურვილი პირები.

ამ მარტივი სურათიდან სჩანს, რომ არსებობს მეფე თავისი მთავრობით და მის გვერდით, პარლამენტი. მათი კომპეტენციების და პარლამენტ - მთავრობის ურთიერთობის შესახებ, არაფერი ვიცით. მათ ალბად ყველაფერი ეჭნებოდათ გათვალისწინებული, მაგრამ გამოძიების დროს, მხოლოდ მოკლე ჩვენებაა წარდგენილი, და ჩვენამდე დღეს - დღეობით მხოლოდ ამ ცნობამ მოაღწია.

მაშ გამარჯვების შემდეგ, შეთქმულები ქმნიდენ დროებით მთავრობას და როგორც კი ალ. ბატონიშვილი მოვიდოდა სპარსეთიდან, საქართველო მას ირჩევდა მეფედ და აცხადებდენ კონსტიტუციონალურ მონარქიას.

XI

20 დეკემბერი ახლოვდებოდა და შეთქმულთა ყუმბარაც უნდა გავარდნილიყო. მთელი საქართველო ამ საათს გულის ფანცქალით ელოდა და სწორედ, ამ დროს იჩინა თავი გამცემლობამ.

შეთქმულების წევრი იასე ფალავანდიშვილი, 9 დეკემბერს, საღამოს 5 საათზედ, დასმენს შეთქმულებს კავკასიის კორპუსის შტაბის უფროს, ღენ. მ. ვოლხოვსკისთან. მთავრობამ მაშინადვე გასცა განკარგულება და ზოგიერთი შეთქმულები მაშინადვე შეიბყრეს, მათ შორის იასე ფალავანდიშვილიც — გამცემელი. *). სხვა შეთქმულებმა, ცხადია, არ იცოდენ მოღალატის ვინაობა.

*) იხ. აქტები. ტ. VIII, გვ. 392.

სანამ გაცემის შემდეგ მომხდარ ამბებს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც შევეხოთ თვით გაცემის ამბავს, რადგან ეს საქმე აქამდე საიდუმლოებით არის მოცული. ცერავინ წარმოიდგენდა იმას, რომ შეთქმულებას გასცემდა ისეთ ფალავანდიშვილი, ის პირი, რომელიც შეთქმულების ხელმძღვანელთა შორის, მეოთხე იყო და დიდის აქტიობით მოქმედებდა. მთელი მისი მოქმედება ისეთი ენტუზიაზმით იყო მოსილი, რომ გაცემის ნამდვილ აზრს აბნელებს; თუმცა თვითონ, შემდეგ განაცხადა, რომ ის განზრახ იყო შესული ორგანიზაციაში, მაგრამ გარემოებანი არ ამართლებენ, მის თავის - თავზედ ასეთი ბრალდების მილებას. თვით რუსეთის მთავრობამ ოფიციალურ დახასიათებაში, ის მაინც პირად იცნო, და სხვებზედ ნაკლები სასჯელი მას არ შეხვედრია! იმადება ერთი საკითხი, ეს გაცემა ხომ განგებ არ იყო ჩადენილი, იმ ქართველების მიერ, ვისაც შეთქმულების საბოლოოდ გამარჯვების იმედი არა ჰქონდათ და ეშინოდათ, შემდეგში, პოლონეთის დღე არ დასდგომოდა საქართველოს! ეს მოსაზრება უსაფუძვლოდ არ გვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ ამ დროს, განსაკუთრებით უფროს თაობაში ასეთი აზრი ტრიალებდა. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ბერ. ორბელიანის დიალოგი ბენ. აფხაზთან. აფხაზი არის აღნიშნული აზრის საუკეთესო წარმომადგენელი, რომელთა შეხედულებითაც, საქართველოს სჭირია რუსეთის მფარველობაში ერთხანს ყოფნა; ხოლო როცა ის გაძლიერდებოდა ფიზიკურად, ნივთიერად და კულტურულად, მაშინ დაიწყებს ფიქრს დამოუკიდებლობაზედ. ამ ექვს კიდევ ის გარემოებაც აძლიერებს, რომ, როგორც ჩვენმოდ ვნახავთ, სასჯელიც გაცილებით მცირე რიცხვს შეხვდა და მთავრობაც შეეცადა, ეს საქმე დიდად არ გახმაურებულიყო, ვიმეორებ, აქ ხომ არ იყო ისეთ ქართველთა ხელი, რომელთაც სწორედ საქართველოსივე ინტერესით აირჩიეს შეთქმულების ასეთი ხვედრი!? ეს ყოველივე ამ სტრიქონების დაწერის დროს, კიდევ საიდუმლოებას წარმოადგენს... ერის აგრეთვე შენახული ასეთი ცნობაც, რომ, როდესაც აჯანყების დღეები მოახლოებულა, ბენ. ალ. ჭავჭავაძეს, რომელიც აჯანყებაში ალბად მთავარსარდლის როლს ასრულებდა, გაუზიარებია ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორის ნიკ. ფალავანდიშვილისათვის, რათა

ისიც მიემხრო. შეიძლება, როგორც ქართველისაგან, მისგან დასმენას არ მოელოდა, ნიკ. ფალავანდიშვილი არ დასთანხმებია. რაკი ისე ფალავანდიშვილი შეიტყობდა, რომ მისმა ძმამ ყველაფერი იცოდა, შესაძლებელია, მანაც არჩია, ძმისთვის ყოველივე ელიარებინა. ამ დროისთვის ასეთი გაბედულება და ახდილობა, დამახასიათებელია. დოკუმენტებში ერთ ასეთ დამახასიათებელ მოვლენას ვამჩნევთ: დაკითხვები მრავალჯერ ხდება და ყოველ ახალ დაკითხვაზედ, ახალი დ ახალი ცნობები იჩენდა ხოლმე თავს. ასეთი გაძოტება, იმდენად დამნაშავეთა სისუსტის შედეგი არ იყო, რამდენადაც ხშირად ისინი აძის საჭიროებას ხედავდენ. მაგალითად, ყველაზედ მტკიცე და შეურყეველი ნებისყოფის ალ. ორბელიანიც ასეთ ამბავს გადმოგვცემს თავის მემუარებში. პირველად ის მაგრად იყო, ყველაფერზედ უარს ეუბნებოდა; მერე ნახა, რა რომ ყველა ფაქტები მას თვალწინ დაუხატეს, ის იძულებული გახდა, შეეცვალა გეზი. — ამაზედ დიდ ხანს ვიფიქრე — გადმოგვცემს ის, და ბოლოს იმ გზას დავადექი, რომ ბევრი რამ მელიარებინა, იქნებ მომავალი უბედურობა თავიდგან ამეცდინა და იქნებ ქვეყნისათვის ასე სჯობდაო.

ასე თუ ისე, ეს ყველაფერი ჯერ-ჯერობით მოსაზრებებად უნდა დარჩეს. ფაქტად კი ამ ხანად ის უნდა მივიღოთ, რომ ი. ფალავანდიშვილმა იკისრა მოლალატის როლი...

ახლა დაეუბრუნდეთ გაცემის ამბებს. ტუსის მთავრობამ სულ მოკლე ხანში შეიბყრო ყველა წევრები და რუსეთში მყოფ ბატონიშვილებსაც მცველები მიუჩინა. მიუხედავად შეთქმულთა სასტიკი კონსპირაციის, მთავრობამ მაინც მოახერხა 147 კაცის აღმოჩენა. მიუხედავად ამ აქტის ასეთი სერიოზული ხასიათისა, კავკასიის მთავარ-მართებლის როზენის და სამხედრო მინისტრის ჩერნიშევის მიწერ-მოწერითგან სჩანს, რომ ეროზენი წინაღმდეგი ყოფილა, საქმე სენატს გადაჰქონია, რათგან უშინოდა, რომ ის პრესაში გამოიტანდა. ამ ფაქტის გახმაურება, არც ადგილობრივ და არც უცხოეთში, რუსებს პატივს ვერ მოუპოებდა. პირიქით, მათ უნდოდათ, ის მარტო თავად-აზნაურობის შეთქმულებად ეაუსაღებინათ. აქამდე ოფიციალურ წყაროებში ასეც იყო ცნობილი.

მაგრამ უკანასკნელად აღმოჩენილი და გამოქვეყნებული მასალებით, მდგომარეობა იცვლება *).

შეთქმულები დაამწყვდიეს ყაზარმებში, ამიტომ ამ ამბებს მაშინ „ყაზარმობას" ეძახდენ, და როგორც დიმ. ყიფიანი (შეთქმულთა წევრი) გადმოგვცემს თავის მეხსიერებაში, რუსები ძალიან ცუდად ეჭცეოდენ ხოლმე; ხშირად თურმე, მთელი კვირობით ხმელ პურსა და წყლის მეტს არას აძლევდენ.

გამოძიება სრული ერთი წელი გაგრძელდა. გამოძიებას თავმჯდომარეობდა რუსეთიდან მოვლინებული ღენ. ჩეკინი; მეორე საგამომძიებლო კომისიაც რუსეთში შესდგა ორლოვის თავმჯდომარეობით, რომელიც იძიებდა შეთქმულების რუსეთში მყოფ წევრთა საქმეს.

გამოძიება დამთავრდა. დამნაშავენი მრავალ კათეგორიებად დაყვეს და 13 კაცი სამხედრო სასამართლოს გადასცეს. დანარჩენებს სხვა და სხვა სასჯელი მიუსაჯეს, გაუსამართლებლად.

სასამართლომ 10 კაცს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ეს უნდა მომზდარიყო ასე: ერევნის მოედანზედ (ტფილისში), ჯერ ხელ - ფეხი უნდა დაეჭრათ და მერე თავები, მაგრამ მთავრობამ ამ ბარბაროსული სასჯელის სასრულეში მოყვანა ეელარ გაბედა, და ისინი (ყველა მაღალი განათლების და სამხედრო უწყების იყვენ), ჯარის კაცის ლირსებამდე ჩამოიყვანეს და რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს, საიდანაც უმრავლესობა დაბრუნებას აღარ ღირსებია.

ბატონიშვილი დიმიტრი და ლუარსაბი გადაასახლეს სმოლენსკში; ბატონიშვილი ოქროპირი — კოსტრომაში; თეკლა ბატონიშვილი, მოხუცებული, თავისი შვილებით ვახტანგ და დიმიტრი ოთბელიანებით — კალუგაში; მესამე შვილი ალექსანდრე — ორენბურგში, გენ. ალ. ჭავჭავაძე — ტამბოვს. აქ ის ერთხელ კიდევ იყო გადასახლებული, 17 წლის ახალგაზრდა, 1804 წ. აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სოლ. დოდაშვილი — ირკუტსკში, სადაც ქლექით გარდაიცვალა; ბერი ფილადელფოს კიკნაძე, 1833 წ. გამოძიების დროსვე, უცაბე-

---

*) იხ. გოზალიშვილის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები.

ადგილ გარდაიცვალა (?); ეს. ორბელიანი, ახალგაზრდა პოეტი, გაგზავნეს კავკასიის ხაზზეც, სამსახურში.

ასევე გააკომბირეს შეთქმულების ყველა პირველ ხარისხოვანი მონაწილენი: ელიზბარ და დიმიტრი ერისთავები, ლ. ორბელიანი, გ. ერისთავი, მოლა ზამანა, მამუკა ორბელიანი, ს. რაზმაძე, პაუშენკო, ივ. ერისთავი, მღ. თალიაშვილი, ბიძ. ერისთავი, დიმ. ყიფიანი, ავთანდილაშვილი დასხ.

ხოლო გამცემ ი. ფალავანდიშვილს, აი რა ბედი ეწვია: 9 თებერვალს 1833 წ. ოზურგეთის ჩერნიშევისადმი წარდგენილ სასჯელთა პროექტში მასზედ ნათქვამია: „საერთოდ, თავისი ჭკუით, გაიძვერობით, აღრეცის სულით და უზნეობით, ეს კაცი ამ ქვეყნისათვის სრულიად მავნე და სახიფათოა, და თუ იმპერატორი ინებებს, მი მიერ გაცემის პატივისცემისათვის, ის განთავისუფლებულ იქმნას სასამართლოსა და სასჯელისაგან, ყოველ შემთხვევაში, ის გადასახლებულ იქმნას რუსეთში და საქართველოში დაბრუნება, სამუდამოდ აეკრძალოს". საბოლო დადგენილებით, ის ჩარიცხეს უბრალო ჯარის კაცად და ფინლიანდიაში გადასახლეს, საიდანაც აღარ დაბრუნებულა *).

ასე დამთავრდა ეს უკანასკნელი ცდა საქართველოს განთავისუფლებისა. ამიერითგან აჯანყების საკითხი იხსნება და მორალურად დაღლილი, ფიზიკურად განადგურებული ერი, ნიკოლოზ I-ის, დესპოტიური რეჟიმის დროს, საიდუმლო პოლიციის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ, დროებით განსვენებას ეძლევა. ხოლო ახლო მომავალში დაიწყება დიდი კულტურულ შემოქმედებითი მუშაობა. რომელიც ნიადაგს მოუმზადებს მომავლის ბრძოლებს დამოუკიდებლობისათვის.

---

*) იხ. აქტები. ტ. VIII, გვ. 396.

XIII

სამეგრელოს შემოერთება

I

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, პირველი მოლაპარაკება რუსებმა დაიწყეს სამეგრელოს მთავართან, გრიგოლ დადიანთან, რათგან ამ დროს სწორედ სამეგრელოს მთავრის მხრივ, რუსებმა ხელსაყრელი პირობები ნახეს.[1] რომ ეს ნათელვჰყოთ, ცოტა ხნით შევჩერდებით სამეგრელოს შინაურ ვითარებაზედ.

მას შემდეგ რაც საქართველო კვლავ დაიყო, სამეგრელო სულოვრობდა, როგორც დამოუკიდებელი სამთავრო. სამცხე-საათაბაგოს შემდეგ, ყველა დანარჩენ სამთავროთა შორის, ის საგრძნობ ძალას წარმოადგენდა და მას დიდ ანგარიშს უწევდენ, როგორც შიგნით, ისე გარედ.

როდესაც მე-18-ე საუკუნის მეორე ნახევარში კიდევ დაიბადა აზრი სრულიად საქართველოს გაერთიანებისა, იმერეთის მეფეები თავის მხრივ სცდილობდენ, დასავლეთ საქართველოს სამთავროების შემოერთებას იმერეთის სამეფოსთან, ხოლო ასევე ქართლ-კახეთის მეფეები, სამცხე-საათაბაგოსას.

იმერეთის სამეფოს, გუნრია თითქმის შემოერთებული ჰყავდა და ამასვე სცდილობდა სამეგრელოს მიმართ. იმერეთსა და სამეგრელოს შორის, პირველად ასტყდა დავა ლეჩხუმის გარშემო, მაგრამ გრიგოლისა და სოლომონ II-ის დამოყვრებამ, ეს დავა დროებით შეანელა. სოლომონმა შეერთო ჯაკი დადიანის ასული, მარიამი (გრიგოლის დაჲ) და ამგვარად დაუმეგობრდა გრიგოლ დადიანს.

არ გასულა ბევრი ხანი და იგივე დანათესავების ნია-

დაგზავდ, მათ შორის ისევ უთანხმოება ჩამოვარდა. სამეგრელოს მთავარმა გრიგოლმა შეირთო მეფე გიორგი XII-ის ქალიშვილი, ნინო. ირაკლიმ ქვრივი დარეჯან დედოფალი, რომელიც იყო დადიანის ასული და ძალიან გადაკიდებული გიორგი XII-ის ოახზედ, მისი ნათესავის დამოუკერება არ მოეწონა და დაიწყო ინტრიგა. დარეჯანსა და გიორგის ოჯახის შორის უთანხმოება, ფართოდ ცნობილია და აქ აღარას ვიტყვით. მეორე მხრივ, სოლომონ II-ე იყო დარეჯანის შვილის - შვილი და მის გავლენის ქვეშ იყო. დარეჯანის წყალობით უთანხმოება ისევ იღვიძებს სოლომონსა და გრიგოლ დადიანს შორის; დავა ისევ ლეჩხუმზედ ასტყდა. ლეჩხუმის ერთი მეცხრე ნაწილი სამეგრელოს ხელში იყო, მეორე უფრო დიდი ნაწილი კი იმერეთისა, ხოლო ზოგი ნაწილები, ხან ერთის ხელში გადადიოდა, ხან მეორის.

როდესაც სოლომონი ტახტზედ საკმარისად გამაგრდა და ნათესავებისგანაც საკმარისი ზურგი დაიგულა, შეავიწროვა გრიგოლ დადიანი. ორივე ერთი - მეორეს უმტკიცებდენ თავიანთ ისტორიულ უფლებას ლეჩხუმზედ. მდგომარეობა დღითი - დღე მწვავდებოდა და მათ შორის, მოსამართლე არა სჩანდა.

რუსეთი ასეთ ხელსაყრელ პირობებს, რასაკვირველია გაფაციცებით ადევნებდა თვალს. ხშირად, საიდუმლოდ, ის ხელსაც უწყობდა ამ უთანხმოებას.

გრიგოლ დადიანმა ამ დროს გადასწვიტა, შესულიყო რუსეთის მფარველობაში.

5 ოქტომბერს 1802 წ. გრ. დადიანი სწერს ტფილისში დავით ბატონიშვილს, (ცოლის ძმას), რომ ის შევიწროებულია სოლომონის მიერ, რომელსაც ეზმარებიან არა ქრისტიანები, და სთხოვს, მან ჩაინდოს სამეგრელოს რუსეთის მფარველობაში შეყვანის საქმე. ის სწერს: „... როგორც თქვენმა უმაღლესობამ მოისურვა, თქვენი სახლის გადაცემა რუსეთის მფარველობაში, ასევე გადაეცით ჩვენი სახლი, ამაზედ გაძლევთ ჩვენს სრულ უფლებას, რისთვისაც წინასწარ გიცხადებთ მადლობას". სთხოვს, ყველა ეს მოახსენოს კნორინგსა და კოვალენსკის და სამეგრელოში გამოგზავნონ სანდო პირი, ვინც ამ საქმეს მოაგვარებს *). გრიგოლ დადიანმა შემდეგ

*) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 452.

სხვებსაც მიმართა, და ბოლოს თვით ციციანოვსაც. 20 დეკემბერს 1802 წ., დიდიანი სწერს წერილს სოკოლოვს და მეორე ციციანოვს, რომ თუ რუსეთი არ აღასრულებს მის თხოვნას, ის იძულებული იქნება, მიიღოს ოსმალეთის მფარველობა.

ციციანოვმა ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა, რასაკვირველია ხელითგან არ გაუშვა. მისთვის სამეგრელოს დაბყრობა, გადაუდებელი იყო და რათგან თვით მთავარმა დაურეკა კარები, ციციანოვმა სასწრაფოდ აღძრა შუამდგომლობა იმპერატორთან.

პასუხმა დაოგვიანა. მიზეზი იყო ორი გარემოება, ერთი ის, რომ პეტერბურგში არკვევდენ სამეგრელოს დამოუკიდებლობის უფლებრივ საკითხს და მუშაობდენ იმაზედ, თუ მისი მფარველობაში შეყვანა, რა ფორმით გამოეხატათ *).

მეორე, ვინაითგან სამეგრელოს და საერთოდ დასავლეთ საქართველოს დაბყრობის საქმე, რუსეთისათვის არ იყო მარტო მათი შინაგანი საკითხი, რომ ამ ქვეყნის ბედი გადაეკავშვული იყო რუსეთის ოსმალეთთან ურთიერთობის საკითხთან და ყველა ეს კი ექვემდებარებოდა საერთაშორისო ვითარების მსვლელობას, ამიტომ რუსეთი საჭიროებდა დროის შერჩევას

დასავლეთ საქართველო საკმარის გავლენას განიცდიდა ოსმალეთისა, თუმცა უკანასკნელად ოსმალეთი, ცალკე საფაშოების ურჩობით, საკმაოდ მისუსტებული იყო და მათი მფარველობა უფრო მოჩვენებითი, მაგრამ აქ იყო კიდევ მესამე ფაქტორი, რომელიც ოსმალეთის ამ ნაკლს აკვსებდა და ოსმალეთთან რუსეთის მშვიდობიანობას საანგარიშო ფაქტად ხდიდა.. რუსეთი იძულებული იყო ოსმალეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა გაეგრძელებინა, ყოველ შემთხვევაში, მანამდე, სანამ ნაპოლეონის საფრთხეს თავს დაალწევდა, სამეგრელოს საკითხი სწორედ ამ დროს დაისვა.

შექმნილი ვითარების გამო, რუსეთმა, სანამ აღნიშნულ ნაბიჯს გადასდგამდა, დაავალა სტამბოლში თავის ელჩს იტალინსკის, რათა მან პორტას შეაგონოს, და ნიადაგი მოამზადოს, რომ როცა რუსების ჯარები დაიკავებენ სამეგრელოსა და იმერეთს, ოსმალეთი ამ აქტს

*) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 453.

გულცივად შეხვდეს. იტალინსკი ნახულობს სტამბოლში პორტას პირველ ვეზირს რეის-ეფენდის და მასთან საუბარში რწმუნდება, რომ ის სამეგრელოს რუსეთთან შეერთების საქმეს, უეჭველად სთვლის. იტალინსკი დარწმუნდა რა, რომ ოსმალეთის მხრივ ეს აქტი არაფერ უკმაყოფილებას არ გამოიწვევდა; მაშინადვე აცნობა პეტერბურგში. და სანამ რუსეთი ამ საკითხზედ ოფიციალურ პასუხს მიიღებდა ოსმალეთისაგან, იმპერატორი აჩქარებს ციციანოვს: „სამეგრელოს დასაკავებლად, ნუ მოუცდით იტალინსკის პასუხსაო" *). იმპერატორის ნაჩქარევი ბრძანება იყო გამოწვეული თვით ციციანოვისგან; რათგან გრიგოლ დადიანი თვით ეახლა მას და სთხოვა, მფარველობაში მიღების საქმე დაეჩქარებინა, თუ ეს არ მოხდებოდა, კვლავ ეუბნებოდა, რომ ის აპირებდა ოსმალეთის მფარველობაში შესვლას. ეს თხოვნა დადიანმა გაუმეორა 17 მარტს და ივნისს 1803 წ. და ყველა ეს კი ციციანოვმა აუწყა იმპერატორს **).

როდესაც ციციანოვი იმპერატორისაგან აღნიშნულ ბრძანებას იღებს, 26 ივნისს 1803 წელს, ის პასუხს აძლევს და უგზავნის მთავარ დებულებებსაც, როგორც პროექტს, რომ მფარველობაში შესვლის „პუნქტები" ამ საფუძველზედ შეადგინოს. ამ წერილის მიზედვით, ციციანოვი აცნობდა, რომ სამეგრელოს შემოერთების შემდეგ, შინაგანი მმართველობის უფლება ისევ თქვენ გეჭვნებათ ხელთ, მარტო სიკვდილით დასჯის უფლება, რუსების ხელში გადავალო. ამაზედ დადიანი შეეკითხა, სიკვდილის დასჯის სხვა და სხვა შემთხვევებს, ციმბირში გადასახლებით ან სხვა მსგავს რამით, ხომ არ შესცვლითო და სხ.

ამასობაში იტალინსკიდანაც იღებენ ოფიციალურ წერილს 27 ოქტომბერს 1803 წ., რომელიც აცნობებს, პორტას გულცივობას სამეგრელოს შეერთების გამო, და ფოთშიც ჩვენი ჯარის ჩაყენებაზედ, ოსმალეთი უკმაყოფილებას არ განაცხადებსო ***)

ამ ცნობის მიღების შემდეგ, ციციანოვს საქმე აღარ

*) იხ. დუბროვინი. ტ. IV, გვ. 89.

**) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 455.

***) იხ. იტალინსკის წერილი კანცლერთან. აქტები. ტ. II, გვ. 462.

დაუყოვნებია; ის აგზავნის სამეგრელოს მთავართან მფარველობაში შესვლის, ფიცის მისაღებად პოლკ. მაინოვს. 30 ნოემბერს, მაინოვი ჩადის სამეგრელოში; მთავართან მოდის ცაიშის ეპისკოპოსი და სამეგრელოს თავად-აზნაურობა. სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი ხელს აწერს პუნქტებს და შემდეგ თავად-აზნაურობასა და სამღვდელოებასთან ერთად, რუსეთის აძლევს ქვეშევრდომობის ფიცს. ფიცის შემდეგ პოლკ. მაინოვი დადიანს გადასცემს ალექსანდრე ნევსკის ორდენს და სხვა მრავალ საჩუქრებს. ეს მოხდა 2 დეკემბერს 1803 წ. *)

ხელმოწერილი პუნქტები გადაგზავნეს პეტერბურგში, სადაც მოელოდა მას დამტკიცება.

პუნქტების დამტკიცების საქმე გაგრძელდა, რათგან ზოგიერთი მუხლების მიღებაზედ, პეტერბურგი უარს აცხადებდა. სახელდობრ, რუსეთმა უხეირხულად მიიჩნია „მთავრის" ტიტულის დატოვება (პუნქტების ხანხილვა იხ. ქვემოდ), მას შემდეგ რაც ის რუსეთს უერთდებოდა, და უნდოდათ მისთვის დაეტოვებიათ სახელწოდება „სამეგრელოს გამგებელი".

20 მარტს 1804 წ., ჩარტორიისკი სწერდა ციცანოვს, რომ დადიანის პუნქტების დამტკიცებას ელობება ჯერ-ჯერობით დაბრკოლებანი, რათგან მას ჩრდ „მთავრის" ტიტული დაეუტოვოთ, რა ვიცით, მისი მემკვიდრეები როგორ ისარგებლებენ ამით. იქნებ ისინი ისე ერთგულნი არ აღმოჩნდენ რუსეთისა და ეს ტიტული ბოროტათ გამოიყენონ — სწერდა ფერსენი მინისტრი — ამიტომ: „... ჩვენის აზრით საჭიროა, სამეგრელოს მართვა ახლავე ჩვენს მთლიან წესებს დაუმორჩილოთ და არ დაუტოვოთ ის თვით მთავარს. საჭიროდ იქმნა ცნობილი, რომ ის იმსენიებოდეს როგორც „სამეგრელოს გამგებელი", ეს ნაწილობრივ დააკმაყოფილებს მის სურვილს და უპასუხებს ჩვენს განზრახვასაც" **).

გარდა ამისა, მთავრისთვის უნდოდათ აეკრძალათ ხალხისგან გადასახადების აკრება და პირადი არსებობისათვის უნდოდათ დაენიშნათ ჯამაგირი, ე. ი. რუსებს უნდოდათ ჩამოერთმიათ მთავრისარვის ყველა ის ნიშნები, რაც მის სამთავროს დამოუკიდებლობის თვისებებს

*) იქვე. ტ. II, გვ. 465.
**) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 467.

შეადგენდენ და მთავარი გამოეცხადებინათ რუსის უბერალო მობაღლედ, გუბერნატორად.

ამ საგანზედ ციციანოვსა და პეტერბურგს შორის ასტყდა ომათი. ციციანოვი მათ არ ეთანხმება; მისი აზრით დადიანი სწორედ იმიტომ შედიოდა რუსეთის მფარველობაში, რომ მისი „მთავრის“ ლირსება დაეცვა, ხოლო თუ ამას ვიზამთო, სწერდა ციციანოვი: „... მაშინ ძალით შეუყვანა ჩვენი ჯარებისა სამეგრელოში, სადაც არის ხშირი ტყეები და მოკლებულია გზებს და ხიდებს, დაგვიჯდება რამდენიმე ათასი კაცი“. გარდა ამისა ციციანოვი გრძნობდა, რომ ამ გზით, შემდეგ, ალნიშნულ ლირსებათა ახდასაც უფრო ადვილად მიაღწევდა, ხოლო გამწვავებით, საქმეს გაფუჭებდა და სამეგრელოს ძალით დაბერობა შეიქმნებოდა აუცილებელი, რომელიც მათ საქმეს საკმაოდ გაართულებდა, ამიტომ ბოლოს და ბოლოს, პეტერბურგი ილებს ციციანოვის წინადადებას, 4 ივლისს 1804 წელს ამტკიცებს *), სამეგრელოს რუსეთის მფარველობაში შესვლის „პუნქტებს“ და სამეგრელოს მართვას ანდობს ციციანოვს.

სანამ რუსეთ-სამეგრელოს შემდეგ ურთიერთობას აღვწერდეთ, მანამ გავიხილოთ სამეგრელოს რუსეთის მფარველობაში შესვლის პირობითი სიგელი („პუნქტები“).

პირველ მუხლში ალნიშნულია, რომ გრ. დადიანი შედის რუსეთის მფარველობაში საშუალამოდ, ის ამბობს: „ესრედ შევეკარი თავი ჩემი ქვეყნითურთ, მისსა ერთგულებასა შინა საუკუნოდ...“.

მეორე მუხლი. სამეგრელოს მთავარი იტოვებს მთავრის უფლებას, რომელიც მემკვიდრეობით უნდა გადაეცეს მის შვილზედ და ასე შემდეგ.

სიგელში ნათქვამია: „...საუფლოთა ბრძანებითა მისითა დამიმტკიცოს საზღვართა შორის ჩემთა სამთავროსათა მემკვიდრეობით მემკვიდრეობა პირველად მე, და შემდგომად შთასისრულთა (?) ძეთა ჩემთა — არა შრავლობითად, არამედ მხოლობითად, ვითარცა მამა ანუ პაპა ჩემი მთავრობდა ქვეყანას ამას ჩვენსა სახითა და საქმითა...“.

---

*) იხ. დუბროვინი. ტ. IV, გვ. 91.

მესამე მუხლი. ყველა შინაური უფლებებს იტოვებს თვით სამეგრელოს მთავარი.

მეშვიდე მუხლი. თუ რუსეთის ხელისუფლება ინებებს და დაამუშავებს სამეგრელოს მთავრის სამფლობელოში მყოფ მადნეულობას, ის მოვალეა შემოსავლის ნაწილი დაუთმოს სამეგრელოს მთავარს.

მერვე მუხლი. თუ რუსეთი ინებებს და სამეგრელოს საზღვრებში, შავი ზღვის ნაპირებზედ რაიმე ქალაქს აღაშენებს, აქედანაც შემოსავლის ნაწილი უნდა დაეთმოს სამეგრელოს მთავარს.

ასეთია დაახლოებით შინაარსი იმ სიგელის, რომლის ძალითაც გრ. დადიანი შეეიდა რუსეთის მფარველობაში.

III

მფარველობაში შესვლის შემდეგ არ გასულა ბევრი ხანი და 1804 წელსვე გარდაიცვალა გრიგ. დადიანი. ვინაითგან გრიგოლის უფროსი შვილი ლევანი ამ დროს მცირეწლოვანი იყო, მას ეშინოდა სრავინ შესცილებოდა, ამიტომ 1804 წ. 19 ოქტომბერს, სიკვდილის წინ, ციციანოვს სწერს წერილს და ანდერძად უტოვებს: „ჩემი ლევანის მეტი ოდიშისა და ლეჩხუმის მემკვიდრე, ნურავინ იქნებაო *).

მთავრის გარდაცვალებისთანავე, სამეგრელოში მყოფ ლიტვინოვმა აცნობა ციციანოვს და თავისი პროექტიც გამოუგზავნა, ახალი მთავრობის შედგენის შესახებ. ის სწერს, თუ მემკვიდრის სრულ ასაკში მოსვლამდე, მმართველობას დედოფალს ჩავაბარებთ, ის ცოტა ცვალებადი და სუსტი ხასიათის ქალია და მის გარშემო შეიქმნება უთანხმოება, ამიტომ საჭიროა, ხელისუფლებაში მონაწილეობას იღებდეს ის, ხოლო იქ უნდა შეეიდნენ სხვებიცაო.

მიუხედავად იმისა, რომ რუსის მთავრობამ აცნო ლევანი მემკვიდრედ, სამეგრელოში უთანხმოება მაინც იყო. გრიგოლის ძმა მანუჩარი სთხოვდა რუსებს, მთავრად ის გამოეცხადებინათ და ის მათი ერთგული იქნებოდა; მაგრამ რუსებისთვის ეს უკვე საინტერესო აღარ იყო და მას აღარ გაუგონეს.

---

*) იხ. აქტები. ტ. II, გვ.490.

ციციანოვმა კი, რომელსაც ამ დროს ლიტვინოვი საჭკვილოდგან ათას ჭორებსა სწერდა, სამეგრელოს დედოფალზედ, მთავრად მაინც დედოფალი ნინო დანიშნა, ლიტვინოვი კი შეუთვალა, ვინაითგან მათი რუსეთში გადასახლების აზრი შეიცვალე, ამიტომ თუ დედოფალი აქ დარჩება, შეუძლებლად მიმაჩნია ჩვენივე ინტერესისათვის, ის არ იყოს დატოვილი მთავრადო, მემკვიდრის მფარველობაც მიანდო დედას (დედოფალს), ხოლო საბჭოში დამხმარედ დაუნიშნა დადიანის ძმები და ოთხი თავადი. ყველა წვრილმანი საკითხების გარჩევა, აღნიშნულ საბჭოს ჩაბარა, ხოლო სიკვდილით დასჯისა და ტყვეთა გაყიდვის საქმეები გადასცა იქ მყოფ რუსის ჯარის უფროსებს *). ლევანი ამდროს იმყოფებოდა აფხაზეთის მთავართან ქელეშ - ბეისთან, და ციციანოვის მეოხებით ის დაბრუნებულ იქმნა სამეგრელოში.

26 იანვარს 1805 წ. იმპერატორი ალექსანდრე ამტკიცებს ციციანოვის გეგმას: მთავრად დედოფალ ნინოს და ლევანს მემკვიდრედ **).

მთავრობაში შედიან: 1. ჭყონდიდელი ბესარიონი (გრ. დადიანის ძმა), 2. ნიკოლოზ დადიანი (გრ. დ. ძმა), 3. ბერი გელოვანი და 4. სახლთუხუცესი ჩიქოვანი.

ამგვარად, დედოფლის თავმჯდომარეობით შესდგა ახალი მთავრობა, რომელსაც უნდა განეგო სამეგრელოს საქმეები, სანამ მემკვიდრეს 20 წელი შეუსრულდებოდა.

შემდეგ ლევანი ხდება მთავრად და ეს მდგომარეობა გრძელდება სამთავროს სრულ გაუქმებამდე.

ამდროს განმავლობაში კი, რუსები ნელ - ნელა ჰკვეცავენ მთავრის უფლებებს. ასე მაგალითად, რუსეთის მფარველობაში შესვლის დღითგან, პუნქტების მიხედვით, სიკვდილის დასჯის უფლება და ყველა მნიშვნელოვანი საქმე, რაც სასამართლოს ეხებოდა, მთავარს ეკუთვნოდა; ხოლო 1816 წ. მთავარ - მართებელ რატიშჩევის ერთი მიწერილობით და შემდეგ 1825 წელს, ლენ. ველიამინოვმა ის საბოლოოდ მოსპო. ეს მოჰყვა 1820 წ. ცნობილი აჯანყების ჩაქრობას. 1831 წ. 2 ივლისს კი, ლენ. პანკრატიევი სთხოვს გრაფ ჩერნიშევს, პუნქტების

*) იხ. ციციანოვის მოხსენება იმპერატორისადმი 17 დეკ. 1804 წ. (აქტები. ტ. II, გვ. 491).

**) იხ. აქტები. ტ. II, გვ. 499.

ის მუხლი, რომელიც აღნიშნულ უფლებას შეიცავს, ბარეემ გაუქმებულ იქმნას, რათა შემდეგში კვლავ გაუგებრობას ადგილი არ ექმნეს ადგილი *).

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოს მთავრებმა თავითგანვე ყველა მთავრებზედ ლოიალური განწყობილება დაიჭირეს რუსებთან, უკანასკნელთ მაინც ნელ - ნელა მათ დამოუკიდებლობის ატრიბუტები ჩამოაცილეს და დაუტოვეს მხოლოდ გარეგნული სახე დამოუკიდებლობისა.

ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ 1819 - 1820 წ. აჯანყება და აქ გვინდა ცოტა შეეჩეროთ მკითხველის ყურადღება იმ გარემოებაზედ, თუ რა განწყობილებით შეხვდა რუსეთს თვით სამეგრელოს ხალხი.

IV

რუსეთის იმპერიის საერთო ინტერესებისთვის, შეუგუებელი იყო, სამეგრელოს ავტონომიური სახით შემოინახვა. მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავარი ქართველები ქართლ - კახეთისა და იმერეთის სამეფოები გადაქცეული იყო რუსეთის პროვინციებად, სამეგრელოს ისე დატოვება მისთვის ხელსაყრელი არ იყო. ეს ნათლად სჩანს მაშინდელ მიწერ - მოწერითგან, საქართველოს მოხელეებსა და რუსეთის მინისტრებს შორის. ხოლო, რათგან სამეგრელოს მმართველ წრემ მაინც ერთვვარი ერთგულობა გამოუცხადა, ძნელი იყო მათი ერთი ხელის დაკვრით მოსპობა, ამიტომ იყო, რომ ნელ - ნელა სამეგრელოსაც დამოუკიდებელი ცხოვრების დღეები დღითი - დღე აკლდებოდა; და ბოლოს, რუსეთი ეძებდა ისეთ მომენტს, როცა მას საბოლოოდ გაუქმებდა. ასეთი დრო თითქოს დადგა კიდეც.

1819 - 1820 წ. როდესაც იმერეთში რუსებმა საეკლესიო რეფორმა დაიწყეს, უკმაყოფილო იმერლობამ ისარგებლა ამ შემთხვევით და კაი ხანს სამზადისში მყოფმა, რუსებს საჩქაროდ - საბოლოოდ ბრძოლა გამოუცხადა. გავარდა ტყვია. იმერეთი ბრძოლის ცეცხლში გაეხვია; იმერეთს მოჰყვა გურია, გურიას სამეგრელო

*) იხ. პანკრატიევის რაპორტი — ჩერნიშევს (აქტები. ტ. VII, გვ 399).

და დასავლეთ საქართველოს ბრძოლის ბურუსმა დაფარა. დასავლეთ საქართველოს აღნიშნული ბრძოლა, ჩვენი განმანთავისუფლებელი ბრძოლების ისტორიაში დარჩება, როგორც საუკეთესო ნიმუში ჩვენი ეროვნული შეუერიგებლობისა.

ამ დიდ ბრძოლებში, სამეგრელო აქტიურ მონაწილეობას იღებდა. საქმე იმაშია, რომ მთავრის ერთგულობამ რუსებისადმი, ვერ მოსპო ხალხის უკმაყოფილება. რუსის ჯარები სამეგრელოშიც, ისე ველური საშუალებებს მიმართავდენ ხალხის წინააღმდეგ, როგორც იმერეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში. უკმაყოფილება დღითი-დღე იზრდებოდა და როცა მეზობელ იმერეთ-გურიაში დაიკრა ბრძოლის საყვირი, მთელი სამეგრელოც იარაღში ჩაჯდა. ჩვენ არ გვგონია, რომ როგორც მთავრის ოჯახში ისე სამეგრელოს მოწინავე წრეებში, ყველა რუსის მომხრე ყოფილიყვენ, და აღნიშნულ აჯანყებამ ეს დაამტკიცა. აჯანყების პირველ დღეებშივე, მეაბბოხეთ თავიანთი ბელადი მონახეს და ეს იყო, მთავრის ლევანის უნცროსი ძმა გიორგი ბატონიშვილი. გიორგი ბატონიშვილი რუსებისადმი უდიდესი ზიზღით შეპყრობილი, ჯერ მათდამი ლოიალურად განწყობილ ძმის, ლევანის მოკვლას მოინდომებს და როცა ამას ვერ აბერხებს, ის მტკიცედ შეუტევს რუსებს. სამეგრელომ გიორგი დადიანის ხელმძღვანელობით, სასტიკად იბრძოლა რუსების წინააღმდეგ და ბოლოს იმერეთთან ერთად, დამარცხდა. ამბოხება ჩაქრეს, ხოლო გიორგი ხელ-ფეხშე-

V

კრული მისმავე ძმამ გადასცა რუსებს *).

ამ აჯანყების დამარცხების შემდეგ, რუსებს ეძლევათ საბაბი, სამეგრელოს ავტონომიური მდგომარეობა სრულებით მოესპოთ; მაგრამ მათ ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ ამ ბრძოლაში, სამეგრელოს მთავარი ლევანი, რუსებისადმი კვლავ ლოიალური დარჩა. მეტიც, მან სამეგრელოს ხალხს ზურგი შეუქცია და ჯარით

*) ამაზედ ვრცლად იხ. ლ. კერესელიძის წერილი — „დასავლეთ საქ. ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ“ (გაზ. „თეთრი გიორგი“. № 38.

დახმარება გაუწია რუსებს. ამიტომ იყო, რომ აღნიშნული მდგომარეობა სამეგრელოში კვლავ გაგრძელდა.

1831 წ. რუსეთის იმპერატორმა, ლევანის შვილი, დავითი დაამტკიცა მთავრის მეშვიდრედ *). ხოლო 1840 წ. მთავარმა ლევან დადიანმა, მისი ხელისუფლება გადასცა დავითს, რაც რუსებმაც დაამტკიცეს**). 1846 წელს 30 ივლისს გარდაიცვალა ლევანი და საბოლოოდ მთავრობა დაიჭიდრა დავითმა.

30 აგვისტოს 1853 წელს დავითიც გარდაიცვალა და ეინაითგან მეშვიდრე, უფროსი შვილი ამ დროს იყო 7 წლისა, ამიტომ გრაფ ვორონცოვმა სთხოვა იმპერატორს, მთავრად დროებით, სანამ ნიკოლოზს 20 წელი შეუსრულდებოდა, დავითის ქვრივი, ეკატერინე, დაენიშნათ და დამხმარეთ მიეჩინათ დავითის ძმები: გრიგოლი, კოსტანტინე და ზაქარია — სამეგრელოს ეპისკოპოსი. იმპერატორის ნებართვით, გრაფ ვორონცოვმა მთავრად დანიშნა ეკატერინე და მიუჩინა დამხმარე საბჭო***). ეს მდგომარეობა გრძელდება ყირიმის ომამდე.

დაიწყო ყირიმის ომი. 1855 წ. სამეგრელოს ოკუპეტენ ომარ - ფაშის ჯარები. რუსის ჯარი მარცხდება და უკან იხევს. ამ ფრონტის ჯარს მეთაურობდა გურიის ჯარების უფროსი ბაგრატიონ - მუხრანსკი, რომელიც გაიქცა და დაბანაჯდა ხონში.

როგორც კი ომარ-ფაშა შემოვიდა სამეგრელოში და რუსის ჯარმა უკან დაიხია, მეგრელებმა იარაღი აიღეს და თურქებს მიეშველენ; ომარ - ფაშამ კი, მიმართა ეკატერინეს და სთხოვდა ზუგდიდში დაბრუნებას, მანამდე კი, სამეგრელოს დროებითი მმართველობა ჩაანდო სახლთ - უხუცესს ნიკო დგებუაძეს. 1855 წ. 31 ოქტომბერს, მისივე ხელით ეკატერინესთან მიუგზავნა წერილი, სადაც წერდა: «En attendant l'arrivée de Votre Altesse, j'accepte comme gérant à sa place Prince Nico, qu'elle a envoyé à Zougdidi, mais je l'invite, dans l'intérrêt de son fils et de ses sujets, de se porter elle-même aussitôt qu'elle pourra, à son Palais à Zougdidi pour reprendre elle-même

---

*) იხ. აქტები. ტ. VII, გვ. 399.
**) იხ. აქტები. ტ. IX, გვ. 181.
***) იხ. აქტები. ტ. X, გვ. 262.

ეკატერინე ამ დროს სცხოვრობდა სოფელ გორდში; რუსებს ეშინოდათ, ის თათრებს არ მისდგომოდა, ამიტომ ღენ. მუხრანსკი დაჟინებით სთხოვს გამოიქცეს იმერეთში. ეკატერინე კი პირველ ხანებში ცოტა ეჭვიანდება შექმნილი მდგომარეობით, აგრეთვე ანგარიშს უწევს სამეგრელოს მცხოვრებთა სურვილებს და ბაგრატიონ - მუხრანსკის უარს ეუბნება იმერეთში გაქცევაზედ.

1855 წ. 10 ნოემბერს, მთავარ-მართებელი მურავიოვი სასწრაფოდ სწერს ბებუთოვს, რომ ეკატერინე შვილებით, რაც შეიძლება მალე გადაიყვანონ ქუთაისში ან ტფილისში *).

სამეგრელოს მოწინავე წრეები წინააღუდგენ რუსების ასეთ მოთხოვნილებას; ისინი მიხვდენ რუსების ხრიკებს, და რუსებს არც ენდობოდენ, რათგან იცოდენ ალმ. საქართველოს მაგალითები. ამიტომ სამეგრელოდან დედოფლის გაწვევაზედ, სასტიკი უარი განუცხადეს.

ამაზედ თვით ეკატერინე 11 ნოემბერს 1855 წ. სწერდა ბებუთოვს, რომ ის უარს ეუბნება გურიის ჯარების უფროსს ღენ.-მაიორ ბაგრატიონ - მუხრანსკის, რათგან მთელი მოსახლეობა ჰპირდება, დაიცვას თურქთა თავდასხმისაგან **)).

ეკატერინე დასახლდა ლეჩხუმში; ცაგერის მონასტერში.

მიუხედავად ასეთი სიფრთხილისა, ომარ - ფაშის წერილი რუსებს გადასცა, და ნამუსტნის რჩევასა სთხოვდა. რუსებმა შეუდგინეს აღნიშნული წერილის პასუხი და სთხოვეს ეკატერინეს, ის გაეგზავნა ომარ - ფაშისათვის. წერილი უარჰყოფს როგორც თურქების ისე ინგლისელებისა და ფრანგების პროტექციას და არჩევს რუსეთს. მაგრამ ეკატერინემ ამჯობინა, ასეთი რამ არ გაეგზავნა და ომარის წერილი უპასუხოდ დასტოვა. ომარ - ფაშამ აქაც მიაგნო ეკატერინეს და 9 ნოემბერს 1855 წ. კიდევ მეორე წერილი მისწერა; ის არწმუნებს ეკატერინეს, რომ არც ოსმალეთს და არც მოკავშირეებს არაფერი ინტერესი არა აქვთ, გარდა იმისა, რომ სამეგრელო და მისი მეზობელი ქვეყნების დამოუკიდებლობა უზრუნველჰყონ. აი მისი სიტყვები განმეორებით:

*) იხ. აქტები. ტ. XI, გვ. 147.

**) იქვე. გვ. 148.

«J'ai assuré à Votre Altesse, que mon souverain et les hautes puissances, ses alliées, n'avaient aucun objet d'ambition, mais qu'ils désiraient voir la Mingrélie et les provinces voisines d'elles, entièrement indépendantes de la Russie et de toute autre puissance et libres sous leur propres gouvernements» *).

ომარი კიდევ ერთხელ ურჩევს ეკატერინეს, დაბრუნდეს სამეგრელოში და განაგოს თავისი ქვეყანა. თუ ის არ დაბრუნდებოდა, ამით ხელს შეუწყობს ისეთი მდგომარეობის შექმნას, რომ სულთანი და მოკავშირენი იძულებულნი იქნებიან, მათი სურვილის წინააღმდეგ სხვა ხელისუფლება დანიშნონ. ეკატერინე ამ წერილსაც ნამესტნიკს უგზავნის. სამეგრელოში მდგომარეობა მძიმე შეიქმნა. სამურზაყანოც თათრების საფაშოდ იქმნა გადმოცხადებული და ფაშად აღიარეს კაცია მარლანია. ეკატერინე კიდევ სიფრთხილეს არჩევს.

მდგომარეობა იცვლება მას შემდეგ, როცა რუსები ილებენ ყარსს. ამ დროს ეკატერინე თვით უძღვება მეგრელთა მილიციას და იმავე ნოემბერში, ის უკვე ბრძოლის ველზედ იყო თავისი ჯარის წინ.

სწორედ ამ დროს, როცა ომარი პირადად ვერას გახდა, ახლა მოკავშირეთა წარმომადგენელნი სწერენ წერილებს ეკატერინეს, ინგლისის აგენტი Longooworts-ი და საფრანგეთის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი Comte de Meffray. უკანასკნელი სწერდა: «... Il a fallu près d'un siècle d'efforts, de sacrifices à la Russie, pour conquérir bien imparfaitement le Caucase, livré à lui-même, oublié du monde eitier.

«L'Europe a maintenant les yeux ouverts, elle est décidée à ne plus souffrir que ces peuples restent plus longtemps plonplongés dans l'ignorance, qui enfante la misère, elle veut que vous entriez dans la grande famille des nations civilisées, que vous proritiez enfin des avantages, dont le ciel a été si prodigue envers Votre pays» **).

ეკატერინე ვერც ახლა ახერხებს პასუხის გაცემას; არ სჩანს, რომ ის გადაჭრით რუსეთის მომხრედ აღვიარეთ.

---

*) იხ. აქტები ტ. XI, გვ. 150 და Бороздин. Воспоминания. გვ. 41.

**) იხ. Бороздин. Воспоминания, გვ. 67.

უკვე ის ფაქტი, რომ ის ვერ ბედავს ევროპის წარმომადგენლებს პასუხი გასცეს, რუსეთის წინააღმდეგობას ნიშნავს. ეკატერინემ იცოდა სამეგრელოს ხალხის განწყობილება რუსებისადმი, და ამიტომ ფრთხილობდა.

3 ნოემბერს, ეკატერინე სწერდა ზუგდიდის მდივან-ბეგს, რომ რუსეთისთვის ტყვია არ ესროლათ და თურქებსაც არ დამორჩილებოდენ*); ამავე დროს, რუსებს უარს ეუბნება ქუთაისში წასვლაზედ, რათგან ამით თათრების და მოსახლეობის სიმპატიასაც დაკარგავდა. რუსები თავიანთ მხრივ არაფერში ენდობიან. ეს დამტკიცდა ჯერ იმით, რომ მისი გადაყვანა უნდოდათ სამეგრელოდან, მერე ცაგერში დასახლებული ეკატერინე გაავსეს ჯარშუშებით და ყოველი გზა დაუბეს, მისი თურქების ბანაკთან მისავალი **) და ბოლოს ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ეკატერინეს ჩამოართვა მეგრელთა მილიციაც, რომელსაც ის თვით უძღვა წინ ნაბადმოსხმული. ეკატერინე ამაზედ უჩიოდა მუხრანსკის ბებუთოვთან, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

აქედან სჩანს, რომ სამეგრელო მზად იყო ხელსაყრელ პირობებში განდგომოდა რუსებს; ხოლო მთავრის ეკატერინეს გაორება, მეტად ფრთხილი, მაშინდელ ქართველთა ერთი ნაწილისთვის, საერთო მოვლენა იყო და აქვე, უნდა აღვიშნოთ, რომ ქართველ საზოგადოებაში, რუსეთისადმი სიმპატია არც ერთ დროს და არც ერთ კუთხეში ამ ხარისხს არ გადასცილებია. ამიტომ საქართველოში რუსეთის ერთგულებად იწოდებოდენ მხოლოდ ასეთი ხალხი, ხოლო მიუდგომელი დაფასებით, მათ არ შეიძლება რუსეთის ერთგულნი ეწოდოს. ეს იყო განმეორება იმ ამბების, რაც მოხდა ქართლ - კახეთის და იმერეთის სამეფოებში. სამეგრელოც, ოსმალეთის შემოსვლას შეხვდა ფარული თანაგრძნობით და აშკარა წინააღმდეგობა რუსების მიმართ კი ვერ გაბედა; ამ საერთო განწყობილების გამოხატულება იყო ეკატერინეს მოქმედება. ის ზუგდიდის მდივან - ბეგისადმი მიწერილ წერილში პირდაპირ აღნიშნავს, რომ რაც შეიძლება თათრებსაც ლოია-

*) იხ. აქტები. ტ. XI, გვ. 163.

**) ამ სურათს დაწვრილებით აგვიწერს, ამ დროს ეკატერინესთან მყოფი რუსის მოხელე ბოროზდინი, თავის მემუარებში.

ლურად დახვდენ, თავი ისე მოაჩვენონ, თითქოს მათკენ არიან, ამავე დროს რუსებსაც არ აწყენინონ. ალბად, გამარჯვების სასწორი რომ თურქებისაკენ გადახრილიყო, სამეგრელო იარაღს აისხამდა რუსების წინააღმდეგ.

შესდგა პარიზის კონგრესი და 1856 წ. მარტს, ტრაქტატის ძალით, ომარ-ფაშის ჯარებმა დასტოვეს სამეგრელო, და როგორც შემდეგაც შეეტყობით, ეს ტრაქტატი საქართველოს არც ახსენებს, მიუხედავად ზემოდ მოყვანილი, საფრანგეთის წარმომადგენელ პოლკოვნიკის დაპირებისა, საქართველოს საკითხი ევროპისათვის ისე. სინტერესო არ აღმოჩნდა; ის უკვე რუსეთად იგულისხმებოდა. თუმცა საფრანგეთის წარმომადგენელმა დააყენა კონგრესზედ „შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების“ საკითხი (სიტყვა საქართველო, ყირიმის ომებში არ იხსენიება), მაგრამ რუსების წარმომადგენელმა შესძლო მისი ბანზედ აგდება, ინგლისელებს ხომ ამისთვის ყურიც არ მიუგდიათ.

ასე რომ, ამ ომმა და ზავმა რუსებს სხვა მხრივ თუ ცოტა ზიანი მოუტანა, საქართველოს საკითხს ის ოდნავაც არ შეხებია.

VI

1856 წ. ეკატერინე მიიწვიეს ჯერ მოსკოვში და მერე პეტერბურგში; ის უნდა დასწრებოდა ახალი იმპერატორის გვირგვინის კურთხევას. ეკატერინე იყო ქალიშვილი ცნობილი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის, უკანასკნელი კი იყო მეფე ირაკლის ელჩის, გარსევან ჭავჭავაძის შვილი, და ნათლული რუსეთის იმპერატრიცის ეკატერინე II-სა. მისი ოჯახი თავითგანვე ერთგვარი ცენტრი იყო მაღალ მობელეთა და რუსეთის ძველი თუ ახალი არისტოკრატიის. ეკატერინე ალექსანდრეს ასული, ამ წრეში იყო აღზრდილი და თავისი განთქმული სილამაზით, მოხიბლული ჰყავდა ყველა რუსის მოწინავე ახალგაზრდობა, რომელნიც ბედის საძიებლად მოდიოდენ ამ სილამაზის სამეფოში... მაგრამ ეკატერინეს და, ნინო, აგრეთვე, უმშვენიერესი ქალთა შორის, თუ შეიქმნა რუსის პოეტის გრიბოედოვის ცოლი და სულ ნორჩი დაქვრივდა, ეკატერინე გახდა სამეგრელოს დედოფალი. მას ბევრი ბავშობიდანვე იცნობდა, ხოლო რიცა ის სამეგრელოს დედოფალი გახდა, ახლა

უფრო ადვილი იყო. მასთან სტუმრობა და მისი სიახლოვით დატკბობა. ამისთვის ცნობის მოყვარენი, გზის ფულს არ ზოგავდენ, ბოლო სტუმართ-მოყვარე ზუგდიდის სასახლის კარი, მათთვის მუდამ ღია იყო. როდესაც დავით დადიანი გარდაიცვალა და ეკატერინე დარჩა ქვრივი, ის გახდა ქვეყნის მბრძანებელი. მისმა მდგომარეობამ შესცვალა მისი ქალობრივი ბუნება და ის იქცა ნამდვილ მმართველად. მისი თანამედროვენი გადმოგვცემენ, რომ ახალგაზრდა ქვრივი, მთელი დღე ხალხის საჩივრების მიღებასა და სხვა საქმიანობაში ყოფილა გართული.

როდესაც ზემოდ აღნიშნული ომის დროს, ის ნაბად მოსხმული ცხენზედ შეჯდება და სამეგრელოს მილიციას წინ გაუძღვება, ამ ამბავმა ხომ მთელი ზღაპრები შექმნა პეტერბურგის სასახლეში. კარის ბანოვანნი, აღტაცებით უამბობდენ ერთი-მეორეს, შეიარაღებული ქალ-ლენტრალის ლეგენდარულ ამბებს. სამეგრელო შორს იყო პეტერბურგიდან და ყოველი წვრილმანი ამბები, იქ საკმაოდ დამძიმებული ჩადიოდენ. სასახლეში შეყრილი უსაქმო ხალხისთვის, ეს დიდი გასართობიც იყო და განსაკუთრებით არისტოკრატიის ქალებისთვის საამაყოც. ასეთი სურათი ტრიალებდა იქ, როდესაც გაისმა ხმა, რომ იმპერატორის სპეციალური მიწვევით, იქ მობრძანდება სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე. ეკატერინე ეახლა რუსეთის სასახლეს, თავისი რჩეული ახალგაზრდა მეგრელებით და მანდილოსნებით. ეს კოხტა თაიგული, დიდის პატივით იქმნა მიღებული და ერთ ხანს, ის ამშვენებდა მთელ სასახლეს. ყველა მნახველი აღტაცებაში იყო, ქართველი ქალით. ის იყო ევროპიულად აღზრდილი, მის ვაუკაცური ოვრით მოსილ სილამაზეს ამშვენებდა ქართული სინაზე და თავაზიანობა...

აქ რომ ეკატერინე განცხრომაში იყო, სამეგრელოში ამ დროს ახალი ამბები ხდება.

სამეგრელოში უთანხმოება ადრეც იყო. როდესაც დავით დადიანმა თანამდებობიდან მოხსნა გიორგი დადიანი (ნიკ. დადიანის შვილი), აფხაზეთის მთავართან მისი დამოყვრების გამო (ამაზედ ქვემოდ). ის მისი ძმეებით გადაეკიდენ მთავარს; მაგრამ უფრო მძიმე იყო მეორე. ეს იყო გლეხთა აჯანყება.

აჯანყების მიზეზი ის იყო, რომ ომისგან განადგუ-

რების შემდეგ, ეკატერინე შეუდგა მხოლოდ თავის სასახლისა და კერძო მამულების აღდგენას;მთელი ხარჯი კი, კისრად დაეწვა გლეხობას, ამიტომ გლეხობა აღსდგა მიწის მფლობელების წინააღმდეგ. მათ მეთაურობდა მჭედელი უტუ მიქავა. გაჩაღდა ბრძოლა; გლეხები აწიოკებენ მემამულეებს და აღარ ემორჩილებიან.

ამ აჯანყების დროსვე გაჩნდა რუსების მომხრე პარტია, მათი მიზანი იყო, რაც შეიძლება, ადგილობრივი მთავრობა მალე გაუქმებულიყო, რათა ამით ზოგიერთი პრივილეგიები მოეპოვებინათ. მას მეთაურობდა ელიზბარ დადიანი, მომხრენი იყვენ: მზეიძეები, მიქაძეები, დგებუაძეები და სხ.

სამეგრელოს დამოუკიდებლობის დაკარგვაც ამ მოვლენას დაუკავშირდა; რუსებიც საკმაოდ ხელს უწყობდენ წყლის ამღვრევას.

ეკატერინე დაბრუნდა რუსეთითგან, ის ჩაერია საქმეში, მაგრამ ამან არავითარი ნაყოფი არ გამოიღო, რათგან ის არავითარ დათმობაზედ არ მიდიოდა. ბოლოს მან გადასწყვიტა, რუსების იარაღისთვის მიემართა.

მან მიმართა ქუთაისის გუბერნატორს ნ. კოლიუბაკინს, რომელიც თავის დროზედ, ტფილისში, ეკატერინეს ურთ-ერთი თაყვანისმცემელი იყო.

16 მაისს 1857 წელს, ეკატერინე სწერს მას: — მილებისთანავე ამისა, სენაკში გამოგზავნეთ 300 კაცი თავიანთი ოფიცრებით, რომელნიც იქმნებიან ჩემს პირად განკარგულებაში და იარაღს იხმარენ მხოლოდ ჩემი პირადი ბრძანებითო.

მდგომარეობა ხელსაყრელი იყო და კოლიუბაკინი თვით გაუძღვა ჯარს და შევიდა სამეგრელოში; ის ჩაერია შინაურ საქმეებში.

კოლიუბაკინმა აჯანყებულთა მთავარ ბანაკს ალყა შემოარტყა რუსის ჯარებით, და გამართა მოლაპარაკება.

ის ფიქრობდა ერთხელ და სამუდამოდ გაეუქმებინა სამეგრელოს აეტონომიაც. ეს აზრი, არც ახალი იყო და არც მისი საკუთრება.

კოლიუბაკინი აჯანყებულებს პირველ შეხვედრაზედვე დაპირდა, რომ რუსის მთავრობა თქვენსკენ არის და ცვლილების განთავისუფლებას მოიპოვებენთო, ამით მოატყუა მან ისინი და აჯანყება ასე ჩაქრო.

მისმა ჩარევამ და ასეთმა მოქმედებამ გამოიწვია ეკატერინეს საჩივრები მთავარობისადმი. ის უჩიოდა კოლიუბაკინს, რომ გლეხთა განთავისუფლება ჯერ სხვაგან არ მომხდარა და რატომ სამეგრელოთაგან უნდა დაიწყოს. რასაკვირველია, კოლიუბაკინის ასეთი მოქმედება, რაიმე რეფორმატორული მიზნებით არ იყო გამოწვეული, არამედ გლეხობის სიმპატიას იწვევდა, თავიანთი მიზნის განსახორციელებლად (და ისიც ვიცით, რომ გლეხთა განთავისუფლება შემდეგში, ამ პროვინციაში ყველაზედ გვიან მოხდა).

ბოლოს, ეკატერინეს საჩივრების გამო, ჭუთაისის მთავარმა გუბერნატორმა გაგარინმა, გაგზავნა საქმის გამოსარკვევად კომისია, თავისი თანამშრომლის ია. დიუკრუსაის თავმჯდომარეობით. ეს კომისია, ცხადია რუსების სასარგებლოდ მოქმედებდა. დიუკრუსაის, დედოფლის გულის მოსაგებად, ჯერ შეიბყრო აჯანყებულთა მეთაურები, მერე კი მათი გამოყენების მიზნით ისევ გაანთავისუფლა. ამას ის ასე სწერდა გაგარინს: „... მე სასარგებლოდ ვიცან მიქავა და თოდუა კვლავ გამენთავისუფლებია... ისინი შეიძლება ჩვენთვის სასაკრებლო გამოდგენ“ *).

მაშინდელი მოხელე ბოროზდინი, თავის მემუარებში სრულიად ლიად აღნიშნავს, რომ ეკატერინეს მოთხოვნა, სამეგრელოს ავტონომიის შენარჩუნების შესახებ: „ეწინააღმდეგებოდა მთელ პოლიტიკურ სისტემას რუსეთისა აღმოსავლეთში, რაც შეადგენდა დაბურობილი ქვეყნების თანდა - თანობით ასიმილიაციას, იმპერიის ძირითად სამოქალაქო უფლებებში“ **).

თვით ინგლისიც კი თავისი ჩაურევლობის პრინციპის და მიუხედავად, მაინც მსგავს პოლიტიკასაც მიმართავს, და ჩვენი ასიმილიაციის პრინციპის მიხედვით, რაგვარად შეგვიძლია, სამეგრელოსთვის გამონაკლისი გავაკეთოთო ***).

ამიტომ 20 ივლისს 1857 წ., მთავარ-მართებელმა ბარიატინსკიმ იმპერატორისაგან გამოითხოვა, სამეგრელო-

---

*) იხ. პოლტო. ტ. XII, გვ. 497.

**) იხ. ბოროზდინი. მოგონებანი, გვ. 183.

***) იქვე. გვ. 184.

ში შეედგინა ახალი მთავრობა; დიუკრუსაის კი ჩაანდო პროექტის შედგენა. ზევით მოხდა შეთანხმება.

პირველ აგვისტოს, ბარიატინსკი აგზავნის სამეგრელოში ადიუტანტ ჩესტაკოვს, ატანს წინასწარ დამზადებულ პროკლამაციას (1.000 ცალს) და აბარებს, რომ როგორც კი დედოფალს უარს ათქმევინებს მთავრობაზედ, გამოაცხადოს სამეგრელოს ანექსია. პროკლამაციით ბარიატინსკი უცხადებდა სამეგრელოს მცხოვრებთ, რომ რუსეთი თავისთავზედ იღებს სამეგრელოს მმართველს, მთავრის ნიკოლოზის წამოზრდამდე...

25 ოქტომბერს 1857 წ., ეკატერინე შვილებით გაწვეული იქმნა პეტერბურგს; ხოლო 1867 წ. 4 იანვარს, როდესაც ნიკოლოზი სრულ ასაკოვანი შეიქმნა, მისთვის სამეგრელო ალარავის დაუბრუნებია, თუმცა სამეგრელოს ავტონომიის გაუქმება ფაქტიურად 1857 წ. მოხდა, მაგრამ ფორმალურად კი 1867 წ. რუსების იძულებით, ნიკოლოზ დადიანმა უარი სთქვა მთავრის უფლებებზედ და ამიერითგან ის ფორმალურადაც მოისპო. ნიკოლოზმა კი ჯილდოდ მიიღო ერთი მილიონი მანეთი, მამულები და მინგრელსკის სახელწოდება.

ამიერითგან სამეგრელოც გადაიქცა რუსეთის ერთ-ერთ პროვინციად და მის პირველ მმართველად დაინიშნა მისი ავტონომიის გაუქმების დიდი მოამაგე კოლუბაკინი.

თავი XIV

სვანეთის სამთავროს გაუქმება

I

მდინარე ენგურისა და ცხენისწყლის სათავეებში, ბუნებას მოუბით შემოუზღუდავს პატარა სამთავრო სვანეთისა. სვანთა ტომიც უხსოვარის დროითგან შეიყვანა ბედმა, ამ გაუვალ მთებს შორის. სვანს ზაფხულს სამი თვის განმავლობაში შეუძლია მხოლოდ ცალერსის ბუნებას, ცხრა თვეს კი, მისი მიდამოები სპეტაკი თოვლით არის დაფარული. ეს მიუვალი მხარე არა ერთხელ ყოფილა მტერთა შემოსევების დროს, ქართველთა განმისა და დიდების თავშესაფარი, და ის ასეთსავე თავშესაფარად დარჩა ბოლომდე ქართველთა სიძველების, ზნე-ჩვეულებების, რელიგიის, საზოგადოებრივი ურთიერთობის და სხ. როდესაც საქართველოს ცაზედ ერთობისა და დიდების მზე ბრწყინავდა, ისიც ერთ პროვინციას წარმოადგენდა, საქართველოს გაერთიანებული სამეფოსი. თამარ მეფეს უყვარდა სვანეთში სტუმრობა; ამიტომ, სვანის მეხსიერებაში ღრმად დარჩა მისი სახელი და პატივისცემა. ისე როგორც სხვა კუთხეში, აქაც ყოველი მნიშვნელოვანი ძეგლის აგებას, სვანი დიდებული მეფის თამარის მოღვაწეობას მიაწერს.

მე-15-ე საუკ. შემდეგ, სვანეთიც დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენს. უკეთ: სვანეთი იყოფა სამ ნაწილად: პირველ ნაწილს შეადგენდა სადადიანო სვანეთი, რომელიც შესდგებოდა ლენტეხის, ჩოლურის და ლაშხეთის საზოგადოებისაგან და რომელიც ემორჩილებოდა სამეგრელოს მთავარს (ცხენის წყლის მიდამოებში); მეორე იყო თავისუფალი სვანეთი (ენგურის და მულხსეს სათავეებში), რომელიც შესდგებოდა თერთმეტი საზოგადოებისაგან. აქ ყველა იყო თავისუფალი, ყოველგვარი ბატონისაგან. მათი უმაღლესი ორგანო იყო საერ-

თო ყრილობა—ჯან ნაზუკანი; მესამე ნაწილი იყო ე. წ. სამთავრო სვანეთი, რომელიც შესდგებოდა ხუთი საზოგადოებისგან და რომელთაც პირველად განაგებდენ გელოვანები, ;ხოლო შემდეგ ის გადადის დადეშკელიანების ხელში.

II

რუსების საქართველოში დამკვიდრების დროს, სამთავრო სვანეთი დადეშკელიანების ორ შტოს ხელში იყო.

ჩებუხევს ჰფლობდა ციოხ (მიხეილ) დადეშკელიანი, ხოლო ბეჩოსა და ეცერს თათარხან (ნიკოლოზს) დადეშკელიანი; ამ ორ მფლობელს შორის იყო განუწყვეტელი ჭიშპობა, პირველობისათვის.

ვინაიდგან საქართველოს ეს ნაწილი ყველაზედ მიკარდნილ კუთხეში იყო და რუსებისთვის ნაკლებ ინტერესს შეიცავდა, ამიტომ კაი ხანს მათ ყურადღებას არ აქცევდენ რუსები. მაგრამ მათი საერთო პროგრამით, საბოლოოდ ისიც ვერ დაარჩენოდა თავისუფალი. რუსებმა სვანებს სამეგრელოს მთავარი შეუჩინეს, უკანასკნელი მათ ერთგულობდა და უნდოდა ნელ-ნელა სვანებიც შეეყვანა რუსების მფარველობაში.

ჯერ კიდევ 1830 წელს, სამეგრელოს მთავრის მზრუნველობით, ტფილისში პასკევიჩს ეახლა სვანეთის დელეგაცია და ითხოვა რუსეთის მფარველობაში შესვლა *). პასკევიჩმა ისინი დაასაჩუქრა და ისე გაისტუმრა.

1832 წელს კი, ტფილისში ეწვია როზენს, სვანეთის მთავრის ციოხ დადეშკელიანის დედა **დიგურ-ხანი**, მთავრის პატარა შვილით ბეჭირ-ბეით. მოლაპარაკების შემდეგ, როზენი პატარა ბეჭირ-ბეის იტოვებს მძევლად, ხოლო ციოხს უგზავნის პროექტს თხოვნისა და „პუნქტებს“ ხელის მოსაწერად და ფიცის მისაღებად. როზენი მათ უგზავნის ბერი გელოვანს, ალ. თარხან-მოურავს, ივ. ფალავანდიშვილს და ერთ მეგრელ სასულიერო პირს. და ციოხი შეჰყავს რუსეთის მფარველობაში.

მალე, როზენი სამეგრელოს მთავრის შემწეობით თ. თათარხან დადეშკელიანსაც შეიყვანს მფარველობაში

*) იხ. აქტები. ტ. VII, გვ. 404 (პასკევიჩის წერილი, 7 იანვარს 1831 წ., ჩერნიშევისადმი).

და მათ ორივეს, რუსები სათანადო სიგელებით ამტკიცებენ თავიანთი სამფლობელოების მმართველებად.

1842 წელს გარდაიცვალა ციოხ დადეშკელიანი და მას დარჩა მხოლოდ მცირეწლოვანი შვილები: კოსტანტინე, ალექსანდრე, ისლამი, თენგიზი (ნიკოლოზი) და ციოხი (ძიხეილი), აქედან მხოლოდ უფროსი კოსტანტინი იყო 14 წლის.

თათარხანი, რომელიც მათთან მუდმივ ქიშაობაში იყო, ისარგებლა ციოხის მემკვიდრეთ მცირეწლოვანობით და 1843 წელს, როდესაც კოსტანტინე დადეშკელიანი იმყოფებოდა სამეგრელოში, თავს დაესხა მის ოჯახს; გადაუწვა სახლი და მასში კოსტანტინეს ბებია, მოატაცა მისი და, რომელიც ტყვეობაში გარდაიცვალა, მოუკლა 17 კაცი და სამფლობელო [illegible] *).

კოსტანტინემ და სხვა მემკვიდრეებმა მიმართეს რუსებს დახმარებისათვის, მაგრამ ისინი არ ჩაერნიენ ამ საქმეში, და თათარხანი და ჯამსუხი (შვილი), ხელუხლებლად დასტოვეს. ალექსანდრე რუსეთში გაგზავნეს სასწავლებლად და კოსტანტინე დარჩა მათ წრეში. მას ყველა თავს ევლებოდა; ის ხშირი სტუმარი იყო სამეგრელოს დედოფლის, ეკატერინესი, სადაც ასწავლიდენ ცეკვას და აქ ასე ერთობოდა.

რამოდენიმე წლის შემდეგ, კოსტანტინე ახერხებს თავისი ძალებით, თავის სამფლობელოს დაბრუნებას; სწორედ ამ დროს საქართველოს მთავარ-მართებლად ინიშნება თ. ვორონცოვი, რომელიც ჩაერია მათ საქმეში და 1846 წელს, კოსტანტინე დადეშკელიანი შეარიგა თათარხან დადეშკელიანთან **).

III

სანამ სამთავრო სვანეთის ამბებს განვაგრძობდე, აქვე უნდა მოკლედ აღვნიშნო თავისუფალი სვანეთის შემოერთება.

---

*) იხ. აქტები. ტ. XI, გვ. 41 და Бороздин. Закавказския воспоминания.

**) 1850 წ. მოკვდა თათარხანი და დარჩა ორი შვილი: ოთარი და ჯამსუხი, მთელი მამულიც მათ ორს გაუყო.

როდესაც სამთავრო სვანეთში აღნიშნული ამბები ხდებოდა, სწორედ ამ დროს ვორონცოვი იღებს თავისუფალი სვანეთის დელეგატებს; ისინი სთხოვენ რუსეთის მფარველობაში შეყვანას.

ვორონცოვი აგზავნის იქ ცნობილ ნუმიზმატს პოლკ. ბარტოლომეის ადგილობრივი პირობების შესასწავლად, შემდეგ კი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეს მიხ. კოლიუბაკინს.

1847 წ. ვორონცოვი თავისუფალ სვანეთს უნიშნავს ბოქაულად თ. მიქელაძეს; მაგრამ სვანები მას ვერ იგუებენ და ორი წლის შემდეგ, ის იქითგან გარბის სამეგრელოში.

1852 წ. ისინი ისევ უახლოვდებიან ქუთაისის გენ.-გუბერნატორს გაგარინს, რუსები ისევ მიქელაძეს უნიშნავენ მმართველად. ხოლო შემდეგ კი, როდესაც სამთავრო სვანეთის ავტონომია გაუქმდება, რუსები ორივესთვის ერთ საბოქაულოს აარსებენ და 1859 წ. პირველ ბოქაულად ინიშნება ილია ამირეჯიბი *).

IV

სამთავრო სვანეთის ზემოდ აღნიშნული მდგომარეობა დიდ ხანს არ გაგრძელდა. იქ მალე კვლავ ახალი ლრანმა დაიწყება, და ისე როგორც საქართველოს სხვა სამთავროების ცხოვრებიდან დავინახეთ; აქაც, როგორც შინაური ისე გარეშე შექმნილი პირობები თამაშობენ მთავარ როლებს. პირველი იყო ყირიმის ომი და აქეთგან გაშოწვეული დაიმედება, ოსმალეთის და მოკავშირეების მიერ ქართველ სამთავროთადმი, ხოლო მეორის მხრივ, კვლავ შინაური ინტრიგა.

კოსტანტინე დადეშკელიანმა ცოლად შეირთო კესარია შერვაშიძის ქალი; კესარია იყო აღმზრდელი აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძის, და ასე კოსტანტინე დაუნათესავდა აფხაზეთის მთავარს. მაგრამ ეს დანათესავება კოსტანტინეს სარგებელს ვერ მოუტანს, რათგან სამეგრელოს დედოფალი და აფხაზეთის მთავარი გადაკიდებული იყვენ. აგრეთვე, კოსტანტინეს სიდედრი კესარია იყო და გიორგი დადიანის, რომელთანაც სამეგ-

*) იხ. პოტტო ტ. XII, გვ. 525.

რელოს მთავარს უთანხმოება ჰქონდა, ამ მიზეზების გამო, სამეგრელოს დედოფალი გადაეკიდა კოსტანტინე დადეშკელიანსაც.

ამ გაჩენილობების გამო, გამწვავდა ის დავა, რომელიც საბალაბო ადგილების გამო ჰქონდათ მათ ერთმანეთში. ერთბელ თვით კოსტანტინეს თავისი რუსეთითგან ახლად დაბრუნებული ძმით, ალექსანდრეთი (ჰქონდა ოფიცრის ჩინი), ეახლენ სამეგრელოს დედოფალს, ალნიშნული ადგილების შესახებ, მაგრამ ვერ მორიგდენ; ბოლოს კოსტანტინე მიმართავს რუსებს. თ. ვორონცოვი აგზავნის კომისიას პოლკ. ბარაფ. მალტერის თავმჯდომარეობით. ეს ადამიანი ეცუთვნოდა რუსის მხელეთა იმ ჯგუფს, რომელნიც ბრძ. ვორონცოვმა ოდესითგან ჩამოიყვანა. ვინაიდგან ამ დროს ოდესა იყო „პორტო-ფრანკო", ამიტომ ამ ხალხს ეძახდენ Porto Franco-ს. ისინი სრულიად გამოუცდელი იყვენ ქართულ საქმეებში და ეს Porto Franco-ც ვერაფერს აკეთებს ორი წლის განმავლობაში.

ამასობაში იფეთქა ყირიმის ომმაც და მან საბოლოოდ გააპო უფსკრული, რომელიც დადეშკელიანების ორი მხარის, ისე აფხაზეთის მთავრისა და სამეგრელოს დედოფლის შორის.

1855 წ. ჯამსუხ დადეშკელიანი თავისუფალი სვანეთის ერთი საზოგადოების კერძო დავალებით, მათი მეგრელებთან უთანხმოების შესახებ, ესტუმრა სამეგრელოს დედოფალს ეკატერინეს. ის ეშვილა ეკატერინეს, და ასე დაუმეგობრდა.

როდესაც ჯამსუხი სამეგრელოდგან სვანეთში ბრუნდება, ამ დროს კოსტანტინეს ძმა ისლამი დაუხვდება და ჰკლავს მას; თეიმონ მიიმალება. ამ დროს კოსტანტინე და ალექსანდრე ტფილისში იყვენ და როცა დაბრუნდენ, რუსებს უარი უთხრეს ამ საქმეში მათ მონაწილეობაზედ.

მაიორ ბაგრატიონ-მუხრანსკის მრავალ გზის წერილებზედ, 15 აგვისტოს 1855 წელს, კოსტანტინე დადეშკელიანი უპასუხებს, რომ მის ძმას ეს საქმე ჩაუდენია, მის იქ არ ყოფნის დროს, და მიზეზებსაც უხსნის, რაც უკვე ზემოდ აღვნიშნეთ *).

*) იხ. აქტები. ტ. XI, გვ. 946.

ბაგრატიონ მუხრანსკი და სამეგრელოს დედოფალი ყოველივე ღონეს იღებენ კოსტანტინეს წინალმდეგ და სცდილობენ დაუმტკიცონ ნიკოლოზ I, რომ ეს კოსტანტინემ გარკვეული მიზნით ჩაიდინაო *).

დედოფალმა ეკატერინემ შეიხიზნა ჯარმსუხის ოჯახში, ხოლო კოსტანტინე დადეშკელიანს მიუსია რუსები **).

ეს ის დრო იყო, როდესაც თურქების აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალი ომარ-ფაშა მოიწევდა და მის შემოსევას რუსები, დღე-დღეზე მოელოდნენ; ამიტომ რუსებს მათთვის არ ეცალათ. მათ მოისურვეს მხოლოდ კოსტანტინეს და ალექსანდრეს ქუთაისში გამოწვევა.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი და გურიის ჯარების სარდალი ბაგრატიონ-მუხრანსკი, რამოდენიმე-ჯერ ზედი-ზედ უგზავნის კაცს და დადეშკელიანები მის თხოვნას არ ასრულებენ; ისინი არ მიდიან ქუთაისში.

ომარ-ფაშამ აფხაზეთის ნაპირებზედ გადმოსხა 30.000 კაცი, დაამარცხა ბაგრატიონ-მუხრანსკის ჯარები და სამეგრელო დაიკავა. შეიქმნა პანიკა. დასავლეთ საქართველოში მყოფი რუსები, მოელოდნენ დღე-დღეზედ მთელ დასავლეთ საქართველოს დატოვებას. აფხაზეთის მთავარი მიხეილ შერვაშიძე ამ დროს მოსაჩვენებლად, რუსებს სამხედრო მოქმედების გეგმებს უგზავნის და ჯარს სთხოვს (რის მიწოდებაც რუსებს არ შეეძლოთ), იმავე დროს კი, ის კავშირში შედის **ომარ-ფაშასთან.** მოკავშირეების აგენტები შემოდიან კავკასიაში და ქართველ სამთავროებში დიდ გავლენას ახდენენ. ასეთი ამბები ხდებოდა, და ცხადია რუსებისგან ათვალწუნებული ქართველი მთავრები, ყოველნაირ ძალებში ხედავდენ თავის ხსნას.

კოსტანტინე და ალექსანდრე დადეშკელიანებიც***), საიდუმლოდ ეახლენ ომარ-ფაშას, რომელმაც დიდის პატივით მიიღო და ქვეყნის განთავისუფლება აღუთქვა; მაგრამ მალე 1856 წლის ზავმა მოუსწროთ და როგორც ხვეგან უკვე აღვნიშნეთ, მოკავშირეთა ჯარები სტოვე-**le trône de l'Etat»**.

---

*) იხ. აქტები. ტ. XI, გვ. 947.

**) იქვე. გვ. 41-44.

***) იხ. Бороздин. Воспоминания. გვ. 233.

ბენ დაკავებულ ადგილებს *). ვერც ამ მოვლენამ მისცა რამ საქართველოს უკანასკნელ სამთავროთ, რომელთა დამოუკიდებლობა მხოლოდ ფიქტიური იყო და დღეებს ითვლიდა; ხოლო რუსები სწორედ საბაბს ეძებდენ და აღნიშნულ გარემოებათა წყალობით, მასაც ადვილად ჰპოულობდენ. ახლაც ასე მოხდება.

V

ამ დროის რუსეთის ტახტზედ ადის ახალი იმპერატორი (ალექსანდრე II); საქართველოში ნიშნება „ნამესტნიკად" ბარიატინსკი და საერთოდ მთელ კავკასიაში ხდება ახალი ცვლილებები. მთელი დასავლეთ საქართველო იქცევა ერთ გუბერნიად, გენერალ-გუბერნატორად ინიშნება ალ. ივ. გაგარინი, ხოლო მისი შტაბის უფროსად პოლკ. ა. უსლარი (ცნობილი ფილოლოგი).

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ, უკვე რუსეთისთვის არავითარი აზრი აღარა ჰქონდა სამეგრელოს, აფხაზეთის და სვანეთის ავტონომიების შემონახვას, მით უმეტეს, ახალი ადმინისტრატიული დანაწილების მიხედვით, მათ მხოლოდ ფიქტიური სახე რჩებოდათ.

თუ როგორ მოექცენ სამეგრელოს, უკვე ვიცით; ასე მოექცენ სვანეთსაც. ახლაც აღნიშნული შემთხვევით ისარგებლეს და გადასწყვიტეს, სვანეთის ავტონომიისთვის ბოლო მოელოთ.

ამ საქმის მთავარი ინიციატივა ეკუთვნის უსლარს, ის დაიყოლიებს გაგარინსაც და ნამესტნიკსაც.

მან კიდეც შეადგინა დადეშკელიანების წინაღმდეგ საბრალმდებლო აქტი, შემდეგი შინაარსით:

1) ჯამსუხის მკვლელობა ეკუთვნის კოსტანტინე დადეშკელიანს (ჯამსუხი უკვე სამეგრელოს დედოფლის წყალობით, რუსების მომხრეთ არის აღიარებული, კოსტანტინე კი მტრად); 2) მისი კავშირი ომარ-ფაშასთან; 3) რუსების ხელისუფლების უარყოფა ომის დროს და მერეც; 4) თავისუფალ სვანეთის ბოქაულის არ შეშვება თავის მამულში.

გადაწყდა, დადეშკელიანი გამოეწვიათ ქუთაისში და მისი განაჩენი ეუწყებინათ. გაგზავნეს კაცი და დაუნიშ-

*) ხელშეკრ. ტექსტი იხ. **Ch. Samwer. Réceuil général des traités. Gottingue, t. II., p. 770.**

ნეს ვადა. კოსტანტინე დადეშკელიანმა უკვე იგრძნო რუსების განზრახვა და ფები ალ დასძრა სვანეთიდან.

მაშინ რუსებმა გადასწყიტეს, სვანეთის შეიარაღებული ძალით დაბყრობა.

1857 წ. ივლისში, ბარიატინსკიმ გასცა ბრძანება, ოთხი მხრიდან დაძრულიყო რუსის ჯარები: სამეგრელოს, წებელდის, კისლოვოდსკისა და ნალჩიკიდან. ეს ოთხი რაზმი შეიჭრა სვანეთში პოლკ. უსლარის ხელმძღვანელობით.

კოსტანტინე დადეშკელიანმა იგრძნო რა, რომ საქმე წაგებული იყო, მიეგება წინ უსლარს და სთხოვა ჯარების შეჩერება, უსლარმა განაგრძო ექსპედიცია, ხოლო კოსტანტინე ქუთაისში გაგარინთან გამოგზავნა.

კოსტანტინე ჯერ თავის ძმას, ალექსანდრეს აგზავნის გაგარინთან. ალექსანდრე რუსის ოფიცერი იყო, ამიტომ ფრიად დასტუქსეს, აპყარეს ნიშნები, შეიბყრეს და აღმოსავლეთ ციმბირში გადაასახლეს, გრაფ მურავიოვის განკარგულებაში. შემდეგ ის ბრუნდება იქითგან და სამხრეთ რუსეთში სახლდება.

ალექსანდრეს ტფილისში გამგზავრების სამი დღის შემდეგ, გაგარინთან ჩამოდის თვით კოსტანტინე დადეშკელიანი. გაგარინი მას იღებს და პასუხის მიცემას ჰპირდება მაშინ, როდესაც უსლარისგან ცნობებს მიიღებს. აფრინეს კაცი სვანეთში, კოსტანტინე კი აქ შეაჩერეს. როდესაც უსლარმა მთელი სვანეთი დაიკავა, მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, დაახლოებით ისეთივე შინაარსის ცნობები გამოუგზავნა, როგორიც თავის დროზედ გენ. კნორინგმა ჩაიტანა ქართლ-კახეთის სამეფოს შესახებ პეტერბურგში. ე. ი. ის აუწყებს გაგარინს, რომ მისი სვანეთში შესვლა, მცხოვრებლების მიერ ჯარიგად იქმნა მიღებული და სხ. უსლარმა სვანებს უკვე პირველი ბოქაულიც დაუნიშნა. უსლარი სწერს აგრეთვე გაგარინს, რომ დადეშკელიანი აღარ იქმნას დაბრუნებული სვანეთში, ის ზედმეტია *). გაგარინი თავის მხრივ, საკითხს სწყვეტს ბარიატინსკისთან შეთანხმებით.

ამის შემდეგ გაგარინი იღებს კოსტანტინეს და წინადადებას აძლევს, წავიდეს ტფილისში და იქ პირდაპირ ნამესტნიკს მოელაპარაკოს.

---

*) იხ. Бороздин. Воспоминания. გვ. 257.

კოსტანტინე მიდის ტფილისში, მაგრამ ბარიატინსკი მას არ ღებულობს; ის ელაპარაკება მხოლოდ ერთ-ერთ მოხელეს. აქეთგან მას ისევ ქუთაისში აბრუნებენ, მისი იქითგან მოცილება ცოტა უდროულად იცნეს. სვანეთის საბოლოო ლიკვიდაციამდის, კოსტანტინეს ქუთაისში ყოფნა არჩიეს. მაგრამ თან ზედამხედველი და მეთვალყურეობაც მიუჩინეს.

ბოროზდინი, რუსის იმპერიონდელი მაღალი მოხელე, დიდხანს აქტიური მონაწილე დასავლეთ საქართველოს ყველა საქმეებისა და კოსტანტინეს პირადად მცნობი, მას ძალიან კარგად ახასიათებს, და ის დრამა, რომლის მთავარი გმირიც ახლა მომავალში, კოსტანტინე შეიქმნება; ავტორის მიაჩნია, რუსების უსაზღვრო უტაქტობის და თავშეუკავებლობის შედეგად, რომელთაც დიდად მოსთმენი და კეთილი გულის კოსტანტინე დადეშკელიანი მოთმინებიდან გამოიყვანეს...

კოსტანტინე კაიხანს რჩება ქუთაისში. სვანეთში საქმეების მოთავეების შემდეგ უსლარიც ჩამოდის ქუთაისში, მაგრამ ის ძალიან გაურბის კოსტანტინეს; ეშინია მასთან შეხვედრის.

ამ ხანებში, როდესაც დადეშკელიანი თითქმის მუდმივ იმერეთის წარჩინებულთა წრეში ტრიალებდა, ვილაცამ ურჩია, წერილით ნაპოლეონ III-თვის მიემართა, რათა მას რუსეთის იმპერატორის წინაშე შუამდგომლობა გაეწია, სვანეთის სამთავროს აღდგენისათვის. მან კი დეც მონახა ვილაც პოლონელი ექიმი (?) და ეს წერილი დააწერინა, მაგრამ წერილი მალე მის ზედამხედველს ბარტოლომეის ჩაუვარდა. სჩანს, რუსებმა განგებ მოუწყეს ეს, უშუალო საბუთის ხელში ჩასაგდებად, მათ წინააღმდეგ. ინტრიგის ავტორი კი, იყო ბარტოლომეი, რომელიც კოსტანტინეზედ გადაკიდებული იყო. ასე მოატყუეს პოლიტიკურ ინტრიგაში უვიცი კოსტანტინე დადეშკელიანი.

მაგრამ როდესაც ბარტოლომეი ამ აქტის გამო სცდილობს ნამესტნიკს კოსტანტინე მოღალატედ წარუდგინოს, ბარიატინსკის მაინც დიდად არ მოეწონა ეს ინტრიგა, ხოლო თავითგან ხიფათის ასაცილებლად, უსლარის თხოვნით, ნამესტნიკმა დადეშკელიანს რეზიდენციად გადაუწყვიტა ერეკანი, საიდანაც ალბად მომავალში მოელოდა რუსეთში გადასახლება.

22 ოქტომბერს, შუადღის სრულ 12 საათზედ, როდესაც გაგარინი სამეგრელოში უნდა გამგზავრებულიყო, სამეგრელოს ავტონომიის ლიკვიდაციის საქმეებზედ, მანამდე მოისურვა ნამესტნიკის ბრძანების გადაცემა, კოსტანტინე დადეშკელიანისადმი და მისი უკანასკნელი ნახვა.

კოსტანტინე ამ დროს ეკლესიაში ლოცულობდა (იყო წირვა), გაგარინის კაცი პირდაპირ ეკლესიაში შედის და ლოცვის დროს მოახსენებს: — თქვენო ბრწყინვალებ ვ, გენერალ-გუბერნატორმა გამომგზავნა თქვენთან, რათა ახლავე ეახლოთ მას

— როგორ, ეხლავეს ხომ ხედავთ რომ მე ვლოცულობ. გადაეცითო, რომ როდესაც მე ვლოცულობ, სხვა საქმე ჩემთვის არ არსებობს; წირვის შემდეგ კი, მე მოვალ.

ეს საზარელი ამბავი წმიდა გრძნობებით შეპყრობილ ადამიანს შეუტყობინეს. ბოროზდინი თავის მემუარებში კოსტანტინეს იშვიათ მომთმენ ადამიანად ახასიათებს *), მაგრამ წარმოიდგინეთ, ღრმათ მორწმუნე მთის შვილი, თავისუფლების მოტრფიალე სვანეთის ახალგაზრდა მთავართან მოდის მოკიქული, ლოცვის დროს და მას უხმობს მისივე უბედურობის უწყებისათვის! ქვა უნდა ყოფილიყო ძისი გული, რომ ეს მძიმე ბოლმა გადალეტანა... ცოტა ხანში კიდევ უკანვე ბრუნდება გაგარინის კაცი და კვლავ ლოცვის დროს, იმასვე მოახსენებს კოსტანტინეს.

ახლა კი დადეშკელიანმა ერთი სიტყვით უთხრა — კარგი! მაგრამ ის, როგორც ტყვია, ისე მოხვდა გაგარინის მოკიკულს. მაშინადვე პირველი გადიწერა, აილო ქუდი და წავიდა. ადამიანის ფსიქოლოგიის დაკვირვებული მკვლევნე, მიხვდება, რომ თქმულ — „კარგი"-ში უკვე ნაშობი იყო ის რისხვა, რომელსაც მხოლოდ გარეგანი გამოხატვაღა აკლდა...

კოსტანტინე პირდაპირ გაგარინის კაბინეთში შედის. გაგარინი გააცნობს ნამესტნიკის ბრძანებას, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ მისი საქმე გადაცემულია იმპერატორისადმი, მანამდე კი ის უნდა წაბრძანდეს ერევანში.

დადეშკელიანი უპასუხებს, რომ ნამესტნიკის და იმ-

*) იხ. Бороздин. Воспоминания. გვ. 269.

პერატორის ურჩობა მას ორივეს უფიქრია, მაგრამ მი-
სი ოჯახური მდგომარეობა მას ნებას არ მისცემს ურეეან-
ში წასვლისა. ამისათვის ის სთხოვს, დროებით სვანეთში
დაბრუნებას, ოჯახის საქმეების მოგვარებისათვის, რო-
მელიც უკვე სამი თვეა არ უნახავს და მერე ისევ და-
ბრუნდება.

კოსტანტინე ბევრს ემუდარა გაგარინს, და ბოლოს
გაგარინი საბოლოო უარით ამთავრებს აუდიენციას და
რომ უნდა გავიდეს, ამ დროს იელვებს ჰაერში დადეშ-
კელიანის ხანჯალი და გაგარინს გაატარებს; გაშმაგებული
მთავარი ეცემა იქ მყოფთ და კიდევ სამ პირს ჰკლავს.
შემდეგ გარბის და უნდა რიონი გასცურაოს, მაგრამ ამას
ვერ შესძლებს და იქვე ახლოს ვინმე ბაქრაძის ოჯახში
შეაფარებს თავს; რუსები მაშინადვე ალყას შემოარტყა-
ვენ, შეიბყრობენ, გადასცემენ სამხედრო სასამართლოს,
რომელიც სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტს და მეორე
დღესვე ხვრეტენ.

ასე ტრაგიკულად დამთავრდა სვანეთის ბედიც; იმ
ქვეყნის, სადაც ათასეულ წლათა, შორეულ წარსულში,
იაზონი და ეგვიპტის მეფე სეზოსტრისი მოილტოდენ
ხომალდებით ამ „ოქროს მატყლოვანი ვერძის" სამდიდ-
რეთა დასაბყრობათ, სადაც სტრაბონის სიტყვით „ამბო-
ბენ, რომ მთაში დიან ოქრო ნარეცი მდინარენი". შო-
რეულ საუკუნეებში შეხიზნული ერთ-ერთი ქართველი
ტომი, სვანეთის მრისხანე ბუნებამ, შორს დასტოვა ახა-
ლი ცივილიზაციისგან. ის ვერ შეეხო მათ პრიმიტიულ
სულს და სვანი ბოლომდე დარჩა გაშიშვლებულ ბუნების
შვილად, ხოლო ხანგრძლივმა არსებობამ მისცა თავისე-
ბური მორალი, ადათ-ჩვეულებები, რელიგიური გრძნო-
ბები და შეუქმნა საზოგადოებრივი ურთიერთობის, თა-
ვისებური ფორმები. და რა გასაკვირველია, რომ იმ ხალ-
ხმა, რომელიც გუშინ მათრახით აზიარეს, ახალ ცივი-
ლიზაციას, რომელიც გუშინ გამოეცდა სამოქალაქო
ცხოვრების სარბიელზედ, ვერ გაიგო სვანეთის ხალხი და
ის ბარბაროსად აღიარა. ასეთსავე საქციელად ჩასთვა-
ლეს რუსებმა დადეშკელიანის მოქმედება. სხვა გვარად
არც შეეძლოთ მისი ახსნა...

ამის შემდეგ კი, სვანეთის საქმე გათავებული იყო.
რუსებმა მაშინადვე გამოიწვიეს კოსტანტინეს ძმები და
მცირეწლოვანი ბავშვები და რუსეთში გადაასახლეს. და-

დეშკელიანთა ამ შტოს მამულებს, რუსეთის ხაზინამ კონფისკაცია მოუხდინა.

მაშინადვე ეცერის და ბეჩის მფლობელს, თენგიზ დადეშკელიანსაც აჰყარეს ყოველივე უფლება *) და დასტოვეს ის როგორც კერძო მფლობელი, უბრალო თავადის უფლებებით.

ამგვარად 1858 წ. **) სამუდამოდ გაუქმდა სვანეთის ავტონომია და იქ ბარიატინსკის ძრძანებით, დაარსდა საბოქაულო საშმართველო, ხოლო 1860 წ. დაუქვემდებარეს სამეგრელოს მმართველობას.

---

*) С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом., т. I, стр. 135.

**) იხ. პოტტო. ტ. XII, გვ. 522.

თავი XV

აფხაზეთის სამთავროს გაუქმება

I

როდესაც ოსმალეთმა დასავლეთ საქართველოზედ თავისი გავლენა გაავრცელა, ამის პირველი მსხვერპლი აფხაზეთი იყო, რათგან ზღვით მათთან ადვილად მიდიოდენ.

მე-18-ე საუკ. მეორე ნახევარში, თურქების გავლენა იქამდე ძლიერი იყო, რომ ისინი შინაური საქმეებშიც ერეოდენ. მაგალითად, ამ დროს მთავრის გვარში დავა იყო ატეხილი, ამიტომ სოხუმის ფაშამ, შერვაშიძეები ოსმალეთში გადაასახლა. მაგრამ შემდეგ, აფხაზეთის თხოვნით დააბრუნეს ერთ-ერთი ძმა მთავრის, ზურაბ შერვაშიძე და მთავრად ის გამოაცხადეს. ამ დროს აფხაზეთში გაძლიერდა ძიაპშ-იპას საგვარეულო, რომლის მეტოქეობისაც ეშინოდა ზურაბს. ამ გვართან მეგობრობის დასამყარებლად, მათი ერთი ქალი შერთო თავის ძმის, ყოფილი მთავრის, მანუჩარის შვილს, ქელეშ-ბეის.

როდესაც შიგნით მდგომარეობა გაიმაგრა ზურაბ შერვაშიძემ, შეებრძოლა თურქებს, სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად; მაგრამ თათრებმა ის დასაჯეს იმით, რომ მთავრობა ჩამოართვეს და მის მაგიერ დანიშნეს ქელეშ-ბეი.

ქელეშ-ბეის ოჯახში უსიამოვნება იყო. რათგან მას ცოლი, პოლიტიკური ანგარიშით შერთეს, მისგან შეძენილი შვილის, ასლან-ბეის მთავრად გამოცხადება არ უნდოდა. მან თავის მემკვიდრედ აირჩია, მეორე ცოლისგან შეძენილი სეფერ-ბეი.

ამ ნიადაგზედ, ასლან-ბეის დედის ძლიერი საგვარეულო, გადაეკიდა ქელეშ-ბეის.

ქელეშ-ბეის გასაკვალი არ ჰქონდა, თურქები არ ჩა-

ურიენ მის საქმეში; ამიტომ მან რუსებს მიმართა დახმარებისათვის.

ასე წარმოიშვა ორი მიმართულება. ერთი მთავრის, რომელიც რუსებისკენ იჭერს პირს, და მეორე მისი შვილის, ასლან-ბეის, რომელიც უფრო ძლიერია და რუსების წინააღმდეგია *).

ეს შინაური ბრძოლა საერთო ხასიათს იღებს; მთავარს გადაეკიდა არა მარტო შვილი, არამედ აფხაზეთის დიდ უმრავლესობა, სასტიკი წინააღმდეგი იყო მისი რუსებთან ურთიერთობისა.

ქელეშ-ბეიმ იცოდა, რომ ხალხის ჩვეულებით ის მეორე შვილს, მთავრად ვერ გამოაცხადებდა. კიდევ იმიტომ, რომ ის იყო შვილი დაბალი წრის ქალისაგან. ამიტომ უკვე 1808 წელს, მიართვა იმპერატორს თხოვნა, რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ, დარწმუნებული, რომ ისინი შვილის მთავრად დამტკიცებაში დაეხმარებოდენ. ამავე დროს სეფერ-ბეი მონათლა, დაარქვა გიორგი, და შეირთო სამეგრელოს მთავრის, კაცია დადიანის ქალი, თამარი.

როდესაც ასლან-ბეის მომხრეებმა შეიტყეს მთავრის რუსებისადმი მიმართვა, შოუწყეს შეთქმულება. მაშინ ქელეშ-ბეიმ ძიაპშ-იპას საგვარეულოდან, მოტყუებით, მოსალაპარაკებლად მოიწვია სამი წევრი და სიკდილით დასაჯა. ამის შემდეგ კი, თვით შვილი ასლან-ბეი ჰკლავს მამას, თურქების დახმარებით იღებს სოხუმს და აფხაზეთის მთავრად ცხადდება.

სეფერ-ბეი სამეგრელოს დედოფლის შთამგონებით, კიდევ მიართმევს თხოვნას, რუსეთის მფარველობაში შესასვლელად. თუმცა, როგორც ქვემოდ ვნახავთ, აფხაზეთის მფარველობაში მიღებას, თურქების მორიდებით, ჯერ არ ჩქარობდენ; მაგრამ, რათგან სეფერ-ბეი ანუ გიორგი ერთგულობას იჩენდა, მაინც მას დაუჭირეს მხარი **). თუმცა სიკვდილის წინ ქელეშ-ბეიმ კიდევ შეიცვალა აზრი და მთავრად მესამე შვილი (მესამე ცოლისგან), ბათალ-ბეი დანიშნა, მაგრამ გუდოვიჩმა ამას ანგარიში არ გაუწია და სეფერ-ბეი ანუ გიორგი დანიშნეს მთავრად.

---

*) იხ. პოტტო. ტ. III, წ. II, გვ. 540.
**) იხ. პოტტო. ტ. III, გვ. 542.

II

ქელეშ - ბეიმ პირველად ციციანოვს მიმართა, რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ, მაგრამ მისმა სიკვდილმა დაასწრო. ხოლო შემდეგ მიმართა იმპერატორს, მაგრამ რუსებს ამ ხანებში ცოტა მეტყველება ეტყობათ, ერიდებოდათ თურქების.

5 ოქტომბერს 1806 წელს, ხარონ ბუდბერგი საიდუმლოდ სწერდა საქართველოს მთავარ - მართებელს გუდოვიჩს, რომ თათრებთან ურთი-ერთობის ახლანდელ მდგომარეობაში, საჭიროა დაყვავება ყველა იმ მფლობელებისა, ვინც ჩვენთან ერთგულებას გამოიჩენენ. და იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთთან ჩვენი უთანხმოება გამოცხადდა — თქვენ ქელშ - ბეის მაშინადვე განუცხადეთ, რომ ის უკვე მიღებულია ჩვენს მფარველობაში და დაჰპირდით, რომ ის იქნება დატოვებული მემკვიდრეად თავისი სამფლობელოსი. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ავჩქარდებით გამოგიგზავნოთ სიგელი და სათანადო ნიშნები *).

13 ივნისს 1808 წელს, გრაფ ირუმიანცევი სწერს გუდოვიჩს, რომ სეფერ - ბეის თხოვნა მიღებულია და ის მიღებულ იქნება მფარველობაში; მხოლოდ გააფრთხილოს და ჯერ საიდუმლოდ შეინახოს, სანამ პორტასთან მოლაპარაკება გათავდება **).

მოლაპარაკებას გუდოვიჩი ფხიზლად თვალს ადევნებდა, და ეძებდა შემთხვევას, აფხაზეთის საკითხი ფორმალურადაც გადაეწყვეტა. ამ გარემოებას ორი მიზეზი აჩქარებდა, აფხაზეთის შინაგანი მდგომარეობა და თვით რუსების დიდი ინტერესი, ამ მხარისადმი..

აფხაზეთის მდგომარეობა ასეთი იყო: სეფერ - ბეი, (გიორგი შერვაშიძე) რუსებს ემუდარება მფარველობაში შესასვლელად, ხოლო აფხაზეთი წინააღმდეგია. ასლან-ბეი ხარბებლობს ჯერ ხალხის განწყობილებით და მეორე თურქების აშკარა დახმარებით, იძენს დიდ გავლენას. რუსები გიორგის ეხმარებიან, ისინი აიძულებენ სამეგრელოს დედოფალსაც, დაეხმაროს მას. სამეგრელოს დედოფალი და მისი სიძე მანუჩარ შერვაშიძე აგზავნიან

*) იხ. აქტები. ტ. III, გვ. 193.
**) იხ. აქტები. ტ. *III, გვ. 206.

ჯარებს სოხუმის ასაღებად, სადაც გამაგრებული იყო ასლან-ბეი; მაგრამ მალე ასლან-ბეის დასახმარებლად შავ ზღვაზედ გამოჩნდება ბათუმის ფაშის, ქუჩუკ ბეგის 3 ხომალდი, ხოლო ჩერქეზეთიდან მოეშველება 300 კაცი და შანუჩარი უკან იხევს. გიორგი მხოლოდ მოლაპარაკების საშუალებით, გამოიხსნის ასლანისაგან უნტროს ძმას, ბატალ-ბეის და დედას, ხოლო სამაგიეროდ აძლევს მძევლებს.

ასეთ მდგომარეობაში იყო აფხაზეთი. გარკვეულია, რომ თუ თურქების და რუსების მხარეთ, ჩამოვაცილებთ აფხაზეთში მომქმედ ორ მოპირდაპირე გიორგის და ასლანის პარტიას, აფხაზეთის მთელი ერი უკანასკნელის მომხრეა, ე. ი. სრულიად წინააღმდეგია რუსების; მაგრამ რუსებს უნდათ აფხაზეთის ხელში ჩაგდება.

აფხაზეთის მნიშვნელობაზედ, გუდოვიჩი გრაფ სალტიკოვისადმი მოხსენებაში შემდეგსა სწერდა: „... აფხაზეთის დაბურობით, ჩვენ გვექნება შემდეგი სარგებლობანი: ჩვენს ხელთ იქნება საუკეთესო ადგილები შავი ზღვის ნაპირებზედ, რომელიც მდიდარია სანავთნო მშენებლობის ტყით. გვექნება ადგილი მისავალი ყირიმთან, და ბოლოს ჩვენ გვექნება ორი ციხე, სოხუმის და ანაკლიის. მაშასადამე, ამ მხრიდან სამეგრელოც იქნება დაზღვეული“ *).

14 ივლისს 1808 წელს, გრაფ გუდოვიჩი წინადადებას აძლევს, აფხაზეთში რუსის ჯარის უფროს გენ. რიკგოფს, რათა წარადგინოს ახალი მთავრის სეფერ-ბეის, რუსეთის მფარველობაში შესვლის თხოვნა და დამტკიცების შემდეგ, გამოგზავნოს მძევლად მისი უფროსი შვილი და აგრეთვე დაეხმაროს, ასლან-ბეის სოხუმის ციხიდან განდევნისათვის **).

გიორგი შერვაშიძე აგზავნის რუსეთის მფარველობაში შესვლის თხოვნას. აქვე უნდა ითქვას, რომ ქართლ-კახეთის მეფის ელჩების მიერ, პეტერბურგში წარდგენილი თხოვნის შემდეგ, კავკასიის ყველა მთავრები, ისევე შინაარსის თხოვნებს აძლევენ ხოლმე. ასე მოიქცა სამეგრელო, გურია, იმერეთი და ასეთი ხასიათისა იყო აფხაზეთის მთავრის თხოვნაც, რომელიც გულისხმობდა

*) იხ. აქტები. ტ. III, გვ. 209.
**) იხ. აქტები. ტ. III, გვ. 206-7.

სამთავროს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, არსებულ დინასტიაში მემკვიდრეობითი წესის დაცვით.

17 თებერვალს 1810 წ. იმპერატორი ალექსანდრე I, იღებს მას მფარველობაში და გიორგი შერვაშიძეს ამტკიცებს აფხაზეთის მთავრად *).

ამ აქტმა წააქეზა ასლან - ბეი და მან აფხაზებისა და -თურქების დახმარებით, მალე გიორგი შერვაშიძე განდევნა აფხაზეთიდან. საფარ - ბეი მოდის ჯერ სამეგრელოში და მერე ქუთაისში.

კიდევ ერთხელ გამოირკვა, რომ რუსები გიორგის ძალათი აბვევდენ თავს აფხაზებს.

ქუთაისში ყოფნის დროს, მოუსწრო გიორგის ცნობამ, რომ მას ეკრძალა იმპერატორისგან სიგელი და სამეფო ნიშნები; ამის შემდეგ, რუსებს მეტი აღარ დარჩენოდათ, თუ არა ასლან - ბეის ძალით განდევნა და აფხაზეთის დამორჩილება.

9 იულისს 1810 წელს, რუსის ჯარი იღებს სოხუმს და შემდეგ ფოთს, განდევნის ასლან - ბეის და სეფერ - ბეის აცხადებს აფხაზეთის მთავრად გიორგი შერვაშიძის სახელით.

III

გიორგი შერვაშიძე გახდა მთავრად რუსეთის იარაღის წყალობით, ამიტომ ხალხი მას არ ენდობოდა. ხალხის სიმპატიები იყო უნცროსი ძმის ჰასან - ბეისადმი. მას არც სხვა ძმები ემორჩილებიან და ყველა თავიანთ სამფლობელოს, თვითონ განაგებდა; ასევე არ დაემორჩილა ქამურზაყანო და ბოლოს გიორგის შეერჩა მარტო თავისი სამეგვიდრო მამულები.

12 მაისის 1812 წლის რუსეთ - ოსმალეთის ბუხარესტის ხელშეკრულების მე - 4 - ე მუხლში *) ნათქვამია: „... პორტას საზღვრები უნდა იქმნენ აღდგენილი ისე, როგორც იყო ეს ომის დაწყების წინ, ამიტომ რუსეთი მოვალეა დაუბრუნოს ოსმალეთს ყველა ადგილები და სიმაგრეები, მის მიერ იარაღით დაბყრობილი“.

*) იხ. პოტტო. ტ. III, წ. II, გვ. 543.

**) იხ. Martins. Recueil général des traités. t. III. p. 397 Gotingue 1818.

მართალია, ამ ტრაქტატში აფხაზეთი სრულებით ნახსენები არ არის, მაგრამ აღნიშნული მუხლით, ყველაფერი ნათელია, რომ რუსებს უნდა დაეთმოთ ფოთიც და სოხუმიც, რომელიც სწორედ იარაღით დაიბყრეს. მაგრამ რუსებმა მათ მხოლოდ ფოთი გადასცეს, ხოლო სოხუმი არ დაუბრუნეს..

რუსული თავიანთ მოქმედებას ასე ასაბუთებდენ: რატიშჩევი სწერდა იმპერატორს, რომ სოხუმი ეკუთვნის აფხაზეთის მფლობელს, ხოლო უკანასკნელი კი, ყოველთვის დამოუკიდებელი იყო ოსმალეთისაგან, ამიტომ არ არის ის მოხსენებული ბუხარესტის ტრაქტატში და სოხუმიც ამიტომ ჩვენ გვეკუთვნისო.

მინისტერი რუმიანცევიც ასე ამაგრებდა მთავარ-მართებელს, რომ ტრაქტატის მე-4-ე მუხლი, არ ეხება იმ ადგილებს, რომელნიც წინად თავიანი ნებით არიან შემოსული ჩვენს მფარველობაში.

ამიტომ ავალებს, რომ ყველა ადგილები, რომელიც მის ინსტრუქციაში იგულისხმება, დაიცვას თურქების ძალმომრეობისაგან. ცხადია, ამაში იგულისხმება დასავლეთ საქართველო მთლიანად, რათგან იმერეთში უკვე ამდროს ანექსია იყო მომხდარი, და გურიისა-სამეგრელოაფხაზეთიც ფორმალურად რუსეთის მფარველობაში იყვენ შესულნი.

ზავის ასეთი პირობებით ოსმალეთი ვერ დაკმაყოფილდა, ამიტომ მან დაიწყო ზოგიერთი ადგილების უკან მოთხოვნა. ამას ხელს უწყობდა, აფხაზეთის შინაური მდგომარეობაც. თურქებმა გაგზავნეს კაცები აფხაზეთში და ხმები გაავრცელეს, რომ აფხაზეთი ოსმალეთს დარჩაო. ამით უნდოდათ საზოგადოების აჯანყება; თითქმის მთელი აფხაზეთი ოსმალეთის მხარეს იყო. ოსმალეთი აღნიშნული ზავის პირობით, რუსეთისგან მოითხოვდა: იმერეთს, სამეგრელოს, გურიას და აფხაზეთს, თუმცა აფხაზეთი მზად იყო, იარაღი აელო ხელში და რუსებს შეესრძოლებოდა, მაგრამ ახლაც სამე მარტო იარაღით ვერ გადასწყდებოდა. რუსებმა გაგზავნეს დიდძალი ჯარები. პოლკ. მერლინის ხელმძღვანელობით, და ასლან-ბეის ძალები გაჰფანტეს.

მაგრამ ყველაზედ საკარგებლოდ რუსეთისთვის ამ დროს მოქმედებდა საერთაშორისო ვითარება. როგორც არა ერთხელ დავრწმუნდით, კავკასიაში თითქმის ყოვე-

ლი მნიშვნელოვანი საკითხი სწყდება, საქმეთა საერთო მსვლელობაში; რომ მათი პოლიტიკა აქ, იყო ნაწილი მათი პოლიტიკის საერთო სისტემის. ამიტომ აქ გამარჯვება ყოველთვის იყო ხოლმე შედეგი სათაეში გამარჯვებისა. ახლაც, ოსმალეთის მოითხოვილების ფერთები შეაკვეცა ნაპოლეონის საბოლოო დამარცხებამ და რუსეთის გამარჯვებამ.

IV

აფხაზები განაგრძობენ მთავრობის ურჩობას. მათ ზურგს უმაგრებდა ოსმალეთიც, და ბოლოს ისინი იდეურად დაკავშირებული იყვენ საქართველოს დანარჩენ ნაწილებთან, სადაც სრული შეუერიგებლობა სუფევდა და აღმოსავლეთიც და დასავლეთ საქართველოც მუდმივ აჯანყებებით იყო მოცული. ამიტომ აფხაზეთი ფაქტიურად, ჯერ არავითარ კავშირში არ იყო რუსებთან. ამ დროზედ დუბროვინი სწერს: „აფხაზეთი მხოლოდ რუმბაზედ იყო შეტანილი რუსეთის მფარველობაში, ხოლო სინამდვილეში, ჩვენი ძალა - უფლება ამ მხარეში, იყო ყოველად უმნიშვნელო“.

როდესაც იმერეთის და გურია - სამეგრელოს აჯანყება ჩააქრეს რუსებმა, არ გასულა რამოდენიმე თვე და მან ახლა აფხაზეთში იფეთქა.

7 თებერვალს 1812 წელს, გარდაიცვალა აფხაზეთის მთავარი გიორგი შერვაშიძე. მეორე დღესვე ჰასან - ბეის მომხრეებმა დაიწყეს აჯანყება და სოხუმის ახლო-მახლო სოფლებში მყოფ რუსებს თავს დასხმენ. სოხუმის ციხის კომენდანტმა მაშინადვე მიაშველა ჯარი, ერთი ზარბაზნით.

რუსების გავლენა ამ დროს სოხუმს არ სცილდებოდა. ამიტომ გენ. ველიამინოვი მოითხოვდა, რომ აფხაზეთში შესულიყო ორი ბატალიონი ჯარი. თამარიც (მთავრის ცოლი) სთხოვს რუსებს დახმარებას, მაგრამ ადგილობრივ მყოფ რუსს ჯარს არაფერი არ შეეძლო. ამიტომ იმერეთის მმართველი წინადადებას აძლევს სოხუმის კომენდატს, მან მხოლოდ ციხე დაიცვას და აფხაზეთის შინაურ საქმეებში ნუ ჩაერევა, ხოლო უკიდურეს

*) იხ. დუბროვინი. ტ. VI, გვ. 456

შემთხვევაში, ცხენში თავშესაფარი მისცეს მთავრის ცოლს, თამარს.

ბოლოს, როცა მისჭირდა საქმე, გორჩაკოვის რჩევით, აფხაზეთის დროებით მთავრად ველიამინო

როცა აფხაზეთში მდგომარეობა გართულდა, ერმოლოვმა დააჩქარა, პეტერბურგიდან დროზედ გამოეგზავნათ დიმიტრი შერვაშიძე, მთავრის შვილი და ტახტის მემკვიდრე, რომელიც იქ იზრდებოდა.

ასლან - ბეი დიდი ჯარით მოადგა სოხუმს და კაცები მიუგზავნა რუსებს, ის ჩაგბარებინათ; როცა უარი მიიღო, 11 ოქტომბერს, ცხენოსან ჯარით მიდის ის სოხუმზედ. რუსები შიშმა მოიცვა, რათგან დღითი - დღე ასლან - ბეის ჯარები ემატებოდა. მთავე ეხმარებოდენ ჩერქეზები.

ასლან - ბეი მალე ხდება მთელი აფხაზეთის ბატონად. 21 ოქტომბერს 1821 წელს, გენ. ფულიამინოვი სწერდა: „... თ. გორჩაკოვის უკანასკნელი ცნობით, მამის მკვლელმა ასლან- ბეიმ, ჩერქეზთა დახმარებით, დაიკავა მთელი აფხაზეთი; აფხაზეთის მმართველი თამარი, მიტოვებულ იქმნა ყველა მისი ერთგულების მიერაც, რომელნიც შეუერთდენ მეამბოხეებს“ *).

რუსებმა დასძრეს დიდძალი ჯარები და შევიდენ აფხაზეთში. სანამ ტახტის მემკვიდრე ჩამოვიდოდა, რუსები უკვე აწარმოებენ აფხაზეთის სოფლების აოხრებას. წებელდაში აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნილი იქმნა პოლკ. აფხაზი. აი რას სწერს რუსის ისტორიკოსი დუბროვინი: „... მან საფუძვლიანად გაანადგურა დაუმორჩილებელი სოფლები. მოსპო მათი სანოვაგე, გაჰკაფა ვენახები, გაჰფანტა მცხოვრებნი და თავადები აიძულა, ჩერქეზეთში გაქცეულიყვნენ **).

მალე დაბრუნდა პეტერბურგიდან დიმიტრი შერვაშიძეც და დიდძალი რუსის ჯარით შევიდა აფხაზეთში. გამოაქვეყნა მანიფესტი და ხალხს მოუწოდა, მას დამორჩილებოდა.

ამ მოწოდებას, არ შეიძლებოდა რაიმე ნაყოფი გამოეღო, რადგან მას მოუძღოდა რუსის ჯარი.

ასლან - ბეი გადაეღობა წინ და რუსებს ბრძოლა გაუმართა; რუსებმა მალე მოიშველეს სამეგრელოს ჯარიც და ნელ - ნელა აფხაზები დაამარცხეს.

1821 წ. 1 ნოემბერს, გამოაცხადეს დიმიტრი შერვა-

---

*) იხ. აქტები. ტ. VI, წ. I, გვ. 659.
**) იხ. დუბროვინი. ტ. VI, გვ 469.

შეძე მთავრად, ხოლო 30 ნოემბერს, მოახდინეს აჯანყების საბოლოო ლიკვიდაცია.

ამგვარად, ნახევრად გარუსებული დიმიტრის დასმა, როგორც იყო მოახერხეს რუსეებმა და ისიც ჯარითა და ძალადობა ასეულ აფხაზთა სისხლის დაღვრით, და მათ თვითონ მისცეს დირექტივები, რათა ის რუსეთის ერთგული ყოფილიყო მუდამ; აგრეთვე უბრძანებენ, ყველა მისი გვარის წევრები, ვინც რუსეთის წინააღმდეგნი იყვენ, აფხაზეთში არ შეეშვა. გორჩაკოვი სწერდა: „... მათ მიერ დაღვრილი რუსის სისხლი უნდა გადახდილ იქმნას შთამომავლობიდან შთამომავლობამდე, და უმაღლესი სარდლობის სახელით თქვენს ბრწინვალეობას ევალება მათი დევნა ყველგან“ *).

დიმიტრი აფხაზეთისთვის მიუღებელი იყო. მან აფხაზური ენაც არ იცოდა. რუსები გრძნობდენ, რომ აფხაზები მას არ დაემორჩილებოდენ, ამიტომ თავადებს წინასწარ, მძევლები ჩამოართვეს.

დიმიტრიმ მიმართა ჯიქეთის თავადებს, რათა ასლანბეი არ გაეშვათ თავიანთ სამფლობელოში; ხოლო ჯიქეთის მცხოვრებთ შემოუთვალეს დიმიტრის, რომ მას ისინი არ სჯნობენ შერვაშიძის მემკვიდრედ. მათ გაგზავნილ კაცებს სიტყვა-სიტყვით შემდეგი უთხრეს: — ის რომ შერვაშიძის გვარის იყოს, თავის მიწას რუსებს არ მისცემდა. თუ ის ნამდვილი შვილია განსვენებულ სეფერ-ბეის (გიორგის), დეე, განდევნოს რუსები თავის სამფლობელოდან და სოხუმიდანო“ **).

არც წებელდის ***) თავადები ემორჩილებოდენ მას და ბოლოს მდგომარეობა აუტანელი შეიქმნა; დიმიტრი შერვაშიძე მოსწამლეს. ის გარდაიცვალა 16 ოქტომბერს 1822 წელს.

ამის შემდეგ, რუსეთის იმპერატორმა აფხაზეთის მთავრად დანიშნა დიმიტრის ძმა, 16 წლის მიხეილი და უბოძა მაიორის ჩინი.

ახალგაზრდა მიხეილი აფხაზეთს ვერ მართავდა, ის

*) იხ. დუბროვინი. ტ. VI, გვ. 470.

**) იხ. დუბროვინი. ტ. VI, გვ. 471.

***) წებელდა იყო ცალკე თემი, რომელიც ხშირად, და განსაკუთრებით რუსების დროს, არავის ემორჩილებოდა ხოლმე.

მხოლოდ ფორმალურად დასვეს, რათა ასლან-ბეი გაეძევებინათ, ხოლო ფაქტიურად აფხაზეთის მართვის საქმე რჩებოდა რუსების ხელში.

აფხაზეთი ამან ვერ დააწყნარა. მან იგრძნო, რომ ახლა ხელისუფლება მთლად რუსებს უვარდებოდათ ხელში; ამიტომ 1824 წელს დაიწყო კვლავ აჯანყება. მას სათავეში უდგა ასლან-ბეი, რომელიც აფხაზებმა კვლავ მოიწვიეს. მანამდე, აფხაზეთის დიდმა ნაწილმა ჯვარზედ დაიფიცა, კაცია მარლანიას მეთაურობით, და გადასწვიტეს, სულ გაწყვეტილიყვენ და რუსები აფხაზეთიდან გაეძევებინათ. შემოკრიბეს ყველა ძალები. დაბმარებისათვის მიმართეს ჩერქეზებს, საიდანაც მოეშველათ 12.000 კაცი და 7 ივნისს, რუსებსა და აფხაზებს შორის მოხდა დიდი შეტაკება. ბრძოლაში რუსები სასტიკად მარცხდებიან და უკან იხევენ. ასლან-ბეი აჯანყებულებით იჭყრობს მთელ აფხაზეთს, რუსების ხელში რჩება მხოლოდ სოხუმის ციხე, ხოლო მთავარი მიხეილ შერვაშიძე, გარბის სამეგრელოში*), და მერე ქუთაისში.

რუსები ყოველ ზომებს იღებდენ აჯანყებულთა დასამარცხებლად, მაგრამ მათ ზოგიერთი გარემოებანი ხელს უშლიდენ. საქმე იმაშია, რომ შავი ზღვის ნაპირები ჯერ კიდევ მთლიანად მათ ხელში არ იყო. ჩვენ ზემოდ ვნახეთ, რომ ბუხარესტის ზავით, ფოთი ისევ თურქებს დარჩათ, და აქეთგან თურქები მუდამ ახდენდენ აფხაზეთზედ გავლენას. რუსების სასტიკი დამარცხების შემდეგ, 12 ივნისს 1824 წ. იმერეთის მმართველი სწერდა ერმოლოვს: „ამ ხალხისა და ადგილ-მდებარეობის შესახებ სანდო ცნობების მიხედვით, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ჩვენ აფხაზეთს ვერ დავაწყნარებთ, თუ არ დავიკავეთ გაგრა და თურქებთან მისავალი გზაც არ გადაუჭარით" **).

ამ დამარცხებით რუსებს თავი მოეჭრათ, გარდა სირცხვილისა (რაც მათ არც ისე აწუხებდა), ეშინოდათ საქართველოს დანარჩენ ნაწილებშიც, კვლავ აჯანყება არ მოეწყოთ, აფხაზების გამარჯვებით გამხნევებულ ქართველებს; ამიტომ, მთავარ-მართებელი ყოველ მხრივ ემუდარებოდა დასავლეთ საქართველოს საარქიეპოსკოპოს, აფხა-

*) იხ. პოტტო. ტ. III, წ. II, გვ. 582.
**) იხ. დუბროვინი. ტ. VI, გვ. 514.

ზეთი რაიმენაირად დაებურათ. ის სწერდა: „... აფხაზეთის შენარჩუნება აუცილებელია. მისი დატოვება მავნე შთაბეჭდილებას მოახდენს აქაური ხალხების თვალში -

იმერეთის მმართველმა გოლიჩაკოვმა, საჩქაროდ მიაყარა აფხაზეთს ჯარები, შაგრამ კვლავ სასტიკად დამარცხდა.

ამ აჯანყების დროს, ხვეათა შორის, ასლან - ბეის და საერთოდ აფხაზთა ბრძოლის ეროვნული ხასიათი, საკვლევით გამოიკვეთა.

როდესაც ასლან - ბეიმ მთელი აფხაზეთი დაიბურა და რუსებისგან ასე თუ ისე გასწმინდა, მაშინადვე, მოლაპარაკება გამართა მიხეილთან და მის დედასთან, თამართან. ასლან - ბეი უდგენს ასეთ პირობას, რომ თუ რუსებს აფხაზეთში არ შემოუშვებენ, ის იცნობს მიხეილს მთავრად და მას დაემორჩილება, თვით მხოლოდ პირადი მამულებით დაკმაყოფილდება.

მიხეილი არ დათანხმა რუსების საკითხში და მან შუამდგომლობა აღძრა რუსებთან, რუსეთში გადასახლებული ჰასან - ბეის დასაბრუნებლად. ვინაიდგან აფხაზეთში ჰასან - ბეის დიდი სახელი ჰქონდა *), ამიტომ მიხეილი ფიქრობდა, რომ მისი დამეგობრებით, ის ძირს გაიმაგრებდა.

15 იანვარს 1827 წელს, ერმოლოვი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს, ჰასან - ბეის განთავისუფლებას **). ის იმავე წელს, ხელმეორეედ პასკევიჩის თხოვნის შემდეგ, განთავისუფლებულ იქმნა და ნება მიეცა, სამშობლოში დაბრუნებულიყო ***).

სანამ აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საბოლოო ამბებს აღვსწერდეთ, ცოტა რამ აღვნიშნოთ აფხაზეთის ორ თემზედ, წებელდასა და სამურზაყანოზედ.

VI

სამურზაყანო მე - 18 - ე საუკუნის ნახევრამდე აფხაზეთის მთავარს ემორჩილებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც

*) იხ. პოტტო. ტ. III, გვ. 582.
**) იხ. აქტები. ტ. VI, გვ. 665.
***) იხ. აქტები. ტ. VII, გვ. 402.

ოსმალეებმა აფხაზთა მთავარი მანუჩარ შერვაშიძე ოსმალეთში გადაასახლეს, სამურზაყანოს მფლობელმა მურზაყან შერვაშიძემ გამოაცხადა ავტონომია და თვით სამფლობელოსაც თავისი სახელი უწოდა.

შემდეგ, როდესაც ზურაბ შერვაშიძე დაბრუნდა აფხაზეთის მთავრად, მან სამურზაყანო ველარ შეიერთა. შემდეგი მთავრების დროსაც ის ინახავს ავტონომიას და მას განაგებენ მურზაყანის შთამომავლები, მემკვიდრეობითი წესით.

1813 წელს გარდაიცვალა მურზაყანის შვილის შვილი - შვილი, უკანასკნელი მფლობელი სამურზაყანოსი. მას დარჩა მცირეწლოვანი შვილი, ამიტომ მის მაგიერ, დროებით, სამურზაყანოს განაგებდა მისი ღვიძლი ბიძა (დედის ძმა), სამეგრელოს მთავარი ლევანი. როცა აღნიშნული მემკვიდრეც გარდაიცვალა, მაშინ ლევანმა მიითვისა მისი სამფლობელო.

ამ ნიადაგზედ ასტყდა ბრძოლა, სამურზაყანოს მემკვიდრეებსა და დადიანის შორის, და ბოლოს იმით გათავდა, რომ 1840 წელს, რუსებმა ორივეს გამოჰგლიჯეს ხელითგან და იქ რუსული მმართველობა შემოიღეს *).

ყირიმის ომის დროს მიხეილ შერვაშიძის გავლენით, ის ისევ განუდგა რუსებს, მაგრამ შემდეგ ისევ დაიმორჩილეს და სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ, 1857 წ. ის აქციეს მაზრად და სამეგრელოს მმართველს დაუმორჩილეს.

წებელდაც არ ემორჩილებოდა აფხაზეთის მთავარს; ამიტომ რუსებმა მოინდომეს, ისიც ცალკე შეეყვანათ თავიანთ მფლობელობაში.

27 დეკემბერს 1834 წ., საქართველოს მთავარ-მართებელმა როზენმა, წარუდგინა წებელდის თავადს მისოუსტ-მარლანიას 14 მუხლისაგან შემდგარი თხოვნის პროექტი, ხელის მოსაწერად. სჩანს აქეთგან არაფერი გამოვიდა და როზენმა 1837 წ. პირადად დაიბყრო წებელდა ჯარებით და მორჩილებაში მოიყვანა. საბოლოოდ რუსის ხელის-უფლების დამყარება კი, იქ მხოლოდ 1859 წ. **) შესძლეს.

ხოლო 1866 წ., წებელდის მცხოვრებთა 1.400 ოჯახი

---

*) იხ. პოტტო. ტ. VII, გვ. 417 -18.

**) იხ. აქტები. ტ. VII, გვ. 430.

აიყარა და ოსმალეთში გადასახლდა; მათგან ადგილობრივ დარჩა მხოლოდ 27 ოჯახი.

VII

აღნიშნულ არეულობათა შემდეგ, აფხაზეთში განმტკიცდება მიხეილ შერვაშიძის მთავრობა. ამას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ 1830 წელს აფხაზეთში შედის საკმაო რიცხვის რუსის ჯარი გენ. გესსეს ხელმძღვანელობით და იკავებს მთავარ ადგილებს.

მაგრამ მალე, მიხეილის კერძო ცხოვრებაში მომხდარმა ერთმა ფაქტმა, გამოაშკარავა მისი რუსებთან წინააღმდეგობა.

მიხეილმა პირველად შეირთო ჩერქეზის ქალი და უშვილობის გამო, ჩვეულების მიხედვით, ის მოიტოვა; შემდეგ ითხოვა თ. ნიკო დადიანის ქალი მარიამი, შემდეგ კი ისიც მოიტოვა და მიუხადავად რუსების სასტიკი წინააღმდეგობის, 1836 წ. შეირთო გიორგი დადიანის ქალი ცუცუ. ეს გიორგი იყო მეორე ცოლის, მარიამის ღვიძლი ძმა. ამ ნიადაგზედ სამეგრელოს მთავრის ლევანსა და მიხეილს შორის ატყდა დავა. ლევანმა გიორგი დადიანი გადააყენა მდივან-ბეგობიდან და თავის მამულიდანაც განდევნა. ის თავს აფარებს სვანეთში.

ამ საქმეში ჩაერია რუსის მთავრობა და რამდენიმე წლის განმავლობაში, ის იქმნა მიწერა-მოწერის საგნად, მთავარ-მართებლიდან დაწყებული მინისტრებითა და იმპერატორით გათავებული. ის იქცა პოლიტიკურ საკითხად, ვინაიდგან ლ. დადიანი რუსების ერთგული იყო, უკანასკნელნი მას ეხმარებოდენ, მიხეილის წინააღმდეგ.

ამ ნიადაგზედ, მიხეილი აშკარად გადაუდგა რუსებს, რის გამოც გრაფ როზენმა ბრძანება მისცა იმერეთის მმართველს გენ.-მაიორ ახლესტიშევს, რათა თუ კი ის დარწმუნდება აფხაზეთის მთავრის ბოროტ-მოქმედებაში, შეიბყროს და ტფილისში გააგზავნოს *). იმავე 1836 წ. 19 ნოემბერს კი, მთავარ-მართებელი **როზენი**, სამხედრო მინისტრს ჩერნიშევს ატყობინებს, რომ აფხაზეთის მთავარი მოქმედობს რუსების წინააღმდეგ, ჯიქებთან **) კა-

*) იხ. აქტები. ტ. VIII, გვ. 453.

**) აფხაზეთის მონათესავე, და მეზობელი ტომი.

ვშირი დასდო. წებელდითგან მძევლები მიიღო, რათა ისინი უზრუნველყოს რუსების შესევისაგან და თავდასხმას აპირებს სამეგრელოს ნაპირებზედ, კერძოდ სამურზაყანოზედ, რათგან მას აქვს ამ ადგილების პრეტენზია და სხ. და სთხოვს იმპერატორთან აღძრას შუამდგომლობა, რათა პირველ შემთხვევისთანავე, მიხეილი ალაგომონ აფხაზეთიდან, რაზედაც ჩერნიშევისგან 10 დეკემბერს 1836 წ., მიიღო დადებითი პასუხი.

რუსები უბრალო მიზეზებს ეძებდენ, რათა სამთავრო გაეუქმებინათ. მათთვის არც ამ საბაბის გაჩენა იყო ძნელი, მაგრამ ისინი ანგარიშით მოქმედობდენ. ამ დროს აფხაზეთში სხვა ანგარიშები ჰქონდათ; ისინი აქაც მიზნებს შეთანდიურად ანხორციელებდენ. ზემოდ როგორც აღენიშნეთ, სწორედ ეს ხანა შეეურჩიეს და საბოლოოდ გამოჰგლეჯეს აფხაზეთის ორი თემი, სამურზაყანო და წებელდა, რომელნიც ხანდისხან ავტონომიის უფლებით სარგებლობდენ ხოლმე. ამიტომ იყო, რომ 1839 წ. გენ. რაევსკის წინადადებაზედ, რომელზედაც გოლოვინიც ღაეთანხმა, მიხეილის მესამე ცოლის ცნობის შესახებ, 25 იანვარს 1840 წ. ჩერნიშევმა საიდუმლოდ აცნობა გოლოვინს, იმპერატორის აზრი, რომ დროებით შეეჩერებინათ მიხეილის ქორწინებასთან დაკავშირებული საქმეები *.

1845 წ. აფხაზეთში კიდევ ახალ ცვლილებებს ახდენენ. სამურზაყანოს საბაზინოდ გადაქცევა და მთავრის უფლებების შეზღუდვა, საკმაო მიზეზი იყო, მიხეილს ეგრძნო მისი ფიქტიურობა და ბოლოს ის იქამდე მიიყვანეს, რომ 1847 წელს, თვით სთხოვს მთავარ - მართებელს გრაფ ვორონცოვს, მისი აფხაზეთის მთავრობიდან გადაყენებას **). მაგრამ რუსებისთვის ეს საქმე ხელსაყრელი არ იყო, რათგან ამ დროს მთელი მათი ყურადღება მიბყრობილი იყო ჩრდილო კავკასიისკენ, შამილის წინააღმდეგ. შამილი მთაში რუსების ექსპედიციას - ექსპედიციაზედ ანადგურებდა და სად ეცალათ აფხაზეთისათვის. ამიტომ მიხეილ შერვაშიძის ასეთი გულისწყრომით მთავრობის უარყოფა არ მიიღეს და პირიქით, უმ-

*) იხ. აქტები. ტ. IX, გვ. 180.

**) С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кав-Казом,т. т I. стр. 130.

ტკიცებდენ, რომ შენ შენი მოქმედებით, დაიმსახურებ ლალატს შენი შთამომავლობის წინაშე, რათგან შენთვის ღვთით დაკანონებულ უფლებას თვით უარყოფ, და ასე შეაჩერეს *).

VIII

ყირიმის ომის დროს, რუსებმა თავიანთი ნებით დასტოვეს აფხაზეთი. მიხეილი ტფილისში გაიწვიეს. მიხეილს ეჯავრებოდა რუსები, მაგრამ არ უყვარდა ოსმალეთიც. ამიტომ მათ ბრძოლაში, მისი ერთად - ერთი ჭკვიანი პოლიტიკა იყო, ნეიტრალობა, და მან ეს ბოლომდე დაიცვა. მისი აფხაზეთიდან შორს ყოფნა, არ იყო ხელსაყრელი და დიდის წვალებით, რუსებს დაუსხლტა ხელიდან და დაბრუნდა თავის ქვეყანაში. ამ ომის დროს, როგორც სამეგრელოს დედოფალი, მიხეილიც გაურკვეველ მდგომარეობაში იყო; გარკვეული იყო მხოლოდ მისი მიზანი. ამიტომ ჩუმად თურქებთან კავშირს, არ მორიდებია, რათგან თუ ისინი გაიმარჯვებდენ, აფხაზეთის თავისუფლება უზრუნველ ეყო. ჩვენს ხელში მყოფი უამრავი მასალებიდან შტკიცდება, რომ ის მოქმედებდა მეტად ფრთხილად, მაგრამ რუსებს მაინც არაფერი გამოჰპარვიათ და მისი ბედიც ადრევე გადაწყდა.

დამთავრდა ყირიმის ომი. 30 მარტს 1856 წ. მოაწერეს ხელი პარიზის ტრაქტატს. აფხაზეთს არც ამ ომმა მოუტანა არაფერი. როგორც თავის ალაგს შევეხებით, ამ ტრაქტატით, რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას ცოტა აღვირი ამოედო, მაგრამ ეს ისეთი მნიშვნელოვანი არ იყო, რომ მისი ძალა კავკასიის ქვეყნებზედ გავრცელებულიყო. ამიტომ უკვე 12 ივნისს 1856 წ., მთავარ - მართებელი მურავიევი სწერდა გენ. სუხოზანეტს: „... ახლა, რაკი ომი დამთავრდა, საჭიროა კვლავ დავიკავოთ აფხაზეთი და წებელდა. მაგრამ მანამდეც უნდა გამოვარკვიოთ, მთავრისა და მისი სახლის საკითხი“.

რუსების ჯარები იკავებენ კვლავ აფხაზეთს და მურავიევი მოითხოვს, მთავარიც გადაყენებულ იქმნას. ის მოითხოვს სამთავროს გაუქმებას ასეთი წესით: ჯერ გადაყენებულ იქმნას მთავარი, და მისი მოადგილეობა ჩა-

*) იქვე. ტ. I, გვ 137.

ენდოს მის ცოლს, და დაენიშნოს მას საბჭო, ისევ როგორც ეს მოხდა 1828 წ. გურიაში. მურავიოვი აღძრავს შუამდგომლობას სამხედრო მინისტრთან, მაგრამ ეს შუამდგომლობაც ცოტა ხნით უკუგდებულ იყო. ამის მთავარი მიზეზი კი იყო, მთიულეთის მდგომარეობა, სადაც ახლოვდებოდა შამილის საბოლოო დამარცხების დღეები *).

1859 წელს დამარცხდა შამილი. ის ტყვედ შეიბყრეს და რუსეთში გადაასახლეს. მთელი ჩეჩნეთი და დაღესტანი დაიბყრეს და რუსეთის პროვინციებად გამოაცხადეს. აქ თავდება აღმოსავლეთ კავკასიის საბოლოო დაბყრობა; ხოლო 1864 წელს, მთელი დასავლეთ კავკასიაც მორჩილებაში იქმნა მოყვანილი.

ამით დამთავრდება რუსების საბოლოო გამარჯვება კავკასიაში, და ესეც იყო ერთი აუცილებელი პირობა, აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა. ყველაფერი ერთმეორის შემდეგ, მეთოდიურად უნდა მომხდარიყო, რომ რუსეთის ახალი ადმინისტრაცია, ნაანგარიშევი მთელი კავკასიისათვის, გამონაკლისებს ვეღარ დაუშვებდა.

მიხეილ შერვაშიძე გრძნობს რა მის მწარე ხვედრს, კიდევ ერთ ხერხს მიმართავს. 1863 წ. ის მიმართავს კავკასიის მთავარი შტაბის უფროსს გენ. კოცებუს, რათა ის გაანთავისუფლონ მთავრის მოვალეობიდან და მის მაგიერ დანიშნონ მისი შვილი გრიგოლი, რომელიც ამ დროს იყო ნამესტნიკის ადიუტანტად. რუსებმა ამაზედ მოხერხებული უარი უთხრეს. ასევე უარი უთხრეს მას, საზღვარ-გარეულ გამგზავრებაზედ.

1864 წ. კი, რუსის მთავრობამ საბოლოოდ გადასწყვიტა სამთავროს გაუქმება.

12 მაისს 1864 წ., სამხედრო მინისტრი გენ მილიუტინი სწერდა ნამესტნიკს: „... იმპერატორი ავალებს თქვენს უმაღლესობას, განუცხადოთ თ. მიხეილ შერვაშიძეს, შისი დათხოვნა აფხაზეთის მთავრობიდან სამუდამოდ, დაუტოვოს მხოლოდ გენერალ-ადიუტანტის ჩინი და მიეცეს ნება, თვითონ აირჩიოს საცხოვრებლად ან პეტერბურგი და ან მოსკოვი“ **).

3 ივნისს, ნამესტნიკმა გამოიწვია მიხეილი ჭუთაისში,

*) იხ. ესაძე. ტ. I, გვ. 163.
**) იხ. ესაძე. ტ. II, გვ. 221.

რათა ეუწყებინა იმპერატორის ბრძანება, მაგრამ მიხეილი ავადმყოფობის მომიზეზებით, არ გამოცხადდა. მეორე გაუგზავნა პოლკ. ლევაშოვი, მან წამოსვლა არც ახლა მოინდომა. მან განუცხადა, რომ ნება მისცენ სიკვდილამდე შართოს აფხაზეთი; თუ იმპერატორს ეს არ სურს, მაშინ ის საცხოვრებლად მაინც დასტოვონ აფხაზეთში. მაშინ ნაბეისტნიკი იმპერატორის აღნიშნულ ბრძანებას, წერილობით უგზავნის მიხეილს და ქუთაისის გენ. - გუბერნატორს უბრძანებს, აფხაზეთში შემოიღოს რუსული მართვა - გამგეობა.

როდესაც ქუთაისის გუბერნატორმა შეაწუხა მიხეილი, ის სწერს, რომ 40 წელი რუსეთს ემსახურა და ახლა ასე უდიერად ეგყრობიან; ის კიდევ ერთხელ სთხოვს, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე თავის სამშობლოში დასტოვონ, ხოლო თუ ამას არ მოისურვებენ, ნება მისცენ იერუსალიმში წასვლისა *). რუსებმა ამ მუდარასაც ყური არ ათხოვეს.

12 ივლისს, თვით ქუთაისის გუბერნატორი მიდის სოხუმში და აფხაზებს უცხადებს, რომ დღეიდან ისინი უნდა დაემორჩილონ რუსის მთავრობას, რომლის დროებითი წარმომადგენელიც იქმნება, აფხაზეთში მყოფი რუსის ჯარების უფროსი.

გუბერნატორ სვიატისლავ - მირსკის ავალებს რუსის მთავრობა, დროზედ შეიბყრის მიხეილი და გადასახლოს.

მირსკი სწერს კიდევ ერთხელ წერილს და ბოლოს აფხაზეთის მთავარი, იძულებით შეხვდება მას. მიხეილი ეხვეწება, თუ აფხაზეთში არ დასტოვენ, ნება დართონ, ქუთაისში ან ბაქოში იცხოვროს, ან და ნება მისცენ, იერუსალიმში წასვლისა, და თუ ესეც არ გინდათო, მიმართავს გაბწყარებული მთავარი: „წინაღმდეგ შემთხვევაში გამათავეთ აქედან ძალითა, დეე, მთელმა ქვეყანამ ნახოს თქვენი უსამართლობა და სისასტიკეო **).

ამ შეხვედრის შემდეგ, მირსკიმ გადასწყვიტა 1 იანვრამდე ქუთაისში გაეჩერებინა, სანამ გადასახლებაზედ დაითანხმებდა. მაგრამ ამ დროს ის ილებს სამხედრო მი-

---

*) იქვე. გვ. 227.
**) იქვე. გვ. 231.

ნისტრის ბრძანებას, რომელიც უკანასკნელ ვადად მთავრის გადასახლებისა უნიშნავს 1 ოქტომბერს.

როგორც სჩანს, ამასობაში მიხეილმა მოასწრო და მიმართა დახმარებისათვის ოსმალეთს, რაც კონსტანტინეპოლში მყოფ რუსეთის წარმომადგენელის გარეშე იგნატიევისგან, დეპეშით შეიტყვეს რუსებმა. მიხეილი სთხოვდა სულთანს ოსმალეთში მიღებას. ამისთვის კი, გემის გამოგზავნას სოხუმში.

3 ნოემბერს 1864 წელს, რუსებმა შეგზავნეს ჯარი, მიხეილის ძალად შესაბყრობად. ის კიდეც შეიბყრეს და 7 ნოემბერს ჩასვეს გემ „სოკოლ"-ში და ნოვოროსიისკში გაისტუმრეს.

მთელი ქონება ჩამოართვეს და ხაზინას გადასცეს, ხოლო თვითონ მთავარი, სამუდამოდ ქ. ვორონეჟში გადასახლეს, სადაც შეორე წელსვე, 1865 წ. გარდაიცვალა. ნეშთი გადმოსვენებულ იქმნა აფხაზეთში.

ასე დამთავრდა თავისუფლება საქართველოს ამ უკანასკნელი სამთავროსიც, რომლის მოხუც და ავადმყოფ მთავრისთვის, რუსებმა, თავის სამშობლოში უკანასკნელი ერთი წლის სიცოცხლეც ვეღარ გაიმეტეს.

IX

აქაც იგივე მოხდა რაც საქართველოს სხვა ნაწილებში. როგორც კი აფხაზეთში სამთავრო გააუქმეს, მთავარი გადაასახლეს და რუსული მართვა - გამგეობა შემოიღეს, აფხაზეთში იმავე წელს იწყება მღელვარება. მიზეზები, ცხადია, აქაც იგივე იყო, რაც სხვაგან. მთელი აფხაზეთი ფეხზედ დადგა და მოინდომა იქითგან რუსების განდევნა.

აჯანყება მთელ აფხაზეთს მოედო. ყველა იარაღში ჩაჯდა. ისინი შეიბყრობენ ყველა რუსის მოხელეებს და ხოცავენ, ასევე ამოყლიტეს რუსის გარნიზონები, სადაც კი მოასწრეს. მთავრის მიხეილის შვილი გრიგოლ შერვაშიძე გაიწვიეს აფხაზებმა და ალიარეს მთავრად. აჯანყებული ხალხი ასე მიმართავდა მას: „შენ ახლა ჩვენი მთავარი ხარ, სადაც შენ წახვალ, ჩვენც იქით წამოვალთ, სადაც შენ დაიღუპები, ჩვენც იქ დავიღუპებითო" *).

*) იხ. ესაძე. ტ. I, გვ. 259.

გრიგოლი იღებს ხალხის დავალებას; აფხაზები ამზადებენ მთავრის დროშას, გადასცემენ გრიგოლს და სთხოვენ, ჩაუდგეს სათავეში.

1866 წ. 27 ივლისს, აფხაზები თავს ესხმიან სოხუმს.

ანარჩევულებრივ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული გრიგოლი, ის გრძნობდა, რომ საქმეს მაინც ვერ მოიგებდა, მაგრამ როგორც მან განაცხადა, რათგან ხალხს სურს, მეც მათთან მინდა მოვკვდეო...

უკვე 27 ივლისს, ნამესტნიკი შეიტყობს აფხაზეთის აჯანყებას და აგზავნის დიდძალ ჯარს, მის ჩასაქრობად.

მათ კიდეც ჩაქრეს ის. რუსებს უნდოდათ ხალხის ამოჟლეტა, მაგრამ შემოდგომა ახლოს იყო და ამ სეზონში, ასეთი ოპერაციების ჩატარება აფხაზეთში ძნელი იყო, ამიტომ ისევ მშვიდობიანად ანჩიეს მორიგება, ხოლო ინდივიდუალურად, ძალიან ბევრი დახვრიტეს.

მთავრობამ მაშინადვე გასცა ბრძანება, იარაღის ჩაბარების შესახებ. ამისათვის დანიშნული იყო ვადა; ვინც აღნიშნულ ვადაზედ არ ჩააბარებდა, ის რუსეთში იქმნებოდა გადასახლებული.

შემდეგ, მთავრობამ დანიშნა ორი კომისია, აჯანყების მიზეზების გამოსარკვევად. ერთს დაეკალა გამორკვევა აჯანყების მთავარ მონაწილეთა, მათი დასჯის მიზნით, მეორეს, აფხაზეთის ადგილობრივ თავისებურებათა, რუსეთის ახალი მთავრობის შეგუების მიზნით.

მთელი საქმეები სასრულეში მოყვანისათვის კი, აფხაზეთში ინიშნება გენ. ტოლსტოი.

რასაკვირველია, დღესაც და მაშინაც, აჯანყების მიზეზები ყველასათვის ნათელია და ნათელიც იყო, მაგრამ ამდროინდელმა კავკასიის ნამესტნიკმა, დიდმა მთავარმა მიხეილმა, ის მკვდრებს გადააბრალა. იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში ასე სწერდა: „რაც შეეხება ბზიბის მხარეში მომხდარი აჯანყების მიზეზებს, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ის იყო შედეგი, ამ აჯანყებაში დალუპულ პირთა შეცდომებისაო"" *).

---

*) იხ. ესაძე. ტ. I, გვ. 270.

თავი XVI

ალმოსავლეთის საკითხი

და

რუსეთის საბოლოო დამკვიდრება კავკასიაში

ამ თავში გავუკეთებთ დასკვნას ყველა იმათ, რაც უკვე წინა თავებში აღვნუსხეთ. მას შევავსებთ ზოგიერთი დამატებითი მასალებით და გამოვარკვევთ, თუ რაგვარ საერთაშორისო მდგომარეობაში მოუხდა რუსეთს, კავკასიის საბოლოო დაბყრობა.

ზემოდ ჩვენ დავრწმუნდით, რომ კავკასია, როგორც ერთი ისტორიკოსი შენიშნავს, წარმოადგენს ერთგვარ გიბრალტარს ალმოსავლეთისათვის. ალმოსავლეთში მომხდარი ამბები, ძალიან ვრცლად არიან დაკავშირებულნი, რუსეთის გაბატონების საკითხთან კავკასიაში.. ამიტომ, აქ ნაწილობრივ მოგვიხდება ალმოსავლეთის საკითხაც შევეხოთ.

I

ალმოსავლეთის მზე ჩასული იყო და სპარსეთისა და ოსმალეთის ძლიერება ველარ გაუმკლავდება ევროპიდან და რუსეთიდან მოწოლილ ტალღებს. ამ გზაზედ პირველ ადგილს იქერავენ ინგლისი და რუსეთი. ისინი მიდიან შორეული ინდოეთისკენ, ხოლო მისი გზა მდებარეობდა ირანზედ, არარატსა და პამირს შორის.

წავიდენ ის დრონი, როდესაც სპარსელები შიშის ზარს სცემდენ ბერძნებს. არაბთა ხალიფები იბყრობდენ ხმელთა შუა-ზღვის ნაპირებს და ევროპას ემუქრებოდენ. ისტორიას ჩაჰბარდა მე-12 საუკუნის სელჯუკეთა იმპერიისა და ჯვაროსანთა შეტოქეობაც. ჩინგის-ხანის და თემურ-ლენგის მემკვიდრეობაც გაქრა და წინააზიაში ალმოცენებული სპარსთა და ოსმალთა, შახ-ისმაილის

და მაჰმედ II-ის ძლიერა-მოსილებაც დალმა იყო დაქანებული. აღმოსავლეთის ძლიერება უკანასკნელ სიტყვას ამბობდა და ევროპა მოიწევდა გამარჯვებული.

როდესაც ოსმალეთის იმპერია ეცემოდა, ამ დროს იზრდებოდა ჩრდილოეთით რუსეთი. 1552 წ. ივანე მრისხანე იბყრობს ყაზანს და ასტრახანს, იმორჩილებს დონის ყაზახებს და უახლოვდება კასპიის ზღვას და ყირიმს. კავკასიის კალთებს, რუსები მე-16 საუკუნის პირველ წლებშივე ესტუმრებიან. როდესაც იოანე III-მე პირველად შეესია რიაზანს (დონს), ყაზახები ვერ შეურიგდენ და ერთი ნაწილი წამოვიდა და დასახლდა თერგის მიდამოებში. აქ გადიოდა სავაჭრო გზა კასპიის მხარეთა, შუა აზიის და სპარსეთის და ასეთი შესანიშნავი პუნქტში, თერგისა და ყუბანის აუზებში შეიქმნება ე. წ. გრებენის ყაზახთა კოლონია. მალე, როცა რუსების მოსახლეობა აქ გაიზარდა, დერბენდიდან ყირიმში მიმავალი გზაც შეკრეს. ამ მდგომარეობას თავის დროზედ, სასტიკად შეებრძოლენ ყირიმელები და ოსმალები და რუსები საკმარისადაც გაანადგურეს; მაგრამ, პეტრე დიდის დროს აქ რუსების მოსახლეობა ისევ იზრდება და ის დიდად ხელს შეუწყობს, კავკასიაში შემოსვლას და გაბატონებას.

რუსეთი სამხრეთითაც მიიწევს წინ და ამავე მე-16-ე საუკ. პირველი ნახევრებიან ციმბირშიც.

ევროპიელებიც მოდიან აღმოსავლეთში. 1602 წ. ჰოლანდიელები აღმოსავლეთ ინდოეთში, პორტუგალიას ართმევენ ცეილონს.

ინგლისის პირველი კომპანია ინდოეთისკენ 1599 წ. იწყება და 1644 წ. ხელთ იგდებენ შახ-ჯაჰანს. 1642წ. კი, მადაგასკარზედ მიდის ფრანგების კომპანია. მე-17-ე საუკუნეში ინგლისელები და ფრანგები უკვე აღმოსავლეთში არიან. როგორც თავის დროზედ აღენიშნეთ, რუსეთის მიზანი კავკასიისკენ წამოწევის, აქ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ის მეტოქედაც გამოდის ევროპიელების და მიდის ორი გზით — ერთია კავკასია-სპარსეთი და მეორე — თურქესტანი. ამავე საუკუნის მიწურულში, ავსტრია ალეკიძებს ბალკანეთის ხალხებს ოსმალეთის წინააღმდეგ და შეაქვს გავლენა აღმოსავლეთში, მაგრამ, აქაც რუსეთი ეკილება მას. ის ჩამდის შავ ზღვაზედ და 1699 წ. იბყრობს ქ. აზოვს. 1699 წ. ზავით, ავსტრია იგ-

დებს ხელით უნგრეთსა და ტრანსილვანიას, ვენეციას მორავიასა და დალმაციას, რუსეთი კი დაიმტკიცებს აზოვს.

რუსეთი ამით არ კმაყოფილდება და ეძებს შემთხვევას, ბალკანეთის საქმეში ჩაერიოს. 1709 წ. პეტრე დიდი პალტავის ბრძოლაში ამარცხებს შვედების მეფეს კარლოს XII-ეს. კარლოსი მიმართავს ოსმალეთს; რუსეთი ერევა ბალკანეთის საქმეებში, მაგრამ მარცხდება და 1711 წ. ზავით აზოვს ოსმალეთს უთმობს. 1736 წ. კი, ისევ იქერენ აზოვს და ყირიმშიც შედიან.

პეტრე დიდი მანამდე აწყობს კომპანიას, კასპიის სამხრეთით და აღმოსავლეთითაც. თავის ადგილას ვნახეთ, რომ 1722 წელს, პეტრე დიდმა მოახერხა სპარსეთისაგან ხელში ჩაეგდო ზოგიერთი სავაჭრო ცენტრები. ამას აგრედვე ინდოეთთან დაახლოვების მიზანი ჰქონდა.. 1717 წ. კი, 3.000 კაცი გაგზავნა ხივის დასაბყრობადაც, მაგრამ ამ ოპერაციამ უშედეგოდ ჩაიარა.

ამგვარად, მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთი უკვე დიდ წინააღმდეგობას უწევს აღმოსავლეთში ევროპიელებს და ის საკმაოდ მოიმაგრებს ფეხს კასპიის ნაპირებზედ და ამასვე სცდილობს შავ ზღვაზედაც. შავ ზღვაზედ გაბატონება, მას ხელს შეუწყობდა ევროპის ხელის შეშლას, კავკასიაში გამაგრებას და ეს ყველა კი, საშუალებას მისცემდა გასულიყო სპარსეთის ყურით ინდოეთისკენ. ხოლო უახლოესი და უმოკლესი პუნქტი, კასპიის ნაპირები, მისთვის დიდ ღირებულებას შეიცავდენ. ასტრაბადი, გილანი და მაზანდარანი, იყვენ სპარსეთის უმდიდრესი პროვინციები. ეს არის ყოფილი აკვანი პართთა იმპერიის. აქეთგან დაიწყო სირუსის დაბყრობითი მოძრაობა. ფირდოუსი ამბობდა. მაზანდარაზედ: „რა არის მაზანდარანი? ის არ არის მიწა ვარდების!? არც ცხელი, არც ცივი, საუკუნო გაზაფხული".

ასტრაბანი, რომელიც იყო აღმოსავლეთთან სავაჭრო კავშირის ცენტრი, მათ ხელშია. და ევროპის საქონელსაც აქ უნდა გაეყვანა აღმოსავლეთში. მაშ კასპიის ზღვაზედ გაბატონებით, ის უახლოვდება ინდოეთს, ჩრდილოეთიდან. რათგან კასპიის ზღვის აღმოსავლეთით იწყება ყირგიზეთის და თურქესტანის სტეპები. ამ სტეპებით უახლოვდებით ბახტრიანის მთებს, რომელიც დასცქერიან ინდოეთის ხეობებს. სხვათა შორის, თავის

დროზედ ალექსანდრე შაკედონელიც, სწორედ ბახტრიონიდან შევიდა ინდოეთში.

დასავლეთით, შთავლ დაღესტანსა და ჩეჩნეთის ამ დროს განაგებდა შამხალი, რომელიც 1718 წელს, პეტრე დიდს ფიცს აძლევს *). პეტრე დიდი სარგებლობს ამით და მდინარე ქოისუს ნაპირებზედ აგებს ციხეს "წმიდა ჯვარი".

პეტრე დიდი ახერხებს ფეხის მოკიდებას შავ ზღვაზედ, კავკასიის ოსეთის ხაზზედ და კასპიის ნაპირებზედ. მართალია, მალე მისი სიკვდილის შემდეგ, სპარსეთის ნადირ - შახი, ერთხელ კიდევ შეესლებს ძველი მდგომარეობის აღდგენას, მაგრამ, როგორც ქვემოდ დავინახავთ, ეკატერინე II ისევ განაგრძობს პეტრე დიდის გზას და უფრო მეტ პროგრესსაც გააკეთებს.

II

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, ეკატერინე მეორე კიდევ ერევა აღმოსავლეთის საკითხში. ზემოდ აღვნიშნეთ, რომ 1770 წლის ოსმალეთთან ომი იყო შედეგი პოლონეთის საქმეში ჩარევის, როდესაც ეკატერინემ პოლონეთის ტახტზედ გაამეფა თავისი საყვარელი სტანისლავ პონიატოვსკი. ამ ომის დროს, ადმირალი ორლოვი უჯანყებს ოსმალეთს, ბერძნებს; აგიტაციას ეწევა სერბიასა და რუმინიაში. 1771 წ. რუსეთი იბყრობს ყირიმს და ხანებს აიძულებს კოსტანტინეპოლში გაიქცენ. ავსტრია ერევა საქმეში და იდება საზავო ხელშეკრულება. ფრიდრიხ II-ე აქტიურ დიპლომატიას ეწევა, მაგრამ რუსეთი არა სთმობს. მოკლედ, 21 ივლისის 1774 წ. კაინარჯის ხელშეკრულებით, რუსეთმა შეიძინა: აზოვი, კერჩი, იენიკალა, კინბურანი. ყირიმი ჩამოაცალა ოსმალეთის გავლენას და მისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა; მოიპოვა თავისუფალი ნავსადგობა შავ ზღვაზედ. აგრედევ მოიპოვა ფაქტიური პროტექტორატი რუმინიის

*) პეტრე დიდი თავის ტიტულში თავს იხსენიებდა: «...Государь Иверской земли, Карталинских и Грузинских царей, и Кабардинския земли, Черкасских и Горских князей» (იხ. 1697 წლის 29 იანვრის, რუსეთის საკავშირო ტრაქტატი ავსტრიასა და ვენეციასთან).

სამთავროებზედ და ოსმალეთის იმპერიის ყველა ქრისტიანებზედ, ე. ი. უფლება, იმპერიის შინაური საქმეებში ჩარევისა. ამ ტრაქტატის შესახებ Thugut-ი ავსტრიის წარმომადგენელი სტამბოლში, სწერდა:

«Par l'adroite combinaison des articles de ce traité l'empire ottoman devient des aujourd'hui une sorte de province russe.»*)

ოსმალეთზედ ასეთი გავლენის მოხდენის შემდეგ, რუსეთისთვის ადვილი იყო შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირებზედ წაწეულიყო და კავკასიისთვის ერთგვარი ალყა შემოერტყა. თუმცა ამავე ტრაქტატის მე-23-ძე მუხლით, რუსეთი ჰპირდება ოსმალეთს, თავისი ჯარის ნაწილების გაყვანას საქართველოდან, მაგრამ, ასეთი რამ უადგილოა, რათგან რუსის მცირე რიცხოვანი ჯარი საქართველოში, ბრძოლით კი არ შემოსულა, არამედ დასაბმარებლად ქართველ მეფეებისადმი, ვითარცა მოკავშირეების, და ცხადია, ომის შემდეგ ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე, ის უნდა გაეყვანა.

ამ პროგრესის შემდეგ, რ უ ს ე თ ს აღარაფერი აბრკოლებდა. მან ჯერ მოუპოვა დამოუკიდებლობა ყირიმს და 1783 წ. მისი საბოლოო ანექსიაც მოახდინა. ამავე წელს მოხდა რუსეთის და საქართველოს შორის „საშეგობრო" ხელშეკრულების დადება, რომლის ძალით, რუსეთი ერთგვარ პროტექტორატს აცხადებდა ქართლ-კახეთის სამეფოზედ. იმავე 1783 წ. რუსეთ-ოსმალეთის საავჭრო ხელშეკრულებით, აგრეთვე მოიპოვებს დიდ პრივილეგიებს. ხელშეკრულების I-ლი მუხლით, ოსმალეთი ნებას აძლევს რუსეთს, ოსმალეთში თავისუფალი ვაჭრობის და საზღვაო მიმოსვლის. XXX-ე მუხ. რუსეთის ფლოტს ნება ეძლევა, თავისუფალი გასვლისა კოსტანტინეპოლით ოთხივ ზღვაზედ და უკუღმა. XXXI-ე მუხლით, ოსმალეთი ნებას აძლევს რუსეთს, მისი საავჭრო ფლოტის მოძრაობისა შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაზედ, ორივე მიმართულებით, ყოველივე გადასახადის გარეშე. **).

1791 წ. რუსეთი იბყრობს ანაპას შავ ზღვაზედ და ეს ომიც 9 იანვარს 1792 წ. იასის ხელშეკრულებით გათავ-

---

*) **E. Driault, La question d'Orient, p, 55.**

) იხ. **Martens, Recueil... t. II, p. 373.

დება, როდესაც რუსეთის გამარჯვება, ისევ უზრუნველყოფილია.

როგორც ვხედავთ, მე-18-ე საუკუნის შიწურულში, რუსეთს საკმაოდ შომაგრებული აქვს ფეხი კავკასიის გარშემო, და მისი გავლენა გაზრდილი მცირე აზიის ორ სახელმწიფოზედ, ოსმალეთსა და სპარსეთზედ, რომელნიც გამოდიან ამ დროის ერთად-ერთ მის მეტოქეთ, კავკასიასა და ყირიმის შიმართ.

III

მე-19 საუკუნის დასაწყისში, ევროპაში მდგომარეობა გართულდა. შან იმოქმედა აღმოსავლეთზედაც, და ამ ცვლილებებმა სწორედ ისეთი პირობები შექმნეს, რომ რუსეთს უფრო თავისუფლად ეხსნებოდა გზები.

ნაპოლეონის ეგვიპტის ექსპედიციით ინგლისი შეეიწროებული იყო, და სცდილობდა ხმელთაშუა ზღვაზედ მნიშვნელოვანი ადგილების დაკავებას.

ახლა, აღმოსავლეთისკენ საფრანგეთი ჩნდება მეორედ და იწყება მისი მეტოქეობა ინგლისთან; ამ გზაზედ კი, ნაპოლეონი იყენებს რუსეთთან მოკავშირეობას, და როგორც ახლავე ვნახავთ, მის რუსეთთან კავშირს, მხოლოდ ეს ერთად-ერთი მიზანი ჰქონდა, როგორც კი ის იგრძნობს ამ კავშირით რუსეთის გაძლიერებას, შასაც ზურგს აქცევს. არსებითი შბარე ნაპოლეონის მოქმედების, კავკასიის დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, იმაში გამოიხატებოდა, რომ იმ პერიოდში, როცა ის რუსებს ებრძოდა, სპარსეთ-ოსმალეთთან დამოკიდებულებით, ერთნაირად მორალურად და იარაღითაც ზურგს უმაგრებდა კავკასიელებს, დაეცვათ თავისი სამშობლო, რუსებისაგან. ხოლო რამდენადაც ის გამოდის ინგლისის მეტოქეთ, ამდენად ასუსტებს ინგლისის გავლენას არა მარტო ახლო აღმოსავლეთზედ, არამედ, ის სრულიად აკლებს კავკასიას და ამით რუსეთს აღარაფერი აკავებს, კავკასია თავისი იარაღის საკითხად აქციონ, რათგან ერთად-ერთი ძალა აღმოსავლეთში ინგლისი, ვეღარ ახერხებს კავკასიამდე ძალების მოწვდენას.

1802 წ. ამიენის ხელშეკრულების ერთი თვის შემდეგ გენ. Decaen-ი თხოულობს, გაგზავნილ იქმნას ინდოეთში, «à seul fin de combattre les Anglais»

და კიდეც მიდის. ეს ის ხანებია, როცა იმპერატორმა ალექსანდრე I-ლმა აღმოსავლეთ საქართველოს ანუ ქართლ-კახეთის სამეფოს ფორმალური ანექსია მოახდინა. ამავე პერიოდში, როცა წინააზიაში ნაპოლეონი ინგლისს მეტოქეობას უწევდა, რუსეთი ახერხებს ამიერ-კავკასიის თათართა და სომეხთა სახანოების ანექსიას. ასე რომ, ამ ხანაში რუსეთი ხელთ იგდებს ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილს. ხოლო გავლენის მოხდენას იწყებს დასავლეთ საქართველოსა და კავკასიის მთიანლებში.

მაგრამ საფრანგეთის მინისტრი, ნიკიერი ტალეირანი გრძნობდა, რომ ინგლისთან ცალმხრივი მეტოქეობა, მესამე მეტოქეს რუსეთს, არა ნაკლებ სახიფათოს, გამარჯვების გზებს უხსნიდა. ამიტომ საჭირო იყო ბრძოლა ორივესთან, ხოლო ხან ერთის, ხან მეორის ურთი-ერთ წინააღმდეგ გამოყენება.

როდესაც ოსტერლიცის გამარჯვების და 26 დეკემბრის 1805 წ. ზავით, ნაპოლეონმა დაიმტკიცა იტალია, ვენეცია, დალმაცია და ისტრია; ტალეირანმა წინადადება მისცა ნაპოლეონს, მოლდავია და ვალახია დანუბამდე აესტრიისთვის დაეთმო, რათა ამით რუსებისთვის გზა გადაეჭრათ და მერე შეეჩერებინეთ აზიაში, ინგლისელების წინააღმდეგ. ამგვარად, 1800-1801 წ. ნაპოლეონის შეთანხმება იმპერატორ პავლესთან, ჩაიშალა, და ნაპოლეონი შეუდგა რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრებას.

ამ დროს სპარსეთი განუწყვეტელ ბრძოლას ეწევა რუსეთთან. სპარსეთი ვერ უერიგდება რუსების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაკავებას. ის ეხმარება ქართველებს ყოველ მხრივ, რუსების საქართველოთგან განდევნისათვის. ამ საქმეს ხელმძღვანელობენ სპარსეთის ტახტის მემკვიდრე და აზერბეიჯანის მფლობელი აბას-მირზა და მეფე ირაკლის ძე ალექსანდრე ბატონიშვილი. ამ დროს სპარსეთის ტახტს შეეხიზნენ საქართველოთგან იმ პარტიის წარმომადგენლები, რომელნიც შეურიგებელ ბრძოლას ეანაგრძობენ რუსეთის წინააღმდეგ და მოითხოვენ დამოუკიდებლობისა და ტახტის აღდგენას. სპარსეთის ფეტ-ალიშახი სარგებლობს ამ პირობებით, ისევე ნაპოლეონის განზრახვებით. ნაპოლეონმაც გამოიყენა სპარსეთის ასეთი განწყობილება რუსეთისადმი და დაიწყო მათთან მოლაპარაკება. ნაპოლეონს სჭირდებო-

და სპარსეთის მოკავშირეობა, სპარსეთი კი სცდილობდა, ამ კავშირის წყალობით, საქართველო დაებრუნებინა. აბას-მირზა საქართველოს მდგომარეობას აღუწერდა ნაპოლეონს და ასე დასკვნიდა:

«. . . Les Russes ont prétendu qu'ils avaient acheté la province de Géorgie et la ville de Gandjeh des enfants d'Erglé-Khan (Heraclius) et de Djoad-Khan, gouverneur de cette dernière ville et qu'ils n'avaient pris les armes que pour y maintenir leurs droits.

Or il y a deux choses à observer ici: 1) il est absolument faut que ces pays leur aient été vendus; 2) cette vente fût-elle même réelle, n'en est pas moins illégale et contraire aux usages établis puisqu'il est évident à tout esprit judicieux qu'un terrain ne peut être vendu que par le propriétaire légitime et non par le cultivateur, et que le troupeau ne dépend que de celui à qui il appartient et non du berger. — Indépendammant de cette considération il faut remarquer encore que toute vente suppose nécessairement un prix ou une contre-valeur. Or il est notoire que le seul prix qu'aient perçu les enfants d'Erglé-Khan et de Djoad-Khan pour cette prétendu vente qu'on leur attribue, c'est la mort de l'aîné des dits princes nommé Gurgin-Khan (Georges XII), qui a succombé aux chagrins que les Russes lui ont causés, celle de Djoad-Khan qui a misérablement péri sous leurs poignards homicides, et la dispersion du reste des enfants d'Ergli-Khan, dont pluseurs se trouvent prisonniers à Moscou et les autres dépouillés de leurs biens, persécutés et sans espoir, refugiés en notre cour.» *)

ამ ვრცელი წერილითგან, ნათლად სჩანს სპარსეთის სურვილები. ჩვენ თავის ადგილას აღვნიშნეთ, რომ საქართველო ფაქტიურად, ნადირ-შახის სიკვდილის შემდეგ განთავისუფლებული იყო სპარსეთის ვასალობისაგან, მაგრამ სპარსეთი ამას მაინც არ სთმობდა. ნაპოლეონთან მოლაპარაკებაშიც, საკითხი ასე იყო დაყენებული; ამიტომ, როგორც აღვნიშნეთ, ნაპოლეონიც 1807 წლის ხელშეკრულებით, სპარსეთს პირობას აძლევს, საქართველო წაართვას რუსეთს და მას დაუბრუნოს. მაგრამ ამ კავშირმაც ნაყოფი ვერ გამოიღო, ისევე როგორც თურ-

*) Afschar, La politique Européenne en Perse, p. 34.

ქებთან კავშირმაც. სპარსეთ - ნაპოლეონის ამ კავშირზედ ბ. Afschar-ი სწერს:

« Mais le projet franco-persan ne devait pas avoir plus de chance du succès.. Car, comme Napoléon cherchait plutôt un allié pour menacer les Anglais aux Indes, que chasser les Russes du Caucase, et comme de son côté, Fath-Ali entendait s'emparer d'abord de la Géorgie et ensuite marcher contre les Anglais, cette alliance étant ainsi fondée sur un malentendu, condamnée des sa naissance.»*)

ამ გვარად, უდღეურო აღმოჩნდა ნაპოლეონის ეს კავშირი სპარსეთთან და ოსმალეთთან. და თუ პირველს იმავე 1807 წლის ტილიზიტის ზავი მოჰყვა, მეორეს შემდეგი გარემოება: 1808 წ. რუსეთის იმპერატორს ეახლა ნაპოლეონის ელჩი კოლენკური (Caulaincourt). მისსა და გრაფ რუმიანცევის შორის გაიმართა მოლაპარაკება, და შედეგი ის იყო, რომ მათ შეიმუშავეს გეგეგმა ოსმალეთის განაწილებისა, შემდეგ კი შეერთებული ძალებით ინდოეთზედ გალაშქრება. მიუხედავად იმ დიდი მუშაობისა, რომელსაც ორი წლის წინ პორტასთან ეწეოდა ნაპოლეონის წარმომადგენელი გენ. სებასტიანი, ოსმალეთის მისამხრობად **).

ამ ხანებში რუსეთი ნელ - ნელა ჩააქრობს იმ აჯანყებებს, რითაც მოცული იყო მთელი აღმოსავლეთ საქართველო; მოახდენს (1810) იმერეთის სამეფოს სნექსიას და თავის გავლენას ავრცელებს გურიის, სამეგრელოს და ნაწილობრივ აფხაზეთის სამთავროებზედ.

1812 წელს, როდესაც განახლდა ნაპოლეონის ომი რუსეთთან, ამ დიდ ექსპედიციას თურმე დიდი მიზნები ჰქონია აღმოსავლეთში, რომელიც შეიკავდა კავკასიის საკითხსაც. მაგრამ აქ ნაპოლეონის დამარცხებამ, ეს საიდუმლობა თან წაიღო. ამით დამთავრდა ევროპის ერთი დიდი ეპოპეია, რუსეთს კი აღმოსავლეთში ერთი მეტოქე მოაკლდა.

1812 წელს ბუხარესტის ზავით, რუსეთი, მართალია ოსმალეთს უთმობს მოლდავია - ვალახიას, მაგრამ გაბატონდება ბესარაბიასა და დანიუბის შესართავში. ამით გზა ეხსნება წინსვლას, შავი ზღვის ჩრდილოეთიდან.

*) Afschar, p. 170.

**) Driault, La question d'Orient, p. 93.

ნაპოლეონის დამარცხებასვე მოჰყვა უიმედობა სპარსეთის მხრივ, და მისი ხანგრძლივი ომიც რუსეთთან, 1813 წლის გულისტანის ზავით გათავდა. ამ ზავის მე-III მუხლით, სპარსეთმა იცნო რუსეთის საკუთრებად: ყარაბალი, განჯა, დერბენდი, ბაქო, ტალიში, საქართველო და სხ. შემდეგ, ვენის კონგრესმა ხომ საბოლოოდ გადასწყვიტა ჩვენი ბედიც. ნაპოლეონის მზე ჩავიდა. აღმოსავლეთში მისი მეტოქეობა შესწყდა. ინგლისს დარჩა ინდოეთი; ამ დროს ძასვე ეკავა ხმელთაშუა ზღვაზედ, საუკეთესო პუნქტები: გიბრალტარი, მალტი და იონიის კუნძულები. რუსეთიც თავისუფლად გაბატონდება კავკასიაში. მას ინგლისი არ ეცილება; სპარსეთ - ოსმალეთსაც ნელ - ნელა ფარ - ხმალი დააყრევინა. მაშ ამ პერიოდში, რუსეთის გამარჯვება კვლავ უზრუნველყოფილია.

ვენის კონგრესის შემდეგ, რუსეთი უფრო გაამაყდა. მტრებიც ცოტა ჰყავს და მისი ავტორიტეტიც გაიზარდა. ამიტომ, მისი პოლიტიკა წინააზიაში უფრო აქტიური სახეს იღებს. სანამ რუსეთს ნაპოლეონის საფრთხე მოელოდა, მან თავისი ექსპანსია ოსმალეთის შიმართულებით შეანელა; ხოლო, როგორც კი ის დამარცხდა და ოსმალეთის მოკავშირეობა მისთვის დიდ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა, იწყებს მის შევიწროებას. ის ერევა მოლდავია - ვალახიის საქმეებში, რომელთა ოსმალეთის პროტექტორატი თვით იცნო ადრე. ასევე ყოველ - დღე ეძებდა მიზეზებს, კავკასიის დასავლეთით და შავი ზღვის ნაპირებზედ მოესპო ოსმალეთის გავლენა *).

ამ დროიდან რუსეთი ყოველმხრივ შეეცდება ოსმალეთის იმპერიის დანგრევას. უწევს დიდ დახმარებას საბერძნეთის აჯანყებულებს. ამ აჯანყების მეთაურები, ცნობილი ძმები იპსილანტები, იყვენ იმპერატორის ადიუტანტები, ხოლო კაპოდისტრია, რუსეთის კარზედ დიდ დიპლომატიური მისიებს ასრულებდა **).

რუსეთი ებრძვის ოსმალეთს, ბალკანეთის ქრისტიანი ერების გასანთავისუფლებლად. ის ასევე ეხმარება აჯანყებულ იტალიელებს, ავსტრიის წინააღმდეგ. რა კარიკა-

*) Debidour, Histoire diplomatique de l'Europe, t. I,
**) G. Isambert, L'Indépendance grec et l'Europe.

ტურულია ეს ამბავი, რომელიც მკითხველი გაიხსენებს, რომ სწორედ ამავე დროს, რუსეთი სისხლში ახრჩობდა თავისუფლების მოტრფიალე აჯანყებულ ქართველებს, კავკასიის მთიულებს და პოლონელებს!

რუსეთი კვლავ ანახლებს სპარს - ოსმალეთთან ომს და ორივეს ამარცხებს. სპარსელები 1828 წ. თურქმანჩაის ტრაქტატით, უთმობენ რუსებს (მუხ. III), ნახჩევანს და ერევანს. ამგვარად, გვილისტანის ხელშეკრულების შემდეგ რუსები კიდევ წინ მიიწევენ. ამ ტრაქტატის (მუხ. IV) ძალით საზღვრად იდება კარასუს სათავეები - არაქსამდე არაქსი - აბასაბადამდე და მას შემდეგ მოქცეული ქვეყნები რუსეთს რჩება *).

ასევე 1829 წ. რუსეთ - ოსმალეთის ადრიანოპოლის ხელშეკრულების (მუხ. IV) ძალით, ოსმალეთი სცნობს ზემო მოყვანილ თურქმანჩაის ხელშეკრულებას; რუსეთის საკუთრებად რჩება ყველა მის მიერ დაბყრობილი ადგილები საქართველოში. აქამდე მას ჰქონდა დაბყრობილი ალმოსავლეთ -საქართველო -მთლად და დასავლეთში — იმერეთის სამეფო. აღნიშნული ომის დროს მოახდინა გურიის სამთავროს ანექსია და იარალით დაიბყრო სამცხე-საათაბაგო, ახალციხის საფაშო, რომელიც ოსმალეთის იმპერიას ეკუთვნოდა. მაშ ამ მუხლით ოსმალეთი სცნობს რუსეთის საკუთრებად იმერეთს, გურია - სამეგრელოს და ახალციხეს (ქალაქი და საფაშოს ნაწილი), ყარსის საფაშოს ნაწილი, ახალქალაქი და ამ ხაზის შიგნით, რჩება რუსეთს, მის გარედ მდებარე, რუსის ჯარის მიერ დაბყრობილი ადგილები ეთმობა ოსმალეთს (აზრუმი, ბაიაზეთი და სხ.)**).

რუსეთი კავკასიის ტერიტორიაზედ, ოსმალეთის მხრითაც წინ იწევს. მთელი ეს გამარჯვება კი, იყო ერთანაირი შედეგი ნაპოლეონის დამარცხების და ვენის კონგრესის პოლიტიკისა. რუსეთმა მოიპოვა თავისუფალი მოძრაობის უფლება სრუტეებში; თავისუფალი ვაჭრობა შავ ზღვაზედ, 137 მილ. ფრანკი გადასახადი ოსმალეთისგან და დროებითი დაკავება ბულგარიის. ეს შაშინ რუსეთისთვის იყო დიდი მიღწევა. მას გზა გახსნილი ჰქონდა, მთელი ოსმალეთის ვაჭრობაც თავისი გავლენის

---

*) Martens, Recueil de traités, t. VII, 1824-1828, p. 564.
**) t. VIII, p. 147

ქვეშ მოექცა და ყველა ამით კი, საშუალება ეძლეოდა ყოველთვის ჩარეულიყო მის შინაური საქმეებშიც.

IV

1832 წ. ოსმალეთის იმპერია ცეცხლში იყო გახვეული. სულთანს აუჯანყდა აგვიპტის ფაშა მეჰმედ - ალი. სულ მალე წაართვა სულთანს მრავალი ადგილები. ის იბყრობს არაბეთსა, სირიას და ხმელეთის გზით უახლოვდება ინდოეთს, ტაურუსს და ანატოლიას. ეუფლება არაბეთის მთელ იმპერიას და მოგვგონებთ პტოლომეების და სალადინის ძლიერებას. მალე მისი შვილი, იბრაიმი, შემოიჭრება მცირე აზიის შუა გულში, ალეპს კონიას და ემუქრება კოსტანტინეპოლს. ამ მდგომარეობამ მიიბყრო ევროპის ყურადღება, რათგან, თვით სულთანი მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში იყო და დამხმარე ძალას გარეგან ეძებდა.

რუსეთიც აქტიურად ჩაერევა საქმეში. იმპერატორი ნიკოლოზ I-ელი აგზავნის კოსტანტინეპოლში გენ. მოურავოვს და სულთანს დახმარებისთვის, შესთავაზებს ფლოტსა და ჯარს. 1833 წ. იანვარში კი, იმავე გენერალს აგზავნის ალექსანდრიაში, ეგვიპტის ფაშის მოთხოვნილებათა შესატყობად. ეს გარემოება ავსტრიისთვის არ იყო ხელსაყრელი; ინგლისის ინტერესებს ხომ მთლად ეწინააღმდეგებოდა, რუსეთის ასეთი ჩარევა. ამიტომ ის შეეკედება, დახმარება გაუწიოს ოსმალეთს, რათა უკანასკნელმა უარჰყოს რუსეთის პროტექტორატი. მეორეს მხრით, მას არ უნდა, რომ შაჰმედ - ალის მოპოვებული გამარჯვება დაეკარგა. ამ კონფლიქტის დროს, მეჰმედ - ალის მხარს უჭერს საფრანგეთი *), ის მას ეარშიყება როგორც „sa plus belle colonie". საფრანგეთი კისრულობს შუამდგომლობას ოსმალეთსა და ეგვიპტის შორის. მურავიოვიც დიდ მილწევებს აკეთებს ალექსანდრიაში. მისი გავლენით, მეჰმედ - ალი უბრძანებს შვილს იბრაიმს, შეაჩეროს საომარი ოპერაციები, ამავე დროს კი, 20 თებერვალს 1833 წ. რუსეთის ფლოტი შეიჭრება ფოსფორზედ და სულთანის სასახლის წინ, ლუზას ჩაუშვებს.

*) Debidour, Hist. diplomatique de l'Europe, t. I, p. 319.

ამ დროს კოსტანტინეპოლში ჩამოდის ფრანგი ადმირალი რუსინი და მოითხოვს ოსმალეთისგან, რუსეთის ფლოტის გაყვანას. ოსმალეთი კი უპასუხებს: ამას ის იშიტომ სჩადის, რომ შეჰმად-ალი აიძულოს, მიალებინოს ის, რასაც თვითონ უძღვნის. პირიქით, ოსმალეთი კიდევ გამოიწვევს რუსის 12.000 კაცს, რომელიც დაბანაკდება სკუტარში. ამის შემდეგ კი, ევროპელები და განსაკუთრებით ფრანგები, ყოველ ღონეს იხმარენ, სულთნისა და ფაშის შორის ზავი ჩამოაგდონ. სულთანს, რომელიც იყო დაათმობინეს მთელი სირია და ადანის მხარე, სულთანმა აგრეედეე იცნო მეჰმად-ალის მემკვიდრეობითი უფლება ეგვიპტესა და სირიაში. რუსები კი, იძულებული იყვენ ჯარი გაეყვანათ, ხოლო ოსმალეთთან დასდეს საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის ძალით, ოსმალეთს რუსეთის მტრებისთვის, დარდანელის კარები უნდა დაეკეტა *).

რუსეთის უფლებრივობას ოსმალეთთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ დროს, რათგან კავკასია ცეცხლის ალში იყო გახვეული და მთიულები მუსრს ავლებდენ რუსის ჯარებს. ამავე მიზეზით 1834 წ. რუსეთი სდებს სპარსეთის შაჰმად-შახთან „მეგობრობის" ხელშეკრულებას, რითაც სპარსეთს ალუთქვამს, მისი დამოუკიდებლობის დაცვას **).

ახლა ცოტა შევჩერდეთ კავკასიის მთიულების გმირულ ბრძოლაზედ.

V

ჩვენ თავის ადგილას ვრცლად ვსაუბრობდით საქართველოს ფართო შეთქმულების მზადებაზედ, რომელიც 1832 წ. იქმნა გაცემული. სჩანს ქართველები კარგად ანგარიშობდენ საერთო გართულებებს; მათ კიდევ ერთხელ ახსენდებათ ეგვიპტე. მე-15 საუკუნეში, ქართლის მეფე კოსტანტინეც ხომ ეძებდა შამელუკებთან კავშირს, ოსმალეთის წინააღმდეგ, და ეს ტრადიციული მეგობრობა ქართველებისა ეგვიპტის მეჰმედ-ალისთან, ახლა უფრო ბუნებრივი იყო, მით უმეტეს, საქართველო და

*) Debidour, Histoire diplomatique de l'Europe, t. I, p. 320-324.

**) Afschar, La politique Européenne en Perse, p. 61.

კავკასია ახლა რუსეთს ეკუთვნოდა, ხოლო რუსეთი, რომელიც აღვნიშნეთ, ამ დროს მეჰმედ-ალის მტერს, ოსმალეთს ებრძოდა. მეჰმედ-ალიც ამხნევებს მთის არწივს. ყაზი-მულა კავშირშია სპარსეთში მყოფ ქართველ ბატონიშვილებთან.

დავუბრუნდეთ მთიულებს. დავიწყოთ დასავლეთ-კავკასიით. იშიერი-კავკასიის ე. ი. მთავარი მთავრებილის იქით დასავლეთი ნაწილი, ოსეთის მთებითვან დაწყებული—შავი ზღვის ნაპირებით, ნოვოროსიისკამდე — ეს უზარმაზარი სივრცე დასახლებულია კავკასიის უმშვენიერესი შოდგმის ჩერქეზთა ტომის ხალხით *).

სილამაზით, სიმამაცით და რაინდობით განთქმული ჩერქეზთა ტომი, ძველ ბერძენ მწერლებსაც არ გამორჩენიათ, და განა ესხილნა, თავისი უკვდავი ტრაგედიის გმირი პრომეთეოსი, მიჯაჭული კავკასიონის მწვერვალზედ, ჩერქეზთა ქალწულთ არ დაატირებინა!

ჩერქეზთა ტომი განგებამ, ბუნების ამ ცაშლილ, თა-

*) კავკასიურ ხალხებს, თანამედროვე ლინგვისტიკა შემდეგნაირად ანაწილებს:

1. **ქართული ჯგუფი** ოთხი დიალექტით: ა) ქართული; ბ) მეგრული; გ) ლაზური და დ) სვანური.
2. **დაღესტნის ჯგუფი;** რომელიც იყოფა ენათა 4 ჯგუფად, ხოლო სულ 21 თავისებურ დიალექტებად.
3. **ჩეჩნური ენა** — თავისი დიალექტებით.
4. **აფხაზური ენა** (ზოგი აფხაზურს აკუთვნებს, ჩერქეზულ ენის ჯგუფს. მას ჰყოფს 4 - ად).
5. **ჩერქეზული ენა** სამი მთავარი დიალექტით. ა) აბაძეხის; ბ) ყაბარდოს და გ) ჩაფსუგის.

ენათა ეს ხუთი ჯგუფი და მათი მატარებელი ხალხები, არიან ერთი-ერთ ნათესავები და წარმოადგენენ ძირითად მოსახლეობას კავკასიისა (რიცხვითაც უმრავლესობას), მათ ენებს კი ლინგვისტიკაში განსაკუთრებული „კავკასიური ენათა ოჯახის" ადგილი აქვს დათმობილი. გარდა ამისა სხვა და სხვა ისტორიული პირობებში, კავკასიაში ჩამოსახლებული არიან ელემენტები: თურანული, ნოლაელები (მონგოლები), თათრები და ინდო-ევროპიელებიდან: ოსები და სომხები.

ვისუფლების სივრცეში მოაქცია. მათ ქვეყანას მაღლითგან მხოლოდ ლურჯი ცა დასცქერის, ძირს კი ცათამდე ატყორცნილი მთები ჩრდილავენ მათ საცხოვრებელ ბინებს. ჩერქეზი ბუნებით თავისუფლების მოტრფიალეა. მას ასე უყვარია საუკუნეებით; მას არ ახსოვს მონობა, ხანდისხან თუ ესტუმრებოდენ ხოლმე მის კალთებს სამხრეთის დამბყრობელთა ტალღები, კავკასიონის მიუვალი ბუნება, მათ სასტიკად უმასპინძლდებოდა ხოლმე. მაგრამ ახალი მტერი სამხრეთიდან არ მოდიოდა, ის მოდის ჩრდილოეთითგან. ის ორ მიმართულებითგან მოადგა მას და კარები ორივედგანვე საკმარისად ხსნილია. ერთი ჩრდილოეთითგან, სადაც რუსებს უკვე წინა საუკუნეში ჰქონდათ ფეხი მომაგრებული და მეორე დასავლეთით — შავი ზღვის ნაპირებითგან. უკვე მე-18 საუკუნის მეორე ნახევრითგან, რუსებსა და ჩერქეზებს შორის განუწყვეტელი სისხლი იღვრება. ხოლო მე-19 საუკუნეში, რუსეთს, საერთო პოლიტიკის სისტემა უკარნახებს, ეს ბრძოლა უფრო გააძლიეროს. ჩვენ აქ თავითგან ავიცდენთ, იმ გმირული ბრძოლების აღწერას, რომელიც ჩერქეზეთმა გადაიხადა. ეს სპეციალური საკითხია. ვიტყვით მხოლოდ ორიოდე სიტყვას, რომ ჩერქეზთა ამ გმირული ბრძოლებით, მთელი მაშინდელი მსოფლიო გაოცებული იყო. აი, რას სწერს ინგლისელი Spenser-ი, რომელმაც სწორედ იმ დროს იმოგზაურა ჩერქეზეთში, დარჩა იქ ერთ ხანს და ყველაფერს თვალით ნახულს მოგვითხრობს:

«... Cette lutte inégale, si honteuse pour l'agresseur et si glorieuse pour le noble peuple qui, sans secours étrangères, résiste avec succès depuis plus de cinquante ans, à ses inexorables ennemis, a intéressé en sa faveur non-seulement les hommes politiques de toutes les opinions dans notre patrie, mais les hommes humains et éclairés de tous les pays. Les patriotiques efforts de ces braves Montagnards sont appréciés comme ils méritent de l'être et leur cause a conquis la sympathie des hommes libres dans toutes les partie du monde; car à Paris, comme à Vienne, à Berlin et à Naples comme à Madrid, la Circassie est un sujet qui revient dans toutes les conversations; on forme les vœux les plus ardents pour le succès définitif de ses armes, pendant que l'oppreseur qui

voudrait l'anéantir est flétri de toutes les épithetes qui mérite la oruauté tirannique.»*)

ავტორი დიდად უსაყვედურებს ინგლისის მთავრობას, რომ ის არ ერევა კავკასიის საკითხში. მისი აზრით, ინგლისის ჩარევა ორ დიდ საქმეს გააკეთებს: დაიცავს კავკასიელთა უფლებას, რომელნიც თავისი თავისუფლებისათვის ისე გმირულად იბრძვიან და მერე თავის საკუთარ ინტერესებს. და თუ დროზედ არ ჩავერევით, გვიანი იქნება; როგორც კი გაბატონდება რუსეთი კავკასიაში, ის თავის გავლენის ქვეშ დაიჭერს ოსმალეთსა და სპარსეთს და ინდოეთში დაგვემუქრება.

რუსები ნელ-ნელა იბყრობენ შავი ზღვის ნაპირებს, მოაქვთ სილარიბე და გაპარტახება. რუსის ისტორიკოსები ხშირად ტრაბახობენ, რომ მათ კავკასიელებს, ეკონომიური კეთილდღეობა შეუქმნეს. ჩამორჩენილ მთიელების ცხოვრების განვითარებას ხელი შეუწყეს. დღეს კი, ყველასთვის ნათელია, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, მათი კოლონიალური პოლიტიკის წყალობით, ეროვნული მეურნეობა გაანადგურეს და ვაჭრობა მოსპეს. უარესი მოუვიდა ჩერქეზეთს, რომელსაც ევროპის ვაჭრობა დიდ სტიმულს აძლევდა. იქ სადაც რუსებმა ფეხი მოიკიდეს, გაჰქრა ევროპიელთა ფლოტი და მასთან ერთად გაჰქრა ის ცხოვრებაც, რაც მანამდე სუფევდა. აი მაგალითად იგივე მოგზაური სპენსერი რედუტ-კალაზედ რას სწერს:

« . . . Auparavant, Redoute-Kalé était le grand entrepôt des produits anglais, expediés pour la Perse, la Géorgie et les autres provinces limitrophes russes ou turques: c'était de cette villes que partaient les caravanes... Ainsi le gouvernement russe a la double mortification de voir le commerce, ce grand civilisateur des Nations.» **).

ჩერქეზები ყველა ამას კარგად გრძნობდენ, ამიტომ ისინი ებრძოდენ ბოლომდე. ზემოდ აღვნიშნეთ, რომ ამ ბრძოლებში მთელი კავკასია ერთად იყო; ყოველი თემი თუმცა თავის მხრივ გასაჭირშია, მაგრამ ხელსაყრელ პირობებში, ერთი-მეორეს ეხმარებიან. ახლაც

*) **Ed. Spenser, Travels in Circessia, Krim-Tartary, etc., London 1838. (Revue des deux Monde, 1838 Juin, p. 770).**

**) იქვე. გვ. 798-799.

ჩერქეზებს განუწყვეტლივ ეხმარებიან აფხაზები, რაზეც თავის ადგილას ვილაპარაკეთ. სპენსერი მოგვითხრობს კიდევ სამეგრელოზედ და დასძენს: მიუხედავად იმისა, რომ მათ რუსების მფარველობაში შესვლით, ზოგიერთი პრივილეგიები მოიპოვეს; რუსები შაინც ეჯავრებათ და ყოველთვის მზად არიან იარაღით ხელში შეეპრძოლონ მათ. ასევე საიდუმლოდ ეხმარებიან რუსების წინააღმდეგ შებრძოლ ჩერქეზებსო.

ჩერქეზების ბრძოლებით განცვიფრებული ინგლისელი მოგზაური ფიქრობს, რომ ჩერქეზების მსგავსი გმირობა, არც ერთ ხალხს არ შეიძლება ჰქონდესო:

« . . Rien ne peut vous donner une idée de l'extrême impétuosité d'une charge de cavalerie circassienne, elle serait effrayante pour les plus braves troupes de l'Europe, étant exécutée avec la rapidité de l'éclar, et accompagnée d'un terrible cri de guerre, semblable à celui du chacal. Telle est l'admirable éducation de l'homme et du cheval, que je vois tous les jours les moindres soldats exécuter des tours de force supérieurs à tous ce qui j'ai jamais vu en Europe.» *).

იმის დასამტკიცებლად, თუ როგორის თავდადებით ებრძოდენ რუსებს ჩერქეზები, საკმარისია დავასახელოთ სტატისტიკა, თუ რამდენი გასწყდა ამ ბრძოლების ერთ პერიოდში. 1835 წლის სტატისტიკით, ჩერქეზთა რიცხვი აღწევდა 527.000 სულს **). სულ ათი წლის ბრძოლის შემდეგ, 1845 წელს კი, ეს რიცხვი ჩაშოდის 315.549 - სულამდე ***). აქეთგან სჩანს, რომ ჩერქეზთა ნახევარი განადგურებულა; დიდი უმრავლესობა, გასწყდა მტერთან ბრძოლაში და მრავალიც გადახვეწა ოსმალეთში. მაგრამ ეს გმირული ბრძოლა ჩერქეზებს არ შეუჩერებიათ ბოლომდე და როგორც ქვემოდ ვნახავთ, რუსეთი მათაც ბოლოს მაშინ მოუღებს, როცა ყირიმის ომის შემდეგ, გარედ ძშვიდობა სუფევს. მთელი ძალებით შეესევა და აღმოსავლეთ კავკასიაში დაამხობს შამილის სა-

---

*) იხ. იქვე. გვ. 813.

**) იხ. «Русский Вестник», 1842, т. 6.

***) იხ. «Кавказский Календарь», 1845, Берже -ს წერილი.

მეფის, რომელიც აგრეთვე იმპერიათის გმირობით ებრძოლა რუსეთს, მთელი ოცდაათი წელიწადი.

ჩერქეზეთთან პარალელურად შეურიგებელ ბრძოლას ვანაგრძობს აღმოსავლეთი კავკასია, ანუ ჩეჩნეთი და დაღესტანი.

კავკასიის მთავარ ქედს გადალმა, ჩერქეზეთს და ოსეთს შემდეგ, იწყება ჩეჩნეთი და მას აკრავს დაღესტნის უზარმაზარი ტერიტორია, კასპიის ზღვის ნაპირებით. ჩეჩნებიც და დაღესტნელებიც ისეთივე ენერგიანი და მამაცი ხალხია, როგორც ჩერქეზები. საშობლოს სიყვარული, თავისუფლების გრძნობა, საერთოდ ყველა კავკასიელებში, ერთი-მეორეზედ მეტად არის განვითარებული.

ზემოდ აღვნიშნეთ, რომ ჯერ კიდეც 1813 წლის გენერალ-ტანის ტრაქტატით, სპარსეთმა დაღესტანი რუსეთს უანდერძა; მაგრამ, სპარსეთის ასეთი უფლება დაღესტანზედ, ისეთივე იყო, როგორც საქართველოზედ. კიდევ მეტი, საქართველო თუ ნადირ-ხანის დროს კიდევ ერთგვარ ვასალს წარმოადგენდა, დაღესტნის მიმართ ესეც არ ითქმის, რათგან, მართალია ხორასანელი მეკეტვარეს დაღესტანში შეიჭრა და ის დაიმორჩილა, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ, დაღესტნის დამოკიდებულება სპარსეთთან უფრო წარმავალი იყო. ისტორიულადაც ეს ასე იყო და არსებითად ის დამოუკიდებელი იყო; და მიუხედავად სპარსეთის მიერ მისი რუსეთისადმი გადალოცვისა, დაღესტანი გმირულად შეებრძოლა რუსებს. როცა რუსებმა აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია საქმე მოათავეს, იმ დროთგან შეუდგენ მთაში ინტრიგების შექმნას. მათ უნდოდათ, დაღესტნის ცეხე შიგნიდან გაეტეხათ, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს, რათგან მათ არ იცოდენ დაღესტნელების ხასიათი, მათი რაინდობა, რომ ისინი რუსებს უკეთესმართი გზებით, ქათამსაც არ დაუთმობდენ. პირველად მათ დაიყოლიეს ავარიის სულთან-ახმედ-ხანი *), და შეეცადენ მისი საშუალებით დაღესტანში ფეხი მოეკიდებინათ; რუსები სცდილობენ აგრეთვე, შეისყიდონ კაზიკუმუხის და კარაკაიტალის ხანები, და სხ. მაგრამ, რუსებს საბოლოოდ არა გაუვიდათ რა და გადასწყვიტეს, დაღესტნის თავისუფლებაც, სისხლით დაემხოთ. დაღესტანმა იგრძნო ეს და თვითონაც შეუ-

*) ავარია — დაღესტნის უმნიშვნელოვანესი თემია.

ტია. პირველი დიდი თავდასხმა დაღესტნელების იწყება 1818 წელს, როდესაც ისინი რუსებს ხელს უშლიან ქალ. გროზნის აგებაში. ამიერითგან ეკ, ბრძოლა არ შეწყვეტილა და ის თავის აპოგეას აღწევს ორმოცდაათიან წლებში, იმამ შამილის დროს.

ოცდაათიან წლებში, დაღესტანში ვრცელდება ისლამის თავისებური მიმართულება, მიურიდიზმი. დაღესტნის იმამი და ეროვნული გმირი კაზი-მულა, ამ მოძღვრებას დაუდებს პოლიტიკურ საფუძველს და ასეთი რელიგიური გრძნობით ანთებული ხალხით ეკავეთება რუსეთს. კაზი - მულამ მრავალი ბრძოლები გადაიხადა რუსეთის წინააღმდეგ და ბოლოს მისივე ტყვიით განიგმირა. ხოლო როდესაც 1834 წ. მოჰკლეს მისი მოადგილე ჰამზად - ბეგიც, მაშინ დაღესტნის სათავეში ჩაუდგა იმვიათის ნების - ყოფის და გამბედაობის პატრონი შამილი. შამილმა ისედაც გმირ მთას, უძლეველობის სული ჩაუდგა. მან გაერთიანა დაღესტანი და ჩეჩნეთი. შექმნა ადმინისტრაცია, მტკიცე იერარქიული პირნკიპზედ აგებული. ჩამოაყალიბა 30.000 მუდმივი ჯარი, გაწვრთნა, შეიარაღა და დაიწყო განუწყვეტელი ბრძოლები. რუსები მის წინააღმდეგ აუარებელ ჯარებს აგზავნიან ხოლმე, მაგრამ, ცოცხალი მეათედიც ვერ ბრუნდებოდა.

1839 წ. მაისში, კავკასიის მთავარ - მართებელი გოლოვინი, მის წინააღმდეგ აგზავნის 8 ათას კაცს, 16 ზარბაზნით. შამლმა ისინი მიწასთან გაასწორა, მაგრამ, თვითაც სასტიკი დამარცხება ეგემა. ამ დროს თურმე, ისეთი სიმტკიცე და თავგანწირვა გამოუჩენია დაღესტნის ხალხს, რომ ის უცნობია ბრძოლათა ისტორიისათვის. ეი თვით ერთი რუსის ისტორიკოსი რას სწერს: „მურიდეები" *) არ ჰბარდებოდენ და იცავდენ თავს მამაცურად: ქალები და ბავშვები, ხანჯლებითა და ქვებით, ეცმებოდენ ხიშტებს, ან და ცეცდებოდენ უფსკრულში. დედები საკუთარის ხელით ჰკლავდენ უსუსურ შვილებს, რომ არ დარჩენოდენ ისინი რუსებს. მთელი ოჯახები ილუპებოდენ მათი ბინების ნანგრევების ქვეშ, ყველა მახლობელი ხეები აკსებული იდო გვამებით" **). ამ ბრძოლაში შამილმა, რუსის ისტორიკოსის სიტყვით, 3.000 ჯარის კაცი და 150 ოფიცერი მოუკლა. შამილმა

*) შამილის ჯარის კაცები.

** იხ. Служивый. Очерки покрения Кавказа, стр. 66.

მეორე დიდი დამარცხება მიაყენა რუსებს 1842 წ. შემდეგ ასევე გმირულად გაანადგურა 1844 წ. რუსების 22 ათასიანი ლაშქარი. 1845 წელსაც შან სასტიკად დაამარცხა რუსები და გაუწყვიტა 4.000 მეტი კაცი. 1848 წ. კიდევ 3.000-ზედ მეტი გაუწყვიტა და სხ.

შეუძლებელია. შამილის გმირული ბრძოლების ყველა შემთხვევების აქ მოყვანა. ის ბოლომდე შამაცად უბრძოდა რუსებს და როგორც ქვემოდ ვნახავთ, მისი თავისუფლების ბედიც, საბოლოოდ, საერთო მდგომარეობის წყალობით გადაწყდება; რომ ყირიმის ომის შემდეგ, რუსეთ - ოსმალეთის ზავი შეანელებს შამილის ბრძოლებს და მერე კი, საბოლოო ლიკვიდაციას მოუბდენს.

VII

ორმოცდაათიან წლებში რუსეთი საკმაოდ მოიმაგრებს ფეხს შავ ზღვაზედ. აბდულ - მეჯიდის დროს ოსმალეთის მდგომარეობა მეტად დასნეულებულია. ამიტომ რუსეთი სცდილობს, თვითონ ჩაიგდოს ხელში მისი მოგვარების საქმე. 9 იანვარს 1853 წელს, ინგლისის წარმომადგენელის და ნიკოლოზ პირველის შორის, პეტერბურგში მოლაპარაკება გაიმართება.

ნიკოლოზი ადგენს გეგმას, ოსმალეთის განაწილების რუსეთ - ინგლისს შორის. ინგლისს უთმობს კრეტასა და ეგვიპტეს, თვითონ კი უნდა შეიქმნეს „მფარველი" მოლდავია - ვალახიის, სერბიის და ბულგარიის. ინგლისმა იცოდა, რომ ერთ დღეს კრეტასა და ეგვიპტეს ხელში ჩაიგდებდა, მაგრამ რუსეთის გაბატონება ბალკანეთზედ, დიდად არ მოსწონდა. ამიტომ, რუსეთს ეს გეგმა არ გაუვიდა. 23 თებერვალს 1853 წ. კოსტანტინეპოლს ესტუმრა რუსეთის საგანგებო წარმომადგენელი, საზღვაო მინისტრი **მენშიკოვი** და პირველ ვეზირთან საიდუმლო მოლაპარაკება გამართა. ის სულთანს წინადადებას აძლევს, მიიღოს რუსეთის მუდმივი მოკავშირეობა, ოღონდ იცნოს რუსეთის პროტექტორატი ბერძნებზედ. სულთანი რჩევისათვის ევროპელთა წარმომადგენლებს მიმართავს და მათის ჩაგონებით, რუსებს უარს ეუბნება. მენშიკოვი დამარცხდა და როგორც თვითონ ამბობდა, — „მოსული პალტოთი, წავიდა შუნდირით *).

*) Debidour, Hist. diplomatique de l'Europe, t. II, p.112.

31 მაისს, პირველი მინისტრი ნესელროდე კიდევ ერთხელ გაუმეორებს თავის მოთხოვნილებას ოსმალეთს და უარის შემთხვევაში, ემუქრება მოლდავია-ვალახიის დაკავებით. ახლა კი, ინგლისი და საფრანგეთი აქტიურად ჩაერევიან საქმეში, და ჰპირდებიან ოსმალეთს დახმარებას. 1853 წ. სექტემბერში, უკვე შემოდის მოკავშირეთა ფლოტი და 4 ოქტომბერს სულთანი აქვეყნებს ომის მანიფესტს. ომი იწყება და დანიუბისაკენ იგზავნება დიდძალი ჯარები. ინგლის-საფრანგეთის ფლოტი შედის ბოსფორიდან შავ ზღვაზედ და რუსეთის ფლოტს სროლას აუტეხს. ომარ-ფაშა კი იკავებს შავი ზღვის ნაპირებს (იხ. ზემოდ). 27 თებერვალს 1854 წ. ნაპოლეონ III-მე და დედოფალი ვიქტორია ულტიმატუმს უგზავნიან რუსეთს; რუსეთი სდუმს. უთანხმოება აქტიურ ფაზაში შედის. 14 - 18 სექტემბერს, ფრანგების 30.000, ინგლისელების 20.000 და თურქების 7.000 კაცი გადასხვეს ყირიმის მხარეს და 332 ლიის ალყის შემდეგ, 10 სექტემბერს 1955 წ. მოკავშირეები იღებენ სებასტოპოლს. ამ გამარჯვებით წაქეზებული ინგლისელები მოისურვებენ კრონშტადის დაბგრევას და პეტერბურგზედ ყუმბარების დაშენას, რათა რუსეთი კარ ხნით შეეხუსტებინათ. ამავე მიზნით, ისინი ეხმარებოდენ კავკასიაში შამილს და აჯანყებდენ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ პროვინციებს, სამეგრელოს, აფხაზეთს და სხ. მაგრამ ნაპოლეონ მესამე ალაჯი გაუვა ინგლისს და ეს ომი 1856 წლის ზავით დამთავრდა.

1856 წლის პარიზის კონგრესმა, რომელმაც, ერთის შეხედვით დამარცხებული რუსეთი უკან დასწია, არსებითი მდგომარეობა ისეთი იყო, რომ, როგორც სულ მალე ისტორიამ დაამტკიცა, მის წინსელას არაფერი გადალობებია. რა მოხდა სინამდვილეში: პარიზის ტრაქტატის III-მე მუხ., რუსეთი ოსმალეთს უბრუნებს ყარსს*); IV-ხე მუხლით, მოკავშირენი რუსეთს უბრუნებენ ყველა ჩამორთმეულ ადგილებს. ხდება შავი ზღვის ნეიტრალიზაცია (XI-ე მუხ.). თურქებსა და რუსებს ეკრძალებათ შავ ზღვაზედ სამხედრო არსენალის შენახვა (XIII მუხ.). ალმოსავლეთის საზღვრები რუსეთ-ოსმალეთის შორის რჩება იგივე, რაც ომის წინ იყო (XXX მუხ.). გარდა ამი-

*) Recueil-Martins. Gottingue, t. II, p. 770.

სა, პარიზის კონგრესი თურქების მხრივ, ემსახურება ორ პრობლემას: 1) ერთის მხრივ ოსმალეთის იმპერიის მთლიანობის დაცვას და 2) იმპერიის ქრისტიანების აუცილებელი თავისუფლების დაცვას. მაგრამ ეს ორი პრინციპი, ერთი-მეორესთან შეუერიგებელი იყო. ოსმალთა მთლიანობის დაცვა შეუძლებელი იყო ქრისტიან სამთავროთა ინტერესის გვერდით, რითაც უკანასკნელთა ინტერესი, რომლისთვისაც ისინი წლობით სისხლსა ღვრიდენ, დაშოუკიდებლობა იყო. რაც არა უნდა კარგი ყოფილიყო ამ კონგრესის შედეგები, ოსმალეთისათვის და ცუდი რუსებისათვის. დრო და ვითარება მაინც რუსების სასარგებლოდ მუშაობდა და ვითარდებოდენ, სწორედ რუსეთის იმპერიალიზმის ხელშემწყობი ფაქტორები. მოკავშირეებმა ვერ შესძლეს რუსეთის უკან დახევინება და თუნდაც ცოტა ხნით, მისი მისწრაფებების შეჩერება; ეს დამტკიცდა არა მარტო კონგრესის მეორე და მესამე დღეს, არამედ იმავე კონგრესის პროცესში. ამის საუკეთესო მაგალითია საქართველოს საკითხი. მაშინ, როდესაც საქართველოსა და კავკასიაში შეურიგებელი ბრძოლის ხმა მაგრად ვაისმოდა, ნუთუ კონგრესს და გამარჯვებულ მოკავშირეთ არა შეეძლოთ, დამარცხებული რუსეთის წინაღმდეგ, ამ ხალხის ბედზედ ხმა ამოეღოთ! მაგრამ კონგრესზედ სიტყვა საქართველო და კავკასია არც კი უხსენებიათ (მე ბევრი ვეძებე ამ კონგრესის ოქმებში ის, და ვერ ვნახე)! აი, სულ რას ვკითხულობთ ამ ოქმებში: 1 მარტის სხდომა. „ M. le comte Walewski (საფ. წარმომადგენელი და კონგ. თავმჯ.) annonce que, comme seconde condition particulière les Puissances Alliées demandent de coumettre à un examen spécial l'état des territoires situées à l'est de la mer Noire.; *)

ცხადია ეს ეხებოდა სწორედ საქართველოს და კავკასიას; მაგრამ არსებითად, საკითხი დასმის იქით არ წასულა. რუსეთის წარმომადგენელმა მცირე განმარტება წარუდგინა (რასაც ოქმებიდან ვეკრის ვტყობულობთ), ხოლო ოსმალეთი, ბოლოდ საზღვრების შესწორების მოთხოვნით დაკმაყოფილდა. რასაკვირველია, ის დაპირებები (იხ. ზემოდ) რასაც საფრანგეთის და ინგლისის წარმომა-

---

*) იხ. იქვე, სადაც ტრაქტატია.

დგენლები აქლევდენ სამეგრელოს დედოფალს ეკატერინეს, აგრეთვე არავის გახსენებია. რუსეთის წარმომადგენელსა და სხვების შორის აშკრის გაცვლა - გამოცვლის შემდეგ ვალევსკიმ მაინც მოითხოვა, რომ ეს საქმე ჩაბნდობოდა კომისიას, რომელიც ყრილობის გათავების შემდეგ, გამოარკვევდა საქმის ვითარებას. ეს წინადადება მიიღეს და გადაიტანეს მეორე სხდომაზედ. საკითხის ასეთი ფორმით (ყრილობის შემდეგ) დაყენება, თავისთავად საიქიოს გასტუმრებას უდრიდა, და სინამდვილეშიც, როგორც შემდეგ სხდომაზედ, მასზედ არავის არაფერი მოუსმენია, ისევე არავითარი კომისია, ისტორიას აღარ ახსოვს. ეს იყო თავი და ბოლო, რითაც კონგრესი, საქართველოს საკითხს არა პირდაპირ შეეხო.

სულ მალე, ოსმალეთის იმპერიის შესუსტება ფაქტი ხდება, რათგან ქრისტიანი სამეფოები უკვე დამოუკიდებლად ცხადდებიან. 1857 წელს მოლდავია - ვალახია ავსტრიამ დასცალა და შექმნა რუმინიის სამეფო სადაც 1865 წელს გამეფდება ჰოჰენცოლერნების წარმომადგენელი კარლოს I-ლი რუმინიისა. ასევე 1860 წლითგან, სერბიაც გამაგრდება და თავისუფალ სამეფოდ ყალიბდება, და უკვე 1870 წელში, თურქეთა იმპერია საესებით განიარაღებულია, მას ჩამოსცილდა: საბერძნეთი, რუმინია, სერბია, მთაშავეთი და შეეცვალათ დამოკიდებულება ლიბანისა და კრეტის ქრისტიანებს; ყველა ეს კი, ერთნაირად იყო რუსეთის პოლიტიკის გამარჯვება.

კიდეე ერთხელ დავწმუნდით, რომ საქართველოს და კავკასიის საკითხი, ამ დროს, ყველას მიერ განწირული იყო და ის რუსეთის შინაური საკითხად დარჩა. მართალია, კავკასია დამოუკიდებლად მაინც განაგრძობდა ბრძოლას, მაგრამ სადამდე... და ბოლოს, როდესაც გარედ ყველაფერი დამთავრდა; მთაც ბრძოლით წელში მოიბარა, გამოეცალა გარეშე მორალური დასაყრდენი. 1859 წელს, რუსის დიდძალი ჯარები ამარცხებენ შამილს; ჩაიგდებენ ტყვედ და რუსეთში გაისტუმრებენ. (1871 წ. ის ნებართვით მიდის მექაში და იქ გარდაიცვლება). იბყრობენ დაღესტანსა და ჩეჩნეთს, მასაც რუსეთის პროვინციად გამოაცხადებენ და შემოიღებენ რუსული მართველობის წესებს. აქეთგან კი ნელ - ნელა შეიჭრებიან ჩერქეზეთში და რამდენიმე წლის ბრძოლის შემდეგ, მასაც მორჩილებაში მოიყვანენ. 1864 წელს იბ-

ყრობენ უბიზებს, ჩერქეზთა მოდგმის უკანასკნელ შტოს, და ამ წელს თავდება საბოლოოდ მთელი კავკასიის დაბ-ყრობის ისტორიაც. რათგან, აფხაზეთის და სვანეთის საშთავროთა საბოლო გაუქმებაც, სწორედ ამ დროს ხდება, როგორც ზემოდ ვნახეთ, სამეგრელო ფაქტიურად უკვე გაუქმებული იყო და ფორმალურად 1867 წ. მოხ-დება.

ასე დიდი დრო და მსხვერპლი დასჭირდა, რუსეთის საუკუნეებრივ ბრძოლას კავკასიის დასაბყრობად.

IX

როდესაც რუსეთმა დაიბყრო მთელი კავკასია, ცხა-დია მისი საერთო გეგმების განხორციელება, ამით დამ-თავრებული არ იყო. მას ეს ხაზი უნდა განეგრძო, უმთა-ვრესად კი, სპარსეთით — ინდოეთისაკენ. მაგრამ, პარი-ზის კონგრესმა, აღმოსავლეთით მას რომ საზღვრები მო-უსაზა, ისინი ჯერ კიდევ შორს იყვენ, ძველი საქართვე-ლოს ისტორიულ საზღვრებთან, არა მარტო ყარსი, არ-თვინი და არტაანი, თვით ახალციხის საფაშოს ნაწილიც, ისევ თურქების ხელში იყო. ამიტომ, ბრძოლა მით უფ-რო საჭირო იყო. და როგორც ისტორიამაც დაამტკიცა, რუსეთმა ახლო მომავალში ხელში ჩაიგდო ეს ტერიტო-რიაც და გამაგრდა კავკასიის ბუნებრივ საზღვრებზედ. ბუნებრივ მდებარეობამ ის შეაჩერა იქ, სადაც იყო ხში-რად საქართველოს საზღვრები, მისი დიდების დროს.

მაგრამ რაგორ მოხდა, რომ ამ დროს, რუსეთის ერთ-ერთი ძლიერი მეტოქე ინგლისი, ვერ სძლევს რუსეთს და უთმობს მას, კავკასიაში ბატონობას?! აი პრობლემა, რომელიც ერთგვარ პასუხს მოითხოვს. ეს მით უმეტეს საჭიროა, რათგან იგი განმეორდება რუსეთის დიდი რე-ვოლიუციის შემდეგ, მის მიერ საქართველოს მეორედ დაბყრობის დროს 1921 წელს, როდესაც ინგლისმა ხელი ჩააქნია საქართველოზედ. იქნებ ერთი საუკუნით დაცილებულ, ამ ორ ერთნაირ მოვლენას, ერთი და იგი-ვე ახსნა მოენახოს?!

სანამ ამაზედ პასუხს ვაცემდეთ, საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ იმ მოვლენებზედ, რომელთაც ხელი შეუწყეს რუსეთის შემდეგ განვითარებას მცირე აზიის ხაზით, მის იქ განმტკიცებას და რაც აგრეთვე საინტერესოა, მის იქ

საბოლოო შეჩერებას. ამ მოვლენათა აღნუსხვა აგრეთვე მოგვცემენ მასალას, აღნიშნულ საკითხის პასუხად, ბოლოს სათანადო დასკვნა გავაკეთოთ.

ეს არის რუსეთის მეტოქეობა ინგლისთან, ინდოეთში. ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ, რომ რუსეთმა უმთავრეს გზად ინდოეთში შესვლისა, აირჩია სპარსეთი. მაგრამ პირველად ალბად მას არ ჰქონდა გათვალისწინებული, რომ აქ უზარმაზარი წინაღმდეგობა დახვდებოდა. ვერ ნაპოლეონი, და მერე ინგლისი სპარსეთით და ოსმალეთითაც. ამას დაუმატეთ ისიც, რომ მარტო კავკასიის დაბყრობას, მან მთელი ერთი საუკუნე მოანდომა. ის ალბად სრულებით ვერც წარმოიდგენდა, რომ კავკასია მას იმდენ ძალას და მსხვერპლს გაალებიებდა. ცხადია, დიდმა დრომ არა მარტო დიდი ენერგია წაიღო, არამედ შექმნა ისეთი საერთაშორისო მდგომარეობაც, რომ რუსეთმა ინგლისი ვერ დაამარცხა და ამ გზით, მან პროგრესი ვერ გააკეთა. სამაგიეროდ, ეს მისწრაფება მან გადაიტანა კასპიის სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ციმბირის მიმართულებით და აქეთგან იწყო ინდოეთისაკენ სვლა.

მე-19 საუკუნის დასაწყისში, ინგლისი საკმაოდ ფეხმომბაგრებული იყო ინდოეთში. 1815 წელს უკვე მათ ხელში იყო ბენგალი, უდეების სახელმწიფოს ნახევარი, მისორის მხარე, ჰოლანდიელებს წაართვა ცეილანი. დაანგრია მახრატების კონფედერაცია, დაიბყრო მთელი ტერიტორია ბენგალის ყელიდან ომანის ზღვამდე და კალკუტა ჩამოაცილა ბომბაის და მადრასს. მალე ამ ტერიტორიის ანექსია მოახდინა და ადგილობრივი მთავრები შეიყვანა თავის მფარველობაში. 1826 წ. ინგლისი ბირმანიის იმპერიას მიადგება და დაუწყებს ბრძოლას იანდაბუს. 24 თებერვალს 1826 წელს ზავით, ის იკავებს არაქანს და მერლის. ინგლისს უნდა აქეთგან თავისი ვაჭრობა-გაევრცელებინა ჩინეთის იმპერიაშიც. 1840 წ. პეკინის იმპერატორი წინაღმდეგობას უწევს ინგლისელებს, მაგრამ მარცხდება და 1842 წ. ნანკინგის ხელშეკრულებით, ინგლისის ვაჭრობას უხსნის ხუთ პორტს: შან-ხაის, ნინგ-პოს, ფუ-ჩეუს, ამუას და კანტონის.

ინგლისს ამ ხანებში, დასავლეთითგან მეტოქე არარ ჰყავდა. ნაპოლეონის შემდეგ, საფრანგეთს ამისთვის აღარ ეცალა. მისი ახალი მეტოქე კი ჩრდილოეთიდან მოდიოდა.

ჯერ კიდევ პეტრე დიდმა ჩინეთთან ქერბეშის ხელშეკრულებით, ციმბირის საზღვარზედ, მონგოლეთის შესაფალში, შექმნა სავაჭრო პოსტი კიახტა. თურქესტანშიც გაგზავნა 6.000 კაცი, ინდოეთის გზის გასახსნელად, მაგრამ ამ დროს მან მიზანს ვერ მიაღწია.

ეკატერინე მეორე კი, ილებს ვოლტერის მიერ შედგენილ გეგმას, ხივის დაბყრობისა. ჩინეთთან ვაჭრობას აცხოველებს და აარსებს: ირკუტსკის, ტომსკის, ტობოლსკის და ეკატერინებურგს. ვაჭრობა ირკუტსკის - ტომსკის მიდის პამირიდან კასპიის ზღვამდე. 1834 წ. ნიკოლოზ I, აშენებს ურალის გასწვრივ მთელ რიგ სიმაგრეებს. 1841 წელს, ხელში ჩაიგდეს: ორენბურგი, ორსკი, თურღაი და სხვა. ამ ხანებში აქ შეეხლებიან რუსები ინგლისელებს. 1838 წ. ინგლისის ჯარები იკავებენ ქაბულს. აქ ამდროს შინაგანი ბრძოლაც ხდება, ამიტომ ინგლისს ავგანისტანის აღება მეორედ მოუხდება, და 1855 წ. მთავარი ხელს უწერს გენ.-გუბერნატორს ჯონს ლავრენსს, მეგობრობის ხელშეკრულებაზედ; ის ჰპირდება, თავითგან აიცდინოს რუსების გავლენა. ინდოეთშიც 1849 წ. ინგლისელებმა დაიბყრეს პენჯაბი და ასე ნელ - ნელა ხელში ჩაიგდეს მთელი ინდოსტანის ნაბევარ კუნძული.

მთელი ამ მეტოქეობის შედეგად ის მივიღეთ, რომ ინგლისი გაბატონდა ინდოეთში, ხოლო რუსეთს რჩება 1860 წლის ხელშეკრულებით, უსურის და ზღვის შორის — აგრედვე იაპონიის ზღვის, ამურის შესართავიდან კორეის საზღვრამდე, ადგილები. ხოლო გვიან კი, იბყრობენ თურქესტანს (1865) და ბუხარას (1868) ვასალად იხდიან. 1878 წელს ინგლისელები წინააღუდგებიან რუსებს, მაგრამ 1878 წლის, რუსების თურქებზედ გამარჯვების შემდეგ, მათი გავლენა კიდევ იზრდება.

აქეთგან ირკვევა, რომ რუსეთი დიდ მეტოქეობას უწევდა ინგლისელებს და უკანასკნელთ ველარ შესძლეს მეტი ადგილების დაკავება. ასეთ მდგომარეობაში უნდა წარმოვიდგინოთ კავკასიის საკითხიც; თუმცა, ის რაც რუსების მიმართ ვსთქვით, უნდა გავიმეოროთ ინგლისელების მიმართაც, რომ მათაც ვერ შესძლეს დაფასება კავკასიის ფიზიკური ძალის, რომ ინგლისელები ოფიციალურად ჩარეულიყვენ კავკასიის საკითხებში, უკანასკნელისათვის ძნელი არ იქნებოდა, თავის დაცვა რუსების ბატონობისგან. ვინც იცნობს კავკასიის მიუვალ ბუ-

ნებას და მისი ხალხის — მალალ შებრძოლ სულს, ეს არ გაუკვირდება. მაგრამ, ინგლისსაც, შედარებით სუსტი წარმოდგენა ჰქონდა კავკასიაზედ, და ეგონა, მისი დაცვა საკუთარი ძალებით მოუხდებოდა. შემდეგში წარმოებულმა ბრძოლებმა კი, დაამტკიცეს, რომ შესაძლებელი იყო კავკასიის დაცვა, ისევე, როგორც კავკასიის რუსეთისადმი ხანგრძლივმა წინააღმდეგობამ, რუსებს გზა გადაუჭრა სპარსეთისაკენ და ინგლისელებს საშუალება მიეცათ, ამ მხარეს გამაგრებულიყვენ.

IX

რუსეთი გაფაციცებით თვალს ადევნებდა მდგომარეობას და ეძებდა ხელსაყრელ პირობებს, რომ პარიზის ტრაქტატით გაღებული მსხვერპლი აღედგინა. ეს დღეც დადგა. 1870 წელს 29 ოქტომბერს, რუსეთის პირველი მინისტრი სარგებლობს შექმნილი მდგომარეობით, როდესაც მთელი ევროპის ყურადღება, საფრანგეთ - გერმანიის ომზედ იყო მიბყრობილი, და ყველა ქვეყნებს აუწყებს, რუსეთის განზრახვას 1856 წლის პარიზის ტრაქტატის გაუქმებისა, სადაც ნათქვამია:

« . . . Sa Majesté imperiale ne saurait se considerer plus longtemps comme liée aux obligations de ce traité en tant qu'elle restreignent ses droits de souveràineté dans la mer Noire.» *)

რუსეთმა ასე ბოროტად მოინდომა მდგომარეობის გამოყენება და მთელი ევროპის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები საჯაროდ უარჰყო. ეს ფაქტი საფრანგეთმა არ უნდა დაივიწყოს; ამ გარემოებამ ააღელვა ევროპა, მაგრამ საკითხი გადატანილ იქმნა 1871 წლის ლონდონის კონფერენციაზედ. კონფერენციამ განიხილა პარიზის ტრაქტატის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა დანიუბის ნავოსნობისა და სრუტეების საკითხებს. შავი ზღვის ნეიტრალიტეტი კი, ვერარ შეინარჩუნეს და ამიერითგან შავ ზღვაზედ იზრდება რუსების ფლოტი.

ამავე ხანებში, ოსმალეთის მდგომარეობა ისევ რთულდება. 1875 წელს, მას უჯანყდება ჰერცეგოვინია, მერე ბოსნია, ბულგარია; სერბიაც ომს უცხადებს. ამ შე-

---

*) **Driault, La question d'Orient, p. 204.**

ერთიანებულ ჯარებს ოსმალეთი სასტიკად უმასპინძლდება. როდესაც ბულგარიაში აჯანყება ჩაქრო, მარტო აქ 30.000 სული დაჰკლეს. ამ დრამას ევროპა გულცივად უცქერდა. განსაკუთრებით ინგლისი, არ ჩაერია საქმეში, რათა ოსმალეთი რუსების წინააღმდეგი დარჩენილიყო. მაგრამ რუსეთი ორივე შემთხვევით სარგებლობდა. მართალია, ოსმალეთი, თითქოს კონსტიტუციონალურ რეფორმების გზას ადგება, მაგრამ მის საგარეო მდგომარეობას, ეს არ სცვლიდა. 15 ოქტომბერს რუსეთი აგზავნის წარმომადგენელს და სულთანისგან მოითხოვს ავტონომიას: ბოსნია, ჰერცოგოვინიას და ბულგარიისთვის. 1876 წლის კოსტანტინეპოლის კონგრესზედ მოითხოვეს ავტონომია ბოსნია - ჰერცოგოვინიის. სერბია - მთაშავეთის საზღვრების გაფართოება და სხ. რუსეთს შეეშინდა, ოსმალეთი დათმობაზედ არ წასულიყო, ამიტომ, ევროპელთა კოლექტიურ ნოტას დაუმატა, განიარაღება ოსმალეთისა. ოსმალეთმა ეს არ დაუთმო და ომი აუცილებელი შეიქმნა.
16 აპრილს 1877 წ., რუსეთი კრავს სამხედრო კავშირს რუმინიასთან და მის ტერიტორიაზედ გავლის უფლებას მოიპოებს. 24 ოქტომბერს, რუსის ჯარებს ბრძანება ეძლევათ, ოსმალეთის საზღვრებს შეესიონ.

X

რუსეთს მეტად ხელსაყრელი პირობები დაუდგა. მას ოპოზიციაში აღარც ერთი ძლიერი სახელმწიფო აღარ ჰყავდა. ამიტომ, მას აღარაფერი უდგა წინ, დაშვებულიყო დანიუბზედ, ხელში ჩაეგდო ბალკანეთი, და კოსტანტინეპოლი დაებყრო; ამ დროს ოსმალეთს, ყველაზედ მეტი ჯარები, წავ ზღვაზედ ჰყავდა თავმოყრილი. ის უშენდა ფოთისა და სოხუმის მხრითგან, მაგრამ უფრო თავდაცვით ბრძოლას ეწეოდა. საბოლოოდ ის დამარცხდა. დიდი მთავარი ნიკოლოზი, რომელიც მთავარსარდლობდა დანიუბის ჯარებს, უნდა შეეჩერებულიყო კოსტანტნეპოლში, მაგრამ ჯერ რუსისავე მთავრობის ანგარიშით და მერე ინგლისის წინააღმდეგობით, ეს აღარ მოხდება. 30იანვარს 1878 წ. ადრიანოპოლში არმისტიტსზე ხელს აწერენ. ამას კი მოჰყვა 3 მარტის 1878 წლის სან - სტეფანოს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც

(მე-19-ე მუხ.), რუსეთმა საბოლოოდ დაიმტკიცა: არტაანი, ყარსი, ართვინი, ბათუმი, ბაიაზეთი და სხვ.

მაგრამ ავსტრია კმაყოფილი არ იყო; მას უნდოდა ბოსნია - ჰერცოგოვინის დაკავება. აღნიშნული ხელშეკრულებით კი, მასზედ ვრცელდება რუსეთის კონტროლი დასხ. ამ ხელშეკრულებას წინააღუდგა ინგლისიც. ინგლისი კრავს ოსმალეთთან თავდაცვით კავშირს. ამ კონვენციის პირველი მუხლით (4 ივნისი 1878 წ.), ინგლისი ჰპირდება, პირველ ხელსაყრელ შემთხვევაშივე დაუბრუნოს აზიაში დაკარგული ადგილები, მათ შორის, მოსსენებულია ბათუმი, არტაანი და ყარსი. ვინაითგან სან-სტეფანოს ზავით, შავ ზღვაზედ მთლიანად რუსეთი ბატონობდა და ოსმალეთის უფლებები მხოლოდ ფიქტიური იყო, ინგლისს არ შეეძლო ის ეცნო, ამიტომ რუსეთს ულტიმატუმი წარუდგინა; რუსეთს ეშინოდა ავსტრიისაც, ამიტომ მან შიმართა ბისმარკს და ბოლოს საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა, გადაეცა ბერლინის კონგრესს, სადაც გადამწყვეტ როლს თამაშობდა ბისმარკი. ყრილობა გაიხსნა მისი თავმჯდომარეობით 13 ივნისს, ხოლო 13 ივლისს 1878 წ. ხელი მოაწერეს ბერლინის ტრაქტატს. ამ ტრაქტატმა საგრძნობი ცვლილებები შეიტანა სან - სტეფანოს ხელშეკრულებაში, რომლის მიზანიც იყო რუსეთის შეზღუდვა და აღმოსავლეთში წონასწორობის შექმნა. ბალკანეთშედ განსაზღვრა: ბულგარიის ავტონომია (მუხ. I), ბოსნია - ჰერცოგოვინა გადაეცა ავსტრიას (მუხ. XXV). ყრილობა სცნობს სერბიის დამოუკიდებლობას (მუხ. XVXIX), სცნობს რუმინიის დამოუკიდებლობას (მუხ. XLIII), ხოლო LVIII მუხლით, ხდება აზიის საზღვრების მცირე შესწორება, სან-სტეფანოს ხელშეკრულებით განსაზღვრული; სახელდობრ: ყარსი, არტაანი, ართვინი, ბათუმი, ხუტურის მხარე და ვანის ტბა რჩება რუსეთს, მხოლო ალაშკერტის ხეობა და ბაიაზეთი (მუხ. LX), რომელიც სან - სტეფანოს ხელშეკრულებით, რუსეთს გადაეცა, დაუბრუნდა ოსმალეთს. ინგლისმა კი, ოსმალეთთან 4 ივნისის საიდუმლო ხელშეკრულებით, დაიკისრა დაცვა თურქების მცირე აზიის საშფოთველოებისა, თვითონ კი დაიკავა კვიპროსი. ამგვარად, ინგლისს შეეძლო სიმპატია გაეძლიერებინა თვის 50 მილიონ ინდოეთის მაჰმადიანებზედ. ამას მიაღწია ინგლისმა აღმოსავლეთში, წონასწორობის დამყარების-

თვის და რაგორც ვხედავთ, ამ წონასწორობის შექმნაში, მთელი კავკასია თავისი ბუნებრივი საზღვრებით, დარჩა რუსეთს. 1878 წლის ორივე ტრაქტატმა, რუსეთს მოუპოვა ყველა ის ტერიტორიები (ყარს-არტაან-ართვინ-ბათუმი), რომელნიც ამ საზღვრების შიგნით მდებარეობდენ, და რომელნიც შედიოდენ ძველად საქართველოს სამეფოში.

აღნიშნული ომის დროს, კიდევ იფეთქა აჯანყებამ კავკასიის მთაში. აჯანყებაზედ მითქმა-მოთქმა გაიმართა საქართველოშიც, მაგრამ, მაშინდელმა ქართულმა შოწინავე წრეებმა, ეს შეუძლებლად იცნეს. ხოლო მთის აჯანყება, საერთო გამარჯვებასთან ერთად, რუსებმა სისხლში ჩაახრჩეს და დიდძალი მთიულები, ციმბირში გადაასახლეს. მარტო სამხრეთ და შუა დალესტნითგან, რუსების ოფიციალური სტატისტიკით, გადაასახლეს 5.000 ოჯახი *). ამგვარად, კავკასიის დასაბყრობად, ბრძოლა შიგნით თუ 1864 წელს დამთავრდა, მისი საბოლოო განმტკიცების და ბუნებრივ საზღვრებამდე მისვლის თარიღათ, 1878 წელი უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს მრავალ ათას წლიანი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, სახელმწიფოებრიობის სრული გაუქმებით დამთავრდა. რამდენადაც უცნობი იყო მისი ისტორიისათვის მონობის ასეთი ფორმა, იმდენადვე, ერთი საუკუნის გმირული ბრძოლებით, მან დასამტკიცა მთელი კაცობრიობის წინაშე, თავისი ურყევი ნება თავისუფლებისა; ხოლო ახალ თაობას უანდერძა, სული შეურიგებლობის — თავდები მომავალი გამარჯვებისა.

---

*) იხ. Тзаликати. Борьба за волю Кавказа.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

	გვ.
წინასიტყვაობის მაგიერ	5
შ ე ს ა ვ ა ლ ი	7

თავი პირველი

საქართველო ევროპისა და აზიის შორის 13

1) წინა აზიისა და კავკასიის როლი ძველად. 2) საქართველოს მნიშვნელობა. 3) ჯვაროსნობა. 4) ქართველების როლი. 5) დასავლეთთან ურთიერთობა. 6) ცდები ახალი ჯვაროსნობის მოწყობისა. 7) ქართველების მონაწილეობა.

თავი მეორე

საქართველოს ორიენტაცია რუსეთისაკენ 29

1) საქართველოს მოწყვეტა ევროპისაგან. 2) ახალი საზღვაო გზების აღმოჩენა. 3) საქართველოს ორიენტაცია რუსეთისაკენ. 4) მეფე კონსტანტინეს ურთიერთობა ეგვიპტე-ისპანიასთან. 5) მეფე ლუარსაბი და რომი. 6) სპარსეთის ორიენტაციის ცდები. 7) კახეთის მეფეთა ურთიერთობა რუსეთთან. 8) შახ-აბაზის პოლიტიკა საქართველოში. 9) რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მე-17-ე საუკუნეში. 10) დასკვნა.

თავი მესამე

1768-1774 წ.წ. რუსეთ-ოსმალეთის ომი და ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკა 51

1) ვახტანგ მეფის ევროპასთან დაახლოვების ცდები; სულხან ორბელიანის მისია. 2) 1722-1724 წ.წ.

რუსეთ-სპარსეთის ომის მიზეზები და საქართველო. 3) სპარსეთის მდგომარეობა ომის წინ და შემდეგ. 4) პეტრე დიდის სამხედრო კავშირი ქართლის მეფესთან. 5) სპარსეთთან დიპლომატიური შეთანხმება და რუსის ჯარების უკან დაბრუნება. 6) ქართლის სამეფოს გაუქმება. 7) მეფე ვახტანგის გადასახლება რუსეთში. 8) ქართლის სამეფოს ბედი დროთა შემდეგ მსვლელობაში. 9) ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და იქ კახთ-ბატონების გაშეფება. 10) დასკვნა..

თავი მეოთხე

1768 - 1774 წ.წ. რუსეთ - ოსმალეთის ომი და საქართველო .77

1) საქართველოს ვითარება. 2) რუსეთის მდგომარეობა. 3) ომის მიზეზები. 4) ეკატერინე მეორის სამხედრო კავშირი ქართველ მეფეებთან. 5) რუსეთის ჯარის შემოსვლა საქართველოში. 6) ასპინძის ომი და რუსების ლალატი. 7) ტოტლებენის აგრესიული მოქმედება საქართველოში. 8) გენ. ტოტლებენი დასავლეთ საქართველოში. 9) გენ. სუხოტინის დანიშვნა; საქართველოს მდგომარეობა ომის შემდეგ მსვლელობაში. 10) საქართველოს მდგომარეობა რუსის ჯარის წასვლის შემდეგ. 11) ზავი. 12) შედეგები.

თავი მეხუთე

რუსეთ - საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულება 117

1) მდგომარეობა კავკასიაში და ყირიმის შეერთება რუსეთთან. 2) საქართველოს ურთიერთობა ამიერ-კავკასიის სახანოებთან და სპარსეთთან, რუსეთთან ხელშეკრულების დადების წინ. 3) საქართველოს შინაური მდგომარეობა. 4) ირაკლის და სოლომონის ცდები ევროპასთან დაახლოებისა. 5) 1783 წლის ხელშეკრულების დადება. 6) ხელშეკრულება.

თავი მეექვსე

საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა 1788 წლის ხელშეკრულების შემდეგ 133

1) საქართველო და ოსმალეთი. 2) საქართველო და სპარსეთი; აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა. 3) შემოსევის შემდეგ.

თავი მეშვიდე

რუსეთ - საქართველოს ურთიერთობა გიორგი მე-XII-ის დროს და აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია 155

1) შინაური მდგომარეობა. 2) რუსეთთან ურთიერთობის განახლება გიორგი მეფის მიერ. 3) რუსეთის ელჩის დანიშვნა და მათი ჯარის შემოსვლა საქართველოში. 4) ოპოზიციის ბრძოლის დასაწყისი. 5) სპარსეთ - საქართველო აღა - მაჰმად - ხანის შემდეგ. 6) ომარ - ხანის შემოსევა. 7) გიორგი მეფის თხოვნა, რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ. 8) რუსეთის საპასუხო მოქმედება და მზადება საქართველოს ანექსიისათვის. 9) მეფე გიორგის სიკვდილის შემდეგ. 10) იმპერატორ პავლეს 1800 წ. 18 დეკემბრის მანიფესტის გამოცხადება საქართველოს ანექსიის შესახებ. 11) იმპერატორ ალექსანდრეს მიერ, საქართველოს საკითხის განახლება სენატში; საქართველოს ამბები. 12) საქართველოს ანექსიის საბოლოო დადგენა. 13) საქართველოს ვითარება ამ დროს. 14) 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის გამოცხადება.

თავი მერვე

აღმოსავლეთ - საქართველოს აჯანყებები რუსეთის წინააღმდეგ 201

1) აჯანყების საერთო მიზეზები; კულტურული და მორალური სხვაობა რუსებსა და ქართველებს შორის. 2) აჯანყების პირდაპირი მიზეზები. 3) 1802 წლის აჯანყება. 4) სამეფო ოჯახის გადასახლება რუსეთში. 5) 1804 წლის აჯანყება. 6) საქართვე-

ლის საერთაშორისო მდგომარეობა. 7) 1812 წლის აჯანყება. 8) ნაპოლეონისა და რუსეთის შორის ომის განახლება; საქართველოს აჯანყების გაგრძელება.

თავი შეცხრე

იმერეთის სამეფოს ანექსია რუსეთის მიერ 253

1) იმერეთის შეერთების საჭიროება რუსეთისათვის. 2) იმერეთის შინაური მდგომარეობა. 3) რუსეთის ჩარევა მის შინაურ საქმეებში. 4) ციციანოვი. 5) სოლომონ მეორის იძულებითი შესვლა რუსეთის მფარველობაში. 6) რუსების მდგომარეობა კავკასიაში. 7) იმერეთის მდგომარეობა, რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ. 8) საერთაშორისო მდგომარეობა. 9) სოლომონის კავშირები რუსების წინააღმდეგ. 10) ხელშეკრულების დარღვევა რუსების მიერ. 11) საერთაშორისო ვითარება და საქართველოს საკითხი. 12) სოლომონის განდგომა და ბრძოლა რუსების წინააღმდეგ. 13) იმერეთის დაკავება და მეფის შებყრობა. 14) სოლომონის გაქცევა და მისი წერილი მიტროპოლიტ დოსითეოზთან. 15) იმერეთის ბრძოლა ანექსიის შემდეგ. 16) სოლომონის უკანასკნელი ცდები, სამშობლოს განთავისუფლებისა და მისი აღსასრული.

თავი მეათე

გურიის სამთავროს გაუქმება 309

1) გურიის შესვლა რუსეთის მფარველობაში. 2) გურია და იმერეთი. 3) გურიის აჯანყება. 4) გურიის სახალი მთავრობა. 5) საგარეო გართულება და დედოფალ სოფიოს პირის შებრუნება ოსმალეთისაკენ. 6) გურიის სამთავროს ფორმალური გაუქმება.

თავი მეთერთმეტე

სამცხე - საათაბაგოს დაბურობა 321

1) ცოტა რამ ისტორიიდან. 2) შინაური ბრძოლა ახალციხის საფაშოში. 3) მათი ბრძოლა რუსების

წინაღმდეგ. 4) 1828-1829 წ.წ. რუსეთ-ოსმალეთის ომი და ახალციხის საფაშოს დაბყრობა რუსების მიერ. 5) 1829 წ. 21 სექტემბრის ადრიანოპოლის ზავი. 6) ხელშეკრულების შედეგები.

თავი მეთორმეტე

1832 წლის შეთქმულება 333

1) შეთქმულების წინ. 2) შეთქმულთა ორგანიზაციის დაარსება. 3) საგარეო ვითარება. 4) შეთქმულთა შინაური მდგომარეობა. 5) ორგანიზაციის ფორმა. 6) ორგანიზაციის კავშირები. 7) იდეოლოგიური მუშაობა. 8) შეთქმულთა ძალები. 9) აჯანყების გეგმა. 10) თავისუფალი საქართველოს ორგანიზაციის გეგმა. 11) შეთქმულების გაცემა.

თავი მეცამეტე

სამეგრელოს ავტონომიის გაუქმება 359

1) სამეგრელო-იმერეთის ურთიერთობა. 2) სამეგრელოს შესვლა რუსეთის მფარველობაში. 3) მფარველობაში შესვლის შემდეგ. 4) სამეგრელოს აჯანყება. 5) აჯანყების შედეგი. 6) სამეგრელოს ავტონომიის გაუქმება.

თავი მეთოთხმეტე

სვანეთის სამთავროს გაუქმება 379

1) სვანეთი ისტორიულად. 2) სამთავრო სვანეთის რუსეთის მფარველობაში შეყვანა. 3) თავისუფალი სვანეთის მფარველობაში შეყვანა. 4) დაცა დადეშკელიანების შორის. 5) სვანეთის სამთავროს გაუქმება.

თავი მეთუთხმეტე

აფხაზეთის სამთავროს გაუქმება 391

1) აფხაზეთი რუსეთის მფარველობაში შესვლის წინ. 2) რუსეთის მფარველობაში შესვლა. 3) რუ-

სეთის გამაგრება აფხაზეთში, ბუხარესტის ზავის შემდეგ. 4) აფხაზეთის შინაური მდგომარეობა. 5) აფხაზეთის აჯანყება. 6) წებელდა და სამურზაყანო. 7) აფხაზეთი რუსეთის მფარველობის ქვეშ. 8) აფხაზეთის საშთავროს გაუქმება. 9) აფხაზეთის აჯანყება.

თავი მეთექვსმეტე

ალმოსავლეთის საკითხი და რუსეთის საბოლოო დამკვიდრება კავკასიაში 411

1) ოსმალეთი და სპარსეთი. 2) დასავლეთ ევროპისა და რუსეთის დაძვრა ალმოსავლეთისაკენ. 3) რუსეთის ალმოსავლური პოლიტიკა, ეკატერინე მეორის დროს. 4) ევროპელთა მეტოქეობა ალმოსავლეთში და რუსეთი. 5) ეგვიპტე-ოსმალეთის კონფლიქტი და რუსეთის პოლიტიკა. 6) ჩერქეზთა გმირული ბრძოლები რუსეთის წინაღმდეგ. 7) ჩეჩნეთისა და დაღესტნის ბრძოლა რუსეთის წინაღმდეგ. 8) ყირიმის ომი და მისი შედეგები; კავკასიის დაბურობის დასასრული. 9) რუსეთ-ინგლისის მეტოქეობა ალმოსავლეთში და კავკასიის ხვედრი. 10) რუსეთის პოლიტიკა საფრანგეთ-გერმანიის 1870 წ. ომის დროს. 11) ბერლინის კონგრესი და რუსეთის დამკვიდრება კავკასიაში.

(პირველი ტომის დასასრული).

ტექსტში შემოკლებით დასახელებული მასალები:

АКТЫ (აქტები). — Собранные Кавказскою Археологическою Комиссиею, т. I-XI. Тифлис, 1868.

БУТКОВ (ბუტკოვი). — Матерялы для новой истории Кавказа (1722-1803). Петербург, 1869, I-III.

П. ДУБРОВИН (დუბროვინი). — История войны и владичества русских на Кавказе, т. 1-VII. Петербург 1871.

ПОТТО (პოტტო). — Утверждение русскаго владичества на Кавказе. I-XII, Тифлис, 1901.

А. ЦАГАРЕЛИ. — Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии. I-III. Петербург, 1891.

Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.